1965 / 3.

# მნათობი

1965

8

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე № 8 აგვისტო, 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

9749

## შ ი ნ ა ა რ ს ი

იოსებ გრიშაშვილი . . . 3
…რჩილ სულაკაური — ოქროს თევზი. რომანი . . . 5
…რგი შატბერაშვილი ლექსები. მამალხინეს სიკვდილი — მოთხრობა . . . 41
…მაზ ჭილაძე — ლექსები . . . 48
…რაბ რატიანი — შეხვედრა შვეიკთან. მოთხრობა . . . 51
…მურაზ ჯანგულაშვილი — ძახილი დილეგებიდან. ლექსი . . . 54
… ჩანტლაძე — ორი მოთხრობა . . . 57
ჯანსულ ჩარკვიანი — ჩემი მიწის ცისარტყელა. ლექსები . . . 64
ჟან-პოლ სარტრი — სიტყვები. დასასრული. თარგმანი ფრანგულიდან კოტე ჯავრიშვილის და გასტონ ბუაჩიძისა . . . 68

### კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

… ვახანია — ვაჟა-ფშაველა და ქართველი სამოციანელები . . . 110
… ჟვანია — ვაჟა-ფშაველას იურიდიული მოღვაწეობა . . . 119
…ლეონიძე — დავით გურამიშვილი . . . 129
…ქიდაშვილი — რეალიზმი და ჰეროიკა. დასასრული . . . 145

### ფაქტები, მოგონებანი

…ქელაგა — ათასი ფუთი ბრალდება. გაგრძელება . . . 161

### წიგნების მიმოხილვა

… კანკავა — წინსვლის გზაზე . . . 185
…ლიანი — თავისუფლებისა და აუცილებლობის ფილოსოფიური პრობლემისათვის 188
… ზაქარიაშვილი, დურმიშხან ცინცაძე — მონოგრაფია მიხეილ თამარაშვილზე 191

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-65 წ. ქაღალდის ზომა 70 $\times$ 108. ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12^{1}/_{2}$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 05630 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2240.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა; 3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ (იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილი), ჩვენს რიგებს გამოაკლდა სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ მოახმარა ქართული მწერლობის განვითარებას. შეწყდა მგზნებარე გულისცემა ბრწყინვალე პოეტისა, ქართული პოეტური კულტურის ერთ-ერთი უნიჭიერესი ოსტატისა.

იოსებ გრიშაშვილი ფართო ერუდიციის შემოქმედი იყო. იგი ეკუთვნოდა ჩვენი საუკუნის მწერალთა და მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომლითაც ასე ამაყობს ქართველი ხალხი. არ ყოფილა ეროვნული კულტურის თითქმის არცერთი სფერო, რომლის გამდიდრება-განვითარებაშიც მას ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს. იოსებ გრიშაშვილმა ქართული პოეზია მრავალი უკვდავი ქმნილებით გაამდიდრა და შთამაგონებლად უმღერა სამშობლოს თავისუფლებას, მის აყვავებას, ახალი, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებას. იოსებ გრიშაშვილი მხოლოდ პოეტი როდი იყო. სამოცი წლის მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ თეატრს, მეცნიერის კეთილსინდისიერებით იკვლევდა ქართული ლიტერატურისა და თეატრის წარსულს, აშუქებდა მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის რთულსა და საინტერესო პრობლემებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იოსებ გრიშაშვილის დამსახურება მთარგმნელობითი კულტურის განვითარებაში. მისი თარგმანები უჭკნობ შედევრებს წარმოადგენენ და საყოველთაო აღიარება ჰპოვეს.

ი. გრიშაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ თეატრთან, სადაც იგი მუშაობდა როგორც მოკარნახე, მსახიობი და რეჟისორი, თეატრში მან კარგად შეისწავლა ქართული, რუსული და ევროპის დრამატურგია.

ლიტერატურული მოღვაწეობა იოსებ გრიშაშვილმა ადრე დაიწყო. 1906—1907 წლებში გამოვიდა მისი ლექსების პირველი ორი კრებული, სადაც სატრფიალო ლექსებთან ერთად დაბეჭდილია რევოლუციური ხასიათის სიმღერები. პოეტი მოუწოდებდა მშრომელთ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად, მოუწოდებდა მაღლა აღემართათ წითელი დროშა.

იოსებ გრიშაშვილმა განავითარა ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები და ლექსის ფორმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. შემთხვევითი როდი იყო, რომ მეოცე საუკუნის დიდმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ ამ პერიოდში ორი ლექსი უძღვნა იოსებ გრიშაშვილს, ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, რომ სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე პოეტს ხალხის სიყვარული და საყოველთაო აღიარება მოეპოვებინოს, როგორც ეს იოსებ გრიშაშვილმა მოიპოვა.

1914 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ნაწარმოებთა პირველი ტომი.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ინტერესები მხოლოდ ლექსებითა და თეატრში მუშაობით როდი ამოიწურებოდა. მას ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. ი. გრიშაშვი-

ლის პირველი კაპიტალური მონოგრაფია, რომელიც გამოიცა 1918 წელს, მიეძღვნა დიდ აშუღ საიათნოვას მემკვიდრეობის მეცნიერულ კვლევას...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდა, სრული ძალით გამოვლინდა და აელვარდა მისი მრავალმხრივი პოეტური ნიჭი.

1922 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ლექსების მეორე ტომი, ცოტა ხნის შემდეგ კი მას მოჰყვა პოეტის ახალი ლექსები, რომლებშიც ჩვენი ეპოქის სიდიადე, ხალხის ფიქრები და მისწრაფებანია გამოხატული. არ ყოფილა არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც პოეტი გულწრფელად და მთელი ხმით არ გამოხმაურებოდეს.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელ თავის ნიჭს პოეტი მტერთან ბრძოლის საქმეს ახმარდა. გამარჯვების რწმენით გამსჭვალული მისი ნაწარმოებები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. გამარჯვების შემდეგ პოეტი შთამაგონებლად უმღეროდა მუშებისა და კოლმეურნეების თავდადებულ შრომას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მოპოვებულ გამარჯვებებს.

ი. გრიშაშვილის კალამს ეკუთვნის თვალსაჩინო გამოკვლევები: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ყაზბეგი როგორც მსახიობი“, „ასიკო ცაგარელი“, „შიო მღვიმელის რევოლუციური პოეზია“, „ოსტროვსკი საქართველოში“; „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“, „გაბრიელ სუნდუკიანი“, „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“, „გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე“, ა. წერეთლის თხზულებათა მესამე და მეოთხე ტომების შენიშვნები, „შევჩენკო და საქართველო“, ოვანეს თუმანიანის, მირზა ახუნდოვის ნაწარმოებთა საუცხოო თარგმანები და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. შიო მღვიმელის შემდეგ ძნელია დავასახელოთ მეორე პოეტი, რომელიც ასეთი სიყვარულით სარგებლობდეს ნორჩ მკითხველებში.

იოსებ გრიშაშვილის სახელი დიდი ხანია გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს. მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხის ენებზე, აგრეთვე უცხოურ ენებზე.

იოსებ გრიშაშვილი დიდ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა მწერალთა კავშირში, როგორც მისი გამგეობის უცვლელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. სადაც ის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, რომლის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი იყო დაარსებიდან უკანასკნელ ყრილობამდე.

იოსებ გრიშაშვილის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. მას მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის მაღალი წოდება, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ქართველი მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან საყვარელ პოეტსა და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, კეთილსა და სათნო ადამიანს.

მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

# ოქროს თევზი

რომანი

მთაწმინდის უბანში პატარა და წყნარ ქუჩაზე იდგა გასული საუკუნის მიწურულში აგებული სამსართულიანი სახლი, სადაც სხვა მობინადრეებთან ერთად ცხოვრობდა ხუთი სულისაგან შემდგარი ოჯახი:

პლატონ ბარამიძე;

მარიამი—პლატონის მეუღლე.

შვილები: მირიანი, დათო, თეონა.

— მირიანი და დათო ნათიშვილები არიან, თეონა — ბარამიძე.

პლატონი თეონას მამაა. მირიანმა და დათომ მამა ადრე დაჰკარგეს, მაგრამ პლატონი იმდენად კეთილი ადამიანი აღმოჩნდა, რომ ბიჭებს უმამობა თითქმის არ უგრძვნიათ.

ძირითადად ოჯახს მარიამი უძღვებოდა. ეს იყო მშვიდი და აუღელვებელი ქალი, შვილების მოყვარული დედა. მისი წყალობით ოჯახში მუდამ სიმშვიდე სუფევდა.

დედა ყოველთვის ამბობდა:

— სხვამ არ უნდა იცოდეს, რა ხდება შენს ოჯახში.

ამიტომ. თუ ზეიმობდნენ—უხმოდ ზეიმობდნენ — თუ წუხდნენ უხმოდ წუხდნენ, ხოლო ჩვეულებრივ დღეებს ეს სიმყუდროვე არასოდეს დაურღვევია.

## ნაწილი პირველი

დათოს ცხოვრებამ გაუმართლა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშენებლობაზე მოეწყო სამუშაოთა მწარმოებლად, უზარმაზარ საცხოვრებელ სახლს აშენებდა საბურთალოში.

ახლა სამუშაოდან დაბრუნებული ტახტზე იწვა და მთვლემარე თვალებით მისჩერებოდა მინის მოზრდილ ქილას, რომელიც იქვე, შუშაბანდის კუთხეში, პატარა მაგიდაზე იდგა. სისხლისფერი, გრძელფარფლებიანი თევზი ნებივრად დასრიალებდა, ჩამავალი მზის სხივები მომწვანო წყალს აელვარებდა.

მინის ქილა და ოქროს თევზი უფროს ძმას—მირიანს ეკუთვნოდა. ერთ დღეს ყველასათვის მოულოდნელად მოიტანა მინის ეს მრგვალი ჭურჭელი მირიანმა. ოჯახში ჰკითხეს: „რად გინდა, მირიან?“ მირიანმა უპასუხა: „მჭირდება“.

მირიანი, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობს.

მერმე წითელი თევზი მოიყვანა. ქილის ფსკერზე ზღვის ქვიშა და ჭრელი კენჭები დაყარა, წყალი ჩაასხა... მას შემდეგ დგას ეს ჭურჭელი შუშაბანდის კუთხეში და შიგ სისხლისფერი, გრძელფარფლიანი თევზი ცხოვრობს. თევზს მირიანი უვლის—წყალს უცვლის და აპურებს.

— დედა, სად არის მირიანი?

— არ ვიცი,—მოესმა სამზარეულოდან.

— დიდი ხანია წავიდა?

— კი, კარგა ხანია...

სამზარეულოს ღიად დარჩენილ კარიდან კატამ გამოყო თავი. ცნობისმოყვარე, მრგვალი თვალებით შეხედა დათოს და შემოვიდა. კუდაპრეხილი, ნებიერი კრუტუნით მიეგლისა კედელს, მერმე უკანა თათებზე აიწია და ტახტი მიმოათვალიერა.

— ოჰ! გამარჯობა შენი!

ჭრელი, გაფუებული კატა ტახტზე შეხტა და დათოს ფეხებთან მოკალათდა. თვალები მილულა, კრუტუნს მოუხშირა.

კატა თითქმის ზურგით იწვა ქილისაკენ, მაგრამ საკვირველი ალღოთი გრძნობდა თევზის მოძრაობას: მზის სხივზე რომ გაიელვებდა, ხატაურა შეკრთებოდა, თავს სწრაფად მოაბრუნებდა და დიდყვითელ თვალებს მიანათებდა. მერმე ჩაყვინთავდა და ისევ მოჰყვებოდა კრუტუნს, ვიდრე მზის სხივზე კიდევ არ გაიბრწყინებდა ოქროს თევზი.

— მაინც როდის წავიდა მირიანი?

— არ მახსოვს, მგონი, სამი იყო დაწყებული.

დათო წლების მანძილზე შეეჩვია მირიანის შინ ყოფნას და ახლა გაუკვირდა, სახლში რომ არ დახვდა.

უფროსი ძმა არსად არ მუშაობდა. ძნელი იყო ამხელა კაცისთვის უმუშევრობა, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ ხდება ხოლმე. პლატონი უსაქმობას არ აყვედრიდა, ლუკმა-პურს არ ამადლიდა, მაგრამ თვითონ მირიანი მწარედ განიცდიდა უქმად ყოფნას. წუხდა, ცდილობდა, რაღაც გაეკეთებინა, ემოქმედა, თუმცა არაფერი გამოუდიოდა.

სულ უსაქმოდ რომ არ მჯდარიყო, დილით ყველაზე ადრე დგებოდა, რძისა და პურის მოსატანად მიდიოდა. ორ დღეში ერთხელ სანოვაგისათვის ბაზარშიც გზავნიდნენ...

— რა თქვა, როდის დავბრუნდებიო?

— არაფერი არ უთქვამს... ვითომ არ ვიცი...

უნივერსიტეტი მირიანმა ომამდე დამთავრა. სტუდენტობისას პატარ-პატარა მოთხრობებს აქვეყნებდა ახალგაზრდულსა და საღამოს გაზეთებში.

მერმე ჯარში გაიწვიეს...

ომმა ბრესტში მოუსწრო...

მერმე ცნობა მოვიდა: ბრესტის სიმაგრეში გმირულად დაიღუპაო...

დიდი უბედურება დატრიალდა: ოჯახი გლოვობდა უფროსი შვილის დაკარგვას...

ომის დამთავრებიდან თითქმის სამი წლის შემდეგ გაიგეს—მირიანი კი არ მოუკლავთ, ტყვედ ჩავარდნილა. წერილი მოვიდა მაგადანიდან: ცოცხალი ვარ და სასჯელს ვიხდიო...

— კი, მაგრამ, როდის გადიოდა ამ დროს შინიდან?!—ხმამაღლა წამოსცდა დათოს.

დედას, როგორც ჩანს, შვილის სიტყვები არ გაუგონია, შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

დათომ ახლა-ღა იგრძნო, მოუსვენრობა დაუფლებოდა. შეჩვეული იყო მირიანის შინ ყოფნას და ეუცხოვა, ძმა ამდენი ხნით სადღაც რომ წავიდა. დათო დედის დამშვიდებულმა პასუხებმაც ერთგვარად გააღიზიანა, თუმცა მიხვდა, ის სიმშვიდე მხოლოდ გარეგნულ იერს ატარებდა.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, შესაშფოთებელი არაფერი იყო. ბავშვი ხომ აღარ არის?! როდესაც მოისურვებს, შეუძლია რამდენი ხნითაც უნდა, წავიდეს. მაგრამ დათომ იცოდა, მირიანი არსად წავიდოდა. მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ არ მოუკითხავს არცერთი მეგობარი, თუ ამხანაგი და არც ახლის შეძენა უცდია. არაფერი აღარ აინტერესებდა. განდეგილივით ცხოვრობდა, თითქოს უარს ამბობდა ამქვეყნიურ ყველა სიამოვნებაზე.

მირიანი შეშინებულიც ჩანდა... არც მშობლისთვის, არც ძმისთვის არ გაუმხელია, რისთვის დასაჯეს, ანდა როგორ მოიხადა სასჯელი. შეკითხვებზე უმეტესად დუმილით იძლეოდა პასუხს. გაჭირვებით, ძლივსძლივობით ამოქაჩეს რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზა... ტყვეობიდან როგორღაც გაქცეულა... მერმე ფრანგ პარტიზანებთან ერთად უბრძოლია ომის დამთავრებამდე... შემდეგ რა მოხდა? მირიანი სდუმდა. სასოწარკვეთილი ეძებდა საშველს, როგორმე თავი რომ დაეღწია მომაბეზრებელი, თითქოსდა საშიში შეკითხვებისაგან. მერმე შეეჩვივნენ მირიანის დუმილს და შეკითხვებით აღარ აწუხებდნენ.

მირიანიც თითქოს შეეგუა თავის

მდგომარეობას, რძესა და პურზე ანდა ბაზარში წასვლაზე არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება, პირიქით, ამ საქმის შესრულება მოვალეობად მიაჩნდა.

სამსახურის შოვნა რამდენჯერმე სცადა. ერთი-ორჯერ უარით გამოისტუმრეს, ერთი-ორჯერ რაღაცით არ დააკმაყოფილა შეთავაზებულმა სამუშაომ და სამსახურის ძებნას თავი დაანება.

დათომ შემოსასვლელი კარის ხმაური გაიგონა და გაუხარდა, ეგონა, მირიანი დაბრუნდა.

— დედა!—შემოსასვლელიდანვე მოესმა თეონას ხმა.

დედა სამზარეულოდან გაეპასუხა. თეონამაც, როგორც ეტყობა, გეზი სამზარეულოსკენ აიღო.

— დედა, იცი, რა მოხდა?! ბუბა მასწავლებელი ქმარს გაეყარა!

— როგორ თუ გაეყარა?!—ისე იკითხა დედამ, თითქოს მისი თანხმობის გარეშე გაყრის უფლება არ ჰქონდა.

დათოს გაეღიმა.

ბუბა თეონას მუსიკის მასწავლებელია, დათოს ხშირად გაუგონია ამ ქალის სახელი. ოჯახში არც თუ ისე იშვიათად ახსენებდნენ ხოლმე ბუბა მასწავლებელს, ახსენებდნენ მოწიწებით, რიდით, პატივისცემით. თვით თეონაც უდიდესი მოკრძალებით იყო გამსჭვალული და ერთგვარად ამაყობდა კიდეც თავისი მასწავლებლით.

სამზარეულოში ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ეტყობა, ამ ცნობამ უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე თეონა მოელოდა. „ბუბა მასწავლებელი ქმარს გაეყარა“... ისე წარმოსთქვა თეონამ ეს სიტყვები, თითქოს დედას რაღაც მიახარა. ღმერთო, რა სულელი გოგოა!

მშვიდად კრუტუნებდა დათოს ფეხებთან მოკალათებული ხატაურა.

შუშაბანდში დედა შემოვიდა. ხელები და ჭრელი ჩითის წინსაფარი ფქვილით ჰქონდა მოსვრილი.

— გაიგე, დათო, რა მომხდარა?

— კი...

ხატაურამ თავი წამოჰყო და ირგვლივ სიზმარეული თვალებით მიმოიხედა. დათომ არ იცოდა, რა ეპასუხა და გაჩუმება არჩია. მას ახლა ძმის ბედი უფრო აწუხებდა, ვიდრე ბუბა მასწავლებლისა..

იგრძნო, სამზარეულოს კარს თეონა მოადგა. რატომღაც ეგონა, თეონა იღიძებოდა. თავი მიაბრუნა. თვალებში დას გაურკვეველი შეშფოთება ჩასდგომოდა, თითქოს უნებურად რაღაც დანაშაული ჩაედინა.

დედას, მოულოდნელად, დაეჭვება გამოეხატა სახეზე. თეონას მიუტრიალდა:

— შენ რა იცი, საიდან გაიგე?!

— სკოლაში თქვეს... მთელი სკოლა ლაპარაკობს...

— იქნებ იხუმრეს?... თუმცა ეს რა ხუმრობაა!

თეონამ მხრები აიჩეჩა.

დედა და თეონა სამზარეულოში გავიდნენ, კარი ისევ მიიხურა.

დედა, საერთოდ, იშვიათად იმჩნევდა აღელვებას. ყოველ შემთხვევაში, ისევე, როგორც ახლა, ცდილობდა, აღელვება არ დატყობოდა.

რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, როცა ოჯახი ინგრევა, მაგრამ ვინ გაიგებს, ვინ იცის?.. იქნებ ეს ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი სწორი გზა იყო?.. დათოს უნდოდა, როგორმე მოეშორებინა ბუბა მასწავლებელზე ფიქრი. წამოდგა. ერთხანს იწრიალა შუშაბანდში, მერმე მაგიდას მიუჯდა და გაზეთები გადაშალა. გაზეთებსაც მიანება თავი, გადაიწია და ხელი ჰკრა სამზარეულოს კარს.

—უკვე შვიდი სრულდება, სად არის ამდენ ხანს მირიანი?

ათიოდე წუთის შემდეგ პლატონი მოვიდა.

სასადილო მაგიდას მიუსხდნენ.

ყოველთვის ასე იყო, პლატონი სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა და სადილს ვახშმობისას შლიდნენ.

არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია პლატონზე ბუბა მასწავლებლის ამბავს. ხოლო მირიანის დაგვიანება რომ გაიგო, თქვა:

— ისა... რა... ჰო... მოვა...

პლატონს, საერთოდ, უყვარდა ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ აზრის გადმოსაცემად ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს. ადრე უფრო ახერხებდა, ახლა კი სიტყვები ავიწყდებოდა, ვერაფრით იხსენებდა და საშინლად წვალობდა. თუ მარტივი რამე არ ჰქონდა სათქმელი, წინადადებას ვეღარ ამთავრებდა.

დათო ვერ უგებდა. დედა და თეონა, პირიქით, ნახევარ სიტყვაზე გრძნობდნენ ქმრისა და მამის სათქმელს.

პლატონს დიდი, მელოტი თავი ჰქონდა, სახე—ბუნჩულა. კეთილად მომღიმარი. ბოლო დროს ძალიან გასუქდა და მესამე სართულზე ამოსვლა უძნელდებოდა. ხარბად არ ეტანებოდა საჭმელს და ეს სიმსუქნე, ალბათ, წლებისა იყო. პლატონი ზომიერად ჭამდა ისევე, როგორც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი. ოღონდ ეს კი იცოდა, რაც უნდა ეჭამა, ერთ ჭიქა ღვინოს აუცილებლად დააყოლებდა. ღვინის დალევამდე იტყოდა: „ეჰ... დავკარგეთ.. .დიდი ადამიანი...“

დათომ სწრაფად მოათავა თავისი ულუფა და ხელების დასაბანად წავიდა. რვა საათზე ციცინოს უნდა შეხვედროდა კიროვის პარკთან. მირიანი საეჭვოდ იგვიანებდა და ხელების ბანისას ისევ გაახსენდა უფროსი ძმა.

სალამო თბილი და გამჭვირვალე იყო.

დათომ აივანი გაიარა და ხის კიბეებით დაეშვა. კიბის ყოველი მოსახვევიდან მოჩანდა რიყის ქვით მოკირწყლული, ოთკუთხედი ეზო. აივნებშორის გაკიდულ თოკებზე თეთრეული ზავის ალმებივით ფრიალებდა. ეზოში, თავისი სარდაფის წინ ფუსფუსებდა ძია ვანო — ჩია, მოუსვენარი ბერიკაცი.

ძია ვანო თბილისის ძველი მკვიდრი იყო. ოდესღაც მხატვრად თვლიდნენ— მაღაზიის აბრებზე კოხტად გამოჰყავდა ქართული ასოები, თანაც ვიტრინების ლამაზად გაწყობა სცოდნია, მერმე დაბერდა თუ ნეონის შუქის რეკლამებმა შეავიწროვეს, ამ საქმეს თავი მიანება და ახლა პენსიით ცხოვრობს. საქმე აღარა აქვს და ეზოს მოვლა-პატრონობა ითავა. დაუზარებელი კაცია, ყოველგვარ წვრილმანზე განცხადებებს წერს. დარბის აღმასკომში, ქალაქის საბჭოში... მოჰყავს კომისია...

— სალამო მშვიდობისა, დათო!

— გაგიმარჯოს, ძია ვანო!

— საით გაგიწევია?

— რა ვიცი, მივდივარ...

— რა გენაღვლება რა, ახლა შენი ჯერია, მიდი, გაიხარე.

დათომ გაიღიმა და ჭიშკრისკენ დააპირა წასვლა. ძია ვანომ შეაჩერა.

— მერმე რა გოგოებია!

— ძველად არ იყვნენ, ძია ვანო, ესეთი გოგოები?

— ძველად?... ჰაი, გიდი!..

— ზოგი ამბობს, ძველად უკეთესები იყვნენო.

— ერთი პოლონელი ქალი მყავდა, სულ ფაეტონით ვატარებდი... ფულიც ბლომად მქონდა...—ძია ვანომ სინანულით გააქნია თავი, მერმე წაიღიღინა:

„საყვარლისა ეშხითა
. . ღვინოც დამილევია...“

დათო ახლა შეაჩერა ბავშვის ხმამ, რომელიც ზემოდან მოესმა:

— გამარჯობა, ძია დათო!

დათომ აიხედა. მეორე სართულის მოაჯირისთვის ნიკაპი დაებჯინა ბავშვს და ქვევით ჩამოხედვას ცდილობდა. ქვევიდან სახე კარგად არ ჩანდა. ეტყობა, ვერც ბავშვი ხედავდა კარგად ეზოში მოსაუბრეთ, მოაჯირს ნიკაპი მოაშორა და ხის რიკულებში გამოიჭვრიტა.

— ვისი ბავშვია?

— სარალიძეების მდგმურები არიან... ერთი თვეა, რაც გადმოვიდნენ...

— საიდან იცის ჩემი სახელი, ვინ უთხრა?

— ეგეთი ეშმაკის ფეხი მეორე არ დაბადებულა... ყველაფერი იცის...

— ძია დათო, გლანდები უნდა ამოვიჭრა... მეტკინება?

— არ გეტკინება, ნუ გეშინია!

ერთხელ კიდევ ახედა დათომ ბავშვს.

და ჭიშკრისკენ წავიდა. ბერიკაცი უკან დაედევნა.

—იცი, რა დედა ჰყავს?... ძალიან ლამაზია...

— ბავშვიც არ უნდა იყოს ურიგო, ლამაზი მომეჩვენა...

— ყველა ბავშვი ლამაზია... შენ დედა ნახე... თანაც ამბობენ,რომ...—ძია ვანომ არ დაამთავრა სათქმელი, სამაგიეროდ ისე ჩაიცინა, დათო მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა. ბოლოს თვალი ჩაუკრა და რატომღაც რუსულად წასჩურჩულა: эстрадная певица.

— ძია დათო, მე ზურიკო მქვია!— დათოს ბავშვის ხმა ჭიშკართან დაეწია. თავი მოაბრუნა. მაგრამ მეორე სართულის აივანს აგურის ყრუ კედელი ფარავდა.

ძია ვანო მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით მიცუხცუხებდა ეზოში.

თბილი, მსუბუქი ბინდი ეფინებოდა ქალაქს. გეგონებოდა, უზარმაზარი მინის ჭურჭელი გამჭვირვალე, იისფერი სითხით ივსებოდა. ბინდში საგნები თითქოს თანდათან პატარავდებოდა, იკუმშებოდა.

დათო თავქვე დაეშვა.

უცნაური კაცი იყო ეს ძია ვანო. არ დაგზარდებოდა, რა საქმეც უნდა გეთხოვა, უსათუოდ, ერთგვარი სიამოვნებითაც კი შეგისრულებდა, ოღონდ ნუ მოსთხოვდი, შენზე კარგი ეთქვა. ავყია იყო, კაცზე ცუდისა და აუგის მთქმელი. აუგის თქმა და კარგი საქმის გაკეთება ერთნაირ სიამოვნებას ანიჭებდა.

რადგანაც სიტყვას საქმეზე მეტი ფასი აქვს, ძია ვანო მეზობლებს ეჯავრებოდათ, ლანძღავდნენ, ეჩხუბებოდნენ... მაგრამ ბერიკაცი თავისას მაინც არ იშლიდა.

დათო მიჰყვებოდა ვიწრო, ქდუმარე ქუჩას და სარალიძეების მდგმურებზე ფიქრობდა, პატარა ზურიკოზე, დღეს რომ გამოემცხაურა, და მის ლამაზ დედაზე. ზურიკოსადმი უჩვეულო სიბრალული იგრძნო. რატომ შეეცოდა ეს პატარა ბიჭი. რომლის ხმაში იმდენი სიხარული წკრიალებდა?

დათომ აღმართზე მომავალი ძმა დაინახა და შეჩერდა. მირიანი ტანის რხევით იცნო. მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულოდ მოძრაობდა, მაინც იცნო.

დაელოდა.

მირიანი აუჩქარებლად, უდარდელად მოდიოდა. ისე უზრუნველად მოაბიჯებდა, დათოს მოეჩვენა, მისი ძმა ღიღინებდა კიდეც.

დათო ფილაქანზე იდგა და ელოდებოდა.

მირიანი ძმას მიუახლოვდა, ნაბიჯს უკლო და აკაციასთან მდგარი დათო აათვალიერ-ჩაათვალიერა. უაზროდ გაიღიმა.

უფროსი ძმა მთვრალი იყო...

მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ პირველად დათვრა მირიანი, გაოცებულმა დათომ ბავშვივით დააღო პირი, მაგრამ ძმას ვერაფერი უთხრა.

— მეც ხომ მაქვს ღვინის დალევის უფლება?... მაქვს თუ არა? — მირიანმა ორივე ხელი მოავლო დათოს მხრებზე და შეანჯღრია.

დათომ არაფერი უპასუხა.

— ჰოდა, დავლიე!...

— სად დალიე, ვისთან იყავი?!

— გეტყვი, ყველაფერს გეტყვი. ოღონდ... არა, რატომ არ უნდა დამელია?... მეც ხომ შენსავით ადამიანი ვარ?... ანდა ისეთი,—მირიანმა ხელი გაიშვირა და თავქვე მიმავალი, ჩალის შლიაპიანი კაცი დაანახვა,—თუმცა შეიძლება იმაზე უკეთესიც ვიყო... იმას ჩალის ქუდი ახურავს, მე—არა. ჩალის ქუდი რომ მქონდეს, მხოლოდ მზეში დავიხურავდი, იმას კი ღამითაც ახურავს... არა, არ მიყვარს ჩალის ქუდი. არც მზეში, არც ჩრდილში არ დავიხურავ...

— წამოდი!—დათომ მკლავში გამოსდო ხელი.—დედა გელოდება... ქალი გაგიჟებულია...

— ახ! გაგიჟებულია... იქნებ შენცა ხარ გაგიჟებული?..

— სად იყავი, ბიჭო, სად დათვერი?!

— შეკითხვებს ვერ ვიტან!... არც დაკითხვები მიყვარს მაინცდამაინც...

— კარგი, გეყოფა ახლა. წავიდეთ...

— თუ ძმა ხარ, ხელი გამიშვი... მე თვითონ წავალ...

— ჭიშკრამდე მიგაცილებ.

— აქამდე ხომ მოვედი მარტო? ჭიშკრამდე, მითუმეტეს, აღარ მჭირდება მიცილება.—მირიანმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ ძმას მიუბრუნდა, — აღარ მინდა, გესმის?.. მინდა ჩემი ფეხით ვიარო.

— ვინ გიშლის, იარე... ოღონდ ასე ლა...

— არავითარი ოღონდ!...—ხელი აიქნია მირიანმა და ბარბაცით შეუყვა აღმართს.

დათო ადგილიდან არ დაძრულა, თვალი გააყოლა მიმავალ ძმას. ასე იდგა მანამდე, სანამ მირიანი ჭიშკარში არ გაუჩინარდა. მერმე პატარა ქუჩები გაიარა და რუსთაველის მოედანზე გავიდა. დაბნეული იყო. გზადაგზა მირიანზე ფიქრობდა, მაგრამ ფიქრები ეფანტებოდა და ვერაფრით უყრიდა თავს.

თითქოს სხვა კაცი შეხვდა... ხდება ხოლმე, კაცი დათვრება და ისე შეიცვლება ვეღარც კი იცნობ. ახლა დათოს მირიანის შეცვლა, ამეტყველება, თუ სიტყვაუხვობა იმდენად არ აოცებდა. რამდენადაც ის, რომ ღვინო დალია და დათვრა. ვინ შეხვდა ისეთი მირიანს, რომ სუფრაზე დაჯდომა და ჭიქის აწევა გაებედვინა? იქნებ არავინ შეხვედრია, მარტოდმარტო შევიდა სადმე და დალია?... ამას ფული უნდოდა. იმ ჯიბის ფულით კი, რომელსაც ხან დედა ხან პლატონი, ხან დათო აძლევდა, ამგვარ დროს ვერ გაატარებდა. უსათუოდ ვიღაც შეხვდა, რომლის ნახვა ძალზე გაუხარდა... არა, დათრობის მიზეზი მაინც სხვა იყო, უფრო მნიშვნელოვანი. მერმე როგორ გაიგოს ეს მიზეზი? მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მიზეზი რატომ უნდა გაეგო და გამოეძია?..

მაგრამ დათო ახლა ძმის გაღიზიანებულმა და ერთგვარად აგდებულმა კილომ შეაწუხა. თითქოს ამ წუთს მიხვდა, რომ მირიანი მდუმარებითა და განმარტოებით დიდ ბოღმას ნიღბავდა. და თითქოს ამ წუთს შენიშნა, რომ მირიანი გამწარებული და გაბოროტებული იყო. ის უსიტყვო მორჩილებაც, რომელსაც უფროსი ძმა ოჯახში იჩენდა, ახლა სხვაგვარად ესახებოდა დათოს.

უეცრად იგრძნო — სახე გაუწითლდა. სადღაც ღრმად, სხეულის შიგნით სინიდისის ქენჯნამ გაკენწლა. იქვე უნდოდა, დაეხშო აზრი, რომელიც ასე მოულოდნელად, მისდაუნებურად დაებადა... დათოს ეჩვენებოდა, ყველაფრის მიზეზი თვითონ იყო. ეს შემაწუხებლად მტკივნეული აზრი ვეღარ მოიშორა. ალბათ ამიტომაც ინანა, ძმას ლაპარაკში რომ არ შეჰყვა და მხარი არ აუბა. ისეთ გუნებაზე იყო მირიანი, ყველაფერს იტყოდა, ბოლომდე იტყოდა ყველაფერს... დათოს საშინლად უნდოდა, ძმა არ ყოფილიყო მასზე განაწყენებული, არ ყოფილიყო მის გამო გაბოროტებული...

კიროვის პარკთან ციცინო ელოდებოდა. დათომ სული მოითქვა, ეგონა ციცინო აღარ დახვდებოდა.

უსაზღვრო სიმშვიდე და მყუდროება იგრძნო, თითქოს მზესა და ხვატში მიმავალმა დიდი ჩრდილი დაინახა.

— ვიფიქრე, აღარ მოვა-მეთქი... სადა ხარ ამდენ ხანს, წასვლას ვაპირებდი.

— გეტყვი... წამო, გავიაროთ... ყველაფერს გეტყვი...

— საით წავიდეთ? — იკითხა დათომ.

— რა ვიცი, საითაც გინდა.

— რუსთაველზე ხომ არ გაგვევლო?

— არა... ბევრი ხალხია..

— მაშინ ბაღში შევიდეთ, ანდა კინოში.

— ჯდომა აღარ შემიძლია... მთელი დღე ვზივარ ლექციებზე.

— ქუჩებში ვიხეტიალოთ?

— ვიხეტიალოთ. ასეთი ამინდისათვის ზედ გამოჭრილია ხეტიალი...

სექტემბრის საღამოთი გაჟღენთილიყო მკრთალად განათებული ქუჩა.

ციცინომ და დათომ ლურჯ მონას-

ტერს ჩაუარეს და მარჯვნივ გაუხვიეს. დათომ გზადაგზა უამბო, რატომ დააგვიანდა. მერმე ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ, ვიდრე ვერის დაღმართზე არ ჩაუხვიეს.

— იცი რა, დათო, მირიანის გაცნობა მინდა ძალიან.

— ეგ ადვილია... მოდი ჩვენთან და გაიცნობ.

— თქვენთან ჯერ ვერ მოვალ... მერიდება...

— რა სისულელეა!

— ოდესმე, ალბათ, მოვალ... ისე ვერ გავიცნობ, თუ არ მოვედი?

— როგორ გითხრა, ხომ იცი, შინიდან არ გამოდის.

— დღეს ხომ გამოვიდა?

— დღეს — კი... თუ ასე გააგრძელა — გაგაცნობ... მე მგონი, დღეს რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა მირიანის ცხოვრებაში... ნამდვილად რაღაც მოხდა... ხვალ, ალბათ, ყველაფერს მეტყვის.

— აბა, რა, უნდა გითხრას.

— იმამდე, რამდენადაც მახსოვს, არ იყო ცუდი ბიჭი.

— ცუდი არც ახლა უნდა იყოს.

— რასაკვირველია...

—გარეგნობით გავხართ ერთმანეთს?

— არა... მირიანი ჩემზე მაღალია, მხრებში ოდნავ მოხრილი...

— შენსავით ქერაა?

— არა... შავი, მოუხეშავი თმა აქვს, მოკლედ შეკრეჭილი. ბოლო ხანებში ჭაღარა გამოერია.

— სახეზე როგორია?

— თხელი სახე აქვს, ფერმკრთალი. მარჯვენა ლოყა უთრთის.. იმამდე ეს არ შემიმჩნევია.

— იმამდე შენც, ალბათ ბავშვი იყავი.

— იმამდე ჩვენ ყველანი ბავშვები ვიყავით... მერმე ეგ რა შუაშია?

— ისა, რომ წლები გადის... კარგ თვისებებს ვკარგავთ და ცუდს ვიძენთ...

— შენ თვითონ მიხვედი მაგ დასკვნამდე, თუ სხვის აზრს იმეორებ?

— დაახლოებით ასეთი რაღაც გვითხრა დღეს პროფესორმა...

დაღმართის ბოლოს გაჩირაღდნებული ხიდი გამოჩნდა.

ციცინომ და დათომ ხიდი უხმოდ გაიარეს და ისე გაუხვიეს მარცხნივ, თითქოს შეთანხმებულები ყოფილიყვნენ.

—მე სულ მეგონა, შენ და მირიანი ჰგავდით ერთმანეთს... რა თქმა უნდა, გარეგნობით.

— შენ კიდევ მირიანზე ფიქრობ? — დათომ მხარზე მოხვია ხელი ციცინოს და თავისკენ მიიზიდა. სახით გადაუწია ყელზე ჩამოშლილი თმა და აკოცა. — აღარ შემიძლია სულ ქუჩაში ხეტიალი... როგორ მინდა, სადმე მარტო დავრჩეთ... ჩვენს მეტი არვინ იყოს...

— ამ ჩიხის ბოლოს უზარმაზარი ლოდი გდია გინდა ვნახოთ?... ძალიან მომწონს. მე რომ ბიჭი ვიყო, უსათუოდ მოვიპარავდი, წავიღებდი და ჩვენს ეზოში, ცაცხვის ქვეშ დავაგდებდი...

— ლოდი ლოდია... რა სანახავი ეგ არის!...

— იცი, რა ფერისაა? მოლურჯო-მონაცრისფერო... წამოდი, ვნახოთ, ცოტა ხანს დავსხდეთ კიდეც. არავინ არ იქნება...

ხი! ჭიშკართან მოგრძო ლოდი ეგდო, ჩვეულებრივი რიყის ლოდი, ოღონდ საკმაოდ მოზრდილი.

— ღამით ისეთი არ არის... კარგად არც კი ჩანს... დღისით უნდა ნახო.

— ჩემთვის ყოველგვარი ლოდი, თუ ქვა, საამშენებლო მასალაა.

— შენ ყველაფერს გამოყენების თვალსაზრისით უყურებ.

— ყოველ შემთხვევაში, ამ ლოდს წინადაც ასე უყურებდნენ და ახლაც ასე უყურებენ... ხალხს დასაჯდომად გამოუყენებია.

— საუკუნეზე მეტია, ალბათ, აქ გდია.

— შესაძლოა.

— ხედავ, როგორ არის ჩაღრმავებუ-

ლი? — ციცინომ ხელი გადაუსვა ლოდს, — ჯდომისაგან გაცვეთილა...

— თუკი ასე მოგწონს, დავსხდეთ... ჩვენი წილი გავცვითოთ...

— დავსხდეთ!..

ჩიხი ბნელი და მყუდრო იყო. ოციოდე ნაბიჯზე, აკაციების იქით, დაბალი სახლის შესასვლელთან ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა... ორიოდე წუთი ხმისამოუღებლად ისხდნენ.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ციცინომ ხის მესერზე ზურგით მიწოლილ დათოს.

— არაფერზე... ახლა არც მინდა რამეზე ვიფიქრო.

— ესე ისევ შენს ძმაზე ვფიქრობ...

— კარგი, როგორმე გაგაცნობ. მაგრამ არა მგონია, კმაყოფილი დარჩე...

— რატომ?

— რა ვიცი... სხვანაირი კაცია...

— დათო... რატომღაც მეჩვენება, თითქოს მირიანი არ გიყვარს...

— რაა?

— არა... შეიძლება, ზუსტად არ ვთქვი... მე მეჩვენება, თითქოს მირიანს ისე არ ეპყრობი, როგორც საჭიროა.

— შენ ხომ არ იცი, როგორ ვეპყრობი მირიანს?

— გითხარი, მეჩვენება-მეთქი.

— ეგ იმიტომ, რომ ჩემ ძმას არ იცნობ... გეტყობა, არც მე მიცნობ კარგად...

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— გეწყინა?

დათომ თავი გააქნია უარის ნიშნად. ციცინოს ნათქვამი ნამდვილად არ სწყენია დათოს. ნათქვამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. უბრალოდ, ჩათვალა, რომ ციცინომ არ იცოდა და ვერც ერკვეოდა ძმების ურთიერთობაში.

— მე მინდა, ყველაფერი ვუთხრათ ერთმანეთს, გინდაც სისულელე იყოს, — ციცინო მიეკრო დათოს და თითქმის ჩურჩულით უთხრა, — მომეფერე რა, არ შემიძლია, როცა ახლოსა ხარ და არ მეფერები...

აატარა ჩიხის მყუდროება არავის დაურღვევია. თითქოს ეს იყო მიტოვებული და მივიწყებული ქვეყანა. აღარავის ახსოვდა მისი არსებობა. მხოლოდ შემთხვევით თუ გაივლიდა ვინმე მგზავრი, დასასვენებლად შეჩერდებოდა, ვეებერთელა ლოდზე ჩამომჯდარს თავისი წილი ქვა რომ გაეცვითა...

დათო გვიან დაბრუნდა შინ. ყველას ეძინა.

მირიანის საწოლთან მივიდა, მძინარე ძმას დახედა.

შუშაბანდიდან სუსტი შუქი შემოდიოდა და სახეზე ეცემოდა მირიანს. დათოს მოეჩვენა, ძმა ჩვეულებრივზე უფრო მეტად იყო გაფითრებული. მძიმედ სუნთქავდა. ალბათ, ღვინო აწუხებდა.

მარჯვენა ლოყა ძილშიც უთრთოდა.

„რატომღაც მეჩვენება, თითქოს მირიანი არ გიყვარს“...

დათოს გაეღიმა, მერმე მძინარე მირიანს, როგორც პატარა ბავშვს, თავზე გადაუსვა ხელი და შუშაბანდში გავიდა შუქის ჩასაქრობად.

დილით, გაიღვიძა თუ არა, მირიანის საწოლს გახედა. (ძმები ერთ ოთახში იძინებდნენ) უფროსი ძმა უკვე ამდგარიყო, პურისა და რძის მოსატანად წასულიყო.

დათომ ხელ-პირი დაიბანა და სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა. მერმე სამზარეულოში შეიხედა. ფეხზე მდგარმა წაიხემსა და მშენებლობაზე წავიდა. დრო აღარ რჩებოდა, თორემ მირიანს დაუცდიდა. საშინლად უნდოდა გაეგო, სად იყო გუშინ და ვისთან ერთად დალია ღვინო.

სამუშაოდან დაბრუნებულს ძმა შინ დახვდა. შუშაბანდში, გულაღმა იწვა ტახტზე და ღია ფანჯრიდან ცას მისჩერებოდა.

დათოს შემოსვლა თითქოს არ გაუ-

გია. არ განძრეულა, თავი არც კი მოუბრუნებია.

— როგორა ხარ, მირიან? — დათო მიუახლოვდა და ძმას თავზე დაადგა.

მარიანმა ახედა და არაფერი უპასუხა. დათომ სკამი მიიჩოჩა, წინ დაუჯდა.

— თავი ხომ არ გტკივა?

— არა.

— სად იყავი გუშინ?

— არსად

— ეგ რა პასუხია, მირიან?

მირიანმა ცალი ხელი თავქვეშ ამოიდო და თვალები დახუჭა... დათომ შეატყო, ძმა პასუხის გაცემას არ აპირებდა, მაინც ჰკითხა:

— სად იყავი?

დუმილი...

— გუშინ ხომ მითხარი, ყველაფერს გეტყვიო..

დუმილი...

— მირიან!

ისევ დუმილი...

— კარგი, როგორც გინდა. — დათო აღარ ჩააცივდა უფროს ძმას.

მირიანი წამოდგა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა იქვე იტრიალა ერთხანს, მერმე თავის ოთახში გავიდა.

ოქროს თევზი დროდადრო მოადგებოდა გამჭვირვალე კედელს და გაყინულ, არაფრისმთქმელ თვალებს აცეცებდა. მერმე ისევ ნებივრად დასრიალებდა მრგვალ ჭურჭელში.

— გინდა, წავიდეთ, ლუდი დავლიოთ... ნამთვრალევზე კარგია...

წუხელიც, დღესაც — მშენებლობაზე ბევრი იფიქრა და, რატომღაც, დარწმუნებული იყო, მირიანი შეცვლილი, სხვანაირი დახვდებოდა. ეგონა, ძმები მყუდროდ დასხდებოდნენ და ისაუბრებდნენ... ეგონა, გუშინდელი დღე ერთგვარად, გარდატეხის დღე იქნებოდა მირიანის ცხოვრებაში და, ბოლოსდაბოლოს, თავის ძმას ნახავდა ისეთს, როგორიც ოდესღაც უნახავს, ყოველ შემთხვევაში დაახლოებით მაინც დაემსგავსებოდა მირიანი ომამდელ მირიანს.

დათოს გულით უნდოდა ეთქვა, თუ როგორ იღელვა გუშინ, მაგრამ ძმამ არ მისცა საშუალება, არ მოისურვა. ჩვეულებრივად თავი აარიდა ყოველგვარ საუბარს.

„შეკითხვებს ვერ ვიტან!“...

იქნებ სხვანაირად უნდა მოქცეულიყო?... ჰო... საუბარი შეკითხვებით არ უნდა დაეწყო...

დათო მაინც დამშვიდებული ჩანდა... სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა საკუთარ თავში ეს სიმშვიდე. როცა დაინახა და დარწმუნდა, რომ მირიანი ისეთივეა, როგორიც გუშინდელ სიმთვრალემდე იყო, მოისვენა.

ახლა-ღა მიხვდა: ის, რაც ორიოდე წუთის წინ ჰკითხა ძმას, გუშინდელი ღელვის ინერცია იყო. ჩვეულებრივი მირიანი რომ დაინახა, უკვე აღარ აწუხებდა და არც აინტერესებდა, სად იყო გუშინ საღამომდე... ვისთან სვამდა...

შუშაბანდში დათოს ესმოდა ნაბიჯების ზომიერი ხმა.

დედა და მირიანი დილა ადრიან წავიდნენ ბაზარში.

კვირა განსაკუთრებული დღე იყო. კვირაობით საგანგებო სადილი მზადდებოდა და სანოვაგის საყიდლად ყოველთვის ორნი მიდიოდნენ.

დათო ჯერ კიდევ ლოგინში იწვა და ნებივრობდა. ფანჯარა გამოეღო, ხარბად ისუნთქავდა მთაწმინდის ჰაერს.

შუა ოთახში თეონა შევიდა — ფეხის ხმაზე იცნო... როიალს მიუჯდა, დაკვრა დაიწყო. თეონა დღეში ოთხ-ხუთ საათს ვარჯიშობდა. დათოს აცვიფრებდა ის შეუპოვარი სიბეჯითე და გატაცება, რასაც მისი და იჩენდა მუსიკაში. ხოლო როდესაც უსმენდა, ფარული სიამაყით ევსებოდა გული.

თეონას მეცადინეობას ოჯახი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „თეონა უკრავს!“ — ეს სიტყვები ოჯახში წყვეტდა ყოველგვარ ხმაურიან ფუსფუსსა და მოძრაობას.

ოთახებში „მთვარის სონატის“ წყნა-

რი ხმები დაიღვარა. დათო მოსასმენად მოემზადა, მაგრამ ამ დროს კაკუნი გაიგონა. ალბათ მეზობელი აკაკუნებდა... ოჯახის წევრები, დათოს გარდა, ყოველთვის სადარბაზოდან დადიოდნენ. ასევე დადიოდნენ გარეშე სტუმრებიც. მხოლოდ მეზობლები თუ მოადგებოდნენ იმ კარს, რომელზეც ახლა დააკაკუნეს.

თეონამ დაკვრა შეწყვიტა და კარის გასაღებად წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ დათოსთან შემოიყვანა წაბლისფერთმიანი ბიჭი.

—შენ გკითხულობს... როგორც ჩანს, შენი სტუმარია. — თეონამ დამცინავად გაიღიმა, მერმე ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და გატრიალდა. რამდენიმე წამში უკან მობრუნდა და შუა ოთახის კარი მიხურა.

პატარა ბიჭი ერთხანს ხმას არ იღებდა. ბოჩოლას დიდი და ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა დათოს. დათომ ვერ იცნო, ვერაფრით გაიხსენა, ვინ იყო ეს ბავშვი, მით უმეტეს, არ იცოდა, რისთვის მოაკითხა.

პატარა ბიჭს ლურჯი, მოკლე შარვალი და ჩითის ვარდისფერზოლებიანი ხალათი ეცვა.

ეტყობა, დუმილს ვერ გაუძლო, ანდა მიხვდა, რომ დათომ ვერ იცნო და თავი შეახსენა:

— მე ზურიკო ვარ, ძია დათო!

— ზურიკო?

— კი, ზურიკო.

— ახ, ზურიკო! მაპატიე, ზურიკო, ვერ გიცანი... გამარჯობა! მოდი, ხელი ჩამომართვი!

ზურიკომ ათიოდე მოკლე ნაბიჯი გადადგა და ხელი გაუწოდა. მერმე ოთახი მიმოათვალიერა და ისევ დათოს შეხედა.

— შენ რაღაც გაბრაზებული ჩანხარ?

პატარა ბიჭმა არაფერი უპასუხა.

დათოს გაეღიმა. წამოიწია და ბალიშს ნიდაყვით დაეყრდნო.

— ვინმემ გაწყენინა?

ბიჭი დაიხარა და კოჭი მოიფხანა. თან თვალი არ მოუშორებია დათოსთვის.

— თუ კი მემდური, რას მოლოდი, — უთხრა ვითომ ნაწყენმა დათომ. მერმე დასძინა, — ეგ რა გამოვიდა, ხმას არა მცემ!

— რატომ მომატყუეთ?!

— მე მოგატყუე? — გაიღიმა დათომ.

პატარა ბიჭმა თავი დააქნია.

— როდის მოგატყუე? ჩვენ ხომ პირველად ვხვდებით ერთმანეთს?

— არა!

— როგორ არა!.. ერთხელ აივნიდან მომესალმე და თავი გამაცანი... ეგ იყო და ეგ!.. ძმობას გეფიცები, სალაპარაკოდ არ შევხვედრივართ...

— არა, მომატყუეთ!

დათოს ღიმილი შეაცივდა სახეზე, ჩაფიქრდა. მეხსიერებაში აღადგინა ის საღამო, ეზოში ძია ვანოსთან ერთად მიმავალს აივნიდან უცნობი ბიჭი რომ მიესალმა. რამდენადაც ახსოვს, არაფერი უთქვამს ისეთი, ბავშვს რომ სწყენოდა.

— შენ რაღაც გეშლება, ზურიკო.

— არ მეშლება! — ჯიუტად უპასუხა ბავშვმა.

— მაშ, მითხარი, რა მოგატყუე?

— გლანდები რომ ამოვიჭერი, მეტკინა...

— მერმე მე რა შუაში ვარ?

— ხომ მითხარით, არ გეტკინებაო.

— კი, ეგრე გითხარი...

— რატომ მომატყუეთ?.. ყველამ მომატყუა... დედამაც... ბებიამაც... ექიმმაც... ყველამ...

— ძალიან გეტკინა?

— ძალიან!

ბავშვს თვალები მოუწყლიანდა. ძლივს იკავებდა ცრემლს, ერთი წუთიც და ატირდებოდა.

— იცი რა, ზურიკო, ეგეთი მოტყუება არ არის საწყენი... წინდაწინ რომ ეთქვათ — გეტკინებაო, ხომ არ ამოიჭრიდი?

— ამოვიჭრიდი!

— მერმე ექიმზეც არის დამოკიდებული... — დუმილის შემდეგ დაუმატა

დათომ. — ზოგი ისე აჭრის, ოდნავ თუ ატკენს ხოლმე...

პატარა ბიჭმა უნდობლად შეხედა დათოს. მერმე ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გადაიხედა.

— ჩვენს ოთახს ფანჯარა არა აქვს...

დათოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა. აშკარა იყო, ბავშვი ვერ დაარწმუნა, რომ ზოგჯერ სიმართლის თქმას ტყუილის თქმა სჯობია. ეს სიბრძნე ბავშვს არ ესმოდა... მერმე ტკივილი ექიმს გადააბრალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... პატარა ბიჭმა, ნებით თუ უნებლიეთ, თავი აარიდა მისთვის უსიამოვნო ლაპარაკს.

ბავშვი ისევ ფანჯარაში იხედებოდა. დათო გამომცდელის თვალით მისჩერებოდა და რატომღაც უნდოდა გამოეცნო, რას ფიქრობდა, მაგრამ ბავშვის გამომეტყველება არაფერს ამჟღავნებდა. ზურიკო ბალღური ცნობისმოყვარეობით უმზერდა ყველაფერს, რაც ფანჯრიდან მოჩანდა.

დათომ სწრაფად გადაიძრო საბანი და წამოდგა, გაიზმორა. მერმე სკამზე გადაკიდებულ შარვალს მისწვდა.

— ჩვენს ოთახს ფანჯარა არა აქვს.

რა უთხრას ახლა ბავშვს ისეთი, რომ ასიამოვნოს?

ამ სურვილის მიღმა დათომ უეცრად დაინახა საკუთარი თავის გამართლების ცდა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა. იგრძნო ისიც, რომ ცოტათი დაძაბული იყო... არ იცოდა, რა მოეხერხებინა ამ პატარა არსებისათვის, რომელსაც უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეაგნებინა: ზოგჯერ აუცილებელია ტყუილის თქმა...

— ხანდახან მოვალ რა, ძია დათო, ძალიან მიყვარს ფანჯრიდან ყურება...

— მოდი, როცა გინდა, მოდი... — მაშინვე დაეთანხმა დათო, — თუნდაც შინ არ ვიყო, ჩვენებს უთხარი, დათომ დამრთო-თქო ნება...

— კარგი, მოვალ.

— შეგიძლია, რამდენ ხანსაც მოისურვებ, დარჩე ამ ოთახში.

— ძია მირიანის მეშინია.

— რატომ? შენ ხომ არ იცნობ ძია მირიანს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვმა მხრები აიჩეჩა.

— ძია მირიანი კეთილი კაცია.

ბავშვმა ისევ აიჩეჩა მხრები.

— მე წავალ, ძია დათო, — ზურიკო შუა ოთახის კარისკენ წავიდა.

— მოიცადე... — დათო ერთ წუთს ჩაფიქრდა, — რითი გაგიმასპინძლდე?..

— არაფერი არ მინდა.

— პირველად მოხვედი ჩემთან და ასე ხომ ვერ გაგიშვებ?

— არ მინდა, ძია დათო, ჯერ არ მისაუზმია...

დათო მართლაც ტკბილეულით აპირებდა გამასპინძლებას, მაგრამ გადაიფიქრა. საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო. ფანქრებს, საშლელებსა და ათასგვარ სახაზავებს შორის დიდ, ორფერა ფანქარს მოჰკრა თვალი.

— ერთი მხრიდან ლურჯია, მეორე მხრიდან წითელი...

— ვიცი.

— გქონია ასეთი ფანქარი?

— არა.

— თუ გინდა, წაიღე.

— მადლობთ.

ბავშვმა ფანქარი გამოართვა და კარისკენ წავიდა.

— აქედან ნუ გავალთ, თეონა უკრავს და ხელს შევუშლით.

— თეონა კარგად უკრავს?..

დათომ შუშაბანდიდან გაიყვანა ზურიკო და გასასვლელ კარამდე მიაცილა.

— კიდევ ხარ ჩემზე ნაწყენი?

ბავშვმა მცირე ყოყმანის შემდეგ თავი დააქნია:

— კი.

ღია კარებში მდგარმა თვალი გააყოლა აივანზე მიმავალ ბიჭს, რომლის გული ვერაფრით მოიგო, ვერაფრით მოინადირა. მზერაში ერთგვარი რიდიც კი გამოკრთოდა ამ პატარა არსებისადმი. ამავე დროს სწყინდა კიდეც, რომ ბავშვის წარმოდგენა მის მიმართ ხელუხლებელი და უცვლელი დარჩა.

შინ შებრუნებას აპირებდა, მაგრამ აივანზე მიმავალი ბავშვი უცებ შეჩერ-

და. დათოს მოეჩვენა, ზურიკო შეკრთა კიდეც.

ბავშვი მკვეთრი მოძრაობით მიიჭრა მოაჯირთან, თითის წვერებზე აიწია და გაფაციცებით დაიწყო ეზოსკენ ყურება.

დათომ ქალების ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი გაიგონა. აივანზე გავიდა, ეზოში გადაიხედა.

მარჯვნივ, მეორე სართულზე, ქალები ჩხუბობდნენ. ხმა კი აღწევდა დათომდე, მაგრამ ლაპარაკი გარკვევით არ ესმოდა. ქალები გამწარებით იქნევდნენ ხელებს და ერთმანეთის საცემად მიიწევდნენ. დათო მოჩხუბართაგან პირველად ხედავდა წაბლისფერთმიან ახალგაზრდა ქალსა და დედაბერს, რომელიც ამ ქალს აკავებდა. მაშინვე მიხვდა, ახალგაზრდა ქალი ზურიკოს დედა იყო, ხოლო დედაბერი — ბებია...

„Эстрадная певица“...

უეცრად ზურიკო გაახსენდა და აივანს გახედა. ბავშვი აივანზე აღარ იდგა, ცოტა ხნის შემდეგ დაინახა: თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ეზოში. სწრაფად აირბინა რკინის ხრახნილი კიბე. მოჩხუბრებთან მიიჭრა, მაგრამ მისვლისთანავე განზე გადგა და შეშინებული ადევნებდა დედას თვალს.

— დაიწყო ყბების საკვირაო ვარჯიში? —მეზობელ კარიდან თმააბურდული მანანა გამოვიდა და დათოს მიუახლოვდა.

ეტყობოდა, საწოლიდან ახლახანს ამდგარიყო: დათომდე მოჰყვა ლოგინის სითბო და სურნელი.

სიტყვები, რომელიც მანანამ თქვა, მანანას მამას, ბენო ჩიჩუას ეკუთვნოდა, ბენო გაიგონებდა თუ არა ქალების ჩხუბს, გადადგებოდა აივანზე და ღიმილით იკითხავდა: „დაიწყეს ყბების ვარჯიში?“ თუ ჩხუბი კვირა დღეს დაემთხვეოდა, უსათუოდ დაუმატებდა „საკვირაოს“. დათო ვერ იტანდა ამ გამოთქმას და ახლაც არ ესიამოვნა, მითუმეტეს, რომ იგი მანანამ წარმოთქვა...

მანანამ შიშველ მკლავებზე ხელები ჯვარედინად აიფარა...

— გრილა... შენც ტიტველი გამოსულხარ...

დათოს თეთრი მაისური ეცვა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მეორე სართულისკენ იხედებოდა. დედაბერს კარებში მიემწყვდია თავისი ქალიშვილი და მთელი ძალით აწვებოდა. თან ცდილობდა როგორმე კარი მიეხურა. შეშინებული ბავშვი კედელთან ატუზულიყო, პაწაწინა თითებით დათოს ნაჩუქარ ფანქარს აწვალებდა.

— უუ, რა კაპასი ქალია!...

— რომელი?

— ნორა... იმ ბიჭის დედა.

„Эстрадная певица“...

—იცნობ?

— მაგას ვინ არ იცნობს?!

— არც ლოლაა ნაკლები.

დედაბერმა, როგორც იყო, ქალიშვილი ოთახში შეათრია და კარი მიხურა.

ასპარეზი ლოლას დარჩა. ეს იყო კაფანდარა, შავგვრემანი ქალი —შინაბერა. გასტრონომში მუშაობდა მოლარედ. ლოლა ილანძღებოდა, მეზობელს გასახლებით ემუქრებოდა.

— რა მშვიდი ძილი დაგირღვიეს?!— დათო მანანას მოუბრუნდა.

— აბა!.. მაინც ვერ გავიგე, რაზე იჩხუბეს.

— ვერც გაიგებ.

დათომ შიშველ მხრებსა და ყელზე ააცურა მზერა. გარკვევით დაინახა. გლუვი, ელვარე სხეული როგორ აეხორკლა და გაუვარდისფერდა. ცოტა ხნის შემდეგ მანანას ისევ დაუმშვიდდა კანი და ძველი ელვარება დაუბრუნდა.

მანანა უხმოდ გაერიდა, თავის ოთახის კარისკენ წავიდა.

— მანანა!..

ქალიშვილი მობრუნდა.. დათომ არ იცოდა, რისთვის დაუძახა... რა ეთქვა.

— მანანა... თუ ფიზიკაში ან ქიმიაში დაგჭირდე, ნუ მომერიდები... —შარშან მანანას რამდენჯერმე დაეხმარა დათო, ახლა სათქმელი რომ ველარ მოიგონა, ისევ შესთავაზა დახმარება.

— მაშინ მართლა დამჭირდი. ახლა ამხანაგებთან ვმეცადინეობ, —მანანა ოთახში შევიდა.

დათომ თვალი მოავლო იქაურობას. სადაც წელან ქალები ჩხუბობდნენ, მარტო ზურიკო იდგა. მოაჯირისთვის ნიკაპი დაეყრდნო და ეზოში იხედებოდა. შეიძლება, არც იხედებოდა ეზოში... თავისი დიდი, ნაღვლიანი თვალებით სივრცეს ეძებდა, მაგრამ ეზო ოთხივე მხრით აივნებით იყო შემოზღუდული, ხოლო აივანზე გადმომდგარი ცნობისმოყვარენი თავიანთ ოთახებს უბრუნდებოდნენ...

სეირი დასრულდა..

ჭიშკრის გვირაბიდან ძია ვანო ფაციფუცით შემოიჭრა. გამწარებული ათვალიერებდა აივნებს...

9749.

ალბათ, ალღოთი გრძნობდა, უმისოდ რაღაც ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა...

დაავვიანდა...

როდესაც დათო შინ შებრუნდა, ოთახები სავსე იყო მთრთოლვარე სევდიანი ხმებით.

თეონა უკრავდა...

საღამო მეგობრებთან გაატარა დათომ და შემთვრალი შინ ბრუნდებოდა. მთელი პროსპექტი ისე გამოიარა, კაცი არ შეხვედრია.

საკმაოდ გვიან იყო...

დაცარიელებულ პროსპექტზე ნეონის რეკლამები უაზროდ ციმციმებდნენ.

მხოლოდ ქუჩაში იგრძნო —ღვინო მოჰკიდებოდა. გზაში ინანა, სუფრა რომ მიატოვა და მეგობრებს დაშორდა. უკვე აღარ ახსოვდა, რისთვის იჩქარა. შეიძლება იმიტომ — ხვალ ადრე უნდა ამდგარიყო მშენებლობაზე წასასვლელად. თუმცა უფრო გვიანაც დაწოლილა... საერთოდ, დათოს არ უჭირდა დილით ადგომა, ნასვამსაც და ფხიზელსაც ადრე ეღვიძებოდა.. ყოველთვის კარგ გუნებაზე ილვიძებდა ბავშვივით.

შესაძლოა, დაღლილობის გამოც აჩქარდა. თუმცა ახლა მსუბუქად მოდიოდა. სულ არ გრძნობდა დაღლილობას.

გასაოცარია, ცოტა დალია თუ არა, სულ შინისაკენ იქაჩებოდა. მეგობრები ძლივს აკავებდნენ.

არა, ნამდვილად დაღლილი იყო.. შფოთიანი დღე გაიარა...

დილიდანვე ცემენტისათვის დაწანწალებდა. ცემენტი ეკუთვნოდათ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გვეკუთვნის თუ არა? რამდენიმე დღე მაინც უნდა იწანწალო, იჩხუბო, როგორმე კუთვნილი რომ მიიღო. ანდა ქრთამი უნდა მისცე... რა თქმა უნდა, თუ საქმე აღარ იცდის...

დღის ბოლოს ცემენტი, როგორც იყო, მშენებლობაზე მოიტანა და დააბინავა. შინ წასვლა დააპირა.

მშენებლობის წინ მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან შავულვაშიანმა კაცმა გამოიხედა და დათოს დაუძახა:

— მეგობარო!

დათო მანქანასთან მივიდა. მანქანიდან იხედებოდა შუახნის კაცი, რომელსაც კუპრივით შავი თმა და ბრინჯაოსფერი, ხმელი სახე ჰქონდა... დახვეწილი ნაკვთები... თითქოს იღიმებოდა კიდეც და არც იღიმებოდა. იღიმებოდა თვალებს ქვემოთ, თვალებში ღრმა, ნაღვლიანი ფიქრი გაწოლილიყო. საფეთქლებთან თმა შეჭაღარავებოდა.

უნებური მოკრძალებით განიმსჭვალა დათო.

— გამარჯობათ! —მიესალმა უცნობი. პასუხს არ დაელოდა, თავი გააცნო, — მე ნიკო კორინთელი ვარ!

— რა გნებავთ?

— მე პირდაპირი კაცი ვარ, —თქვა

ნიკო კორინთელმა, — საჩქაროდ მჭირდება ცემენტი... ოთხი ტონა...

— მეც პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი, —მიუგო დათომ, —ცემენტი არა მაქვს.

— არა გაქვთ?!

— არა!

— დღეს ხომ მოიტანეთ?

— დიახ, მოვიტანე!

— ოთხი ტონით მეტი!

— ეგ მომავალი თვისაა... წინასწარ მომცეს...

— თქვენ რაღაცაში ვერ გარკვეულხართ... წინასწარ არავინ არაფერს იძლევა.

— მე მოვახერხე.

— ყმაწვილო, მე მესმის... თქვენ ან გეშინიათ ჩემი, ანდა... გგონიათ ვერ გავუგებთ ერთმანეთს...

მანქანიდან შოფერი გამოვიდა და სწრაფად მიუახლოვდა დათოს. ყურში ჩასჩურჩულა.

— ეგ კაცი შავი კოლაა.

— ჩემთვის სულერთია, შავია თუ თეთრი, — ჩაიბურტყუნა დათომ, — ცემენტი მე თვითონ მჭირდება...

— ყმაწვილო, მე უფრო თავაზიანი მეგონეთ.

— წარმოიდგინეთ, მეც შევცდი.

— კეთილი... —შავი კოლა შოფერს მიუბრუნდა, —წავიდეთ.. მანქანა დაიძრა.

მანქანის წასვლისთანავე დაავიწყდა დათოს შავი კოლას არსებობა. მხოლოდ შინ, სადილობისას გაახსენდა და დააპირა ამ ამბის მოყოლა, მაგრამ თეონამ არ დააცალა.

— რა არის, დათო, ის ბიჭი რომ შემოიჩვიე?

— რომელი ბიჭი?

— რომელი და ზურიკო... ნამდვილი შტერია... მოდის და მთელი დღე ფანჯარასთან დგას...

— მე მივეცი უფლება.

— რატომ? —იკითხა დედამ.

— მოვიდეს.... რას გიშლით?!.

— რა უცნაური კაცი ხარ, დათო!..

ზურიკო სულ მარტო იდგა დარცხვენილი, მოაჯირთან... გარშემო იხედებოდა დიდი, სევდიანი თვალებით. ბავშვმა იცოდა, მესამე სართულიდან დათო რომ დასცქეროდა. იცოდა და მაინც არ ამოხედა... მისი ბალღური სიამაყე დათრგუნული იყო...

ზურიკო ორი დღის შემდეგ მოსულა... მერმე ყოველდღე დაიარება თურმე.

— რა უნდა ვუყოთ მაგ ბავშვს? — იკითხა თეონამ.

დათომ მირიანს გახედა. მირიანი მდუმარედ შეექცეოდა თავის ულუფას. ალბათ, ძმის თვალი იგრძნო, ირიბიცივი მზერა გააპარა დათოსკენ.

—მე აქ მოსვლის ნება მივეცი და ველარ დავუშლი.

— ჰო... იაროს... — თქვა პლატონმა.

— თქვენ რა გენაღვლებათ, — თქვა დედამ, — მთელი დღე გარეთ ხართ.

— მაშ, რა ვქნა?

— უთხარი, ნუღარ მოვა, — ურჩია თეონამ.

— როგორ ვუთხრა ბავშვს, ნუ მოხვალ-თქო?

— ჩვეულებრივად.

— თქვენ რატომ არ ეუბნებით?

— შენ დაგირთავს ნება და შენვე აუკრძალე! — მოუჭრა სიტყვამ დამ.

— გეყოფათ... ჰო... — აღელდა პლატონი.

— პლატონ, თეონა მეცადინეობს, როგორ არ გესმის, მეცადინეობს! როცა ის ბიჭი აქ არის, მირიანიც ვერ ისვენებს... თავის ოთახში ველარ შედის... არაფერს არ ვიტყოდი, კვირაში ერთხელ რომ მოდიოდეს, გამიგია ყოველდღე მოსვლა?!... ჯერ ფანჯარასთან დგას მთელი საათი, მერმე ამ თევზს მიადგება და აღარ ეშვება...

— მე მგონი, არაფერს გიფუჭებთ ეგ ბავშვი...

—ეგ ლა გვაკლია, გაგვიფუჭოს! — თქვა თეონამ.

— კარგი, ვეტყვი...

„რა დაემართათ... ყველანი გაღიზიანებულები არიან“...

— ეჰ, დიდი კაცი... დავკარგეთ... — პლატონმა თავისი წილი ჭიქა ღვინო გამოცალა.

სადილზე მეტი არა თქმულა რა. ოჯახი ჩვეულმა სიმყუდროვემ მოიცვა... პლატონი წასაძინებლად გაეშურა. მირიანი შუშაბანდში წამოწვა. ტახტზე, ხოლო დათო წასასვლელად მოემზადა: დღეს რვის ნახევარზე კოტე რამიშვილთან უნდა შეკრებილიყვნენ მეგობრები, მერმე გაისეირნებდნენ ქუჩაში და ათი საათისთვის დაბადების დღეზე ესტუმრებოდნენ გელას.

დათომ კრეპის შავი კოსტუმი ჩაიცვა, თეთრ პერანგზე თეთრზოლებიანი შავი ჰალსტუხი გაიკეთა. სარკესთან მივიდა და თმა დაივარცხნა. თვითონ ვერ შეატყობინა, მაგრამ დარწმუნებული იყო, ციცინოს ახსოვდა და ისიც მოვიდოდა დაბადების დღეზე.

ზურგიდან თეონა მიეპარა, ფეხის წვერებზე აიწია და ძმას სარკეში გაუცინა.

— გეწყინა?

— ვერ გავიგე, რა დაგიშავათ იმ ბიჭმა?

— ასე სჯობია... ხომ იცი მირიანის ამბავი!... უცხოს ვერ უძლებს...

— ყველაფერს მირიანს ნუ აბრალებთ!

თეონა ახლა წინიდან დაუდგა ძმას და ლოყა მიუშვირა.

— მაკოცე!

— კარგი... რას მეპირფერები?!

— არა, მაკოცე!

დათო დაიხარა და დას ლოყაზე აკოცა.

— ასე გამოპრანჭული სად მიდიხარ?

ძმამ არაფერი უპასუხა. კარადის უჯრიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო და აივანზე გავიდა.

აივნიდან უცებ თვალი მოჰკრა ზურიკოს. ბავშვმა ეზო გამოირბინა და მოვიდა იმ კიბესთან, რომელზეც დათო უნდა დაშვებულიყო. ეტყობოდა, დათოსთან მორბოდა.

როგორ შეხვდეს, რა უთხრას ახლა ამ პატარა ბიჭს?

შინ შებრუნება გადაწყვიტა: შეეძლო, სადარბაზოდან გასულიყო ქუჩაში. მაგრამ ოჯახის წევრებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. როცა ზურიკო კარზე დააკაკუნებდა, მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ დათომ გამიზნულად აარიდა თავი ზურიკოსთან შეხვედრას.

ოცდაშვიდი წელი აქედან დადიოდა დათო და ახლა პირველად ინანა, რომ ისეთი შესანიშნავი გასასვლელით. როგორიც სადარბაზოა, აქამდე არ სარგებლობდა.

ზურიკო კიბეზე ამოდიოდა. უკვე ნაბიჯების ხმაც ისმოდა.

სხვა გამოსავალი არ იყო, ბავშვს უნდა შეგებებოდა, რაღაც ეთქვა და უკან გაებრუნებინა. მოულოდნელად ნათელმა სხივმა გაურბინა: მის წინ ზენო ჩიჩუას ბინის კარი მოჩანდა.

არც დაფიქრებულა, ისე დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გაისმა შიგნიდან მანანას ხმა.

ახალ მიპატიჟებას აღარ დაუცადა. ოთახში შევიდა და კარი მიხურა.

— მამა შინ არის?

—ამ წუთში წავიდა... ერთი ფეხით გაგასწრო...

მანანა მაგიდას უჯდა და წინ ხელნაწერები ეწყო, დათოს შესვლისთანავე წამოდგა. რაღაც ჰკითხა, მაგრამ დათომ ვერ გაიგონა: მთელი გულისყური აივნისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

აივანი მოკლე ნაბიჯებით გაიარა ზურიკომ.

— საქმე გქონდა? — ჰკითხა მანანამ.

— კი.

კიდევ კარგი ზენო შინ არ აღმოჩნდა, რას ეტყოდა, რისთვის შემოვედიო?

— მაინც?... იქნებ მე დაგეხმარო?!— არ ეშვებოდა მანანა.

— ისეთი არაფერია... — დათო ერთხანს ფიქრობდა, რა ეთქვა. მერმე უნებურად წამოსცდა, — ასმანეთიანის დახურდავება მინდოდა.

— მაგდენი ფული არა მაქვს.

მანანას ყვავილებიანი სარაფანი ეც-

ვა. დათოს გაახსენდა, კვირას ამ სარაფანით გამოვიდა მანანა აივანზე.

— არა უშავს, ქუჩაში დავახურდავებ. — დათო ისევ კართან იდგა. ელოდებოდა, რა მოხდებოდა გარეთ... „ალბათ, ეტყვიან, შინ არ არისო და გაისტუმრებენ... ანდა, შეიძლება, არაფერი უთხრან...“

— რა კარებში დგახარ? — ჰკითხა გაოცებულმა მანანამ.

—მეჩქარება... რას კითხულობდი?— დაძაბულობა რომ არ შეემჩნევინებინა, დათოს უნდოდა მანანა საუბრით გაერთო.

— ოო... საიდუმლოა!

დათომ ისევ გაიგონა ბავშვის ნაბიჯების ხმა... „არ შეუშვეს... არა, უნდა დავხვედროდი და მეთქვა... არ შეუშვეს...“

— მაინც რა არის ასეთი საიდუმლო? — იკითხა დათომ სხვათაშორის.

— გეტყვი, თუ არ გამცემ...

— მითხარი... „უნდა დავხვედროდი... ვეტყოდი: ახლა მივდივარ და კვირას გამოიარე-მეთქი... რატომ დავემალე?...“

—არ გაინტერესებს და რა გითხრა?! — ისევ აღვივებდა ცნობისმოყვარეობას მანანა.

— როგორ არ მაინტერესებს!

— მირიანის მოთხრობაა. — გაანდო ბოლოს საიდუმლო.

— მირიანის?!

— ჰო!

— ვინ მოგცა?

— თვითონ მირიანმა... ოღონდ ძალიან მთხოვა, არავის უთხრაო...

დათომ დააპირა, ნაძალადევი ღიმილით როგორმე დაეფარა გაოცება. „ალბათ, ომამდელი მოთხრობაა...“ — ფიქრში ანუგეშა თავი... „თუნდაც ძველი მოთხრობა იყოს, რატომ მისცა მანანას წასაკითხად?...“

მაგიდასთან მივიდა და ხელნაწერს დახედა. ფურცლებიც და ხელნაწერიც ძველს არა ჰგავდა, ახალი იყო.

თავისი თვალით რომ არ ენახა, ვერაფრით დაიჯერებდა. მირიანი თურმე ისევ წერდა მოთხრობებს და დათოს არ უმხელდა. მაგიდიდან ფურცლები აიღო... შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. „მიმალავს... რატომ დამიმალა, რატომ არ წამაკითხა?...“

— შენ, ალბათ, წაკითხული გაქვს.— რატომღაც გაბზარული ხმით უთხრა მანანამ.

— რა თქმა უნდა, — იცრუა დათომ, — მოგწონს?

— კი... რაღაც სხვანაირია...

— მე მგონი, ომამდე უკეთესად წერდა.

— რა ვიცი...

— ძველი მოთხრობებიცა გაქვს წაკითხული?

— კი.

დათომ ხელნაწერი თავის ადგილზე დადო. სხვა დროს სიამოვნებით წაიკითხავდა, ახლა დანახვაც აღარ უნდოდა.

„რა კაცია! მოთხრობებს წერს და არ მიმხელს! ძმა არ აკითხებს და...“ დათომ ბოროტად გახედა მანანას, თითქოს მისი ბრალი იყო, მირიანი რომ არ აკითხებდა მოთხრობებს. მოულოდნელად ქალიშვილის ნისლიან მზერას წააწყდა. მანანა თითქოს გაბრუებული, ანდა ბურანში იყო. თვალების ნისლში უცნაური ცეცხლი ულვივოდა.

დუმილი ჩამოვარდა.

— გეტყობა, ძალიან მოგწონს მირიანის მოთხრობა?

— ძალიან — არა... ისე კი, სიამოვნებით წავიკითხე.

— როდის მოგცა?

—დღეს დილით.

— გესაუბრება ხოლმე?

— ხანდახან.

— რას გეუბნება?

— ბევრს არაფერს...

მანანა თვალს არ აშორებდა დათოს. გაშეშებული იდგა და შემკრთალი უმზერდა ბურანიდან. მერმე, თითქოს ხმაურისა ეშინოდა, ფრთხილად დაჯდა. როგორც მოსწავლემ მერხზე, ისე დააწყო ხელები მაგიდაზე. ერთხანს ასე იყო გაყუჩებული... უცებ სახე მკლავებში ჩამალა... შავი, მძიმე თმა ტალღა-

სავით დაეფინა ნახევარ მაგიდას. ხელნაწერი ფურცლები, საფერფლე, ფანქარი თმამ გადაფარა, თითქოს წალეკა.

დათოს არასოდეს ენახა ამგვარად გაშლილი თმა — მბზინავი, მძიმე, თანაც ჰაეროვანი. მოულოდნელად, უჩვეულო, ჯერ განუცდელმა გრძნობამ შეიპყრო: უნდოდა ხელით შეხებოდა, თმაში გაბურდულიყო, დაკარგულიყო... როგორც ბავშვობისას ბურბუშელაში...

თმაში, მართლაც, გაებურდა ხელი...

— მანანა...

მანანა თრთოდა.

დათომ სათქმელი აღარ დაამთავრა. იგრძნო, მანანას სხეული კი არ უთრთოდა, შინაგან მთრთოლვარებას მოეცვა მთელი მისი არსება.

თმა გადაუწია და ხელი ყელზე შეუცურა. თმის ქვეშ მონახა სახე... ტუჩები... ცხვირი... ლოყა... თვალები... თვალები სველი ჰქონდა.

მანანამ წამოიწია, თავი გადააქნია და თმა მხრებზე გადაიყარა... თითქოს ბნელ დარბაზში აანთეს ბროლის ჭაღი...

საყვედურითა და ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო დათოს ქალიშვილმა.

დათო გააბრუა მანანას სხეულისა და თმის სურნელმა, ჰკოცნიდა ყელზე, სახეზე... ქალიშვილი მთელი ტანით აეკრო დათოს. მერმე სწრაფად გადაიხსნა გულისპირი. სარაფანის ვიწრო სამხრეები მკლავებზე ჩამოუცვივდა.

— მაკოცე, — ჩურჩულით ეუბნებოდა დათოს და სავსე, მკვრივ მკერდს უშვერდა, — მაკოცე!...

...ბოლოს, მანანა გონს მოეგო. სწრაფად გაშორდა და მეორე ოთახის კართან მივიდა. ზურგშექცევით დადგა. გულისპირი შეიბნია და თმა გაისწორა.

— წადი... — უთხრა დათოს მტირალი ხმით.

— მანანა...

— წადი... ნუღარ მოხვალ...

— მანანა...

— ღმერთო, რა დამემართა, — ჩურჩულებდა მანანა, — წადი, გეხვეწები, წადი!

— მობრუნდი, რაღაცას გეტყვი და წავალ!

— ნუ მეტყვი, არ მინდა!

დათოს არაფერი ჰქონდა სათქმელი. უნდოდა კიდევ ერთხელ შეეხედა სახეზე, მაგრამ მანანა ზურგით იდგა და მობრუნებას არ აპირებდა.

— მანანა!...

— მაპატიე, დათო... თვითონ არ ვიცი, როგორ მომივიდა...

გეხვეწები, წადი... წადი!... აღარ მოხვიდე!..

დათო გატრიალდა და წავიდა. სირბილით გაიარა აივანი და კიბეზე დაეშვა. სირბილითვე გადასჭრა ეზო... ქუჩაში აღმოჩნდა.

საკმაოდ დაღლილიყო. ღრმად სუნთქავდა...

ყველაფრის მიმართ გაურკვეველი გრძნობა დაუფლებოდა... თითქოს ყოველივე, რაც მის გარშემო ჩანდა, ნამდვილი კი არა, გამოგონილი იყო... საღამოს ბინდიც, სახლებიც, ადამიანებიც...

საღამო ლურჯი კი არ არის. მოიგონეს, რომ ლურჯია... სილურჯე მოიგონეს... ასევე მოიგონეს სახლებიც, ოღონდ აგურისა კი არა მუყაოსი... ადამიანებიც მოიგონეს...

მერმე დათო მეგობრებს შეხვდა.

გელასთან ღვინოს მიეძალა, მაგრამ რამდენიმე ჭიქა დალია თუ არა, შინ წასვლა აიჩემა. მეგობრები ძალით ასმევდნენ ღვინოს, ძლივს აკავებდნენ. ბოლოს მაინც გამოიპარა.

ოპერის წინ ელექტრო საათი ორის ნახევარს უჩვენებდა.

დათომ ჭავჭავაძის ქუჩა აიარა და თავის სახლისკენ გაუხვია.

მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეზოდან აღარ ევლო. ეს გადაწყვიტა მაშინ, როცა მანანასაგან წამოვიდა. ახლა შინ შესვლას სადარბაზოდან აპირებდა, მაგრამ სადარბაზომდე ჯერ ჭიშკარი უნდა გაევლო. ჭიშკართან მივიდა, არც კი დაფიქრებულა, რკინის კარს ხელი ჰკრა და ჟრიალით გააღო. ეზოში შესვლისთანავე აივნები და ფან-

ჯრები მიმოათვალიერა. ეზოს ეძინა... კიბეზე სვენებ-სვენებით ადიოდა, ყოველ მოსახვევში ჩერდებოდა დაფიქრებული. ამ მცირე შეყოვნებამ საკუთარ არსებაში აღმოაჩენინა სხვა, მეორე დათო. პირველმა ჯერ გარკვევით არ იცოდა, რა უნდოდა და მაინც ებრძოდა. ბრძოლის მიზეზი მკაფიოდ მხოლოდ მესამე სართულის აივანზე გამოიკვეთა, მანანას ოთახის კართან.

— რატომ შეჩერდი? — ჰკითხა პირველმა.

— უნად დავაკაკუნო. — უპასუხა მეორემ.

— ხომ არ გაგიჟდი, რა დროს დაკაკუნებაა?!

— ცოტა ხნით გამოვიყვან და დაველაპარაკები.

— რა ლაპარაკი აგიტყდა ამ შუა ღამით?!

— ორიოდე სიტყვას ვეტყვი.

— გეუბნები, გვიან არის-მეთქი!... გოგოს ძინავს...

— მე მიყვარს, როცა ნამძინარევი გამოდის, სხვანაირი სითბო გამოჰყვება ხოლმე...

ამ ბოლო საბუთს პირველმა ვეღარ გაუძლო და დანებდა...

დათომ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან მამაკაცის ხმა.

ორივე დათოს მხედველობიდან გამორჩა ერთი გარემოება: ამ დროს, შესაძლებელია, შინ ყოფილიყო ბენო ჩიჩუა — მანანას მამა.

ორივე მოკამათე დათო წამში აორთქლდა. ჩიჩუების კარის წინ ახლა უკვე შეშინებული დათო იდგა.

— რომელი ხარ?! — ისევ გაისმა ბენოს ხმა.

ამ ხმასთან ერთად დათომ გაიგონა სხვა ხმაც — სკამის წაქცევისა.

შეშინებული გავარდა კიბისკენ და კედელს მოეფარა. კედელსმოფარებულმა ცალი თვალი გაუსწორა აივნის სიგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ დაინახა: გარეთ გამოსულიყო თეთრი პერანგი თავის ამხანაგიანად. თეთრმა პერანგმა და მისმა თეთრმა ამხანაგმა მიიხედმოიხედა, მოაჯირსაც გადაეყუდა... მერმე წამოვიდა დათოსკენ... სადაც დათო იმალებოდა, იქვე იწყებოდა სხვენში ასასვლელი კიბე. დათო სწრაფად აჰყვა კიბეს და სხვენის სიბნელეში კატასავით გაუჩინარდა.

საკმაო ხანი გამოხდა.

დათომ ჩამოიარა რამდენიმე საფეხური და იქვე ჩამოჯდა.

სხვენში ასასვლელ კიბეზე უკვე სხვა დათო იჯდა. ეს იყო მომლოდინე, რწმენით აღჭურვილი დათო.

იგი იჯდა და ელოდა...

დარწმუნებული იყო, მანანამ გაიგო მისი მოსვლა... ახლა საწოლში წრიალებს და იცდის, როდის დაიძინებს მამა. მამის ფშვინვას გაიგონებს თუ არა, მაშინვე ფეხაკრეფით გამოიპარება გარეთ.

მანანასაც ძალიან უნდა დათოსთან საუბარი და ეს ერთი რამ აბრკოლებს მხოლოდ. ბოლოსდაბოლოს, მამა დაიძინებს... ღამეს ხომ არ გაათენებს?...

სხვენში ასასვლელ კიბეზე მჯდარი დათო მოთმინებით ელოდა მანანას გამოსვლას...

დილით კარგ გუნებაზე გაეღვიძა.

მაგრამ უეცრად გაახსენდა წუხანდელი ღამე და ბავშვივით გაწითლდა. კედლისკენ გადაბრუნდა, ბალიშში შერგო თავი. ესეც არ იკმარა — საბანი წაიფარა. თითქოს უნდოდა საკუთარ სირცხვილს როგორმე დამალვოდა.

გაახსენდა, შუაღამით როგორ დაუკაკუნა მანანას, როგორ ემალებოდა მერმე სხვენზე ბენოს... „კიდევ კარგი, არ დამინახა... კიდევ კარგი!... რას იფიქრებს მანანა, ნამდვილად მიხვდებოდა, მე რომ ვიყავი"...

გუშინდელი დღე სიზმარივით იყო.

მაინც რა მოხდა გუშინ?

„რა ამბავი ატყდებოდა, ბენოს რომ

დავენახე?! გადავრჩი... ნამდვილად გადავრჩი".

მაინც რა მოხდა გუშინ?

რა დაემართა მანანას?... ან თვითონ რატომ ვეღარ შეიკავა თავი?

მანანა ბავშვია...

მანანა არც ისე ბავშვია...

თეონაზე წლინახევრით უფროსია. შარშან დაამთავრა სკოლა. სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა მისაღებ გამოცდებს და ვერ მოხვდა.

შინდამჯდარმა, თვინიერმა გოგომ ძნელი ცხოვრება გადაიტანა. რვა წლისას დედა გაუთხოვდა — დემობილიზებულ მფრინავს გაჰყვა. ბენოს ომიდან დაბრუნებას აღარ დაუცადა.

ნათესავები ინახავდნენ მანანას... მერმე, როგორც იქნა, ომი დამთავრდა და ბენო ჩიჩუა ჩამოვიდა. მაშინვე მოეწყო რომელიღაც ქარხანაში მთავარ ბუღალტრად.

საუკეთესო წლები ომსა და მანანას შეალია... ცოლი აღარ შეურთავს. შვილი უქალოდ გაზარდა, თვითონ იყო დედაც და მამაც...

მაინც რა მოხდა გუშინ?

აივანზე თეონასთან ერთად დატანტალებდა მსუქანი, ხუჭუჭთმიანი ბავშვი. ყოველთვის პატარა, ფეხშიშველი გოგო... მერმე ტიროდა, სულ ტიროდა...

— დე-დაა!

თავზე საბანწაფარებული იგონებდა გუშინდელ დღეს. ღმერთმა იცის, მანანასთან შესვლამდე, წინასწარ არა ჰქონია რა განზრახული. იმიტომ შევიდა, რომ ზურიკოს დამალვოდა. როგორ დაძაბა და დააბნია პატარა ბიჭმა! დაჭიმული ელოდებოდა, რა მოხდებოდა გარეთ, შეუშვებდნენ თუ არა სახლში ზურიკოს... მერმე, როცა გაიგო, მირიანი თურმე ისევ წერს მოთხრობებს, არა თუ წერს, მანანასაც აკითხებს, სულმთლად დაიბნა და გარემოს გამოეთიშა. მანანას კი რაღაც მოეჩვენა, უთუოდ მოეჩვენა... სხვა რამ იფიქრა და აღელდა... დათოც აღელდა...

მაგიდაზე ეყარა მბზინავი, შავი თმა...

ბნელ შესახვევში, ფიცრულ მესერთან ვეებერთელა ლოდი გდია. ალბათ, საუკუნეზე მეტია იქ დევს მოლურჯო-მონაცრისფერო ლოდი... „წავიდეთ, დავსხდეთ, ჩვენი წილი გავცვითოთ".

ციცინო კი იდგა, როგორც ხვატში დიდი და გრილი ჩრდილი. ჩრდილში კარგია დასვენება...

— მოდი, მშენებლობაზე, წავიდეთ.

— ამ ღამეში? — გაოცდა ციცინო.

— ერთხელ ხომ უნდა ნახო, სად ვმუშაობ, რას ვაკეთებ...

— სიბნელეში მაინც ვერაფერს გავარჩევ, დღისით სჯობია.

— დღისით შენ არ გცალია, სულ ლექციებზე ხარ.

— კვირა დღეს იყოს.

— არ გაინტერესებს ჩემი ოთახის ნახვა?

— ძალიან.

— ჩემი კი არა — ჩვენი. მე უკვე მიყვარს ჩვენი ბინა... მეოთხე სართულზე...

— მე მაინც არ მესმის, საიდან არის შენი?

— ჩვენი! — გაუსწორა დათომ.

— კარგი, თუ გინდა, ეგრე თქვი...

— შემპირდნენ. მითხრეს კიდეც, რომელს მაძლევენ.

— ჯერ არც ბინაზე, არც ოჯახზე არ ვფიქრობ. ალბათ, სულელი ვარ და იმიტომ. მე მინდა... თვითონ არ ვიცი, რა მინდა...

— წინათ არც მე ვიცოდი, მაგრამ... ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— ალბათ ასეა... რა თქმა უნდა, ასეა...

— ჩვენი ოჯახი მყუდრო იქნება. წყნარი.... ისე კი გამიჭირდება ჩვენების მიტოვება. ძნელია...

ციცინო და დათო ნიკოლაძის ქუჩით ლენინის ქუჩაზე გავიდნენ.

— გვიან არ არის? — იკითხა ციცინომ.

— ათის ნახევარია.

— სახლში გაგიჟდებიან... მამაჩემი ვერ იტანს, გვიან რომ ვბრუნდები.

ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო.

უკან მოკალათდნენ. კონდუქტორმა თავი შეახსენა და დათომ ჯიბეები მოიქექა — მანეთიანი გაუწოდა კონდუქტორს. მერმე ცირცინოს მიუბრუნდა:

— უკან ჯდომა მიყვარს. სტუდენტობის დროს შევეჩვიე და ველარ მოვიშალე.

ავტობუსი თითქოს მთელი დღის მუშაობით დაიღალა, სვენებ-სვენებით მიდიოდა. გმირთა მოედანი გაიარა და საბურთალოსკენ შეუყვა აღმართს. დათომ ცირცინოს მოხვია ხელი და კოცნა დაუპირა. ცირცინომ კონდუქტორისკენ მიახედა.

— მაგას ახლა „სძინავს“, — ჩასჩურჩულა დათომ, — ოღონდ ბილეთებს ნუ მოვთხოვთ და დილამდე იძინებს.

წინა რიგებში სამი მამაკაცის კეფა მოჩანდა, ერთს, ეტყობოდა, ნამდვილად ეძინა. ოდნავ გვერდზე გადახრილიყო და თავს აკანტურებდა. გეგონებოდა, წინ საკენკი ეყარა და კენკავდა.

— მალე დავბრუნდეთ რა... თერთმეტზე მაინც მივიდე შინ... დედა იმდენჯერ მოვატყუე, უკვე მრცხვენია.

— დიდხანს რა გაგვაჩერებს?!

დათო ნახევარი ტანით მიბრუნდა ცირცინოსკენ, უნდოდა სახეში ეცქირა, თან ძალიან ახლოს ყოლოდა. ცირცინოს ნარინჯისფერი შალის კაბა ეცვა, სადად შეკერილი. ყოველთვის ასე იცვამდა, მისი ტანსაცმელი არ ყვიროდა, სხეულს არ გაურბოდა... უბრალო იყო, ტანზე კარგად მორგებული.

არიან ქალიშვილები, თუ გინდა ქალები, რომლებიც, ერთი შეხედვით, არ ტოვებენ არავითარ შთაბეჭდილებას. მათ სწორი, მაგრამ მშვიდი ნაკვთები აქვთ. სახის არცერთი ნაწილი — თვალები ან ტუჩები — ცალკ-ცალკე არ იქცევს კაცის ყურადღებას. ასეთი ქალიშვილები, თუ ქალები, ხშირად ძალიან ლამაზები არიან, ოღონდ ამ ფარულ სილამაზეს თანდათან უნდა აღმოჩენა.

დათო უხმოდ შესცქეროდა მკრთალად განათებულ ხორბლისფერ სახეს. ცირცინოს ქერა თმა ჰქონდა, წარბები და წამწამები — მუქი, თვალები — მომწვანო. მაგრამ ამ სხვადასხვა ფერს სახის ხორბლისფერი კანი უკარგავდა მკაფიობას და ამშვიდებდა.

ავტობუსში ოთხნი ამოვიდნენ: ორი ბავშვი, ქალი და კაცი. კაცი მთვრალი იყო, ქალი ხმამაღლა საყვედურობდა: ზომა არ იცი, სანამ არ გატყვრები და გათახსირდები, ღვინოს არ მოეშვებიო. ეს ბავშვები გამოუძინებელი დარჩნენ და ხვალ დილით როგორ ავაყენო, სკოლაში როგორ გავუშვაო...

ქმარი გაბუსუნებული უსმენდა, უდრტვინველად იტანდა ცოლის საყვედურებს.

ორმა მგზავრმა ოჯახს ცნობისმოყვარეობით მოხედა. მესამე ისევ გვერდულად იჯდა და თავს აკანტურებდა.

ავტობუსმა განათებული ქუჩები უკან ჩამოიტოვა. ოღრო-ჩოღრო ქუჩით კარგა ხანს მიჩაკჩაკებდა. ბოლოს დიდი წრე შემოხაზა და გაჩერდა. ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ვეებერთელა ბურთი დაიჩუტა.

— ჩავიდეთ, — თქვა დათომ, — უკანასკნელი გაჩერებაა.

ორი მგზავრი და ერთი ოჯახი წინა კარიდან ჩავიდნენ. მძინარესთან კონდუქტორი მივიდა და გააღვიძა. გაღვიძებული სწრაფად კი წამოხტა, მაგრამ ველარ გაერკვა, სად იყო.

ზედ გუბესთან გაჩერებულიყო ავტობუსი. დათომ ისკუპა, გუბეს გადაახტა. მერმე ცალი ხელი ცირცინოს გაუწოდა და ისიც გადაახტუნა.

ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე იყო. ალაგ-ალაგ მკრთალად ელავდა გუბეები. ისინი მიწაყრილებზე მიდიოდნენ. ქუჩა არსად ჩანდა.

— სად მივდივართ, დათო?

— შენ არ იცი, ხუთი-ათი წლის შემდეგ აქ რა იქნება.

— რა გვეჩქარებოდა ჩვენც ათი წლის შემდეგ მოვსულიყავით.

— ათი წლის შემდეგ გვიან იქნება.

— ნეტა ვიცოდე, რა მეხუმრება... მეშინია...

— ჩემთან ნურაფრის გეშინია.

— დროის გრძნობა დავკარგე... ასე მგონია, შუაღამეა...

— ეგ იმიტომ, რომ ბნელა და სიჩუმეა.

— მე ყველაზე უფრო მეშინია სიბნელისა და სიჩუმის.

თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. ღამის წყვდიადში ნელნელა ამოიზარდა შენობის აჩონჩხილი კედლები და ამწეები.

— აგერ, ჩვენი სახლიც გამოჩნდა.

დათო მალი-მალ გაჰკრავდა ხოლმე ასანთს. ფრთხილად ადიოდნენ სახელდახელო ხის კიბეზე. ციცინოს, ეტყობოდა, მართლა ეშინოდა, მაგრად ჩაეჭიდა ხელი დათოსთვის.

როგორც იყო, ააღწიეს მეოთხე სართულს და „თავის ბინაში“ შევიდნენ. ოღონდ ბინას ჯერ არც კარი ჰქონდა, არც ფანჯრები და, რაც მთავარია, არ გააჩნდა ჭერი. სამაგიეროდ საკარე და საფანჯრე ადგილები დატოვებული ჰქონდა.

ფანჯრიდან დამეული სივრცე მოჩანდა. ვარსკვლავებით დაწინწკლული სივრცე ოთახზე უფრო ნათელი იყო. ჭერზე მილიარდობით ვარსკლავი დაბორიალობდა. კარი, რომელიც რკინის აივანზე გასასვლელად დაეტოვებინათ, გაჩირაღდნებულ ქალაქს გასცქეროდა. ქალაქი ღამის რეიდზე მდგარ გაჩახჩახებულ ხომალდსა ჰგავდა.

— მოგწონს? — დათოს უნდოდა აქაურობა ციცინოს მოსწონებოდა.

— კარგია. — უპასუხა ციცინომ.

დათო ერთი წუთით გავიდა და მეზობელი „ბინიდან“ უამრავი ბურბუშელა შემოიტანა. მერმე კიდევ გავიდა, კიდევ შემოიტანა.

— საით გირჩევნია ყურება, თბილისისკენ თუ წყნეთისკენ?

— სულერთია... თუმცა, სჯობია თბილისს ვუყუროთ... ლამაზია...

ისინი ბურბუშელაში ისხდნენ და ქალაქს გაჰყურებდნენ. დათომ პიჯაკი გაიხადა. პიჯაკი ორივემ მოიხურა.

ბურბუშელასავით ეყარა მაგიდაზე თმა...

დათოს გუნება შეეცვალა. ისიც კი გადაწყვიტა, ყველაფერი გულახდილად ეთქვა ციცინოსათვის. თავიდან მოეშორებინა მანანაზე უაზრო ფიქრი. მაგრამ ამ გულახდილობით, შეიძლება, დიდი ტკივილი მიეყენებინა ციცინოსთვის. ამას გარდა, შესაძლოა, ციცინომ დაკარგოს დათოსადმი რწმენა, შეეცვალოს წარმოდგენა.

გაჩუმება არჩია...

ციცინო მკლავზე გადაიწვინა, ყელსა და მკერდზე დაუწყო კოცნა. მერმე სიბნელეში ტუჩებს მიაგნო. დიდხანს კოცნიდა. მერმე წამოდგა და ციცინოც წამოაყენა. წელზე ღონივრულად შოხვია ხელები, ტანზე მიიკრა...

მერმე დაიღალნენ და ისევ ბურბუშელაში ჩასხდნენ.

დათომ მიგდებული პიჯაკი მოძებნა, ციცინოს მხრებზე მოახურა. გუმანით იგრძნო, ახლა ლაპარაკი იყო საჭირო... მხიარული, უზრუნველი ლაყაფი... მაგრამ სიტყვა არ მოეკიდა ენაზე. ვერაფერი გაიხსენა ისეთი, რითაც ორივენი გაერთობოდნენ. სულ უნდოდა მანანას ამბავი ეთქვა, ეთქვა ისიც, რომ ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს... და თუ ახლა ჰყვება, ჰყვება მხოლოდ იმიტომ, რომ ციცინოსთან არაფერი აქვს დასამალი.

ციცინო სდუმდა. დუმილი დათოს საეჭვოდ მოეჩვენა...

— გახსოვს, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს?... გელამ მომიყვანა შენთან... მართლა, რატომ არ იყავი წუხელ გელასთან?

— დამავიწყდა.

— მე მეგონა, გახსოვდა. არც გამიფრთხილებიხარ.... ისე კი, მალე წამოვედი. უმოკლესი გზით მივედი შინ...

დათომ თვალი გაუსწორა აივნის სიგრძეს. თეთრი პერანგი თავისი თეთრი ამხანაგით აივანზე გამოვიდა..

— იცი, რა? ჩვენს ეზოში ერთი ძა-

ლიან სასაცილო ბიჭი ცხოვრობს, ზურიკო ჰქვია. ახლახან გადმოვიდნენ საცხოვრებლად...

მერმე დაწვრილებით უამბო ზურიკოს დარბაზობა კვირა დილით... საყვედურები... ფანჯარაში ცქერა... უამბო, როგორ მიანიჭა ბავშვს მოსვლის უფლება... მერმე როგორ დაემალა ბენო ჩიჩუას ოთახში.

ციცინო მდუმარედ უსმენდა. ,

— სასაცილო ბავშვია, — თქვა დათომ.

— ბავშვს როგორ დაემალე?

— რა ვიცი, დავიბენი.

— არ უნდა დამალულიყავი.

— კართან ვიდექი და გარკვევით გავიგონე ბავშვის ნაბიჯების ხმა... იხ კი გაოცებული მომჩერებოდა... ვერ გაიგო.

— ვინა?

— მეზობელი მომჩერებოდა... გაოცებით... მანანა...

— რაღაც აბნეულად ლაპარაკობ.

— ერთი სიტყვით. დავემალე... „კიდევ კარგი, შემაჩერა, თორემ ყველაფერს ჩავუმარცვლავდი".

გულაღმა გადაწვა ბურბუშელაში. ცალი ხელი თავქვეშ ამოიდო, მეორეთი ციცინოს ხელი მონახა... ჭერი სავსე იყო ვარსკვლავებით. ერთმანეთზე მიყრილი უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა ჭერზე. „დღეს არ უნდა შევხვედროდი... ანდა. რისთვის მოვიყვანე მაინცდამაინც აქ? ხომ შეიძლებოდა, სადმე სხვაგან წავსულიყავით. სადაც ბევრი ხალხი იქნებოდა... თეატრში... ან კინოში..."

„დათო წუთი-წუთზე ელოდა. ციცინო მეტყვის, უკვე დროა და შინ წავიდეთო. იგი კი ისე მისჩერებოდა მოციალე და მდუმარე სივრცეს, თითქოს მარტო იყო, თითქოს მის გვერდით არავინ იჯდა.

— ციცინო...

ციცინომ თავი მოაბრუნა.

— რა კარგი ღამეა. არა?

„ციცინომ თავი დააქნია. მერმე ღამეულ ქალაქს გახედა ისევ.

— დღეს რაღაც სხვანაირი ხარ. დათო...

— რას ჰქვია. სხვანაირი?

— არ ვიცი, რას ჰქვია.

— თუ ამბობ. უნდა იცოდე. ,

— ვგრძნობ, მაგრამ თქმა მიჭირს... არ შემიძლია... ხშირად მემართება ასე. ალბათ. იმიტომ, რომ ეს გრძნობა მთლად ნათელი არ არის ჩემთვის. არც ის ვიცი, როგორ, ან საიდან მებადება ხოლმე ასეთი გრძნობა.

დათო მიხვდა. ციცინო მართალი იყო. დღეს საღამოს, შეხვდა თუ არა, იმ წუთიდან უჩვეულო ურთიერთობა დამყარდა მათ შორის. არაფერი არ უთქვამს ისეთი. რასაც სხვა დროს არ ეტყოდა. მაგრამ სულ ეჩვენებოდა, რომ ატყუებდა, სიმართლეს არ ეუბნებოდა ციცინოს... არა-და ისეთივე გულწრფელი იყო, როგორც მანამდე, წინა შეხვედრებისას...

ისეთი არაფერი გაუკეთებია. რასაც სხვა დროს არ გააკეთებდა. მაგრამ ყოველი თავისი მოქმედება ყალბად და ნაძალადევად ეჩვენებოდა. თითქოს იმიტომ ჰკოცნიდა, რომ ვალდებული, ანდა იძულებული იყო, მოფერებოდა. სინამდვილეში კი წრფელად უნდოდა ციცინოს გვერდით ყოფნა, თანაც უნდოდა ეს სიახლოვე საუკუნოდ გაგრძელებულიყო...

იქნებ ამ გაურკვევლობის გამო მოუნდა, რაც შეიძლება მალე მიეცილებინა ციცინო სახლამდე და მარტო დარჩენილიყო.

— იცი, რად გითხარი? ჩვენ ერთხელ დავთქვით, მუდამ გულწრფელები ვყოფილიყავით. არაფერი დაგვემალა ერთმანეთისთვის. — თქვა ციცინომ.

დათომ გარკვევით გაიგონა მანქანის ხმა. კაცის ხმაც გაიგონა გარკვევით...

— ვიცი. შენ არ დამაცადე, თორემ გეტყოდი.

— რას მეტყოდი?

— იქ რომ შევედი... „მაინც ვეუბნები... არავინ მაძალებს და მაინც ვეუბნები... რა სულელი ვარ! განა შეიძლე-

ბა ამის თქმა?"... რომ შევედი, მარტო მანანა დამხვდა ოთახში...

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაგხვდა! შენ ვერ გამიგე, დათო... მე სხვა მიგანიშნე და შენ სხვას მეუბნები.

— როგორ არა აქვს მნიშვნელობა?! „რატომ ვყვები? იქნებ სჯობია, არ მოვყვე?" არ ვიცი, მანანამ რა იფიქრა... ჰო, ის არ მითქვამს შენთვის, მირიანის მოთხრობას რომ კითხულობდა...

დათოს ისევ შემოესმა გარედან ხმაური და მიაყურა. მერმე წამოდგა და ფანჯარაში გადაიხედა. სიბნელეს თვალ შეჩვეულმა ეზოს სიღრმეში საბარგო მანქანა და ორი კაცი დალანდა. კაცები იქვე რაღაცას ფუსფუსებდნენ.

— რა მოხდა?

— ვიღაცეები არიან... მანქანით მოსულან...

— ამ ღამეში რატომ მოსულან?

— მეც ეგ მიკვირს, წავალ და გავიგებ.

— დათო!

— ნუ გეშინია, ახლავე დავბრუნდები.

— შენი ჭირიმე, დათო, არ დამტოვო!

— არა, უნდა ვნახო, ვინ არიან.

— მარტო რომ დამტოვო, გავგიჟდები.

— ჩუმად იყავი, ნუ ყვირი!

— დათო, შენ გენაცვალე, არ წახვიდე!

დათო სიფრთხილით დაყვა ხის კიბეს, თან ხელს კედელზე მიაფათურებდა. ეზოში რომ ჩავიდა, უცებ ვერაფერი გაარჩია. ასე იარა ერთხანს. მერმე ოციოდე ნაბიჯზე საბარგო მანქანა გამოიკვეთა. დათო მიხვდა, რაც ხდებოდა: ვიღაცეები ცემენტით ტვირთავდნენ მანქანას.

— ეი, მანდ ვინა ხართ?! — შესძახა დათომ და რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა.

ყოველგვარი ხმაური მიწყდა... ჩამიჩუმი არ ისმოდა...

— მანდ ვინა ხართ-მეთქი?! რას აკეთებთ?!

ორი ლანდი გამოეშურა დათოსკენ. დათო მონუსხულივით იდგა... კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხმა აღარ ამოუვიდა ყელიდან.

ლანდები ნელ-ნელა მოიწევდნენ დათოსკენ, ჯიუტად უახლოვდებოდნენ...

სულ ახლოს მოვიდნენ. დათომ სახეებიც კი გაარჩია, მაგრამ ვერ იცნო. მერმე შეამჩნია, რომ ლანდებს ნიჩბები ეკავათ ხელში.

გაქცევა სცადა... კეფაში ყრუ ტკივილი იგრძნო, შეტორტმანდა... თავზე ორივე ხელი წაივლო. კიდევ დააპირა გაქცევა და მუხლებმა უმტყუნა.. .

უნებურად შეტრიალდა... ახლა უფრო ძლიერი ტკივილი იგრძნო... ვიდრე გონებას დაჰკარგავდა, მიხვდა ,ამჯერად შუბლში დაჰკრეს ნიჩაბი...

როდესაც გონს მოვიდა, თენდებოდა. გულაღმა ეგდო მიწაზე და ეძინა. ალბათ, ეძინა, რადგან სიზმრები ნახა, საშინელი სიზმრები...

თავისტკივილმა გამოაღვიძა. მაღლა გაფითრებული ცა და აქა-იქ შერჩენილი ვარსკვლავი ცახცახებდა... წამოიწია, მაგრამ ვერ ადგა. მთელ სხეულში ტკივილმა დაუარა, მტვრევა დაუწყო. გულაღმა დაგდებულმა წამში გაიაზრა, სად იყო და რა მოხდა. გაახსენდა: მეოთხე სართულზე ციცინო დატოვა. თავი წამოჰყო და მიდამოს თვალი მოავლო. ირგვლივ არავინ ჩანდა .არც სიჩუმეს არღვევდა ვინმე.

— ციცინო! — დაიძახა ჩახლეჩილი ხმით, — ციცინო!

გვერდზე გადაბრუნდა, ახლა ისე სინჯა წამოდგომა. გაჭირვებით დადგა ფეხზე. მთელი ღამე მიწაზე ნაგდებს, შესცივნოდა. კანკალებდა... პერანგზე სისხლი შეამჩნია, მერმე სახეზე მოისვა ხელი — სისხლი შეხმობოდა... მერმე შუბლი მოისინჯა... დარტყმისაგან ჭრილობა გასჩენოდა, თანაც ზედ თმა მიწებებოდა და ძალიან ტკიოდა.

ბანცალით გაემართა შენობისაკენ.

კედელ-კედელ აჰყვა კიბეს.

— ციცინო!

ხმას არავინ სცემდა.

— ციცინო!

მეოთხე სართულზე ციცინო არ დახვდა...

მიყრილ-მოყრილი ბურბუშელა...

ბურბუშელაზე მიგდებული პიჯაკი...

დათო ფანჯარასთან მივიდა. ორივე ხელით კედელს მიებჯინა და ეზოში გადაიხედა. ფარდულის კარი გაეტეხათ და ღიად დაეტოვებინათ. მთელი ეზო ცემენტით მოფენილიყო.

მერმე მთელი სართული დაიარა, ყველა ოთახი დაათვალიერა. ციცინო არსად იყო. უკან რომ დაბრუნდა, „თავისი ოთახი“ როგორღაც დარბეული მოეჩვენა. თითქოს ბურბუშელა მიმოეფანტათ, პიჯაკიც დაეჭმუჭნათ და ისე მიეგდოთ.

— ციცინო! — იღრიალა და ტკივილისაგან დაიმანჭა. კეფაზე ფრთხილად მოისვა ხელი. ახლა-ღა გაიხსენა, რომ პირველად სწორედ აქ დაჰკრეს ნიჩაბი. თმას სისხლში აზელილი მიწა, თუ ცემენტი მიჰკვროდა. იფიქრა, მოვიშორებო, თმა ეწიწკნებოდა და საშინელ ტკივილს გვრიდა.

პიჯაკს დასწვდა. გაჭირვებით გაუყარა ხელები.

ეზოში ჩამოვიდა და დიდხანს იბოდიალა. ფარდულის კარი მიხურა, გატეხილი ბოქლომი ხელში ატრიალა და იქვე მიაგდო. მერმე ონკანი მოუშვა, პირი დაიბანა.

ერთავად ციცინოზე ფიქრობდა. ჯერ შესაძლებლად ჩათვალა, რომ იმ ორ უცნობს შეეძლო ციცინოს მიგნება ათასგვარი შემზარავი სურათი წარმოიდგინა... მერმე თავი დაიმშვიდა: რატომ ავიდოდნენ მაინცდამაინც მეოთხე სართულზე? გინდაც გაეგოთ, რომ იქ ვიღაცაა, თავს საფრთხეში აღარ ჩაიგდებდნენ, დასხდებოდნენ მანქანაზე და მოუსვამდნენ.

არა, ციცინო ნამდვილად შინ წავიდა.

მაგრამ იმ ღამეში როგორ წავიდოდა?... ანდა, რატომ დატოვებდა პიჯაკს?...

აღარ იცოდა, რა ექნა, ციცინო მოეძებნა, პოლიკლინიკაში წასულიყო, — თუ სამშენებლო კანტორისთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი?

კანტორაში წასვლას არ ჰქონდა აზრი, გვიან გაახსენდა: დღეს კვირა იყო და არავინ დახვდებოდა... ციცინოსთან მტვერში ამოგანგლული და თავპირდალეწილი ვერ გამოცხადდებოდა, უხერხული იყო, ხალხს დააფრთხობდა.. არადა, ასე გულდამშვიდება არ შეიძლებოდა.

ასიოდე მეტრზე მშენებლობისკენ მომავალი ავტომანქანა დაინახა, მტვერში რწევა-რწევით მოიკვლევდა გზას. დათო გზაზე გავიდა და დაელოდა. თუ ტაქსი აღმოჩნდებოდა, უკან დაბრუნებისას დაიჭერდა და გაჰყვებოდა.

ტაქსი დათოს წინ გაჩერდა. მოულოდნელად მანქანიდან გელა და ციცინო გადმოვიდნენ .ორივეს შეშფოთებული სახეები ჰქონდათ. დათომ ციცინო რომ დაინახა, დამშვიდდა, სული მოითქვა.

— რა მოგივიდა, ბიჭო! — სასოწარკვეთილი ხმით იყვირა გელამ. — რას ჰგავხარ?!

ციცინო შეწუხებული უმზერდა და ხმას არ იღებდა. გელამ ირგვლივ შემოუარა დათოს, საფუძვლიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა. ჭრილობებიც გაუსინჯა თავზე.

— ჩქარა ექიმთან! — გასცა განკარგულება. — გზაში მიამბე, რა მოხდა...

უკან ციცინო და დათო მოთავსდნენ. გელამ შოფრის გვერდით დაიკავა ადგილი. მანქანამ იქვე მონახა მოსაბრუნებელი ადგილი და ქალაქისკენ დაიძრა.

— ლამის გავგიჟდი, —დაიწყო გელამ, —ციცინო უთენია რომ მომადგა. უნდა გენახა, რა სახე ჰქონდა!... არა მაინც, როგორ დატოვე ეს გოგო?... მერმე ქვევით ჩამოსულა, უძებნიხარ... ერთი მითხარი, რა გინდოდათ, ამ დასაქცევში რას მოდიოდით?! საწყალ გოგოს რა არ უფიქრია... სხვა ადგილი ვერ ნახეთ?! თუ სიყვარულისთვის მშენებლობის პეიზაჟია აუცილებელი?... წარ-

მოგიდგენია, ჩემ სახლამდე სულ ფეხით უვლია. კი არ უვლია, ურბენია... ტრანსპორტი უკვე აღარ მუშაობდა.. .ტაქსი ვერ იშოვა... კერძო მანქანას არ ენდო...

დათო მოშვებულად იჯდა. სავარძლის ზურგზე მისვენებულიყო და ნახევრად მოხუჭული თვალებით გზას გასცქეროდა. წინ ჩიკორივით ტრიალებდა გელას თავი. წვრილი კისერი დიდ, ბურთივით მრგვალ თავს თითქოს იმაგრებდა კიდეც და ვერც იმაგრებდა. გეგონებოდა, ვიღაცის უხილავი ხელი ზემოდან აწვებოდა, ატრიალებდა, რომ თავი როგორმე კისრისთვის მოერგო, ზედ დაემაგრებინა.

— რას გაჩუმებულხარ, თქვი, რა მოხდა?!

როდესაც დათო წუხანდელ ამბავს ყვებოდა, დაბინდულ მეხსიერებაში შავი კოლა ამოტივტივდა.

— ხომ არ იცი, ვინ არის შავი კოლა? — ჰკითხა გელას, როცა ამბავი დაასრულა.

— არა, პირველად მესმის.

— შავი კოლა? — იკითხა შოფერმა. — მაგას ვინ არ იცნობს!

გელაც და დათოც შოფერს მიაჩერდნენ.

— სოლოლაკში ცხოვრობს... მაგარი ვინმეა...

შოფრის ყოველგვარი ცნობები შავ კოლაზე ამით ამოიწურა. ალბათ, ეგონა, ამ კაცის შესახებ ბევრი რამ ვიციო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერაფერი თქვა. ეს უხერხულობა თვითონაც იგრძნო და ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გაბრაზებულმა წაიბურტყუნა:

— თუ გინდათ, სახლს გიჩვენებთ?

— რას ჰქვია, გვინდა?! ახლავე გვაჩვენე!... — გელას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო შავი კოლა, მაგრამ, როგორც ჩანს, წუხანდელმა ამბებმა ისე დამუხტა, რომ ყველაფერს შეუმოწმებლად აკავშირებდა ერთმანეთთან და დამნაშავეს ამ წუთიდანვე ეძებდა.

ციცინო მანქანის კუთხეში მიწურულიყო, ფერგამკრთალი უსმენდა მამაკაცების საუბარს.

დათომ შავი კოლას ამბავი გაიხსენა. ლაპარაკი თავის ტკივილს უორკეცებდა, მაგრამ ამბავი მაინც ჩაათავა .

— ყველაფერი გასაგებია.. — თქვა გელამ, — ყველაფერი დღესავით ნათელია... მე უკვე ვხედავ შავ კოლას!— მერმე შოფერს მიუბრუნდა, — შენ იმის სახლი დამანახვე!

— შავი კოლა მაგარი ვინმეა...

— გელა, ჯერ დათო მივიყვანოთ ექიმთან.

— არა, ციცინო... იქ დიდხანს არ დავყოვნდებით...

დათოს თვლემა მოერია. ოდნავ შებრუნდა ციცინოსკენ და უფრო მოხერხებულად მიწვა... ქუდების მაღაზიაში მირიანი, შავი კოლა და დათო რატომღაც ერთად შევიდნენ. დათოსთვის ქუდი უნდა ეყიდათ. გამყიდველი ეძებეს, მაგრამ ვერ მიაგნეს. უცებ მოისმა ქალის ხმა, რომელიც ძალიან ჰგავდა ციცინოს ხმას.

— აქ მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება!... მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება!... ბავშვის ქუდები იყიდება!...

შავი კოლა მაინც შევიდა დახლში და ქუდების გადმოლაგება დაიწყო. მერმე ყველა მათგანის მორგებას ცდილობდა დათოს თავზე. ყველა ქუდი პატარა იყო, შავი კოლა მაინც ახურავდა... დათო წვალობდა, იტანჯებოდა... ბოლოს სულ პატარა ზომის ქუდი ამოარჩია მირიანმა, შავმა კოლამ ძალით ჩამოაცვა ეს ქუდი დათოს. ქუდი შუბლსა და კეფაზე უჭერდა სუნთქვა აღარ შეეძლო... თანაც ტკივილის გამხელა აკრძალული ჰქონდა...

როცა დათოს გამოეღვიძა, მანქანა მოასფალტებულ ვიწრო ქუჩაზე იდგა. გელა აღარ ჩანდა მანქანაში.

— სად არის გელა?

— შავი კოლას სახლი უნდა ნახოს. — უპასუხა შოფერმა.

— რომელია?

— აქედან არა ჩანს, ქვემოთ არის...

— რატომ იქვე არ დააყენე?

— გაგიჟდი? რამე რომ მოხდეს და ჩემი მანქანა დაიხსომოს?! — შოფერი ზედმეტად ფრთხილი და წინდახედული აღმოჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გელა მოვიდა.

— ეგ სახლი შემჩნეული მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, თუ შავი კოლასი იყო.

— მთლიანად მაგისია, აი!.. .

— ახლა მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ! ერთი, თუ ძმა ხარ, სადმე აქვე პოლიკლინიკაში მეგვიყვანე, მორიგე ექიმი იქნება.

გელას ფაციფუცი გულს უწყალებდა დათოს. არაფრის თავი არ ჰქონდა, არც ფიქრის, არც ამ უაზრო, გელას მიერ წამოწყებული გამოძიებისა. შუბლი დაუმძიმდა, სიმძიმე ქუთუთოებს ჩამოაწვა... ეძინებოდა. იმასაც მიაქცია ყურადღება, ციცინო ხმას რომ არ იღებდა და თავისთვის იჯდა მიყუჟული. ხანდახან ეჩვენებოდა, ციცინო უცხო ადამიანი იყო და ამ მანქანაში შემთხვევით მოხვდა...

პოლიკლინიკიდან გამოსულებმა მთაწმინდის უბნისაკენ აიღეს გეზი. დათომ წარმოიდგინა მტვერში ამოსვრილი, თავშეხვეული რომ შეაღებდა კარს, ოჯახში რა ალიაქოთი ატყდებოდა... რა გაუძლებდა დედის შეცხადებას. წუხილს.. თეონას შეშფოთებულ მზერას და ათასგვარ შეკითხვას... წინასწარ დაეუფლა გრძნობა განწირული კაცისა, რომელიც საშველს ვეღარა ხედავდა.

მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა.

— ციცინო, შენც ამოდი, რა! — შესთავაზა გელამ.

— არა, მე წავალ.

— ცოტა ხნით ავიდეთ... მერმე მიგაცილებ...

— არა, არა, წავალ... დაღლილი ვარ...

გელამ ტაქსის შოფერს ფული გადაუხადა. გამოიანგარიშა, ციცინოს სახლამდე დაახლოვებით რას დაწერდა მრიცხველი და ისიც მისცა.

— ჯიგარო, ეს გოგო მიიყვანე!

სადარბაზოდან მირიანი გამოვიდა, მარჯვნივ გაუხვია და სწრაფად გაჰყვა ქუჩას. ბადურით რძის ბოთლები მოჰქონდა.

კარი დედამ გაუღო.

შვილმა შესვლისთანავე ანიშნა: ისეთი არაფერი მომხდარა და ნუ აღელდებიო. დედას თვალები გაუფართოვდა.

— იჩხუბე?!

შვილი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და ეწყინა. მით უმეტეს, რომ დედამ ეს სიტყვა ძალიან ნაცნობი კილოთი წარმოსთქვა. ასეთი კილოთი ეკითხებოდა ბავშვობაში, როცა შინ სხვა უბნის ბიჭებთან ნაჩხუბარი მოვიდოდა ხოლმე.

დათო პირდაპირ თავის საწოლისკენ გაეშურა,უკან დედა მოჰყვებოდა, რომელსაც გელა ამშვიდებდა:

— ყველაფერს ახლავე მოგახსენებთ, ქალბატონო... ნუ აღელდებით...

ტანსაცმელი დათომ იქვე სკამზე მიყარა და ლოგინში შეწვა. შუშაბანდში თვალი მოჰკრა პლატონს, რომელიც მაგიდას უჯდა და საუზმობდა. დედა და გელა თავზე ადგნენ. დათომ თვალები დახუჭა, ამით ორივეს ანიშნა: მეძინება და მარტო დამტოვეთო.

— ჰო, ექიმმა თქვა, სიმშვიდე და მოსვენება სჭირდებაო, — ჩურჩულით თქვა გელამ.

არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს ექიმს, არავითარი რჩევა-დარიგება არ მიუცია. კეფაზე, ჭრილობის irგვლივ, თმა შეკრიჭა, მერმე შუბლიც და კეფაც სუფთად მობანა, ორივეგან მალამო დაადო და კარგად შეუხვია. უხმოდ მოქმედებდა. ისიც კი არ უკითხავს, რა შეემთხვა. თავისი პროფესიული ვალი კეთილსინდისიერად მოიხადა. ერთხელ გაეხუმრა:

— მაგარი თავი გქონია, ბიძიკო...

ხოლო წამოსვლისას უთხრა:

— თუ სამედიცინო დასკვნა გჭირდებათ, პირველ საავადმყოფოში მიაკითხეთ, ასეთ ცნობებს იქ იძლევიან...

დათომ თვალები გაახილა. (იცოდა,

დედა და გელა შუშაბანდში იყვნენ გასულები) შუა ოთახის კართან თეონა იდგა და ეშმაკურად იღიმებოდა.

— გოგოს გულისთვის იჩხუბე? მე ყველაფერი ვიცი...

ისევ დახუჭა თვალები.

შუშაბანდში გელა ქაქანებდა. დათოს გარკვევით ესმოდა ლაპარაკი და ბრაზდებოდა, მეგობარი აჭარბებდა, ყველაფერს გაზვიადებულად ხატავდა. როდესაც შავი კოლას ამბავს მიადგა, პლატონმა გაოცებით წამოიძახა:

— ნიკო?!

— თვითონ ასე უთქვამს, ბატონო, შავი კოლა მქვიაო.

— ნიკო... ნიკო დიდი კაცია!...

მერმე პლატონი დიდხანს წვალობდა. ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვას სიტყვაზე ვეღარ აბამდა... ეს იყო სიტყვების უაზრო გროვა... როგორც ჩანს, გელამაც ვერ გაიგო პლატონის ნათქვამი. — საუბარში დედა ჩაერია.

— პლატონი ამბობს, — განმარტა დედამ, — მაგ ამბის გახმაურება არ ღირსო.

— როგორ თუ არ ღირსო! — ეს გელა იყო.

— არ ვიცი, ასე ამბობს პლატონი... კიდევ იმას ამბობს, რომ ოთხი ტონა ცემენტი არაფერიაო, მაგის დაფარვა ადვილად შეიძლებაო.... ნიკოსთან კი საქმეს მე მოვაგვარებ, თქვენ ვერაფერს გახდებითო.

— დიდი კაცია... — თქვა პლატონმა.

— ვიცი, რა კაციც არის! — ცხარობდა გელა.

დათომ ნახევრად მოხუჭული თვალებით გახედა შუშაბანდს. პლატონს დამცინავად ეღიმებოდა. ასე ეღიმება ხოლმე კაცს, რომელმაც ორივე მოწინააღმდეგის შესაძლებლობები კარგად იცის და იმ ორთაგან სუსტის ტრაბახს ისმენს.

— ჩემი რჩევაც ეს იქნება, შვილო, — ამბობდა დედა, — პლატონს დაუჯერეთ, გამოცდილი და ჭკვიანი კაცია. ნუ გაახმაურებთ მაგ ამბავს... ოთხი ტონა ცემენტი არაფერია...

„საოცარი ხალხია, — გულს ვეღარ ერეოდა დათო, — ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, ოთხი წაიღეს, თუ ათი... ცემენტი იქით იყოს, კინაღამ მომკლეს. ეგენი მარტო ქურდები კი არა, მკვლელები არიან. მოსაკლავად მომიქნიეს ნიჩაბი და შემთხვევით გადავრჩი...“

გელა კიდევ ერთხელ შემოვიდა დათოს ოთახში, მეგობარს დახედა. დათომ თავი მოიმიძინარა. მერე ისევ შუშაბანდში დაბრუნდა და თქვა:

— ეძინოს, საღამოს შემოვივლი.

— თეონა! — მეგობრის წასვლისთანავე დაუძახა დათომ დას, — სარკე მომიტანე.

სარკე გულგატეხილმა შემუტანა. ეტყობა, თეონას ერჩია, გოგოს გულისათვის გაელახათ ძმა, ვიდრე ოთხი ტონა ცემენტისათვის.

დათოს ორივე თვალში სისხლი ჩაქცეოდა, უპეები ჩალურჯებოდა. საკმაოდ გასიებოდა ცხვირიც და სახის იერს უცვლიდა. სულ სხვა კაცი იყურებოდა სარკიდან. „არ გინდა ასე ქუჩაში გასვლა?!. ალბათ, ამიტომ ვერ მიმზერდა ცაცინო სახეში“.

სარკე დას დაუბრუნა... თეონას იმედის შუქმა გადაურბინა.

— დედა მოატყუეთ, არა? თქვი, მერას მიმალავ? ცემენტისთვის ვინ გცემდა.

— შენ წარმოიდგინე მცემეს.

— ვიცი... ვიცი.. — თეონამ სარკე წაიღო.

მერმე დედამ მოაკითხა დათოს.

— რად გააგებინე, შვილო, გელას? ეგ ახლა მთელ ქალაქს მოსდებს და საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი. შეიძლება, გაზეთშიც დაწეროს მეტი კი არ უნდა.

საღამოს, შეპირებისამებრ, მოვიდა გელა, თან ოთხი ბიჭი მოჰყვა: როცა ერთიმეორის მიყოლებით მეგობრები შემოიბაწრნენ, დათოს კინაღამ გული წაუვიდა.

მეგობრების თანაგრძნობამ შინაგა-

ნად გაახარა და აალელვა კიდეც, მაგრამ მაინც ეწყინა, დედის დღევანდელი ნათქვამი რომ უმართლდებოდა. ოჯახის თვალში გელამ საბოლოოდ დაჰკარგა წონა და ვეღარაფერი უშველიდა.

ბიჭების მოსვლისთანავე მირიანი სამზარეულოში გავიდა. დედა და პლატონი მუშაბანდში ისხდნენ და ბიჭების წასვლამდე ადგილიდან არ დაძრულან. თეონა შინ არ იყო. დათო რას არ მისცემდა, მარტო თეონა კი არა, დედაც რომ სადმე წასული ყოფილიყო.

დათომ თავის ოთახში შეიყვანა მეგობრები და სკამები შეუტანა. გელას ისეთივე შეწუხებული და საქმიანი იერი ჰქონდა, როგორც დილას. ეტყობა, ბიჭებს მთელი დღე ტელეფონით ურეკავდა, ატყობინებდა, ეთათბირებოდა...

— გაქოთაქეს, ბიჭო? — შეთანხმებულებივით რამდენიმემ ერთად ჰკითხა დათოს.

დათომ მეგობრებს ნაძალადევად გაუცინა.

— ქუჩაში რომ შემხვედროდი, ვერც კი გიცნობდი, — უთხრა ნოდარმა, — შენს თავს აღარ ჰგავხარ.

ნოდარ ნიჟარაძეს შავი რქის ახალი სათვალე ეკეთა.

ყველამ გულდასმით შეამოწმა ნაცემი მეგობარი. შემოწმებამ ხმაურსა და სიცილში ჩაიარა. გელა ცდილობდა, უფრო სერიოზული სახე მიეცა სტუმრობისათვის, მაგრამ არ გამოუვიდა. ბიჭები კარგ გუნებაზე იყვნენ და სულ ხუმრობა უნდოდათ.

— თუ ცნობა დაგვჭირდა, — გელა დათოსთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო, — ოთარი მოგვცემს.

ოთარ სალაყაია, რომელიც ახლა ფეხიფეხგადადებული იჯდა და გვერდზე გადახრილი საწერ მაგიდას მიყრდნობოდა, ექიმი იყო, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობდა, ქირურგიულ განყოფილებაში.

ნოდარ ნიჟარაძე და ჯიმშერ ქალდანი ფანჯარასთან იდგნენ. ნოდარი, ალბათ, ჯერ არ იყო შეჩვეული ახალ სათვალეს, წამდაუწუმ ისწორებდა. ანდა, შეიძლება, სათვალე დიდიც ჰქონოდა.

— არა, შენ ვერ გამიგე, ჯიმშერ, — როგორც ჩანს, ნოდარმა ქუჩაში დაწყებული საუბარი გააგრძელა, — მე გელაპარაკებოდი წონასწორობის მდგომარეობაში წარმოქმნილ რხევაზე. ეს შედარებით მარტივი რხევაა და წარმოიქმნება უკუქცევის ძალისაგან, რომელიც წონასწორობის მდგომარეობიდან წერტილის გადანაცვლების, თუ გინდა, გადაადგილების პირდაპირ პროპორციულია. გამიგე?... ამაზე მარტივად როგორღა გითხრა?... — ნოდარი ცბიერად იღიმებოდა, მერმე რატომღაც ხმას დაუწია, — ასეთი რხევები სინუსის კანონით წარმოიშვება და ამპლიტუდაზე არ არის დამოკიდებული.

— მე მესმის, რასაც შენ ამბობ...

— ისე შენ რა გითხრა, — შეაწყვეტინა სიცილით ოთარ სალაყაიამ.

— ეს ხალხი გამაგიჟებს, რა დროს ამპლიტუდაა?! — აღშფოთდა გელა, თან პალტოს ღილებივით დიდსა და მრგვალ თვალებს ახამხამებდა.

გელას აღშფოთებამ უფრო გაამხიარულა ბიჭები .

— ეგენი სახლში არ არიან შესაშვები, — სთქვა ისევ ოთარმა.

— შენ ხუმრობ და მართლა ეგრეა.

— რატომ გგონია, რომ ვხუმრობ? მაგათ ორივეს ერთად, სახლში არ ვუშვებ. სათითაოდ, თუ უნდათ, მობრძანდნენ.

ნოდარი ფიზიკოსი იყო, უნივერსიტეტში ასპირანტურას ამთავრებდა. ჯიმშერი, ეს მთასავით კაცი, ლექსებს წერდა, ლექსების პაწაწინა კრებულიც კი გამოსცა. უცნაური გატაცება იცოდა ჯიმშერმა. ბოლო ხანებში ფიზიკამ გაიტაცა, მთელ დღეებს ნოდართან ატარებდა ლაბორატორიაში.

— საფერფლე არა გაქვთ ოჯახში? — იკითხა კოტემ.

— არცერთი არ ვეწევით. — დათო უცებ ვერაფერს წააწყდა ისეთს, რაც საფერფლედ გამოდგებოდა. მერმე დიდი ნიჟარა გაახსენდა და შუა ოთახის კარი შეაღო. ნიჟარა, როგორც ყოველ-

თვის, პიანინოს თავზე იდო და სულაც, მგონი, პიანინოსთან ერთად გაჩნდა ამ ოჯახში. ამ ნივთს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაძრავდნენ ადგილიდან თუ სტუმარი საფერფლეს მოითხოვდა.

— იშვიათი ნიჟარაა! — თქვა კოტემ.

— პირველად ხომ არ ხედავ? — ჰკითხა დათომ.

— მეორედაც შეიძლება ნივთი მოგეწონოს... მეათედაც...

— ეგ ნიჟარაძეს დააჭერინეთ ხელში... — ჩაიცინა ჯიმშერმა.

— სულ ეგრე უკბილოდ უნდა იხუმრო?! — უთხრა კოტემ.

— ახლა ჩამოფქვი, რაც იცი. — მიუბრუნდა გელა მეგობარს, რომელსაც ხელში ნიჟარა ეჭირა.

— რა ვთქვა?

— რაც იცი შავ კოლაზე.

დათო უსიამოვნოდ დაიმანჭა. შავი კოლას გაგონებაც კი არ უნდოდა. გახედა შუშაბანდს, სადაც დედა და პლატონი მდუმარედ უსხდნენ მაგიდას.

კოტე რამიშვილმა, ამ ბუნჩულა და უწყინარმა, მუდამ მთვლემარე ადამიანმა ზეპირად იცოდა ყველა, ასე თუ ისე განთქმული, რეციდივისტისა და საქმოსნის ბიოგრაფია. სკოლაშივე ჰყვებოდა საოცარ ამბებს... მერმე სასამართლოებშიც დაიწყო სიარული და მათი ბიოგრაფიის ცარიელი ფურცლები საინტერესო ცნობებით შეავსო. ეგონათ, სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდოდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად სულ სხვა დარგი აირჩია — ბიოლოგია.

**ბავშვობა და ყრმობა.** მოძრავი, ცოცხალი ბიჭი ყოფილა, შავტუხა, რის გამოც უბნის ბიჭებს ბავშვობაშივე „შავი კოლა" შეურქმევიათ. ამბობენ, მეშვიდე კლასამდე მხოლოდ ცელქობდა. მეშვიდე თუ მერვე კლასში, ჯერ მეზობლისათვის, მერმე კი მასწავლებლისათვის, ოქროს საათები მოუპარავს და გაუყიდია. იმავე წელს, ზამთარში, მორიგეობისას, რამდენიმე თანაკლასელის პალტო ჩაუცვამს, ზემოდან თავისი მოუხურავს და კლასიდან შეუმჩნევლად გაპარულა... მერმე ცხოვრება რამდენადმე უინტერესო ხდება. სამი წელი დაჰყო უასაკო დამნაშავეთა გამასწორებელ კოლონიაში. იქიდან სკოლაში არ დაბრუნებულა, რადგან უკვე სწავლა აღარ სჭირდებოდა, ისედაც ბევრი იცოდა.

**სიჭაბუკე.** ცხრამეტი წლისამ ამხანაგებთან ერთად საიუველირო მაღაზია გატეხა და დიდძალი ოქრო გაიტაცა. მერმე უნივერმაღის გაქურდვისას, დახლის უკან დამალულმა ირლანდიურმა დოგმა ისე დაფლითა, რომ გაქცევა ვეღარ შეძლო... მეგობრებმა დოგი კი მოჰკლეს, მაგრამ მაღაზიიდან ძმა-კაცის გაყვანა დააგვიანეს და გაიქცნენ. შავი კოლა დაიჭირეს. შავი კოლა თურმე დღემდე ვერ იტანს ვერავითარ ჯიშის ძაღლს და აღარც მეგობრებისა სჯერა. მერმე ათი წლით გადაასახლეს კოლიმაში. იქ ძმა-კაცებს, რომლებმაც ძაღლისაგან დაფლეთილი მიატოვეს მაღაზიაში, სასტიკად გაუსწორდა და კიდევ რამდენიმე წელი დაუმატეს. გაქცევა უცდია... უცდია კი არა, გაქცეულა და ორი წლის შემდეგ გვარშეცვლილი ასტრახანში დაუჭერიათ. კიდევ ორჯერ გაქცეულა, ამჯერად მაგადანიდან. პირველად გზაშივე დაუკავებიათ, მეორედ — სამ წელიწადს ყაზახეთში იმალებოდა... მერმე ომი დაიწყო. გარეთ ყოფნას იქ ყოფნა არჩია... მერმე სიჭაბუკეც გაქრა, ძველი ცეცხლი აღარ უღვივოდა გულში...

— როდის დაბრუნდა? — იკითხა ნოდარმა.

— მგონი ორმოცდათოთხმეტში. — უპასუხა კოტემ.

— რამდენი წელი იჯდა?

— თითქმის ოცი.

— ახლა რას აკეთებს?

— არ ვიცი, აღარ დავინტერესებულვარ.

— საოცარია, როდისღა მოასწრო ასე გამდიდრება? — თავისთვის ჩაილაპარაკა გელამ.

— ამბობენ, ის ოქრო, რომელიც საი-

უვილერო მაღაზიიდან გაიტაცა, დამალული ჰქონდაო.

— შეუძლებელია!

— არაფერი არ არის შეუძლებელი.

— მაინც, რას აკეთებს ახლა, რას საქმიანობს? — ჩააცივდა გელა.

— გითხარი, არ ვიცი-მეთქი.

— ეგეც შენი შავი კოლა! — წამოიძახა ოთარ სალაყაიამ.

უცებ შუშაბანდიდან ბღლვინვა მოისმა. ეს პლატონი იყო. გამწარებული ბღლვინავდა დათომ შიშით გახედა. პლატონს სახე წამოსწითლებოდა, მრისხანედ იყურებოდა ოთახისაკენ და რაღაცას იმუქრებოდა... წამოდგა, მთელი ხმით იყვირა. ბიჭებისაკენ იწევდა, დედა ძლივს აკავებდა, დათოს პლატონის ამგვარი გაცეცხლება ჯერ არ ენახა და შეეშინდა. შიშითვე გადახედა მეგობრებს. გაოცებული მეგობრები ერთმანეთს მისრეჩებოდნენ. გელამ შუშაბანდში გასვლა დააპირა, ალბათ, პლატონის დამშვიდება მოინდომა, მაგრამ ოთარ სალაყაიამ წაავლო ხელი და შეაჩერა თან თვალებით ანიშნა: ხომ არ გაგიჟდიო?!

დათო შუშაბანდში გავიდა.

— დედა რა მოუვიდა პლატონს?

— არაფერი... არაფერი... შენს მეგობრებს უთხარი წავიდნენ... ბოდიში მოიხადე.

მეგობრები წავიდნენ. უფრო სწორად —გაიძურწნენ.

პლატონი კიდევ ბღლვინავდა. დათო თავის ოთახში იყო და იქიდან ადევნებდა თვალს. მერმე ქუჩიდან სიცილი მოესმა და ფანჯარაში გადაიხედა. ქუჩაში სიცილით კვდებოდნენ მისი მეგობრები, იჭაჭებოდნენ.

— არა ეს რა ჰქნა, კაცო?! — ამბობდა ნოდარი, — რა ხმები ამოუშვა.

— ეტყობა, დიდი ტემპერამენტის კაცია.—მხარი აუბა კოტემ. ბიჭებმა სიცილ-ხარხარით წაიღეს მთელი ქუჩა. ყველაზე უკან გელა მიდიოდა, ჩია, დალეული. გაკვირვებული თავს აქეთ-იქით ატრიალებდა. სხეულის მოძრაობით, მთელი არსებით გაუგებრობას გამოხატავდა.

დათოს გული დაუმძიმდა... პლატონს იგდებდნენ მასხრად, აბიაბრუებდნენ. არ იცნობენ და იმიტომ. პლატონი არ არის მასხრად ასაგდები კაცი. ჩუმია და უწყინარი. ახალგაზრდობაში, ალბათ, კოტე რამიშვილსა ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში დათო ასეთად წარმოიდგენს ხოლმე. რა დაემართა, ასე რატომ აღელდა და გაცოფდა?! ნეტავი რა მოეჩვენა? ფანჯარას ზურგი შეაქცია დათომ. დედას უკვე დაემშვიდებინა პლატონი, შუბლზე ოფლს უწმენდდა ცხვირსახოცით, რაღაცას ეჩურჩულებოდა. პლატონი გაყუჩებული იჯდა და მძიმედ სუნთქავდა დედას ისეთი სახე ჰქონდა, მგონი, საყვედურობდა.

ოჯახი ისევ სიჩუმემ მოიცვა.

ამ სიჩუმის ეშინოდა ყველაზე მეტად დათოს. ახლა გაირკვევოდა, რა მოხდა. გუმანით ხვდებოდა, რომ რაღაცაში მისი მეგობრები იყვნენ დამნაშავე. მაგრამ რა შუაში არიან მეგობრები? თუ ოჯახის ღირსებას უფრთხილდები, პლატონის საქციელი უფრო სამარცხვინო, ვიდრე ის, რომ დათო გალახეს და მშვენებლობა გაქურდეს.

შუა ოთახის კარიდან მირიანმა გამოიხედა. გაფითრებული იყო, მარჯვენა ლოყა უთრთოდა.

— რა მოხდა?

დათომ ხელები გაშალა — არაფერი არ ვიცი.

კარი ისევ მიიხურა.

— თავი მოგვეჭრა... საქვეყნოდ მოგვეჭრა თავი.. — ეს დედაა.

დათომ დღეს გამოიძინა და ტკივილებიც მიყუჩდა. ახლა კი შუბლის ჭრილობასთან ძარღვი უფეთქავდა და საშინელ ტკივილს გვრიდა. თითქოს იარაზე ვიღაც წკიპურტს ურტყამდა. ამ უსიამოვნო შეგრძნებისაგან გული ერეოდა.

— მაშ, ნიკო, ჰა?... ეგ ლაწირაკი!... ქურდია!... არა, არა... ჰო... ვინა, კაცო?

ლაწირაკი! — ეს პლატონია.

— როგორ შეიძლება, კაცს ასეთი ცილი დასწამო?! — ეს ისევ დედაა.

დათო მიხვდა, რომ ყველაფერი მის გასაგონად იყო თქმული. ხმა არ გაუღია, თავის საწოლზე მიწვა, შუშაბანდისკენ ზურგშექცეული.

— დიდი კაცია... ჰო... არა...

შპალერზე ყვითელი ვარდები ეხატა. ვარდის ფურცლებს რატომღაც რუხი ზოლები ჰქონდა მოვლებული. პაწაწკინტელა ჭია მაია მიცოცავდა. ჭია მაიაც ყვითელი იყო, რუხი წერტილებით დაწინწკლული, ვერც კი შეამჩნევდი. ალბათ, ღია ფანჯრიდან შემოფრინდა.

— ეგეთები არიან ახალგაზრდები... ოღონდ ვინმე გაჰკილონ, ცილი დასწამონ... ინიღბებიან, ვითომ პატიოსნები იყვნენ. ისე კი ქვეყანას აქცევენ. ნიკოს რომ არ ვიცნობდე, დავიჯერებდი. — დედამ უცებ ხმას აუწია და უშუალოდ დათოს მიმართა: — შენი ძმაც იყო გადასახლებული... მაგრამ ქურდი და ოხერი არ ყოფილა... წინასწარ არავინ იცის, რა შეემთხვევა.

კარის გაღებისა და მირიანის ხმა დათომ თითქმის ერთდროულად გაიგონა:

— მეც ვიცნობ შავ კოლას!

— შენ საიდანღა იცნობ? — შეეკითხა გაკვირვებული დედა.

— მაგადანში შემხვდა.

— მერმე?

დათო საწოლზე წამოჯდა.

— რა მერმე? — მირიანს კაცის ფერი აღარ ედო და საშინლად უცახცახებდა მარჯვენა ლოყა.

— არაფერი... მხოლოდ ეგ ვთქვი, რომ შენც გადასახლებული იყავი... შემკრთალი ხმით თქვა დედამ.

— იმას ნუ მადარებ... მე სხვა ვარ!

დათოს მეხსიერებაში წამით გაიელვა პირმოკუმულმა, ვარდისფერმა ნაჭრილობევმა. ამ რამდენიმე წლის წინ მირიანმა პერანგი ამოიჩაჩა და შინაურებს ფერდზე დამჩნეული ნაიარევი აჩვენა. სულ ორი დღის დაბრუნებული იყო მაშინ. დათოს ეგონა, მირიანს ეს ჭრილობა ომში ჰქონდა მიღებული. მაგრამ მირიანმა თქვა: ეს ერთადერთი ჭრილობაა, რომელიც ომში არ მიმიღიაო... მერმე ვიღაც ახსენა... ახლაღა მოაგონდა — ვინ ახსენა იმ დღეს უფროსმა ძმამ.

— რა ვიცი, შვილო, პლატონი ამბობს: ჩემს ოჯახში ნიკოს აუგად ხსენების უფლებას არავის მივცემო.

მირიანმა დათოს გადახედა და უხმოდ დატოვა ოთახი. დედაც ისე გავიდა შუშაბანდში, სიტყვა არ ამოუღია.

დათოს თავი უსკდებოდა ტკივილისაგან, ტკივილი ისევ ქუთუთოებზე ჩამოაწვა და დაუმძიმა, გაბრუებული, მირიანზე ფიქრობდა. მირიანმა შეაკრთო, მირიანმა ბევრი რამ იცოდა, მირიანი ბევრ რამეს მალავდა, მირიანს ბევრი რამ აწუხებდა... ყველაზე მეტად საკუთარი დუმილი აწუხებდა მირიანს...

ისევ საწოლზე გადაწვა, პირი კედლისაკენ იბრუნა... ყვითელი ვარდებით იყო მოფენილი კედელი. ბევრი ვარდი იყო კედელზე მიყრილი, ბევრი... ძალიან ბევრი... ვარდის ფურცლებისთვის რუხი არშიები შემოევლოთ. ალბათ, იმიტომ, რომ ყვავილები უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო... პაწაწკინტელა ჭია მაია ისევ მიცოცავდა თავისი გზით, ჭია მაიაც ყვითელი იყო, ყვითელი, რუხი წერტილებით დაწინწკლული...

დათო ცუდ გუნებაზე ძივიდა გელასთან რედაქციაში. გუშინდელი ამბის შემდეგ მისვლა ერიდებოდა, მაგარმ სხვა გზა არ ჰქონდა.

წუხელ მთელი ღამე არ სძინებია. უძილობა ჯერ იმას დააბრალა, რომ დღისით კარგად გამოიძინა. მერმე ფიქრებმა შეაწუხა, ფიქრებიც იმ ძილ-ღვიძილივით ბურანიანი და გაურკვეველი იყო. არც მირიანს ეძინა მშვიდად, მთელი ღამე შფოთავდა, წრიალებდა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა. ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ ასე მოხდა: იმ ღამეს დათო მოკრძალებით განიმსჭვალა ძმისადმი. მირიანი ომში რამდენჯერმე იყო დაჭრილი,

ყველა ეს ჭრილობა უნახავს დათოს... ხოლო იმ ნაიარევმა, პირველად ომიდან მოყოლილი რომ ეგონა, გუშინ დათოს თვალში სხვა აზრი მიიღო. ომში შემთხვევითაც შეიძლება კაცი დაიჭრას. ასეთი დარტყმა კი შემთხვევითი არ უნდა იყოს. ორი პიროვნება დაუპირისპირდა ერთმანეთს. მერმე ისიც სად, რა გარემოში?! ამაზე აქამდე არ უფიქრია. მირიანი უკვე სხვაგვარად ესახებოდა ახლა დათოს. კაცი, რომელიც ყოველ დილას რძესა და პურზე მიდიოდა, მირიანი არ იყო. მასში მიმალული იყო ნამდვილი მირიანი. მაგრამ როგორია ნამდვილი მირიანი? დათომ არ იცოდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ვითომ ისეთივე იქნებოდა, ომამდელი? გულუბრყვილო, ყველაფერს ხარბი ალტაცებით რომ უმზერდა? მირიანმა მკაცრი გზა გაიარა და არ შეიძლებოდა, ამ გზას თავისი კვალი არ დაემჩნია. კაცი, რომელიც სხეულით ხუთ ჭრილობას ატარებს, შეუძლებელია ისეთივე დარჩეს, როგორიც ჭრილობებამდე იყო, ყოველ ჭრილობას თავისი პატარა ცხოვრება აქვს, თავისი წარსული და მომავალი.

მირიანი ძილში ბორგავდა. მას ხუთი ჭრილობის ტკივილი კი არ აწვალებდა, აწვალებდა ხუთი წარსული ამ ჭრილობებისა. მირიანი ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა. ეს სიტყვები დათოსთვის იყო გაუგებარი და გაურკვეველი, თორემ ისინი იმავე ცხოვრებიდან, იმავე წარსულიდან იყვნენ ამოსროლილნი...

მერმე დათომ ნაცნობი ხმები გაიგონა. ის ხმები ძალიან ჰგავდა მეგობრების მიერ ქუჩაში ატეხილ სიცილს. სწრაფად წამოხტა და ფანჯარაში გადაიხედა. ქუჩა წყნარი და უკაცრიელი იყო. ისევ შეწვა ლოგინში, საბანი წაიფარა. როგორც ჩანს, წასთვლემია და ძილში გაუგონია მეგობრების სიცილი. მერმე კიდევ კარგა ხანს იცოდვილა, იტრიალა, მოხერხებულად მაინც ვერ დაწვა...

პლატონის უეცარი აღელვებაც გაუგებარი იყო. თუ შავი კოლა მეგობარია და პლატონი ვერ იტანს მეგობრის აუგად ხსენებას... თუმცა, რად უნდა იყვნენ ეგენი ერთმანეთის მეგობრები?! ვთქვათ ასეა, მაშინ პლატონის მხრიდან ამგვარი თავგანწირვა მოულოდნელია. ვინც პლატონის წყნარსა და აუღელვებელ ბუნებას კარგად იცნობს, მის ამგვარ მოქმედებას ნამდვილად თავგანწირვად ჩათვლის და გაუკვირდება.

შავი კოლა გაცილებით ახალგაზრდა უნდა იყოს პლატონზე. გარდა ამისა, ერთი სხვა კაცია, მეორე — სხვა... ნეტავი რა აკავშირებთ, რა აქვთ საერთო? იქნებ საქმე? მაგრამ მარტო საქმით ადამიანების დამეგობრება ძნელია... დედასაც სცნობია, დედაც ამბობს: წესიერი კაცი არისო... დედა რომ ცდებოდეს, არცაა გასაკვირველი. შავი კოლა, ერთი შეხედვით, პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს...

დათოს ფიქრი აღარ შეეძლო. წამოდგა, საწერ მაგიდაზე მაჯის საათს მისწვდა: ისრები ოთხის ნახევარს უჩვენებდა. ოთახში ფეხაკრეფით გაიარ-გამოიარა. მერმე ფანჯარასთან მივიდა და რაფას ნიდაყვებით დაეყრდნო. ფანჯრიდან სუსტად განათებული ქუჩა ჩანდა, ვიწრო და წყნარი... ნათურის ახლოს დიდი ცაცხვის ხე იდგა. ახლოდან გაშუქებული ფოთლები თითქოს თვითონვე ასხივებდნენ მწვანედ, უფრო ფოსფორისფრად. ეს ფერი ფოსფორისა დეკორატიულ იერს აძლევდა ხეს.

მხარზე რაღაც თბილი და ფაფუკი შეეხო. ხატაურა კრუტუნით ეხახუნებოდა დათოს. კატის თბილმა ბეწვმა აგრძნობინა, რომ ფანჯარასთან გრილოდა.

— რა გინდა?

ხატაურამ საცოდავად დაიკნავლა.

— წყალი ხომ არ გწყურია? წამო, ვნახოთ, გისხია, თუ არა, წყალი.

სირბილით დაედევნა ხატაურა. კონსერვის კოლოფი ცარიელი იყო. დათომ წყლით გაუვსო და ისევ დაუდგა.

— შენა ხარ, დათო? — ხმადაბლა იკითხა დედამ.

— ჰო, მე ვარ.

— რატომ არ გძინავს?

— რა ვიცი, არ მეძინება.

დედა შუშაბანდში დახვდა დათოს, სინათლე აენთო და ხალათმოხურული ელოდებოდა. ალბათ, სათქმელი ჰქონდა რაღაც, თორემ რატომ ადგებოდა? დაფიქრებული იატაკს დასჩერებოდა, რამდენიმეჯერ დააპირა სიტყვის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა. დათო მდუმარედ უმზერდა. უნდოდა წინასწარ გამოეცნო, რას ეტყოდა დედა.

დედამ თვალებში შეხედა შვილს.

— როგორ დაგამახინჯეს, შვილო.

— არა უშავს, მალე გამივლის.

—რა დაგვემართა?!

— ისეთი არაფერი.

— პლატონს ეგ არ უნდა დამართოდა. რას იფიქრებენ შენი ამხანაგები?

— მართლა, რა დაემართა პლატონს?

დედა შეყოყმანდა.

— რა პლატონის მეგობარია შავი კოლა?

— არ ვიცი.

— აკი თქვი, ვიცნობო?

— ის პლატონის გასაგონად ვთქვი... ნიკო მე მხოლოდ ორჯერ ვნახე.

— მაინც რა აქვთ საერთო?... ვერ გამიგია...

— გამიგონე, შვილო, — დედამ თითქმის ჩურჩულით გააგრძელა საუბარი, — პლატონს ეშინია ნიკოსი...

— როგორ თუ ეშინია?!

— ნამდვილად ეგრეა... ჯერ შევამჩნიე და მერმე გამოვტეხე. მეგობრობს, ამავე დროს ეშინია.

— რა აშინებს?

— ეგ ვერ გავიგე... ამხელა კაცს ვერ ვკითხე: რისი გეშინია-თქო?

— აკი თვითონ ამბობდა, ჩემი მეგობარიაო... დიდი კაციაო...

— ამბობდა და, მართლაც, რომ იცოდე, მეგობარია... ბევრ საქმეს უკეთებს... დიდ საქმეებს.

— მაინც რა საქმეებს?

— ეშინია, ძალიან ეშინია... ნიკომ თუ როგორმე გაიგო, რომ ჩვენს ოჯახში მასზე ასეთი რაღაც ითქვა... — დედამ აღარ დაამთავრა, ღრმად ამოისუნთქა, რითაც სათქმელის აზრი დაასრულა.

— რა საქმეებს უკეთებს?...

დედამ არაფერი უპასუხა.

დათომ ხელი ჩაიქნია, შუშაბანდიდან აგდებულად, ამრეზილად გახედა ღამის სიბნელეს.

— წავალ, იქნებ დამეძინოს.

— მოიცა, შვილო... შენ, რა თქმა უნდა, არ გაამხელ, რა შეგემთხვა... არსად, არავისთან არ ახსენებ ნიკოს...

— მაგაზე ვიფიქრებ, დედა.

— გონიერი კაცი ისე მოიქცევა, როგორც მე დაგარიგე.

— ვნახოთ...

დილით მაინც მივიდა მშენებლობის უფროსთან. საათნახევარი უცადა ჯერ მის მოსვლას, მერმე ამდენივე — მიღებას.

მაგიდას უჯდა განიერმხრებიანი, წითური მამაკაცი. თავი მხრებში ჰქონდა ჩარგული. თმა წინ გასცვენოდა და მელოტის დასამალად კეფიდან საგანგებოდ გადმოევარცხნა. ადგილზე ვერ ისვენებდა, სულ შფოთავდა, ხმამაღლა იძლეოდა განკარგულებებს. უფროსის მაგიდას გვერდიდან მისჯდომოდა გამხდარი, გრძელკისერა ბერიკაცი, რომელსაც ერთგვარად ტკბილი ღიმილი დასთამაშებდა დამჭკნარ სახეზე. იგი უდიდესი მოკრძალებით უდებდა წინ ხელმოსაწერ ქაღალდებს. დათო ამ კაცს არ იცნობდა.

— რისთვის გარჯილხარ? — ჰკითხა მშენებლობის უფროსმა დათოს.

დათომ უთხრა, რისთვისაც გაისარჯა.

— რა გვარი ხარ?

— ნათიშვილი.

— ამაშია საქმე!

რაში იყო საქმე, დათო ვერ მიხვდა.

გრძელკისერამ უცებ მოიწყინა და თავი ჩაქინდრა, ბებერ ინდაურს დაემსგავსა.

დათო, ვიდრე თავისას იტყოდა, დაძაბული იყო, ახლა დამშვიდებული ელოდა უფროსის განაჩენს.

— იმ ღამეში რისთვის მიხვედით მშენებლობაზე?

შეკითხვა იმდენად ვერაგული და მო-

ულოდნელი იყო, რომ დათო აილეწა. რა ეთქვა? რისთვის მივიდა იმ ღამით მშენებლობაზე?... უცებ ვერაფერი მოიფიქრა და სდუმდა.

— გეკითხები, იმ ღამით რა გინდოდა იქ?!

ბებერი ინდაური გამოცოცხლდა, თვალები აუციმციმდა.

დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა. მშენებლობის უფროსი, ეტყობა, დუმილსა და სიწყნარეს მაინცდამაინც ვერ ეგუებოდა.

— მარტო იყავი?

— რა მნიშვნელობა აქვს...

— გასაგებია! — შეაწყვეტინა მშენებლობის უფროსმა, — შენ არ ამბობ, რატომ მიხვედი, არც ის გინდა თქვა, ვისთან ერთად იყავი.

დათომ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა, რადგან მისი ასეთი ქცევა მართლა საეჭვოდ მოეჩვენებოდა კაცს.

— საცოლესთან ერთად ვიყავი, ბატონო.

— ახლა არ მითხრა, მშენებლობას ვათვალიერებდითო.

— დიახ...

— ამაშია საქმე!

დათო ვერც ახლა მიხვდა, რაში იყო საქმე.

მშენებლობის უფროსმა ბებერ ინდაურს გადახედა. ბებერმა ინდაურმა პირზე ხელი აიფარა და ჩაიქირქილა.

— მაშ, ერთად დაათვალიერეთ, არა?! ისე რა შთაბეჭდილება დატოვა მშენებლობამ?

დათო შეეცადა აეხსნა მშენებლობის უფროსისათვის, რატომ მივიდა საცოლესთან ერთად და მერმე რა მოხდა. ლაპარაკის დროს გრძნობდა, რომ უფროსი ყურს არ უგდებდა და არც აინტერესებდა მისი ნათქვამი. ხოლო დათო, უფროსის ყურადღება რომ მიექცია, უფრო დაწვრილებით უყვებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა თავის სიმართლეში.

— გესმის, პოლიკარპე, რა ამბები ხდება ქვეყანაზე? — მიუბრუნდა მშენებლობის უფროსი ბებერ ინდაურს. — მერმე კიდევ გისაყვედურებენ, რის ერჩით ამ ახალგაზრდებს, რატომ გზას არ აძლევთო. მისცემ გზას და ყველაფერს გაგითახსირებენ. ძალიან მაინტერესებს. ვინ არის ამ კაცის საცოლე...

— რა მნიშვნელობა აქვს...

— როგორ თუ არა აქვს?!..

— მე სრული სიმართლე მოგახსენეთ.

— ამაშია საქმე!

დათო ფიქრობდა, ეხსენებინა თუ არა, შავი კოლა. შეიძლება ამ სახელის ხსენებას უფრო მეტი დამაჯერებლობა მიეცა მისი ნათქვამისათვის. მაგრამ ვინ აცალა... მშენებლობის უფროსმა დიდხანს ილაპარაკა მშენებელთა ამოცანებზე. მათ ღირსებასა და პატიოსნებაზე. ბოლოს დასძინა:

— ხედავ, პოლიკარპე, რა დღეში ვართ?... მშენებლობა საროსკიპოდ გადაუქცევიათ. ამ საქმეს სასამართლოს გადავცემ!

მერმე როგორ მოხდა, დათოს აღარ ახსოვს... ეტყობა, ველარ გაუძლო გაუგებრობას, აბუჩად აგდებას, დაცინვას... თავი ველარ შეიკავა... ვილაცეებმა მშენებლობის უფროსის ოთახიდან გაიყვანეს და ქუჩამდე მიაცილეს.

კარგა ხანს იქვე იბორიალა, იწრიალა, უკან შებრუნება დააპირა. მერმე გადაიფიქრა და გელასთან წასვლა არჩია.

დიდ, მზით განათებულ ოთახში შეაღო კარი. გელა კარის პირდაპირ უჯდა უზარმაზარ, დაძველებულ მაგიდას. წაწვეტებული ცხვირი თითქმის ქაღალდზე ედო და გამალებული რაღაცას წერდა. დათო დაინახა თუ არა, წამოდგა და მიეგება. სკამი მოუტანა და ახლო დაისვა. ოთახში საწერი მაგიდა, ორი ძველი გაზეთებით გამოტენილი წიგნების კარადა და ერთი მუშამბა გადაკრული გაძვალტყავებული ტახტი იდგა. ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე ჭადრაკს თამაშობდნენ, ისე იყვნენ გართულნი, დათოს შემოსვლა არც გაუგიათ.

გელამ, ცოტა ხანი დამაცადეო, წერა განაგრძო.

ყველაფერი დაკარგული იყო.. დათო

მშენებლობაზე აღარ მივიდოდა, სასამართლოთიც დაემუქრნენ... ყველაფერი გათავებული იყო... რას უშველიდა ახლა გელა? მაგრამ... როგორ შეიძლება ასე უსამართლოდ დაისაჯოს ადამიანი?! ალბათ, გაარკვევენ, ბოლოსდაბოლოს, გაირკვევა, ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი... ციცინოს სახელი არ უხსენებია... ალბათ, იძულებულს გახდიან, ახსენოს... ეს უკვე ცუდია... თუმცა რა შუაშია ციცინო? ასეა! თუ რამე წამოგცდა, ბოლომდე უნდა თქვა. არა — და რატომ მალავ? გეშინია ციცინოს სახელი არ გაუტყდეს. მაგრამ რა შუაშია ციცინო? ვითომ უმისოდ ჭეშმარიტების დადგენა გაუჭირდებათ? განა ასე ძნელია ჭეშმარიტების დადგენა? ის, რაც ერთისთვის დღისავით ნათელია, მეორისთვის რატომაა ბნელი? რატომ არ შეიძლება უფრო მარტივად გაუგონ ერთმანეთს? შენ რომ იცი და დარწმუნებული ხარ საკუთარ სიმართლეში, არაფერს არ ნიშნავს, მთავარია, ყველას გააგებინო და ყველა დაარწმუნო, რომ მართალი ხარ... სუფთა გულითა და სინდისით განმარტოება მცირე ნუგეშია, ანუ არც არის ნუგეში.

გელა წერას განაგრძობდა. გულისგამაწვრილებლად წრიპინებდა კალამი. ალბათ მთელ ქვეყანაზე მარტო გელას შეეძლო ამ კალმით წერა. ქაღალდს დღაბნიდა, ფხაჭნიდა. დათოს ცუდად აჟრჟოლებდა. სკოლის შემდეგ არც უნახავს ასეთი კალამი.

— არაფერი არ გამოდის! — გელამ კალმისტარი მიაგდო მაგიდაზე. — ესეც საქმეა?! გაიგე ახლა, რომელია მართალი... ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ცოლის ბრალი იყოს, მოსამართლეც ცოლს დებდა ბრალს... მე ვერ გავიგე... ერთ ადამიანს აღარ უნდა მეორე ადამიანთან ცხოვრება, ოთხი წელი იცხოვრეს და აღარ უნდა... ალბათ, აქვს ამის მიზეზი, ისე რად მოინდომებდა გაყრას?. ორივე წესიერი ადამიანია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ერთმანეთს ვერ ეგუებიან, უფრო სწორედ, ქალი ვერ ეგუება მამაკაცს. ოჯახი ინგრევა... კარგი ოჯახი. ახლა ეძიე მიზეზი, არკვიე და გაჰკიცხე.

დათო რატომღაც დარწმუნებული იყო, გელა თეონას მუსიკის მასწავლებელზე ლაპარაკობდა.

— ჯერ ვიღაც ქურდბაცაცას საქმე გაარჩია, მერმე ვიღაც ლოთისა, რომელსაც სიმთვრალეში თავისი ცოლი მიუსიკვდილებია... ბოლოს ამ ცნობილი ოჯახის საქმე გამოიტანა... ცინიზმია, მაშ, რა არის! — უცებ აღშფოთდა გელა. — მოსამართლეს ვიცნობ და ვკითხე: რატომ ჰქენი მეთქი ასე? განგებო, — მიპასუხა. ეგეთი ცინიზმი, — ვუთხარი, — ამ ოცი საუკუნის წინათაც იყო ცნობილი: ქრისტეს გვერდით ორი ავაზაკი აცვეს ჯვარს-მეთქი.

— მოგიკლავს და ეგ არის! — გაიცინა დათომ.

— მე კი ჩემი ვუთხარი და გინდა მოკვდეს, გინდა იცოცხლოს.

— ის ქალი მუსიკას ხომ არ ასწავლის?

— კი, მართლა, დედაშენსაც მოვკარი სასამართლოზე თვალი და გამიკვირდა.

— დარწმუნებული ვარ, იქნებოდა.

— მესამე დღეა ვწერ და არაფერი გამომდის.

— რასა წერ?

— წერილს... რამდენიმე გაყრას დავესწარი. მშრალი რომ არ გამომივიდეს, ცოცხალი მაგალითები მჭირდება.

— მაგალითებთან ერთად იქნებ სიმართლეც იყოს საჭირო?

— რა თქმა უნდა.

— მეც ეგრე მგონია.

— რა ქალია!... ღმერთო, რა ქალია!...

— ვინა?

— ბუბა ეშბა — მუსიკის მასწავლებელი.

— მოეშვი მაგ ბუბას და... საერთოდ, მაგ ოჯახს.

— კარგი ოჯახი არ უნდა დაინგრეს.

— რას ჰქვია კარგი ოჯახი?

— კარგი... წესიერი.. რა ვიცი, რას ჰქვია...

— თუ კარგი ოჯახი არსებობს, ცუდიც იარსებებს?

— რასაკვირველია.

—თუ კარგი და ცუდი არის, საშუალოც იქნება?

— კი.

— თუ ეგრეა, კარგზე კარგი ოჯახიც იქნება... ცუდზე ცუდიც... მერმე: კარგზე ცოტათი ცუდი... ცუდზე ცოტათი კარგი... საშუალოზე ცოტათი ცუდი, ან ცოტათი კარგი...

მოჭადრაკეები ხმაურით აიშალნენ.

— რა გუნებაზე ხარ, დათო?

— შენი სიტყვიდან გამოვედი... ისე კი... მაინტერესებს ოჯახების კლასიფიკაცია.

— ნეტავი შენ! მაგას ვინ გაარკვევს?!

დათო წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხარ?

— წავალ.

— შენ საქმეს როგორ მოვუაროთ?

— ბოლოსდაბოლოს, გაჰყარეს ბუბა ეშბა და მისი ქმარი?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კარგი ოჯახი არ უნდა დაინგრეს.

— ?..

— ქალი შეარცხვინეს... ერთი სიტყვით, ნამუსზე შეაგდეს... ღმერთო, რა ქალია!

— ნახვამდის!

— მართლა, თავი როგორა გაქვს, გაწუხებს?..

— ცოტათი.

სექტემბრის ნათელი და მზიანი დღე იყო. დათო რუსთაველის პროსპექტით ბრუნდებოდა შინ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პატარა ბავშვის ქუდი ეხურა, სწორედ ის, სიზმარში ძალით რომ ჩამოაცვეს თავზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი შატბერაშვილი**

## მზე კალენდარზე

შენს კალენდარზე, თარიღის გასწვრივ,
მოკლედ სწერია:
„ამოდის...“ „ჩადის...“
წუთი ამოსვლის და წუთი ჩასვლის,
მზის ამოსვლის და ჩასვლის საათი.

და, მართლაც, თითქოს ემორჩილება
საათის რეკვას, საათის წადილს,
თითქოს დასცქერის მუდამ
ციფერბლატს —
ზუსტად ამოდის და ზუსტად ჩადის.

შენ გიხარია,
უმზერ და უსმენ
მისი სხივების თამაშს და ჟღარუნს,
ოქროს ზოდივით ისვენებ გულზე,
იხუტებ მკერდზე ქვეყნის სიხარულს...

მაგრამ, ვინ იცის,
ვისთვის ამოდის,
ვისთვის ამოდის და ვისთვის ჩადის,
ვინ იცის,
ვისთვის როდის ამოდის,
როდის ამოდის და როდის ჩადის!

## სპექტაკლის შემდეგ

ორი თუ სამი საათის წინათ
ამაყად იდგა კოშკი მაღალი,
ახლა კი სცენას მკვდარსავით სძინავს...
აქ დადიოდა ფერმკრთალი ქალი.
აქ დადიოდა შეშლილი ქალი
და ჩვენ ვისმენდით გიჟურ სიმღერას,
ვგრძნობდით,
ვხედავდით მის ნამდვილ ცრემლებს...
თავი დაიხრჩო იმ ქალმა მერე.

იმ აჩრდილიან, წვიმიან ღამით
აქ დადიოდა დანიის პრინცი,
შავფიქრიანი, შავ მოსასხამით.
მას აწვალებდა აღთქმული ფიცი.
შემდეგ ის პრინცი დუელში დასჭრეს
და აღსასრულმაც დარეკა ბოლოს,
და მან იკითხა:
„სხვა რაღა დარჩა?“
სხვა რაღა დარჩა... სიჩუმე მხოლოდ.

შემდეგ სცენაზე ჩამოწვა ჩრდილი
და ელსინორას სძინავს მკვდარსავით,
თუმც გარდერობში ჯერ ისევ თბილი
ქანაობს პრინცის წამოსასხამი.

სცენაზე ბნელა, სიჩუმე დადის,
თეატრში ღამით სიჩუმე დადის,
რბილი ხმაური სცენაზე დადის,
იდუმალია სიჩუმის თათი.

ასე იწყება ღამის სპექტაკლი
თავის სიმღერით, თავის სისწორით,
სიჩუმის ქარი სცენაზე დაქრის,
თვით სიჩუმეა აქ რეჟისორი.
სიჩუმე არწევს მუყაოს კოშკებს,
თუნუქის შუბებს, თაღლით ზარადებს,
სადღაც კუთხეში მიხვეტილ დროშებს
გადაყრილ დროშებს, ყალბ
მუზარადებს.
ზარი სამრეკლოს არ აზანზარებს,
ზარებს დუმილი სიჩუმეს ურჩევს,
და მიყრდნობია ყალბი ტაძარი
თეატრის მძიმე და ნამდვილ ბურჯებს.
ამაზრზენია სპექტაკლი ღამის,

იდუმალ თამაშს მიუძღვის ვილაც,
სცენის კუთხიდან გონჯის ნიღაბი
თვალს უბრიალებს ქალწულის
ნიღაბს.
მეფის გვირგვინი ქოთანთან გდია,
ხელმწიფის ტახტზე ასულა ვირთხა.
მდუმარე სცენას, პარტერის წყვდიადს
თავის მონოლოგს ის წაუკითხავს.

სადღაც კი, თავის ვიწრო ბინაში
სძინავს მსახიობს შფოთიან ძილით,
და ეზმანება მომსკდარი ტაში,
მომწყდარი ცრემლი, წმინდა სიცილი.

დაღლილ ბავშვივით სძინავს და
უკვირს,
სძინავს უნიღბოდ, სძინავს უგრიმოდ.
ვაი თუ ბედმა ჩაუქრო შუქი,
მუყაოს კოშკი მას დაუნგრიეს,
სიზმრად აბოდებს და ძილში ღვიძავს,
და ნატრობს ფეხზე წამომდგარ
პარტერს,

სცენაზე სიკვდილს... სიცოცხლის
მიზანს.
სიცოცხლის ფასად მიღებულ
ვარდებს.

# მამალხინეს სიკვდილი

**სანდრო ქვლივიძის მოსაგონარი**

ვილა არ კვდება და ბოლოს მამალხინეც მოკვდა...

დაგზავნეს მოპატიჟეები და დაიძრა ქართლი. იდინა და იდინა. იდინა ორღობეებით, შარაგზებით, სოფლის ბილიკებით. მოდიოდნენ ფეხით და მსუბუქი მანქანებით. ხანდახან ლურჯი ავტობუსიც გამოიქროლებდა და პატარა სოფლის აღმართს ქაქანით შეუდგებოდა. მოდიოდნენ და მოაბნელებდნენ შარას. მარტი იდგა, ამინდი ხშირად იცვლებოდა, მშრალ ხოშკაკალაში ხამუშ-ხამუშ მტვრის კორიანტელი ირეოდა. მოდიოდნენ. ცხენებითაც კი...

თუმცა რა, სულ ორი ცხენოსანი გამოჩნდა სოფლის აღმართში. შუბათელი ან გოსტიბელი მთიელები იყვნენ, ბერიკაცები... ცხენებზე ამაყად და ეშხიანად ისხდნენ.

იქნებ ესენი ის ცხენოსნები იყვნენ, ამ ორმოცი წლის წინათ შუაღამისას კარზე რომ მოგვაყენა მამალხინემ? მაშინ მე თოთხმეტი წლისა ვიყავი. ათი ცხენოსანი დავთვალე...

სხვები რაღა იქნენ? წავიდნენ?... მამალხინეც ხომ წავიდა...

მოსამძიმრენი ბექზე გადამდგარი ძველი, ორსართულიანი სახლის ეზოში ქუჩდებოდნენ, მწყობრად, ტაატით ადიოდნენ ქვის კიბეზე და იმ დიდ ოთახში შედიოდნენ, სადაც მამალხინე გულაღმა იწვა.

მამალხინე კუბოში იწვა, გულხელი დაეკრიფა და თავისი დარბაზის ჭერს შესცქეროდა. არა. თუმცა თვალები ოდნავ, სულ ოდნავ ღიად დარჩენოდა, მაგრამ ამას ცქერა აღარ დაერქმეოდა.. პირზე კი კეთილი ღიმილი ნამდვილად დაჰფენოდა. კეთილი, დამცინავი ღიმილი, ისეთი, როგორიც სიცოცხლეში იცოდა. ძნელი იყო დაჯერება. მამალხინე მომკვდარიყო და გულაღმა იწვა. ქალმა ითავცემა, კაცმა იოხრა და იოხა გული. გრილია კაცის გული. გრილია, მაგრამ ბევრს ცრემლიც წასცდა, კენტი, ალალი ცრემლი, დაუკითხავად რომ იცის მოსვლა.

ადრე მოსულები ეზოში ირეოდნენ. ხუმრობაც ისმოდა და ქილიკი სიტყვაც. თვითონაც ხომ ასეთი იყო. წინ ბევრი გაიმძლვარა და ცრემლიც ბევრისათვის დაუყრია, მაგრამ შავ დღეებშიც პირზე ღიმილი არ მოშორებია. მიწა ვართ, მიწად უნდა ვიქცეთო, იცოდა თქმა და სიკვდილის წინ სალი ჭკუით ანდერძი დაეგდო, აქვე, ჩემ ეზოში ჩამფალითო. ა იმ ნუშებთან ჩამფალითო; ცოცხალი ამ ოჯახის ბურჯი ვიყავი, მკვდარი გუშაგად დავუდგები, მტერი ჩემი შიშით ამ ეზოში ვერ შემობედავსო.

ჰოდა, სახლის ხელმარჯვნივ. იმ ნუშებთან ორი კაცი მამალხინეს საფლავს თხრიდა.

გზის პირას თბილისიდან მოსული ლურჯი ავტობუსი იდგა. ჭიშკარში შემოსული ქალაქელი მგზავრები მესაფლავეებსაც ხედავდნენ და საფლავსაც, რომელიც სახლის გადასწვრივ ნუშებთან ითხრებოდა და უკვირდათ.

მოშუადღევებულიყო. ამინდი ირეოდა, ხანდახან მზეც გამოაშუქებდა. მიუხედავად ძლიერი ქარისა და მარტის უსიამოვნო სუსხისა, ირგვლივ გაზაფხულის ძლიერი სუნთქვა იგრძნობოდა, ეს სუნთქვა თითქოს თვით ამ ნესტიან სუსხსა და მზის სხივებში გათქვეფილ ქარებს მოჰქონდათ. აქანებდნენ ნუშის ტოტებს, ერთმანეთს ახეთქებდნენ, ახლიდნენ უკვე კარგად გამოხორბლილ, შევარდისფრებულ კვირტებს... ჰა და ჰა, ერთი ძლიერი შემოქროლება, ერთი დაქუხება აკლდა და, დაიძახებდნენ, დასკდებოდნენ და გახეთქილი კვირტიდან ყვავილის მოვარდისფრო ნისკარტი გამოიხედავდა.

მამალხინე კი გულაღმა იწვა და თავისი დარბაზის ჭერს შესცქეროდა. ძნელი იყო დაჯერება.

— ეჰ, ბრალია, ამ დროს სიკვდილი... —თქვა ვილაცამ.

— ჰო, გუშინ ნამდვილი გაზაფხული იყო... ნუში გამოიტყუა.

— ნუში სულელია. გამოიხედავს და დაბრმავდება.

— დაბრმავდება და ახიც იქნება.

— არა, კაცო, ატამმაც გამოიწია.

— ატამი ნუშის დაა... ეგეც მოტყუვდება. აბა კაკლის ხეს შეხედე, როგორა სძინავს. აგრე ადვილად არ მოტყუვდება. ფესვი ღრმადა აქვს. მიწის სუნთქვა სცემს და აფრთხილებს.

ღრუბლები გადაიკრიფა და მზე გამოჩნდა, თბილი და მწველი. დათბა. ქარი უცებ ჩადგა.

— ჯორმა ფეხი მოიტეხა,—თქვა ისევ იმ კაცმა.

— რაკი მოიტეხა, საქმეც წინ წავა, თვალებში მიწას მაინც აღარ მიაყრის. აჩქარდებიან. საფლავიდან თავი ვერ ამოუყვიათ.

— ვითომ ქარი უშლით? წელმოწყვეტილები არიან... ის ერთი მაინც ისე იქნევს წერაქვსა, თითქოს თავის საფლავსა თხრიდეს.

— წეღან ჩავიხედე... არც ღრმა მოჩანს და ცოტა არ იყოს, ვიწროც მეჩვენა.

— ზევიდან ასე ჩანს. ცოტაც და მორჩებიან.

—ეზოში ხალხი თანდათან მატულობდა. შორიდან ადრე მოსულებს მეზობლები ემატებოდნენ. სახლის წინ, შიშველი ხეების ქვეშ, რამდენიმე გრძელი სუფრა იყო გაშლილი. ხალხი მოთმინებით ელოდა საფლავის თხრის დამთავრებას, მიცვალებულის გამოსვენებას... იქით, საჩეხში, კვამლი ტრიალებდა. ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. ბაკში შემწყვდეული მყეფარი იღრინებოდა. შორიდან ხარის ბღავილი ისმოდა. ხალხი მოთმინებით ელოდა გამოსვენებას... მერე გრძელი სუფრები შეივსებოდა. იქნებოდა სიცილიც, ხუმრობაც. ცრემლიც. ცის ქვეშ.

სახლის ქვემო სართულიდან გამოჰქონდათ ჯამ-ჭურჭელი, ხორაგი, ლიკანზე გადახვეული ლავაში, სუფრას შლიდნენ, ხუმრობდნენ. ასე იცოდა მამალხინემაც. ასე იცის გაზაფხულმა, მშიერმა, ადრეულმა გაზაფხულმა. ხიხრიკობამ, ასკილის ყვავილობამ. საფლავი აქვე ეზოში ითხრებოდა, შორს არსად იყვნენ წასასვლელი, ამიტომ ჩქარობდნენ ყველაფრის მოთავებას, ყველაფრის...

მაგრამ მამალხინეს ერთი ანდერძიც დაეტოვებინა. ეს კი არ იცოდა ხალხმა. მხოლოდ შინაურებმა იცოდნენ. არც არავისთვის გაუნდვიათ. აბა, მამალხინე რა მამალხინე იქნებოდა, თუ სიკვდილის წინაც არ იხუმრებდა. თუმცა, მისი ხასიათი რომ ვიცოდით, იქნებ ჩვენ მოგვეჩვენა მისი ანდერძის მეორე პუნქტი ხუმრობად, თორემ აბა, რა ხუმრობაა, კაცმა სიკვდილის წინ ინატროს, რომ მოვკვდები, ჩემი სოფელი ერთხელ კიდევ შემომატარეთ, ჩემი კუბო ჩემი

თელათგორის ორღობეებს დაანახვეთ, მაგრამ ეზოში ჭიშკრიდან არ შემომასვენოთ, მეორე მხრიდან ძეძვის ღობე აჰყარეთ, სწორედ იქ, სადაც საფლავი გაითხრება და იქიდან შემომასვენეთო.

* * *

შუაღამე გადასული იყო. გვეძინა. უცებ თითქოს ყურში ჩამძახესო, გამეღვიძა და წამოვხტი. ვერ გავერკვიე, რა ხდებოდა: დედა უკვე ფეხზე იდგა, კაბა გადაეცვა და კარისკენ მიდიოდა. ჩემს პატარა ძმებსაც გაღვიძებოდათ, დაი ლოგინში წამომჯდარიყო... სახლის წინ, ორღობეში, ისევ გაისმა ომახიანი ძახილი, ცხენების ფრუტუნი. ვიღაცამ ჩაიმღერა. ალბათ იმიტომ, რომ არ შეგვშინებოდა.

— მასპინძელო... მასპინძელო!

ახლა კი ვიცანი მამალხინეს ხმა. აივანზე გავედი და გვერდით ამოვუდექი დედას, რომელიც ჭიშკარზე მომდგარ ცხენოსნებს გაჰყურებდა.

— შეგაჩვენა ღმერთმა... ეს თუ მამალხინე არ იყოს, ნახავთ.

მთვარიანში შავად ალანდული ათიოდე ცხენოსანი დავთვალე. კიბე ჩავირბინე და ჭიშკრისკენ გავიქეცი. დედა ბუზღუნით დამედევნა.

მამალხინემ ჭიშკარი შემოაღო, ცხენი სადავით მოჰყავდა, თან ვიღაცას ხმადაბლა ეპატიჟებოდა:

— შემოდით, კაცო... შემოდით, ნუ მოგვერიდებით, ესეც ჩემი სახლია! ცხენს ლაგამი წაჰყარე და მარგილზე გამოაბი!

უცნობები მორიდებით მოუძღოდნენ ცხენებს, თავი ჩაექინდრათ და ისე მოაბიჯებდნენ. ეზოში მორიგეობით შემოდიოდნენ: თითო კაცი,თითო ცხენი, თითო კაცი, თითო ცხენი, მამალხინესაც ეგრძნო უხერხულობა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა:

— ჩემო რძალო, შუბლი გახსენ და ისე მოგვეგებე, ვიცი, ქმარი შინ არა გყავს, მაგრამ შენი იმედი მაქვს.

მერე სტუმრებს მიუბრუნდა და შეუტია:

— რას გაშტერებულხართ, ჩემი სახლია-მეთქი!.. ჩემია, აბა ვისია, საძირკველი ჩემი დალოცვილია, კედლები ჩემი დალოცვილია, თავხე ჩემი ნაკურთხია... ჰო, ხუმრობა გაშვებით. ამ სახლში კუთხე არ არის, ჩემი ნაკურთხი სიტყვა არ მოხვედროდეს!

უცებ რაღაც გაახსენდა, იყოყმანა, იჭოჭმანა და ახლა კი თხოვნით მიმართა დედაჩემს:

— ერთი, შენ გაზრდას, ბიჭს დაუძახე და თივა დააყრევინე!

დედა გაჩუმებული იდგა, ალბათ, იმას ფიქრობდა, უცხო სტუმრებს რით გავუმასპინძლდეო... მამალხინეს ნათქვამმა ახალი ცეცხლი წაუკიდა. აპილპილდა და დამპატიჟეს ყურში დაცინვით ჩასისინა:

— მერე, თქვენ რაღა დაგიყაროთ?!

მამალხინემ გაიცინა. დიდხანს იცინა. მერე დედაჩემი გულზე მიირქვა, შუბლზე აკოცა. თან ჰკოცნიდა, თან იცინოდა, ხითხითებდა... ჰოი, რა სიცილი იცოდა, რა გულგახსნილი, გადამდები. ის რომ იცინოდა, სახლის კედლები ქანაობას იწყებდა, ჭერი ზანზარებდა, სახლს უხაროდა.

— რძალო, მიყვარს შენი ხალვათი ენა და შეკრული შუბლი. ვიცი, გული კეთილი გაქვს და სხვას გითქვამს.

სტუმრები უკვე აივანზე ისხდნენ, ძველი სახლის ფართო აივანზე, სახლის წინ აყუდებულ კატაულას ქედს გაჰყურებდნენ, თვალით ზომავდნენ და ხმამაღლა მოსულები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

ერთხელ, ამ აივანზე ქეიფის დროს, მამალხინემ სანაძლეო დადო. კატაულაზე ნიშანი დააყენეთ და ტყვიას მოვახვედრებო. მეზობლის ბიჭი გაგზავნეს კატაულაზე, თან მსუბუქი ფიცარი გაატანეს. კარგა ხნის შემდეგ მწვერვალზე სანიშნო აიმართა. მამალხინეც კარგად იყო შემთვრალი, მაგრამ ხელი არ აკანკალებია, თოფმა იქუხა და ტყვიამ ნიშანი ორად გააპო. ნაპობები აქეთ-იქით გადაცვივდა და მათ შუა ქოჩორა ბიჭის თავი შავად გამოჩნდა. აივნიდან კარგად

დავინახეთ, როგორ ფაცხა-ფუცხით წამოხტა შეშინებული ბიჭი, ჯერ წინ გამოიქცა, ციცაბოს მოადგა, რაღაც დაიყვირა, მერე გვერდზე დაეშვა. შეფიქრიანებული მამალხინე ჭალაში ჩაეგება, დაღლილი და შეშინებული ბიჭი აივანზე ამოიყვანა. ბიჭს ხელში ტყვიით გაპობილი ფიცარი ეჭირა და რაღაცას ბურტყუნებდა. ენა ჩავარდნოდა საცოდავს.

— ამ გამოტვინებულს კლდის ქიმზე ნიშანი ვერა და ვერ დაუმაგრებია, უფიქრია, მამალხინე მთვრალია, ხუმრობს, თორემ აქამდე ტყვიას როგორ მოუწევსო. ფიცრის უკან პირქვე გაწოლილა და ხელებით დაუჭერია. ბეწვზე გადარჩა... აი, ნახეთ, თმა შეტრუსული აქვს.

კიბის თავზე ჩურჩული ისმოდა:

— თქვენ რაღა დაგიყაროთ-მეთქი?

— წეღან, თქვენ ჭიშკარს რო მოვადექით, ახალი თონის სუნი მეცა და იმან მომაბრუნა...

— სოსანაანთ თონის იქნებოდა... ჩვენ სავსეთა ვართ. სულ გამტკიცული მადაური და თასმა ლავაში ამოჰყარეს.

— რათ მატყუებ, სოსანაანი საზენაქროზე დგანან. დღეს კი ქვენაქარი ქრის.

— კარგი, ეს მითხარი, უცხო სტუმრებთან თავს რატომა მჭრი?

— რძალო, მწნილი არა გაქვს?

— მაქვს, მერე?

— მწნილი, ახლად ამოყრილი პური... სხვაც მოჩხრიკე რამე და მეტი რა უნდა ნაგზაური კაცის გუნებასა. ქვევრს მე მოგიხდი, შენ არ შეგაწუხებ, ჩემო რძალო.

— მადლობა მომიხსენებია... ისე მამადლი, თითქოს შენსას ხდიდე. ჩადი და ქოცო მოხადე. სხვას ხელი არ ახლო. შუშა დამიპე. ცული კუთხეში აყუდია.

— აგაშენა...

მამალხინე მარანში ჩავიდა...

* * *

მამალხინე სუფრის თავში იჯდა და ძილგამტყდარ მასპინძლებსა და უკვე საკმაოდ შეთამამებულ სტუმრებს არიგებდა.

— ბედნიერი დღეები ისე ცოტაა, დათვლა შეიძლება... მივუმატოთ ერთიცა!

— მივუმატოთ, მივუმატოთ!—ღიღინებდნენ სტუმრები.

— შენ ოჯახში მიუმატე, ჩემი რა საბეგრო ნახე!

—ამ ყორნებით სავსე ქვეყანაზე ორი სამი მტრედი ლა ვღუღუნებთ, ჩემო რძალო, მოდი და, ნუ შევაკვდებით ერთმანეთსა... შუბლი გახსენ-მეთქი, აი ეს ჟიჟმატები არ იმსგავსო!

ხელი გადმოაპარა მამალხინემ, ისე გადმოაპარა, არავის დაუნახავს, ისე ჩამჩურჩულა. არავის მოუკრავს ყური: გენაცვალე, ოჯახის ბურჯო, აი, აქ გენაცვალე...

ო, რა ტკბილი იყო მამალხინე, რა ჯადო ჰქონდა მის სიტყვას, რა მარილი, რა თავბრუდამხვევი ეშხი, ვინ იყო მისი დედა, ვინ ჩაამღერა ყურში ეს ქართული, საიდან ქონავდა მისი ენის ძუძუ?

რა კარგი დღე ხარ,
ნუ დაღამდები!

მღეროდა მამალხინე და ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით, სტუმრები კი ნელა, სულ ნელა, გუნებისად და ტკბილად აძლევდნენ ბანს, ფუტკრის ზუზუნივით. დედაც აყოლებდა თავის გულში ჩამწვდომ ხმას, კუთხეში მიმჯდარი, მოფარებით, რომ მამალხინეს არ გაეგო, მის ყურს არ მისწვდომოდა. მამალხინეც ეშმაკობდა, თითქოს ქალის ხმა არ ესმოდა, მისკენ არ იხედებოდა, არ უნდოდა ფრთა მოეტეხა ამ ერთი ბედნიერი წამისათვის. სიმღერა მიწყდა, მამალხინე ჩაფიქრებული იჯდა. დედამ შუბლი ესევ შეიკრა.

— მერე, სულ რომ ასე გაგრძელდეს, არც დაღამდეს და არც გათენდეს, შენ საქმეს ვიღა მიხედავს?

— ჩემო მტერო, გუნებას ნუ მიფუჭებ, წუთისოფლისა ნუ გეშინია, საქმე ძაღლია, გაკეთდება!

— გაკეთდება, გაკეთდებაა!—კვერს უკრავდნენ სტუმრები.

— ჰო, გაკეთდება, — გაიცინა დედაჩემმა—საქმე მართლაც ძაღლია, გაკეთდება. შენ თუ არ გააკეთებ, სხვას გააკეთებინებს თავსა!

ეზოში ცხენმა დაიჭიხვინა, ყველანი შევკრთით. მამალხინეს ცხენი ჭიხვინებდა.

— რატომ არ ჰკოდავ ცხენსა?—ჰკითხა დედამ.

— გინდათ ჭიხვინი მოიშალოს. გინდათ კაცივით დამუნჯდეს და თავისი დარდი ვეღარ შემომჭიხვინოს? ცხენის სილამაზე ჭიხვინია, სიყვარული აჭიხვინებს და აყვირებს. რას ერჩით, კაცებო, ადამიანებო, რასა? გინდათ დავასაჭურისო, გული მოვუკლა?!

გაოცებული შევყურებდი. არ მესმოდა, დიდხანს არ მესმოდა, რას ამბობდა მამალხინე. ის კი ეშხში შესული ბდღვინავდა, ბობოქრობდა და სულ უცნაურსა და უცნაურს ისროდა:

— მტრებს ჩემი დაკოდვაც უნდოდათ, ჩემი დამუნჯებაც უნდოდათ, მაგრამ ვერ გადამატარეს კაბდო, ისევ ცოცხალვარ, ისევ ვარ, აჰა, შემომხედეთ, მითხარი, ვარ თუ არა ვარ?

— ხაარ,ხარ!—ხმას აძლევდნენ სტუმრები.

— ვარ და ვიქნები, მიწაშიც რომ ჩამფლან, ისევ დავიძახებ, ვიღორძინებ, ამოვალ. ჭიხვინს არ მოვიშლი.

* * *

კუბო ავწიეთ, მოხურულ კარს სამჯერ მივაჯახუნეთ და როცა ეზოში ჩავასვენეთ, წამით შევიფერხეთ. ჩვენს წინ ჭიშკრისკენ მიმავალი გზა ხალხით იყო გაჭედილი. გზა მეორე მხარეს, ნუშის ხეებისკენ დაეგდოთ, სადაც საფლავის თხრა უკვე დაემთავრებინათ. როცა დაინახეს, რომ ნუშებისკენ კუბოს წასვენებას არ ვაპირებდით, გაოცებული ხალხი ჩვენს წინ ორად გაიპო და გზა მოგვცა.

— ანდერძი უთქვამს, ჯერ სოფელი შემომატარეთო...

— იტყოდა... იმასაც იტყოდა, გაიარეთ, მუხლი გაშალეთ, თელათგორის ჰაერი დაგკრავთ, ჩემ შესანდობარ ღვინოსა და ლუკმას გემო მადლი მიემატებაო, არა?

— იტყოდა, ინატრებდა, ოღონდაც...

ჭიშკარს კარგად რომ გავცდით, სხვამ შემცვალა, მე განზე მივდექი და ხალხში გავერიე. ჩემს წინ წელში მოკაკული ბერიკაცი მიაკაკუნებდა შინდის დაგრეხილ ჯოხს... წელან ეზოშიც შევნიშნე ეს კაცი. მარტო შემოვიდა. თუ იდგა. მარტო იდგა, თუ იჯდა, მარტო იჯდა, თუ დადიოდა, მარტოვე დაბორიალობდა. ზემო სართულში სამძიმრისათვის არ ასულა. ხან საჩეხში შეაბიჯა, ხან მესაფლავეებთან მივიდა, მაგრამ ისევ მალე გამობრუნდა. უსიამოვნო, მეტის-მეტად მწითური სახე ჰქონდა, თავზე თეთრი ხილაბანდი წაეკრა, ხშირი წარბები ნახევრად მოუჩანდა, მთლად გათეთრებული ულვაშები მაღლა აეპრიხა.

ჩემს უკან მომავალნი ხმამაღლა, თითქოს განგებ, ჩემს გასაგონად მოსაუბრობდნენ:

— ცოდო არ არი, მამალხინე სასვენში იწვეს და ეგ მიწის მგელი უკან მისდევდეს. აღარც კი მეგონა, თუ ეგ ამ ქვეყნისა იყო.

— როგორ გაბედა, როგორ გამოაჩინა თავისი ყორნის ნისკარტი ამ ხალხში?

— ყორნებმა სწორედ ამ დროს იციან მოფრენა.

— შეხედე, შერცხვენილი ულვაში როგორ აუგრეხია, საფლავის ქვაზე ამოჭრილს არა ჰგავს!

— ცოცხალს თვალის გასწორებას როგორ გაუბედავდა.

— თვალებდახუჭულისა აღარავის ეშინიან.

—ისე მოკვდა, მაგ უკეთურისათვის ხმა არ გაუცია. პურის ჭამას ვილა იტყვის. თუ სუფრაზე თვალს მოჰკრავდა, ვის ოჯახშიც უნდა ყოფილიყო, მაგასთან პურს როგორ შევჭამო, იტყოდა და წამოდგებოდა.

— ძნელია, კაცი კვდებოდე, შენი მტერი და დუშმანი ამ ქვეყნად რჩებოდეს, შენ გასვენებაში ჩნდებოდეს, შენ

შესანდობარს ამბობდეს. კვდებოდე და იცოდე...

— გეყოთ, კარგი კაცის კუბოსთან ავის სახელს ნუ ახსენებთ!

— სწორედ აქ უნდა ვახსენოთ. ავადაც გამოჩნდება და შავადაცა.

— კარგს ცრემლი და ღვინის წვეთი ვაწვეთოთ და ესეც გავაგონოთ... ჩვენი აზრი წაიღოს.

— წაიღოს...

— სიკვდილის წინ უთქვამს...

მამალხინე კი გულაღმა იწვა, მიირწეოდა და იღიმებოდა. რამდენი რამ უთქვამს სულის ამოსვლის წინ ამ დალოცვილს, რამდენი მოუსწრია. უთქვამს კი? ვინ იცის...

— უთქვამს, თუ მოვიდეს, მოვიდეს, მაგრამ სუფრას ნუ გააკარებთ, ნურც გააგდებთ, სადმე მიფარებულში მიაგდეთ, ღვინოც და სალაფავიც ბლომად მიუტანეთ...

— თანაც გადაჰყოლიაო, არა!

— ეგ არ ვიცი...

— კმარა...

მართლაც კმაროდა... მეტი რაღა უნდა თქმულიყო კაცზე, ვისაც მამალხინეს დაკოდვა და დასაჭურისება, მისი კაცური ჭიხვინის მოშლა უნდოდა. მორღვეულ, დასისხლიანებულ თვალებზე ცრემლმომდგარი, ჯოხის კაკუნით მარტოდ-მარტო მიბარბაცებდა ბერიკაცი. ვის დასტიროდა, თავის თავს, თუ მამალხინეს? ვინ იცის. კაცის გულში ვინ ჩაიხედავს?!

გაზაფხული კი თავის საქმეს აკეთებდა. ნაზამთრალ ბაღ-ვენახებს ფიცხი მზე დასცქეროდა. გაფუებულ მიწას ოხშივარი ასდიოდა, იდგა გამღვალი მიწისა და საღლაც დანთებული კვარის დამათრობელი სურნელი. ღობის გადაღმა, ბუჩქებში შაშვი დაგოგავდა და გაბედულად ჭახჭახებდა. მერე ასკილის ტოტზე შემოჯდა და ორღობეში შავად მოშავალ პროცესიას დააშტერდა.

მამალხინე მოხუჭული თვალებით მშობლიურ ცას შესცქეროდა. საქვათახეოს ტყეებიდან და ხევებიდან დაძრული ცივი ნიავი სახეზე სცემდა...

კუბო გზაჯვარედინზე დაასვენეს. გზაჯვარედინიც იყო და მისი ბაღ-ვენახის თავიც. პატარა, დაბალი ლასტის კარი, არც ურდული, არც რკინის ბოქლომი. მარგილზე ხალვათად ჩამოცმული წნელის რგოლი. მსუბუქად აჰკრავდი ხელს და კარი თავისით, ჭრიალით შეიღებოდა. ვენახის თავში, ძველ ნიშთან, მამალხინეს ქოცო ჰქონდა ჩაგდებული... იქნებ გახსოვდეთ, ერთხელ, იანვარში, სწორედ აქ ირთვლიანა მამალხინემ. სწორედ ეს ქოცო მოხადა მაშინ. აგერ მისი დამყნილი ატმები. მალე, სულ მალე იფეთქებენ და გაზაფხულს ვარდისფერი თვალებით გაუღიმებენ. ისევ დაიძახებს სიცოცხლე, ისევ ატირდება ვაზი, მაგრამ მამალხინე აღარ გამოჩნდება სასხლავით ხელში. იგრძნობს ვენახი? იგრძნობს, იგრძნობს სამამულე რქა.

ალბათ, ყველა ამას ფიქრობდა. გრძელი გზა შეამოკლა ფიქრმა. სოფელს შემოვუარეთ და მამალხინეს სახლს მეორე მხრიდან მივადექით. აყრილი ღობე. განზე მიწყობილი ძეძვის კონები. ნუშის ხეებისკენ მიდის მამალხინე და იღიმება.

უცებ ცამ დაიგრუხუნა და არ ვიცი, ვიგრძენ, თუ დავინახე, როგორ დასკდნენ გაზაფხულის მზითა და მიწის წვენით გაჟღენთილი ნუშის კვირტები პირველ ქუხილზე.

14. 3 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაზ ჭილაძე

წიგნიდან „ერთი ნაბიჯი ცაზე“

### ეს რა ანათებს

ეს რა ანათებს? ნუთუ სიზნელე
ანათებს ასე მწუხარე ფერით?

მე აქ რა მინდა, ან ჩემი ფიქრი
ვინ შემოტყორცნა ამ სიმაღლეებს?

ბრმა ვარსკვლავების მწვანე
წყვდიადში
ღრიალ-ღრიალით ქრის მეტეორი

და ჩემი ფიქრი ცეცხლოვან სხეულს
დასდევს, დაჰყვება მიწიერ გზნებით...

### ვის ეპყრა მაშინ ჩვენი ფიქრი

მე მაგონდება გაზაფხულის
ბრჭყვიალა წვიმა
და შენი სუსტი, თეთრი ხელები,
და ხის კიბეზე ჩამომჯდარი ალუბლის
ჩრდილი.
ვის ეპყრა მაშინ ჩვენი ფიქრი,
ან ვინ მართავდა

ჩვენს გულისწადილს,
პირველ ტრფობას,
ბავშვურ სიყვარულს...

ან აუმღვრეველ ცისფერ მორევს,
სიზმარს ბავშვისას...

### რატომ მგონია, რომ ერთხელ უკვე

რატომ მგონია, რომ ერთხელ თითქოს
ჩვენ უკვე შევხვდით დიდი ხნის
წინათ
და მინდა შენი ამბავი ვკითხო
ქალაქში ღამით შემოსულ წვიმას.

ვით უსინათლო, შუა ქუჩაში
მოდის ათასი ჯოხის კაკუნით,

რას ჩურჩულებენ მისი ტუჩები,
ან ვის დაეძებს გზადაკარგული.

რატომ მგონია, რომ ერთხელ უკვე
გამომაღვიძა სწორედ ამ წვიმამ,
გამომაღვიძა და ცრემლის შუქით
ამივსო გული დიდი ხნის წინათ...

### დმანისის ქვა...

ფიქრი ტბასავით ცითაა სავსე,
თეთრი ღრუბლები ქედებს ათოვენ,
მე ამ კედელთან ბრმასავით დამსვეს,
წყალი დამიდგეს და მიმატოვეს.

მერე მოფრინდნენ თეთრი ჩიტები,
ფიქრი ფეტვივით უცებ აკენკეს
და გამწარებულ, დაღლილ თითებით
მათი დაჭერა ვერ მოვახერხე.

და აღარ ვფიქრობ, ხავსი მაცვია
და გამოღებულ კარივით ვდუმვარ,
და აღარ ვიცი — იქნებ, არცა ვარ,
რამ გამაჩუმა, ამ ქვეყნად თუ ვარ?

და აღარ ვფიქრობ... თითქოს
ვმშვიდდები,
როგორც კედელთან ძველი ბორბალი,
საით გაფრინდნენ თეთრი ჩიტები,
სად გაქრენ, თვალიც კი ვერ
მოვკარი...

## აი, ხომ ხედავ, გავიდნენ წლები

აი, ხომ ხედავ, გავიდნენ წლები
და მაინც შენი ერთგული დავრჩი,
და შენი თეთრი, ამაყი მხრები
კვლავ განთიადი მგონია ქარში.

და აი, წლებმაც ვერ გამომტაცეს
შენი ღიმილის ცეცხლი მიმქრალი,
ნუთუ პირველი ის აღტაცება
მთელი სიცოცხლის საგზლად
ვიკმარე...

## არყის ხე

სერზე ვიდექი თეთრი არყის ხე
და გაზაფხულის რიჟრაჟრზე
მომჭრეს.
მერე შიშველი, უზარმაზარი

წამიღეს დიდი ავტომობილით.
და როგორც კოცნა გამწარებული. —
მკერდზე შემომრჩა ქარის
ბრჭყალები...

## თიხა

ხანდახან ვფიქრობ — გათავდა უკვე,
თვითმფრინავივით ვკარგავ სიმაღლეს
და ასაფრენი ბილიკის ბოლოს
ბალახში იწვის ჩემი სხეული.

იწვის სხეული... ეს მერამდენედ
საკუთარ ცეცხლში იწვის სხეული.

ხან სითამამით, ხან გულგრილობით,
ხან უმწეობით იწვის სხეული.

და მაინც ცაში ფარფატებს ისევ,
ცაში დაფრინავს მაღლა, სულ მაღლა,
ო, ქვაღქცეული, ჯიუტი თიხა
ადამიანის ნაზი სხეულის...

## „ბუნების კარი“

ირმის რძეში გაგაბანა,
დაგასწავლა ანა-ბანა,
სახრე მოგცა, ქალამანი,
მზესთან სიტყვა დაგაბარა.

შეგაძულა გესლი, შური,
სიყვარული წამიერი,
წახვედი და გაიზარდე,
როგორც „მრავალჟამიერი“.

## ვარსკვლავი

ვჩურჩულებ, თითქოს ვიღაცას
ვართობ,
ვინმეს სიცხიანს და ძილგატეხილს,
და მეჩვენება — არა ვარ მარტო,
და ჩემთვის მოდის თოვლის
ფანტელი.

ბრწყინავს ვარსკვლავი ახალწლის
თოვლზე,
თითქოს მეძახის, ბრწყინავს და
მიცდის,
და როგორც სოფლის ფოსტაში
მორზე,
ჩემი ფიქრის ხმა მკაფიოდ ისმის...

## შემოდგომა

უზარმაზარი, ვით მკვდარი ლომი,
შემოდგომის დღე გდია ბალახში,

მზეა მიმქრალი და მოჩანს შორით
ბუხრების კვამლთან ქარის თამაში...

## თმოგვის ციხე

არც კი გამიგია, არც კი გამიგია,
როგორ გაფრენილან წლები
ნისლიანი,
მე სახლს ვაშენებდი ციხე ამიგია,
ციხე ამიგია, ციხე რისხვიანი.

ბნელში დავიძინე, დიდხანს მძინებია
და აი, მოვრთულვარ ასკილის
ტოტებით,
როგორ მიცხოვრია, როგორ მშინებია,
როგორ მითრევია კლდეებზე
ლოდები...

## რა სწრაფი იყო ის სიყვარული

რა სწრაფი იყო ის სიყვარული,
ჩამოიტოვა დროც და ნაპირიც...
იყავი ყალბი და მხიარული,
როგორც პატარა ცირკში —
საყვირი!

და შენს თვალებში ჩანდა მარულა,
ათასი ცხენი ერთად აყრილი...
გადიჯირითა იმ სიყვარულმაც,
ჩამოიტოვა დროც და ნაპირიც...

## ოცნება

ვინ აგავსო, ვინ აგანთო დაპირებით,
დაგიხატა ტალღები და ნაპირები,
დაღამება, გათენება საკვირველი.
ზღვას და ხმელეთს ეფინება შენი სული,
როგორც ნისლში ხომალდების აკივლება
და ყველაფერს ფიქრიანი აკვირდები.

ჰა, ქვეყანა შენი ხელით ნაკეთები,
ჰა, ბრძმედები, მანქანები, რაკეტები,
ჰა, ბალახი, ცისარტყელა, გაზაფხული
და არა აქვს შენს დროს, შენს გზას დასასრული.

შენ ხმას ქვეყნად აგრძელებენ ანტენები,
ვარსკვლავები, როგორც სარკის ნამტვრევები,
ირეკლავენ შენს სხეულს და შენს ოცნებებს,
გაფენია მზის სხივები მოცელილი,
გესიზმრება ანძები და კოცონები,
კოცონები შორეული ნაპირების.

რაზე ფიქრობ? შემომხედე! რაზე ფიქრობ?
მეჩვენება — ფრთას გაშლი და გაფრინდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ რაფიანი

# შეხვედრა შვეიკთან

მოთხრობა

ეს იყო ნამდვილი, ცოცხალი შვეიკი. გარეგნულად ის არ გავდა არც ჰაშეკის აღწერილ ყოჩაღ ჯარისკაცს, არც ფილმებში ნანახ ჩასუქებულ კაცს და არც პრაღის შვეიკისეულ ლუდხანაში კედლებზე გაკრულ ნახატებს. შუახანს გადაცილებული, საშუალო ტანის, ხმელხმელი კაცი იყო, კეთილი ცისფერი თვალები და ტკბილი, წამღერებასავით ხმა ჰქონდა.

მე თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია. შვეიკს მორავიის პატარა ქალაქ ოლომოუცში შევხვდით. ზაფხული იყო. მთელი დღის ნაყიალები, სასტუმროში გვიან დავბრუნდით. და სწორედ აქ გამაცნეს თანამგზავრებმა. მან თავისი სახელი და გვარი მითხრა. ერთი კი ვიკითხე, რას ქაქანობს-მეთქი და როცა მიპასუხეს—ათას რამესო, წავედი ჩემს ოთახში და დავიძინე. დაღლილი ვიყავი. მაშინ ვერ ვიცანი შვეიკი. უფრო სწორად. არ გავიცანი. დილით თანამგზავრები ათას რამეს ჰყვებოდნენ იმ კაცზე. ისეთი კეთილიაო, მხიარულიო, ყურადღებიანიო, ბევრი რამ იცის საქართველოზეო, თავისი ქვეყნის შესახებ ხომ იცის და იცისო, ვიღაც ქართველ მთარგმნელს იცნობსო, ყველა ძალიან უყვარსო და მისთანანი.

ამ ქვეყანაში ყველგან გვხვდებოდნენ შვეიკის ძმები, ბიძაშვილები და დებიც კი. თვითონ შვეიკის პორტრეტები ხომ ვნახეთ და ვნახეთ. ოლომოუცი ბოლო ქალაქი იყო, რომელიც ჩვენ უნდა დაგვეთვალიერებინა. პატარა, წყნარი, არაჩვეულებრივად, — ჩეხურად წყნარი და სუფთა ქალაქი აღმოჩნდა. ამ ქალაქის პატარა სასტუმროს პატარა მოსაცდელში კედელზე ეკიდა შვეიკის სურათი. ამ სურათმა მე ცაგერის რესტორანში ნანახი ტარიელის სურათი გამახსენა. ორივე ერთი დონის ოსტატობით იყო შესრულებული, მკაფიო, გულუბრყვილო ფერებით. შვეიკი ამ ნახატზე მდინარის პირას ჩაცუცქულიყო და ანკესით თევზაობდა. ამ მხიარული კაცის ყოველ შეხედვაზე მეღიმებოდა ხოლმე და ხალისი მემატებოდა. საერთოდ კი, მთელი ჩეხიის დათვალიერება მოსაწყენი იქნებოდა, შვეიკის სახე რომ არ მცოდნოდა. ამ ქვეყნის წყნარ, დინჯ და უენო შვილებს რომ ვხვდებოდი, ყოველთვის კეთილად ვუღიმოდი ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი ყოველ მათგანში გარეგნული სიდინჯე ფარავდა შვეიკის მხიარულებას, გონებამახვილობას. ამაში არაერთხელ დავრწმუნდი. მაგრამ ყველა ესენი იყვნენ შვეიკის გარეშე ბიძაშვილები, ბიძაშვილები და თითო-ოროლა ძმები და დებიც კი. მე ყველა მათგანთან შეხვედრა, საუბარი, დაახლოება მიხაროდა, ოღონდ... ოღონდ გულიც მწყდებოდა, რომ თვითონ შვეიკი უნახავი მრჩებოდა. და აი ისიც, თვითონ შვეიკი, მრავალჭირნახული, ომგადახდილი, უკვე სიბერისაკენ გადახრილი, უკვე ჯარისკაცის ფარაჯაგახდილი, საგრძნობლად დადინჯებული... მაგრამ სწორედ ის შვეიკი, ნამდვილი!

მეორე საღამოს ოლომოუციდან მოვემგზავრებოდით, მატარებელს კარგა-

ხანს ველოდით სადგურის ბაქანზე. შვეიკმა უკვე ყველასთან ამოწურა სალაპარაკო. ახლა ჩემი ჯერი დადგა. ვიღაცამ ჩემზე უთხრა, ჟურნალისტიაო. და მეძგერა შვეიკი. რას არ მეკითხებოდა. როცა პასუხებით გული იჯერა, თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი.

— მეც პროფესიით ჟურნალისტი ვარ. —როგორღაც დარცხვენით, თუ წყენით თქვა და შეყოყმანდა.

მე გავუღიმე. ამან სითამამე შემატა და განაგრძო:

— ოღონდ ახლა აღარ ვთანამშრომლობ პრესაში.—ისევ ვერ გავიგე—დარცხვენით, თუ წყენით თქვა.

მე არაფერი მიპასუხნია. მხოლოდ მოლოდინის ნიშნად თვალებში შევხედე. შვეიკი ენდო ჩემს მზერას.

— აი, თქვენ ინახულეთ ჩვენი ქვეყანა. აქ რამდენი ახალი და კარგი გაკეთდა! დარწმუნდით, რომ უფრო მეტი აწი გაკეთდება. მე ძალიან მიხარია, რომ თქვენ ასე მოგეწონათ ჩვენი ქვეყანა და გახარებთ მისი წარმატებანი. მე ყველაფერი მიხარია... მე... ოღონდ..—აშკარად ვერ ბედავდა რაღაცის თქმას.

მეც უხერხულობა ვიგრძენი და ვკითხე.

— თითზე რა მოგივიდათ, პან?

შვეიკს მარცხენა შუათითი შეხვეული ჰქონდა.

ეს უბრალო კითხვა ნამდვილი განმუხტავი აღმოჩნდა.

— იცით, ეს მუშაობისას ვიტკინე. არაფერია, ცოტა დამეჟეჟა, ჩაქუჩი მოვირტყი უცაბედად. დიახ, პან, იმას გეუბნებოდით, მე ახლა პრესაში აღარ ვთანამშრომლობ. იცით, ახლა მე მშენებლობაზე ვმუშაობ, უფრო ზუსტად, მე ახლა მშენებელი მუშა ვარ. აი, სადგურთან ახლოს, აქვე ახალი სახლები ხომ ნახეთ, ჩემი აშენებულია. არა, ყველა არა, რა თქმა უნდა. მე ძალიან მიხარია, რომ მშენებელი ვარ. თქვენ იცით, რა სიამოვნებაა ბეტონის დამზადება? მერე სართულები რომ იწევს ზევით! თანდათან, ნელ-ნელა და ხედავ, მთელი უბანი მზადაა. ძალიან სწრაფად ვაშენებთ. ომამდე ჩეხოსლოვაკიაში ხალხი სარდაფებში ცხოვრობდა, ახლა ასე აღარაა. მე ბედნიერი კაცი ვარ. იცით, რა ბედნიერებაა, შენს აშენებულ სახლში რომ ოჯახი იხარებს! პირველად მე ყველა ჩემს აშენებულ სახლებს სიამოვნებით ჩამოვუვლიდი ხოლმე და განათებულ ფანჯრებს ვეფერებოდი. მე ახლაც ასე ვიქცევი, ოღონდ უკვე ყველა სახლის ნახვას ვეღარ ვასწრებ. მე ახლა ამით ვარ ბედნიერი. მაგრამ... ჩემს წერილებს არსად არ ბეჭდავენ. ლექსებიც გავგზავნე, მოთხრობაც კი, მაგრამ არსად არ დამიბეჭდეს. მე კი ცოლ-შვილი არა მყავს, მარტოხელა ვარ. სახლში როცა დავჯდები, აუცილებლად რაიმეს დავწერ. ადრე ძალიან ვწუხდი. ვფიქრობდი, ეს ხომ სახალხო ხელისუფლებაა. მაშ რატომ არ ბეჭდავენ ჩემს წერილებს?! მე ხომ ხალხზე ვწერ. მერე მშენებლად დავიწყე მუშაობა. თანდათან გადამავიწყდა... ახლა კი მე ნამდვილად ბედნიერი ვარ. ჩემს პროფესიას ხალხისათვის ბედნიერება მოაქვს... ოღონდ... აი, თქვენ რომ შეგხვდით, პან, თქვენც ხომ ჟურნალისტი ბრძანდებით. ახლა ისევ გამახსენდა...—შვეიკმა ნაღვლიანად დაამთავრა თავისი მონოლოგი და საცოდავად შემომხედა.

ძალიან შემეცოდა.

— თქვენ ნამდვილად ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით!—უცებ ვთქვი ხმამაღლა და გავუღიმე.

შვეიკს გაუხარდა, თან გამომცდელად დამაკვირდა, შევეცოდე, თუ მართლა მითხრაო.

— თქვენი პროფესია ყველას ჯობს, სწორედ თქვენზე უნდა იწერებოდეს პრესაშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც!—შევუნთე ცეცხლი.

შვეიკი სიამოვნებისაგან გაიბადრა.

—პან, შვეიკ, უკაცრავად, პან... თქვენ ხომ ასეთი თავმდაბალი ბრძანდებით და მჯერა, საკუთარ თავზე არაფერსაც არ წერთ!— აღარ მოვეშვი.

—დიახ, დიახ, პან, ჩემს თავზე როგორ გავბედავ წერას, ეს უხერხულია,

ძალიან უხერხული!—გახარებული დამეთანხმა.

— ჰოდა, აი ხომ ხედავთ, ყველაზე კარგი რამ თქვენს შესახებ უნდა დაიწეროს, აუცილებლად! მე მჯერა სულ მალე კიდეც დაიწერება. აი, ხომ გახსოვთ პან ჰაშეკი, თქვენი ძველი მეგობარი ჰაშეკი...—აქ შვეიკმა სიტყვა გამაწყვეტინა.

—რა ბრძანებაა, მახსოვს!—იწყინასავით და მერე სიამოვნებით გააგრძელა.

— ჰეე, პან ჰაშეკი, ის ჭკვიანი ჰაშეკი!...

— და აი, პან შვეიკ, ხომ ხედავთ, ვინ უნდა დაწეროს თქვენს შესახებ, თქვენ კი... თქვენ ბედნიერი პროფესია გაქვთ, თქვენ ასეთ რამეებზე არ უნდა გაცდეთ, თანაც საკუთარ თავზე წერა...

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია, უხერხულია!—სიტყვა ჩამომართვა აღგზნებულმა შვეიკმა.

ამასობაში ჩვენმა მატარებელმაც მოატანა. მარდად დავიკავეთ ადგილები, ვაგონის სარკმლიდან შვეიკს გადავხედე.

— მაგრამ ჰაშეკი...—დაიწყო ჩაფიქრებულმა.

— მოვა, აუცილებლად მოვა ახალი ჰაშეკი!—არ ვაცალე სიტყვის დამთავრება და გავუღიმე.

—მოვა?—მკითხა ჩვეული გულუბრყვილობით.

— აუცილებლად მოვა!—ისევ დავუდასტურე.

კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე. იღიმებოდა. მატარებელი დაიძრა.

— პან შვეიკ, მე კი ამ ჩვენს საუბარს აუცილებლად ჩავიწერ, გესმით!—დავუყვირე.

—დიდი მადლობა, დიდი!!—დამადევნა ყვირილი შვეიკმა.

მერე ხელს ვუქნევდით, სანამ ვხედავდით ერთმანეთს და ორივეს გვჯეროდა, რომ ახალი ჰაშეკი აუცილებლად მოვიდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ძახილი დილეგებიდან

ხოზე დიასის საფლავთან,
თბილისში,
ვდგავარ და
გხედავ. ესპანეთო!

ყვავილი დავარდა
ნაპრალთან,
შავად სცრის,
 წითლად წვიმს,
 მწვანედ თოვს.
ზღაპრებში ჩასძინებიათ საოცნებო
ანდალუსიის გამჭვირვალე საღამოებს.
კარმენის თვალების გაოცებას,
ყინვაში დაფერფლილ ყაყაჩოებს.
ქარს შორს წაუღია ლამანჩელი
რაინდის კეთილი სიცილი,
და როგორც სიკვდილის განაჩენი
რეკს საპყრობილეთა სიცივე.
ღამეს ჩიბუხივით
გაუჩრია ხანძარი პირში,
ზღვას შუქი ფსკერზე დაუძირია.
ხიშტების ჩრდილში,
ლულების ჩრდილში,
სახრჩობილეთა, ციხეთა ჩრდილში
ზის და ნაჯახს ლესავს
კაუდილიო.

ტრიალებს სიკვდილის წისქვილი,
დგას თეთრი ძვლების მოშაო მტვერი.
სიკვდილის მეწისქვილეს
აცოფებს მზის სხივი,
როგორც ხარს წითელი ფერი.
ის ისმენს მრისხანე ნაბიჯებს,
იმის ტახტს გრიგალი არხევს,
ძილს უფრთხობს, აშინებს, აგიჟებს
ძლიერი ტორერო,
 უკვდავი ტორერო —
 ხალხი.

მე მის სიმამაცეს კვლავ ლექსით
 შევყივი,
მშობლიურ მიწა-წყალს ჩაკრული,
მახსოვს აღზევება ამ უკვდავ
 დევგმირის,
იმისი ბრძოლები ზღაპრული.
ჩემი თაობისთვის ეს იყო სწორედ
პირველი ცოცხალი ომის გაგონება,
მოგვესმა ქვემეხთა გუგუნი შორი,
როგორც საოცარი რაღაც შთაგონება.
წითელ ყელსახვევებს დროშებად
 ვშლიდით,
ცისარტყელას
 მოქნეულ ხანჯალს ვადრიდით,
იყო ზაფხულის თვალთხევი მშვიდი
ჩვენი გრენადა და ჩვენი მადრიდი.
მივყიჟინებდით ფაშისტებს მხნე
 გულით,
ვუტევდით წყალშიც, მიწაზეც, ცაშიც,
უკვე დიდი ხნის მივიწყებული
ჩვენ ომობანას თამაში მაშინ
ვისწავლეთ...
 ალბათ გავდიოდით რეპეტიციას.
ჩემს ბავშვურ ოცნებას —ყვავილს
 მიწიანს
ჰგლეჯდა და სადღაც მიჰქონდა
 გრიგალს,
მადრიდის კედლებთან გამილვიძნია
და ასტურიის მთებშიაც ვიყავ.
სანგრების სანთლებს ვინთებდი შუქად
ვისეტყვებოდი ტყვიების სეტყვით,
ვემუდარებოდი გენერალ ლუკაჩს,—
შენს ბრიგადაში ჩამრიცხე-მეთქი.
გულზე დავემხე გარსია ლორკას —
ესპანეთის გულს — დაკოდილს
 ულვთოდ,
მერე მაჯებზე ვიმტვრევდი ბორკილს
და ჩემი სული დილეგში სწუხდა.

ვნახე: ესპანეთს, ვით გულს საკუთარს,
დაადეს ხელი და ფიცი დადეს.
ესპანეთს ჰხურავს შავი ცა ქუდად,
იმ ცის ქვეშ მკაცრი აჩრდილი დადის.
ის შავ წყვდიადში გზა-ბილიკს იგნებს,
იგი აწყდება ციხეთა კარებს,
ის ბორგავს თავის მამულის შიგნით,
ის ბორგავს თავის სამშობლოს გარეთ.

მუშაც, პოეტიც დილეგში სხედან,
დილეგში სხედან შვილიც და დედაც...

რამდენი ხანია
არ დაუდგამთ მიწაზე ფეხი,
არ დავარდნია მათთვის მწიფე ნაყოფი
ხეხილს,

რამდენი ხანია
არ სმენიათ შრიალი ხეთა,
რამდენი ხანია,
რამდენი ხანია, ნეტავ?!

არ გაუგიათ ჩვილის ღუღუნი,
დიდიხანია,
წყაროს თქრიალი, ნამგლის
წკრიალი, —
დიდიხანია,
სტვენა ბულბულის, გუგუ გუგულის,—
დიდიხანია,
ჩარხის გრიალი ნაპერწკლიანი,
დიდიხანია,
წიგნის შრიალი, სტამბის გუგუნი
არ გაუგიათ, დიდიხანია.
გულისტოლისთვის ვეღარ უთქვამთ.
იო ტე კიერო![1] —
დიდიხანია,
აქ ვერ ეტევა შენი სუნთქვა,
სულო ძლიერო,
დიდიხანია...

ხელის გულზე არ მოუფშვნეტავთ
პურის თავთავი,
არ დაუკოცნიათ საოცნებო
თვალები შავშავი...
არ დამთვრალან ვარსკვლავთა
თილისმით,
არ გაუგონიათ ხმა ქარის წისქვილის,

არ დასველებულან დილის ცვრით,
არ მოუჩრდილებიათ ხის ჩრდილი,
რამდენი ხანია,
რამდენი ხანია, ნეტავ?!

ყრუდ ბუბუნებენ ველები, ქედები,
გულს აწევთ ციხეთა ჩრდილები რუხი,
საპყრობილეებში სხედან პოეტები,
ბორკილს ვერ ადებენ მათს ამაყ
ქუხილს.
სიტყვები ზარად ირეკებიან,
ნაღვერდლები სცვივათ დასისხლულ
ქნარებს,
ბურგოსის ციხის დილეგებიდან
გადმოაქვთ ძახილი შორეულ ქარებს.

— ციხის ეზოში ხეტიალით
ვცვეთავ ფეხის გულებს,
გამუდმებით სცემს ჩემი გული
ამ კედლებს შიგნით.

მე ძუნწად ვითვლი მორბენალ დროს—
წუთებს, საათებს,
კვირეებს, თვეებს წლებს...
ისინი ხომ
ხურდავდებიან აქ უბრალო
მონეტებივით.
მოხეტიალე პოეტი ვარ.
ყოველ ნაბიჯზე
მე ვხვდები მთელ ტყეს
დაუხარჯავ, უთქმელ სიტყვების,
ისინი არიან ადამიანები.
მხურვალე რწმენის,
უსასტიკეს ბედის და ტანჯვის
ძმები, რომლებიც გამუდმებით
ჩემთან არიან.
(ძალმიძს მათ ხელი დავუქნიო
შორიდან მხოლოდ,
ანდა შემთხვევით შევხედო
მხოლოდ).
დროდადრო ციხის სინესტეში
ილევებს ლექსი,
ხან გარდაცვლილთა
ხსოვნა ისე მოტივტივდება,
როგორც ხომალდი ჩაძირული,
რომ ჩემი სულის
ნავსაყუდარში შევიდეს და
ჩაუშვას ღუზა.

[1] ესპანურად: მე შენ მიყვარხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცვეთავ ფეხსაცმელს,
გულსაც, ხელებსაც,
როს მსურს მივიღო მე პასუხი
უგრძნობელ ლოდის —
ქანდაკადაქცეული ჩემი თავის
და ყრუ დუმილის.
ღრუბლები ბინდში ამზადებენ
ქარის და სეტყვის
ქვემეხებსა და
მწველი თოვლის დანებს ლესავენ.
მე უნდა წარბი შევკრა ავდრის
ველურ ღრიალში,
უნდა ვიცინო წვიმაშიაც,
სეტყვაშიც, ქარშიც,
სასტიკ ზამთარშიც,
ჩემი ტანჯვის იმ სხვა ნაპირზე...
ყოველ ნაბიჯზე
თან დავათრევ მე მძიმე ბორკილს
და საპყრობილის კვადრატებზე
დავხეტიალობ...
მუქ პერანგის ქვეშ
ვგრძნობ სიცივეს და ჟანგს ჯავრისას,
ვგრძნობ, როგორ წვება
ყველა წუთი შუბლზე ღარებად.
ამ სველ კედლებზე
მე შორეულ ბავშვობას ვცვეთავ,
ციხის ფილებზე —
შორი ეზოს საყვარელ ფილებს,
ცხაურზე —
სათუთ, დავიწყებულ აივნის რიკულს.
ამ ქვებზე ვცვეთავ
სიცოცხლეს, მუხლებს, კბილებს და
ხსოვნას.
მხოლოდ ეს არის საოცრება! —
ჩემთან კვლავ ისევ ის იმედია.
მაშინ, როდესაც
გამოვდივარ ციხის ეზოში,
მე ვხვდები ჩემს გულს,
ხელუხლებელს,
ისევ ვით უწინ...

პოეტ ნიკოლასს გულზე აწევს
ბურგოსის კედელი
და მისი გული,
ბორკილებში ჩაუჭედელი,
ბორკილდადებულ ესპანეთის
დიდ მკერდში ფეთქავს.

იქ კი, მადრიდის საპყრობილის
ყრუ კედლებს ხეთქავს
ქუხილი კარლოს ალვარეს კრუსის —
ინტერნაციონალის გუგუნი ისმის,
სარკმელში — ზეცის პაწია ღრუში
ფერმკრთალდებიან ღამე და ნისლი.

პოეტი მღერის!...
ჯერ ვერც ერთ ჯალათს
ვერ გაუჭედავს ლექსის ბორკილი,
ცხრაკლიტულებს ჰგლეჯს სიმღერის
ძალა
და უსასრულო გზებზე მოჰქვის
პოეტებს ჰკლავენ!..
მაგრამ სიმღერა ვერ მოუკლავს
ჯერ ვერც ერთ ჯალათს...

პოეტებს ჰკლავენ...
სიმღერა რჩება
გზებზე გადის და იქცევა ქარად.
ბაღებად, ზვრებად,
ტყეებად, მთებად,
წვიმად და ღვარად,
ფარად და ხმალად.

პირქუშად დგანან დილეგები,
ზღვაში მათი ჩრდილი ირეკლება,
ყომრალ ცას თოლია შეაწყდა, —
თუ ამოიგმინა ზღვამ,
ზეცას მზე ღილივით შეაწყდა —
დღე ჩამოაღამა რამ?..
ხულიან გრიმაუს თითების სითბო
ჟრუანტლად უვლის ლოდსა და
ლითონს...
ჩრდილი საზრჩობელის მიწაზე
მიცოცავს
და მიათამაშებს სისხლიან ხვითოს

პირქუშად დგანან დილეგები,
შურისძიების ზარი ირეკება.
ესპანეთი — დასისხლული და
ბედკრული
მტკიცედ დგას, თავს დაბლა
არ ხრის,
მოაბიჯებს მრისხანედ წარბშეკრული
მამაცი ტორერო,
უკვდავი ტორერო—
ხალხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ჩანგლაძე

# ორი მოთხრობა

## ნახევარი წუთი სიჩუმე

„გარემოსთან შეგუების უნარი ყოველი ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელი თვისებაა. ადამიანს, როგორც უმაღლესი განვითარების ცხოველს, ეს უნარი აყვანილი აქვს თვითგამართლების გაუცნობიერებელ პროცესამდე. საკუთარი არსებობის გამართლება...“

დიქტორი დაბალი, მკერდისმიერი ხმით კითხულობდა და საკუთარ ხმას უსმენდა. პატარა სტუდია ხმას გუდავდა, თითქმის ანახევრებდა, მაგრამ უფრო სასიამოვნო ჟღერადობას აძლევდა.

დიქტორი გრძნობდა საკუთარი ხმის მომხიბვლელობას; იგი მოჯადოებული იყო თავისივე ხმით, კითხვის მანერით და ოსტატობით.

იგი არასოდეს უშვებდა შეცდომას.

მისი თვალები ყოველთვის წინ უსწრებდა ბაგეს, როცა იგი ამბობდა: „ადამიანს, როგორც უმაღლესი განვითარების ცხოველს...“ იმავე დროს კითხულობდა მომდევნო ფრაზას: „ეს უნარი აყვანილი აქვს...“ და ასე შემდეგ.

ეს საოცრად უადვილებდა საქმეს და მის თხრობას შეუფერხებელს, ლაღს ხდიდა.

დიქტორი უტყუარი ალღოთი აგნებდა ყოველი ტექსტისათვის შესაფერ ინტონაციას. იგი გრძნობდა, რომ სატრფიალო მონოლოგი:

„წავიდეთ, გამომყევი!... შენს სუნთქვას განუზავე ჩემი სული! ტუჩები გამაცვეთინე შენი ხელების კოცნით!“ არ შეიძლებოდა ისევე წარმოეთქვა, როგორც ფრაზა: „დიდ ხელოვანთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ოდესმე საყოველთაო ჭეშმარიტებად აღიარებენ“.

ინტონაცია ყოველთვის უტყუარი ჰქონდა, თუმცა არასოდეს ცდილა დაინტერესებულიყო, მაგალითად, იმ აზრით, თუ რატომ იქცეოდა ოდესმე გენიოსთა შეცდომები საყოველთაო ჭეშმარიტებად...

ვერც იმას იტყოდით, თითქოს ჭეშმარიტების საკითხს არასოდეს დაეინტერესებინოს დიქტორი.

მას კარგა ხანია აღელვებდა საწყისის პრობლემა.

„რა იყო სულ პირველად?!“ — ხშირად სტანჯავდა ეს უმოწყალო კითხვა, ხოლო „რა იყო სულ პირველად“ უშუალოდ უკავშირდება საყოველთაო ჭეშმარიტების საკაცობრიო პრობლემას. დიქტორს არ შეეძლო გულგრილად წაეკითხა სიტყვა „ჭეშმარიტება“, ეს სიტყვა მაგიური ძალის მქონე იყო მისთვის და ეტყობოდა კიდეც: სიტყვა „ჭეშმარიტებას“ იგი ყოველთვის მადიანად, მსუყედ წარმოთქვამდა.

ზოგჯერ, მისდაუნებურად აეკვიატებოდა ეს სიტყვა. სტუდიაში, ქუჩაში, სახლში სულ იმეორებდა გონებაში: „ჭეშმარიტება“, „ჭეშმარიტება“; ხშირი გამეორებისაგან სიტყვა უეცრად კარგავდა თავის მნიშვნელობას და ბგერების უაზრო, შემთხვევით დაკავშირებულ გროვად იქცეოდა. სიტყვა რომ აზრს კარგავდა, შიში იპყრობდა. ეს კიდევ უფრო საჩინოს ხდიდა საკითხის სირთულეს.

საწყისის პრობლემის გრანდიოზულ მნიშვნელობაზე დიქტორი მოულოდნელად დაფიქრდა ერთ თბილ საღამოს და

კიდეც შეაშინა საკითხის სიღრმემ და იდუმალებამ.

ყველაფერი დაიწყო იმ მარტივი კითხვით, რომელიც ყოველ მოკვდავს შეიძლება დაებადოს:

„ვინ იყო ბაბუაჩემის მამა?“

მომდევნო კითხვა იყო:

„ვინ იყო ბაბუაჩემის მამის მამა?“

შემდგომი კითხვების ჩამოთვლა აღარ არის საჭირო: მათი სფერო მალე გასცდა გვარის, ერის, კაცობრიობის საზღვრებს და პირველყოფილ ქაოსში გაითქვიფა...

„თავდაპირველად იყო ქაოსი“.

„რა იყო ქაოსამდე?“ — არ ისვენებდა ჭეშმარიტების მაძიებელი გონება და დიქტორს წვდომის ექსტაზისათვის დამახასიათებელი ჟრუანტელი უვლიდა.

„ქაოსამდე იყო ქაოსი. ქაოსი მარადიულია“, — უთხრა ერთმა ჩაფიქრებულმა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა.

ასე რჩებოდა გადაუჭრელი საწყისის პრობლემა და სტანჯავდა დიქტორს. ყოველ ფრაზას მისთვის იმდენად ჰქონდა აზრი, რამდენადაც საწყისის (საბოლოო ჯამში: ჭეშმარიტების) იდეას უკავშირდებოდა.

მაგალითად, დიქტორი თავისი ხავერდოვანი ბარიტონით კითხულობდა ინფორმაციას დღეს ჩატარებული ფეხბურთის მატჩის შესახებ. ფრაზა: „პირველად კარის ბადე სტუმრებმა შეარხიეს“, მის ცნობიერებაში იწვევდა კითხვების სერიას:

„ვინ შეარხია პირველად ბადე ამ სეზონში?“

„ვინ შეარხია ბადე, საერთოდ?“

„ვინ გამოიგონა ბადე?“

და ასე შემდეგ, უსასრულოდ, კითხვათა კითხვამდე:

„რა იყო ქაოსამდე?“

სხვა მხრივ წასაკითხავი ტექსტი მასში არავითარ ხელშესახებ ემოციას არ იწვევდა. როგორც უკვე ითქვა, საჭირო ინტონაციას ინტუიციით პოულობდა და ბრწყინვალე დიქტორად ითვლებოდა...

„ჭეშმარიტების“ გარდა კიდევ ორი სიტყვა უყვარდა განსაკუთრებით:

„ფილანთროპი“, „მთვარე“, „ინტელექტუალური“ და „ჭიაკოკონა“.

წუხდა, რომ „ჭიაკოკონა“ სულ ორჯერ თუ სამჯერ ექნებოდა მიკროფონთან ნათქვამი. ფიქრობდა, მომავალში „ჭიაკოკონა“ — „კოსმიურით“ ან „ეპოქალურით“ შეეცვალა.

ვერ იტანდა სიტყვა „პერსპექტივას“. კაცმა რომ თქვას, არაფერია „პერსპექტივაში“ უჩვეულო და განსაკუთრებული. რატომ უნდა გასჭირვებოდა „პერსპექტივის“ წარმოთქმა, როცა რეპეტიციის გარეშე თავისუფლად გამოთქვამდა სიტყვებს: „სამბწკარიანი“, „ღრღნა“, „დრტვინვა“...

საკმარისი იყო, ერთი შეეხედა მანქანაზე გადაბეჭდილი გვერდისათვის და უმალ გეტყოდათ, იყო თუ არა ამ გვერდზე „პერსპექტივა“. შეძულებული სიტყვა თვალებში ეჩხირებოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა მას, მით უფრო ეშინოდა, რომ შეცდომას დაუშვებდა. „პერსპექტივას“ საჩქაროდ, ერთი ამოსუნთქვით ამბობდა და მერე საყვარელ სიტყვებში პოულობდა შვებას.

მიკროფონთან მჯდარი, იგი ფიქრობდა რეპროდუქტორზე, რომელიც ჰკიდია ოთახში, დამაგრებულია ქალაქის მაღალ შენობებზე და რაიონული ცენტრის მთავარ მოედანზე აღმართულ ბოძზე. ფიქრობდა მწყემსების კარავსა და ავსტრალიელი ფერმერის ოჯახში დადგმულ რადიომიმღებზე.

ფიქრობდა ადამიანებზე, რომლებიც ნებსით, თუ უნებლიედ უსმენენ მის ხავერდოვან ბარიტონს და ტკბებიან ზუსტად მიგნებული ინტონაციებით.

რადიომსმენელი ფიქრობს, რომ დიქტორი არის წარბა, გრუზათმიანი წარმოსადეგი ვაჟკაცი;

დიქტორი კი პატარა ტანისაა, მეტისმეტად გამხდარი. ნერწყვის ყლაპვის

დროს აუდ-ჩაუდის საკუთარი მუშტისხელა ადამის ვაშლი.

ეს არ იცის არცერთმა რადიომსმენელმა. უხარია დიქტორს და ბედნიერია, როცა გადაცემის დასასრულს გამოაცხადებს; „კითხულობდა...“

სტუდიაში დაცხა. დიქტორმა, ისე რომ კითხვა არ შეუწყვეტია, ფრთხილად გაიხადა პიჯაკი და გვერდით, სკამზე ჩამოკიდა.

მას შეუძლია სამი საათი იკითხოს განუწყვეტლივ და ერთხელაც არ გადაკეტოს მიკროფონი წყლის დასალევად, ან უბრალოდ, ჩასახველებლად. მან სულ ორჯერ ჩაახველა: ერთხელ, როცა პირველად შეაქეს თათბირზე, და მეორედ, როცა სურათს ულებდნენ საკავშირო გაზეთისათვის.

ცივ წყალს არ სვამდა და არც ღვინოსა და არაყს ეტანებოდა მაინცდამაინც. სიგარეტს კი ეწეოდა ტემბრისათვის. ალუმინის პორტსიგარში ყოველთვის ჰქონდა ფაქიზად ჩალაგებული ფილტრიანი სიგარეტები. ბოლს არ ყლაპავდა, ყელში გამოივლებდა და გამოუშვებდა; ერთი ნაფაზიც კი არ დაურტყამს არასოდეს. ამაში ისე იყო დაოსტატებული, ვერც კი შეამჩნევდი, რომ არ ეწეოდა...

სტუდია იმდენად უყვარდა, მზად იყო 24 საათი იქ გაეტარებინა. ხშირად მორიგეობდა სხვების მაგივრად. მას ვერ წარმოედგინა თავისი ცხოვრება უმიკროფონოდ და ურეპროდუქტოროდ. თუ სახლში იყო, უეჭველად ჩართავდა რეპროდუქტორს ან რადიომიმღებს და უსმენდა სხვა დიქტორებს.

ხშირად უოცნებია რეპროდუქტორთან:

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით: აი, მას უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტი მიანდეს.

ცხრამეტ საათსა და ნოლ-ნოლ წუთზე საპატიო საზღვარგარეთელი სტუმრების ოფიციალური მიღება აქვს.

მასპინძელი არა ჩანს. სტუმრები მის მოლოდინში დიპლომატიურად სდუმან და მაგიდაზე დადებულ რეპროდუქტორს უსმენენ.

„მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები“... — ხავერდოვანი ბარიტონით ამბობს დიქტორი.

სტუმრები მოწონებით აქნევენ თავს...

თავდება უკანასკნელი ცნობები, იწყება კონცერტი...

დარბაზში შემოდის ღვაწლმოსილი მასპინძელი და გულღია ღიმილით იხდის ბოდიშს დაგვიანებისათვის. სტუმრები კი გუმანითაც ვერ ხვდებიან, რომ სწორედ იგი, მათი პატივცემული კოლეგა, კითხულობდა წუთის წინ უკანასკნელ ცნობებს: ყოველ დიდ ადამიანს აქვს რაღაც სისუსტე!

ამგვარი ოცნება დიქტორს სულაც არ უშლიდა ხელს. შეიძლება ითქვას, ხელს უწყობდა კიდეც.

საწყისის პრობლემა რომ არა, უბედნიერესი კაცი იქნებოდა დედამიწის ზურგზე...

„თავდაპირველად იყო ყველაფერი. ყოველივეს არა აქვს დასაწყისი და დასასრული. პირველადი საწყისის პრობლემა იმდენად საკითხის სირთულეს არ მოწმობს, რამდენადაც ადამიანის გონების მოუმწიფებლობას...“

წაკითხულის აზრმა მოულოდნელად მიაღწია დიქტორის შეგნებამდე. წლების მანძილზე ნაფიქრის ასე იოლად გადაწყვეტამ თავზარი დასცა. თანაც „მოუმწიფებელი გონება“ მან გაიგო არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შეჩერდა, თავიდან წაიკითხა ფრაზა და ნერწყვი ჩაყლაპა. მერე ინსტინქტურად გადაკეტა მიკროფონი, ჩაახველა და წყლიან გრაფინს მისწვდა...

ცივმა ოფლმა დაასხა...

წუთით დაავიწყდა მიკროფონი, რეპროდუქტორები, რადიომიმღებები და მათთან მიმჯდარი, მოულოდნელი პაუზით გაოცებული ხალხი.

ჭიქაში ჩასხმული წყალი კეფაზე გადაივლო და საჩქაროდ ჩართო მიკროფონი.

მას აღარ შეეძლო არ ეფიქრა იმაზე, რასაც კითხულობდა. თანაც ტვინს უბურღავდა იმის შეგნება, რომ პირველად დაუშვა უხეში შეცდომა.

დიქტორი გრძნობდა, რომ საზიზღრად კითხულობდა და ყოველ სიტყვაზე ღალატობდა ნაცად მეთოდს...

დილით კი თათბირზე ტექნიკური კონტროლი მონოტონურად კითხულობდა ჩანაწერების ჟურნალს:

„ცხრამეტ საათსა და ოცდაცხრა წუთზე აღინიშნა წუნი: სამეცნიერო პოპულარული გადაცემის დროს ეთერში გავიდა ნახევარი წუთი სიჩუმე“.

## ზღვა იწყება ნაპირთან

მზე რომ გადაიხარა, დავითი პლაჟზე გავიდა. ივლისის მზესთან ხუმრობა არ შეიძლება; თუ პირველ დღეებში არ მოერიდე, დაგცდის და ვაი-დედას გაძახებინებს. დავითმა იცოდა, პირველ დღეებში მზესა და ზღვას რომ არ უნდა დახარბდე. თუ სულსწრაფობას გამოიჩენ, ერთი კვირა ჩრდილში მოგიწევს ჯდომა, უმზეოდ და უზღვაოდ...

დავითი შეზლონგზე დაწვა და სიამოვნებით შეათვალიერა წლებთან შედარებით მკვრივი, ჯანსაღი, საკუთარი სხეული. ოდნავ წამოზრდილი მუცელი გაუჭირვებლად ეტეოდა საბანაო კოსტუმში და რაც არ უნდა დიდი სურვილი გქონოდა, ღიპს ვერ დაარქმევდი. ქალაქში განაზებული კანი ხარბად ისრუტავდა მზესა და ჰაერს...

იყო ჰიპნოზივით დამამშვიდებელი სიჩუმე.

ოდნავ ირწეოდა ზღვა.

დასასვენებელი სახლის პლაჟი ლურჯად შეღებილი, მაღალი, ფიცრული კედლით იყო გარე სამყაროსაგან იზოლირებული. ქვიშისა და კენჭების, მზისა და წყლის აქ მოქცეულ ნაწილს თითქოს ყადაღა ჰქონდა დადებული.

სხვა პლაჟებთან შედარებით მობანავეები აქ ყოველთვის ცოტანი იყვნენ.

მოხუცი მენავე ხმელეთზე უქმად ჩამწკრივებულ ნავებთან ჩამომჯდარიყო და საქმიანად ეწეოდა სიგარეტს...

დავითი უფრო მოხერხებულად მოეწყო შეზლონგში და ზღვის კრიალა ზედაპირს გახედა.

შეზლონგმა სავარძელი გაახსენა, სავარძელმა — კაბინეტი.

დიდებული კაბინეტი ჰქონდა დავითს: ფართე, ნათელი, მაღალჭერიანი.

მინაგადაფარებულ მაგიდაზე ლამაზად ეწყო სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ზომის ტელეფონის აპარატები: თეთრი, შავი, უფრო შავი, წითელღილაკიანი და უღილაკო, პრიალა და მიბნედილი ფერის.

იყო კიდევ ტელეფონების სისტემა — ციცქნა ბერკეტებიანი პატარა დაფა. იქვე, გვერდით, დაბალ მაგიდაზე.

ტელეფონები ნახევარწრედ უვლიდნენ დიდ მაგიდას.

ნახევარწრის ცენტრში იდგა სავარძელი დავითითურთ.

ტელეფონები განუწყვეტლივ რეკდნენ.

გარეშე ყურისათვის ყველა ტელეფონი ერთნაირად რეკდა.

დავითი პირველ ბგერიდანვე ატყობდა, რომელმა ტელეფონმა ამოიდგა ენა და ავტომატურად, დაუფიქრებლად იღებდა ყურმილს. ტელეფონებს კარგა ხანია შეეჩვია დავითი და ყურმილსაც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ელაპარაკებოდა, ერთი შეხედვით, გულგრილადაც.

ეს—ერთი შეხედვით.

თუ კარგად დაუკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ ტელეფონებს შორისაც ჰყავდა მას ფავორიტები. შავ აპარატს, კუთხეში რომ იდგა და არაფრით არ გამოირჩეოდა დანარჩენებისგან, სხვებთან შედარებით უფრო ყურადღებით და გულთბილად ელაპარაკებოდა. წითელ ღილაკიან თეთრ აპარატს, როგორც ტოლს, ისე ეპყრობოდა, დანარჩენებს

კი აგდებულად, მაგრამ ირონიის გარეშე. ეს განსხვავება ისეთი უმნიშვნელო ნიუანსებით ხორციელდებოდა, რომ გარეშე ყურისთვის ძნელი შესამჩნევი იყო. ამას მხოლოდ გამოცდილი მუშაკები ატყობდნენ.

დავითის პასუხისმგებელი მდივანი იმდენად იყო ამ საქმეში დაოსტატებული, რომ თვალდახუჭული გეტყოდათ, რომელ აპარატს ელაპარაკებოდა შეფი.

დარეკავდა ტელეფონი.

—დიახ! —იტყოდა დავითი ოდნავი წამღერებით: მიმდინარეობდა საუბარი იმ უჩინო აპარატთან, კუთხეში რომ იდგა...

—დიახ! —მოჭრით, ყოჩაღად ამბობდა დავითი. მდივანი არც კი შეხედავდა, იცოდა, რომ ხელში თეთრი ყურმილი ეჭირა...

—დიახ! —ოდნავ დაგუდული ხმით დაასუნთქავდა დავითი ყველა დანარჩენ ყურმილს. ეს „დიახ", საქმეში გარკვეული ყურისთვის ნიშნავდა: ნუ მაკარგვინებთ ძვირფას დროს, სწრაფად მითხარით სათქმელი.

საათივით აწყობილად, შეუცდომლად მუშაობდა ტელეფონები.

დილით რომ მოვიდოდა, სავარძელში ჩაჯდომისთანავე დავითი ყველა ყურმილს სათითაოდ აიღებდა, შეამოწმებდა. თუ ყველაფერი რიგზე იყო, იწყებოდა სამუშაო დღე...

მენავესთან ქალ-ვაჟი მივიდა.

მოხუცმა სიგარეტი გადააგდო და ხალისით მიეხმარა ვაჟს, ნავი წყალში ჩაშვებინა.

ქალს გაუჭირდა ტალღებზე ატივტივებულ ნავში ჩაჯდომა. ვაჟმა ხელში აიყვანა ბავშვივით და ფიცარზე დასვა, მერე ნავს წაუბიძგა და გამოეკიდა.

ღონივრად მოუსვა ნიჩბები.

ვერცერთმა ვერ შეამჩნია დავითი. მათ ეჭვითაც არ იცოდნენ, რომ სადღაც, ოთხასი კილომეტრის დაშორებით, არსებობდა ფართო, ნათელი კაბინეტი.

დავითი ფანჯარასთან მივიდოდა და დაბლა, ხეებს შორის ჩაკარგულ პროსპექტს დააკვირდებოდა. მაღლიდან სულ სხვანაირი მოჩანდა პროსპექტი, ადამიანებიც ძალიან პატარები ჲყვნენ.

დავითმა იცოდა, რომ მისაღებში, კაბინეტის კარებთან, უკვე შეგროვილნი იყვნენ თანამშრომლები.

საკმარისი იყო, მწვანე მაუდქვეშ ოსტატურად შენიღბული ღილაკისათვის თითი დაეჭირა, რომ კაბინეტის კარები გაღებულიყო. კაბინეტის ზღურბლს მოწიწებით გადმოაბიჯებდნენ გამოუძინებელი თანამშრომლები. წინასწარ იცოდა დავითმა ვინ როგორ მოიქცეოდა კაბინეტში, და მათ მოსაწყენ ადამიანებად თვლიდა.

ამიტომაც არ ჩქარობდა ღილაკზე თითის დაჭერას...

ადრე დილით, ცარიელ კაბინეტში, ასეთ სიმაღლეზე თითქოს უფრო გამოკვეთილი ხდებოდა დღევანდელობის აზრი და საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის შეგნება.

უყვარდა მარტოობის ეს წუთები დავითს და „რეფლექსიის უკეთილშობილეს მომენტს„ უწოდებდა გუნებაში.

„რა ვუყო ოდიკაძეს?"

ეს კითხვა, რომელიც უეცრად გაუჩნდა დავითს, იმდენად არ შეეფერებოდა მომენტის სიფაქიზეს, რომ მისთვისაც მოულოდნელი იყო...

ოდიკაძე რიგითი თანამშრომელი იყო და ურცხვად თხოულობდა დაწინაურებას. სწორედ ამიტომ რთულდებოდა საკითხი. სხვა მხრივ არავითარი არგუმენტი არ არსებობდა ოდიკაძის დაწინაურების საწინააღმდეგოდ.

„რა ვუყო ოდიკაძეს?"

კვლავ გაიფიქრა დავითმა და ბრაზი მოერია. რაღა მაინცდამაინც მსგავს წუთებში გაგახსენდება კაცს ასეთი წვრილმანი.

გუშინ ამ დროს, მაგალითად, აი, ამ ფანჯარასთან, დავითს მოულოდნელად გაახსენდა, რომ ნაპოლეონს პულსი ორმოცი ჰქონდა და გაუხარდა. მე ოცდაათით მეტი მაქვსო, გაიფიქრა. ამ აღმო-

ჩენამ მთელი დღით მშვენიერ გუნებაზე დააყენა...

ახლა დილიდანვე მოუშხამა გუნება ოდიკაძის გახსენებამ.

ვინ არ მიუგზავნა ოდიკაძემ. ბოლოს თვითონაც ეახლა და მორიდებით, მაგრამ დიპლომატიური სიმტკიცით დაუსაბუთა თავისი იდეის მართებულობა. დავითი გრძნობდა, რომ ოდიკაძე მართალი იყო და არ სიამოვნებდა. თანაც ეჭვობდა: ოდიკაძემ ჩემზე უკეთესად როგორ უნდა იცოდეს საკუთარი შესაძლებლობებიო.

იშვიათად, როცა ოდიკაძე შემოვიდოდა კაბინეტში და შეკავებული სიფიცხით ელაპარაკებოდა, დავითს გუნებაში მოსწონდა იგი და დავაწინაურებოგადაწყვეტდა. ოდიკაძის წასვლის შემდეგ გადაიფიქრებდა...

„რა ვუყო ოდიკაძეს?"

პლაკს გრუხუნით გადაუქროლა თვითმფრინავმა. საოცრად დაბლა მიფრინავდა.

— შეხედეთ, გოგოებო, თვითმფრინავი! — აღტაცებით წამოიძახა ზეზე გამხდარი, ცისფერთვალა კაცი, ბალეტის მსახიობი...

დავითმა მდგომარეობა შეიცვალა, ახლა გვერდი მიუშვირა მზეს...

დააჭერს ახლა თით მწვანე მაუდქვეშ მიჩქმალულ ღილაკს და კაბინეტში ერთი-მეორის მიყოლებით შემოვლენ თანამშრომლები.

ჯერ პირველი მოადგილე შემოვა,საშუალო ტანის, სეიფივით დადგმული კაცი, სქელკისერა და შუბლდაბალი.

უხმოდ დაჯდება ტელეფონებიან მაგიდის თავში, დავითისგან ხელმარჯვნივ. იგი თითქმის არასდროს არ ამბობს გამარჯობას, თათბირის დროს პირველი მოადგილე დუმს...

მეორე მოადგილე ხელმარცხნივ ჯდება და ისიც დუმს. დუმს იმის შიშით, რომ ზედმეტი არაფერი წამოცდეს.

დავითმა იცის მეორე მოადგილის დუმილის მიზეზი, პირველისა კი ვერ გაუგია და გულზე სკდება.

მეორე მოადგილეს მესამე მიუჯდება, მესამეს — მეოთხე. მერე სხდებიან განყოფილებათა გამგეები და მათი მოადგილეები, რიგითი თანამშრომლები კედელ-კედელ სხედან...

დავითმა სეიფი გახსნა და პატარა სარკე გამოიღო. სარკიდან მშვიდად შემოსცქეროდა ორმოცდაათწელს მიღწეული კაცი.

დასცხა დავითს.

წამოდგა და ნელა შევიდა წყალში.

ზღვა იყო თბილი და ალერსიანი, ტალღები საამოდ ელამუნებოდა წვივებს.

დავითმა მჭიდროდ ჩამოიცვა თავზე რეზინის ქუდი და გასცურა. ცურვის დროს თავს ღრმად ყოფდა წყალში — ასე უფრო ადვილად ჭრიდა ტალღებს. დინჯად, მაგრამ რიტმულად უსვამდა მკლავებს.

დავითი მალე გასცდა მობანავეებს და შორს შევიდა ზღვაში.

დავითმა დაყვინთა და იგრძნო როგორ შემოაწვა ირგვლივ სიჩუმე. ეს არ იყო დამამშვიდებელი სიჩუმე... დავითმა არ იცოდა რას უფრთხოდა, მაგრამ მაინც ეშინოდა...

უცებ ამოყო თავი წყლიდან, ირგვლივ მიმოიხედა და ზურგზე გაწვა...

ცა იყო მაღალი და ზედ დავითის თავზე იკრავდა თაღს...

დავითი ცდილობდა ყოველთვის თავის სიმაღლეზე დარჩენილიყო, ამ დიდებული კაბინეტის შესაფერ სიმაღლეზე.

„თუ პირველი მოადგილე გამარჯობას იტყვის, ოდიკაძეს დავაწინაურებ." გაიფიქრა დავითმა მას შემდეგ, რაც სეიფის კარი დაკეტა, სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა და მაუდ-ქვეშ მიმალულ ღილაკს თითი დააჭირა.

კაბინეტის კარი ფართოდ გაიღო.

ერთი მეორის მიყოლებით შემოვიდნენ თანამშრომლები.

დავითი კარის ზღურბლზევე მიაშტერდა პირველ მოადგილეს და თვალი არ მოუცილებია მთელ გზაზე გრძელი მაგიდის გასწვრივ. მან იგრძნო დავითის დაჟინებული მზერა, ძალუმი კეფა შეუ-

ფაკლდა და რომ ჯდებოდა, „გამარჯობათო“, უხეიროდ ჩაიბუზღუნა. თქვა და დიდი ხნით დადუმდა.

დავითი მშვენიერ გუნებაზე დადგა.

ოდიკაძის საკითხიც გადაწყდა...

დავითი ოდნავ გვერდულად დაჯდა სავარძელში და თათბირის დაწყების ნიშანი მისცა...

ინფორმაციას აკეთებდა ერთ-ერთი განყოფილების გამგე.

დავითმა თვალი გადაავლო კაბინეტს. გრძნობდა, როგორ გარბოდნენ თვალები, როცა მის მზერას შეეფეთებოდნენ. ამ წუთში დავითს უყვარდა ეს ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ პიროვნებასა და მათ შორის დიდ სხვაობას ხედავდა. გრძნობდა, რომ ისინი მფარველობას საჭიროებდნენ.

დარეკა ტელეფონმა.

—-დიახ! — დაგუდული ხმით თქვა დავითმა და ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დაახეთქა ყურმილი.

— შეცდომით დარეკეს! — წაუჩურჩულა პასუხისმგებელმა მდივანმა დავითის მეოთხე მოადგილეს.

— Черт знает что!

შემთხვევით ზარს მოთმინებიდან გამოჰყავდა დავითი.

განყოფილების გამგემ ფრთხილად გააგრძელა შეწყვეტილი ინფორმაცია.

— მოკლედ, მოკლედ! — ცივად თქვა დავითმა.

ინფორმატორმა ორი წინადადება კიდევ თქვა და საჩქაროდ დაჯდა.

დავითი უკმაყოფილო დარჩა ინფორმაციით, მან მოკლედ მოხაზა ინფორმაციის მნიშვნელობა საერთოდ — „აი, ასე უნდა კეთდებოდეს ინფორმაცია...“

სიამოვნებდა, როცა ხმაში ფოლადისებური ნოტები გამოერეოდა და სიტყვას მეტ სიმძაფრეს აძლევდა. ერთიორჯერ ხელიც დაარტყა მაგიდას. მერე დამშვიდდა და სავარძლიდან ოდნავი წამოწევით დაამთავრა თათბირი.

მოადგილეები დარჩნენ...

— რა ვუყოთ ოდიკაძეს? — დასვა კითხვა და პირველ მოადგილეს შეხედა.

მათი მზერა წამით შეხვდა ერთმანეთს. მოადგილემ ღონიერი ბეჭები შეარხია და დუმილი განაგრძო.

დავითი ელოდა ასეთ ხამაგიეროს, მაგრამ მაინც წაუხდა გუნება. კვლავ საეჭვო გახდა ოდიკაძის საკითხი.

უცებ მოუნდა წასვლა აქედან შორს, სხვა გარემოში, სადაც იქნება სილურჯე და არ იქნება ხვადაგივით დადუმებული მოადგილე.

ზღვისპირა პლაჟზე ახლა იმდენი სილაღეა, მთელ ქვეყანას ეყოფა. ნაპირნაპირ დაირწევიან შოკოლადისფერ კანჭებიანი, შოლტივით ქალები.

გავა დავითი პლაჟზე და გაუღიმებს ერთ-ერთ მათგანს. არცერთმა არ იცის, ვინ არის დავითი. სადღაც დარჩა ფართო და ნათელი კაბინეტი, ერთგული და წყნარი ადამიანები. აქ არის მხოლოდ ზღვა, მზე და ქალები...

„წავალ შვებულებაში“ — გაიფიქრა დავითმა და კვლავ შეხედა პირველ მოადგილეს.

მისი აქ არყოფნის დროს ამ სავარძელში მოადგილე ჩაჯდება, ამ კალმისტრით დაწერს, ამ ტელეფონებს დაელაპარაკება...

დავითმა გადაიფიქრა შვებულებაში წასვლა და მაუდს ამოფარებულ ღილაკს თითი დააჭირა.

მდივანს ორი თითი უჩვენა.

მდივანი გაბრუნდა და ერთი ღერი პაპიროსი შემოიტანა.

დავითმა მოსაკიდებლად ამოღებული ასანთის ღერი კბილებში გაირჭო.

მაინც წავიდა დავითი ზღვაზე...

ზღვა და პლაჟი არასდროს ისეთი არ არის, როგორიც ქალაქიდან, კაბინეტიდან ჩანს. შორიდან დანახული ზღვა რა ზღვაა. ზღვა იწყება ნაპირთან.

თუ არ დაყვინთავ, ისე ვერ გაიგებ რა არის ზღვა...

დავითი კვლავ უმიზეზო, უაზრო შიშმა შეიპყრო. ეს იყო ყველაფრის და არაფრის შიში, უთვალავი — „ხომ შეიძლება?!...“

ზღვამ მოჰხვია სველი ხელები და დავითი შეაკრთო აზრმა, რომ ვერასდროს დააღწევდა მას თავს...

საჩქაროდ გამოცურდა ნაპირისაკენ.

საოცრად გრძელი ეჩვენებოდა ზღვაზე გასატარებელი, დარჩენილი ოცი დღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჯანსუღ ჩარკვიანი

# ჩემი მიწის ცისარტყელა

I

რა გამაჩუმებს, ნათელო მთებო,
მაღალო მთებო, რა გამაჩუმებს,
სანამდე ჩემი მაღალი ძმები,
დვირედ უდგანან ხოჩა მაჩუბებს.

რა წამაჩხუბებს მე თქვენთან, მთებო,
მე თქვენთან, მთებო, რა წამაჩხუბებს?
ვიცი, რომ ხედავთ, მამულის ძვლებმა
რა მიწა მომცეს,
    რა ცა მაჩუქეს.

რა გამაჩერებს, თეთნულდო თეთრო,
თეთრო თეთნულდო, რა გამაჩერებს,

როცა არ არის სიკვდილი, ღმერთო,
სიცოცხლეს როგორ გადამაჩვევენ.

ნეტა სულ ასე,
სულ ასე ენთო,
რას არ მასმევ და რას არ მაჩვენებ...
შენი ჰუნე ვარ, მაღალო ღმერთო,
ჩამჭიდე ხელი და გამაჭენე.

II

მხოლოდ და მხოლოდ მოგახსენებთ მუშა ხელებზე,
კაცის ხელებზე, ორ გზაზე და ორ მდინარეზე,
მზეში გიმზერ და თუთუნისფერ მთვარეში გიმზერ
და შენი მთვარის ხელა ცრემლი მომდის თვალებზე.

მე დავამყენი ორი დიდი ფიქრი ერთმანეთს.
დიდი ხელებით,
    ძლიერი და დიდი ხელებით.
ფიქრი შვილზე და სამშობლოზე ფიქრი, ღმერთმანი,
ჩემი ხელების საუკუნო ციებცხელება.

ჩემი ხელებით ავაყვირე მთელი ქვეყანა
და გავაცანი დედამიწის საკვირველება,
ყველა ძლიერი მამაკაცი ერთად შევყარე,
ჩემი ხელებით,
    ძლიერი და დიდი ხელებით.

ორივე ხელი ჩამოგართვი, ძლიერო მკერდო,
რომ ჩემს ხელებში გაიზარდოს შენი სინათლე,
თუ არ ამ ხელებს, ქვეყანაზე ვის უნდა ენდო?
და მომავალი, როგორც შვილი, ვინ მოგინათლოს?

მე ვწერ და ვუკრავ ამ ხელებით და გეფერები,
მე ბოროტებას ამ ხელების ძალით გაშორებ,
მე შენი მიწაც, ამ ხელებში არ მებევრება,
რადგან ეგ მიწაც ამ ხელების არის ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ფიქრო,
ამ ხელებით ჩაგიკარ გულში,
ძვირფასო მკერდო,
ამ ხელებით გიჩვენებ დიდ გზებს.
ამ წუთისოფლის ბოროტებას თუ გადაურჩი,
ეს იმიტომ, რომ ჯერ მოუღლელ ხელებში მიმზერ.

მაგრამ ამ ქვეყნად უკვდავების შვილი ვინ არის?
სამარადისოდ დიდ სიცოცხლეს ქვეყნად ვინ უმზერს?
გაივლის დრო და ორი ხელი,
ორი მდინარე,
ყვავილებივით დაკრეფილი მეყრება გულზე.

III

შორს იხედება
ჩემი თვალი,
შორს იხედება...
კაციდან კაცში,
ზღვიდან ზღვაში,
შორს იხედება...
ჩემი თვალია,
დღე და ღამე რომ ივედრება.
შენს დიდ სიცოცხლეს —
დღე და ღამე
რომ ივედრება.
თვალი კეთილი,
ბრიალა და პატიოსანი,
თვალი ნათელი,
ცრემლიანი და მოწმენდილი,

შენი ფიქრების ლურჯი ფერით ვარ
შემმოსავი
და ვრჩები გზებზე დამშრალი და
ამოწრეტილი.

ნათელო მიწავ,
დაბინდულო და გალახულო,
მე ახლაც გხედავ,
როგორ გწვავდნენ და გაწამებდნენ,
თვალში მოგიმწყვდევ,
ქუთუთოებს გადაგახურავ,
რომ დაგავიწყო სისხლიანი ყველა
მწარე დღე.

მე ვენაცვალე შენს ძილსა და შენს ფერად სიზმრებს.
ჩემი სიფხიზლის ღია თვალებს როდი დავქებ.
მზეში გიმზერ და თუთუნისფერ მთვარეში გიმზერ
და შენი მთვარის ხელა ცრემლი მომდის თვალებზე.

მზით გაიხარე,
მზის ყურებით გაგაძღოს ღმერთმა,
მზიანი პირი აღმოსავლით ნუ მოგიშალოს.
ამომავალი მზის მადლით და მირონით გეთქვას
ყველა ახალი გარიჟრაჟის მოსვლის ნიშანი.

შორს იხედება
ჩემი თვალი,
შორს იხედება...
კაციდან კაცში,
ზღვიდან ზღვაში,

შორს იხედება...
ჩემი თვალია
დღე და ღამე რომ ივედრება,
შენს დიდ სიცოცხლეს —
დღე და ღამე
რომ ივედრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ჩემი ფილტვებით სუნთქავს შენი მკერდი მაღალი,
ჩემი ფილტვებით იწმინდები და იფილტრები.
რა უმოწყალოდ ამუშავეს და ვერ დაღალეს,

მზით, მზით,
მზით, მზით, მზით
დაბერილი ჩემი ფილტვები.

ღრმად ჩაისუნთქე,
ჩაისუნთქე,
უფრო,
უფრო, ღრმად,
კრიალაა და სუფთა არის
შენი ფილტვები.
ღმერთია შენთან, საქართველოვ,
განა ულვთო ხარ,
სუნთქვა ესმის და
შენი ფილტვის ხმაურს მიჰყვება.

ქვეყნად კრიალა ცა და ფილტვი ნუ მოგიშალოს,
ერთხელ წავალ და ლამესავით მოვლენ მითები,
და შენ დაგრჩება სიყვარულის დიდი ნიშანი —
მზით დაბერილი და დაღლილი ჩემი ფილტვები.

V

დედაო მიწავ, ბედნიერო და საცოდაო.
მე საჩუმათო რა მაქვს შენთან და ჩუმათ გკოცნი,
რადგან შენდამი სიყვარულში არ მყავს მოდავე,
რადგანაც ჩემი შენ გეკუთვნის სისხლი და ხორცი.

ღმერთმა იცოდეს, ჩემი გული რამდენს იწონის,
ჩემს გულს უსმენენ შენი მთები და გუგუნებენ...
შენი გელათი,
შენი მცხეთა და პეტრიწონი,
ამ ჩემი გულით ეჯახება საუკუნეებს.

ეს გული უცემს შენს რუსთავს და შენს ჭიათურას,
ეს გული უცემს შენს აჭარას და შენს აფხაზეთს...
და იწერება მყინვარწვერით შენი ქართული,
დედაო მიწავ,
შენი ზეცის ცისფერ დაფაზე.

ამ დიდი გულით აგაშენე და გაგახარე
და ახლაც მუხლზე დაცემული შენი მონა ვარ,
რომ ვერსად ნახოს შვილმა შენი ფესვი გამხმარი,
რომ არ გაუსკდეს დიდი გული ჩვენს დიდ მომავალს.

ქვებივით ყრია მზის ჩრდილებში მრუდე და მრუში...
და მე მაყვირებს სიყვარული განუკურნელი...

მზე, მზე, მზე გულში,
მზეა გულში,
მზე არის გულში
და ჩემი გულით ეჯახება საუკუნეებს.

VI

მზე — მზე — მზე.
მთა — მთა,
მე გაბიჯებ კუზიან მხრებზე...
არა,
არასდროს,
არასოდეს,
არ გაწვიმდება,
არ გაცივდება
შენი დიდი ბალი და ეზო
და შენი შვილი
სირცხვილისგან არ გაწითლდება.

მე საკუთარ გულს ვადგამ ფეხს და იმითი ვცოცხლობ,
მე ფეხზე მდგარი რომ გდარაჯობ იმითი ვცოცხლობ...
მე ვდგავარ ფეხზე, ფსეიგი ვყლიტე და ვხოცე
და გამარჯვების ნიში არის სუყველა ბორცვი.

ეგ შენი მუხლი, მგლის კი არა, ჩემი მუხლია,
ორი მთა დიდი და მთის ორი სიმღერა მკაცრი...
თუ შენს სულს მუხლი არასოდეს არ მოუხრია,
ეს უმადლოდე შენს მიწაზე გაჩენილ კაცებს.

შენ ჩემი სულის სიმაღლევ და დიდო მეწყერო,
კეთილი იყოს ქვეყნად ფეხი შენისთანისა;
შენ ისე შორს ხარ, რომ ვერავინ ვერ დაგეწევა
და გაუმარჯოს ფეხის მოდგმას შენი ტანისას.

მზე — მზე,
მზე,
მთა — მთა,
მე გაბიჯებ კუზიან მხრებზე...
არა,
არასდროს,
არასოდეს,
არ გაწვიმდება,
არ გაცივდება
შენი დიდი ბალი და ეზო
და შენი შვილი სირცხვილისგან
არ გაწითლდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჟან-პოლ სარტრი

# სიტყვები

„მშვენივრად ვიცი, რომ მხოლოდ წიგნების მწარმოებელი მანქანა ვარ“

შატობრიანი

ცოტაც და საბრძოლო ასპარეზზე ხელს ავიღებდი. ჩემს ნიჭში, რომლის სრულ უარყოფას კარლი ერიდებოდა და მხოლოდ ცალყბად აღიარებდა, მე მხოლოდ შემთხვევითობას თუ ვხედავდი, რომელსაც არ შეიძლება კანონიერად გაემართლებინა მეორე შემთხვევითობა — თვით ჩემი თავი. დედაჩემს ლამაზი ხმა ჰქონდა და ამიტომ მღეროდა. მაგრამ მაინც უბილეთო მგზავრი იყო. მე ლიტერატურული ნიჭი გამაჩნია, ამიტომ მთელი ჩემი სიცოცხლე უნდა გამოვიყენო ამ მადნეული ძარღვის დასამუშავებლად, თანახმა ვარ. მაგრამ მაშინ ხელოვნება — ყოველშემთხვევაში ჩემთვის მაინც — კარგავს თავის წმინდა უფლებებს და მე ისევ მიუსაფარი ვრჩები, შეიძლება ოდნავ მეტად უზრუნველყოფილი. ესაა და ეს. მე რომ თავი საჭიროდ მეგრძნო, სხვას უნდა მოვეთხოვე. ერთხანობას ჩემი ოჯახი მიქმნიდა ამ ილუზიას. მიჩიჩინებდნენ, რომ პაპაჩემისა და დედის თვალისჩინი ვარ: ახლა ამეებისა აღარ მჯეროდა, მაგრამ იმის გრძნობა კი დამრჩა, რომ მხოლოდ მაშინ არა ხარ ზედმეტი, როდესაც საგანგებოდ ევლინები ამ ქვეყანას, რათა ვიღაცის მოლოდინი გაამართლო. იმხანად იმდენად ამაყი და ეული ვიყავი, რომ მინდოდა ან მოვმკვდარიყავი ან მეგრძნო რომ მთელ ქვეყანას ვჭირდები:

აღარ ვწერდი: ქალბატონ პიკარის განცხადებებმა ჩემს კალმოსნურ საუბარს საკუთარ თავთან ისეთი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ მისი განახლება აღარ იქნებოდა. როდესაც რომანის გაგრძელება განვიზრახე, რათა ჩემ მიერ განსაცდელში ჩაგდებული და შუაგულ საჰარაში მშიერ-მწყურვალი და შიშშველ-ტიტვლად მიტოვებული ახალგაზრდების წყვილი გადამერჩინა მაინც, უსუსურობის ტანჯვა-წამება განვიცადე. მოვუჯდებოდი თუ არა საწერად, თავი მიბრუვდებოდა, ფრჩხილებს ვიკვნეტდი და ვიმანჭებოდი: უბიწოება დამკარგვოდა. ვდგებოდი და ვიწყებდი ოთახებში ხეტიალს, მინდოდა ცეცხლი წამეკიდებინა, ვაგლახ, რომ ხანძარი არასოდეს გამიჩენია: წესისამებრ, ხასიათითა და ჩვეულებით მორჩილი ვიყავი და შემდგომში თუ ავჯანყდი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მორჩილება უკიდურესობამდე მივიყვანე. შავი კოლენკორის ყდიანი და წითელ ჩამონაჭრიანი „დავალებების“ რვეული“ მიყიდეს: გარეგნულად იგი არაფრით განსხვავდებოდა ჩემი „რომანების რვეულისაგან“: შევხედავდი და ჩემი საკლასო დავალებანი და პირადი ვალდებულებანი ერთმანეთში მერეოდა, ვაიგივებდი მწერალს და მოწაფეს, მოსწავლესა და მომავალ მასწავლებელს; რა განსხვავებაა — გინდა წერე, გინდა გრამატიკა ასწავლე; ხელიდან გამივარდა საზოგადოების სამსახური-

---

*) დასასრული, იხ. „მნათობი“ №№ 6, 7.

სათვის განკუთვნილი კალამი და რამდენიმე თვე მისთვის ხელი აღარ მოუკიდია. პაპაჩემი ულვაშებში იღიმებოდა, როდესაც მხედავდა რომ მის კაბინეტში ვზივარ და შავი დღე მადგია: ნამდვილად ეგონა თითქოს მისმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო.

ის კი ჩაიფუშა, რადგან მე ეპიკური აზროვნება მქონდა. ხმალი გადამიტეხეს, უფლებები ჩამომართვეს და გამამდაბლეს. ხშირად ღამეობით ერთსა და იმავე გულის შემაღონებელ სიზმარს ვხედავდი: ლიუქსემბურგის ბაღში ვარ, აუზის პირას, სენატის პირდაპირ რომ არის; რაღაც უცნობი ხიფათისაგან უნდა დავიცვა პატარა ქერა გოგონა, რომელიც ვეღარ მაგონებს, ერთი წლით ადრე რომ გარდაიცვალა. პატარა უდრტვინველად და მინდობილად მიყურებს სერიოზული თვალებით; ხშირად ხელში სერსო უჭირავს. მე კი მეშინია: მეშინია რომ უხილავი ძალა დამატოვებინებს მას. და თანაც როგორ მიყვარს, რა თავდავიწყებით მიყვარს! მე ახლაც მიყვარს იგი; ვეძიებდი, ვკარგავდი, ვპოულობდი — გულში მყავდა ჩაკრული და კვლავ ვკარგავდი: მთელი ეპოპეაა. რვა წლისა ვიყავი, სწორედ ის დრო იყო ბედს რომ დავემორჩილე, და ახლა მოულოდნელად ავფორიაქდი; ამ პატარა მიცვალებულის გადასარჩენად ერთი უბრალო და გიჟური ოპერაცია მოვიმოქმედე, რომელმაც ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართა: გმირის ზეგარდმო უფლებები მწერალს გადავულოცე.

დასაწყისში მხოლოდ აღმოჩენა, ან უფრო სწორედ ერთი მოგონება იყო — ჯერ კიდევ ორი წლით ადრე ასეთი წინასწარგრძნობა მქონდა: დიდი მწერლები მოხეტიალე რაინდებს ჰგავანან, რადგან ერთნიცა და მეორენიც მხურვალე მადლობის გრძნობას იმსახურებენ. პარდაიანს რაც შეეხება, ნაღდი ამბავი იყო: მადლობით აღსავსე ობოლთა ცრემლმა ხელები დაულბო, მაგრამ ლარუსის დიდი ლექსიკონისა და გაზეთში წაკითხული ნეკროლოგებისათვის რომ დამეჯერებინა, მწერლები არაფერში ჩამოუვარდებოდნენ გმირებს: მწერალს მხოლოდ საკმაო ხანს უნდა ეცოცხლა და უსათუოდ მიიღებდა წერილს უცნობისაგან, რომელიც მადლობას უცხადებდა. დაწყებული ამ წუთიდან, მადლობათა ნაკადი არ წყდებოდა, ისინი ხვავდებოდნენ მის საწერ მაგიდაზე, ავსებდნენ მთელ ბინას; უცხოელები გადასერავდნენ ხოლმე ზღვას, რათა ხელი ჩამოერთმიათ მწერლისათვის და როდესაც კვდებოდა თანამემამულენი ფულს აგროვებდნენ მისთვის ძეგლის ასაგებად; მის სამშობლო ქალაქში და ხანდახან დედაქალაქშიაც-კი მის სახელს არქმევდნენ ქუჩებს. მადლიერების ამგვარი გამოხატულება თავისთავად არ მაინტერესებდა: იგი მეტად მაგონებდა ჩვენ ოჯახურ კომედიას. მაგრამ ერთმა გრავიურამ მაინც შემაშფოთა: რამდენიმე საათის შემდეგ ნიუ-იორკში უნდა ჩამოვიდეს სახელმოხვეჭილი რომანისტი დიკენსი: შორს უკვე ჩანს გემი, რომლითაც იგი მოდის; სანაპირო უკვე გაჭედილია ხალხით, რომელიც მას ელის ყველას პირი დაუღია და მისალმების ნიშნად ათასი ქუდი ზეაღმართულ ხელებში უჭირავს. ისეთი ჭედვაა რომ ბავშვები იხუთებიან, მაგარმ მიუხედავად ყოველივე ამისა ბრბო ეულია, ობოლი და დაქვრივებული, იგი მიტოვებულია, რადგან ადამიანი, რომელსაც ელიან აქ არ არის. მე წავიჩურჩულე" „აქ ვიღაცა აკლია: ეს დიკენსია ნამდვილად!" და თვალზე ცრემლი მომადგა. მაგრამ ამ ეფექტებს უარვყოფდი, მე მათი მიზეზის გაგება მინდოდა: რახან მწერლებს ასე გულმხურვალედ ხვდებიან, ვუთხარ ჩემ თავს მაშ მათ საშინელი განსაცდელის გამოვლა უხდებათ და კაცობრიობას თვალსაჩინო სამსახურს უწევენ. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ასეთივე თავაწყვეტილი ენთუზიაზმის მომსწრე გავხდი: ქუდებს ჰაერში ისროდნენ, ქალი და კაცი „ბრავოსა" და „ურას" გაჰკიოდა; ეს იყო 14 ივლისს, ალჟირელ მსროლელთა გავლის დროს. ამ მოგონე-

ბამ საბოლოოდ დამარწმუნა: თავისი ფიზიკური უძლურებისა, მანჭიაობისა და გაიზიზების მიუხედავად ჩემი თანამოკალმეები ჯარისკაცებსა ჰგვანან, ისინი პარტიზანებივით ფარულად იბრძოდნენ და ხიფათში აგდებდნენ თავის სიცოცხლეს, ტაშს უკრავდნენ უფრო მათ მხედრულ ვაჟკაცობას ვიდრე ნიჭს. მაშ, მართალი ყოფილა! — ვუთხარი ჩემ თავს. **ისინი საჭირო ყოფილან!** პარიზში, ნიუ-იორკში, მოსკოვში მათ ელიან, შიშითა თუ აღტაცებით, ელიან დიდი ხნით ადრე ვიდრე ისინი გამოაქვეყნებენ თავის პირველ წიგნს, მანამდე ვიდრე ისინი დაიწყებენ წერას, და მანამდეც-კი სანამ ისინი დაიბადებიან.

მაგრამ მაშინ... მე რაღა? მე ვისაც წილად მხვდა წერა? კეთილი, მეც მიცდიან. კორნელი პარდაიანად გარდავქმენი: მას დარჩა თავისი მოღრეცილი ფეხები, თავისი ვიწრო გულმკერდი და მარხულის გამომეტყველება, მაგრამ მისი სიძუნწე და ანგარება მოვაშორე; განზრახ შევაერთე მისი ლიტერატურული ოსტატობა და სულგრძელობა. ახლა უკვე სულ ადვილი გახდა, რომ თვით მე კორნელად გადავქცეულიყავ და ადამიანთა მოდგმის ქომაგის რწმუნება მეკისრა. ეს ჩემი ახალი ტყუილი უცნაურ მომავალს მიმზადებდა; მაგრამ მანამდე მოგებაში ვიყავი. ავბედითად დაბადებული ყველა ძალღონეს ვხმარობდი რათა ხელახლა დავბადებულიყავ. განსაცდელში მყოფი უმანკოების ათასგზის აღვლენილმა ლოცვამ მომიყვანა მე ამ ქვეყნად. მაგრამ მართლა კი არა: მოგონილი რაინდი ვიყავი და მოგონილ გმირობას ჩავდიოდი. მანამ, სანამ ამ მოგონილმა ამბებმა გული ამირია და მე კვლავ დამიბრუნა ჩემი ოცნებები, მაგრამ ახლა უკვე ისინი ხორციელდებოდნენ. ჩემი მოწოდება ხომ სინამდვილეში არსებობდა; ეს აღარ მაეჭვებდა რადგან თვით უზენაესმა ქურუმმა მომცა ამისი გარანტია. მოგონილი ბავშვი ვიყავი, ნამდვილ მოხეტიალე რაინდად გადავიქცეოდი და ჩემი გმირობა ჩემი ნამდვილი წიგნები იქნება. მე საჭირო ვარ! უკვე მოელიან ჩემ თხზულებებს, რომელთა პირველი ტომი, მიუხედავად ჩემი გულმოდგინეობისა 1935 წელზე ადრე ვერ გამოვა, დაახლოებით 1930 წელს ადამიანები მოუთმენლობას ვეღარ შეიკავებენ და ერთმანეთს გადაულაპარაკებენ: „ერთი ამას არ უყურებთ — არცა ჩქარობს! უკვე ოცდახუთი წელი ვინახავთ, ის კი არაფერს არ აკეთებს. რაო, ისე უნდა ამოვწყდეთ, რომ მაგის ნაწერი ვერ წავიკითხოთ?“ მე მათ ვუპასუხებდი 1913 წლის ჩემი ხმით: „ეჰ, თავი დამანებეთ და მუშაობა მაცალეთ!“ მაგრამ თავაზიანად ვიყავი: ვხედავდი, რომ, ღმერთმა უწყის რა მიზეზით, მათ ჩემი დახმარება ესაჭიროებათ და ამ საჭიროებამ მშვა მე და მხოლოდ მე შემეძლო მისი დაკმაყოფილება. ვუკვირდებოდი საკუთარ თავს და ვცდილობდი დამენახა ჩემში ეს საყოველთაო მოლოდინი, ჩემი მაცოცხლებელი წყარო და აზრი ჩემი არსებობისა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ერთი წამი და ჩემი მიზანი მიღწეულია, მაგრამ იმავ წუთს მესმოდა, რომ ყოველივე ცუდა ამაოა. რა ბედენაა: ეს მაცდური გაბრწყინებაც კი მაკმაყოფილებდა. დამშვიდებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით — იქნებ მე სადმე უკვე ვაკლივარ? მაგრამ არა: ჯერ ნამეტანი ადრე იყო. ჯერ თავისთავისათვისაც კი უცნობი სურვილის მშვენიერი საგანი ვიყავი და სიხარულით ვთანხმდებოდი ჯერჯერობით ინკოგნიტო შემენარჩუნებინა. ბებიას ხანდახან თავის ბიბლიოთეკაში მივყავდი და ვერთობოდი მაღალი, ჩაფიქრებული, დაუკმაყოფილებელი ქალბატონების ცქერით, რომლებიც თაროებს შორის დადიოდნენ და დაეძებდნენ ავტორს, რომელიც მათ შიმშილს დააცხრობდა: მაგრამ ვერ იპოვნიდნენ, რადგან ეს ავტორი ვიყავი მე, ბიჭუნა, რომელიც მათ კაბებს ვედებოდი და ისინი არცკი მიყურებდნენ.

ეშმაკურად ვიცინოდი, გული მიჩვილდებოდა და ტირილს ვიწყებდი: ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში

მრავალი როლი გამოვიგონე ჩემთვის და მიდრეკილება შევთხზე, მაგრამ ყველა გაჰქრა. ახლა კი გამბურლეს და ბურღი კლდეს წააწყდა. მე მწერალი ვიყავი. სწორედ იმგვარადვე, რაგვარადაც შარლ შვეიცერი პაპა იყო: იმთავითვე და სამუდამოდ. მაგრამ, ხდებოდა რომ ამ ჩემ ენთუზიაზმს ეჭვი ღრღნიდა: არ მინდოდა აღიარება იმისა, რომ ნიჭი, რომლის არსებობის გარანტია კარლმა მომცა, უბრალო შემთხვევითობაა და იმდენი ვიცოდვილე რომ მოვახერხე მისი მანდატად გადაქცევა, მაგრამ არავინ მაქეზებდა, არავინ არაფერს არ მთხოვდა და მე ვერ ვახერხებდი იმის დავიწყებას, რომ ეს მანდატი მე თვითონვე მივეცი ჩემს თავს. წარღვნამდელ სამყაროს გადავურჩი სწორედ იმ წუთს როდესაც ბუნებას გამოვეყავი, რათა ბოლოსდაბოლოს თვით ჩემად ვქცეულიყავი, იმ სხვად, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი სხვათა წინაშე. პირისპირ შევყურებდი ჩემ ბედს და ვერ ვცნობდი: ეს ხომ მხოლოდ ჩემი საკუთარი თავისუფლება იყო, რომელსაც მევე მივანიჭე რაღაც ხარისხი, მოკლედ, საკუთარი თავის სავსებით ვერც მოტყუებას ვახერხებდი, ვერც გამართლებას. ვმერყეობდი. ჩემმა ეჭვებმა კვლავ ძველი პრობლემა წამოაყენეს: როგორ შევუთანხმო ერთმანეთს მიშელ სტროგოვის ქვეშევრდომული ერთგულება და პარდაიანის დიდსულოვნება. რაინდი ვიყავ და მეფის ბრძანებებს არ ვემორჩილებოდი; როგორ შემეძლო გავმხდარიყავი მწერალი ვილაცის განკარგულებით? ეს ეჭვები დიდხანს არ გაგრძელებულა; ორი, საწინააღმდეგო საწყისი დამეუფლა, მაგრამ მშვენივრად შევეთვისე მათ წინააღმდეგობებს. ჩემთვის ხელსაყრელიც კი იყო ის, რომ ერთდროულად ზეცის საბოძვარიც ვიყავი და ჩემი თხზულებების მიერ შექმნილიც. იმ დღეებში, როდესაც კარგ გუნებაზე ვიყავ, ყველაფერი ჩემგან მოდიოდა, მე თვით და თავისთავადად ამოვიყვანე ჩემი თავი არყოფნიდან, რათა მომეტანა ადამიანებისათვის მათთვის სასურველი წიგნები: დამჯერი ბავშვი, მორჩილი ვიქნები სიკვდილამდე, მაგრამ მხოლოდ ჩემივე თავისას. მოწყენის ჟამს, როდესაც საკუთარი გამოუყენებლობისა და უმაქნისობისაგან გული მერეოდა თავს ვიმშვიდებდი მხოლოდ იმით რომ წინასწარდანიშნული ვარ: მოვუწოდებდი ადამიანთა მოდგმას, მას ვაკისრებდი პასუხისმგებლობას ჩემი სიცოცხლისათვის და ამგვარად კოლექტიური მოთხოვნილების ნაყოფი-ღა ვხდებოდი. უფრო ხშირად კი სულის სიმშვიდეს იმით ვინარჩუნებდი, რომ ვახერხებდი არ მეთქვა უარი არც თავისუფლებაზე, რომელიც აღაგზნებს, არც აუცილებლობაზე, რომელიც ამართლებს.

პარდაიანი და სტროგოვი მშვენივრად უთავსდებოდნენ ერთმანეთს: ხიფათი სხვაგან მელოდა და უნებურად ფრიად უსიამოვნო დაპირისპირების მოწმედ გამხადა, რამაც შემდეგში მაიძულა სიფრთხილის ზომები მიმეღო. დიდად პასუხისმგებელია ზევაკო, რომლისგანაც ასეთ ღალატს არ მოველოდი; რა უნდოდა ჩემგან: შეშინება თუ გაფრთხილება? საქმე კი ის იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მადრიდში, ერთ ფუნდუკში, როდესაც მე ერთიანად გართული ვიყავი ამბით უბედური პარდაიანისა, რომელიც დამსახურებულად ისვენებდა და ღვინოს შეექცეოდა, წიგნის ავტორმა ჩემი ყურადღება სხვა სტუმრისაკენ მიიზიდა. ეს სტუმარი სერვანტესი გახლდათ. ეს ორი ადამიანი გაეცნო ერთმანეთს, გამოუცხადეს ურთიერთ ნდობა და ერთობლივ გაემგზავრნენ სიკეთის დასაცავად. კიდევ უარესი, უაღრესად გაბედნიერებულმა სერვანტესმა გული გაუხსნა ახალ მეგობარს და უთხრა რომ წიგნის დაწერას აპირებს: აქამდე მთავარი გმირის საკითხი სავსებით გამორკვეული არა ჰქონდა, ახლა კი, ღვთის შეწევნით, გამოჩნდა პარდაიანი და ის გაუწევს მოდელის სამსახურს. აღშფოთებამ კინაღამ წიგნი გადამაგდებინა: რა უტაქტობაა! მე რაინდი მწერალი ვიყავი, ორად

გამაპეს, ორივე ჩემი ნახევარი დამოუკიდებელ ადამიანად იქცა, ახლა ნახევრები შეხვდნენ ერთმანეთს და შეეკამათნენ. პარდაიანი სულელი არ იყო, მაგრამ „დონ კიხოტი“ არ დ ა უ წ ე რ ი ა; სერვანტესი კარგად იბრძოდა, მაგრამ იმის იმედი არ იყო რომ იგი შესძლებდა ოცი რეიტარის დაჯაბნას. მათი მეგობრობა მხოლოდ ორივეს შეზღუდულ შესაძლებლობებს აამჟღავნებდა. პირველი ფიქრობდა „ეს მჯღაბნელი, ცოტა არ იყოს მოისუსტებს, მაგრამ ვაჟკაცობაში უკან არ დაიხევს“. მეორე კი: „დალახვროს ეშმაკმა! ეს კაცი გაუთლელია, მაგრამ არც ისე ურიგოდ აზროვნებს“. თანაც არც მაინცა და მაინც მომწონდა, რომ ჩემი გმირი მწუხარე სახის რაინდის მოდელი ყოფილიყო. „კინოს“ ეპოქაში სიქაგამოცლილი „დონ კიხოტი“ მაჩუქეს, ორმოცდაათ გვერდზე მეტი არც წამიკითხეს: ჩემი გმირობა საქვეყნოდ იყო გამასხარავებული! ახლა კი თვითონ ზევაკოც... მაშ ვის დავუჯერო? სინამდვილეში კახპა ვიყავი. ჯარისკაცების სათრეველა: ჩემს გულს, ჩემს გათახსირებულ გულს, ავანტიურისტი ერჩია ინტელიგენტს; მრცხვენოდა სერვანტესი ვყოფილიყავი და სხვა არაფერი. ღალატისათვის რომ გზა მომეჭრა, ჩემს ფიქრებსა და ლექსიკონში ტერორი დავამყარე, განვდევნე სიტყვა „გმირობა“ და ყველა მისი წარმოებული, გულის სიღრმეში ჩავახშე მოხეტიალე რაინდები, თავს ვაძალებდი რათა მეფიქრა მწერლებზე, ხიფათზე, რომელიც მათ სდარაჯობს, მახვილ კალამზე რომლითაც განგმირავენ ბოროტმოქმედებს. ისევე ვკითხულობდი „პარდაიანსა და ფაუსტს“, „განკიცხულებს“, „საუკუნეთა ლეგენდას“, დავტიროდი ჟან ვალჟანსა და ევირადნუსს, მაგრამ დავხურავდი წიგნს, ამოვშლიდი მათ სახელებს ჩემი მეხსიერებიდან და ვიწყებდი ჭეშმარიტად ჩემი მარაქის ხალხის გამოძახებას. სილვიო პელიკო: დაპატიმრებულია სამუდამოდ. ანდრე შენიე: გილიოტინით თავი მოჰკვეთეს. ეტიენ დოლე: ცოცხლად დაწვეს. ბაირონი: დაიღუპა საბერძნეთისათვის. გულცივი გაბოროტებით შევუდექი ჩემი მოწოდების გადახარშვას, გავამდიდრე იგი ჩემი ადრინდელი ოცნებებით: არაფერში უკან არ ვიხევდი: ვწურავდი ჩემს იდეებს, ვაყალბებდი სიტყვების მნიშვნელობას, გავემიჯნე სამყაროს, საეჭვო შეხვედრებისა და შესაძლებელ შედარებათა შიშით. ჩემი სულის არდადეგებს მოჰყვა საყოველთაო და მუდმივი მობილიზაცია: მე სამხედრო დიქტატურად გადავიქეცი.

ეჭვებმა სულ სხვა სახე მიიღეს: მე ვამახვილებ საკუთარ ნიჭს, — ამას რა სჯობს. მაგრამ რას ვემსახურო? მე ვჭირდები ადამიანებს: **მაგრამ რისთვის?** უბედურება იყო, რომ საკუთარ როლზე და დანიშნულებაზე დავიწყე ფიქრი. ვიკითხე „ბოლოს და ბოლოს, რის შესახებაა ლაპარაკი?“ და მომეჩვენა რომ ყველაფერი ხელიდან მეცლება. ლაპარაკი იყო **არაფრის** შესახებ. ყველა გმირი როდია ვისაც სურს. არც გმირობა და არც ნიჭი საკმარისი არ არის, საჭიროა კიდევ ჰიდრებისა და ურჩხულების მოშველიება. ისინი კი არსად მინახავს, ვოლტერმა და რუსომ თავის დროს ბევრი იბრძოლეს: მაშინ ხომ კიდევ მოიპოვებოდა ტირანები. გერნსეიზე გადასახლებულმა ჰიუგომ მოსპო ბადენგე, რომლისადმი სიძულვილი პაპა ჩემმა ჩამინერგა, მაგრამ ვერავითარ დამსახურებას ვერ ვხედავდი იმაში რომ ეს ჩემი სიძულვილი გამემჟღავნებინა, ვინაიდან ეს იმპერატორი უკვე ორმოცი წლის წინად მომკვდარიყო. თანამედროვე ისტორიის გამო შარლი თავს იკავებდა: დრეიფუსარი იყო, მაგრამ დრეიფუსის შესახებ ჩემთან არასოდეს ულაპარაკია. დასანანია! როგორი გატაცებით შემეძლო ზოლას როლის თამაში: სასამართლოდან გამოვდივარ, გამხეცებული ბრბო შემომესია, მე კი უკვე ფეხი მაქვს შედგმული ეტლის საფეხურზე, მივუბრუნდები მათ და ვაცამტვერებ ყველაზე გამძაგებულებს — თუმცა. არა! არა, მე გამოვნახავ მრისხანე სიტყვებს, რომლე-

ბიც მათ უკან დაახევინებს. და რასაკვირველია ინგლისში გაქცევაზე მე უარს ვამბობ; არაალიარებული, ყველასაგან მიტოვებული, რა სიტკბოებაა ისევ გრიზელდისი გავხდე და პარიზის ქვაფენილებზე ვეხეტო და ერთი წუთითაც კი არ დავეჭვდე რომ პანთეონი მომელის.

ბებიაჩემი ყოველდღე იღებდა „ლე მატენს“ და თუ არ მეშლება, „ექსელსიორს“: აქედან გავიგე სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს არსებობა და, როგორც ყოველ პატიოსან ადამიანს, მეზიზღებოდა იგი. მაგრამ ამ, ადამიანის სახის მქონე მხეცებისაგან, ვერაფერი ხეირი ვერ ვნახე: შეუპოვარი ბატონი ლეპინი მათ თვითონაც კარგად უსწორდებოდა. ხანდახან მუშები შფოთავდნენ, უცებ ნადგურდებოდა ვიღაცის ქონება, მაგრამ მე ეს ამბები არც გამიგია და დღესაც არ ვიცი რას ფიქრობდა ყოველივე ამის გამო პაპაჩემი. იგი პუნქტუალურად ასრულებდა ამომრჩევლის ვალდებულებას, გამოდიოდა კაბინიდან გაახალგაზრდავებული, ოდნავ თავს იწონებდა და როდესაც ჩვენი ქალები გამოაჯავრებდნენ ხოლმე: „გვითხარი მაინც, ხმა ვის მიეცი! მშრალად უპასუხებდა „ეს კაცების საქმეა“ მაგრამ, როდესაც რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, გულწრფელობის ჟამს პაპამ გაგვაგებინა, რომ პამის კანდიდატურას არ იწონებს. „სიგარეტების ვაჭარია!“ წამოიძახა გაგულისებულმა. პაპაჩემი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტი იყო და უნდოდა რომ საფრანგეთის პირველი მოხელეც მისი ტოლსწორი ყოფილიყო, ინტელიგენტი წვრილი ბურჟუა პუანკარე. ახლა დედაჩემი მარწმუნებს რომ იგი რადიკალებს აძლევდა ხმას და რომ მისთვის ეს კარგად იყო ცნობილი. ესეც არ მაკვირვებს: მან აირჩია მოხელეების პარტია, თანაც რადიკალებმა უკვე თავისი დრო მოსჭამეს: შარლი კმაყოფილებას განიცდიდა, როდესაც ხმას აძლევდა პროგრესის პარტიას და ამით მხარს უჭერდა წესრიგის პარტიას. მოკლედ, მისთვის რომ დაგეჯერებინათ, საფრანგეთის პოლიტიკოსები სულაც არ იყვნენ ურიგონი.

ყოველივე ეს გულს მიკლავდა: მე შევიარაღდი რათა დავიცვა კაცობრიობა საშინელი ხიფათისაგან, ყველანი კი მარწმუნებენ, რომ ყოველივე თანდათან სრულყოფისაკენ მიისწრაფვის. პაპაჩემმა ბურჟუაზიული დემოკრატიის პატივისცემაში აღმზარდა: მისი გულისათვის სიამოვნებით ვიშიშვლებდი ჩემს კალამს, მაგრამ ფალიერის პრეზიდენტობის დროს გლეხები ამომრჩეველთა უფლებებით სარგებლობდნენ: სხვა რაღა უნდა მომეთხოვა? რა უნდა ქნას რესპუბლიკელმა, როდესაც ბედად ხვდა რესპუბლიკაში ცხოვრება? იგი ან ჩხირკედელაობს ან ბერძნულ ენას ასწავლის, ხოლო მოცალეობის ჟამს ორიაკის ძეგლებს აღწერს. ისევ საწყის წერტილს დავუბრუნდი და კვლავ ვიგრძენ რომ ვიხუთები ამ კონფლიქტებს მოკლებულ სამყაროში, რომელიც მწერალს უმუშევრობას უქადის.

ისევ შარლს უნდა ვუმადლოდე რომ გადამარჩინა. რასაკვირველია, თავისდაუნებურად. ორი წლით ადრე, იმისათვის რომ ჰუმანიზმი ჩაენერგა ჩემთვის. მან რამდენიმე აზრი გამოსთქვა, რომელთა გამო შემდეგში კრინტიც არ დაუძრავს, რადგან ეშინოდა ისინი არ გამხდარიყვნენ ჩემი სიგიჟის მასაზრდოებელნი, მაგრამ ეს იდეები ჩემს სულში აღიბეჭდნენ. ახლა მათ ნელნელა დაიწყეს დუღილი და მთავარის გადასარჩენად ის მწერალი — რაინდი თანდათან წამებულ მწერლად გადააქციეს. მე გიამბეთ იმის შესახებ, როგორ იყო რომ მამის ნებასურვილს დაყოლილმა უბედო მღვდელმა შეინარჩუნა ღვთაებრივი იმით, რომ შეუერთა იგი კულტურას. ამ ამალგამიდან წარმოიშვა წმინდა სული, ატრიბუტი უსასრულო სუბსტანციისა, მფარველი ლიტერატურისა და ხელოვნებისა, ახალ და ძველ ენათა, აგრეთვე პირდაპირი სწავლების მეთოდისა; თეთრი მტრედი, რომლის მადლი და წყალობა მოეფინა შვეიცერების ოჯახს, კვირაო-

ბით დაფრენდა ორგანონისა და ორკესტრის თავზე, ხოლო სამუშაო დღეებში წამოსკუპდებოდა ხოლმე პაპაჩემის კეფაზე. კარლის წინად ნათქვამი სიტყვები ახლა ჩემს გონებაში ერთიან გამოსვლად იქცა: ქვეყანას ბოროტება დაეპატრონა,-ხსნა მხოლოდ იმაშია, რომ შენვე უარჰყო თავი შენი და მთლად დედამიწა და კატასტროფის სიღრმიდან უჭვრიტო მიუღწეველ იდეებს. ვინაიდან ყოველივე ეს მეტად სახიფათო ხანგრძლივ ვარჯიშს მოითხოვს, ამიტომ იგი სპეციალისტთა კორპუსს მიანდეს. მღვდელმსახურებმა იტვირთეს კაცობრიობის მეურვეობა და თავის დამსახურებას მის გადასარჩენად მიმართავენ: პატარა და დიდ მტაცებლებს შეუძლიათ გულდამშვიდებით გაფლანგონ თავისი ამაო ცხოვრება, ერთმანეთში იძიძგილონ ან ეთრიონ ამ ქვეყნად ჭეშმარიტების შეუცნობლად, ვინაიდან მათ მაგივრად სიკეთისა და სილამაზის გამო მწერლები და მხატვრები ფიქრობენ. კაცობრიობის ცხოველური მდგომარეობიდან დასახსნელად მხოლოდ ორი პირობაა საჭირო: სათანადოდ დაცულ ადგილებში შევინარჩუნოთ გარდაცვლილ მღვდელთმსახურთა რელიქვიები: ტილოები, წიგნები, ქანდაკებები და თუნდაც ერთი ცოცხალი მღვდელმსახური, რომელიც შესძლებს საქმის გაგრძელებას და მორიგი რელიქვიების დამზადებას.

საზიზღარი სიცრუე იყო, მაგრამ მაინცა და მაინც არ მესმოდა ისე ვნთქავდი, ოცი წლისა რომ ვიყავი კიდევ მჯეროდა მისი. მე დამარწმუნეს და დიდხანს მეგონა, რომ ხელოვნება მეტაფიზიკური მოვლენაა და რომ სამყაროს ბედი ყოველ ნაწარმოებზე ჰკიდია. მე გამოვავლინე ეს მრისხანე რელიგია და ვირწმუნე იგი, რათა მომეოქროვებინა ჩემი მკრთალი არსებობა: მე გავიმსჭვალე წყენითა და გაბოროტებით, რომელთაც ჩემთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ და მით უმეტეს არ ეხებოდენ პაპაჩემს. ფლობერის, გონკურების და გოტიეს ძველმა ნაღველმა მომწამლა; მე შემიშხაპუნეს მათი აბსტრაქტული სიძულვილი ადამიანისადმი, რომელიც სიყვარულის ნიღაბქვეშ იყო ამოფარებული. ამ შხამმა შემიცვალა წარმოდგენა ჩემი საკუთარი როლის შესახებ. ჯაჯღანა გავხდი. ლიტერატურასა და ლოცვას ერთმანეთში ვურევდი და ადამიანის მსხვერპლის შეწირვად ვაქციე იგი. მე გადავწყვიტე, რომ ძმები ჩემგან ელიან რათა გამოვიყენო კალამი მათ დასახსნელად: დღეს მათი ხსენებაც არ იქნებოდა, მათ ბედში რომ წმინდანები არ ერეოდნენ მუდამ. და თუ ყოველდილა როდესაც თვალს ვახელ და მივირბენ ხოლმე ფანჯარასთან, ვხედავ რომ ქუჩაში დადიან ჯერ კიდევ ცოცხალი ბატონები და ქალბატონები, ამას უნდა ვუმადლოდეთ იმ მშრომელს, გამუდმებით, დაისიდან გათენებამდე რომ იღწვის, რათა დასწეროს უკვდავი ფურცელი — ჩვენი სიცოცხლის ერთი დღე-ღამით განვადების საფასურად. როცა დაღამდება, იგი კვლავ იწყებს შრომას და ასე იქნება დღეს და ხვალ, სანამ იგი დაილევა და მოკვდება; მაშინ მე ჩავდგები მის მაგივრად: მეც ასევე, ჩემი მისტიკური მსხვერპლით და ჩემი შრომით, უფსკრულის პირას მისულ კაცობრიობას შევაკავებ; ასე შეუმჩნევლად მებრძოლი ადგილს უთმობდა მღვდელს: ტრაგიკული პერსიფალი, მე თვითონვე თავს ვდებდი მოსანანიებელ მსხვერპლად. იმ დღეს, როდესაც შანტეკლერი[1] აღმოვაჩინე. ყოველივე დაიხლართა ჩემს გულში, მკვრივ გორგალად იქცა და მე ოცდაათი წელიწადი მოვანდომე რათა გამეხსნა გველების ეს გორგალი: განძარცვული, გასისხლიანებული, ნაცემი მამალი მაინც იკრეფს ძალღონეს, რათა დაიცვას ეზოს ფრინველები; იგი ამღერდება და უკუაქცევს მიმინოს, ხოლო გაბოროტებული ბრბო, რომელიც ამ წუთში სდევნიდა მომღერალს, ახლა საკმეველს უკმევს; მიმინო გაჰქრა, პოეტი კი განაგრ-

1 შანტეკლერი, აისის მომღერალი, მამალი, ედმონ როსტანის პიესის გმირი.

ძოზს ბრძოლას, მას ასულდგმულებს სილამაზე. აათმაგებს მის ძალას, იგი ეკვეთება მტერს და ამარცხებს მას. მე ვტიროდი: ამ ერთში — ვპოვე ყველანი — გრიზელდისიც, კორნელიც, პარდაიანიც: მე შანტეკლერი გავხდები. გაცხადდა ყოველივე: წერა, მუზების ყელსაბამისათვის კიდევ ერთი მარგალიტის მომატებაა, დავწერ და შთამომავლობას დავუტოვებ მოგონებას სამაგალითო ცხოვრებაზე, დავიცავ ხალხს თავის თავისგანვე და მისი მტრებისაგან, და საზეიმო მესით გარდმოვავლენ ზეცის წყალობას ადამიანების მიმართ. აზრადაც არ მომსვლია რომ შეიძლება წერა იმისათვის, რომ ვინმემ წაიკითხოს.

ვწერ მეზობლებისათვის ან ღმერთისათვის. ღმერთი იმ აზრით ავირჩიე რომ მეზობლები გადამერჩინა. მე მოვალეები მჭირდებოდა და არა მკითხველები. ჩემს სულგრძელობას ძირს უთხრიდა ამპარტავნება. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ობოლი გოგონების შემწე ვიყავი, პირველად ყოვლისა, ჯერ თვითონ მათ ვიშორებდი თავიდან და ვაცილებდი იქაურობას. მწერალი რომ გავხდი, ჩვეულება არ შემიცვლია: სანამ კაცობრიობის გადარჩენას შევუდგებოდი, ჯერ თვალს ვუხვევდი, ხოლო მერე უკვე პირს ვიბრუნებდი და ვილაშქრებდი პატარა, შავ, სწრაფ რეიტერების — სიტყვების წინააღმდეგ. როდესაც ჩემი ახალი ობოლი გოგონა გაბედავს თვალსახვევის შემოხსნას, მე უკვე შორს ვიქნები; ერთი ადამიანის თავგამოდებითა და გმირობით გადარჩენილი, იგი უცებ ვერც შეამჩნევს ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთერთ თაროზე, ბრწყინვალე, ახალ, პატარა ტომს, რომელიც ჩემს სახელს ატარებს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ შემამსუბუქებელი გარემოებანი. სამი გარემოებაა გასათვალისწინებელი. უპირველესად ყოვლისა ის, რომ ყველა ამ მონაჩორში ნათლად გამოსჭვივის, რომ კითხვის ქვეშ ვაყენებდი თვით ჩემი ცხოვრების უფლებას. ძნელი არ არის ამ უპასპორტო კაცობრიობაში, რომელიც ხელოვანთა სურვილს არის მინდობილი, იცნო კეთილი ცხოვრებით მოფერებული, მოწყენილი ბავშვი, რომელიც თავის ქანდარაზე ზის. მე ვიწამე უხამსი ზღაპარი წმინდანის შესახებ, რომელიც მდაბიო ხალხს იხსნის იმიტომ, რომ მე თვითონ ვიყავი მდაბიო; მე გამოვაცხადე თავი ბრბოს დახსნის პატენტის მქონედ, რათა ჩუმჩუმად და როგორც იეზუიტები ამბობენ, ამასთან ერთად, საკუთარი დახსნაც უზრუნველმეყო.

და მერე, მე ხომ ცხრა წლისა ვიყავი, ერთადერთს ვაჟიშვილს, ამხანაგებს მოკლებულს, ვერც წარმომედგინა რომ ჩემს იზოლაციას შეიძლება როდისმე ბოლო მოღებოდა. უნდა ვაღიარო, რომ როგორც მწერალი სრულიად უცნობი ვიყავი. ხელახლა დავიწყე წერა. ჩემი ახალი რომანები, თუმცა უკეთესად იყვნენ დაწერილი, მაინც ტყუპებივით ჰგავანდნენ ძველებს, მაგრამ კაცს არ უნდოდა მათი გაცნობა, მეც კი აღარ ვკითხულობდი, რადგან მეჯავრებოდა დაწერილის ხელახლა წაკითხვა: ჩემი კალამი იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ ხშირად მაჯა მტკიოდა; დაწერილ რვეულებს პარკეტზე ვისროდი, შემდეგ მავიწყდებოდა და სადღაც მეკარგებოდა; ამიტომ ვერაფერს ვერ ვამთავრებდი: რა აზრი ჰქონდა ამბის დასასრულის მოყოლას, როდესაც დასაწყისი დაკარგული იყო. ამასთან ერთად, კარლს რომ მოწყალება მოეღო და დაეხედა ამ ფურცლებისათვის, იგი ჩემი უზენაესი მსაჯული გახდებოდა და არა მკითხველი და მისი განაჩენის შიში მექნებოდა. თხზვა — ჩემი შავი სამუშაო იყო, ყველაფერს მოწყვეტილი და ამიტომ თვითმიზნური — ვწერდი იმისათვის რომ მეწერა. ამას არც ვნანობ: ვისმეს რომ ჩემი ნაწერები ეკითხა, ვეცდებოდი რომ მოსწონებოდა და ისევ სასწაულებრივი ბავშვი გავხდებოდი. იატაკქვეშ დავრჩი და ნამდვილობა შევინარჩუნე.

ბოლოს და ბოლოს, მღვდელმსახურის იდეალიზმი ბავშვის რეალიზმს ეყრდნო-

ზოდა. უკვე ნათქვამი მაქვს: როდესაც სიტყვებში სამყარო აღმოვაჩინე, დიდხანს, თვით სიტყვები, სამყაროდ მეჩვენებოდა. არსებობა — სადღაც, სიტყვების უსასრულო ცხრილებში მოპოვებულ, უტყუარი დასახელების ფლობას აღნიშნავდა, წერა—კი, ამ ცხრილებში ახალ არსებათა ამოკვეთას ან—და ეს იყო ჩემი ყველაზე აჩემებული ილუზია —წინადადებათა ხაფანგში საგნების ცოცხლად გამოჭერას ნიშნავდა: თუკი სიტყვებს მოხერხებულად გამოვიყენებ, ობიექტი გაებმება ასო-ნიშნებში და მე მას გამოვიჭერ. ლიუქსემბურგის ბაღში ვარ და ჭადრის ' ბრწყინვალე ხატება მხიბლავს. მე მას კი არ ვათვალიერებ, პირიქით — ზეშთაგონებას ველი მინდობილად; წუთიც და ნამდვილი, შეფოთლილი ჭადარი წარმომიდგებოდა ხოლმე მარტივი ზედსართავის ან და, ხანდახან, მთლიანი წინადადების სახით. ასე გავამდიდრე სამყარო მთრთოლვარე ფოთლებით. ეს ჩემი მონაპოვარი არასოდეს ქაღალდზე არ გადამქონდა: მეგონა, იგი გროვდება ჩემს მეხსიერებაში. სინამდვილეში კი, მავიწყდებოდა. მაგრამ იგი ჩემს მომავალ როლს მაგრძნობინებდა წინასწარ: მე სახელდება მხვდა წილად. მრავალი საუკუნის განმავლობაში ორიაქის თეთრი, გაურკვეველი ხროვები ელოდნენ ზუსტ კონტურებსა და აზრს; მე მათ ჭეშმარიტ ძეგლებად ვაქცევ. ტერორისტი ვიყავი და მხოლოდ მათი არსის სრულყოფას ვაპირებდი: სიტყვების საშუალებით დავამკვიდრებ მათ ამ ქვეყნად; რიტორი ვიყავი და სიტყვების გარდა არაფერი მიყვარდა: სიტყვების ტაძრები უნდა ამეგო სიტყვა „ცის“ ლაჟვარდი თვალით გაბრწყინებული. ჩემი ნაგებობანი ათასწლეულობით გასძლებენ. წიგნს ავიღებდი ხელში და შემეძლო რამდენიც მინდოდა გადამეშალა და დამეხურა იგი და მას არაფერი ემართებოდა. მაგრამ, როდესაც თვალს გავაყოლებდი უხრწნელ სუბსტანციას—ტექსტს, ჩემი მზერა მხოლოდ ზედაპირის უმნიშვნელო წვრილმანს ეხებოდა, ვერაფერს ვერ სცვლიდა, არაფერს არ სცვეთდა. მე კი, პირიქით, პასიური და ეფემერული. მხოლოდ დაბრმავებული მუმლი ვიყავი, რომელიც შუქურას სინათლემ მონუსხა. ვტოვებდი სამუშაო ოთახს, ვაქრობდი სინათლეს: წყვდიადში უჩინარი წიგნი, თვითონ და თავისთვის მუდამ გამოასხივებდა შუქს. და მეც მივანიჭებ ჩემ თხზულებებს ამ ყოვლისგამსჭვალავ სხივთა ძალას და ამ მძვინვარებას და შემდგომში, ბიბლიოთეკის ნანგრევებში, ისინი ადამიანებზე უფრო დიდხანს იცოცხლებენ.

მე მომწონდა ეს ჩემი უცნობობა, მინდოდა ეს სიამოვნება გამეხანგრძლივებინა და უცნობობა დამსახურებად გამეხადა. მე მშურდა სახელმოხვეჭილი პატიმრებისა, რომლებიც დილეგებში წერდნენ სახვევ ქაღალდზე; ისინი თავს სწირავდნენ თანამედროვეთა გულისათვის, მაგრამ მათთან ურთიერთობას მოკლებულნი იყვნენ. ბუნებრივია, რომ ზნე-ჩვეულებათა პროგრესის გამო თითქმის აღარავითარი იმედი არ იყო რომ ჩემი ნიჭი მოესწრება გაფურჩქვნას, ციხეში, მაგრამ იმედს სრულიად არ ვკარგავდი: ჩემი თავმდაბლობით განცვიფრებული განგება, ჩემი სურვილების ასრულებას შეეცდება. ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარგანჭვრეტით ვიყავი პატიმარი.

პაპაჩემის ტყუილით შეყოლიებული დედა შემთხვევას არ გაუშვებდა რათა ჩემი მომავალი ცხოვრების სიამენი არ დაეხატა: ხოლო, კიდევ მეტი, შესაცდენად იგი ალამაზებდა ჩემს მომავალ ცხოვრებას ყოველივე იმით. რაიც თვითონ აკლდა; მოსვენებით, მოცალეობით და სულიერი სიმშვიდით; ჯერ კიდევ უცოლშვილო, ახალგაზრდა მასწავლებელი ლამაზ, ხნიერ მანდილოსნისაგან ვქირაობ კეთილმოწყობილ ოთახს, რომელშიაც ლავანდის სურნელი და სუფთა თეთრეულის სუნი ტრიალებს; ლიცეი იქვეა, ერთი ფეხის მანძილზე — უცებ მივალ და დავბრუნდები; საღამოობით, ბინაში შესვლამდე, ნაბიჯს შევა-

ნელებ, რათა გამოველაპარაკო დიასახლისს, რომელიც გიჟდება ჩემი გულისათვის; თუმცა, მე ყველას ვუყვარვარ, რადგან თავაზიანი და ზრდილი ვარ. მე მხოლოდ ერთი სიტყვა მესმოდა: შენი ოთახი, ხოლო ლიცეის, მაღალი რანგის ოფიცრის ქვრივს, პროვინციის სურნელს, ყურს არ ვუგდებდი და ვხედავდი მხოლოდ ჩემს მაგიდაზე მოფენილ შუქის წრეს წყვდიადით მოცულ ოთახის შუაგულში: ფარდები ჩამოშვებულია, მე კი უზივარ მაგიდას და შავი კალენკორის ყდიან რვეულს ჩავკირკიტებ. დედა განაგრძობდა ამბავს და ათი წლის შემდგომ ამბის მოყოლაზე გადავიდოდა ხოლმე: მე მფარველობს გენერალური ინსპექტორი, მიღებული ვარ ორიაკის საუკეთესო საზოგადოებაში, ახალგაზრდა ცოლი უნაზესი გრძნობებით არის გამსჭვალული ჩემდამი, მე მას ლამაზ და ჯანსაღ ბავშვებს ვუჩენ: ორ ბიჭსა და ერთ გოგოს; მეუღლე მემკვიდრეობას იღებს, ქალაქის განაპირას მიწას ვყიდულობ. სახლს ვაშენებთ, და ყოველ კვირას მთელი ოჯახი მიდის მშენებლობის სანახავად. ყურს აღარ ვუგდებდი: მთელი ამ ათი წლის განმავლობაში მე არ ვტოვებ ჩემს მაგიდას: პატარა, მამაჩემივით ულვაშა. სიტყვარების დასტაზე შესკუპებული ვუზივარ მაგიდას; ულვაში მითეთრდება, ხელი განუწყვეტლივ წერს, რვეულები ერთი მეორის მიყოლებით ცვივიან პარკეტზე. კაცობრიობას სძინავს; ღამეს; მეუღლესა და ბავშვებს სძინავთ, ან შეიძლება დაიხოცნენ კიდევაც, დიასახლისს სძინავს, ძილმა ყველა მათაგნის მოგონებიდან ამომშალა. რა მარტოობაა: ორი მილიარდი გართხმულია მე კი მარტო ვარ მათ სადარაჯოზე.

მე დამცქერის სული წმინდა. მას სწორედ ახლა გადაუწყვეტია დაუბრუნდეს ცას და მიატოვოს ადამიანები; მოდგა დრო თავგანწირვისა. მე ვაშიშვლებ მის წინაშე ჩემი სულის ჭრილობებს, ვაჩვენებ ცრემლებს, რომელთაც დაალბეს ქაღალდი, ჩემს უკან მდგარი, იგი კითხულობს ნაწერს და მისი რისხვა ცხრება. რამ დააცხრო იგი, ჩემი წამების სიმძაფრემ თუ თხზულებათა სრულყოფამ? ჩემივე თავს ვუპასუხებდი: „თხზულებებმა“, მაგრამ გულში ვფიქრობდი „წამებამ“, რასაკვირველია, სული წმინდა, ფასს სდებდა მხოლოდ **ნამდვილად** მხატვრულ ნაწერებს, მაგრამ მიუსე მქონდა წაკითხული და ვიცოდი რომ „ყველაზე სასოწარკვეთილნი ყველაზე მშვენიერი სიმღერები არიან“ და გადავწყვიტე სასოწარკვეთილებით მომეტყუებინა სილამაზე, სიტყვა, გენიოსი, ყოველთვის ეჭვს იწვევდა ჩემში, ახლა კი პირდაპირ შემზიზღდა. რაში მჭირდება სევდა, განსაცდელი, ცდუნების გადალახვა, დამსახურებაც-კი, თუ კი ნიჭით ვარ დაჯილდოებული? იმასაც კი ძლივს ვურიგდებოდი, რომ სხეული გამაჩნია და ყოველთვის ერთი და იგივე საჭურველმა შემბოჭა. თანხმა ვიყავ მიმეღო ჩემი დანიშნულება, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი არაფრით ყოფილიყო გაპირობებული და მხოლოდ ებრწყინა უჰაერო სივრცეში. მე უჩუმრად ვეკამათებოდი წმინდა სულს: იგი მეუბნებოდა: „შენ დასწერ“, მე ხელებს ვიგრეხდი: „რა ნახე უფალო ჩემში ისეთი, რისთვისაც შენი არჩევანი მე მხვდა?“, „არაფერი მაინცადამაინც“, „მაშ რატომ მე?“ „უმიზეზოდ“, „ჩემს კალამს სიმსუბუქე თუ ახლავს მაინც?“ „არავითარი. შენ ხომ არა გგონია რომ დიდი ქმნილებები მსუბუქად იწერება?“, „უფალო, თუ კი მე ასეთი უმნიშვნელო ვარ, წიგნი როგორღა უნდა დავწერო?“ „გულმოდგინეობა დაგაწერინებს“, „მაშ ყველას შეუძლია დასწეროს?“ „ყველას, მაგრამ მე შენ აგირჩიე“. ეს ოინბაზობა ფრიად ხელსაყრელი იყო: საკუთარი უმნიშვნელობის განცხადების საშუალებას მაძლევდა და ამავე დროს ჩემი სახით პატივი მეცა მომავალი შედევრების ავტორისათვის. რჩეული ვიყავი, მაგრამ უნიჭო: ყველაფერს მივაღწევ მხოლოდ დაუშრეტელი მოთმი-

ნებითა და გაჭირვებით; უარვყოფდი ჩემში თავისებურების ნატამალის არსებობასაც-კი. ხასიათის ნიშნები ჰბოჭავენ ადამიანს; მე მხოლოდ ერთი რამის ერთგული ვიყავი, მხოლოდ მეფური მსახურებისა, რომელსაც ტანჯვა-წამების გზით დიდებისკენ მივყავდი. ტანჯვა-წამება ჯერ კიდევ გამოსანახი იყო. ეს ერთადერთი პრობლემა იყო, მაგრამ მე იგი გადაულახავად მიმაჩნდა, რადგან სიღარიბის იმედი არ მქონდა: უსახელო ვიქნები თუ დიდებას მივაღწევ, სულერთია, განათლების უწყებიდან ხელფასი მერგება და მშიერი არ დავრჩები. სასტიკ სასიყვარულო წამებას ვპირდებოდი ჩემ თავს, მაგრამ ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე: მეჯავრებოდა აღტკინებული მიჯნურები, და ვთაკილობდი სირანოს ამ ფსევდოპარდაიანს, რომელიც ქალების დანახვაზე ყეყეჩდებოდა. ნამდვილ პარდაიანს შეყვარებული ქალების მთელი გალა მოსდევდა, იგი მათ არც ამჩნევდა, თუმცა მისი გული სამუდამოდ დაკოდა მიჯნურის, ვიოლეტას, სიკვდილმა. ქვრივობა ხომ განუკურნებელი იარაა. ქალის გულისთვის განიცდი, მაგრამ მას ხომ ბრალი არ მიუძღვის; თანაც სხვა ქალების უარყოფის საშუალება გეძლევა; ღირს მოფიქრებად. მაგრამ ისიც დავუშვათ, რომ ჩემი ორიაკელი ნორჩი მეუღლე იღუპება რაიმე შემთხვევის გამო. ამგვარი უბედურება არ გაძლევს უფლებას რომ რჩეულად ჩასთვალო თავი: იგი ჩვეულებრივი და შემთხვევითია. ჩემმა აჩირებამ მაინც გამონახა გამოსავალი: ხომ იყვნენ მწერლები, რომელთაც დაცინვა და გვემა ხვდათ წილად, დევნილნი და უსახელონი ათრევდნენ თავის სულს და, დიდებამ მხოლოდ მათი გვამები შემოსა: მეც ასეთი გავხდები. გულდასმით ავწერ ორიაკს და მის ქანდაკებებს. სიძულვილი ჩემთვის უცხოა, მე საყოველთაო შერიგებისკენ, ადამიანების მსახურებისკენ უნდა მივმართო ჩემი ძალღონე. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველივე ჩემი წიგნი სკანდალს გამოიწვევს და მე საზოგადოების მტრად გამომაცხადებენ: ოვერნის გაზეთები შეურაცხყოფას მომაყენებენ, მედუქნეები არაფერს მომყიდიან, აღტკინებული ხალხი ქვებს დაუშენს ჩემს ფანჯრებს; იძულებული ვიქნები თავს ვუშველო და გავიქცე, რათა გადავურჩე ლინჩის სამართალს. თავზარდაცემული და დამთხვეული, თვეების განმავლობაში მხოლოდ ამას გავიმეორებ: „ეს ხომ გაუგებრობაა და სხვა არაფერი! ამ ქვეყნად ყველა კეთილია!“ და მართლაც ეს ხომ გაუგებრობა იქნება, მაგრამ სული წმინდა არ დაუშვებს იმას, რომ იგი გაირკვეს. მე გამოვჯანსაღდები. ერთხელ კვლავ მივუჯდები ჩემს მაგიდას და დავწერ ახალ წიგნს, ლექსად ვთარგმნი ჰორაციუსს, ქაღალდს მივანდობ ჩემს მოკრძალებულსა, მაგრამ უაღრესად გონიერ მსჯელობას პედაგოგიკის გამო; მეტი რა გზაა: ჩემოდანში გამოუცემელი რვეულები დამიგროვდება.

ამ ამბავს ორი დასასრული ჰქონდა: იმის მიხედვით თუ რა გუნებაზე ვიყავი, ავირჩევდი ერთს ან მეორეს. უგუნებობის ჟამს, ვხედავდი ხოლმე რომ რკინის საწოლზე გართხმული ვკვდები და საყოველთაო სიძულვილით ვარ გარშემორტყმული და სასოწარკვეთილი, სწორედ იმ წუთს როდესაც დიდებამ პირთან მიიტანა საყვირი. ხანდახან მცირეოდენ ბედნიერებას ვიმეტებდი ჩემთვის. ორმოცდაათი წლისა რომ ვიქნები, ახალი კალმის მოსაშინჯად ჩემს გვარს წავაწერ ხელნაწერს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დაიკარგება. ვიღაცა პოულობს მას სადღაც სხვენზე, თხრილში ან, ეს ეს არის ჩემ მიერ მიტოვებული სახლის კარადაში, კითხულობს და აღტაცებულს მიაქვს არტემ ფაიართან,—მიშელ ზევაკის სახელგანთქმულ გამომცემელთან. ნამდვილი ტრიუმფია: ათი ათასი ეგზემპლარი ორ დღეში საღდება. ყველას სინდისი ქეჯნის. ასი რეპორტიორი მიეშურება ჩემს საძებნელად და ვერ მპო-

ულობენ. მე კი განდეგილი ვარ და კიდევ დიდხანს არაფერი გამეგება საზოგადოებრივი აზრის ამგვარ შემობრუნების შესახებ. და აი ერთხელ, წვიმის დროს, თავს შევაფარებ კაფეს, ხელში ვილებ გაზეთს და რას ხედავენ ჩემი თვალები?“ ჟან—პოლ სარტრი, მწერალი ნიღაბ-ქვეშ, ორიაკის მგოსანი, ზღვის მომღერალი“. გაზეთის მესამე გვერდზე, მსხვილი შრიფტის ექვსი სვეტი. ჩემი ზეიმია. არა: სანეტარო მელანქოლიით ვარ მოცული. ასეა თუ ისე, მაგრამ სახლში ვბრუნდები, დიასახლისის დახმარებით ვხურავ ჩემოდანს, რომელშიც რვეულები აწყვია, თოკს ვუჭერ და ვუგზავნი არტემ ფაიარს, უკანა მისამართის მიუთითებლად. ამ ადგილას მოთხრობას ვწყვეტდი და ვიწყებდი სანეტარო კომბინაციების შერჩევას: თუ ჩემოდანს გავაგზავნი იმ ქალაქიდან, რომელშიაც ვცხოვრობ, ჟურნალისტები იმწამსვე მიაგნებენ ჩემს თავშესაფარს. ისევ ის სჯობს, ჩემოდანი პარიზში წავიღო და შიკრიკს გავატანო გამომცემელთან; მატარებლის გასვლამდე კიდევ მოვასწრებ და მოვინახულებ ჩემი ბავშვობის ადგილებს: ლე გოფის ქუჩას, სუფლოს ქუჩას და ლიუქსემბურგის ბაღს. გული ბალზარისაკენ გამიწევს; გამახსენდება, რომ 1913 წელს აქ დავყავდი აწ უკვე გარდაცვალებულ პაპაჩემს: ჩვენ გვერდი—გვერდ ჩამოვსხდებოდით ხოლმე პატარა მერხზე, ყველა გვიცქეროდა თანამოზიარე გამომეტყველებით, პაპა ჩემი მოითხოვდა ლუდს, თავისთვის—კათხით, ხოლო ჩემთვის—პატარა ჭიქით. მე ვგრძნობდი რომ ვუყვარვარ. და აი ახლა ორმოცდაათი წლით დაბერებული მიუსაფარი კვლავ შევაღებ ლუდხანის კარებს და მოვითხოვ ლუდს. პატარა ჭიქით. მეზობელ მაგიდასთან ახალგაზრდა ლამაზი ქალები გაცხოველებით საუბრობენ, ჩემს სახელს ახსენებენ. „ეჰ! ამბობს ერთი მათგანი, რა ვუყოთ რომ მოხუცი და მახინჯია, ჩემი სიცოცხლის ოცდაათ წელს გავწირავდი იმისათვის რომ მისი მეუღლე გამეხდარიყავი!“ ამაყად და სევდიანად ვუღიმი მას, იგი მიპასუხებს გაკვირვებული ღიმილით, ვდგები და უგზო—უკვლოდ ვიკარგები.

ბევრი დრო მოვანდომე ამ ეპიზოდის დახვეწას და კიდევ სხვა მრავალისა, რომლითაც მკითხველს არ შევაწუხებ. მათში ადვილად ამოიკითხავთ მომავლის პროექციაში ასახულს ჩემს ბავშვობას, გარემოცვას, გამონაგონს ექვსი წლის ბავშვისა, ჩემი უცნობი მოხეტიალე რაინდების სიჯიუტეს. ცხრა წლისა რომ ვიყავი, ჯერ კიდევ ვჭირვეულობდი და ჩემს წყენაში სიამოვნებას ვპოულობდი სიჯიუტით ულმობელად თავს ვიწამებდი და არ მინდოდა გაქარვება იმ გაუგებრობისა, რომელიც თვით წმინდა სულსაც კი უკვე მობეზრებული ჰქონდა. რატომ არ გავუმხილე სახელი იმ ჩემ ტურფა თაყვანისმცემელს? „ეჰ! ვეუბნებოდი ჩემ თავს, რაღა დროსია!“— „მაგრამ, იგი ხომ ყველა შემთხვევაში მაინც თანახმაა“—კი, მაგრამ, მე ხომ მეტად ღარიბი ვარ“, „მეტად ღარიბი! საავტორო გასამრჯელო?“ ეს საბუთიც არ მაფერხებდა: ფაიარს მივწერე, რათა ღარიბებისათვის დაერიგებინა ჩემი კუთვნილი ფული. მაგრამ მთელ ამ ამბავს დასკვნა სჭირდებოდა: რა ვუყოთ! მე სულს ვლევდი ჩემს ჯურღმულში, ყველასაგან მიტოვებული, მაგრამ დამშვიდებული იმით, რომ ავასრულე ჩემი ვალი.

ერთი რამ მაკვირვებს ამ ათასჯერ განმეორებულ ამბავში: დავინახავ თუ არა ჩემ სახელს გაზეთში, მაშინვე წყდება რაღაც ზამბარა და ამით ბოლო მეღება. სევდამოცული ვსიამოვნებ იმით, რომ ცნობილი ვარ, მაგრამ მეტს აღარ ვწერ. ამ კვანძის ორგვარ გახსნას ერთი აზრი აქვს: ვკვდები იმისათვის, რომ კვლავ დავიბადო დიდების მოსახვეჭად თუ დიდება იმისათვის მენიჭება, რომ მომკლას. სულერთია, წერის წყურვილში დაფარულია სიცოცხლის უარყოფა. ამ ხანებში ამაღელვა ერთმა ამბავმა, რომელიც არც მახსოვს სად

ამოვიკითხე: ამბავი გასულ საუკუნეში ხდება. ციმბირში, რკინიგზის გაჩერებაზე, ვინმე მწერალი დასეირნობს მატარებლის მოლოდინში. ჰორიზონტზე ერთი ქოხიც კი არ მოსჩანს, ერთი ცოცხალი არსებაც არ ჭაჭანებს. მწერალი მოღუშულია, ჩაუქინდრია დიდი და დაღლილი თავი. ბეცია, უცოლშვილო, მოუხეშავი, გამუდმებით გაჯავრებული; მოწყენილია, და პროსტატის სიმსვნესა და ვალებზე ფიქრობს. და უცებ, შარაგზაზე, რომელიც რკინიგზის გასწვრივ მოიმართება, გამოჩნდება ეტლი: გრაფის ნორჩი მეუღლე გადმოხტება ეტლიდან, მიირბენს მოგზაურთან, რომელიც არასოდეს არ უნახავს და ვითომ იცნო დაგეროტიპით; დაიხრება, დასწვდება მარჯვენა ხელს და ჰკოცნის. აქ ამბავი წყდება და არ ვიცი, რისი თქმა სურდა ავტორს! მაგრამ, ცხრა წლისა ვიყავი და აღმიტაცა, რომ ამ ბუზღუნა მწერალს სადღაც შუა ველში გამოუჩნდა მკითხველი, და რომ ესოდენ მშვენიერი ქალიშვილი ეახლა, რათა მოაგონოს დავიწყებული დიდება: ეს ხომ დაბადება იყო. ხოლო თუ უფრო ღრმად ჩაუკვირდით, სიკვდილი: ამას ვგრძნობდი და მინდოდა რომ ასე ყოფილიყო; ცოცხალ მდაბიოს არ შეეძლო ასეთი თაყვანისცემის მიღება არისტოკრატი ქალისაგან. გრაფის მეუღლე თითქოს ეუბნებოდა: „რახან მოგიახლოვდით და შეგახეთ ხელი, მაშ აღარ არის საჭირო დავიცვა ჩემი აღმატებული ხარისხის სიმაღლე, არც ის მენაღვლება თუ რას იფიქრებთ თქვენ ამ ჩემი საქციელის გამო, თქვენ ხომ ჩემთვის ადამიანი არა ხართ, არამედ მხოლოდ სიმბოლო თქვენი თხზულებებისა. ხელზე კოცნით მოკლულს, სანკტ—პეტერბურგს ათასი კილომეტრით დაშორებულსა და დაბადებიდან ორმოცდათხუთმეტი წლის ვინმე მოგზაურს ცეცხლი ეკიდებოდა, თავისი დიდების ალში იწვოდა და არაფერი რჩებოდა მისგან, გარდა მისი თხზულებების კატალოგის ანთებული ასოებისა. მე ვხედავდი თუ როგორ ჯდებოდა გრაფის მეუღლე თავის ეტლში, ჰქრებოდა და კვლავ მარტოობა ეუფლებოდა ველებს; წყვდიადში მატარებელი ცდილობდა დაგვიანების ანაზღაურებას და მცირე ხნით-ღა ჩერდებოდა. ვგრძნობდი როგორ მივლიდა შიში და მაკანკალებდა, ჩემთვის მაგონდებოდა „ხეები ქარში“ და ჩემთვის ვამბობდი: „გრაფის მეუღლე, ეს ხომ სიკვდილი იყო“. იგი მეახლება: ერთხელაც იქნება, სადღაც უდაბურ გზაზე და თითებს დამიკოცნის.

აკვიატებული მქონდა სიკვდილი, რადგან არ მიყვარდა სიცოცხლე: ამით აიხსნება ის შიში, რომელსაც სიკვდილი განმაცდევინებდა. სიკვდილი და დიდება გავაიგივე და ჩემ დანიშნულებად სიკვდილი ვაღიარე. სიკვდილი მოვინდომე; ხანდახან ცივი საშინელება შებოჭავდა ხოლმე ჩემს მოუთმენლობას; მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა; აღორძინდებოდა ხოლმე ჩემი წმინდა სიხარული და მე მივისწრაფოდი იმ ელვარე წუთისაკენ, როდესაც ერთიანად დავიწვები. ჩვენს უგულითადეს კეთილგანზრახვებშიაც კი განუყოფლადაა გადახლართული განზრახვაცა და მისგან თავის დაძვრენაც: იმ უგნურ იდეაში, რომ ლიტერატურული შრომა შემევედრებინა ჩემი არსებობის დახსნის ფასად, რა რიგი გაპრანჭული და ცრუც არ უნდა იყოს იგი, მაინც იყო რაღაც რეალური: ამის საბუთი ისაა, რომ ახლაც, ორმოცდაათი წლის შემდეგ, მე განვაგრძობ წერას. მაგრამ, როდესაც სათავეს მოვმართავ, თავის დაძვრენის მზნით განზრახულ შეტევას და უაზრო თვითმკვლელობას ვხედავ. დიაღ, მე ეპოპეაზე უფრო მეტად, მოწამებრიობაზე უფრო მეტად სიკვდილი მწყუროდა. დიდი ხნის განმავლობაში მეშინოდა რომ ისევე აღვსრულდები, როგორც დავიწყე—სადღაც და როგორღაც, რომ ჩემი შემთხვევითი სიკვდილი მხოლოდ ჩემი შემთხვევითი დაბადების გამოძახილი იქნება. ჩემი მოწოდება ყოველივეს სცვლიდა: ხმლის ნაჭრილობევი წარმავალია, ნაწერი რჩება და მე შევიგნე, რომ კაზმულსიტყვაობაში მიმძღვნელი თვით შეიძლება გა-

დაიქცეს თავის წმინდა ძღვენად, ე. ი. წმინდა ობიექტად. შემთხვევამ ადამიანად მაქცია, სულგრძელობას შეიძლება წიგნად ვექციე; მე შემეძლო ბრინჯაოს წარწერებად ჩამომესხა ჩემი ყბედობა, ჩემი შეგნება და ცხოვრების ამაოება გამეცვალა წარწერების წარუშლელობად. ხორცი გამეცვალა სტილზე. ხოლო დროის უნიათო სრბოლა მუდმივობაზე და წარვმდგარიყავი წმინდა სულის წინაშე, როგორც ნალექი, რომელიც ენობრივი რედაქციის შედეგად დაილექა, ვქცეულიყავი ადამიანთა მოდგმის აკვიატებულ იდეად და ბოლოს სხვა სულ სხვანაირი ვიდრე მე ვარ, სულ სხვანაირი ვიდრე ყველანი არიან, სხვაგვარი ყველაფერთან შედარებით. მივინიჭებდი ცხოველმოსილ სხეულს და მეორე ამ სხეულით დავაპურებდი მომხმარებელს. სიამოვნებისათვის კი არ დავწერდი, არამედ იმისათვის რომ სიტყვაში გამომეკვეთა ეს ჩემი უკვდავი სხეული. ჩემი საფლავის სიმაღლიდან ჩემი დაბადება წარმომიდგა. როგორც აუცილებელი სიბოროტე, ფრიად დროებითი გარდაქმნა, რომელიც ჩემს გარდასახვას ამზადებს: და იმისათვის რომ აღვმდგარიყავი უნდა მეწერა, ხოლო იმისათვის რომ მეწერა, საჭირო იყო ტვინი, თვალები, ხელები; შრომა რომ მოთავდება ეს ორგანოები თავისთავად მოისპობა: და დაახლოვებით 1955 წლის ფარგლებში, აბრეშუმის პარკი გასკდება, გამოფრინდება ოცდახუთი ინფოლიოს ზომის პეპელა და ყველა თავისი ფურცლების ფარფატით ნაციონალური ბიბლიოთეკის თაროებზე შემოჯდება. სწორედ ეს პეპლები იქნება ჩემი „მე“. მე: ოცდახუთი ტომი, თვრამეტი ათასი გვერდი ტექსტისა, სამასი გრავიურა და მათ შორის ავტორის პორტრეტი. ჩემი ძვლებია—გარეკანის ქსოვილი და მუყაო, ჩემს პერგამენტის ხორცს—წებოსი და სოკოს სუნი ასდის; ასე მოხერხებულად მოვირთხე ფეხი სამოც კილო ქაღალდზე. მე ვღორძინდები და ბოლოსდაბოლოს ვხდები ნამდვილი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, ლაპარაკობს, მღერის, ხმაურობს და ამკვიდრებს თავის თავს მატერიის უძრაობის კატეგორიულობით. მე მღებულობენ, მე გადამშლიან მაგიდაზე მაწვენენ, ხელს მისვამენ ისე რომ, ხანდახან ტკაცანი გამიდის. ხელს არაფერში ვუშლი მერე კი ვფეთქდები, თვალს ვუბრმავებ, შორიდან ვბრძანებლობ, ჩემი ძლიერება სცილდება დროსა და მანძილს, მე ვაცამტვერებ ბოროტებას და ვმფარველობ კეთილთ. არავის არ ძალუძს ჩემი უგულებელყოფა ანდა დუმილით შემოვლა. მე დიდი ფეტიში ვარ, თვინიერი და მრისხანე. ჩემი შეგნება დაქუცმაცდა: მით უკეთესი. იგი შეიჭრა სხვათა შეგნებაში. ჩემსას კითხულობენ და მზერა ჩემსკენაა მოპყრობილი. ჩემსას ლაპარაკობენ და მე ყველას ენაზე ვაკერივარ, მე — ენა ვარ საყოველთაო და ერთადერთი. მე მილიონთა ცნობისმოყვარე მზერაში ვარ და მისთვის ვინც შეიძლებს ჩემს შეყვარებას, მე მისი სულის უგულითადეს მღელვარებად ვიქცევი. მაგრამ თუ მოინდომებენ და ხელს შემახებენ, მე წარვიშლები და გავქრები: მე აღარსად აღარ ვარსებობ. და ბოლოს მე ვარ! მე ყველგან ვარსებობ: კაცობრიობის პარაზიტი ვარ და ჩემი მადლი და წყალობა მასში იჭრებიან და აიძულებენ კვლავ და კვლავ ამაღორძინონ არყოფნიდან.

ეს ოინი გამივიდა: სიკვდილი დიდების სუდარაში გავხვიე და დავასამარე. ამიერიდან მხოლოდ დიდებაზე ვფიქრობდი, სიკვდილი აღარასოდეს მაგონდებოდა და ის კი დამვიწყებოდა რომ ორივე ერთი და იგივეა. ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ვიცი რომ ჩემი დრო ამოიწურა და მხოლოდ რამდენიმე წელიღაა დარჩენილი. მაინც და მაინც არ მახარებს, მაგრამ ცხადად წარმომიდგენია მოახლოვებული სიბერე, ჩემი მომავალი სიჩაჩანაკე, სიჩაჩანაკე და სიკვდილი მათი ვინც ჩემთვის ძვირფასია, საკუთარი სიკვდილი კი არასოდეს. მოხდება რომ ვაგრძნობინებ ხოლმე ჩემს ახლობლებს—ზოგი მათგანი თხუთმეტი ოცი, ოცდაათი წლით ჩემზე ახალგაზრდაა—თუ რა ძნელი იქნება ჩემთვის

თუ მათზე მეტი ვიცოცხლე: ისინი სასაცილოდ მიგდებენ, მეც მათთან ერთად ვხარხარებ, მაგრამ არც არაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერც გააკეთებენ ცხრა წლისა სრულიად მოკლებული ვიყავ უნარს განმეცადა რაღაც შემაძრწუნებელი შიში, რომელიც ამბობენ, ადამიანის დამახასიათებელიაო. ათი წლის შემდეგ, „ეკოლნორმალში“ სწავლისას, ეს შიში ელდანაკრავივით წამოახტუნებდა ხოლმე ჩემს ზოგიერთ საუკეთესო მეგობარს: მე მნათესავით ძილად ვიყავი მივარდნილი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ერთი ჩემი მეგობარი გვარწმუნებდა რომ აგონიის მთელი წამება განიცადა სულის უკანასკნელ ამოხდომამდე. ამ შიშით ყველაზე უფრო ნიზანი იყო შეპყრობილი: ხანდახან იგი სრულიად თვალნათლივ ხედავდა რომ გვამად იქცა; იგი წამოდგებოდა ხოლმე და მის თვალებში მატლები ირეოდნენ; დაავლებდა ხელს თავის რგვალძირიან კოპწია ქუდს და გაჰქრებოდა; ზეგ, მას, გალეშილს პოულობდნენ ხოლმე ვიღაც უცნობებში. ხანდახან ეს სასიკვდილოდ განწირულნი, წიგნიდან თავს აიღებდნენ და გაგვიზიარებდნენ ხოლმე თავის უძილო ღამეებისა და სიკვდილის გამოცდილებას, არადქცევას, წინადგრძნობის განცდას: ისინი ადვილად უგებდნენ ერთმანეთს. მე მათ ვუსმენდი და ისე მიყვარდნენ, რომ გავგიჟებით მინდოდა მათ დავმსგავსებოდი, მაგრამ ყველა ჩემი ცდა ამაო იყო და ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის მხოლოდ ზოგადი ამბები იყო მისაწვდენი: ცხოვრობ, კვდები და კაცმა არ იცის ვინ ცოცხლობს და ვინ კვდება; სიკვდილამდე ერთი საათით ადრე კაცი ჯერ ცოცხალია. არ მეეჭვებოდა რომ მათ სიტყვებში რაღაცა აზრია, რომელსაც მე ვერ ვხვდები; მე უცხო ვიყავ, ვდუმდი და მშურდა მათი. ბოლოს, წინასწარვე გაგულისებულები მევე მეცემოდნენ: „შენ რა, სულ არ გაწუხებს ეს ამბავი?“ მე დარცხვენილად და დამცირებულად ვგრძნობდი თავს და ხელებსღა ვშლიდი. ბრაზისაგან იცინოდნენ, თვალს უბრმავებდა მათთვის სრულიად ნათელი სიცოცხლე ამ ამბისა, რომელსაც მე ვერ მიზიარებდნენ: „მაშ, დაბადებისას არასოდეს გიფიქრია, რომ ზოგი ადამიანი ძილში კვდება? და არასოდეს მოგსვლია თავში, რომ აი ახლა კბილებს იხეხავ და ეს უკანასკნელადაა, რომ ეს შენი უკანასკნელი დღეა? არასოდეს გიგრძვნია, რომ უნდა იჩქარო, იჩქარო, რომ დრო აღარ არის. რაო, უკვდავი ხომ არა გგონია შენი თავი?“ მე ვუპასუხებდი ნახევრად გამომწვევად, ნახევრად ჩვეულებისამებრ ასეა: ჩემი თავი უკვდავი მგონია“, ნაღდი ტყუილი იყო: შემთხვევით სიკვდილისაგან ვიყავ დაცული, ესაა და ეს წმინდა სულმა ხანგრძლივი სამუშაო დამავალა და საჭირო დროც ხომ უნდა გამომიყოს მის შესასრულებლად. საპატიო გვამი ვიყავი და თვით სიკვდილი მიცავდა მატარებლის ავარიებისა, სისხლის ჩაქცევისა და პერიტონიტისაგან: ჩვენ—მე და სიკვდილს დანიშნული გვქონდა პაემანის ვადა. და ნაადრევად რომ გამოვცხადებულიყავი, არ დამხვდებოდა, ჩემს მეგობრებს შეეძლოთ, რამდენიც სურდათ, ესაყვედურებინათ რომ მე სიკვდილზე არ ვფიქრობ: მათ არ იცოდნენ რომ მე ერთი წუთითაც არ ვცხოვრობ მის გარეშე.

დღეს მწამს მათი სიმართლისა: მათ სავსებით იწამეს ყოველივე ჩვენთვის განკუთვნილი, წუხილიც კი. სულიერი სიმშვიდე ვარჩიე. სიმართლე რომ ითქვას, უკვდავად ვთვლიდი ჩემს თავს; წინასწარვე მოვიკალ თავი, რადგან მხოლოდ მიცვალებულებს შეუძლიათ თავისი უკვდავებით დატკბობა. ნიზანმა და მაემ იცოდნენ რომ მხეცური თავდასხმის მსხვერპლი გახდებიან რომ სიცოცხლით სავსეებსა და სისხლჭარბთ მოელით ამა ქვეყნისგან განრინება. მე კი თავს ვიტყუებდი: რათა გავქცეოდი სიკვდილის სისასტიკეს, გადავწყვიტე რომ ჩემი ერთად ერთი მიზანი, ჩემივე აღსასრულია და სიცოცხლე ერთადერთი ცნობილი საშუალება სიკვდილისა: არხეინად მივემართებოდი ჩემი დასასრულისკენ,

ვიცოდი რომ იმედი, სურვილები, ზუსტადა მაქვს გამოზომილი ჩემი წიგნების შესავსებად, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი გულის უკანასკნელი ფეთქვა ჩემი უკანასკნელი ტომის უკანასკნელ ფურცელზე ჩაიწერება. და რომ სიკვდილს მხოლოდ ჩემი გვარი ერგება. ნიზანი, ოცი წლისა რომ იყო, ქალებსა და ავტოებს, ამა ქვეყნის ყველა სიამეს გამწარებული სიხარბით შესცქეროდა: უნდოდა ყველაფერი დაენახა, ახლავე ყველაფერი განეცადა მეც ვუცქერდი, მაგრამ უფრო იმიტომ რომ სიბეჯითე გამომეჩინა და არა იმიტომ რომ გულისთქმა მამოძრავებდა. ამ ქვეყნად სიამოვნებისათვის კი არ ვიყავ გაჩენილი, არამედ იმისათვის, რომ ბალანსი შემედგინა. ცოტა არ იყოს ზედმეტი ფუფუნებით მოვეწყე: მეტად გამგონე ბავშვის მორიდებამ და სიმხდალემ უარი მათქმევინა თავისუფალ, სააშკარაოზე გამოტანილ და ბედისწერის ყოველგვარი გარანტიებისაგან უზურნველყოფილ არსებობის რისკზე, და თავი დავარწმუნე რომ ყოველივე იმთავითვე მიწერია და კიდევ მეტი: უკვე გათავებულიცაა.

ცხადია, ამგვარი ყალთაბანდური ოპერაცია მიხსნიდა საკუთარი თავის შეყვარების ცდუნებისაგან. მოსპობის შიშით ყველა ჩემი მეგობარი ცდილობდა თავი შეეფარებინა აწმყოსათვის და ვინაიდან გამსჭვალული იყო თავისი მოკვდავი სიცოცხლის განუმეორებელობის შეგნებით, თავის თავს უყურებდა როგორც საწყალობელს, ძვირფასსა და ერთადერთ არსებას; ყოველივე მათგანს მოსწონდა თავისი თავი; მე კი — მკვდარი ვიყავი და არ მომწონდა ჩემი თავი. მიმაჩნდა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად, კიდევ უფრო მოსაბეზრებლად ვიდრე დიდი კორნელია ჩემი სუბიექტის ინდივიდუალობა მხოლოდ იმიტომ იყო ჩემის აზრით საინტერესო, რომ იგი ამზადებდა იმ მომენტს, რომელიც მე გადამაქცევს ობიექტად. ეს იმას თუ ნიშნავს, რომ მე უფრო თავმდაბალი ვიყავი? არა, მაგრამ უფრო ეშმაკი კი ვიყავი: ჩემდამი სიყვარულს ჩემს ნაცვლად შთამომავლებს ვანდობდი, [illegible] არდაბადებული ქალებისა და [illegible] გულებს ერთ მშვენიერ დღეს შევძრავ, არ კი ვიცი რითი და ბედნიერებას მივანიჭებ. კიდევ სხვა, ვერაგული და კიდევ უფრო ქვეშქვეშა განზრახვებიც მქონდა: უჩუმრად უნდა გადამერჩინა ეს სიცოცხლე, რომელიც მე თვითონვე მეთანალრებოდა და რომელიც იმდენად დავაკნინე, რომ ჩემივე სიკვდილის ინსტრუმენტად ვაქციე; მომავლის თვალით ვუცქეროდი მას და მეჩვენებოდა რომ იგი გულის ამაჩუყებელი და შესანიშნავი ამბავია, რომელიც მე საყოველთაო საჭიროებისათვის მოვიმოქმედე და ახლა ყველა მე უნდა მიმადლოდეს, რომ მისი ხელახლა გამოვლა აღარ დასჭირდება და შეიძლება მხოლოდ ამბავს დასჯერდება. გაშმაგებული ვიცავდი ამ ამბავს; ჩემს მომავლად ავირჩიე დიდებული ცხედრის წარსული და ვცდილობდი შებრუნებული თანამიმდევრობით მეცხოვრა ცხრასა და ათს წელს შუა ასაკში მე სავსებით სიკვდილის შემდგომ ამბებს განვიცდიდი.

ეს მთლად ჩემი ბრალი როდია: პაპაჩემმა რეტროსპექტულ ილუზიებში გამზარდა. თუმცა არც ისაა დამნაშავე და მე სულაც არ ვემდური: ამ მირაჟს კულტურა უნებლიედ წარმოშობს. როდესაც მოწმეები იხოცებიან, დიდი კაცის სიკვდილი აღარ არის თავზარდამცემი და დრო მას მხოლოდ ხასიათის ნიშნად აქცევს დიდი ხნის გარდაცვლილი, მკვდარია უკვე თავისი ბუნებით, ნათლობის დროს იგი ნაკლებად მკვდარი არ არის ვიდრე უკანასკნელი ზიარების შემდეგ. მისი სიცოცხლე ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ შევდივართ მის ცხოვრებაში ერთი ბოლოდან, სხვა მხრიდან, შუაგულიდან, გვინდა ავყვებით, გვინდა დავყვებით მისი ცხოვრების დინებას: ქრონოლოგია სრულიად არეულია და მისი აღდგენა შეუძლებელია: ეს

პერსონაჟი არავითარ რისკს აღარ სწევს და იმასაც კი აღარ ელის, რომ ხესტოს დახიტინებას შეიძლება ცხვირის დაცემინება მოჰყვეს. მის არსებობას თითქოს განვითარების მსგავსება შეუნარჩუნებია, მაგრამ სცადეთ და სულ ცოტა სიცოცხლე ჩაჰბერეთ და მისი სიცოცხლის ყველა მოვლენა ერთდროულად მოგეჩვენებათ. თქვენ შეეცდებით დადგეთ გარდაცვლილის ადგილას, თავი მოიტყუოთ რომ იზიარებთ მის გრძნობებს, მის უმეცრებას, ცრურწმენას, ეცდებით აღადგინოთ მისი წარსულის წინააღმდეგობანი, მიმქრალი სინანული თუ შიში, მაგრამ მაინც გარდაცვალებულის საქციელს შეაფასებთ იმ შედეგების შუქზე, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელი იყო და იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მას არ გააჩნდა. თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც მიაკუთვნებთ იმ ამბებს, შემდეგში რომ საბედისწეროდ ჩაითვლება, თუმცა თვით მისთვის მათ შეუმჩნევლად ჩაიარეს. ესაა მირაჟი: მომავალი აწმყოზე უფრო რეალური ჩანს. არაფერია საკვირველი: ვანვლილი ცხოვრების დასაწყისზე მისი დასასრულის მიხედვით ვმსჯელობთ. გარდაცვლილი — არსებობისა და მისი შეფასების შუაგზაზე რჩება; ნედლი ფაქტისა და მისი რეკონსტრუქციის შუა; ადამიანის ისტორია შეკრული წრეა, რომლის ყოველ წერტილში მოცემულია მისი განზოგადება. არასის სალონებში, ახალგაზრდა უკარება და მანჭია ადვოკატს. საკუთარი თავი იდლიაში ამოუჩრია. ეს ხომ ცხონებული რობესპიერია, რომლის თავს სისხლი სდის, მაგრამ ნოხს არ სვრის; ვერც ერთი სტუმარი მას ვერ ხედავს, ჩვენ კი მხოლოდ მას ვუცქერდით: კიდევ ხუთი წელი უნდა გავიდეს მანამ ეს თავი კალათში ჩავარდება, ეს მოჭრილი თავი ჩვენს წინაა და მიუხედავად იმისა, რომ ყბა ჩამოვარდნილი აქვს, მადრიგალებს კითხულობს. როდესაც ეს ოპტიკური შეცდომა დადგენილია, იგი ხელს აღარ გვიშლის, რადგან სათანადო შესწორება შეგვაქვს; მაგრამ იმ ხანად ეკლესიის მსახურები ნილბავდნენ ამ ამბავს, რადგან იგი მათ იდეალიზმს ასაზრდოებდა. როდესაც დიდი აზრი განიზრახავს რომ იშვას, იგი ჯერ კიდევ ქალის მუცელში ყოფნისას, ეძებს ხოლმე დიდ ადამიანს, რომელიც მისი მატარებელი გახდება მომავალში; შეურჩევს ხოლმე მას პირობებს, გარემოს; ზუსტად მოუზომავს ახლობლების გამგებობას თუ გაუგებლობას, წარმართავს მის განათლებას, უტარებს სათანადო გამოცდებს. თანამიმდევრული ხაზებით მოხაზავს მერყევ ხასიათს და განუხრელად მწყემსავს და მიმართავს მის საქციელს მანამ, სანამ ესოდენ დიდი ზრუნვის საგანი არ გაიფურჩქნება და აზრს არ შობს. ყოველივე ეს ხმამაღლა არავის არ გამოუცხადებია, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ მიზეზთა და შედეგთა ურთიერთკავშირში დაფარულია სხვა, შექცეული და საიდუმლო თანამიმდევრობა.

აღტაცებით გამოვიყენე ეს მირაჟი, რათა საბოლოოდ დამეზღვია ჩემი ბედიღბალი. ავიღე დრო, ყირაზე დავაყენე და ყველაფერი ცხადი შეიქნა. ამ ამბის სათავე მუქი ლურჯი ფერის და ოდნავ გაფერმკრთალებული ოქროს ვარაყიან წიგნაკშია, რომლის სქელ ფურცლებს მიხრწნილების სუნი ასდიოდა და სათაურად ჰქონდა „გამოჩენილ ადამიანთა ბავშვობა“. წარწერა გვაუწყებდა რომ იგი მიეცა ბიძაჩემ ჟორჟს 1885 წელს არითმეტიკაში გამოჩენილი დიდი წარმატების ჯილდოდ. ეს წიგნი აღმოვაჩინე ექსცენტრიულ მოგზაურობათა ხანაში, გადავფურცლე და გაჯავრებულმა გადავაგდე: ეს ნორჩი რჩეულნი სულაც არ იყვნენ სასწაულისებრი ბავშვები; არაფერი ჰქონდათ ჩემთან საერთო, მხოლოდ უმაქნისობაში თუ მგავდნენ და ვერ გამეგო რის გულისათვის წერდნენ მათ შესახებ: ბოლოს და ბოლოს წიგნი დაიკარგა: დავსაჯე და სადღაც გადავმალე. ერთი წლის შემდეგ მთელი თაროები გადა-

ვაბრუნე მის ძებნაში: შევიცვალე, სასწაული-ბავშვი დიდ ადამიანად გადავიქეცი, რომელიც ბავშვობამ იმსხვერპლა. საკვირველი ამბავია: წიგნიც შეცვლილიყო. ისევ ის სიტყვები ეწერა, მაგრამ ახლა ისინი ჩემს შესახებ მელაპარაკებოდნენ. ვიგრძენ რომ წიგნი დამღუპავს, მძულდა — და მეშინოდა მისი. წიგნი ჯერ გადაშლილი არა მქონდა, ისე დავჯდებოდი ხოლმე ფანჯარასთან: რაიმე ხიფათის შემთხვევაში შემეძლო ნამდვილ დღის სინათლეს გამოვეფხიზლებინე; ახლა სასაცილოდ მეჩვენებიან ისინი ვინც ფანტომასისა[1] ან ანდრე ჟიდის ცუდ გავლენას მისტირის. ნუთუ მათ ჰგონიათ რომ ბავშვები თითონ არ ხოულობენ თავიანთ საწამლავს? მე ჩემს საწამლავს ნარკომანის გაუხარელი დაჟინებით ვყლაპავდი. თუმცა, გარეგნულად იგი სრულიად უვნებელი ჩანდა. იგი აქეზებდა ნორჩ მკითხველს: დამჯერი და გამგონი იყავი და ყველაფერს შეიძლებ. შეიძლება გახდე რემბრანდტი ან მოცარტიც-კი; ამ მოკლე ნოველებში მოთხრობილი იყო ჩვეულებრივი ამბები, სავსებით ჩვეულებრივ, მაგრამ მგრძნობიარე და ღვთის მოშიში ბიჭებისა, რომელთაც სახელად ერქვათ ჟან-სებასტიანი, ჟან-ჟაკი და ჟან-ბატისტი — და ყველანი, ჩემი არ იყოს, თავის მშობლების ბედნიერებას შეადგენდნენ, ისევე როგორც მე შევადგენდი ჩემი მშობლების ბედნიერებას, მაგრამ საწამლავი სად იყო: ბახის, რუსოსა თუ მოლიერის სახელის უხსენებლად, ავტორი მიმართავდა მთელ თავის ოსტატობას, რათა მიეხვედრებინა მკითხველი, რომ იგი დიდი კაცი გახდება. სხვათაშორის, როგორც წვრილმანს, ახსენებდა მათს ყველაზე სახელგანთქმულ თხზულებებს ან სახელოვან საქმეებს და ისე აგებდა მოთხრობას, რომ სულ უმნიშვნელო შემთხვევაც-კი მომავალი დიდი ამბების შუქით იყო გაბრწყინებული; ყოველდღიურ ა[illegible]ზაურში უცებ შემოიჭრებოდა ხოლმე ლეგენდის დიდებული დუმილი — მომავალი ყოველივეს სახეს შეუცვლიდა. ვილაც სანციო კვდებოდა, ისე უნდოდა პაპის ნახვა; იმდენი ჰქნა სანამ მოედანზე არ წაიყვანეს იმ დღეს, როდესაც წმინდა მამას იქ უნდა გაევლო. თვალებდაჭყეტილ ფერწასულ ბიჭს მერე ვილაცამ ჰკითხა: „ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, რაფაელო, კარგად მაინც შეხედე ჩვენს წმინდა მამას“. მაგრამ მან დაბნეულად უპასუხა: „რომელი წმინდა მამა? მე ფერების მეტი არაფერი დამინახავს!“ ანდა: ერთხელ, პატარა მიგელი, რომელიც სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, იჯდა ხის ძირას და რაინდული რომანის კითხვით ტკბებოდა. უცებ რკინის საშინელმა ჩხარა-ჩხურმა წამოახტუნა: იქვე მეზობლად მცხოვრები, გადარეული და გალატაკებული მოხუცი აზნაური მოაჭენებდა თავის ბეხრეკ ცხენს და დაჟანგებულ შუბს უმარჯვებდა ქარის წისქვილს. სადილობისას მიგელი ისე მიმზიდველად მოყვა ამ ამბავს, რომ ყველანი სიცილით იხოცებოდნენ; მერე-კი თავის ოთახში, იატაკზე დააგდო რომანი, ფეხით გათელა და დიდხანს ქვითინებდა.

ეს ბავშვები შეცდომას ჩადიოდნენ. ეგონათ რომ მათი ლაპარაკი და ყოფაქცევა შემთხვევითია, ნამდვილად კი სულ უბრალო სიტყვასაც კი სრულიად გარკვეული მიზანი ჰქონდა, და მათი ბედის წინასწარი მაუწყებელი იყო. ავტორი და მე გულაჩუყებულები ვუღიმოდით ერთმანეთს მათ ზურგს უკან, მე ამ ვითომდა გონებაშეზღუდული ადამიანების ცხოვრების აღწერილობას ვკითხულობდი ისე, როგორც ღმერთს ჰქონდა ჩაფიქრებული; ვიწყებდი დასასრულიდან. ჯერ მეტად მოვილხინე: ისინი ხომ ძმებად მერგებოდნენ; მათი დიდება ჩემთვის იყო განკუთვნილი და უცებ ყველაფერი აყირავდა: მე წიგნის ფურცლის სხვა გვერდზე აღმოვჩნდი, წიგნის შიგნით: ჟან-პოლის ბავ-

[1] ფანტომასი — ყოვლადმძლე ბანდიტია, მარსელ ალენის რომანების გმირი.

შვობა ჟან-ჟაკის და ჟან-სებასტიანის ბავშვობას ჰგავდა, და ყოველივე რასაც იგი მოიმოქმედებდა, მხოლოდ მომავლის მანიშნებელი იყო. მაგრამ ახლა ავტორი თვალს უკრავდა ჩემი ბიძაშვილების შვილიშვილებს. ეს მომავლის ბავშვები, რომლებიც მე ვერც კი წარმომედგინა, მათვალიერებდნენ და სიკვდილიდან მოყოლებული დაბადებამდე მხედავდნენ. მე განუწყვეტლივ ვუგზავნიდი მათ ცნობებს, რომლებიც ჩემთვის გაუშიფრავი ნიშნებით იწერებოდა. სიკვდილის ცივი სუნთქვა მზარავდა, რადგან სიკვდილი ჭეშმარიტი დედაარსი იყო ყოველი ჩემი მოძრაობისა. ჩემივე თავის საკუთრების უფლება წამერთვა და ვცდილობდი წიგნიდან გამოსვლას, რათა კვლავ გავმხდარიყავი მკითხველი. თავს ავიღებდი და შველას სინათლისაგან ვეძებდი. მაგრამ ესეც რაღაცის მანიშნებელი იყო, უეცარი შეშფოთება, ყოყმანი, თვალის და კისრის მოძრაობა — ნეტავ, როგორ განმარტავენ ყოველივე ამას 1013 წელს, ისინი ვისაც ხელთ ექნება ორივე ჩემი გასაღები: შემოქმედება და აღსასრული. წიგნს თავიდან ვერ ვიშორებდი: კარგა ხანია წავიკითხე მაგრამ ისევ მისი ერთერთი მოქმედი პირი ვიყავი. თვალს ვადევნებდი საკუთარ თავს: ერთი საათის წინათ დედას ველაპარაკებოდა, ნეტა რა ვიწინასწარმეტყველე? ვიხსენებდი ცალკეულ სიტყვებს, ხმამაღლა ვიმეორებდი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. წინადადებები მისხლტებოდნენ და ვერაფერი გამომქონდა, ჩემი საკუთარი ხმა უცხოსავით ჩამესმოდა ყურში და ჩემს გონებაში ყაჩაღივით დათარეშობდა, აზრებს მტაცებდა თაღლითი ანგელოზი, XXX საუკუნის ქერა ბიჭუნა, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და თავისი წიგნიდან მითვალთვალებდა. სიყვარულისგან მაჟრჟოლებდა და ვგრძნობდი როგორ მიჭერდა მისი მზერა აქაც, ჩემს ათასწლეულში და ქინძისთავზე ჩამომიცვამს. რათა მიმებაძნა მისთვის, ვთხზავდი ორაზროვან სიტყვებს, რომელიც მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი. შემოდიოდა ან-მარი, ხედავდა რომ ჩემ მერხს ვუჯექი და რაღაცას ვჯღაბნიდი და მეუბნებოდა: „როგორ ბნელა, ჩემს პატარას თვალები გაუფუჭდება“ ეს საშუალებას მაძლევდა რათა, თითქოს სხვათაშორის, მეპასუხა: „მე სიბნელეშიც კი შევძლებდი წერას“, მას ეცინებოდა, სულელს მეძახდა, სინათლეს ანთებდა, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო, არც ერთმა და არც მეორემ არ ვიცოდით რომ მე უკვე ვაუწყე მესამიათასე წელს ჩემი მომავალი უძლურება. მართლაც, ჩემი ცხოვრების დასავალზე, სიბრმავით გაწამებული, კიდევ უფრო მეტად ვიდრე ბეთჰოვენს სიყრუე აწვალებდა, მე ხელის ფათურით დავწერ ჩემს უკანასკნელ თხზულებას: ჩემს ქაღალდებში იპოვნიან ხელნაწერს და გულგატეხილი ხალხი იტყვის „ამის წაკითხვა ხომ შეუძლებელია“. ისიც კი მოუვათ თავში, რომ სანაგვე ყუთში გადაუძახონ. ბოლოს, ორიაკის საჯარო ბიბლიოთეკა, მხოლოდ და მხოლოდ ავტორისადმი პატივისცემის გულისათვის წაიღებს ჩემ ხელნაწერს, სადაც მთელი საუკუნით დავიწყებული იქნება. და აი, ერთხელ, ახალგაზრდა ერუდიტები ჩემი სიყვარულით შეეცდებიან ამ ხელნაწერის ამოკითხვას: მთელს თავის სიცოცხლეს მოანდომებენ, რათა აღადგინონ ის, რაც, ცხადია, ჩემი შედევრი უნდა ყოფილიყო. დედაჩემი უკვე ოთახიდან გასულა, მე კი მარტო დავრჩი და ჩემთვის ნელა და რაც მთავარია, უაზროდ ვიმეორებ: „სიბნელეში!“ გაისმოდა მშრალი ტკაცანი: სადღაც ზევით შორეულმა ბიძაშვილის შვილისშვილმა წიგნი დახურა: იგი თავისი დიდი პეპერას ბავშვობაზე ოცნებობდა და ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა: „ნამდვილი ამბავი ყოფილა: ამოიოხრა მან, იგი წერდა წყვდიადით მოცული“.

მე ვეპრანჭებოდი ბავშვებს, რომლებიც უნდა დაბადებულიყვნენ და ტყუპებივით ჩემი მსგავსნი იქნებოდ-

ნენ. ცრემლს ვღვრიდი, როდესაც ვფიქრობდი რომ ისინი დამიტირებენ. მათი თვალით ვხედავდი ჩემს სიკვდილს: ეს უკვე განვლილი ამბავი იყო, მან გამოამჟღავნა ჩემი სინამდვილე: მე ჩემს საკუთარ ნეკროლოგად გადავიქეცი.

ყოველივე ეს რომ წაიკითხა, ერთმა ჩემმა მეგობარმა შეწუხებულმა შემომხედა და მითხრა: „თქვენ თურმე უფრო მეტად ყოფილხართ ავად ვიდრე მეგონა“. ავადო? რა მოგახსენოთ. ჩემი ბოდვა წინასწარ დამუშავებული იყო. მე რომ მკითხოთ, აქ ყველაზე პრინციპიალურია გულწრფელობის საკითხი. ცხრა წლისა რომ ვიყავი, იგი ჩემთვის მიუწვდომელი იყო, შემდეგ კი კარგა შორს ჩამოვიტოვე.

ჯერ სავსებით ჯანზე ვიყავი: პატარა ყალთაბანდი, რომელმაც დროზე იცოდა შეჩერება, მაგრამ თავს არ ვიზოგავდი და ყალბის ქმნაშიც კი პირველი მოწაფე ვიყავი. ახლა ამ ჩემ ტაკიმასხარობას გონებრივ ვარჯიშადა ვთვლი, ხოლო ჩემი არაგულწრფელობა ხელშესახები, მაგრამ მიუღწეველი სრული გულწრფელობის კარიკატურად მიმაჩნია. მე არ **ამირჩევია** ჩემი მიწოდება: სხვებმა მომახვიეს. მართალი რომ ითქვას, აბა საიდან უნდა წარმომდგარიყო: მოხუცი ქალის სხვათა შორის თქმული სიტყვებიდან თუ შარლის მაკიაველიზმიდან. მაგრამ ჩემს დასარწმუნებლად ესეც საკმარისი გახდა. ჩემ სულში დამკვიდრებული უფროსები თითით მაჩვენებდნენ ჩემს ბედით ვარსკვლავს. ვარსკვლავი არსად ჩანდა, მაგრამ თითს ვხედავდი და მჯეროდა მათი, რომელთაც ვითომდა ჩემი სჯეროდათ. მათგან გავიგე რომ თურმე ყოფილან დიდებული ცხედრები — ერთი მათგანი ჯერ ცოცხალიც კი ყოფილა — ნაპოლეონი, თემისტოკლე, ფილიპე — ავგუსტი, ჟან-პოლ სარტრი. მე სრულიადაც არ მეეჭვებოდა ეს ამბავი, რადგან ეს უფროსებში დაეჭვება იქნებოდა. მაგრამ, ცხადია, უკანასკნელის პირისპირ გაცნობა ფრიად მიზიდავდა. ამის გამო იყო რომ ვიკრუნჩხებოდი და ვწვალობდი, რათა გამეგო ჩემი თავი და დავმშვიდებულიყავ, ისევე როგორც უგრძნობელი ქალი, რომელიც დაკმაყოფილებას ეძებს, ხოლო მერე ცდილობს ორგაზმი კრუნჩხვით შეცვალოს. რა ეთქმის ამას, სიმულიაცია თუ ოდნავ გადამეტებული სიბეჯითე? რაც არ უნდა იყოს, მაგრამ ვერაფერს ვერ მივაღწიე, და თვალის ახელა, რომელსაც ჩემთვის უნდა ჩემივე რაობა გადაეხსნა, მიუღწეველი იყო, იგი ხელიდან მისხლტებოდა და ამ ჩემი ვარჯიშის შედეგად მხოლოდ რაღაც გაურკვეველი მრჩებოდა და საკმაოდ მიშლიდა ნერვებს. უფროსების ავტორიტეტზე და ჩემდამი მათს დაურღვეველ კეთილგანწყობაზე დამყარებულს ჩემს რწმუნებებს ვერაფრით ვერც განამტკიცებდა და ვერც დაარღვევდა: ჩემი ხელშეუხები და დაბეჭდილი მანდატი თვით ჩემშივე იყო დაცული, მაგრამ იმდენად მცირედ მეკუთვნოდა რომ მე ერთი წუთითაც არ შემეძლო დავეჭვებულიყავი მასში; არც მისი უკუგდება შემეძლო და არც შეთვისება.

რაგინდ ღრმა არ უნდა იყოს რწმენა, იგი არასოდეს არ არის ხოლმე სრული, მუდამ საჭიროა მისი განმტკიცება ან ყოველშემთხვევაში განადგურებისგან დაცვა მაინც. ჩემი ბედიღბალი წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, მე სახელგანთქმული ვიყავი, მქონდა საფლავი პერლაშეზის სასაფლაოზე და, შეიძლება, პანთეონშიაც კი, მქონდა გამზირი პარიზში, ბაღები და მოედნები პროვინციაში და საზღვარგარეთ; მაგრამ ჩემი ოპტიმიზმის გულს უხილავად და უხმოდ ღრღნიდა ეჭვის ჭია, ეჭვი მეპარებოდა რომ უმაქნისი ვარ. წმინდა ანას ჰოსპიტალში ერთი ავადმყოფი ხმამაღლა გაჰკიოდა „პრინცი ვარ! გიბრძანებთ, დიდი ჰერცოგი დაატყვეოთ!“ მივიდოდნენ მის ლოგინთან და ყურში ჩასჩურჩულებდნენ: „ცხვირი მოიხოცე“. ცხვირს რომ მო-

იხოცავდა ეკითხებოდნენ „რა ხელობა გაქვს?“ რაზედაც ჩუმად უპასუხებდა: „მეჩექმე ვარ“ და კვლავ მოჰყვებოდა ყვირილს. მე მეგონა, რომ ყველანი ამ კაცსა ვგავართ, ყოველშემთხვევაში მე რომ ცხრა წლისა ვიყავი, ვგავდი: პრინციც ვიყავი და მეჩექმეც.

ორი წლის შემდეგ თითქოს გამოვჯანმრთელდი: პრინცი გაჰქრა, ხოლო მეჩექმეს აღარაფრისა აღარ სჯეროდა და წერაც კი მოიშალა, სანაგვე ყუთში გადაგდებულმა, დაკარგულმა და დამწვარმა რომანების რვეულებმა ადგილი დაუთმეს გრამატიკის, კარნახებისა და ანგარიშის რვეულებს. ვინმეს რომ ჩაეხედა ჩემს თავში, რომელშიაც ყველა ქარს გზა ხსნილი ჰქონდა, დაინახავდა რამდენიმე ბიუსტს, შეცდომებიან გამრავლების ცხრილს და სამთა წესს. ოცდათორმეტ დეპარტამენტს თავისი მთავარი ქალაქებით, მაგრამ სუპრეფექტურების გარეშე, ვარდს რომელსაც სახელად ეწოდებოდა rosazosamrosaerosaerosa, ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებს, ქვის ფილებზე ამოკვეთილ ყოფაქცევის რამდენიმე წესს და, ხანდახან, სადისტურ ოცნებებს, რომლებიც ამ სევდის ბაღს უსასრულო ნისლის ლეჩაქში ხვევდნენ. აღარც ობოლი გოგონები იყო და არც მოხეტიალე რაინდის ნაკვალევი. აღარსად სწერია და აღარავინ იმეორებს სიტყვებს „გმირი“, „წამებული“, „წმინდანი“. ექს-პარდაიანი ყოველ ტრიმესტრში ღებულობდა ცნობას დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის შესახებ: საშუალო განვითარების და მაღალი ზნეობრიობის ბავშვია, ზუსტი მეცნიერებისაკენ მიდრეკილება სუსტი აქვს, მეოცნებეა, მაგრამ ზომიერად, მგრძნობიარეა; სავსებით ნორმალურია მიუხედავად იმისა რომ ოდნავი მანჭიაობა ახასიათებს, რომელიც თანდათან აკლდება. სინამდვილეში, სულ მთლად გამოვტუტუცდი ორი გარემოების გამო, რომელთაგან ერთი საზოგადოებრივ, ხოლო მეორე პირად ხასიათს ატარებდა. გონების ის ნატამალიც დავკარგე, რომელიც ჯერ კიდევ გამაჩნდა.

პირველი, სრულიად მოულოდნელი იყო: 1914 წლის ივლისში ჯერ კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე ბოროტი ადამიანის გამონახვა, მაგრამ აგვისტოს 2-ს სიკეთემ მოულოდნელად გაიმარჯვა და ტახტზე აბრძანდა: ყოველი ფრანგი კარგი გახდა. პაპაჩემის მტრები გულში ეკონებოდნენ, გამომცემლები ნებაყოფლობით ჯარში წავიდნენ, ხოლო უბრალო ხალხი ქადაგად დაეცა: ჩვენი მეგობრები მოდიოდნენ და გადმოგვცემდნენ თავიანთი მეკარის, ფოსტალიონისა და წყალსადენის მუშის უბრალო მაგრამ ბრძნულ სიტყვებს, რომელთა გამოც ყველანი აღტაცებას გამოსთქვამდნენ, გარდა ბებიაჩემისა, ნამდვილად ეჭვებით რომ იყო შეპყრობილი. აღტაცებული ვიყავი: საფრანგეთი კომედიას მთავაზობდა, მე კომედიას ვთამაშობდი საფრანგეთისათვის, მიუხედავად ამისა, ომი მალე მომბეზრდა: იგი იმდენად უმნიშვნელოდ არღვევდა ჩემი ცხოვრების განაწესს, რომ ნამდვილად აღარც გამახსენდებოდა. მაგრამ ომი შემეზიზღა როდესაც ვნახე, რომ კითხვის საშუალება მომისპო. კიოსკებში გაჰქრა ჩემი საყვარელი გამოცემები, არნუ გალოპენი, ჟო ვალი, ჟან დე ლა ირი გამოემშვიდობენ თავის სათაყვანებელ გმირებს, ჩემს ძმებს — მოზარდებს, რომლებიც დედამიწის გარშემო მოგზაურობდნენ ბიპლანითა და ჰიდროპლანით და ორნი თუ სამნი ასს შეებრძოლებოდნენ ხოლმე: ომისწინა კოლონიალისტური რომანები შესცვალეს გასამხედროებულმა რომანებმა, რომლებშიც სახლობდნენ იუნგები და ლეგიონის თვალსაჩინო ნორჩი ელზასელები და ობლები, მე შემჯავრდა ეს ახლადმოვლენილნი, ჯუნგლებში თავგადასავლის პატარა მაძიებლებში მე სასწაულ ბავშვებს ვხედავდი, რადგან ისინი ხოცდნენ ჯუნგლების მკვიდრებს, ხოლო ესენი ხომ, ბოლოს და ბოლოს,

უფროსები იყვნენ. მე თვითონ სასწაული ბავშვი ვიყავი და მათში ჩემ თავსა ვცნობდი. მაგრამ ეს ლეგიონის შვილობილები რაღა იყო, ამბები ხომ უმათოდ ხდებოდა. ინდივიდუალური ჰეროიზმი შეირყა: ველურებთან ბრძოლის დროს იგი შეიარაღების უპირატესობას ემყარებოდა, მაგრამ რა შეიძლება დაუპირისპირო გერმანელთა ზარბაზნებს? სულ სხვა ზარბაზნები, არტილერისტები, ჯარია საჭირო, გამობრძმედილ ჯარისკაცთა შორის, რომლებიც თავზე ხელს უსვამდნენ და ფარისევლობდნენ, სასწაული ბავშვი მთლად ბავშვობაში ვარდებოდა და მეც მასთან ერთად ვბავშვდებოდი. ხანდახან ავტორი მოწყალებას გამოიჩენდა და დამავალებდა ხოლმე და შიკრიკად მგზავნიდა, ტყვედ უვარდებოდი გერმანელებს, მე ყველაფერს ვუძლებდი, არა ვდრკებოდი, მერე ვიპარებოდი, ჩვენების განლაგებაში ვბრუნდებოდი, დავალების შესრულებას ვუპატაკებდი. ცხადია, მილოცავდნენ, მაგრამ არც მაინცა და მაინც აღფრთოვანებით და გენერლის მშობლიურ შემოხედვაში მე ვერ ვხედავდი ქვრივ-ობოლთა ბრმა აღტაცებას. ინიციატივა დავკარგე: ბრძოლებში გავიმარჯვეთ და ომიც უჩემოდ იქნება მოგებული, უფროსებმა კვლავ ჩაიგდეს ხელში გმირობის მონოპოლია, მე ხანდახან თუ შემხვდებოდა მოკლული ჯარისკაცის თოფის პოვნა და რამდენჯერმე გასროლა, მაგრამ არნუ გალოპენმა და ჟან დე ლა ირმა არც ერთხელ არ მაღირსეს ხიშტით ვკვეთებოდი მტერს. გმირის შეგირდი ვიყავ და მოუთმენლად ველოდი ჯარში გაწვევის ასაკს. თუმცა, ეს ხომ მე არ ვიყავი. ლეგიონის შვილობილი, ელზასელი ობოლი ელოდა. ამ ორთა შორის მიჯნას ვატარებდი, წიგნს ვხურავდი. წერა, ხანგრძლივი და უმადური შრომაა — ვიცოდი და აღსავსე ვიყავ მოთმინებით. მაგრამ — კითხვა, ზეიმია, მსურდა რომ მთელი დიდება იმავ წუთს მოეცათ ჩემთვის, მაგრამ რა მომავალს მთავაზობდნენ? ჯარისკაცისას? კარგი ამბავია! ქვეით ჯარისკაცს მხოლოდ ბავშვზე მეტი ფასი თუ აქვს, სხვებთან ერთად ტერიშზე გადადიოდა, ბრძოლას კი ლეგიონი იგებდა. ხელს არ მაძლევდა, ერთობლივი გამარჯვების მონაწილე ვყოფილიყავი, როდესაც არნუ გალოპენს ვინმე მებრძოლის გამორჩევა უნდოდა, უკეთესს ვერაფერს გამონახავდა ხოლმე და დაჭრილი კაპიტანის გადასარჩენად გზავნიდა. ეს ბრმა ერთგულება მაჯავრებდა: მონა გადაარჩენდა ხოლმე თავის პატრონს და მერე, ეს ხომ შემთხვევითი გმირობა იყო: ომის დროს გმირობა ისეთი რამაა, რაც ყველას ხვდება წილად. იგი რომ სხვას შეხვედროდა, ყოველი ჯარისკაცი ასევე მოიქცეოდა. აღშფოთებული ვიყავი. ომამდელ გმირობაში მე ყველაზე მეტად მომწონდა მარტოობა და უანგარობა; უკან ვიტოვებდი ყოველდღიურ ფერმკრთალ სათნოებას და ადამიანები გულუხვად ჩემ საკუთარ თარგზე გამომყავდა. „ჰიდროპლანით დედამიწის გარშემო“, „პარიზელი ბიჭის თავგადასავალი“, „სამი ბოი-სკაუტი“ — აი, ეს იყო წმინდა ტექსტები, რომელიც მწინამძღვრობდნენ სიკვდილისა და განახლების გზაზე. და აი უცებ, ამ ტექსტების ავტორებმა მიღალატეს: გმირობა საყოველთაო კუთვნილებად გახადეს, ვაჟკაცობა და თავგანწირვა ყოველდღიურ სიქველედ გადაიქცა, და კიდევ უარესი; ელემენტარული ვალის დონემდე იქნა დაყვანილი. ამ მეტამორფოზის შესაბამისად შეიცვალა დეკორაციებიც, არგონის ნისლმა შესცვალა უშველებელი და განუმეორებელი მზე და ეკვატორის ინდივიდუალისტური შუქი.

რამდენიმე თვის შესვენების შემდეგ გადავწყვიტე ისევ ამეღო ხელში კალამი, რათა გულის კარნახით დამეწერა რომანი და ჭკუა მესწავლებინა იმ ბატონებისათვის. დედამ მიყიდა სრულიად ერთნაირი რვეულები, რომელთა იისფერ ყდებზე გამოსახული იყო ჩაჩქნიანი ჟანა დარკი, ესეც დროის მანიშნებელი ამბავი იყო. ქალწულის

მფარველობით დავიწყე ჯარისკაც პერენის თავგადასავლის შეთხზვა: იგი იტაცებდა კაიზერს, გათოკილს მოათრევდა მას ჩვენი ჯარის განლაგებაში, შემდეგ მთელი ლეგიონის წინაშე საასპარეზოდ იწვევდა, ამარცხებდა, დანას მიაბჯენდა ყელზე და აიძულებდა ხელი მოეწერა სამარცხვინო ზავზე და დაებრუნებინა ჩვენთვის ელზას-ლორენი. ერთი კვირის შემდეგ ეს ამბავი გამოთაყვანებამდე მომბეზრდა. ორთაბრძოლის იდეა ვისესხე წარმოსასხამისა და ხმლის რომანებიდან: პატიოსანი ოჯახის შთამომავალი, დევნილი სტორტ-ბეკერი შედიოდა ყაჩაღების ტავერნაში; მას შეურაცხყოფას აყენებდა ავაზაკების ბუმბერაზი მეთაური, ბეკერი კლავდა მას მუშტის ერთი შემოკვრით, მის ადგილს იჭერდა. სწორედ ის დრო იყო, რომ თავისთვის უნდა ეშველა და ყაჩაღების ბრბოსთან ერთად მიეშურებინა მეკობრეთა ხომალდისათვის. მთელი ეს ცერემონია განუხრელად წარმოებდა ზუსტად დადგენილი კანონების შესაბამისად, წესად იყო რომ ბოროტების მოციქულს უძლეველის სახელი ჰქონოდა, ხოლო კეთილისათვის მებრძოლის შეჭიდებას თანახლდა სტვენა და ყიჟინა და როდესაც იგი მოულოდნელად იმარჯვებდა, დამცინავთ შიში ზარავდა. მაგრამ, გამოუცდელობის გამო ყველა წესი დავარღვიე, ჩემი სურვილის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღე: კაიზერი შეიძლება მაგარი ბიჭი იყო, მაგრამ არც ისე გაწაფული, რომ მშვენიერ ათლეტს, პერენს, შესჭიდებოდა, რომელსაც იგი ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა. ამასთანავე, ხალხი მტრულად იყო განწყობილი, ჩვენი ჯარისკაცები სიძულვილს არ ფარავდნენ და უკიჟინებდნენ: საქმის ამგვარმა შემოტრიალებამ თავზარი დამცა: ვილჰელმ II, დამნაშავემ, მაგრამ მიტოვებულმა, შეგინებულმა და შეურაცხყოფილმა ჩემ თვალწინ მიისაკუთრა ჩემი გმირების მეფური მიუსაფრობა.

ამაზე უარესი ამბებიც ხდებოდა. აქამდე არაფერი არ ამტკიცებდა და არც უარყოფდა იმას, რასაც ლუიზა ჩემს „მონაჭორს“ ეძახდა: აფრიკა უშველებელი იყო შორეული და მცირედ დასახლებული, ინფორმაციას იქედან აგვიანებდა, არავის შეეძლო იმის დამტკიცება, რომ ჩემი მოგზაურები იქ არც ყოფილან, რომ სწორედ იმ წუთში არ უშენენ ტყვიას პიგმეებს, როდესაც მე ამ ბრძოლის ამბავსა ვყვები. რასაკვირველია ჩემ თავს არ მივიჩნევდი მათს ისტორიოგრაფად, მაგრამ იმდენს მელაპარაკებოდნენ რომანების ალალმართლობის შესახებ, რომ ნამდვილად დავაჯერე ჩემივე გამოგონილის სიმართლეს: გზა, რომელსაც ჭეშმარიტებისაკენ მივყავდი, თვით ჩემთვისაც ჯერ სავსებით ნათელი არ იყო, მაგრამ ჩემი მომავალი მკითხველებისათვის იგი აშკარა გახდებოდა და აი, ბედუკუღმართმა ოქტომბრის თვემ, გამხადა ფიქციისა და სინამდვილის შეტაკების უსუსურ მოწმედ: ჩემი კალმის ნაშობი კაიზერი დამარცხდა და ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. ლოგიკა მოითხოვდა, რომ ეს შემოდგომა მშვიდობის მოწმე გამხდარიყო, მაგრამ გაზეთები და უფროსები დილიდან-საღამომდე თითქოს განგებ გაიძახდნენ, რომ ომი ჭიანურდება და კიდევ დიდხანს გასტანს. თავი მოტყუებულად ვიგრძენ: მატყუარა, რომლის მოჭორილი ლათაიების დაჯერება არავის არ მოუნდება; მოკლედ, აღმოვაჩინე წარმოსახვა. პირველად ჩემს სიცოცხლეში გადავიკითხე ჩემივე ამბავი, თან ვწითლდებოდი. ნუთუ, მე მომწონდა ეს ბავშვური ახირებული ამბები? კინაღამ ლიტერატურაზე უარი არა ვთქვი. ბოლოს იმით გათავდა, რომ წავიღე რვეული პლიაჟზე და ქვიშაში ჩავმარხე. შეშფოთება დაცხრა: კვლავ ვიწამე ჩემი თავი, ვიწამე რომ უეჭველად ამისათვის ვარ ნაზიარევი, მაგრამ კაზმულსიტყვაობას თავისი საიდუმლოებანი გააჩნია და ერთხელაც მოხდება და გადამიშლის მათ. მანამდე

კი ასაკი უდიდეს თავშეკავებას მიკარნახებდა. მეტს აღარ ვწერდი.

ჩვენ დავბრუნდით პარიზში. მე საბოლოოდ მივატოვე არნუ გალოპენი და ჟან დე ლა ირი: ვერ ვაპატიე ამ ოპორტუნისტებს, რომ მე კი არა, ისინი აღმოჩნდნენ მართალნი. ვებუტებოდი ომის უნიჭო ეპოპეას. გაჯავრებულმა უარვყავი თანამედროვეობა და თავი შევაფარე წარსულს. რამდენიმე თვით ადრე, 1913 წლის დასასრულს, აღმოვაჩინე ნიკ კარტერი, ბუფალო ბილი, ტექსასელი ჯეკი, სიტინგ ბული: ბრძოლები რომ დაიწყო, ეს გამოცემები გაჰქრა: პაპაჩემი სთვლიდა რომ მათი გამომცემელი გერმანელი იქნებოდა. საბედნიეროდ, სანაპიროს ბუკინისტებს კიდევ მოეპოვებოდათ თითქმის ყველა წიგნაკები, რომლებმაც მოასწრეს გამოსვლა. დედაჩემს სენის ნაპირისაკენ ვექაჩებოდი და ჩვენ რიგრიგობით ვიქექებოდით ყველა დახლზე დაწყებული დორსეს სადგურიდან აუსტერლიცის სადგურამდე: მოხდებოდა ხოლმე რომ ერთბაშად თხუთმეტი ნაკვეთი მოგვქონდა სახლში; მალე ხუთასამდე დამიგროვდა. თანაბარ დასტებად ვაწყობდი და დაუზარებლად ვთვლიდი, თანაც ხმამაღლა ვიმეორებდი ამ საიდუმლო სათაურებს: „ბოროტმოქმედება აეროსტატზე“, „ხელშეკრულება ეშმაკთან“, „ბარონ მუტუშიმის მონები“, „დაზაარის კვლავ გამოჩენა“. მიყვარდა ეს გაყვითლებული ჭუჭყიანი, გასვრილი ფურცლები, რომელთაც მკვდარი ფოთლების უცხო სუნი ასდიოდათ: მართლაც ხომ მკვდარი ფოთლები იყვნენ, ნაშთნი წარსულისა, ვინაიდან ომმა ყველაფერს ბოლო მოუღო, ვიცოდი რომ გრძელთმიანი ადამიანის უკანასკნელი თავგადასავალი ჩემთვის უცნობი დარჩება, რომ ვერასოდეს გავიგებ როგორ დამთავრდება დეტექტივების მეფის უკანასკნელი გამოკვლევა: ეს მარტოხელა გმირები, ჩემი არ იყოს, მსოფლიო კონფლიქტს შეეწირენ და ამიტომ კიდევ უფრო მიყვარდა, საკმარისი იყო ყდაზე ფერად გრავიურებისათვის მომეკრა თვალი და სიხარული მათრობდა. ბუფალო ბილი ცხენს მიაჭენებდა პრერიაში და ან მისდევდა ინდოელებს ან თითონ გაურბოდა მათ. ყველას ნიკ კარტერის ილუსტრაციები მერჩივნა. შეიძლება ისინი ადამიანს ერთფეროვანი ეჩვენოს: ან დიდებული ნიკ კარტერი აცამტვერებდა მტერს ან თვით მას ურტყამდნენ. მაგრამ ეს ცემატყეპა მანჰეტენის ქუჩებზე ხდებოდა, ნაოხრებში, რომლებიც რუხი ფერის ღობეებში იყვნენ მომწყვდეულნი ან შემხმარი სისხლის ფერ სუსტ კუბიკურ კონსტრუქციებში: ყოველივე ეს მაჯადოვებდა და წამროვიდგენდი ხოლმე პურიტანულ და სისხლიან ქალაქს, რომლის იქით ალბათ იყო სავანების უსასრულო სივრცეები, რომლებიც ამ ქალაქის შთანთქმას ლამობდნენ: აქ დანაშაული და სათნოება ორივე ერთნაირად კანონს გარეშე იყო; მკვლელი და კანონის დამცველი, ორივენი თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ და საღამოს ჟამს დანით უსწორდებოდნენ ერთმანეთს. ამ ქალაქში, ისევე როგორც აფრიკაში, და ასეთივე დამწველი მზის ქვეშ, გმირობა კვლავ განუწყვეტელ იმპროვიზაციად იქცეოდა: აქედან გამომდინარეობს ჩემი სიყვარული ნიუ-იორკისადმი.

დავივიწყე ომი და ჩემი რწმუნებულება. როდესაც მეკითხებოდნენ „რას გააკეთებ, დიდი რომ გახდები?“, მე თავაზიანად და მორიდებით ვუპასუხებდი, რომ წერას მივყოფ ხელს, მაგრამ ოცნებას დიდების შესახებ და სულიერ ვარჯიშს თავი მივანებე. იქნებ სწორედ ამიტომ იყო, რომ თოთხმეტიანი წლები ჩემი ბავშვობის ყველაზე ბედნიერი ხანაა. დედაჩემი და მე თანატოლები ვიყავით და არასოდეს არ ვშორდებოდით ერთმანეთს. იგი თავის ერთგულ რაინდსა და პატარა ვაჟკაცს მეძახდა; მე მას ყველაფერს ვეუბნებოდი და კიდევ უფრო მეტს: გულში

ჩათხრობილი სურვილი წერისა ახლა ბავშვურ ტიკტიკად იქცა: მე აღვწერდი ყოველივეს რასაც ვხედავდი, იმას, რასაც ან-მარი უჩემოდაც კარგად ხედავდა, სახლებს, ხეებს, ადამიანებს. ვიგონებდი გრძნობებს, მხოლოდ მათი ან-მარისათვის გაზიარების სიამოვნებისათვის, ენერგიის ტრანსფორმატორი გავხდი: სამყარო იმისათვის მიყენებდა, რათა ქცეულიყო სიტყვად. ეს ამბავი იწყებოდა ჯერ ჩემს თავში, გაურკვეველი ბუტბუტის სახით. ვიღაცა ამბობდა: „მე დავდივარ, მე ვჯდები, მე ჭიქით წყალსა ვსვამ, დაშაქრულ ნუშსა ვჭამ“. ხმამაღლა ვიმეორებდი ამ დაუსრულებელ კომენტარიებს: „მე დავდივარ, დედიკო, მე ჭიქით წყალსა ვსვამ, მე ვჯდები“. მეგონა რომ ორი ხმა მაქვს, რომელთაგან ერთი თითქმის არ მეკუთვნის და ჩემდაუნებურად უკარნახებს მეორეს თავის სათქმელს; გადავწყვიტე, რომ გავორდი. ასეთი უცნაური მდგომარეობა ზაფხულამდე გაგრძელდა; იგი არაქათს მაცლიდა, გულს მიწყალებდა და ბოლოს შიშმა შემიპყრო: „ჩემ თავში რაღაც ლაპარაკობს“ ვუთხარი დედას, მაგრამ საბედნიეროდ იგი არ შეწუხებულა.

ეს ხელს არ უშლიდა ჩვენს ბედნიერებას და არც თანხმობას არღვევდა. ჩვენ გვქონდა საკუთარი მითები, საკუთარი აკვიატებული გამოთქმები და დაწესებული ხუმრობა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ათიდან ერთს წინადადებას მაინც ვაბოლოვებდი ირონიული მორჩილებით: „მაგრამ, აბა რა გაეწყობა“: ვიტყოდი: „დახე, დიდი თეთრი ძაღლი. რამ გაათეთრა, ნაცრისფერია, მაგრამ რა გაეწყობა“. ჩვენი ცხოვრების სულ უმნიშვნელო ამბებზედაც კი მაღალფარდოვანი ლაპარაკი შემოვიღეთ და რამე მოხდებოდა თუ არა, მაშინვე ვაუწყებდით ერთმანეთს. ჩვენივე შესახებ მესამე პირში დავიწყეთ ლაპარაკი და თანაც მრავლობით რიცხვში. ავტობუსს ველოდებოდით, ჩაგვივლიდა და არ გაჩერდებოდა. მაშინ ერთი ჩვენგანი წარმოსთქვამდა: „მათ განრისხებულთა ტორი დაჰკრეს მიწას და აღავლინეს წყევლა-კრულვა“ და ხარხარს მოვყვებოდით. ხალხში რომ ვიყავით, შეთქმულებივით ერთი შეხედვით ვუგებდით ერთმანეთს. მაღაზიასა ან საჩაიეში გამყიდველი ქალი სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა, რომ გამოვიდოდით, დედა იტყოდა „არ გიყურებდი — მეშინოდა სიცილი არ წამსკდომოდა“. ასეთი ყოვლისშემძლეობა სიამაყით მავსებდა: განა, ბევრ ბავშვს შეუძლია ერთი შეხედვით დედა გააცინოს. გაუბედავები ვიყავით და შიშსაც კი ერთად განვიცდიდით: ერთხელ, სანაპიროზე აღმოვაჩინე ბუფალო ბილის თორმეტი წიგნაკი, რომელიც არ მქონდა. ის იყო დედა ფულის გადახდას აპირებდა, რომ მოგვიახლოვდა ვიღაცა ჩასუქებული ფერმკრთალი კაცი, რომელსაც ნახშირივით თვალები და გაპოხილი ულვაში ჰქონდა, თავზე ჩალის ქუდი იმგვარად ჰქონდა წამოგდებული და ისეთი დაშაქრული გამომეტყველებით იყურებოდა იმდროინდელ ლამაზ ვაჟკაცებს რომ სჩვეოდათ. დედაჩემს მიაჩერდა, მაგრამ მე მომმართა და ჩქარ-ჩქარა დამაყარა: „განებივრებენ, პატარავ, ძალიან განებივრებენ“ — ჯერ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი: არ ვიყავი მიჩვეული შენობით მომართვას; მერე შევამჩნიე იმ კაცის მანიაკალური გამოხედვა და ახლა უკვე ორივენი, მე და ან-მარი, გაძერთიანდით, ვიქეცით ერთ ქალიშვილად — შეშინებული, დამფრთხალი რომ უკან იხევს. შეცბა და გაგვეცალა; ათასი ადამიანი აღარ მახსენდება, მაგრამ ის გაპოხილი სახე დღემდე არ დამვიწყებია. არაფერი არ ვიცოდი ხორციელი ცხოვრების შესახებ და ვერც წარმომედგინა, რა უნდოდა იმ კაცს ჩემგან, მაგრამ სურვილი იმდენად აშკარა და დაუფარავი რამაა, რომ თითქოს მივხვდი და ჩემს წინ რაღაცნაირად გაშიშვლდა ყოველივე. იმ კაცის სრული ან-მარის მეშვეობით ვიგრძენი. მისგან ვისწავლე მამაკაცის გე-

შის ალება, მისი შიში და სიძულვილი. ამ შემთხვევამ განამტკიცა ჩვენი კავშირი: ხელჩაკიდებული მივყვებოდი დედაჩემის მრისხანე გამომეტყველებით და დარწმუნებული ვიყავი რომ ვიფარავ მას განსაცდელისაგან. და იმ წლების გახსენება ხომ არ არის, რომ ახლაც მსიამოვნებს, როდესაც ვხედავ რომ ზედმეტად სერიოზული ბავშვი თავმომწონედ და ალერსიანად ელაპარაკება თავის ბავშვ დედას; მომწონს ეს ტკბილი და ველური მეგობრობა, რომელიც აღმოცენდება ხოლმე კაცებს გარეშე და მიმართულია მათ წინააღმდეგ. დიდხანს ვუცქერ ამ ბავშვურ წყვილებს, შემდეგ მახსენდება რომ ვაჟკაცი ვარ და პირს ვიბრუნებ ხოლმე.

მეორე ამბავი 1915 წლის ოქტომბერში მოხდა. ათი წლისა და სამი თვისა ვიყავი და ჩემი შინაური პატიმრობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. შარლ შვეიცერმა დაიოკა წყენა და ანრი IV ლიცეის მოსამზადებელ კლასში ჩამწერა ექსტერნად.

პირველივე თხზულების შემდეგ უკანასკნელი აღმოვჩნდი. ნორჩი ფეოდალი ვიყავი და სწავლება პირად ვალდებულებად მიმაჩნდა: მადემუაზელ მარი-ლუიზას ვუყვარდი და თავის ცოდნას გადმომცემდა, მე კი იმდენად კეთილი ვიყავი, რომ მისი სიყვარულით ვღებულობდი ამ ცოდნას. კათედრიდან წაკითხული ლექციები ყველასკენ იყო მიმართული და კანონის ასეთმა ცივმა დემოკრატიულობამ საგონებელში ჩამაგდო. ჩემი გამოგონილი უპირატესობა გაცამტვერდა, რადგან მუდამ გვადარებდნენ ერთმანეთს და ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე, ვინც ჩემზე უკეთესად და უფრო სწრაფად უპასუხებდა. ზედმეტად ვუყვარდი, რის გამოც საკუთარ თავში არ დავეჭვებულვარ და ამიტომ გულწრფელ აღტაცებას ვიჩენდი ამხანაგების მიმართ: მეგონა ჩემი ჯერიც დადგებოდა. ორმოცდაათი წლისა რომ გავხდები. მოკლედ, უკან ვიხევდი წვალების გარეშე; ვგიჟდებოდი, მაგრამ გულდასმით ვაბარებდი საზიზღარ წერით სამუშაოებს. მამაჩემი უკვე ბრაზობდა და იჭმუჭნებოდა; დედაჩემი საჩქაროდ წავიდა ჩემი კლასის დამრიგებლის, ბატონ ოლივიეს, სანახავად. ბატონმა ოლივიემ მიგვიღო თავის მარტოხელა კაცის კვალობაზე მოწყობილ ბინაში; დედაჩემის ხმა მომაჯადოვებლად ჟღერდა; ვიდექი მის სავარძელთან, ყურს ვუგდებდი და მტვრიან ფანჯარაში მზეს გავცქეროდი. დედა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეტი ფასი მაქვს ვიდრე ჩემს ნაწერებს. თვითონ ვისწავლე კითხვა, რომანებს ვწერდი, და უკანასკნელ საბუთად ის გამოიყენა, რომ მე ათი თვისა დავბადებულვარ, და სხვაზე უკეთესად ვარ გამოქნილი, უფრო გამოვიშუშე, რადგან სხვაზე უფრო დიდხანს ვცხვებოდი. დედაჩემის მშვენებით და არა ჩემი ღირსებით მოჯადოვებული ბატონი ოლივიე გულდასმით ყურს უგდებდა. ეს იყო მაღალი, გაძვალტყავებული, დიდთავა, მელოტი, თვალებჩავარდნილი კაცი, ცვილის ფერი ედო და გრძელ კეხიან ცხვირქვეშ რამდენიმე წითელი ბუსუსი ამოსვლოდა. კერძო გაკვეთილებზე უარი გვითხრა, მაგრამ დაგვპირდა რომ „თვალს მიმადევნებს“. მეტიც არ მითხოვია: გაკვეთილების დროს ვიჭერდი მის შემოხედვას და დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მხოლოდ ჩემთვის ლაპარაკობს, დავიჯერე, რომ ვუყვარვარ. მიყვარდა იგი, ხოლო რამდენიმე კეთილმა სიტყვამ დააგვირგვინა საქმე: სრულიად ძალდაუტანებლად საკმაოდ კარგი მოწაფე გავხდი. პაპაჩემი ტრიმესტრის დღიურს რომ ათვალიერებდა, ბუზღუნებდა, მაგრამ ლიცეიდან ჩემს წამოყვანაზე აღარ ფიქრობდა. მეხუთე კლასში მასწავლებლები გამოგვეცვალა, ჩემდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება გაჰქრა, მაგრამ მე უკვე შევეგუე დემოკრატიას.

სკოლაში მეცადინეობის გამო, წე-

რისათვის დრო აღარ მრჩებოდა; ახალი ნაცნობები გამიჩნდა და ამან მთლად დამიკარგა წერის ხალისი. როგორც იქნა, ამხანაგები გავიჩინე, მე, საზოგადოებრივ ბაღებში დევნილი, პირველივე დღეს მიმიღეს და შემითვისეს, თანაც სრულიად ძალდაუტანებლად, ასე რომ სულიც კი ვერ მოვითქვი გაკვირვებისაგან. მართალი რომ ითქვას, ჩემი ახალი მეგობრები გაცილებით უფრო მგავდნენ ვიდრე ის ნორჩი პერდანები გული რომ გამიტეხეს: ესენი იყვნენ ექსტერნები, დედიკოს ბიჭები, ბეჯითი მოწაფეები, არაფერია, მე მაინც ვზეიმობდი. ორმაგი ცხოვრება მქონდა. ოჯახში ვითომდა ვვაჟკაცობდი. მაგრამ ბავშვები ერთმანეთში ვერ იტანენ ბავშვობანას. ისინი ნამდვილი ვაჟკაცები არიან. ვაჟკაცი ვიყავი და ვაჟკაცობაში ვერიე ყოველდღე. სამ მალაკენთან — ჟან, რენე და ანდრესთან ერთად, პოლ და ნორბერ მერთან, ბრენთან, მაქს ბერკოსა და გრეგუართან ერთად გამოვდიოდით ლიცეიდან და ყიჟინით მოვრბოდით პანთეონის მოედანზე. ეს იყო უაღრესი სიხარულის წუთები: ისინი ოჯახურ ტაკი-მასხარაობას მაცილებდნენ; სულაც აღარ ვცდილობდი თავის გამოჩენას. ხალისიანად ავყვებოდი ხოლმე ამხანაგების სიცილს, ვიმეორებდი მათ ძახილებსა და ენამოსწრებულ სიტყვებს, ჩუმად ყურს ვუგდებდი, ვემორჩილებოდი, ვბაძავდი ჩემს ირგვლივ მყოფთა მიმოხვრას და ერთი გრძნობით ვიყავ შეპყრობილი: მათგან არ გამოვრჩეულიყავ. უდრტვინველი, მაგარი და მხიარული ვიყავი და ვგრძნობდი რომ ფოლადისგან ვარ ჩამოსხმული და, როგორც იქნა, მეპატია ცოდვა ჩემი არსებობისა: მოედანზე, დიდ ადამიანთა ოტელსა და ჟან-ჟაკ რუსოს ძეგლს შუა ბურთსა ვთამაშობდით და მე ნამდვილად საჭირო ვიყავი: the right man in the right place ახლა უკვე აღარაფერი მშურდა ბატონ სიმონოსი: აბა, მეერს ვისთვის უნდა გადაეცა ბურთი, როდესაც გრეგუარს დაუსხლტა, რომ სწორედ ამ დროს იქ მე არ ვყოფილიყავი? რა უბადრუკი და უსიხარულო იყო ჩემი ოცნებები დიდების შესახებ, ამ ელვასებრ თვალის ახელასთან შედარებით, რომელიც ამ ქვეყნად ჩემს საჭიროებას მიმტკიცებდა.

საუბედუროდ ეს გაელვება უმალვე ჰქრებოდა. თამაში „ზედმეტად გვაგზნებდა“, როგორც ამბობდნენ ჩვენი დედები, და ჩვენ გუნდს გადააქცევდა ხოლმე პატარა ერთსულოვან ბრბოდ, რომელიც მე მშთანთქავდა: მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვახერხებდით ჩვენი მშობლების დავიწყებას დიდი ხნით, რადგან ისინი უხილავად ჩვენთან იყვნენ და ეს კი უმალვე ცხოველური სამყაროს კოლონიების ჯგუფურ გათიშულობას გვიბრუნებდა. ჩვენს დასს არ გააჩნდა რაიმე მისწრაფებანი, არც მიზნები, არც იერარქია; ჩვენ ვმერყეობდით: ხან სრულიად შერწყმულნი ვიყავით, ხან მხოლოდ დაპირისპირებულნი. ყველანი ერთად რომ თავს მოვიყრიდით, სინამდვილეში ვცხოვრობდით, მაგრამ არ შეგვეძლო დაძლევა გრძნობისა, რომ მხოლოდ დროებით, სესხად ვართ ერთმანეთისათვის განკუთვნილნი, ნამდვილად კი ყველანი ცალკ-ცალკე ვეკუთვნით სულ სხვა, განსაკუთრებულსა და კარჩაკეტილს, ძლიერსა და პრიმიტიულ კოლექტივს, რომელიც თვითონვე სჭედს თავის საკუთარ მომაჯადოებელ მითებს, თავის მოტყუებით საზრდოობს და თავს გვახვევს საკუთარ თვითნებობას. განებივრებულნი, კეთილგანმზრახველნი, მგრძნობიარენი, გონიერნი ვიყავით, ვუფრთხოდით უწესრიგობას, გვძულდა ძალადობა და უსამართლობა: გვაერთიანებდა და გვთიშავდა უსიტყვო რწმენა იმისა, რომ სამყარო ჩვენთვისაა შექმნილი და ყველა ჩვენთაგანის მშობლებზე უკეთესი ამ ქვეყნად არ მოიძებნება, ვცდილობდით არავისთვის არ გვეწყენინებინა და თამაშშიაც კი თავაზიანები ვყოფილიყავით. დაცინვა და სასაცილოდ აგდება სასტიკად იყო

აკრძალული. თუ ვინმეს თავს გაუვიდოდა, შემოვეხვეოდით, ვამშვიდებდით და ვაიძულებდით რომ ბოდიში მოეხადა. მას თითქოს საკუთარი დედა ჰკიცხავდა ხოლმე ჟან მალაკენის ან ნობერ მერის პირით. ჩვენი დედები ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ერთმანეთს არაფერს არ უთმობდნენ: უყვებოდნენ ჩვენს ნალაპარაკევს, შეხედულებებს, ყოველივე ჩვენგანის მსჯელობას ყველა დანარჩენთა შესახებ. ჩვენ, მათი შვილები, ერთმანეთს ვუმალავდით მათ მსჯელობას. დედაჩემი დიდად შეურაცხყოფილი დაბრუნდა ქალბატონ მალაკენისგან, რომელსაც მისთვის მოურიდებლად მიუხლია: „ანდრე სთვლის, რომ პულუ პრანჭიაა". ეს ჩემს გულს არ გაჰკარებია: დედების ნალაპარაკევი იყო ერთმანეთში, ანდრესგან არცა მწყენია და კრინტიც კი არ დამიძრავს მასთან ამ ამბის გამო. მოკლედ, ჩვენ მთელ ქვეყანას ვცემდით პატივს, მდიდრებსა და ღარიბებს, სამხედროებსა და სამოქალაქო ხალხს, ახალგაზრდებსა და ხნიერებს, ადამიანებსა და ცხოველებს; აბუჩად გვყავდა აგდებული მხოლოდ ის ვინც ნახევრად პანსიონზე ან ინტერნატში ირიცხებოდა; ალბათ, რაიმე დიდი ბრალი მიუძღვით, რახან მშობლებმა მათზე უარი სთქვეს და მიატოვეს; ანდა, იქნებ ცუდი მშობლები ჰყავთ, მაგრამ ეს არაფერს არა სცვლიდა: შვილებს ისეთი მამები ჰყავთ, როგორიც მათ დაიმსახურეს. საღამოობით, ოთხი საათის შემდეგ, როდესაც თავისუფალი ექსტერნები შინ მიდიოდნენ, ლიცეი გადაიქცეოდა ხოლმე ავაზაკების ბუდედ.

ასეთ წინდახედულ მეგობრობას, ყოველთვის თან სდევს გარკვეული გულცივობა. არდადეგების დროს დაუნანებლად ვშორდებოდით ერთმანეთს. ბერკო ხომ მაინც მიყვარდა. ქვრივის შვილი იყო და თითქმის ძმად მერგებოდა. ლამაზი იყო, სუსტი და მორიდებული. თვალს არ ვაშორებდი მის შავ თმას, რომელიც ჟანა დარკის ყაიდაზე ჰქონდა გადავარცხნილი, მაგრამ მთავარი ის იყო, ორივეს საამაყოდ გვქონდა, რომ ყველაფერი გვქვს წაკითხული, ხშირად განვმარტოვდებოდით ხოლმე სკოლის ეზოს კუთხეში და ვსაუბრობდით ლიტერატურაზე ესე იგი მეასედ და მუდამ დიდი სიამოვნებით ჩამოვთვლიდით ყველა თხზულებას, რომელიც კი ხელში გვჭერია. ერთხელ დამთხვეულივით შემომხედა და გამომიტყდა რომ წერას აპირებს. ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს რიტორიკის კლასში, იგი კვლავინდებურად ლამაზი იყო, მაგრამ ტუბერკულოზით გამხდარიყო ავად. იგი თვრამეტი წლისა გარდაიცვალა.

ყველანი, ჭკვიანი ბერკოც-კი, აღტაცებულნი ვიყავით ბენარით, რგვალ, მცივანა პატარა ბიჭით, რომელიც წიწილას ჰგავდა. მის ღირსებათა ამბავმა ჩვენი დედების ყურამდეც მიაღწია, ისინი ოდნავ განაწყენდნენ და წამდაუწუმ მაგალითად გვისახავდნენ, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს და ვერ შეგვაძულეს. თქვენ თვითონ განსაჯეთ თუ რამდენად მიუკარებელნი ვიყავით: იგი ნახევრად პანსიონზე იყო, მაგრამ ამიტომ უფრო გვიყვარდა; ჩვენ იგი საპატიო ექსტერნად დავსახეთ — საღამოობით ოჯახური ლამპის შუქზე ვისხედით და გვახსენდებოდა იგი, როგორც მისიონერი, რომელიც ჯუნგლებში დარჩა, რათა ინტერნატელი კაციჭამიები მოაქციოს და ჩვენ ნაკლებად გვეშინოდა. მართალი რომ ითქვას, მას ინტერნატის მკვიდრნიც პატივს სცემდნენ. ახლა ჩემთვის ძნელია ამ ერთსულოვნების მიზეზის გაგება. ბენარი რბილი, გულღია, მგრძნობიარე იყო, თანაც ყველა საგნებში პირველობდა. ამასთანავე, დედა, მისი გულისათვის ლუკმას იკლებდა. ჩვენს დედებს ამ მკერავ ქალთან მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ, მაგრამ ხშირად გველაპარაკებოდნენ მის შესახებ, რათო ჩვენ დაგვეფასებინა დედობრივი სიყვარულის სიდიადე. ჩვენ მხოლოდ ბენარზე ვფიქრობდით; იგი ხომ იმ

უბედური ქალის ერთადერთი სიხარული და იმედი იყო; ჩვენ ვაჟიშვილის სიყვარულის სიდიადეს განვიცდიდით; ერთი სიტყვით, ეს პატიოსანი ღატაკნი საყოველთაო გულის აჩუყების მიზეზად გამხდარიყვნენ. მაგრამ ეს ყველაფერს როდი განმარტავს: ჭეშმარიტება კი ის იყო, რომ ბენარი მხოლოდ ნახევრად ცხოვრობდა; მე არასოდეს დამინახავს, რომ მას უშველებელი შალი არ ჰქონოდეს შემოხვეული; იგი ტკბილად გვიღიმოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა და მახსოვს, რომ მას ჩვენთან თამაში უკრძალავდნენ. მე თვითონ, განსაკუთრებულ პატივს ვცემდი ბენარს იმისათვის, რომ მისი სისუსტე როგორღაც გვაცალკევებდა მისგან, თითქოს იგი შუშაში მოაქციეს; ამ შუშიდან იგი გვესალმებოდა, გვიღიმოდა მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო მასთან ახლო მისვლა: ჩვენ შორიდან ვესიყვარულებოდით, რადგან მას სიცოცხლეშივე სიმბოლოს წარუხოცველობა მიეღო. ბავშვობას შემგუებლობა სჩვევია: ჩვენ ბენარის მადლობელი ვიყავით იმისთვის, რომ იგი იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ სავსებით უსახო შეიქნა, როდესაც იგი გვესაუბრებოდა, ჩვენ ვტკბებოდით მისი მსჯელობის უმნიშვნელობით; არასოდეს გვინახავს გაჯავრებული ან ძალიან მხიარული; კლასში თითს არასოდეს არ ასწევდა, მაგრამ როდესაც ეკითხებოდნენ, თვით დიდი ჭეშმარიტება ლაღადებდა მის ბაგეთა მეშვეობით, უყოყმანოდ და არც გულმოდგინედ, ზუსტად ისე როგორც თვით ჭეშმარიტებას შეშვენის. სასწაულებრივ ბავშვთა ჩვენს გუნდს ფრიად აკვირდებოდა, რომ იგი საუკეთესო იყო, მაგრამ სასწაულებრივ ბავშვთა რიცხვს არ ეკუთვნოდა. იმხანად ჩვენ ასე თუ ისე მამით ობლები გავხდით. მამები ან დაიხოცნენ ან ფრონტზე იყვნენ, ხოლო ვინც დარჩნენ, დაკნინდნენ, გაქალაჩუნდნენ და იმას ცდილობდნენ, რომ შვილებს არც გახსენებოდათ მათი არსებობა; დედები გაბატონდნენ: ბენარი ჩვენთვის მატრიარქატის უარყოფითი სათნოების სარკე იყო.

ზამთრის ბოლოს იგი გარდაიცვალა; ბავშვებსა და ჯარისკაცებს მკვდრებზე დარდი არ აწუხებს, მაგრამ ჩვენ, ორმოცივენი ვქვითინებდით მის კუბოსთან. დედები ფხიზლად იყვნენ: უფსკრულს ყვავილები ჰფარავდა, დედებმა თავისი გაიტანეს და დაგვაჯერეს, რომ იგი კი არ გაჰქრა, არამედ ზე-ჯილდო მიიღო წლის განმავლობაში წარჩინებული სწავლისათვის. ამასთანავე, ბენარის სიცოცხლე იმდენად სუსტი იყო, რომ მისი სიკვდილიც ნამდვილს არ ჰგავდა: იგი ჩვენ შორის იყო, ჩვენშივე გაბნეული და წმინდა. ჩვენმა ზნეობამ უცებ იმატა: გვყავდა საკუთარი ძვირფასი მიცვალებული, ხმადაბლა, მელანქოლიური ნეტარებით ვლაპარაკობდით მის შესახებ; იქნებ, ჩვენც მასავით უდროოდ გამოვესალმოთ ამ წუთისოფელს; წარმოვიდგენდით ხოლმე ჩვენი დედების ცრემლებს და ვგრძნობდით რომ ძვირფასნი ვართ. დამაფიქრა თუ არა ამ სიკვდილმა? ბუნდოვნად მახსენდება, რომ შემაძრწუნა სრულიად აშკარა უსამართლობამ: ამ მკერავმა ქალმა, ამ ქვრივმა ხომ ყველაფერი დაკარგა. მართლა თუ მახრჩობდა ფიქრი ამ საზარელ ამბავზე? ცალი თვალით ხომ არ ვიხილე სამყარო რომელშიაც აუტანელია ცხოვრება, დავინახე, რომ არსებობს ბოროტება და არ არსებობს ღმერთი. მჯერა, რომ ასე იყო. თორემ რატომ მოხდა, რომ მთელი ჩემი ბავშვობიდან, რომელიც მე უარვყავი, დავივიწყე და დავკარგე, მხოლოდ ბენარის სახე შევინარჩუნე ასეთი მტკივნეული სიცხადით?

რამდენიმე კვირის შემდეგ, კლასი AI არაჩვეულებრივი ამბის მომსწრე გახდა: ლათინური ენის გაკვეთილის დროს გაიღო კარი, შემოვიდა ბენარი მეკარის თანხლებით, მიესალმა ჩვენს მასწავლებელს ბატონ დიურის და დაჯდა. ყველამ ვიცანით მისი რკინის ჩარჩოიანი სათვალე, მისი კაშნე, მისი ოდნავ კეხიანი ცხვირი, მცივანა წიწილას იერი: მე გადავწყვიტე,

რომ ღმერთმა დაგვიბრუნა იგი. ბატონი დიური ჩვენზე ნაკლებ რეტდასხმული არ ჩანდა: შეწყვიტა გაკვეთილი, ღრმად ამოისუნთქა და შეეკითხა: „გვარი, სახელები, მშობლების პროფესია“. ბენარმა უპასუხა რომ იგი ნახევრად პანსიონზეა შემოსული, ინჟინრის შვილია და სახელად ჰქვია პოლ-ივ ნიზანი. ყველაზე მეტად მე ვიყავი გაოცებული; დასვენების დროს მივედი მასთან, დაველაპარაკე, მან მიპასუხა, ჩვენ დავახლოვდით. თუმცა ერთმა წვრილმანმა მაგრძნობინა, რომ ბენართან კი არა მაქვს საქმე, არამედ მის ეშმაკეულ ხატებასთან: ნიზანი ელამი იყო. ამის ანგარიშში ჩაგდება უკვე გვიან იყო. მისი სახით უკვე მიყვარდა სიკეთის განსახიერება, ბოლოს ნიზანი შემიყვარდა მისივე გულისათვის. მახეში გავები: სათნოებისაკენ მიდრეკილებამ ეშმაკის ტრფობამდე მიმიყვანა. სიმართლე რომ ითქვას, ის ფსევდო-ბენარი არც იმდენად ბოროტი იყო: იგი ცხოვრობდა და ეს იყო მთელი მისი ბოროტება. მან თავისი ტყუპის ყველა თვისება შეინარჩუნა, ოღონდ გახუნდა: ბენარის თავშეკავება გულჩათხრობილობად გადაექცა, მშფოთვარე, მაგრამ გამოუვლინებელი განცდები გლეჯდენ მის გულს, არასოდეს არ ყვიროდა, მაგრამ ჩვენ ვხედავდით, როგორ ფითრდებოდა და ენას უკიდებდა: ის რაც ჩვენ თვინიერებად ჩავთვალეთ, მხოლოდ წამიერი დამბლა იყო; მისი პირით ჭეშმარიტება კი არ ღაღადებდა, არამედ გარკვეული ხასიათის ობიექტივიზმი, ცინიკური და მსუბუქი, რომელიც გვაცბუნებდა, რადგან უჩვეულო იყო; თუმცა, ცხადია, მას უყვარდა მშობლები, მაგრამ მარტო იგი ლაპარაკობდა მათ შესახებ ირონიულად. კლასში ბენარზე ნაკლებად ბრწყინავდა; სამაგიეროდ, ბევრს კითხულობდა და წერის სურვილი ჰქონდა. მოკლედ, დასრულებული პიროვნება იყო, ჩემთვის კი არაფერი იყო უფრო საკვირველი, ვიდრე პიროვნება ბენარის სახით. ეს მსგავსება მდევნიდა და არ ვიცოდი რა მექნა: შემექო ნიზანი იმისათვის, რომ მან სხვისგან ისესხა სათნოების გარეგნული ნიშნები თუ დამეგმო იმისათვის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ გარეგნობაა; ბოლო არ ჰქონდა ჩემს მერყეობას ბრმა ნდობასა და უმიზეზო უნდობლობას შორის. ნამდვილი მეგობრები დიდი ხნის შემდეგ გავხდით, ხანგრძლივი განშორების შემდეგ.

ამ ამბებმა და შეხვედრებმა ორი წლით შეაჩერეს ჩემი ჩხრეკა, მაგრამ მისი მიზეზები არ მოუსპიათ. ნამდვილად კი ჩემი სულის სიღრმეში არაფერი არ შეცვლილა: ლუქის ბეჭდებით განმტკიცებული მანდატი, უფროსებმა რომ ჩემში მოათავსეს, აღარ მახსენდებოდა, მაგრამ ისევ არსებობდა. იგი დაეუფლა ჩემს პიროვნებას. ცხრა წლისა, ძალიანაც აღელვებული რომ ვყოფილიყავი, მაინც საკუთარ თავს თვალყურს ვადევნებდი, ათი წლისა რომ შევიქენი, დამეკარგა და ველარ ვხედავდი. ბრენთან ერთად დავრბოდი, ბერკოსა და ნიზანთან ვსაუბრობდი; ამასობაში იმ ჩემმა გამოგონებულმა მისიამ, ახლა უპატრონოდ რომ იყო მიტოვებული, ხორცი შეისხა და ბოლოს ჩემი სულის წყვდიადში მოიკალათა; იგი აღარ მეცხადებოდა, მან შემქმნა მე და მისი მიზიდულების ძალა ყველაფერს დაეტყო, იგი ღუნავდა ხეებს და დრეკდა კედლებს და ჰქმნიდა იმ ცა-რგვალს, თავზე რომ მედგა. წინათ ჩემი თავი უფლისწული მეგონა, ჩემმა სიგიჟემ მაქცია ამ უფლისწულად. „ხასიათის ჩამოყალიბების ნევროზიაო“ სთქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა, ფსიქოანალიტიკოსმა. მართალი იყო: 1914 წლის ზაფხულსა და 1916 წლის შემოდგომას შორის ჩემი მანდატი ჩემ ხასიათად გადაიქცა: ბოდვა დაეხსნა ჩემს თავს და ძვლებში ჩაიღვარა.

ახალი არაფერი დამართნია: ყოველივე რაც გამოვიგონე და ვიწინასწარმეტყველე, ხელუხლებელი იყო, ოღონდ ერთი განსხვავებით: უაზროდ, უსიტყვოდ და უხილავად ყოველივეს ვახორციელებდი. წინათ ჩემი სიცოცხლე სუ-

რათებად მეხატებოდა: ჩემმა სიკვდილმა ჩემივე სიკვდილი გამოიწვია, ხოლო ამ ქვეყნად გაჩენა სიკვდილის ხელში მაგდებდა. რა წუთსაც შეწყდა ეს ხატება, მე თვით გავხდი ყოველივე ამის თანაზიარი და ამ ორ უკიდურესობათა შორის ლარივით ვიყავ გაჭიმული, ვიბადებოდი და ვკვდებოდი ყოველ გულისცემასთან ერთად. მყოფადი უკვდავება ჩემს კონკრეტულ მომავლად იქცა: იგი დაემკვიდრა ჩემს ყოველ, თუმცა უდარდელ მოძრაობას და რაგინდ ღრმად არ უნდა გავეტაცნე რაიმეს, იგი მაინც უფრო ყოვლისმომცველად განყენებული იყო. ეს იყო ყოვლად სისავსის სიცარიელე, რეალურის ოდნავი ირეალურობა. იგი შორიდანვე მიკარგავდა პირში კარამელის გემოს და გულში წყენასა და სიხარულს, მაგრამ სამაგიეროდ, მინარჩუნებდა ყოველ, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო მომენტსაც კი, რადგან იგი უკანასკნელი იყო და ამიტომ ერთადერთი საფუძველი უკვდავების მოსაპოვებლად. იგი მინერგავდა ცხოვრების მოთმინებას: აღარასოდეს მომდომებია ოცი წლით წინ გადახტომა და კიდევ ოცი წლის გადაფურცვლა, აღარ წარმომიდგებოდა ხოლმე ჩემი ტრიუმფის მომავალი დღეები — ველოდი ყოველ წამს, ველოდი მომავალ წამს, რადგან მას შემდეგი წამი უნდა მოჰყოლოდა. უდარდელად, მიზანმისწრაფებულად ვცხოვრობდი: ყოველთვის წინ ვუსწრებდი საკუთარ თავს, სავსებით შთანთქმული ვიყავი და არაფერი არ მაკავებდა. როგორ გამიადვილდა ცხოვრება! წინათ ჩემი დღეები ისე წააგავდნენ ერთმანეთს, ხანდახან მეგონა ერთი და იგივეს გასამეორებლად ვარ სამუდამოდ განწირული. ეს დღეები მაინცა და მაინც არ გამოცვლილან, მათ ისევ შერჩათ ჭკნობისა და ჩამოცვენის ჩვეულება. მაგრამ მე, მე გამოვიცვალე მათ სრბოლაში: ახლა დრო კი აღარ მოედინებოდა ჩემი უძრავი ბავშვობისაკენ, არამედ თვით მე ვიყავი ბრძანების თანახმად გატყორცნილი ისარი — რომელიც ხვრეტდა დროს და პირდაპირ მიზნისკენ მიისწრაფოდა. 1948 წელს უტრეხტში, პროფესორი ვან ლენეპი მაჩვენებდა პროექციულ ცდებს. ერთმა ტაბულამ განსაკუთრებით მიიზიდა ჩემი ყურადღება: მასზე გამოხატული იყო გაჭენებული ცხენი, მიმავალი ადამიანი, გაფრენილი არწივი და წყალზე მოხტუნავე გლისერი; ცდისეულ პირს უნდა ეჩვენებინა სურათი, რომლისგანაც ყველაზე დიდი სისწრაფის შთაბეჭდილება შეექნა. მე ვთქვი: „ნამდვილად გლისერია“. მერე ცნობისმოყვარეედ დავაკვირდი სურათს, რომელმაც ასე გადაწყვეტით მათქმევინა: გლისერი თითქოს სცილდებოდა ტბის ზედაპირს, კიდევ წუთი და მოსწყდებოდა ამ ფათერაკიან ტალღებს. მაშინვე ცხადი გახდა ჩემი არჩევანის მიზეზი: ათი წლისა ვიყავი, როდესაც ვიგრძენი, რომ ჩემი ნავის ფორშტევანი ჰკვეთს აწმყოს და მისგან მწყვეტავს; მას აქეთ გავრბოდი და ახლაც გავრბივარ. მე რომ მკითხოთ, სიჩქარის მაჩვენებელი დროის გარკვეულ მონაკვეთში განვლილი დისტანცია კი არ არის იმდენად, რამდენადაც მოწყვეტის შესაძლებლობა.

ოცზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იტალიის მოედანზე საღამოხანს მიმავალი ჯაკომეტი[1] მანქანამ გაიტანა. დაჭრილმა და ფეხნაღრძობმა, გულწასულმა, მან ცხადად ჯერ რაღაც სიხარულის მსგავსი იგრძნო: „როგორც იქნა და რაღაცა დამემართა!“ მე მესმის მისი ამგვარი უკიდურესობა: იგი უარესს ელოდა. ამ სულელურმა და ულმობელმა შემთხვევამ გადაატრიალა და, შეიძლება, დაამსხვრია კიდევაც სიცოცხლე, რომელიც მას უსაზღვროდ უყვარდა და უკეთესი არასოდეს უსურვებია: „მაშ, გაიფიქრა მან, მე არ გავჩენილვარ იმისათვის, რომ მექანდაკებინა, არც იმისათვის რომ მეცოცხლა; არაფრისათვის არ გავჩენილვარ“. მაგრამ აღტაცებაში მოიყვანა იმან, რომ მის წინაშე გამიშვლდა განრიგების პი-

[1] ალბერტო ჯაკომეტი — ცნობილი სკულპტორი

რველმიზეზი, ყოველივეს რომ ემუქრება და რომ მან თვალი შეავლო სტიქიური უბედურების გამყინავ მზერას, რომელსაც იგი მიაპყრობს ქალაქების სინათლეებს, ადამიანებსა და ტალახში გართხმულ საკუთარ სხეულს: სკულპტორს მკვდარი ბუნება შორეულად არ ეჩვენება. მე აღტაცებული ვარ ყოვლისმილების ნებისყოფის ამგვარი გამომჟღავნებით. თუკი მოულოდნელობა გიყვარს, აი ასეთ რიგად უნდა გიყვარდეს, ამგვარ იშვიათ გაელვებამდე, რომელიც ცხადყოფს მოყვარულთათვის, რომ დედამიწა მათთვის არ არის შექმნილი.

ათი წლისა რომ ვიყავი, სხვა მისწრაფება თითქოს და არა მქონია. მინდოდა, რომ ჩემი სიცოცხლის ყოველი რგოლი უეცრად აღმოცენებულიყო და ახალი საღებავის სუნი ჰქონოდა. წინასწარვე თანახმა ვიყავი რომ დაბრკოლებანი და ფათერაკი მომელის, მაგრამ სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ უდრტვინველად ვეგებებოდი. ერთ საღამოს ელექტრონი ჩაქრა: ავარიაა. მეორე ოთახიდან დამიძახეს; ხელები გავშალე და გავემართე იქითკენ და თავით ისე მაგრად დავეტაკე კარების ჩარჩოს, რომ კბილი ჩავიმტვრიე. კმაყოფილი ვიყავი და მიუხედავად ტკივილისა, გავიცინე. ისევე, როგორც უფრო გვიან, იცინოდა ჯაკომეტი, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მიზეზის გამო, ვინაიდან წინასწარვე მქონდა გადაწყვეტილი, რომ ჩემს ამბავს ბედნიერი დასასრული აქვს. ყოველივე შემთხვევითი მხოლოდ მოტყუების საშუალება იყო, სიახლე მხოლოდ გარეგნულად იყო ახალი, ხალხთა მოთხოვნილებანი იმთავითვე დაკანონებული იყო და მეც ამიტომ მოვევლინე ამ ქვეყანას: ამ ჩემ ჩამტვრეულ კბილში მე დავინახე ფარული გაფრთხილება, რომელიც შემდეგში გახდება ჩემთვის გასაგები. სხვაგვარად რომ ითქვას, ყველა გარემოებაში ვინარჩუნებდი რწმენას იმისა, რომ ყოველივე წინასწარვეა განრიგებული. ჩემს სიცოცხლეს ვიხილავდი აღსასრულის თვალსაზრისით და წარმომედგინა იგი დახშულ მეხსიერებად, რომელშიაც ვერაფერი ვერ შევა და ვერაფერი ვერ გამოვა. წარმოგიდგენიათ როგორ ვიყავი დაცული? შემთხვევები არ არსებობდა: განგებამ ინება, რომ მხოლოდ მათ მსგავსებასთან მქონოდა საქმე. გაზეთების აზრით ქუჩები სავსე იყო ფათერაკით, რომელიც ცელავდა პატარა ადამიანებს: მე კი, ვისი ხვედრიც წინასწარ განსაზღვრულია, არაფერი არ მომელის. შეიძლება ხელი დავკარგო, ან ფეხი, ან ორთავ თვალი, მაგრამ საქმე ისაა, როგორ შემემთხვევა ეს ამბავი: ეს უბედურება მხოლოდ გამოცდა იქნება და წიგნების მასალად გამომადგება. შევეჩვიე და უძლებდი ყოველგვარ დარდსა და ავადმყოფობას: მათში ვხედავდი ჩემი ტრიუმფალური სიკვდილის დასაწყისს, მის მიერ გამოკვეთილ პირველ საფეხურებს, რომლებსაც მისკენ მივყავდი. მისი ეს ცოტა მოუხეშავი მზრუნველობა, არც თუ უსიამოვნო იყო და მე გულში მწადდა, რომ მისი ღირსი გავმხდარიყავი. უარესი უკეთესის პირობად მიმაჩნდა: შეცდომებიც კი რაღაც სამსახურს მიწევდნენ და ასე გამოდიოდა, რომ შეცდომა არც მომსვლია. ათი წლისა, ჩემ თავში დარწმუნებული ვიყავი: მორიდებული და აუტანელი; ჩემი ყოველი მარცხი, ჩემი სიკვდილისშემდგომი გამარჯვების პირობად მიმაჩნდა. დაე, დავბრმავდე, დავკარგო ფეხები, გზას გადავცდე, მაგრამ რაც უფრო მეტ ბრძოლაში დავმარცხდები, მით უფრო ნაღდად მოვიგებ ომს. არავითარ განსხვავებას არ ვხედავდი იმ, რჩეულთათვის განკუთვნილ განსაცდელსა, და იმ მარცხს შორის, რომლისთვისაც თვითონვე ვიყავი პასუხისმგებელი, ამიტომ ჩემი დანაშაული მხოლოდ განსაცდელად მიმაჩნდა, ხოლო გასაჭირში მხოლოდ საკუთარ შეცდომას ვხედავდი. მართლაც, თუ კი ავადმყოფობას, წითელას ან სურდოს ავიკიდებდი, ამას ჩემ დანაშაულად ვაცხადებდი: სათანადო სიფრთხილე ვერ

გამოვიჩინე, პალტოს ჩაცმა ან კაშნეს შემოხვევა დამვიწყებია. ყოველთვის ვირჩევდი ხოლმე გამემტყუნებინა საკუთარი თავი და არა მთელი სამყარო და არა იმიტომ რომ კაიკაცობას ვიჩენდი ,არამედ მინდოდა მხოლოდ საკუთარ თავზე ვყოფილიყავი დამოკიდებული. ამგვარი ქედმაღლობა არც თავმდაბლობას გამორიცხავდა: ჩემს სისუსტეს მით უფრო ხალისით ვაღიარებდი, რომ ამ გზას განუხრელად და სწრაფად მივყავდი სიკეთისაკენ. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელსაყრელი იყო ჩემთვის, რადგან ჩემი სიცოცხლის ნაკადს განუხრელად მივყავდი და მიუხედავად ჩემი სურვილისა განუწყვეტლივ წინსვლას მაიძულებდა.

ყველა ბავშმა იცის რომ წარმატებას აღწევს. თანაც ამის დავიწყებასაც არ ანებებენ: „წარმატება უნდა მოიპოვო, წარმატებით სწავლობს, სერიოზული და თანმიმდევრული წარმატება აქვს...“ უფროსები საფრანგეთის ისტორიას მოგვითხრობენ: პირველ რესპუბლიკას, რომელიც მერყევი რამ იყო, მოჰყვა მეორე და შემდეგ მესამე, კარგი რესპუბლიკა: სამი ბედნიერი რიცხვია. იმხანად, ბურჟუაზიული ოპტიმიზმი თავმოყრილი იყო რადიკალების პროგრამაში: საყოველთაო გამდიდრება, სიღარიბის მოსპობა ცოდნისა და წვრილი მესაკუთრეობის განვითარების გზით. ჩვენ, პატარა ბატონებს, ამას ჩვენთვის გასაგებად გვინერგავდნენ და კმაყოფილებით ვხედავდით, რომ ჩვენი პირადი წარმატებანი ერის წარმატებებს ამრავლებენ. მიუხედავად ამისა, ჩვენს შორის ვისმეს იშვიათად თუ სურდა თავის მამაზე უფრო ამაღლება: უმეტესობის წადილი მხოლოდ სრულწლოვანება იყო. მაშინ ზრდა და განვითარება შეწყდება, ხოლო მთელი სამყარო თავისთავად უკეთესი და უფრო კეთილმოწყობილი შეიქნება. ზოგი მოუთმენლად მოელოდა ამ წუთს, ზოგი შიშით და ზოგიც სინანულით. მე კი, ზიარებამდე, ზრდისადმი სრულიად გულგრილი ვიყავი. ფეხებზე მეკიდა სრულწლოვანებაც და მისი სამოსიც. პაპას ტანმორჩილი ვეჩვენებოდი და სწყინდა: „სარტრების სიმაღლე დაჰყვება“ — მის გასაჯავრებლად ამბობდა ბებია. პაპა მიყურებდა, წინ დამიყენებდა, ამზომ-დამზომავდა და არც მაინცდამაინც დაჯერებულად იტყოდა ხოლმე „წამოზრდილა“. მე არ ვიზიარებდი არც მის წყენასა და არც იმედებს: სარეველა ბალახიც იზრდება; შეიძლება ტანი აიყარო, მაგრამ მაინც არაფერი ხეირი დაგეყაროს. ერთადერთი პრობლემა იდგა ჩვენს წინაშე, ვყოფილიყავი კარგი in aeternum· ყოველივე შეიცვალა, როდესაც ჩემს ცხოვრებას სისწრაფე მიეცა. კარგად მოქცევა უკვე საკმარისი აღარ იყო. ახლა სულ უფრო **უკეთესად** უნდა მოვქცეულიყავ. ერთი კანონი მასულდგმულებდა: სულ ზევით და ზევით უნდა მეცოცა. ჩემი გადაჭარბებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად და შესანიღბავად საყოველთაო გამოცდილება გამოვიყენე: ჩემს ბავშვურ, მერყევ წარმატებაში ბედის პირველი ნიშნები ვიხილე. გაუმჯობესება მართლაც მეტყობოდა, უმნიშვნელო და სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ იგი ჩემი ძალღონის ალმავლობის ილუზიას მიქმნიდა. საზოგადოებრივი ბავშვი ვიყავი და საზოგადოებაში ჩემი კლასის და ჩემი თაობის მითს ვემხრობოდი: მოხვეჭილისგან სარგებელს იღებ, გამოცდილებას აგროვებ, აწმყოს მთელი მისი წარსული ამდიდრებს. მარტოობაში ეს ამბავი სრულიად არ მაკმაყოფილებდა. არ შემეძლო დავთანხმებულიყავი, რომ ყოფიერება გარედან გვეძლევა, ინერციით გვინარჩუნდება და ჩვენი სულის ყოველი მოძრაობა წინა მოძრაობის შედეგია. მყობადმა მოძრაობამ მშვა, დავხტოდი, ვანათებდი და ყოველ წამს სავსებით ვიმეორებდი ჩემი დაბადების ცერემონიას: ჩემს გულისთქმაში შინაგანი წვის ნაპერწკლების დანახვა მინდოდა. რა უნდა მოეცა ჩემთვის წარსულს? მას არ შეუქმნივარ, პირიქით, მე თითონ ავღორძინდი საკუთარი ფე-

რფლიდან და არარაობიდან ვქმნიდი ჩემს მეხსიერებას, და მუდამ ვაახლებდი მას. აღორძინებისას უკეთესი ვიყავი და უკეთესად ვიყენებდი ჩემი სულის დაფარულ მარაგს, იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ყოველ წუთთან ერთად მოახლოვებული სიკვდილი სულ უფრო და უფრო ძლიერ მფენდა თავის უფერო ნათელს. ხშირად მეუბნებოდნენ: წარსული ბიძგს გვაძლევსო; მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მომავალი მეწეოდა თავისკენ. მეზიზღებოდა, როცა ჩემში ვგრძნობდი გამოზომილ ძალთა მუშაობას და ჩემ მიდრეკილებათა აუჩქარებელ განვითარებას. უწყვეტი ბურჟუაზიული პროგრესი გულში ჩავმარხე და გადავაქციე იგი შინაგანი წვის ძრავად; წარსულს აწმყოს წინაშე ქედი მოვახრევინე, ხოლო მომავლის წინაშე დავაკნინე. მე უარვყავი უდრტვინველი ევოლუციონიზმი, გარდავქმენ იგი და რევოლუციური კატასტროფების წყვეტილი გზა ავირჩიე. რამდენიმე წლის წინათ, ვიღაცამ აღნიშნა, რომ ჩემი პიესებისა და რომანების მომქმედი პირები უეცრად და მოულოდნელად ღებულობენ გადაწყვეტილებას, მაგალითად, „ბუზებში“ ორესტის გარდაქმნა მყისვე ხდება. ცხადია, მე მათ ჩემი თავის მსგავსად ვქმნი, რა თქმა უნდა, არა ისეთად, როგორიც ვარ, არამედ ისეთად, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი.

გავხდი მოღალატე და მოღალატედ დავრჩი. მთელს ჩემს არსებას ამაოდ ვახმარ ყოველ ჩემს წამოწყებას, დაუზოგავად თავს ვწირავ შრომას, რისხვას, მეგობრობას, მაგრამ, ერთი წუთის შემდეგ გადავუდგები; ეს ვიცი, ეს მსურს და ღალატის წინადგრძნობის ლხენით ავსებული, თავს გავცემ ხოლმე შიგ შუა გატაცების დროს. საერთოდ კი, სხვაზე ნაკლებად არ ვარ სიტყვის პატრონი; სიყვარულსა და ყოფაქცევაში მუდმივი ვარ, მაგრამ ემოციებს ვღალატობ: ერთხანს რომელიმე ძეგლი, სურათი ან პეიზაჟი უმშვენიერესად მეჩვენებოდა, მხოლოდ იმიტომ ყველაზე ბოლოს რომ მქონდა ნანახი: მეგობრებს აბრაზებდა ჩემი ცინიზმი ან უბრალოდ ფუქსავატობა იმ შემთხვევაში, როდესაც მინდოდა დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ აღარაფრად მიმაჩნია რაიმე მოგონება, რომელიც მათთვის კვლავინდებურად ძვირფასი იყო. ჩემი თავი მაინცა და მაინც დიდად არ მიყვარდა და ამიტომ წინ გავურბოდი. შედეგები: კიდევ უფრო ნაკლებად მიყვარს, ულმობელი წინსვლა გამუდმებით ფასს მიკარგავს ჩემივე თვალში: გუშინ ცუდათ მოვიქეცი. ვინაიდან ეს გუშინ იყო, ხოლო დღეს წინასწარვე ვგრძნობ რა სასტიკი იქნება ჩემი ხვალინდელი განაჩენი. მთავარი ისაა, რომ არავითარი ღლაბუცი არ იყოს, ჩემს წარსულს ახლო არ ვიკარებ. სიყრმე, მოწიფულობა, გასული წელიც კი, ყოველივე ეს მუდამ წარსული ამბავია, ახალი კი აი, ამ წუთს აცხადებს თავის არსებობას, მაგრამ ვერასოდეს ფეხს ვერ მოიკიდებს და მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც ვირი ხეზე გავა. ჩემი ცხოვრების პირველი წლები განსაკუთრებით გულდასმით წავშალე: როდესაც ამ წიგნის წერას შევუდექი, ბევრი დროის დახარჯვა მომიხდა წაშლილის აღსადგენად. ოცდაათი წლისა რომ ვიყავი, მეგობრებს უკვირდათ: „გეგონება, მშობლები არც გყოლიათ და ბავშვობაც არ გამოგივლიათ“. მე იმდენად ბრიყვი ვიყავი რომ კიდევაც თავი მომწონდა. მაინც მიყვარს და პატივს ვცემ ზოგიერთი ადამიანის და განსაკუთრებით ქალების მყარ და თავმდაბალ ერთგულებას გემოვნების, სურვილებისა,ძველ ჩანაფიქრისა და გარდასულ ლხენისადმი და თაყვანს ვცემ მათ მისწრაფებას დარჩნენ უცვლელნი გარემოს ცვალებადობაში, შეინარჩუნონ წარსულის მოგონებანი და სამარეში თან წაიღონ თავისი პირველი თოჯინა, სიყრმის კბილი, პირველი სიყვარული. ვიცნობდი კაცებს, რომლებიც სიბერის ჟამს ცხოვრობდნენ ხნიერ

ქალთან, მხოლოდ იმიტომ, რომ სურდათ იგი ახალგაზრდობაში, სხვები გარდაცვლილთა ჯავრს ინახავდნენ გულში და ცემით რომ მოგვეკლათ, არ გამოტყდებოდნენ. ოცი წლის წინათ ჩადენილ და თანაც მისატევებელ ცოდვაში; მე გულღვარძლიანი არა ვარ და ყველაფერს დაუზარებლად ვაღიარებ, დაჯილდოებული ვარ თვითკრიტიკის გრძნობით, ოღონდ იმ პირობით თუ მას ძალათი თავს არ მახვევენ. რაში მესაქმება, რომ ვიღაცამ 1936 წელს, 1945 წელს, უსიამოვნება მიაყენა ადამიანს, რომელიც ჩემ სახელს ატარებს? მის მიერ განცდილ შეურაცხყოფას ზარალს მივაკუთვნებ: იმ სულელმა ისიც კი ვერ შეძლო, რომ პატივი ეცათ მისთვის. ძველი მეგობარი მხვდება; მეუბნება რომ გამწარებულია: ჩვიდმეტი წელია რაც ნაწყენი ყოფილა ჩემზე, რადგან ერთხელ, კაცმა არ იცის როგორ მოხდა, ყურადღება არ გამომიჩენია მისდამი. ბუნდოვნად მაგონდება, რომ თავს ვიცავდი, შეტევაზე გადავდიოდი, ვუსაყვედურებდი მეტისმეტ ფხუკიანობას, დევნის მანიას, მოკლედ, იმ ამბის საკუთარი ვერსია მქონდა: მით უფრო რომ მეტი ხალისით ვღებულობ ახლა მის ვარიანტს; სავსებით ვეთანხმები მას და ყველაფერში ჩემ თავს ვადანაშაულებ; თავი მეჭირა, როგორც პატივმოყვარე და ეგოისტ ადამიანს; უგულო ვარ; მხიარული ხოცვა-ჟლეტაა გამართული: ვტკბები იმით რომ ჩემთვის ყველაფერი ცხადია: შეცდომების ასე ადვილად ცნობა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ აღარასოდეს გავიმეორებ. დამიჯერებთ? ჩემი კეთილსინდისიერება, გულახდილი აღიარება ბრალისა, მხოლოდ აღიზიანებს მომჩივანს. იგი ამბობს, რომ მიხვდა, რა კაციცა ვარ, რომ მე მას აბუჩად ვიგდებ, ვაწყენინე სწორედ მე, ცოცხალმა, ახლანდელმა, წარსულმა, ისეთივემ, ყოველთვის რომ მიცნობდა; და მე კი ვუტოვებ მას ჩემს უძრავ მიწიერ ნეშტს, რათა განვიცადო სიამოვნება და თავი ვიგრძნო ახლად დაბადებულ ბავშვად. ბოლოს, მეც ვუბრაზდები ამ ფეთფანს, მკვდრები რომ ამოჰყავს საფლავებიდან. პირიქით, რაიმე შემთხვევას რომ გამახსენებენ, როდესაც, მათი თქმით, ცუდად არ გამოვიყურებოდი, მე ხელის ერთი აქნევით ვიშორებ ამ მოგონებას; თავმდაბლად მივაჩნივარ, მაგრამ, პირიქით: მე მგონია, რომ ახლა უკეთესად მოვიქცეოდი, ხოლო ხვალე, კიდევ უკეთესად. მომწიფებულ მწერლებს, ჩვეულებრივ არ მოსწონთ, როდესაც გადაჭარბებული გულმოდგინებით უქებენ მათ პირველ ნაწარმოებს: მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შექება ყველაზე ნაკლებად მე მსიამოვნებს. ჩემი საუკეთესო წიგნი ისაა, რომელსაც ახლა ვწერ, შემდეგ ის, რომელიც ახლა გამოვაქვეყნე, მაგრამ მის მიმართ ზიზღი უჩუმრად უკვე მწიფდება ჩემში და მალე იფეთქებს. დღეს კრიტიკოსებმა ეს წიგნი ცუდად რომ ჩათვალონ, შეიძლება გული მატკინონ, მაგრამ ექვს თვეში მეც დაახლოებით მათი აზრისა ვიქნები, მხოლოდ ერთი პირობით: რა გინდ უბადრუკად და უმნიშვნელოდაც არ ჩასთვლიან ისინი ამ თხზულებას, მინდა რომ ჩემ მიერ ადრე შექმნილზე უფრო მაღლა დააყენონ; თანახმა ვარ გააბითურონ მთელი ჩემი შემოქმედება, ოღონდ დაცულ იქნეს ქრონოლოგიური იერარქია, რადგან მხოლოდ იგი მრჩება საწინდრად იმისა, რომ ხვალ უკეთესს დავწერ, ზეგ კიდევ უკეთესს და ბოლოს შედევრსაც შევქმნი.

რასაკვირველია, თავს არ ვიტყუებ: მშვენივრად ვიცი, რომ ჩვენ ვმეორდებით და თუმცა ეს ცოდნა, რომელიც გაცილებით უფრო გვიან შევიძინე, ძირს უთხრის ჩემს ძველ წარმოდგენას, მაგრამ სრულიად მოსპობა მისი არ შეუძლია. არსებობს რამდენიმე მკაცრი მოწმე ჩემი ცხოვრებისა. ისინი არაფერს მაპატიებენ. ისინი ხშირად გამომიჭერენ ხოლმე იმაში, რომ მე უკვე ერთხელ გაკვალულ გზას მივყვები;

მეუბნებიან ამას, მჯერა მათი, მაგრამ უეცრად, უკანასკნელ წამს, ისევ ჩემ თავს ვუმადლი. გუშინ ბრმა ვიყავი; ჩემი დღევანდელი წინსვლა ისაა, რომ გავიგე — წინ აღარ მივდივარ. ხანდახან მე თითონ გამოვდივარ ბრალდების მოწმედ. მაგალითად, შევამჩნევ ხოლმე, რომ ორი წლის წინათ დაწერილი გვერდი შეიძლება ახლა გამომადგეს. ვეძებ და ვერ ვპოულობ. ასე სჯობია კიდევაც, რადგან სიზარმაცით კინაღამ რაღაც ძველმანი არ ჩავაკვეხე ახალ თხზულებაში: მე ხომ დღეს გაცილებით უკეთესად ვწერ და ამასაც ხელახლა დავწერ. როდესაც სამუშაოს ვამთავრებ შემთხვევით ხელში მხვდება დაკარგული ფურცელი. განცვიფრებული ვარ: რამდენიმე მძიმეა სხვანაირად დასმული, თორემ დანარჩენში, იგივე აზრი სრულიად იმავე სიტყვებით გამომითქვამს. ვყოყმანობ, მერე კალათში ვაგდებ ამ მოძველებულ დოკუმენტს და ახალ ვერსიას ვინარჩუნებ. ძველსა სჯობია, თუმცა არ ვიცი რითი. ერთი სიტყვით, შეძლებისდაგვარად საქმეს ვაგვარებ; ფხიზლად ვარ, მაგრამ თავს ვიტყუებ, რომ ახლაც, როდესაც სიბერემ უკვე ხელი დამრია, ვიგრძნო მთამსვლელის ჭაბუკური თავდავიწყება.

ათი წლისამ ჯერ არაფერი ვიცოდი ამ მანიებისა და თავისთავისვე გამეორებისა, და არც ეჭვი მაწუხებდა: აქეთიქით დავრბოდი, ვლაქლაქებდი, მხიბლავდა ქუჩის სანახაობა, განუწყვეტლივ ვიცვლიდი პერანგს და ზედიზედ ვიშორებდი ამ გამონაცვალ პერანგებს. სუფლოს ქუჩის ზევით რომ ავდიოდი, ყოველ ნაბიჯთან ერთად, უკანდარჩენილ ვიტრინების ელვარებაში ვხედავდი საკუთარი სიცოცხლის სრბოლას, მის კანონს და ყოველივეს მიმართ ორგულობის მშვენიერ უფლებას. ჩემი თავი მთლიანად ყველგან თან მახლდა. ბებიას სურს განაახლოს სასადილოს სერვიზი; ვახლავარ მას შუშეულისა და ფაიფურის მაღაზიაში; ბებია უჩვენებს წვენის ჭურჭელს, რომლის სახურავზე წითელი ყვავილებია დასკუპებული, ყვავილებიანი თეფშები. ეს მთლად ის არ არის რაც მას სჭირდება, რასაკვირველია, მის თეფშებზედაცაა გამოხატული ყვავილები, მაგრამ ყავისფერი მწერებიც ხატია, რომლებიც მცენარეების ღეროებზე დაცოცავენ. მედუქნე ქალიც ლაპარაკის გუნებაზე მოდის: მას მშვენივრად ესმის რა უნდა მუშტარს, სწორედ ასეთები ჰქონდა, მაგრამ აგერ უკვე სამი წელიწადია ასეთს აღარ ამზადებენ. ეს მოდელი უფრო ახალია, ფასიც უფრო ხელსაყრელია, თანაც მწერები ხატია თუ არა ხატია, რა მნიშვნელობა აქვს — ყვავილები, ხომ მაინც ყვავილებია, ხომ ასეა, სიტყვამ მოიტანა და ვის რაში სჭირდება რაღაც პატარა მწერები. ბებიაჩემი არ ეთანხმება და თავისას არ იშლის: ხომ არ შეიძლება თვალი საწყობსაც გადაავლონ? საწყობს? როგორ არ შეიძლება, მაგრამ ამას დრო უნდა, თანაც მედუქნე ქალი მარტოა და არავინა ჰყავს დამხმარე, რადგან ნოქარი წაუვიდა. მე კუთხეში მიჩენენ ადგილს. მეუბნებიან, რომ არაფერს ვახლო ხელი და მივიწყებენ. დაშინებული ვარ იმით, რომ ირგვლივ ყოველივე მყიფეა და ბრწყინავენ მტვრიანი ნივთები; მაშინებს მკვდარი პასკალის ნიღაბი და პრეზიდენტ ფალიერის თავის მოყვანილობის ღამის ქოთანი. მაგრამ მე მხოლოდ გარეგნულად ვარ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი. სწორედ იმგვარად, როგორც ზოგიერთი მწერალი იქცევა; ავანსცენაზე გამოჰყავს სიუჟეტის განვითარებისათვის „საჭირო“ მომქმედი პირები, ხოლო თავის გმირს გაკვრით, ცალყბად გვიხატავს. მაგრამ მკითხველი არ ტყუვდება; იგი ფურცლავს უკანასკნელ თავებს, რათა ნახოს რომანი კარგად თუ მთავრდება. ისიც იცის, რომ იმ ფერმკრთალ ჭაბუკისათვის, ბუხართან რომ დგას, წიგნის კიდევ სამასორმოცდაათი გვერდია შემონახული. სიყვარულისა და თავგადასავლის სამას ორმოცდაათი

გვერდი. მე ხუთასი გვერდი მაინც წინ მიძევს. მე გრძელი და თანაც ბოლოკეთილი ამბის გმირი ვიყავი. თავი დავანებე და ჩემ თავს აღარ ვუამბობდი ამ ამბავს: რაში მჭირდებოდა? ვგრძნობდი, რომ რომანისათვის გამოვდგები და სხვა არაფერი. დრო კი უკან ეწეოდა საგონებელში ჩავარდნილ ხნიერ მანდილოსნებს, ფაიანსის ყვავილებს, მთელ დუქანს, შავი კაბები იცრიცებოდა, ხმები კარგავდნენ ელფერს და მე მეცოდებოდა ბებიაჩემი. ხომ ცხადია, რომ მას ამ წიგნის მეორე ნაწილში ველარ ნახავენ. მე კი დასაწყისი, შუაგული და დასასრული ვიყავი, ერთად თავმოყრილი სულ პატარა ბიჭში, რომელიც უკვე მოხუცი იყო, უკვე მკვდარი იყო აი აქ, სიბნელეში, ერთმანეთზე შეწყობილი თეფშების მასზე უფრო მაღალ დასტებს შორის, და გარეთ, სადღაც შორს, დიდების სამგლოვიარო მზის შუქში. მე ტრაექტორიის დასაწყისში მყოფი ელემენტარული ნაწილაკი ვიყავი და გზის დასასრულის ზღუდისაგან არეკლილი ტალღების წყება. შემჭიდროებული და შუკუმშული ვიყავი, ცალი ხელით საფლავს, ხოლო მეორეთი აკვანს ვეხებოდი, ვგრძნობდი რომ ვარ წამიერი და ბრწყინვალე, წყვდიადში გაბრწყინებული ელვა ვარ.

მაინც სევდა არ მეშვებოდა; ხან უჩუმრად მდევნიდა და ხან გულს მილონებდა, ველარ ვუძლებდი და საბედისწერო ცდუნებას ავყვებოდი: ორფეოსმა თავის მოუთმენლობით დაკარგა ევრიდიკა, მე ხშირად საკუთარ თავს ვკარგავდი ხოლმე მოუთმენლობისაგან. ხდებოდა ხოლმე, რომ უსაქმობისაგან გულშეღონებული ჩემს სიგიჟეს ვუბრუნდებოდი, მაშინ როდესაც საჭირო იყო მათი დავიწყება, გადაკარგვა და მთელი ჩემი ყურადღების მიპყრობა გარეშე საგნებისადმი; ამ წუთებში მე მსურდა მაშინვე განმეხორციელებინა ჩემი თავი, ერთი თვალის შემოვლებით მომეცვა მთელი სიცოცხლე, რომელიც მიტაცებდა როდესაც მასზე არ ვფიქრობდი. კატასტროფაა! იღუპებოდა ყველაფერი: წინსვლა, ოპტიმიზმი, მხიარული ღალატი და საიდუმლო მიზანმისწრაფება, ყოველივე ის რაც მე თვითონ დაუმატე ქალბატონ პიკარის წინასწარმეტყველებას. წინასწარმეტყველება რჩებოდა. მაგრამ რაში უნდა გამომდგომოდა? გრძნეული, მაგრამ სრულიად უქმი იყო მისი სურვილი შეენარჩუნებინა ჩემთვის ყოველი წამი ჩემი ცხოვრებისა, იგი ყველა ამ წამებს ათანაბრებდა: მასაზრდოებელ წვენს მოკლებული. მომავალ ჩონჩხად იქცეოდა, მე ისევ ვხედავდი ჩემი არსებობის უმაქნისობას და ვგრძნობდი რომ იგი ყოველთვის ასეთი იყო.

უთარიღო მოგონება: ლიუქსემბურგის ბაღის მერხზე ვზივარ: ან-მარიმ მთხოვა მის გვერდზე დავმჯდარიყავი ცოტა ხანს, რადგან გაოფლიანებული ვარ ბევრი სირბილისაგან. ყოველ შემთხვევაში ასეთია მიზეზთა და შედეგთა რეალური კავშირი. მაგრამ იმდენად მოწყენილი ვარ, რომ ჩემი ამპარტავნობა ყოველივეს შემაბრუნებინებს. დავრბოდი, რადგან საჭირო იყო რომ გავოფლიანებულიყავი და ამით დედაჩემს ჩემი დაძახების მიზეზი მივეცი. ყოველივეს ამ მერხისკენ მივყავდი, ყოველივეს ამ მერხისკენ უნდა მივეყვანე. როგორია მისი როლი? არც ვიცი და ჯერ არც ვფიქრობ მის შესახებ: ყველა იმ შთაბეჭდილებიდან, რომელიც მე შემეხო, არც ერთი არ დაიკარგება: არსებობს მიზანი: მე არ შევიცნობ, ჩემი შთამომავლები შეიცნობენ ვაბარტყუნებ მოკლე ფეხებს, რომლებიც მიწამდე არა სწვდებიან, ვხედავ მიმავალ კაცს, რომელსაც რაღაც მიაქვს, ვხედავ კუზიან ქალს: ყველაფერი გამომადგება. აღტკინებით ვიმეორებ: „მეტად საჭიროა რომ ადგილიდან არ დავიძრე“. მოწყენილობა მიორკეცდება: თავს ველარ ვიკავებ, რომ რისკი არ გავწიო და ცალი თვალით არ ჩავიხედო გულში: სენსაციურ აღმოჩენებს არ მოვითხოვ, მაგრამ მინდა ამ წუთის აზრს მივუხვდე, ვიგრძნო მისი გარდაუვალობა, ოდნავ

 

მაინც დავტკბე წინასწარგანჭვრეტის თანდაყოლილი ნიჭით, რომელსაც მიუსეს და ჰიუგოს მივაწერ. ცხადია რომ ბურუსის გარდა ვერაფერს ვხედავ. ჩემი აუცილებლობის აბსტრაქტული პოსტულატი და ჩემი არსებობის პრიმიტიული შეგრძნება ერთმანეთის გვერდი-გვერდ არსებობენ, არც შეეჯახებიან და არც შეერწყმიან ერთმანეთს. სხვა არაფერი არ მინდა გარდა იმისა, რომ გავექცე ჩემ თავს, კვლავ ვპოვო ის გამაყრუებელი სისწრაფე რომელიც მიმაქანებს, მაგრამ ამაოდ, ჯადოქრობა გაჰქრა. ფეხები დამიბუჟდა, ადგილს ვეღარ ვპოულობ. სწორედ მისწრებაა, რომ ამ დროს ზეცა მავალებს ახალ მისიას: სრულიად აუცილებელი ხდება რომ ისევ გავიქცე. წამოვხტები და მოვიხედავ: არავითარი მოძრაობა არ ჩანს, არაფერი გამოცვლილა. ამ იმედის გაცრუებას სიტყვებში ვახშობ: დაახლოვებით 1945 წელს, ორიაკის სასტუმროს ოთახში ვამტკიცებ რომ ასეა: ირკვევა იმ ჩემი გაქცევის ფასდაუდებელი შედეგები. დავიჩემე რომ კმაყოფილი ვარ და აღტკინებაში მოვდივარ და რათა ხელები შევუბოჭო, ნდობას, ვუცხადებ წმინდა სულს: გააფთრებით ვუმტკიცებ რომ ღირსი ვიქნები იმ შესაძლებლობისა, რომელიც მან მომანიჭა. ყოველივე ეს ზედაპირულია, მხოლოდ ნერვებზე თამაშია და ვიცი რომ ასეა. დედა უკვე ჩემსკენ მოეშურება, აი შალის სვიტერი, კაშნე, პალტო. ვანებებ რომ შემფუთოს და პაკეტს დავემსგავსო. სუფლოს ქუჩა და მეკარის, ბატონ ტრიგონის ულვაშები, ჰიდრავლიკური ლიფტის ხველება კიდევ წინა მაქვს. დაბოლოს საცოდავი პატარა პრეტენდენტი თავს ამოჰყოფს სამუშაო ოთახში, დაეხეტება სკამებს შორის, ფურცლავს და თავს ანებებს წიგნებს. ვუახლოვდები ფანჯარას და ფარდის ქვეშ ბუზსა ვხედავ, ვაქცევ მას მუსლინის მახეში, აღვმართავ მის დამღუპველ საჩვენებელ თითს. ეს მომენტი პროგრამის გარეშეა, ამორიცხულია დროიდან, გამოყოფილია, სწორუპოვარი და უძრავია, მას არაფერი არ მოჰყვება, არც ამ საღამოს და არც შემდეგ: ორიაკი ვერასოდეს ვერ გაიგებს ამ დარღვეული მარადისობის ამბავს.. კაცობრიობა თვლემს და სწორედ ამასობაში ჩნდება გამოჩენილი მწერალი — წმინდანი, ბუზსაც-კი რომ არ აწყენინებს. ეული და ამ უძრავ წუთში რაიმე მომავალს მოკლებული ბავშვი, მკვლელობაში მძაფრ განცდებს ეძებს: რახან ადამიანურ იღბალზე უარი მეთქვა, მე თვითონ გავხდები ამ ერთი ბუზის ბედი-მსახვრელი. არ ვჩქარობ. ვაცლი; დაე მიხვდეს, რომ მასზე აღმართულია ბუმბერაზის თითი: იგი თანდათან უახლოვდება, ჰკლეტავს,. გავპამპულდი, ღმერთმანი არ უნდა მომეკლა. ერთადერთი არსება იყო ამ ქვეყნად, ჩემი რომ ეშინოდა, ახლა კი უკვე ალარავინ მიწევს ანგარიშს. მწერის მკვლელი ვარ. ახლა მე თვითონ ვიჭერ ჩემი მსხვერპლის ადგილს და თვითონვე მწერად ვიქცევი. ბუზი ვარ და ყოველთვის ბუზი ვიყავი. ახლა კი ძირამდე დავალ. ისღა მრჩება რომ ავიღო „კაპიტან კორკორანის თავგადასავალი". მაგიდაზე რომ დევს, სადაც მომხვდება დავენარცხო ხალიჩაზე, გადავშალო ასჯერ წაკითხული წიგნი; ვგრძნობ რომ იმდენად ვარ გამოშიგნული, იმდენად სევდიანი, რომ ნერვები ვეღარ მიძლებენ პირველივე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ ყველაფერი მავიწყდება. ამ ცარიელ ბიბლიოთეკაში კაპიტანი კორკორანი ნადირს მისდევს; ხელში თავისი კარაბინი აქვს. მისი დედალი ვეფხვი კვალდაკვალ მოსდევს, ირგვლივ ჯუნგლების გაუვალი ბუჩქნარი შემოსდგომია; შორს ხეები დავრგი, მათ ტოტებზე მაიმუნები დახტიან. უცებ ვეფხვი — ლუიზონი აღრინდება. კორკორანი ინაბება: მტერი უახლოვდება. სწორედ ამ წარმტაც მომენტს აირჩევს ჩემი დიდება, რომ კვლავ დაუბრუნდეს თავის სამყოფელს, კაცობრიობა, — რომ უეცრად გამოერკვეს და საშველად მომიხმოს, სული წმინდა, რომ ჩამჩურჩუ-

ლოს შემაძრწუნებელი სიტყვები: „შენ ჩემს ძებნაში არ იქნებოდი, რომ უკვე არ გეპოვნე“. ტყუილად დაკარგული პირფერობაა: მას ხომ აქ ვერავინ გაიგებს, ღირსეული კორკორანის გარდა. მაგრამ თითქოს მხოლოდ ამ განცხადების მოლოდინში იყო, შემოდის სახელოვანი მწერალი; მისი ძმის შვილიშვილს ქერა თავი დაუხრია და დასცქერის ჩემი ცხოვრების ისტორიას, თვალზე ცრემლი მოსდგომია, მომავალი აღმოხდების, უსასრულო სიყვარული გარს მერტყმის, ჩემს გულში სინათლე კიაფობს: ადგილიდან არ ვიძვრი, ერთხელაც კი არ შევხედავ ზეიმს,. ძალიან დინჯად განვაგრძობ კითხვას, ბოლოს სინათლე ქრება: აღარაფერსა ვგრძნობ რიტმისა და დაუძლეველი წინასწრაფვის გარდა; ადგილიდან ვიძვრი, დავიძარი, წინ მივდივარ, ძრავა ხმაურობს. ვგრძნობ ჩემი სულის სისწრაფეს.

მე ამგვარად დავიწყე: გავრბოდი, გარეშე ძალებმა განსაზღვრეს ჩემი სრბოლის ხასიათი და შემქმნეს მე. კულტურის მოძველებულ კონცეფციაში გამოსჭვიოდა რელიგია, რომელიც მაგალითად მქონდა დასახული: იგი ბავშვური იყო, ხოლო ბავშვისათვის ამაზე ახლობელი რა უნდა ყოფილიყო. მასწავლიდნენ სალმთო რჯულს, სახარებას, კატეხიზისს, მაგრამ რწმენის საშუალება არ მომცეს: ამას მოჰყვა უწესრიგობა, რომელიც ჩემ პირად წესრიგად გადაიქცა. დანაოჭების პროცესში დედამიწის ქერქის ნაწილის გადაადგილება მოხდა: კატოლიციზმიდან ნასესხები წმინდანობა კაზმულ სიტყვაობას დაედო საფუძვლად: მორწმუნე ვერ გავხდი და იშვა მწერალი — ქრისტიანის ერზაცი, რომელიც მე არ შეიძლება ვყოფილიყავი: მისი ერთადერთი საქმე ცოდვათა მონანიება იყო. ამქვეყნად არსებობის მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა: უნდა ღირსეულად გამევლო ყველა განსაცდელი და დამემსახურებინა იმქვეყნიური ნეტარება. აღსასრული — მხოლოდ გარდასახვის რიტუალი იყო, ხოლო ამქვეყნიური უკვდავება მარადიული სიცოცხლის შემცველად მოგვევლინება, რათა დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ ადამიანთა მოდგმა არასოდეს დამივიწყებს, დავასკვენი, რომ თვითონ იგიც უკვდავია. მის წიაღში მიძინება, დაბადებასა და უსასრულობის მოპოვებას ნიშნავდა, მაგრამ ჩემთვის რომ რაიმე კატაკლიზმის შედეგად, ჩვენი პლანეტის, თუნდაც ორმოცდაათი ათასი წლის შემდეგ დაღუპვის ჰიპოთეზა გამოეთქვათ, თავზარი დამეცემოდა. დღესაც, როდესაც იმედები გამიცრუვდა, შიშს გარეშე არ შემიძლია ვიფიქრო მზის გაცივებაზე: დაე, ადამიანებმა ჩემი განსვენების შემდეგ მეორე დღესვე დამივიწყონ, ეს სულაც არ მწყინს, სანამ ისინი იცოცხლებენ. მეც მათთან ვიქნები, შეუმჩნეველი და უსახელო, ვიარსებებ ყველა მათგანში, ისევე როგორც თვით ჩემში არსებობენ მილიარდობით აღსრულებულნი, რომელთაც მე არ ვიცნობ, თუმცა ვიცავ განადგურებისაგან; მაგრამ თუ კაცობრიობა მოისპო მაშინ იგი ნამდვილად მოკლავს თავის მიცვალებულებს.

მითი ფრიად მარტივი იყო და ადვილად შევითვისე. პროტესტანტი და კათოლიკე ვიყავი და ვინაიდან ორივე რელიგიას ვეკუთვნოდი, არ შემეძლო მეწამა წმინდანები, მარიამ ღვთისმშობელი და თვით ღმერთიც-კი, მანამ, სანამ მათ სახელს უწოდებდნენ. მაგრამ კოლექტიური ზემოქმედების უზარმაზარი ძალით ვიყავი გამსჭვალული; იგი ჩემს გულში იყო დაბუდებული და გამოსავალს ეძებდა, იგი სხვათა რწმენა იყო; რწმენის საგანს სახელი შეეცვალა, გარეგნობა სულ მცირედ გამოეცვალა. მაგრამ ამ ნიღაბშიაც, რომელმაც მე შეცდომაში შემიყვანა, რწმენამ მაინც მიცნო, მეცა და ბრჭყალები ჩამავლო. მეგონა, რომ ლიტერატურას შევწირე თავი, მაგრამ ნამდვილად ბერად შევმდგარვარ. ყველაზე მორჩილი მორწმუნის რწმენა ჩემში გადაიქცა ქედმაღლურ დაჯერებად, რომ ჩემი ხვედრი

წინასწარ განსაზღვრულია. ხვედრი? რატომ არა! განა ყოველი ქრისტიანი რჩეული არ არის? სარეველა ბალახად ვიზრდებოდი კათოლიციზმის ნოყიერ მიწაზე, ჩემი ფესვები იწოვდნენ მის წვენს და ძალას მმატებდნენ. აქედან წარმოსდგა ჩემი ნათელმჭვრეტი სიბრმავე, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მაწუხებდა. ერთხელ, 1917 წლის დილას, ლა როშელში ამხანაგებს ველოდი. ერთად უნდა წავსულიყავით ლიცეიში; იგვიანებდნენ, არ ვიცოდი რითი შემექცია თავი და გადავწყვიტე მეფიქრა ყოვლადშემძლეზე, იმავ წუთს იგი კისრის ტეხით ჩამოგორდა ლაჟვარდიდან და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაჰქრა: იგი არ არსებობს, ვუთხარი ჩემ თავს თავაზიანი გაკვირვებით და ჩავთვალე რომ საქმე ამით დამთავრდა. ერთმხრივ მართლაც ასე იყო, ვინაიდან მას შემდეგ აღარ დამბადებია მისი აღდგენის სურვილი. მაგრამ დარჩა სხვა, უხილავი წმინდა სული, რომელმაც უზრუნველჰყო ჩემთვის მოცემული რწმუნება, და რომელიც მიმართავდა ჩემ ცხოვრებას უსახელო, დიდი და წმინდა ძალების მეშვეობით. მისი თავიდან მოშორება მით უფრო ძნელი იყო, რომ მან დაისადგურა ჩემი ტვინის სიღრმეში და გამოსახული იყო იმ ჩუმ-ჩუმად შეძენილი ტერმინებით, რომლებითაც ვსარგებლობდი რათა შემეგნო, შემეფასებინა და გამემართლებინა საკუთარი არსებობა. კიდევ დიდხანს ვწერდი იმისათვის რომ შემევედრებინა სიკვდილისათვის, ნიღაბქვეშ დამალულ რელიგიისათვის, რათა დაეხსნა ჩემი სიცოცხლე შემთხვევითობისაგან. ეკლესიას მივანდე. მისი მებრძოლი გავხდი და შემოქმედებაში ვეძებდი შველას; მისტიკოსი ვიყავი და ჩემი სიტყვების გამაღიზიანებელი შარი-შურით ვცდილობდი შევჭრილიყავი ყოფიერების დუმილში და, რაც მთავარია, ერთმანეთში მეშლებოდა საგნები და მათი სახელები: ეს იყო ჩემი რწმენა. თვალთ დამიბნელდა. სანამ არაფერს ვხედავდი, მეგონა, რომ თავი დავიხსენ. ოცდაათი წლისამ ასეთი მშვენიერი ილეთის განხორციელება შევძელი: „გულის რევაში“, დამიჯერეთ, რომ სრულიად გულწრფელად, აღვწერე ჩემ მსგავსთა უმიზნო, გაუმართლებელი არსებობის სიმწარე, ოღონდ ისე, რომ თვითონ განზე დავრჩი. მე ვიყავი როკანტენი,[1] სრულიად უწყალოდ მისი საშუალებით, ჩემი საკუთარი ცხოვრების ქსოვილს ვაჩვენებდი; მაგრამ ამავე დროს მაინც „**მ ე**“ ვიყავი —რჩეული, ჯოჯოხეთის მატიანე, შუშისა და ფოლადისაგან დამზადებული ფოტომიკროსკოპი, ჩემი საკუთარი პროტოპლაზმური სითხის შესასწავლად დამიზნებული. შემდეგში მე მხიარულად განვმარტავდი ხოლმე, რომ ადამიანი შეუძლებელია ადამიანი იყოს. მეც თვითონაც ასევე შეუძლებელი ვიყავი, მაგრამ სამაგიეროდ გამაჩნდა მანდატი, რომელიც საშუალებას მაძლევდა გამომევლინა ეს შეუძლებლობა და ამით გადამექცია იგი ჩემს ყველაზე უგულითადეს შესაძლებლობად, იმად რაც ჩემი მისიის ობიექტს და ჩემი დიდების ტრამპლინს შეადგენდა. ამ ნაღდ ჭეშმარიტებათა ტყვე ვიყავი, მაგრამ თვითონ მათ კი ვერ კი ვხედავდი: მე მათი მეშვეობით ვხედავდი სამყაროს. თავიდან ბოლომდე ყალბისმქნელობის შედეგი და მისტიფიცირებული ვიყავი და მხიარულად ვწერდი იმის შესახებ თუ რა მძიმეა ადამიანის არსებობის პირობები, დოგმატიკოსი ვიყავი და ყველაფერი მაეჭვებდა, გარდა იმისა, რომ თვით მე ეჭვის რჩეული ვარ. ერთი ხელით აღვადგენდი იმას, რასაც მეორეთი ვანგრევდი და ეს შფოთი ჩემი უვნებლობის საწინდრად მიმაჩნდა. ბედნიერი ვიყავი.

მე შევიცვალე. მერე გიამბობთ თუ რომელმა სიმჟავეებმა შესჭამეს ჩემი გამჭირვალე მახინჯი გარსი, როდის და როგორ გავიცანი ძალადობა, აღმოვაჩი-

1 თავის პირველ რომანში სარტრმა გამოიყვანა გმირად როკანტენი, რომელშიც გარეშე სამყარო და თვითონ იგიც მხოლოდ უშუალო და შემაღონებელ ზიზღსა და გულისრევას იწვევენ.

ნე ჩემი სიმახინჯე, რომელიც კიდევ დიდხანს იყო ჩემი ნეგატიური დასაყრდენი და ის ჩაუმქრალი კირი, რომელმაც დასწვა სასწაულებრივი ბავშვი, რა მიზეზებმა მიმაჩვიეს სისტემატიურად აზროვნებას ჩემივე თავის წინააღმდეგ, იმდენად წინააღმდეგ, რომ რაც უფრო უსიამოვნო იყო იგი ჩემთვის, მით უფრო აშკარა ხდებოდა მისი ჭეშმარიტება. რეტროსპექტული ილუზია დაქუცმაცდა; წამება, დახსნა, უკვდავება, ყოველივე ეს გაცამტვერდა. შენობა ინგრევა, წმინდა სულს სარდაფში წავასწარი და განვდევნე. უწყალო და ხანგრძლივი წამოწყება — ათეიზმი. მეგონა, ბოლომდე მივიყვანე. ყოველივეს ნათლად და ფხიზლად ვხედავ; ვიცი ჩემი ნამდვილი ამოცანები, ჩემი მოქალაქეობრიობისათვის ნამდვილად ჯილდოს ღირსი ვარ; თითქმის ათი წელია უკვე, რაც ის ადამიანი ვარ, რომელიც გონს მოეგო მძიმე, მწარე და ტკბილი სიგიჟის შემდეგ: გონს მოსვლა ძნელია, სიცილის გარეშე ვერ გაიხსენებ შენ წარსულ შეცდომებს და არც იცი რა უყო შენს სიცოცხლეს. მე კვლავ, ისევე, როგორც შვიდი წლისა რომ ვიყავი, უბილეთო მგზავრი გავხდი; კონტროლიორი შემოვიდა ჩემს კუპეში, თუმცა უწინდელივით სასტიკად აღარ მაწუხებს: სინამდვილეში იგი მზადაა წავიდეს, დამტოვოს და მშვიდად დამამთავრებინოს მგზავრობა, ამისათვის მხოლოდ საჭიროა, რომ მე თავის გასამართლებელი საბუთები მოვიყვანო, რა საბუთები იქნება, არა აქვს მნიშვნელობა — იგი ყველაფერს დასჯერდება. საუბედუროდ, ვერაფერს ვპოულობ და, თანაც, არც ძებნის ხალისი მაქვს: და ასევ ვივლით და შევაწუხებთ ერთმანეთს დიჟონამდე —სადაც, მშვენივრად ვიცი, რომ არავინ არ მელოდება.

რწმენა დავკარგე მაგრამ არ გადავმდგარვარ: კვლავინდებურად ვწერ. მეტი რა საქმე მაქვს?

Nulla dies sine linea.[1]

ეს ხომ ჩემი ჩვეულებაა და თანაც ჩემი პროფესია. დიდი ხნის განმავლობაში კალამი ხმლად მიმაჩნდა; ახლა დავრწმუნდი ჩვენს უძლურებაში. რა ბედენაა: მე ვწერ, დავწერ წიგნებს; ისინი საჭირონი არიან, სასარგებლონი ხომ მაინც არიან. კულტურა ვერავის და ვერაფერს ვერ იხსნის, და ვერც გაამართლებს, მაგრამ იგი ადამიანის მიერაა შექმნილი; კულტურაში ადამიანი ხედავს და სცნობს თავის თავს, მხოლოდ ამ კრიტიკულ სარკეში ხედავს ადამიანი თავის სახეს. ამასთანავე, ჩემივე თავის— მოტყუების მოძველებული, დანგრეული შენობა ხომ იგივე ჩემი ხასიათია: ნევროზისაგან შეიძლება განიკურნო, ხოლო საკუთარ თავს ვერსად წაუხვალ. ორმოცდაათი წლისამ მე შევინარჩუნე ნიშნები ჩემი ბავშვური ხასიათისა, თუმცა უკვე გაცვეთილი, გაცრეცილი, დაბეჩავებული, სიღრმეში ჩამალული და ხმისუფლება ჩამორთმეული. ჩვეულებრივ ისინი ჩრდილს აფარებენ თავს, ჩასაფრებულნი არიან და რა წამს ყურადღებას შეასუსტებ, თავს წამოყოფენ და ნიღაბაფარებულნი სააშკარაოზე გამოდიან. გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ჩემი დროისათვის ვწერ, მაგრამ ჩემი ახლანდელი სახელი მომაბეზრებელია —ეს არ არის ნამდვილი დიდება, ვინაიდან მე ჯერ ცოცხალი ვარ, მაგრამ მყოფნის იმისათვის რომ ჩემი უწინდელი ოცნებები უსაფუძვლო აღმოჩნდეს: მაშ გულში ფარულად, ჯერ კიდევ ვატარებ ამ ოცნებებს. მთლად ასე არაა: ჩანს, როგორღაც სახეცვლილება განვაცდევინე: ვერ მოვახერხე რომ უცნობი გარდავცვლილიყავ, მაგრამ ხანდახან თავს ვიტყუებ იმედით, რომ სიცოცხლის დროს არ მაფასებენ. გრიზელიდისი არ მომკვდარა. პარდაიანი ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემში. სტროგოვიც ცოცხალია. მე მხოლოდ მათგან ვარ წარმომდგარი, ისინი — ღმერთისაგან, ხოლო, ღმერთი არა

[1] არც ერთი დღე სტრიქონს გარეშე

მწამს, მოდი და გაერკვიე. მე რაც შემეხება, ვერც ვერკვევი და ხანდახან კიდევაც ვიფიქრებ, ხომ არ გრძელდება ის ძველი მიმციობანას თამაში, ხომ არ ვცოხნი ასე გულდასმით ყოფილ იმედებს იმედით, რომ ასწილ მომეგება. თუ ასეა, ფილოკტეტი[1] ვყოფილვარ — დიდებული და აყროლებული. ამ ხეიბარმა ხომ ყველაფერი —მშვილდ-ისარიც კი დასთმო, ყოველგვარი პირობის გარეშე: მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გულში მაინც სამაგიეროს მოელის.

ამას თავი დავანებოთ. მამი იტყოდა: „ისრიალეთ, მოკვდავნო, ოღონდ ძალღს ნუ ატანთ".

ჩემი სიგიჟისა ის მიყვარს, რომ პირველი დღიდანვე მიცავდა „ელიტისადმი" მიკუთვნების ცდუნებისაგან: არასოდეს არ მიფიქრია რომ წილად მხვდა და „ნიჭი" გამაჩნია. ჩემი ერთადერთი საქმე იყო: რწმენითა და შრომით თავი დამეხსნა. ხელცარიელი და ჯიბეცარიელი ვიყავი. ჩემი გაუმართლებელი არჩევანი არავისზე მაღლა არ მაყენებდა: ასე უიარაღოდ და უხელსაწყოოდ, ერთიანად, უკლებლივ შემოქმედებას შევეწირე, რათა თავი გადამერჩინა. მაგრამ რა შემრჩა, თუ კი შევიგნე, რომ ხსნა არ არსებობს და ბუტაფორიის საწყობში გადავუძახე. რჩება მხოლოდ ადამიანი, წამომდგარი ყველა ადამიანისაგან, იგი მთელ იმ ადამიანებად ღირს, ხოლო მისი ფასი —ყოველი ადამიანის ფასია.

ფრანგულიდან თარგმნეს

**კოტე ჯავრიშვილმა და**

**გასტონ ბუაჩიძემ**

---

[1] ფილოქტეტე — ბერძენთა ბელადია, რომელსაც გველმა უკბინა და, იმდენად მყრალი იარა გაუჩნდა, რომ ბერძნებმა დასტოვეს იგი კუნძულ ლემნოსზე. ულისი და დიომიდე მოვიდნენ მასთან და წაართვეს მას ჰერაკლეს მიერ მისთვის ნაანდერძევი მშვილდისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ვახანია

# ვაჟა-ფშაველა და ქართველი სამოციანელები

1861 წელი საყურადღებო თარიღია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ წელს პირველად გამოვიდნენ ქართველი სამოციანელები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა მოწინავე იდეებზე. 1861 წელს დაიწყო მწვავე პოლემიკა ძველსა და ახალ თაობას შორის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო მე-19 საუკუნის, არამედ საერთოდ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში. 1861 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი სამოციანელები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ცხარე იდეურ-ლიტერატურულ პაექრობაში იყვნენ ჩაბმულნი. ეწეოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ყოველივე ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ, ფშავში, შორეულ ჩარგალში დაიბადა ლუკა რაზიკაშვილი, მომავალი დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

ამ დღიდან სამიოდე წლის შემდეგ (1864 წ.) თერგდალეულთა იდეური ბელადი ი. ჭავჭავაძე სტოვებს თბილისს და მუშაობას იწყებს დუშეთში, ვაჟას მშობლიურ მხარეში, ჯერ მომრიგებელ შუამავლად, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ. წლების მანძილზე ლუკა რაზიკაშვილი, მომავალი ვაჟა-ფშაველა და მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი, დიდი მგოსანი ი. ჭავჭავაძე ერთი ჰაერით — ფშავის უმტვერო, ჯანსაღი ჰაერით სუნთქავდნენ. ვინ იცის რამდენჯერ ჩაუვლია დიდ ილიას ჩარგალში, რაზიკაანთ უბრალო ფშაური ქოხის წინ. რას იფიქრებდა მაშინ „აჩრდილისა“ და „მგზავრის წერილების“ ავტორი, რომ ამ ქოხში იზრდებოდა ყრმა, რომელიც ფაქტიურად შეცვლიდა ძველ სამწერლო თაობას, რომლის შესახებაც ორი ათეული წლის შემდეგ, თვითონ ილია იტყოდა: „არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავდვათ, გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“.

1871 წლიდან, როცა ი. ჭავჭავაძე ჯერ ისევ დუშეთში განაგრძობს მოღვაწეობას, ვაჟას, პირიქით, ილიას მშობლიურ მხარეში — კახეთში უხდება ყოფნა, სწავლობს თელავის სასულიერო სასწავლებელში.

თელავის სასულიერო სასწავლებელი აშკარად ვერ აკმაყოფილებდა მომავალი დიდი პოეტის გაზრდილ ცნობისმოყვარეობას, როგორც თვითონ ვაჟა თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, აქ მის გულსა და გონებას ფაქტიურად არაფერი შემატებია. არა ამ სასწავლებლის უსულგულო პედაგოგები, არამედ ქართველი სამოციანელები იყვნენ ვაჟას პირველი მასწავლებლები, გზის მაჩვენებლები და წამხალისებლები შემოქმედებით მუშაობაში. დამწყები პოეტი ლუკა რაზიკაშვილი შინ, საკუთარ ბინა-

ში ეწვია ცნობილ ქართველ სამოციანელს ა. ფურცელაძეს და მოკრძალებით წარუდგინა თავისი პირველი ლექსები, რათა გაეგო „მაცი ხვიტიას“ ავტორის პირუთვნელი აზრი მათ ღირსება-ნაკლოვანებებზე. ვაჟას მეგობარი ს. ანდრეევი, მოწმე ამ ვიზიტისა, წერს: „ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაძეს, ვის არ გაეგონა მისი სახელი. „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის ქვეყნისა: იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ საფლავსა!“ ვისწავლეთ კითხვა და ანტონის სახელიც ვიცოდით, არ გვენახა, მაგრამ მივარდნილ ადგილსაც გავრცელებული იყო მისი სახელი. ვისთვისღა არ იყო მისი კარი ღია. მასთან შეეძლო მისვლა ყველას. იგი მასწავლებელი იყო ახალი თაობისა და მოწინავე პირებისა. მე და ლუკა რაზიკაშვილიც მივედით ანტონთან... ღიმილით მიგვიღო, გამოგვკითხა ვინაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი რვეული. ანტონმა იქვე ჩვენთანვე გადაათვალიერა რვეული, წაიკითხა რამდენიმე ლექსი, გვაჩუქა რამდენიმე ქართული წიგნი და გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს; ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ანტონი გველაპარაკა ჩვენ, სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებს. მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით; ანტონმა თავზე ხელი დაადო და უთხრა ლუკას: „აბა შემომხედე, შენ კაი ვაჟი ყოფილხარო!“ დიდი ხანი გველაპარაკა, ზოგ-ზოგ ლექსების შინაარსზე სთქვა, ძალიან კარგიაო, მომეწონაო და სხვა. დაუბრუნა ლუკას რვეული და ზევიდან წარწერაზე წაეშალა წითელი მელნით სიტყვა „შეთხზული“ და გაეშო მარტო „ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა“. თანაც უთხრა: ეს წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოეტი, აი როგორც ილია ჭავჭავაძეა, მაშინ დააწერე ხოლმე შენს ლექსებს „შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა“.[1]

ა. ფურცელაძეს თითქოს ენამ უყივლა, როცა სასხვათაშორისოდ, უფრო სწორად, წასახალისებლად, უთხრა ჯერ ისევ ყრმა ლუკა რაზიკაშვილს, რომ ის ისეთივე დიდი პოეტი გახდებოდა, როგორიც ი. ჭავჭავაძეა. ასე მტკიცედ დაუკავშირდა თავიდანვე ერთმანეთს ვაჟა-ფშაველას და ქართველ სამოციანელთა სახელები.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ ნაწარმოებებს ი. ჭავჭავაძე პირველად 1881 წელს გაეცნო. როგორც ცნობილია, 1881 წლის თებერვალში გორის საოსტატო სემინარიის მოწაფეებმა გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „რიჟრაჟი“, რომლის თითო-თითო ცალი მის მესვეურებს გაუგზავნიათ ი. ჭავჭავაძისა და „დროების“ რედაქტორ ს. მესხისათვის. ვაჟა-ფშაველა, მაშინ საოსტატო სემინარიის მეორე კლასის მოწაფე, „რიჟრაჟის“ პოეზიის განყოფილებას განაგებდა და ჟურნალის პირველ ნომერში წარმოდგენილი იყო ორი ლექსით „ყარსის ბოლოს“ და „მელოდია“, როგორც „რიჟრაჟის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელ-გამომცემელი ალ. ნათაძე მოგვითხრობს, „დროების“ რედაქტორს „დიდი ალტაცება და თანაგრძნობა“ შეუთვლია ახალგაზრდა ავტორისა და მისი ამხანაგებისათვის. „რიჟრაჟი“ შემთხვევით ხელში ჩავარდნია აგრეთვე იმ ხანად გორში მათე კერესელიძესთან სტუმრად მყოფ ა. ფურცელაძეს, რომელსაც ისე მოსწონებია ჟურნალი, რომ მოუსურვებია მის გამომცემლებთან შეხვედრა-გასაუბრება. „წაგვიყვანეს და წარგვადგინეს ანტონს ეს ახლად გამომცხვარი „ჟურნალისტები“, — წერს ალ. ნათაძე. სოფრ. მგალობლიშვილიც აქ იყო. ვახშამზედაც მიგვიპატიჟეს და ბევრი კარგი სიტყვებიც გაგვაგონეს. სოფრომი და ანტონი თავის ალტაცებულ თვალებს არ აშორებდნენ ვაჟა-ფშაველას, ამ ჩაკირკიტებულ, ამაყსა და მრისხანე მთის არწივს. თვითონ ამას წააკითხეს თავისი ნაწარმოები და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენს ალტაცებას საზღვარი არ ქონდა. ყველას სასიხარულო ცრემლი მოგვადგა. ჩვენმა მწერლებმა

[1] კრებ. „ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე“, ტფილისი, 1914 წ. გვ. 3.

სოფრომმა და ანტონმა მიიკრეს იგი გულზე, ეს ჩვენი ქვეყნის დიდება".[1]

ჩვენ არა გვაქვს ცნობები, თუ როგორ შეხვდა ილია „რიჟრაჟში" მოთავსებულ ვაჟა-ფშაველას ლექსებს, ვიცით კი, რომ პირველი ნაწარმოები, რომლითაც ვაჟამ ი. ჭავჭავაძის ყურადღება მიიპყრო, იყო „შვლის ნუკრის ნაამბობი". ავტორს ის გამოსაქვეყნებლად გადაუცია „ნობათის" რედაქტორისათვის, მაგრამ ანდრია ღულაძეს ეს მოთხრობა დაუწუნია. ერთხელ ი. გოგებაშვილი შესულა „ნობათის" რედაქციაში და, ალბათ, იმიტომ რომ იცოდა ა. ღულაძის ლიტერატურული გემოვნების ამბავი, დაუბეჭდავი მასალების გადასინჯვა დაუწყია. რაკი „შვლის ნუკრის ნაამბობი" მოცულობით პატარა იყო, იქვე თავიდან ბოლომდე წაუკითხავს, მოსწონებია და რედაქტორისათვის მისი გამოქვეყნება ურჩევია. ა. ღულაძეს ნაწარმოებზე კვლავ უარყოფითი შეხედულება გამოუთქვამს, მაგრამ ი. გოგებაშვილს თავისი გაუტანია და მოთხრობამ, როგორც იყო, იხილა დღის სინათლე (დაიბეჭდა „ნობათში", 1885 წ. № 3, 4, 5).

ნაწარმოებმა გამოქვეყნებისთანავე მიიღო მაღალი შეფასება, და აღსანიშნავია, რომ მისი პირველი შემფასებელი და საერთოდ, ვაჟა-ფშაველას პირველი რეცენზენტი იყო ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და თანამშრომელი (გაზ. „ივერიის" მდივანი) ი. მანსვეტაშვილი. სწორედ გაზ. „ივერიაში" წერდა ი. მანსვეტაშვილი, რომ „ქართულს საყმაწვილო ლიტერატურაში მე ჯერ ამისთანა მოთხრობა არ შემხვედრია... მთელი მოთხრობა გულიდამ არის ამოღებული, სავსეა გრძნობით და ტკბილის სიყვარულით შუქმოფენილიო".[2] „ილიამ რომ ეს რეცენზია წაიკითხა, — მოგვითხრობს ი. მანსვეტაშვილი, — შემოვიდა რედაქციაში და გვითხრა: აბა ერთი მიჩვენეთ ეგ მოთხრობაო. წავუკითხეთ, კითხვის დროს ილიას სიამოვნების შუქი გადასკრავდა სახეზე. კითხვა რომ გავათავეთ, ილიას აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: წარმავალმა დიდმა ნიჭმა გულით იგრძნო მომავალი დიდი ნიჭი. „კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა, შორს", — გაიძახოდა ილია თავისი ჩვეულებრივი შორსმჭვრეტელობით".[1]

ასე შეხვდა ი. ჭავჭავაძე და მისი გაზეთი „ივერია" ვაჟა-ფშაველას პირველ გაბედულ ნაბიჯს ფართო სამწერლო სარბიელზე. ამ დღიდან დაწყებული ვაჟა სისტემატურად თანამშრომლობს „ივერიაში". 1886 წელსვე ახალგაზრდა მგოსანს „ივერიაში" გამოსაქვეყნებლად მოაქვს პოემა „მოხუცის ნათქვამი", რომელიც, როგორც თვითონ ვაჟა გადმოგვცემს, „სამი თუ ოთხი წელი უქმად იდვა „ნობათის" რედაქციაში".[2] ან. ღულაძის მიერ დაწუნებული პოემა აღტაცებით მიიღო „ივერიის" რედაქტორმა. ილია იმდენად აღფრთოვანებული დარჩა ამ ნაწარმოებით, რომ ის მეორეჯერ წააკითხა თურმე გიგა ყიფშიძეს (ჩვეულებრივ, ახალ მასალას აკითხებდნენ გიგა ყიფშიძეს, როგორც კარგ დეკლამატორს) „ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა, — გადმოგვცემს ი. მანსვეტაშვილი, — ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. მერე თითქოს ძილიდგან გამოერკვაო, აღტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: „არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დაუთმოთ!".[3]

მომდევნო, 1887 წლიდან ი. ჭავჭავაძე თავის ორგანოში უხვად აქვეყნებს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს. ვაჟას ლექსები, მოთხრობები და პოემები რედაქციაში შესვლისთანავე დაუბრკოლე-

1 ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (მასალები) 1961 წ. გვ. 64.

2 გაზ. „ივერია", 1886 წ. № 29.

1 ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი" 1936 წ. გვ. 106.

2 ვაჟა-ფშაველა, თხზ., სრ. კრებ., ტ. 9, 1964 წ., გვ. 181.

3 ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი", 1936 წ. გვ. 107.

ბლად იბეჭდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე (ამითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ ვაჟას ნაწარმოებთა უდიდესი უმრავლესობა დაწერის წელსვე გამოქვეყნებული).

1892 წელს დაწერილ ნარკვევში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ი. ჭავჭავაძე ბარათაშვილის შესახებ ამბობდა, რომ იგი „სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადება ყოველგვარი სულისკვეთებისა და ნებათა ღელვისა“. შემდეგ ილია განაგრძობს: „ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა ახალგაზრდამ და, ჩვენის ფიქრით, დიდსაიმედო პოეტმა ორიოდე სასახელო მაგალითი გვიჩვენა, რომ აპირობს მის კვალში ჩადგომას, მის აზრთა სფეროში გახმაურებას“.[1] ეჭვს გარეშეა, რომ ამ ახალგაზრდა, საიმედო პოეტში ი. ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას გულისხმობდა. და მართლაც, შემდგომმა წლებმა სავსებით დაადასტურეს „კაკო კაჩაღისა“ და „განდეგილის“ ავტორის ეს წინასწართქმა.

რაც დრო ხანი გადიოდა, ი. ჭავჭავაძეს სულ უფრო მეტად უმტკიცდებოდა რწმენა ვაჟა-ფშაველაზე, როგორც სიტყვის უბადლო ოსტატსა და მოაზროვნეზე: რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი დიდი პოეტი არა გვყოლია, ის გენიალური ფიგურაა და ყველაფრით განირჩევა თანამედროვე პოეტებისაგანო, — ხშირად იტყოდა ილია ვაჟა-ფშაველას შესახებ.[2]

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ. ტ. 3, 1953 წ. გვ. 221.

[2] ი. მანსვეტაშვილის, ა. ლაისტის, ა. ახნაზაროვის, გ. თაყაიშვილის, ალ. მიქაბერიძის და სხვათა მოგონებები (იხ. ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი. მასალები. 1961 წ. გვ. 250–260).

8. „მნათობი“, № 8.

ი. ჭავჭავაძის აზრი ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე მყარ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვით იყო შემუშავებული და არ ყოფილა ამ პოეზიით ბრმა გატაცების შედეგი. საჭირო შემთხვევაში ილია კრიტიკულადაც ეკიდებოდა ვაჟას კალმის ნაყოფს. ასე მაგ., 1905 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დაუვალებია ილიასათვის გასცნობოდა ვაჟას მიერ ნათარგმნ „ორლეანელ ქალს“ და წარმოედგინა თავისი აზრი. ილია გაცნობია თარგმანს და გამგეობისათვის შემდეგი შეუტყობინებია: „თარგმანი „ორლეანელი ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვინმეს გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისი ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“.[1]

ვაჟა-ფშაველამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა ილიას მაღალი აზრი მის პოეზიაზე და ამით დიდად იყო აღფრთოვანებული, ეს აძლევდა მას ახალ ენერგიას შემოქმედებით საქმიანობაში. ხომ შეიძლებოდა ახალგაზრდა, დამწყებ პოეტს, რომელიც პირველ ხანებში სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდა, გული გასტეხოდა და ხელი ჩაექნია სამწერლო მუშაობაზე. თუ ეს არ მოხდა, თუ ვაჟა არ დაეკარგა ქართულ მწერლობას, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს სამოციანელებს და კერძოდ, სამოციანელთა იდეურ ბელადს, დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ი. ჭავჭავაძეს. ეს არის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე ი. ჭავჭავაძის კიდევ ერთი დამსახურება სხვა დამსახურებათა შორის.

ასეთივე დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული თავის მხრივ ვაჟაც ი. ჭავჭავაძის მიმართ. ილია ვაჟას წარმოდ-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრ. ტ. 8, 1964, გვ. 403.

გენით იყო „ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით... საუკეთესო პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, დიდი მოამაგე ქართველის ერისა“.[1] ადამიანი „ვინც თავის სამშობლო თვით ღმერთზე მეტად იწამა“. ჩანაწერებში, რომელშიც 9 ქართველი მწერლის დახასიათებაა მოცემული, ვაჟას განსაკუთრებით გამოურჩევია ორი — შ. რუსთაველი და ი. ჭავჭავაძე: „შოთა — შორს გაბოტა, ილია — იშვიათი ხილია“.[2] ვფიქრობთ, ამ სრულიად უბრალო, მაგრამ გულწრფელ დახასიათებაში ილიასადმი ვაჟას დიდი პატივისცემაა გამოხატული. ამ პატივისცემის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ ვაჟა-ფშაველამ თავის კეთილისმყოფელ მამასა და მასწავლებელს მიუძღვნა პოემა „ძალლიკა ხიმიკაური“ (1902 წ.). რაღაც შორეული მსგავსება არსებობს ამ პოემის მთავარ მოქმედ პირსა და ი. ჭავჭავაძეს შორის. ხიმიკაურიც ისეთივე შეუდრეკელი, მტკიცე და პრინციპულია, როგორიც ილია იყო.

ვაჟა-ფშაველამ, ისე როგორც ყველა შეგნებულმა მამულიშვილმა, მწვავედ განიცადა წიწამურის ტრაგედია. „საშინელი, მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არ მოხდება... საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა!“, — ამბობდა ვაჟა წერილში „ვერ მოკლეს!“ საქართველო და ილია ვაჟასათვის სინონიმები იყვნენ, და სწორედ ამ შეგნებით აცხადებდა მთის არწივი, რომ „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავენო“. გულმოდგინედ დაიტირა რა საქართველოს ბურჯი და წინამძღოლი, ვაჟა-ფშაველამ, სხვათაშორის, დასაფლავების დღეს მთაწმინდაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში აღინიშნა: „ილიას მოკვლას უპირებდნენ ამ ნახევარი საუკუნის წინათაც, ღმერთმა დაფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, ან არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თვის მკერდს, მოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა“.[1] დაახლოებით ამასვე ამბობდა ვაჟა თავის ცნობილ ლექსში „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“:

გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი —
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი.

ი. ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ეს ურთიერთ პატივისცემა და დიდი სიყვარული მნიშვნელოვნად იყო განპირობებული მათი ერთნაირი იდეურ-მსოფლმხედველობრივი კონცეფციით. საქმე იმაშია, რომ 80-იანი წლებისათვის (როდესაც ვაჟა-ფშაველა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა), თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმართულება უკვე დაშლილია მიმართულებებად. თავის მხრივ თერგდალეულთა ჯგუფის ეს დანაწილება, როგორც ცნობილია, გამოიწვია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და „მესამე წოდების“ დაშლამ. მაგრამ 80-იან წლებში მთაში — ფშავ-ხევსურეთსა და ხევში, საიდანაც ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი იყვნენ, კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ იყო შეჭრილი. ამიტომ იქ ჯერ კიდევ არსებობდა პირობები თერგდალეულთა იდეების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათ-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 9, 1964 წ. გვ. 269.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 10, 1964 წ., გვ. 232.

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 9. 1964 წ. 272.

ვის.[1] აი, ეს პირობები გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ (ასევე ალ. ყაზბეგმაც) და თავის ლექსებსა და პოემებში მაღალ-მხატვრული ოსტატობით ჩააქსოვა ქართველ სამოციანელთა საერთო-საგანმანათლებლო და პროგრესული იდეები: ერის საერთო ინტერესებზე ზრუნვა, სამშობლოსათვის თავგანწირვა, ადამიანთა შორის ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის დანერგვა, ქადაგება ძმობა-ერთობისა, მეგობრობისა და სხვ.

არც ილიასა და აკაკის, არც ვაჟა-ფშაველას არ მოუციათ ბახვა ფულავასა და პიოტრ ივანიჩ გაწერელიას მსგავსი ტიპები, ე .ი. ისინი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად შექმნილ ვითარებას არ შეხებიან; ვაჟას, მაგალითად, მიაჩნდა, რომ ასეთი ტიპები საერთოდ არ შეესაბამებოდნენ ჩვენს ცხოვრებას. „ჩვენს მწერლობაშიც შეჰხვდებით ტიპებს და უფრო კი მეცადინეობას ტიპების შექმნისას; ჰხვდებით, მაგალითად, ვაჭრების ტიპებს, მოსამსახურე-ლაქიებისას, ვაჭრის ცოლებისას და სხვ. და სხვ. მაგრამ ასეთი ტიპები ნაკლებად შეესაბამებიან ცხოვრების საჭიროებას“.[2] სამაგიეროდ ვაჟას ისევ ილიას მიერ შექმნილი ტიპები მოსწონდა — ლუარსაბ თათქარიძე, „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟები და სხვ. „ამგვარი თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მაღალი ხარისხის ტიპები ღერძია ეროვნების ცხოვრებისა და სხვა წვრილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ ღერძისა, მხოლოდ ერთს რომელიმე მხარეს აკმაყოფილებენ მკითხველის სულისას, და ერის უმთავრეს საჭიროებაზე ზედ გამოჭრილი ტიპი კი მთელს კაცის არსებას სთხოვს პასუხს, მთელს კაცის არსებას მოიყვანს მოძრაობაში და მთელს მის გულ-გონების ყურადღებას მიიზიდავს. ესეთი ტიპი აზრია, იგი ბედია ერისა და იმიტომ ყველასათვის საყურადღებო, მიმზიდველი [illegible] წერდა ვაჟა და ეს რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი; ეს შეხედულება ორგანულად გამომდინარეობს მისი საერთო იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციიდან.

შემთხვევითი არ იყო არც ის, რომ ქართველი ხალხის სახელით სწორედ ვაჟა-ფშაველამ დასდო ფიცი ილიას ცხედართან, რომ მის დროშას არ დასწევდნენ ძირს, რომ ბოლომდე მისი იდეების ერთგულნი იქნებოდნენ: „დიდო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად!“[2]

და მართლაც, ვაჟა-ფშაველა ბოლომდე ერთგული, ბოლომდე პატივისმცემელი დარჩა ილიას იდეებისა, ილიას დიდებული აჩრდილისა. უფრო გვიან (1909 წ.) ილიას მისამართით ვაჟა წერდა:

ნუ ეჭვობ, მაინც შენი ვარ,
ვიდრე სულს ვლაფავ ტანჯულსა,
მანამდე სამუდამოდა
ჩემს მზეს არ ნახავ ჩასულსა;
მაშინაც ვერ მომიშორებ
შენს გულს და გონში ჩაქსულსა.
(„შენდამი“)

სიამაყის გრძნობით აცხადებდა ვაჟა, რომ „მის ანდერძს ვიჭდევთ გულში ღრმად, ვატარებთ გულის ფიცრითაო“ (ლექსი „ილიას საღამო“, 1910 წ.).

„ჭავჭავაძეს ამოქმედებდა არა პირადი ინტერესი, პირადი სარგებლობა, არამედ საქვეყნო საქმე, ქვეყნის სიყვარული და მოკვდა მუხთალის ხელით არა

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), 1958 წ. გვ. 554.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 9, 1964 წ. გვ. 401.

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 9. 1964 წ. გვ. 402.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ., სრ. კრებ. ტ. 9, 1964 წ. გვ. 273.

როგორც თავადი, არამედ როგორც რწმენისა და აზრის კაცი".[1] ვაჟა-ფშაველა ამავე დროს ღრმადაა დარწმუნებული, რომ ილიას ერთხელ არჩეული გზიდან არასდროს გადაუხვევია, რომ იგი „სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი. ილიას უყვარდა საქართველო იმ თავით ამ თავამდე და მის საკეთილდღეოდ იღწვოდა".

ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ვაჟა-ფშაველა იყო თავისი დიდი მასწავლებლის იდეების ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტი. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში — სოფლებსა და ქალაქებში თითქმის ყოველ წელს აწყობდა ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს, სადაც თვითონაც გამოდიოდა ლექსებისა და მოხსენებების წაკითხვით. ვაჟა-ფშაველას განზრახვა ჰქონია დაეწერა მონოგრაფია ი. ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობზე, დაუწყია კიდეც საჭირო მასალების შეგროვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კეთილშობილი საქმის ბოლომდე მიყვანა მას აღარ დასცალდა.[2] ეწეოდა რა ილიას სახელისა და შეხედულებების პოპულარიზაციას, ვაჟა-ფშაველა, სხვათაშორის, ამ გზაზე აქა-იქ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა, მაგრამ დიდმა მგოსანმა ერთხელ კიდევ შეფიცა თავის სულიერ მამას:

დღესნამდე შენდამი ტრფობა,—
ახლა კი ვიტყვი კვეხითა, —
თუ მოვიტანე უვნებლად
გვემული ათას მეხითა,
დღეიდან ოხერ-მოხრები
მას ვერ გასთელენ ფეხითა,
ვერ ამომგლეჯენ გულიდან
ვერა რომელი ხერხითა.
(„შენდამი", 1909 წ.).

ვაჟა-ფშაველა გაბედულად მიაბიჯებდა ერთხელ არჩეული გზით და მისთვის ჩვეული პირდაპირობით იგერიებდა ამ „ოხერ-მოხრებს", რომლებიც ყვავ-ყორნებივით დასჩხაოდნენ თავს ძვირფასი ადამიანის აჩრდილს (საინტერესო ცნობებს შეიცავს ამ მხრივ ვაჟას წერილები „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო" და „მცირე შენიშვნა", გამოქვეყნებული „სახალხო გაზეთში", 1910 წ. № 151).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ვაჟა-ფშაველა ასეთივე გულწრფელი პატივისმცემელი იყო მეორე დიდი ქართველი სამოციანელის — აკ. წერეთლისა. ბუნებრივად გვეჩვენება ეს იმიტომ რომ აკ. წერეთელი, საქართველოს ეს უგვირგვინო მეფე, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ი. ჭავჭავაძის გვერდით იდგა და სიტყვით თუ საქმით მის პოზიციებს განამტკიცებდა. ა. წერეთელი იყო ი. ჭავჭავაძის თანამოსაგრე, ამ სიტყვის, რაც შეიძლება, პირდაპირი და საუკეთესო გაგებით. ასე, რომ, აკ. წერეთელთანაც ვაჟას პირველ რიგში გარკვეული მრწამსი, მამულისა და ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარული ანათესავებდა. აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველას მართებული დახასიათებით, „მშობელი ქვეყნის მოზარე", „მტრის წინ ხმალამოღებული" დიდი მამულიშვილია, რომელმაც გაიგო „წყლულები საქართველოსი" და რომელსაც „ეკუთვნის დაფნის გვირგვინი, როგორც რჩეულს".[1] „იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა", — მიმართავს ვაჟა „განთიადის" ავტორს და მით კიდევ და კიდევ უსვამს ხაზს ქართველ სამოციანელებთან თავის იდეურ-მსოფლმხედველობრივ სიახლოვეს.

თავის მხრივ აკ. წერეთელიც არანაკლებ იყო აღფრთოვანებული ვაჟა-ფშაველას დიდი მამულიშვილობით, მაღალი იდეებითა და პოეტური სახეებით. ვაჟას ის უწოდებდა „მარგალიტების მთეს-

---

1 ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., ტ. 9, 1964 წ. გვ. 276.

2 იხ. „საბჭოთა ხელოვნება", 1962 წ. № 2 გვ. 33.

---

1 იხ. ვაჟა-ფშაველას ლექსები „აკაკის საიუბილეოდ" „მოწოდება" (ვუძღვნი აკაკის ხსოვნას) და სხვ. (თხზ. სრ. კრებ. ტ. 2 გვ. 113, 277).

ველს“, რომელიც არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველ საზოგადოებაში. ჯერ კიდევ 1899 წელს წერდა აკ. წერეთელი, რომ ძმები რაზიკაშვილები „უხვად არიან მადლით მომადლებული“, კერძოდ, სარეცენზიო კრებულში (აკაკის წერილი ეხება არქიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიას და ქრესტომატიას“) გამოქვეყნებული „ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები... სამარგალიტო შაირები არიან!... პროზა ხომ კიდევ უკეთესი“[1] უფრო გვიან ერთ თავის მოგონებაში აკ. წერეთელმა ვაჟა დაახასიათა, როგორც მთის არწივივით შეუპოვარი და უდრეკი ავანტიურისტ-გაიძვერების წინაადმდეგ ბრძოლაში[2].

ცნობილია, რომ ა. წერეთელი წინააღმდეგი იყო დიალექტიზმების მოჭარბებულად შემოტანისა. ეხებოდა რა ძმები რაზიკაშვილების ცალკეულ ნაწარმოებებს, აკ. წერეთელი წერდა: „ჩვენ საზოგადოდ პროვინციალიზმის წინააღმდეგი არა ვართ ... სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა... მაგრამ ის, რაც დედაენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში პროვინციებში გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია!“[3] დაკვირვებული თვალი ამ აზრს ამოიკითხავს აგრეთვე აკ. წერეთლის ცნობილი ლექსიდან „ვაჟა-ფშაველას“ (1913 წ.).

ვიცი, რომ ფშავლის სოფელი
წმინდაა, მაღალ მთისაო,
ენა — მეტყველი სიმართლის,
გულ-მკერდი — ფოლადისაო.

ასე, რომ, დამოწმებული ლექსის პირველი სტრიქონი — „ენას გიწუნებ, ფშაველო!“ —მხოლოდ დიალექტიზმით ზედმეტ გატაცებას გულისხმობს და არა ვაჟას ენის ხელაღებით უარყოფას. ამრიგად, წინააღმდეგობა, რასაც ზოგიერთი მკვლევარი აკაკის მსჯელობაში ხედავს, თავისთავად მოხსნილია. „გამზრდელისა“ და „განთიადის“ ავტორმა, ცხადია, ძალიან კარგად იცოდა, რომ ცუდი ენით „მარგალიტების თესვა“, ე. ი. სანიმუშო ნაწარმოების შექმნა ყოვლად შეუძლებელია...

ილიასა და აკაკის მსგავსად, ვაჟა-ფშაველაც გაბედულად მოითხოვდა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამშვენიერებას ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან შემოტანილი საჭირო სიტყვებით. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა: ვაჟა-ფშაველას, ისე როგორც მის უფროს თანამოკალმეებს, ამოძრავებდა კეთილშობილური გრძნობა — სიყვარული, გულწრფელი სიყვარული ყოველივე ქართულისა, მშობლიურისა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ენისა და ლიტერატურისა.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში შეინიშნება ქართველ სამოციანელთა, კერძოდ, ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედების ერთგვარი გამოძახილი. ერთი ასეთი გამოძახილის შესახებ თვითონ ვაჟას ჰქონდა შემთხვევა მიეთითებინა: „თუმცა არავითარი მსგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა“ და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა“.[1] მამულის სიყვარულის გრძნობაა ორივე პოემის ქვაკუთხედი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკითხზე მე-

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. 13. 1961 წ. გვ. 435.

[2] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. ტ. 15, 1963 წ. გვ. 557–560.

[3] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. ტ. 13, 1961 ;., გვ. 436.

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., ტ. 9, 1964 წ. გვ. 181.

ტის მეტად ზოგადი მინიშნებაა. მთავარი ისაა, რომ „მოხუცის ნათქვამში“ წინა პლანზეა წამოწეული ის, რაც ილიას პოემაში ეპიზოდის სახითაა მოცემული, სახელდობრ, ხალხური პატრიოტიზმი. ჯერ კიდევ 1872 წელს წერდა „აჩრდილის“ ავტორი, რომ „ეს ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა... საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს!“ ვაჟა-ფშაველა არა მარტო, როგორც პუბლიცისტი ეთანხმებოდა თავის დიდ მოძღვარს, არამედ, როგორც შემოქმედ-პრაქტიკოსიც, გაბედულად „ასწორებდა“, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, „ავსებდა“ ჩვენს მატიანეებს. ამის დადასტურებაა ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება ,კერძოდ, ისტორიული პოემები „მოხუცის ნათქვამი“, „ბახტრიონი“ და მრავალი სხვა.

როგორც ცნობილია, საერთოდ, მწერალზე სხვის გავლენას ვაჟა-ფშაველა სრულიად კანონზომიერ და ნორმალურ მოვლენად თვლიდა. „ჩვენში, — წერს ვაჟა, — ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვის გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიმაჩნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვია კანონი თანდათანობისა“.[1]

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნიადაგი და მასალა იყო საქართველოს მთა (განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთი), მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ ტომთა ყოფა. ვაჟას თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ხაზგასმით აქვს მითითებული გვაროვნული და კლასობრივი საზოგადოების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე, ხოლო ეპიურ ნაწარმოებებში პოეტს მხატვრული წარმოსახვის საგნად აღებული აქვს გვაროვნული წყობის არა სპეციფიკური ნიშნები (ეს უკვე მისი შემოქმედების თემატური და იდეური შეზღუდულობის მაჩვენებელი იქნებოდა), არამედ ისეთი ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა ფორმაციისათვის, ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიისათვის.

ვაჟა-ფშაველას და ქართველ სამოციანელთა პირადი ურთიერთობა და იდეურ-თემატიკური სიახლოვე, რაზედაც ზევით ვრცლად გვქონდა საუბარი, საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ ვაჟა არ იყო რაღაც ციდან ჩამოვარდნილი მეტეორი, უწინაპრო და უმემკვიდრო, თავისი ეპოქის აქტუალური საკითხებისადმი „უდარდელად“ განწყობილი, თანამედროვეობისაგან განდგომილი და სხვა. ვაჟა-ფშაველა მტკიცედ, სისხლხორციელად იყო დაკავშირებული ქართულ მრავალსაუკუნოვან მწერლობასთან, კერძოდ, ქართველ სამოციანელებთან.

ვაჟა-ფშაველას და ქართველ სამოციანელთა ეს სიახლოვე-ურთიერთობა კონკრეტული ცხადყოფაა იმ ზოგადი დებულებისა, რომ ლიტერატურის ისტორია უწყვეტი პროცესია, რომ მისი ცალკეული მწერლები და მოვლენები რგოლებია ერთი მთლიანი ჯაჭვისა. სამოციანელებმა თავიანთი მხრივ მიიღეს და განავითარეს 50-იანი წლების კრიტიკული რეალიზმისა და ქართული პროგრესული რომანტიზმის ჯანსაღი ტრადიციები, მეორე მხრივ, მათ საზრდო მისცეს ვაჟა-ფშველას, რომელმაც კიდევ უფრო წინ წასწია და განავითარა ყოველივე ის კარგი, ჯანსაღი, რაც ოდითგან ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი.

---

7 ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., ტ. 9, 1964 წ. გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქვანია

# ვაჟა-ფშაველას იურიდიული მოღვაწეობა

ერთხანს ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში გარკვეული თანამდებობები ეკავათ და ამასთან დაკავშირებით იურიდიულ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს ამუშავებდნენ, ხოლო აკაკი წერეთელი მონაწილეობას იღებდა დიდ და გახმაურებულ პროცესებში (1876 წლის სვანეთის აჯანყების სასამართლო პროცესი, მილიონერ მადათოვთან ქონებრივი დავის პროცესს და სხვ.) ამის გამო ამ პირების იურიდიული მოღვაწეობა უფრო თვალსაჩინო იყო და საზოგადოებისათვის ნაწილობრივ მაინც გახდა ცნობილი. რაც შეეხება ვაჟა-ფშაველასა და ზოგიერთი სხვა მწერლის (რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ეგნატე ნინოშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ.) იურიდიულ მოღვაწეობას, ეს საზოგადოებისათვის ფაქტიურად უცნობია.

ვაჟა-ფშაველა წლების განმავლობაში ისწრაფოდა მიეღო იურიდიული განათლება. როგორც ცნობილია, ვაჟა გორის საოსტატო სემინარიაში მიღებული ცოდნით არ დაკმაყოფილდა, 1883 წლის შემოდგომაზე პეტერბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩაერიცხა. მართალია, მძიმე მატერიალური პირობების გამო, უნივერსიტეტის დამთავრება ვერ შესძლო, მაგრამ პეტერბურგში ყოფნის დროს იგი სისტემატურად ესწრებოდა ლექციებს და თვითგანვითარებასაც ეწაფებოდა. მიღებული ცოდნის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლიანი გაცნობის გამო ვაჟა თავის თავს ამ დარგში მოღვაწეობისათვის სრულიად მომზადებულად თვლიდა.

1914 წელს ვაჟა სამსახურში შესვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. გადაწყვიტა მომრიგებელი შუამავალი გამხდარიყო. ვაჟამ დანიშვნა თიანეთის რაიონში ითხოვა, რადგან ამ დროისათვის ეს თანამდებობა იქ ვაკანტური იყო. ამ მიზნით ვაჟა თვენახევარი ემზადებოდა, გამოცდაც ჩააბარა ღირსეულად, მაგრამ თანამდებობა არ მისცეს. თიანეთის მომრიგებელ შუამავლად თავადი ბარათაშვილი დაინიშნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თანამდებობაზე ვაჟას დანიშვნას ხელი შეუშალა პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირად ცნობამ. განაწყენებულმა ვაჟამ ლექსიც კი დაწერა „ჩემს ძველ მეგობარს“, — სადაც აღნიშნავდა:

…სცხვენოდეთ ბარათაანთა,
შერცხვეს იმათი გვარია —
უდანოთ ყელი გამომჭრეს,
ცეცხლზე დამისხეს წყალია.
ნამეტნავ იმას, თიანეთს
პასრედნიკად რო არია,
პასრედნიკობა წამართო,
რუსების ნაბოძარია.
რა გაუჭირდა ისეთი,
რამ დაატანა ძალია?
როდის დამიცლის ადგილსა,
იქითკენ მრჩება თვალია…“[1]

ვაჟა ისე გარდაიცვალა, რომ ხელისუფლებას მისთვის თანამდებობაზე დანიშვნის რაიმე კონკრეტული წინა-

---

[1] თხზულებანი, ტ. III, გვ. 346-347.

დადება არ მიუცია და მან თანამდებობა ვერ მიიღო.

საქ. სსრ ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერი ფონდის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ფშავ-ხევსურეთში რაზიკაშვილების ოჯახი ძველთაგან პატივისცემით სარგებლობდა, ადგილობრივ მოსახლეობას ამ ოჯახის სჯეროდა და განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა. ვაჟას მამას, პავლეს, სოფელში მოდავე გლეხები თავის მედიატორედ ნიშნავდნენ და სისტემატურად სოფლის მოსამართლედ ირჩევდნენ. პავლეს თავის შვილებზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა და, შესაძლოა, ამის შედეგი იყო, რომ ერთმა, — გიორგიმ იურიდიული განათლება მიიღო და თიანეთში ვექილობდა, ხოლო მეორე, ვაჟა, იგივე სურვილით იყო გამსჭვალული, როდესაც პეტერბურგს გაემგზავრა.

გლეხობაში დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა ვაჟა. გლეხობა ვაჟას ენდობოდა, სჯეროდა და მის სიტყვას მათთვის კანონის ძალა ჰქონდა. ამ გარემოებას ნათლად ადასტურებს მის თანამედროვეთა მოგონებები.

„მამაჩემი ბატატარი, — იგონებს სოფ. საკობიანოს მცხოვრები მოსე თორღვაშვილი, — და ვაჟა დიდი მეგობრები იყვნენ... ჩვენ მაშინ დედისფერულში ვცხოვრობდით, ჩვენი მომიჯნავე იყო ქისტების სოფელი ჯოყოლი. ქისტებსა და ჩვენს შორის ხშირი იყო ურთიერთთავდასხმა და მკვლელობა.

მამაჩემმა, რომ ვერაფერი გააწყო, ვაჟას წერილი გაუგზავნა ჩარგალში. 1909 წლის ზაფხულში ვაჟა ჩამოვიდა, შეჯდა მამაჩემის თეთრ ცხენზე და ხმალ-ხანჯლიანი მივიდა ჯოყოლის კანცელარიაში... გადამწერ არჩილ ცხადაძეს უთხრა, „მამასახლისმა ხვალისათვის მთელი ქისტები ბალთაგორასთან შეკრიბოს და თვითონაც მეახლოსო“.

მეორე დღეს... თავი მოიყარეს ფშაველებმა და ქისტებმა. მეტწილს იარაღი ჰქონდა ასხმული. ვაჟამ ბევრი იქადაგა და ბოლოს თქვა: „ამიერიდან არ გავიგო რჩოლა და ქიშპობა თქვენს შორისო“ მერე ყორღანები თვითონ ჩაყარა და ჩვენც და ისინიც დაგვაშოშმინა“.[1]

1. ლიტერატურული გაზეთი, 1961 წ. № 31, გ. ასათაშვილი, „როგორ შეარიგა ვაჟამ მოქიშპენი“.

ვაჟამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი თავის სოფელში, ჩარგალში, გაატარა. გარდა ამისა, მასწავლებლობდა მატნისხევში, ოთარაშენსა და დიდ თონეთში. როგორც სახლში, ასევე სამსახურში ყოფნის დროს, ვაჟა ერთი წუთითაც არ სწყვეტდა კავშირს მოსახლეობასთან, იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს და ყოველ ღონეს ხმარობდა დაჩაგრული ხალხის ხვედრის შესამსუბუქებლად, მათ დასაცავად.

„ვაჟას ძლიერ უყვარდა მშრომელ ხალხში ტრიალი, — აღნიშნავს ვაჟას ბიბლიოგრაფი და მკვლევარი სოლომონ ყუბანეიშვილი, — და თავისუფალ დროს მათთან ატარებდა. თუ ვისმე რაიმე ქაღალდი დასჭირდებოდა, ვაჟა ყველასათვის მზად იყო და არავის არაფერს ახდევინებდა. თუ გლეხის ჩაგვრას შეამჩნევდა, მაშინვე ეხმარებოდა გლეხს და არავის დააჩაგვრინებდა“.[1]

იგივეს მიუთითებენ თავიანთ მოგონებებში ბადია არაბული და ვაჟას სხვა თანამედროვენი.[2] ირკვევა, რომ ვაჟა სისტემატურად აძლევდა გლეხებს რჩევას, თუ როგორ დაეცვათ თავი უსამართლობისაგან, დაყვებოდა მათ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში, უწერდა საჩივრებსა და საქმიან ქაღალდებს, რომლებსაც თვით აგზავნიდა დანიშნულებისამებრ. ვაჟამ კარგად იცოდა რუსული ენა, წერდა როგორც ქართულად ასევე რუსულად, ვაჟას მიერ შედგენილი საჩივრები გამოირჩევა სათანადო იურიდიული დასაბუთებით და, კანონის შესაბამისად, მოთხოვნათა კონკრეტულობით.

ვაჟას მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის შუამავლობას სოფელ ჩარგლისა და ახლო-მახლო სოფლების გლეხებს შორის წამოჭრილ დავათა გადაწყვეტის დროს. ადგილობრივი მოსახლეობა თავიანთ დავას ქონების გაყოფასა თუ მიწით სარგებლობაზე, მდინარისა და ტყეების ექსპლო-

1. სოლ. ყუბანეიშვილი „ვაჟა ფშაველა“, სახელგამი, 1937 წ., გვ. 161.

2. იქვე.

ატაციაზე მას აწყვეტინებდა და მაზრის მომრიგებელ მოსამართლეს უკიდურეს შემთხვევაში თუ მიმართავდა.

ჩარგალში, აფშხუში, პანკისში, მატანში, ყვარელწყალსა და სხვა სოფლებში ახლაც გვხვდებიან მოხუცები, რომლებსაც ვაჟა კარგად ახსოვთ და ბევრი მოგონებებია იმის შესახებ, თუ როგორ ასახელებდნენ მას თანამემამულეები ერთმანეთში დავის დროს მედიატორედ, ირჩევდნენ სოფლის მოსამართლედ, მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის, საჩივრების დასაწერად და სხვა დახმარებისათვის. არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს სოფელში ვაჟას სამოსამართლო მოღვაწეობას.

„1899 წლის 18 ენკენისთვეს, — აღნიშნულია ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, — ამოვირჩიეთ მედიატორედ... სოფელ ჩარგალში მცხოვრებელმა... გიორგი ნადირის ძე რაზიკაშვილმა და მის ბიძიას ნინია რაზიკაშვილის მეუღლემ — ფარანგოზმა, ჩარგალშივე მცხოვრებელი ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი“.[1]

ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ეს პირები იყრებოდნენ და ვაჟა მედიატორად ქონების გასაყოფად ამოურჩევიათ. ორივე გამოთქვამდა რწმენას, რომ ვაჟა კეთილსინდისიერად შეასრულებდა დავალებას, და წინასწარ აცხადებდნენ, რომ მის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დაემორჩილებიან და შემდგომში ამ საკითხზე დავის წამოჭრას ადგილი აღარ ექნება. ვაჟას მედიატორის როლი შეუსრულებია და სათანადო განაჩენიც აქვს გამოტანილი.[2]

სოფელ აფშხუს მცხოვრებ ტუგრიელ რაზიკაშვილს საქ. სსრ ლიტერატურული მუზეუმისათვის გადაუცია ვაჟას უბის წიგნაკი,[3] რომელშიც გაკეთებულია 40-მდე ჩანაწერი მიწების განაწილებისა და საზღვრების დაწესების შესახებ. უფრო სწორად ეს გადაწყვეტილებებია, რომლებიც გამოუტანიათ სოფლის მოსამართლეებს მიწების განაწილების დროს. ჩანაწერები შესრულებულია ვაჟას ხელით და წარმოადგენს მთელ დოკუმენტაციას, რაც მიწების განაწილებასთან დაკავშირებით დგებოდა. უბის წიგნაკის 33-ე გვერდზე ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს: „მწარია ჟამურაშვილის ქვრივს — ქალიკელას ერთი მამული კარებზედ მივეცით ჭალაში და მეორე ჩარგალის თავს. ქავთარასა და გოდერძის მამულების შუაზედ, ბარის მამულს, ორი ათიანი (ალბათ საჟენია მხედველობაში, ვ. ჟ) დააკლდა და ჩარგალის თავს რომ მამული მივეცით, იქიდან შევათავეთ“.

უბის წიგნაკის 57-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ჩარგალის მთების გაყოფა ხალხის სურვილით მოხდა და „ჩვენ გავასწორეთ როგორც თვითონ გადასწყვიტესო“.

ვაჟას ჩანაწერების მიხედვით, მას და სოფლის სხვა მოსამართლეებს, ჩარგალის გლეხობის მოთხოვნით, მოუხდენიათ ჩარგალის თითქმის მთელი მიწების გაზომვა-გადანაწილება, და თვითეულ ოჯახს მიუღია „სამი სრული მამული“. მთაში დიდხანს ჰქონდა მოკიდებული ფეხი თემურ წყობილებას, მთავრობა მიწების განაწილებაში ვერ ერეოდა და ამ საქმეს გლეხობა აწესრიგებდა თავიანთი ამორჩეული მედიატორების მეშვეობით.

ვაჟას უბის წიგნაკს და შიგ ჩაწერილ გადაწყვეტილებებს თარიღი არ უზის. 44-ე გვერდზე დაწერილ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება მიწების განაწილებას, ბეწინიკა ლაღიაშვილსა და ბარდანა მარტიაშვილზე, ნათქვამია, რომ „შალვა მარტიაშვილი შირაქში წავიდა საცხოვრებლად და ამიტომ მაზე მიწის განაწილებაში დაშვებულია შეცდომა“. აღნიშნული გადაწყვეტილებით უნდა დავასკვნათ, რომ მიწების განაწილება მოხდა 1906 წელს, ან უკიდუ-

---

[1] საქ. სსრ ლიტერატურული მუზეუმის ფონდი 239-2, 15607-ხ.

[2] იქვე.

[3] ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერების ფონდი, 230-2, 15663-ხ.

რეს შემთხვევაში, 1907 წლის გაზაფხულზე, რადგან შირაქში თუშ-ფშავ-ხევსურთა დასახლება, ძირითადად, 1906 წელს დამთავრდა.

მედიატორობა და სამოსამართლო შუამავლობა ვაჟას შირაქში დასახლებულ ფშაველებთანაც გაუწევია და 1905—1914 წლებში ბევრი სადავო საკითხი მოუგვარებია, რომლებიც ქონების გაყოფასა და მიწათმოწყობას ეხებოდა. მისდამი მოსახლეობის ნდობა ცხადყოფს, თუ რა კეთილსინდისიერი და ობიექტური იყო ვაჟა მინდობილი საქმეების გადაწყვეტის დროს. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ყველა არაკეთილსინდისიერი თანამდებობის პირის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, აგრეთვე ხალხის წრიდან არჩეულთა, მიმართ.

„სოფლის მოსამართლეები ერთად ვიყავით კანცელარიაში, — იგონებს იგივე ბადია არაბული, — და საქმეები უნდა გაგვერჩია. ერთმა მომჩივანმა ბოთლი არაყი შემოიტანა „სუდიების“ პატივსაცემად. ეს ვაჟამ შეამჩნია, დატუქსა და გაატანინა არაყი. — ისაქმეთ, იმსჯელეთ, სწორად საქმე გააკეთეთ და არაყი მერე დალიეთ, ქრთამების აღებას და პატივისცემას თავი დაანებეთო“.[1]

ადგილობრივ თვითმმართველობის საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ძლიერ აღშფოთებდა მას და, გარდა იმისა, რომ პირადად ებრძოდა ამ „ხალხის რჩეულთ“ — პრესის საშუალებითაც ბევრჯერ უმხილებია ისინი. ამ საკითხს უფრო დეტალურად შემდეგ შევეხებით, მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ ვაჟას ერთი წერილი, რომელშიც გამოხატულია მისი აღშფოთება გამოწვეული სოფლის მოსამართლეების უკანონობითა და მოუთმენელი საქციელით. გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის № 115-ში ვაჟა წერდა:

„სოფლის სასამართლოში მოწმეები არც კია საჭირო: ოღონდ პატარა არაყი ასუნთქებინოს სოფლის „სუდიებს“ და იმედი უნდა ჰქონდეს, საქმეს მოიგებს... მომჩივანმა და მოპასუხემ კარგად იციან „სუდიების“ სიმსუნაგე... „სუდიები“ ამის გამო მუდამ გამობრუჟულნი არიან თავის „პისრიანად“ და გასამართლების მაგივრად სთვლემენ და თავებს არახუნებენ სტოლსა და არ ესმით, რას ერთი მხარე ამბობს, რას — მეორე. მაგრამ, გაგება მართლისა და ტყუილისა ხომ იმათთვის საჭირო არაა! ვინც მეტი პატივი სცა, გამართლებას ის უნდა მოელოდეს. ისეთი ფორმები არსებობს სოფელში მართლიერებისა და ისეთი განაჩენები ვიცი პირადად მე... რომ ძალაუნებურად უნდა დავსწყევლო თვითმართველობა სოფლისა... მიდის, ვსთქვათ, მომჩივარი „სასუდიაოში“ და ჩივის დანაკარგს, ან დანალევს. „სუდიები“ ჰნიშნავენ „ლაზბორს“, სწერენ უწყებას და ატანენ თვით მომჩივარს მოპასუხის, ღამნაშავის გადასაცემად. ვინ იცის გადასცემს თუ არა მომჩივარი? რა ენაღვლება, რა ძალა აღგია გადასცეს, როცა იმას არავინ არა სთხოვს ამაზე პასუხს?! ერთხელ-ორჯერ დაიბარებენ მოპასუხეს და, თუ არ გამოცხადდა, მიზეზი გამოუცხადებლობისა საჭირო არაა, დაადგენენ განაჩენს (ЗАОЧНО), აძლევენ მომჩივარს აღსრულების ფურცელს (Исполнительный лист). ესეც მიდის, მიჰყავს თან გზირი და ექვს მანეთში ხშირად ათის თუმნის გირაოს გამოაქვს. მოპასუხემ ხშირად არც კი იცის, რაშია საქმე. ეს გირაოები მომჩივარის უფლებაში და მფლობელობაშია, თუნდ გაჰყიდის, თუნდ დააგირავებს. ხშირად უფრო ჰყიდიან, რადგან გზირის ინტერესი ამას თხოულობს: დიდის ფასის გირაო იმიტომ გამოიტანა, რომ ნახევარში მაინც უნდა იმანაც წილი ჩაიდვას. ამაზე ნაკლები ამბები არც მაზრის სასამართლოშია; იქაც ბევრი უწესობაა: ხალხი წახდა ზნეობითაო, ყველა ჩივის, ყველა ამჩნევს და აბრალებს ზოგ რას და ზოგ რას...[1]

ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ვაჟას პრაქტიკული იურიდიული მოღვაწეობისა არის შირაქის ახალშენის თუშ-ფშაველების წარმომადგენლობა (1903-1915 წწ.). ძველთაგან მდ. იორისა და ალაზნის მიდამოები, საერთოდ, შირაქის ველი თიანეთისა და დუშეთის მაზრის თუშ-ფშაველების საძოვრებს წარმოადგენდა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თვითმპყრობელურ ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა შირაქის ველის არაქართველებით დასახლება. მთავრობამ მიზანი სისრულეში ვერ მოიყვანა. მეცხვარე თუ-

1. ყუბანეიშვილი, „ვაჟა ფშაველა“, 1937 წ. გვ. 161.

1. თხზულებანი, ტ 10 გვ 55—56.

შები და ფშაველები ამ ღონისძიებას ენერგიულად აღუდგნენ წინ. ამავე დროს ხალხმა მთის რაიონებიდან დაიწყო გადმოსახლება ამ უხვმოსავლიან მიწაზე და სულ მოკლე დროში შეიქმნა მჭიდროდ დასახლებული სოფლები — ზემო და ქვემო ქედი და არხალო. შირაქში ფშაველთა გადმოსახლებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვაჟას, რომელიც შემდგომში შირაქის ველზე დასახლებული ხალხის ოფიციალურ წარმომადგენლად ითვლებოდა და წლების განმავლობაში აწარმოებდა მათ საქმეებს სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებში, აგვარებდა საკითხებს მოსახლეობაში წამოჭრილ დავათა და განსაკუთრებით ისეთებზე, რომლებიც წამოიჭრა 1907 წელს თუშებსა და ფშაველებს შორის მიწათსარგებლობის საკითხზე. შირაქში ვაჟას დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვა უხდებოდა, იგი თვეობით მოწყვეტილი იყო ოჯახსა და თავის შემოქმედებით საქმიანობას. „სახალხო ფურცელში“ ვაჟა გულისწყრომით აღნიშნავდა:

„ქედში... მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის... საუბედუროდ, ყველა არ მიეგება სიხარულით და ზოგიერთი მოხელე ქართველთაგანი... ავაზაკურად ეპყრობოდა ქედელებს... დღეს რა გაეწყობა, უნდა გავიხსენოთ ეს უმსგავსო საქმე, რამაც მე ძალაუნებურად ქედელების ვექილად გამხადა... შარშან შირაქში 300—400 ვერსის სიშორიდან სამჯერ მომიხდა ჩასვლა, ხან ცხენით, ხან ფეხით.“[1]

ვაჟას სავექილო მოღვაწეობის შესახებ მასალები ჯერჯერობით მთლიანად გამოვლინებული არ არის და ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი კვლევაა საჭირო, მაგრამ ის მასალებიც, რაც ხელთა გვაქვს, საკმაო წარმოდგენას იძლევა ვაჟას საადვოკატო მოღვაწეობაზე. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ვაჟას შრომა ამ მხრივ, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1913 წელს ქედელებმა მას საქმეების წარმოებისა და გზის ხარჯებისათვის 2400 მანეთი შეუგროვეს, მაგრამ აქედან მან აიღო მხოლოდ 800 მანეთი, თანხა, რომელიც ფაქტიურად დასჭირდა საქმეთა წარმოების დროს არსებობისა და გზის ხარჯებისათვის.

სხვათა შორის, ვაჟას მიერ ამ ფულის მიღება გამოიყენეს მისმა მტრებმა, რომლებმაც გაზეთ „ხმა კახეთისა“-ს ივლისის № 169-ში მოათავსეს ცილისმწამებლური წერილი. ვაჟამ ამ წერილს სათანადო პასუხი გასცა.[1] ჩვენთვის ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რომ თუშების რწმუნებულსა და ვაჟას შორის მიწათმოწყობის საკითხზე ბევრი დავა წამოჭრილა, რის გამოც 1913 წელს ქედში მომრიგებელ მოსამართლეს მოუხდა ჩასვლა. ვაჟა ამ დროს ჩარგალში ყოფილა და ფშაველებს ქედში დეპეშით გამოუძახიათ. სადაო საკითხების გამო ვაჟას და თუშების წარმომადგენელს, გარდა მოსამართლისა, პროკურორთან მისვლა და განმარტებების მიცემაც მოუხდათ. ვაჟა იბრძოდა შირაქის ველის მიწათსარგებლობის კანონიერად გადაწყვეტისათვის, თუშების წარმომადგენელი ინტელიგენტები კი ამას ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან საერთოდ თუშების ინტერესების უკან მათი პირადი ინტერესები და, კერძოდ, მიწების დატაცების სურვილები იმალებოდა. შირაქის ველის დასახლების პირველ პერიოდში (1903—1907 წლებში) თუშებსა და ფშაველებს შორის მიწათსარგებლობის საკითხის გამო წინააღმდეგობა თითქმის არ არსებობდა და ვაჟა წარმომადგენლობას სწევდა ორივე კუთხიდან გადმოსახლებული ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

„მეორედ შემხვდა ცნობა იმის შესახებ, — წერდა ვაჟა 1906 წელს გაზეთ „მეგობარის“ რედაქციას, — ვითომ შირაქში მთავრობა კრძალავს მთიულების დასახლებას... მე როგორც რწმუნებული თუშ-ფშაველებისა... მოვალედ ვრაცხ ვაუწყო ჩვენს რწმუნებულებას, რომ ყველა ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია...“[2]

1. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 132, 1914 წელი.

1 გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 1[illegible] 1914 წელი.

2 თხზულება, ტ. X. გვ. 75.

უფრო გვიან პერიოდში, შირაქის მიწების გამო თუშებსა და ფშაველებს შორის ქიშპობა დაიწყო, თუშებს სხვა „ქომაგები" გამოუჩნდნენ და ვაჟა, რომელსაც თუშების წარმომადგენლების მოქმედება არასწორად მიაჩნდა, იცავდა ფშაველების ინტერესებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც შირაქის დასახლების საკითხებზე მთავრობასთან იწყებოდა დავა, ამას კი ხშირად ჰქონდა ადგილი, თვით თუშების წარმომადგენლებიც ვაჟას ავტორიტეტს, ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდნენ, დახმარებისათვის მას მიმართავდნენ, რადგან საქმების მოგვარება ვაჟას გარეშე შეუძლებელი ხდებოდა. ერთ-ერთ წერილში თუშების წარმომადგენელი ივ. ცისკარიშვილი ვაჟას ასე მიმართავს:

„არწივო, მთის წვერზე მჯდომარე, იცოდე კარგათ ყოფნაი შენს ძმასაც ეამებაო, ზოგთა უთქვამავსთ თუშებსა, ვაჟას ფრანგული ვერ გასჭრის შირაქით მოღერებულიო, აქაიქით ისრე მოსრულა, არ უნახავს დიდი მართებელიო. ის ჩვენი თხოვნა იქ არ დაობდეს... ერთი შაგვიტყე რამე, თუ აღდგომებამდე პასუხის არა იქნა რა, მაისამდენ ისევ ჩასვლა მოგვიხდება. ნეტავი ერთი მთავარმართებლისთვინაც მიგვეცა. თუ რამე გაბედო ან შეიტყო, მომწერე. შენი კეთილი გულის ანბავი ვიცი, ვაჟაო, შენი ძმობილო ლეო[1] წინანდალში მირავოი პოსრედნიკთან წავიდა. ერთი შენებრ წერილი მისწერე..."[2]

არსებობს ანალოგიური ხასიათის სხვა დოკუმენტებიც[3], რომელთა მოტანას ზედმეტად ვთვლი. ეს დოკუმენტები დამაჯერებლად ადასტურებენ ვაჟას მეტად მნიშვნელოვან სავექილო თუ წარმომადგენლობითს მოღვაწეობას.

1. ლაპარაკია ბოქაულ ლეო ცისკარიშვილზე, რომელსაც ერთ დროს შირაქის მიწების საკითხზე ვაჟასთან უთანხმოება ჰქონდა. შემდგომში მათი ურთიერთობა აღდგა. ვაჟა ლ. ცისკარიშვილზე დიდ გავლენას ახდენდა.

2. თხზულებანი, ტ. X გვ. 283—284.

3. მხედველობაში გვაქვს კ. ქუმსიაშვილის და სხვათა წერილები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოგონებანი.

ვაჟა იურიდიულ მოღვაწეობაში ფართოდ იყენებდა პრესასაც. რიგი წერილები, რომლებსაც ვაჟა ათავსებდა პერიოდულ გამოცემებში, ეხებოდა მის მფარველობაში მყოფ პირთა უფლებრივ საკითხებს. ვაჟა პრესის საშუალებით ამხელდა ხელისუფლების, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეულ წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებას, ქმნიდა ერთგვარ საზოგადოებრივ აზრს, რაც უდავოდ დადებითად მოქმედებდა მართლმსაჯულების საკითხების გადაჭრაზე, ხელს უშლიდა მოხელეთა და სხვა თანამდებობის პირთა განუსაზღვრელ თვითნებობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „დროებაში" მოთავსებული წერილები „კათმეველის" ფსევდონიმით და სხვა კორესპონდენციები, რომლებშიც მხილებულია თიანეთის მაზრის ხელისუფალთა და ბობოლების მხრივ მოსახლეობის შევიწროების, ძარცვისა და უსამართლობის ფაქტები.[1] ვაჟას ერთი თავისი კორესპონდენციისათვის აკაკი წერეთლის ლექსიც კი წაუმძღვარებია, სადაც გაკიცხულია იმ დროს გავრცელებული სამართალი.

თუ ვაჟკაცურად კაცსა ჰკლავ,
მაშინ ხარ ჩინგის-ყაენი,
და ქვეყნის გმირი — თუ მოძმეს
ღალატობ როგორც კაენი.
უსამართლობა წინ მიდის
კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა
სხვადასხვა კონგრესებითა.

ამ კორესპონდენციაში ვაჟა აღშფოთებით აღწერს უკანონო მოქმედებებს დუშელი თავადი ზაქარია ხიმშიაშვილისა, რომელმაც თაღლითობით, მოხელეთა მოქრთამვით და სხვა ამგვარი მოქმედებით ნახევარი ერწოს მიწები დაისაკუთრა, გლეხობას გადასახადები დაადო და უწყლოდ დასტოვა. როდესაც გლეხობამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, მან გლეხებს ყაზა-

1 „დროება", 1882 წ. №№ 213 და 214.

ხები დაასია და თავისი მიზნები მათი დახმარებით განახორციელა.

„ამ მაცდურს, — აღნიშნავდა ვაჟა, — გადაუბირებია ჩვენი სუსტად სიმართლის მოყვარე ჩინოვნიკობა, დაუყენებია თავის კვალზე და შინაურის „პურ-მარილის“ ძალით როგორც უნდა, ისე მიჰყავს საქმე...

აქაური მომრიგებელი მოსამართლე ბ. სიზოვი დაითანხმოს საკვირველი არ არის, რადგან ყველა კაცი ჩვენს ფუტურო ბოძებზედ აშენებულ ცხოვრებაში ემორჩილება „დობილ-ძმობილურ“ — კანონებს...

ყველა სულიერი ადამიანი დაიხსნას ღმერთმა თიანეთის სასამართლოში შესვლისაგან. „თუ ერთი მომჩივარმა წაიბორძიკა ლაპარაკში, ისე გამჯდარი ჰქონია ამას კანონები ძვალ-რბილში, რომ თავის-თავი „კანონი“ ჰგონია, და შეურაცხყოფად მიიღებს, წამოავლებს ხელს რაც კი მოხვდება ხელში — სახილე გინდა, საწერალი, მიაქვს ხალხის თავზე ლაწი-ლუწი...

ამის გადაყოლება ზაქარიასგან ძნელი არაა, საკვირველი ისაა, რომ ტფ. ოლქის სასამართლოს ჩლენებიც თავის კბილისა შეხვდა. ნამდვილი ქართველი ხალხის გული ჰქონიათ ამ დალოცვილებს, პურმარილის დაფასება ძალიან სცოდნიათ, ქეიფი ყვარებიათ. ზაქარიასაც ეს უნდა“...

იმისათვის, რომ გლეხი ცალუღელაშვილის წისქვილის კონკურენცია მოეშორებინა, — ზაქარიამ... ეს მოიფიქრა: — მოდი, ჯერ ოკრუჟნი სუდის ჩლენებს დავიპატიჟებ, მერე ვიჩივლებ, რომ ცალუღელაშვილის არხი ან სარუე გუბდება და ზევითამდის დგება, გასავალ გზაში ეს სრუტე ხალხს აღრჩობსო, თუ არ დაიშალა და წყალი არ გადაეგდოსო. თავისი სურვილი წმინდად აღსრულებაშიც მოიყვანა: პოლიციის მოხელეებით და ოკრუჟნი სუდის ჩლენების გადაწყვეტილებით ეხლა ჰკითხეთ ზაქარიას: ვინა სთხოვა იმას, მთავრობასთან გვიშუამდგომლე, თორემ წყალში ვიღრჩობითო? სად თიანეთი, სად ერწო? წყალი სოფელს ეკუთვნის, თუ იმას? ან რა კაცის დაღრჩობა შეუძლიან ამ წყალს, როდესაც წისქვილებსაც ძლივს აბრუნებს?

ამნაირ სენს ჩვენის ჩინოვნიკებისას ბევრგან შეხვდებით საქართველოს კუთხეებში...[1]

იმავე თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ ვაჟას წერილები: თიანეთური ფელეტონი (1901 წ.),[2] „ფიქრები“ (1902 წ.),[1] „შავბნელი ამბები“ (1905 წ.);[2] „რა არის თავისუფლება“, „რას ჰქვიან თავისუფლება“,[3] „წერილი ფშავის ხევიდან“,[4] და სხვ. ამ წერილებში განზოგადებულია ფაქტები სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მუშაობისა, გაანალიზებულია ცალკეული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული აქტის ანტისაზოგადოებრივი ხასიათი, მთავრობის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო დადგენილებების მოჩვენებითი ჰუმანურობა.

„საკვირველი ის არის, — გულისწყრომით აღნიშანვს ვაჟა, — რომ „ცირკულიარები“ კარგი გამოდის, კითხულობ და ცოტაოდნავ წყლულზე მალამო გედება, ვინაიდან ურჩევს იგი და აფრთხილებს მოხლეებს: ფრთხილად მოიქეცით, საქმის გაურჩევლად გამოუძიებლად ნუ იჭერთ, ხალხს ნუ ატუსაღებთ, ნუ სჯითო; იარაღს, თუ საჭირო არ არის, ნუ იხმარებთო და სხვა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ვეღარ კარგია, რომ ცირკულიარის ხმა მხოლოდ ქაღალდზე გაისმის და ცხოვრებაში იმის ნატამალიც არ მოიპოვება, იგი თითქოს არც კი სადმე არსებობდეს; რჩევა ცირკულიარისა რჩება ხმად მღაღადებელისა, უდაბნოსა შინა და ყველა ადმინისტრატორი ისე იქცევა, ვითარცა ხანი თავის სამფლობელოში... დიახ, სიტყვა სხვაა, საქმე სხვა და მათ შუა უზარმაზარი ჯურღმულია... არა, ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმის შორის არ დამყარდება სრული თანხმობა, — ვიდრე ადმინისტრაციის მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ“.[5]

მოხელეთა და ცალკეულ პირთა უკანონო მოქმედების მხილებისათვის ვაჟა, პრესის გამოყენების გარდა, ოფიციალურადაც მიმართავდა სახელმწიფო ორგანოებს და ხშირად სასურველ შედეგს აღწევდა. ვაჟას საჩივრების საფუძველზე 1883 წელს მოხსნილ იქნა

1 თხზულებანი, ტ. X, გვ. 29—34.
2. თხზულებანი, ტ. IX. გვ. 199—206.

1 თხზულებანი, IX, გვ. 207—215.
2 იქვე. 255-256.
3 იქვე, 409—418.
4 თხზულებანი. ტ. X გვ. 52-59.
5 თხზულებანი, ტ. IX — გვ. 256.

თანამდებობიდან დიდი თონეთის მამასახლისი შავიშვილი, 1897 წელს — თიანეთის მაზრის ბოქაული ჯანდიერი; თაღლითურად მოგებული საქმეები წაავო ზემდგომ სასამართლოებში თავადმა ხიმშიაშვილმა[1] და სხვ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ვაჟას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ადგილობრივი მოსახლეობა ბოიკოტს უცხადებდა მოხელეებსა და ეკლესიის მსახურთ, სჯიდა თვითნებობისათვის, აძევებდა სოფლიდან და სხვ. ყოველივე ამას ვაჟა აღწევდა თავისი ავტორიტეტით, გამოცდილებითა და იურიდიული განსწავლულობით.

1905-1907 წლებში რევოლუციურ მოძრაობას ფშავ-ხევსურეთში ვაჟა ედგა სათავეში. ხალხის მიერ ამ პერიოდში მიღებულ იქნა „თავისუფლების" დეკლარაცია" რომელიც პირადად ვაჟას მიერ იყო შედგენილი. „დეკლარაცია" იურიდიული დოკუმენტია, რომელშიც განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. იგი შეიცავს 20 მუხლს და შეეხება ფშავ-ხევსურეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის, არსებული სახელმწიფო წყობილების დამსხვრევის და ახალი, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული მმართველობის, ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემის შემოღების საკითხებს. „დეკლარაცია" მიწას, ტყეებსა და ბუნებრივ სიმდიდრეს საერთო სახალხო საკუთრებად აცხადებდა და უკანონობად თვლიდა მათი ექსპლოატაციისათვის გადასახადების შეწერას; ცნობდა საკუთრებისა და სინიდისის თავისუფლებას; დასაშვებად მიიჩნევდა სახელმწიფო გადასახადებს ცალკეული ოჯახის ქონებრივი შესაძლებლობის მიხედვით, ხოლო ბეგარას სავალდებულოდ სცნობდა ყველასათვის განურჩევლად მათი თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. დეკლარაცია სთვლიდა, რომ გზებით და ხიდებით ყველა სარგებლობს, მათი მოვლა-პატრონობა და გაშენება ყველას საზრუნავი; ამიტომ ბეგარა მარტო გლეხების ვალდებულება არ უნდა იყოს და ასეთი ვალდებულება უნდა ეკისრებოდეს მღვდელს, ვაჭარს და მოხელესაც კი. სკოლებში სწავლა ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს და სოფლის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მოსამზადებლად სკოლებთან არსებობდეს სამეურნეო და კომერციული განყოფილებები. მისაღებ სასამართლო სისტემად დეკლარაცია სთვლიდა ისეთ სასამართლოს, რომლის ძირითადი რგოლი საქმეს სამედიატორო წესით განიხილავდა, ხოლო უმაღლესი ორგანო თემის ყრილობა იქნებოდა. ხაზგასმულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თემის ყველა წევრმა, რომელმაც ოცი წლის ასაკს მიაღწია.

დეკლარაციაში მითითებული სასამართლო სისტემა თავისთავად გულისხმობდა, რომ მას უნდა ეხელმძღვანელა მთაში შემორჩენილი ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომელსაც ვაჟა დიდ პატივსა სცემდა და რომლის შესწავლას დიდი დრო და ენერგია მოანდომა. „დეკლარაციის" შედგენის დროისათვის ვაჟას ადათობრივი სამართლის ისტორია და მისი ნორმები დეტალურად ჰქონდა დამუშავებული. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ დანაშაულისა და სასჯელის საკითხებზე „დეკლარაციაში" თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი. ადათობრივი სამართალი დაუწერელი სამართალია და სასამართლო, რომლის შექმნასაც „დეკლარაცია" ითვალისწინებდა, იხელმძღვანელებდა ხალხის ჩვევებში შემორჩენილი ნორმებით, რომლებიც საყოველთაოდ იყო ცნობილი.

გამოთქმული აზრი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოსდა, ვაჟა ადათობრივი სამართლის ყველა ნორმას ღებულობდა და ითხოვდა ცხოვრებაში მათ

[1] იხ. ამ საკითხებზე დეტალურად ს. ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველა".

ხელშეუხლებლად გატარებას. ვაჟა მხარს უჭერდა ადათობრივი სამართლის ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოხატავდა დემოკრატიულ პრინციპებს, ხალხისათვის მისაღები იყო და მათი ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობდა ჰუმანური მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგალითად, ვაჟას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ათეისტური წერილები, სადაც იგი ამხელს რელიგიურ ფანატიზმს და ბრძოლას უცხადებს ყველა იმ ჩვეულებას, რომლებიც ხალხის დაბეჩავების, გონების დაჩლუნგებისა და მოტყუებისათვის იყო გამიზნული. ადათობრივი სამართლის ასეთი ნორმები ვაჟასათვის მიუღებელი იყო და იგი დაუნდობლად ებრძოდა ყველა იმათ, ვინც ცხოვრებაში ასეთის გავრცელებას და დანერგვას ცდილობდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მთაში გავრცელებული სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის ნორმები. ვაჟა აღშფოთებული იყო იმით, რომ ამ გადმონაშთის შედეგად უაზროდ იღვრებოდა ხალხის სისხლი. ვაჟა არსად სიმპათიით არ იხსენიებს ადათობრივი სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ ოჯახის უფროსის ნებისადმი სხვა ოჯახის წევრების აუცილებელ დამორჩილების წესს, ქალის შეზღუდულ უფლებებს და სხვ. „დეკლარაცია“ განთავისუფლებული მთის ერთგვარი კონსტიტუცია — ძირითადი კანონი იყო და ცალკეული სამართლებრივი ნორმები დამუშავდებოდა, თუ მთა მართლაც შესძლებდა თავისი მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას. ვაჟას სურვილები რევოლუციის დამარცხების გამო, ვერ განხორციელდა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ვაჟას კონკრეტული კანონმდებლობა არ დაუმუშავებია.

ასეთია მოკლედ ვაჟა-ფშაველას იურიდიული მოღვაწეობა. აქ წერტილს დავსვამთ, რომ არ გვაწუხებდეს ერთი საკითხი, რომელიც ისევ ვაჟას შემოქმედებით ბიოგრაფიას ეხება. იგი სრულყოფილი არ იქნება მანამდე, სანამ არ გამოვლინდება ვაჟას შრომები, რომლებიც არსებობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის. ძირითადად ეს ის შრომებია, რომლებიც მის იურიდიულ მოღვაწეობაზე მიუთითებენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქ. სსრ ისტორიული არქივის შირაქის დასახლების, თბილისის ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატის ფონდებში არსებული, ვაჟას მიერ დაწერილი, მრავალი საჩივარი ქედში დასახლებულ თუშ-ფშავხევსურთა მიწათმოწყობის საკითხებსა და სასამართლო დავათა ირგვლივ. გარდა ამისა, საჭიროა მეცნიერულად დამუშავდეს, საქ. სსრ ლიტერატურულ და სხვა მუზეუმებში არსებული ვაჟას თანამედროვეთა მოგონებები, რომლებშიც, გარდა ბიოგრაფიული ცნობებისა, არის ლექსები და ამ ლექსების ავტორობას მოგონებები ვაჟას მიაწერენ.

აქვე ყურადღებას მივაქცევთ ვაჟას ბიოგრაფის ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც მის ბიოგრაფებს მხედველობიდან აქვთ გამორჩენილი და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1903 წლის 3 ივნისის № 2169-ში, მე-3 გვერდზე დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„ 30 მაისს თიანეთში, თბილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ლუკა რაზიკაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მოხელის შეურაცყოფა. 1903 წლის ზაფხულს, თიანეთის „ლესნიჩის“ თანაშემწე ანენკოვი, ტყის მცველებთან ერთად მისულა ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს ერთს ტყეში და ერთს ადგილას შესდგომია ტყის კაფვას გზის გასაყვანად. ამ დროს მისულა იქ ლუკა რაზიკაშვილი და განუცხადებია, რომ ეს ადგილი ჩემი საკუთრებაა, ხელს ნუ ახლებთ ტყესო. ანენკოვი შეჰკითხებია, რა საბუთის ძალით მიაჩნია აღნიშნული ტყე თავისად. რაზიკაშვილს ამოუღია ქაღალდები და უჩვენებია. ამის შემდეგ ანენკოვს უკანვე წამოუყვანია ტყის მცველნი და დაბრუნებულა თავის ბინაზე .ანენკოვი რამდენიმე დღის შემდეგ ხელმეორედ დაბრუნებულა და შესდგომია ტყის გაკაფვას. ამ დროს ხანჯლითა და ბერდანკით შეიარაღებულს ლუკა რაზიკაშვილს ამოუვლია ცხენით და როცა შეუნიშნავს, რომ მის ტყეს სჩეხდნენ, ჩამომხტარა ცხენიდან: ისა და ანენკოვი შეჰყოლიან ლაპარაკს, რომლის დროსაც რაზიკაშვილს უთქვამს: „შეაწყვეტინეთ ტყის

ჩეხა, თორემ მე თვით შევწყვეტო“. ამავე დროს რაზიკაშვილს დაუნახავს, რომ ცხენი ხეს ეხახუნებოდა და ბერდანა, რომელიც უნაგირზე იყო დაკრული, შესაძლებელი იყო ჩამოვარდნილიყო. რაზიკაშვილი მისულა ცხენთან და ბერდანა ჩამოუღია. ტყის მცველებს ჰგონებიათ, რაზიკაშვილი ბერდანით ცუდს რამეს გვიპირებსო, მისცვივნიან რაზიკაშვილს, წაურთმევიათ თოფი, აუხსნიათ ხანჯალი და შეუკრავთ ხელები თოკით. განცვიფრებულ რაზიკაშვილს უკითხნია ტყის მცველისათვის: „კაცო, რატომ მიკრავთ ხელებს? რა დავაშავე. ტყე ჩემია და მე მხოლოდ იმასა გთხოვთ, ტყეს ნუ მიჰრითო“. რაზიკაშვილს უთხოვნია, ცოტა გამითავისუფლეთ ხელები, რომ პაპიროსი მაინც მოვწიოო, მაგრამ უარი მიუღია. მაშინ გაჯავრებულს გაუნთავისუფლებია ერთი ხელი და იქ მდგომ ტყის მცველის ხანჯლის ტარისათვის წაუვლია. ანენკოვის განკარგულებით, რაზიკაშვილი თოკით შეკრული წაუყვანიათ პოლიციის სამმართველოში, სადაც გამოძიების შემდეგ იგი გაუთავისუფლებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, რაზიკაშვილი ცხენით მონავალა გზაზე, შემთხვევით შეხვედრია ანენკოვი. რაზიკაშვილს, სხვათა შორის, უთხოვნია ანენკოვისათვის დაებრუნებია ბერდანა, რომელიც, ანენკოვის ბრძანებით, წაართვეს ტყის მცველებმა. შელაპარაკებულან, რომლის დროსაც ანენკოვს აუღია ხელში ჯოხი და შემოუკრავს რაზიკაშვილისათვის. პასუხად რაზიკაშვილს მათრახი შემოუკრავს და შემდეგ წასულა თავის გზაზე.

ამის გამო პასუხისგებაში მიუციათ ლუკა რაზიკაშვილი. სასამართლოში, ვიდრე არსებითად საქმის განხილვას შეუდგებოდნენ, რაზიკაშვილს უთხოვნია, გადაედოთ საქმე და დაებარებინათ ერთი უმთავრესი მოწმე — გიორგი ივანიშვილი, რომელსაც კარგად სცოდნია საქმის ვითარება. სასამართლოს არ შეუწყნარებია რაზიკაშვილის თხოვნა. გამოძიების დასრულების შემდეგ, ბრალდებულს განუცხადებია, მე იმიტომ ვითხოვე საქმის გადადება და ივანიშვილის დაბარება, რომ ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა. ივანიშვილი მოწმეა იმისა, რომ, როცა მე ანენკოვს ვთხოვე ბერდენის დაბრუნება, იმან პირველად დამარტყა ჯოხი. სასამართლოს დამნაშავედ უცნია ლუკა რაზიკაშვილი და გადაუწყვეტია: დამუქრებისათვის შვიდის დღით პოლიციაში დაჭერა, შეურაცხყოფის მიყენებისათვის ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. რაზიკაშვილს საქმე სამოსამართლო პალატაში გადააქვს“.

როგორც ეტყობა, სამოსამართლო პალატის მიერ ვაჟა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაპატიმრებული იქნებოდა. ასეთ ფაქტს კი ადგილი არ ჰქონია.

იმ საკითხების გარკვევა, რომლებზეც ზემოთ მივუთითებდით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, და ეს კი შექმნის შესაძლებლობას სრულყოფილ იქნეს ვაჟას შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

# დავით გურამიშვილი

დაბადებიდან 260 წლისთავის შესრულების გამო

ძნელია მსოფლიო ლიტერატურაში მოიძებნოს დავით გურამიშვილისებრი ტრაგიკული ბედის პოეტი, რომელსაც თავის თავზე გადაეტანოს ორგზის საშინელი ტყვეობა (ლეკებისა და პრუსიელების ხელში), სამშობლოდან სამუდამო გარდახვეწა, მწირობა, ხეტიალი, ომები, სიღარიბე, სიბრმავე, უნუგეშო მოხუცებულობა, სამშობლოს სევდა, უიმედობა, უშვილობა, მარტოობა:

> ვარ ბერი კაცი, დიდად ნასაჯი,
> საწუთროსაგან მწარედ ნატანჯი,
> შიშველის ფეხებით
> აქა-იქ ხეხებით
> ტყვეობისაგან...

ბიბლიური იობივით ტანჯული „საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული, მრავალ განსაცდელსა შინა შეყვანებული, სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული, დაკარგული“...

ასეთია ბიოგრაფიული მხარე დავით გურამიშვილის ცხოვრებისა...

* * *

დავით გურამიშვილის სამშობლო საგურამოა, რომელზედაც ვახუშტი იტყვის „გარნა ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით ,თვინიერ ბრინჯ-ბამბის, პირუტყვით, ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთათ შემკობილი[1].

საგურამო კახეთში შედიოდა.

საგურამო უძველესი ისტორიული კუთხეა, ძველად ცნობილი „ხ ე რ კ ი ს“—„ხ ე რ გ ი ს“, „ზ ა ნ ა ვ ი ს“, „თ ე ზ მ ი ს ხ ე ვ ი ს“ სახელწოდებით [1].

---

1. „საგურამოში“ ხშირად დღევანდელ სოფელს საგურამოს ანუ „გურამიაანთ კარს“ გულისხმობენ ხოლმე, მაშინ როცა ფეოდი საგურამო მოიცავდა ზედაზნისა და ერწოს შუა მდებარე ტერიტორიას. ვახუშტის სამფლობელო საგურამოს საზღვრები იყო: „აღმოსავლეთით მთა ერწოსა და ამას (საგურამოს) შორისი, სამხრეთით მთა ზედაზნისა, ჩრდილოეთით მოკორნა-ბაკოწინის შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდან არაგვამდე, დასავლეთით არაგვი, ხევძმარამდე (ხევი ავჭალის ბოლოს, რომელიც იყო საზღვარი ქართლ-კახეთისა) უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამიანთ კარის გამო“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 94).

დროულ მომსწრეთაგან გამიგონია, რომ დღევანდელ „ღრმა-ღელის“ და ნაწილობრივ დღ. „ნაძალადევის“ ტერიტორია გურამიშვილებს ეკუთვნოდათ თვით რევოლუციამდე. რაც სხვებთან ერთად, 1954 წლის 18 ივნისს დამიდასტურა ღრმა-ღელეს მცხოვრებმა, მოხუცმა ნ ი კ ო ტ ლ ა შ ა ძ ე მ.

1 საგურამოს ტერიტორიაზეა ცნობილი ზ ე დ ა ზ ე ნ ი, აგრეთვე უძველესი საგურამოს გიორგის ეკლესია („ქ ა ს უ რ ი“), რომელიც გ. ჩუბინაშვილის აზრით VI საუკუნეს მიეკუთვნება (იხ. მისი „რამდენიმე თავი ქართულ ხელოვნების ისტორიიდან“, 1926 წ. გვ. 99).

ჩვენ ბევრი არა ვიცით რა ამ უძველესი კუთხის კულტურული ცხოვრების შესახებ და არც აქაურ მოღვაწეებზე, რომელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ს ვ ი მ ო ნ ხ ე რ კ ე ლ ი, XII საუკუნის მოღვაწე, რომელმაც ათონის ქართველთა მონასტერს საბერძნეთში წიგნები შესწირა.

დავით გურამიშვილის მახლობელ კუთხიდანვე ყოფილა ცნობილი პოეტი ძ ა გ ნ ა კ ო რ ე ლ ი (სოფ. ძაგნაკორიდან), „ფრიად მეცნიერი და რიტორი“, რომელმაც შემოიღო ქართულ პოეზიაში ახალი მეტრი „ძ ა გ ნ ა კ ო რ უ ლ ი“.

*„კალმასობის“ ავტორის სიტყვით, ძაგნაკორელი იყო „უწინარეს შოთასა“, იგი ყოფილა „ხიმშიას ძე“, მაშასადამე, ხიმშიაშვილი. ეს გვარი ბოლო ხანამდე ფლობდა მამულებს არაგვის პირად, სწორედ სოფელ ძაგნაკორის მიდამოებში.*

მრავალი ისტორიული ქარიშხალი გადაუტანია „ქართლის ჭირის“ მომღერლის მამულს.

საგურამო, როგორც თბილისთან ახლოს მდებარე, მუდმივ მტერთა აოხრებისა და აკლების სარბიელი იყო. ჯერ კიდევ არაბებმა, ხაზარებმა, თურქებმა მრავალჯერ იავარჰყვეს იგი. შემდეგ უზუნ-ჰასან ყაენმა, 1617 წ. შაჰაბაზმა აიკლო და მისი მცხოვრებნი სპარსეთში გადაასახლა. მან თბილისიდან „წარავლინა სპანი დიდნი ხერკსა და ერწოთიანეთის... მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“ (ვახუშტი. ჩუბ. გამოც. გვ. 117).

საგურამოსა და მუხრანის მიდამოები მოოხრდა მე-17 ს. მიწურულში ერეკლე I-ისა და გიორგი XI-ის ორთაბრძოლის დღეებშიც, შემდეგ 1700-იან წლებში სწორედ იგი ლეკთა თარეშობის სარბიელი ხდებოდა, მერე ხომ თურქებმა და ლეკებმა მოათავეს, ჯერ კიდევ პოეტის ყრმობასა და ჭაბუკობაში „მარადის იყო ესე ვითარი კირთება ლეკთაგან კახეთსა შინა“. ამის შემდეგ არაა საკვირველი, რომ პოეტის ყრმობის დროს საგურამოს მიდამოებში მრავალი „ნასოფლარი“ და „ნაოხარი“ ადგილი ყოფილა, როგორც ეს ჩანს იმდროინდელ საბუთებიდან.

შემდეგ, როცა შინაურმა მტრებმა და სპარსეთის ინტრიგამ ერთმანეთს წაჰკიდეს ქართლისა და კახეთის მმართველები, საგურამო თვით ვახტანგ მეფემ მოარბევინა კახეთის მეფის კონსტანტინეს გამოჯაერებით, როგორც მისი სამფლობელოს სანაპიროს ალაგი. 1723 წლის მაისში თბილისი კონსტანტინემ ლეკებს აკლებინა, ხოლო იმავე წლის ივნისში თბილისი თურქებმა დაიჭირეს, მათ მოათავეს ლეკთაგან ამოწყვეტილი, დატყვევებული ქართლ-კახეთი, „ქართლი მოთხარეს სრულებით“.

თბილისის აღებისა და თურქების ჩამოსვლის შემდეგ, საგურამო საბოლოოდ აოხრდა, როგორც თბილისთან ახლო მდებარე კუთხე.

ლეკებმა ქართლი იავარქმნეს და მოსრისეს. „ქვეყანა ხომ გააოხრეს, — სწერდა ვახტანგი პეტრე პირველს, — ხუთ აღაჯზე ქალაქის გარშემო სოფლები სულ გააოხრეს და შენობა მოშალეს. ტყვე მრავალი დაატყვევეს. ენით არ მოიხსენება აქაური ჭირი. კახეთი ხომ სულ ლეკმა დაიჭირა „არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილი სამუხრანოს სომხითსაცა, თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ მუშაკნიც პარვით, მალვით ჩამოვიდიან და მათნი (ლეკ-ოსმალთა) მხილველი ივლტოდიან“ (ვახუშტი).

პოეტის თანამედროვე იასე ტლაშაძეც ხომ გადმოგვცემს:

„სამცხეთო სულ დაიკარგა,
მათ (ე. ი. ოსმალთ) გაადინეს მტვერიო“.

ასეთივე დღე დაადგა საგურამოს მოსაზღვრე მუხრანს: „ქვეყანასა ქართლისასა ადგილ-ადგილად მოოხრებული იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა შიოს უბანი (მუხრანის უბანია, შიო მღვიმის მამული და ყმა) მკვიდრთაგან თვისთა ცარიელი იყო და მიმოდაბნეულ მოსახლენი ამისნი“[1]. შიოს უბანი კი განთქმული იყო დიდი შენობა-სასახლეებით (ვახუშტი).

„თვინიერ ამისა და ამა ჭირთა შინა, რომელი იყო ოსმალთაგან, გაზაფხულ-შემოდგომის, მარადისატყვევებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდიან 1000 უმეტესნი და უმცირესნი“.

...„არამედ გაზაფხულს იყო ლაშქრობა ლეკთაგან ძლიერი, ხდომანი, სრვანი, ტყვევნანი, ოხრებანი დაუცადებელნი და იავარნი კახეთსა შინა“.

საგურამო მთელი საუკუნის მანძილზე „ლეკს ეჭირა“. იგი აღმოჩნდა არა მარტო „ლეკის გზაზე“, არამედ იქცა ლეკთა ბუნაგად, საიდანაც 1801 წელსაც ვერ შესძლეს მათი გამოლევნა. 1802 წელს, საგურამოში იდგა 1000 ჩასაფრებული ლეკი.

თვით 1795 წელს, კრწანისის ტრაგიკულ დღეებში, საგურამოს ლეკის ჯარი იდგა.

გურამიშვილთა ახალ სამყოფელად სოფ. ზემო ავჭალა გახდა, მაგრამ ვეღარც აქ მოიკიდეს ფეხი მისმა პატრონებმა, 1778 წლისათვისაც კი ავჭალა ისევ უკაცურია. ამ წლისათვის გურამიშვილი ზაალ ავჭალაში

---

1 პ. ზაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, გვ. 168.

დაბინადრებას აპირებს და თავის გაფანტულ ყმებს აგროვებს ავჭალაში დასასახლებლად [1].

ლეკთა მუდმივი შემოსევა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ გურამიშვილებს „ავჭალის გარდა აღარსად ედგომებოდათ“.

ჯერ კიდევ 1790 წლისათვის „ავჭალის სოფელს გარდა გურამიაანთ სხვას თავეთს სოფლებში შენობა არ[ა]დ ჰქონდათ“.

რაც შეეხება საგურამოს, 1798 წელს, როცა ლეკი არ ბინადრობდა, არაგველებს „ცხვარი ეყენათ“.

1802 წელსაც არაგველებთან ერთად მცხეთელებს ედგათ ცხვარი საგურამოში და ავჭალაში მცხოვრებ გურამიშვილებს საბალახოს უხდიდნენ [2].

აკლებული ქვეყნების უპატრონო მოსახლეობას საშინელი დღე დაადგა. საკვირველი არაა, რომ დავითის მეზობლებს ვხედავთ გაყიდულებს დაღესტანში, ჩრდილო-კავკასიაში, თვით ასტრახანში. პოეტის ბედი გაიზიარეს გურამიანთ ყმა-აზნაურებმაც. ასე, მათი საკუთარი აზნაური მიქელაშვილი ლეკეთში დაიკარგა, ხოლო აქაური გლახა ოდიშელიძე სტამბოლში ორჯერ გაყიდეს [3].

ამ დიდ აოხრებათა შემდეგ „საგურამოს“ ზოგიერთი სოფლის ხსენება დღემდის სრულიად წარხოცილია („ღურო“, „მჟავი“, „ჯაჭვი“, „ქინძარა“, „ფოსი“, „აზვი“, „ჩრდილი“, „იპიტისი“ და თვით პოეტის სოფელი „გ ო რ ი ს-უ ბ ა ნ ი“), ამ დღიდან უკაცრიელი შეიქმნა და იქცა ლეკთა სამხედრო ბაზად ქართლზე თავდასხმებისას, „კარად დაღესტანისა“.

მე-18 საუკუნის საშინელ აოხრებათა გამო საგურამოსა და წიწამურის განთქმული ზვრები 1803 წელსაც „ნავენახობებად“ იყო გადაქცეული (Sd. 5345) [1].

ასეთი აოხრება, გატიალება ერთი „ქართლის ჭირის“ მოზარის სამკვიდროს. პ ო ე ტ ი ს ა  დ ა  მ ი ს ი  მ ა მ უ ლ ი ს  ბ ი ო გ რ ა ფ ი ა  ე რ თ ნ ა ი რ ი  გ ა მ ო დ გ ა.

## ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

გურამიშვილები ზევდგინიძეთა ძველი გვარის წამონაყარნი არიან. ჩვენი პოეტი წარმოშობით მესხია.

გურამიშვილთა გვარის დამწყები უნდა იყოს სწორედ ის „პ ა ტ რ ო ნ ი-გ უ რ ა მ“ ზევდგინიძე-ამილახვარი, რომელიც 1401-1413 წ. მცხეთის გუჯარში იხსენიება. ზევდგინიძეები იხსენიებიან გორის მოურავად და ჩურჩერახად. 1431 წლისათვის ცნობილია მძლავრი ფეოდალი თაყა ზევდგინიძე, ისტორიამ იცის აგრეთვე ზევდგინიძე იოთამ, თავშეწირული ქვეშევრდომი გიორგი VIII-ისა.

საქართველოს სამეფოს გაყოფის შემდეგ, კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები გურამიშვილები კახეთის თავადებად ირიცხებიან. გვარი „გურამიშვილები“ ვახტანგის მიერ ნახსენებია კახეთის თავადიშვილთა რუბრიკაში. თვით პოეტი სამსახურობრივ მიმოწერაში თავისთავს „კახელ თავადიშვილად“ აცხადებს, ხოლო „პატარა კახის“ შვილიშვილ მირიანისადმი 1787 წ. მიწერილ განცხადებაში პოეტი თავის თავს მისი ოჯახის „ყმა-ყოფილად“ იხსენიებს. 1783 წ. ტრაქტატისათვის შედგენილ ჰერალდიკაშიც გურამიშვილები მოხსენებული არიან „კახეთის თავადის შვილების“ განყოფილებაში.

ამგვარად, დავით გურამიშვილი „კახთ-თავადია“. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭება „ქართლის ჭირის“ ავტორის კონცეფციისათვის, კახთა მეფის კონსტანტინეს საქმიანობის განხილვაში.

ადრე კი, საგურამო ღონიერი ფეოდი ყოფილა და მისი მეპატრონეები თავადი გუ-

---

1. ცსია, ძსვ. ფ. 1448, № 19, ფ. 173.

2 იქვე, საბ. № 8213.

3. იმდენად იყო აკლებული ქართლ-კახეთი, რომ თვით 1776 წ. აღმ. საქართველოს გლეხობის დიდ ოცნებას და ნატვრას წარმოადგენდა ძველ სამკვიდრო ადგილებზე დაბრუნება, „როდესაც ღმერთმან მშვიდობა მოგვცეს და თავ-თავეთი მამულებსა და ნასახლარების ალაგზე მისვლა-დგომა გვეღირსოს“-ო. ქართველი გლეხის ასეთ ნატვრას არა ერთხელ შევხვდებით იმ დროის საბუთებში.

1 1801-1802 წ.წ. კახეთის აღწერაში (საქ. არქივი, III, 1927 წ). საგურამო ჯერ კიდევ არ იხსენიება და გურამიშვილები თავისი ყმებითურთ ისევ ზემო-ავჭალას სახლობენ.

რამიშვილებიც—საკმაოდ ძლიერი მამულის მფლობელნი. მათ მამულებს შეადგენდა, მთისა და ბარის გარდა, სოფლები: წიწამური, ახალციხე, მჟავი, ღურო, შანკავერი, ახალდაბა, ქინძარა, გორისუბანი, ზემო და ქვემო ავჭალა და მრავალი სხვა [1].

ფეოდალ გურამიშვილთა მფლობელობა შიდა-კახეთსაც აღწევდა. ასე, მათ ჰქონდათ ყმა და მამული ნაფარეულში, საბუეში, ენისელში (სოფ. ლერწამი, დღევანდელი „ყამუშ-ყალა“ (22108 Hd), აგრეთვე საინგილოში (1573 წ. კახთა მეფე ლევან ნიშნად წყალობისა გურამიშვილების ყმებს ფიფინეთში ბეგრისაგან ათავისუფლებს, ც. არქ., № 19/100). ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ გურამიშვილებს ყმები ფიფინეთში ამაზე ადრეც ჰყოლიათ [2].

1783 წ. შედგენილი ქართული ჰერალდიკის მიხედვით, გურამიშვილთა „სახლის შვილნი ადრევე ცხოვრობდნენ აჭარასა შინა და თავად (გურამ) ოღლით წოდებულნი“.

როგორც „ერთგულნი და წესისაებრივ თავდადებით ნამსახურნი ყმანი კახთა მეფეებისა, გურამიშვილები მეფეებს არაერთხელ დაუჯილდოვებიათ ყმით, მამულით. მათ მფარველობდნენ მეფეები: ლევანი, თეიმურაზ I, როსტომი, კონსტანტინე, ერეკლე, გიორგი. როგორც დიდგვაროვან ფეოდალებს, ანგარიშს უწევდნენ სპარსეთის შაჰები — აბას I, შაჰ-სეფი (იხ. მათი საგანგებო ფირმანები გაცემული გურამიშვილებზე).

პოეტის დროს გურამიშვილთა გვარი უკვე საგრძნობლად ჩამოქვეითებული ყოფილა, კახეთის მეფეთა კარზე ახლა შედარებით დაბალი თანამდებობანი ეჭირათ—„ბოქაულთ-უხუცესისა“, „მილახვრისა“. მეფობის მოშლამდე გურამიშვილები ქვეყნის ცხოვრებასა და სახელმწიფო საქმიანობაში მაინც შესაფერ მონაწილეობას იღებდნენ. კერძოდ, 1783 წ. ერეკლე II მიმართავდა გურამიშვილებს: „ასე რომე პაპა თქვენებს პაპის ჩვენისათვის (ერეკლე I გ. ლ.) დიდათ ერთგულათ ემსახურნათ და მრავალის ალაგს თავდადებით გარჯილიყვნენ და მამა თქვენები ჩვენზე დიდათ ერთგულათ ნამსახურნი იყვნენ და ორნი ძმანი ჩვენს ერთგულებაზე ჩვენს წინ დაიხოცნენ და თქვენ ჩვენს ერთგულებაზე დიდათ თავდადებით ნამსახურნი იყავით“ (ც. არქ. საბ. №. 1028). ალბათ, აქ ლაპარაკია გურამ გურამიშვილზე, რომელიც ერეკლე I „ისპაანში ჰხლებია“ და „ერთგულად უმსახურნია“. როცა „ყაენმა მეფობა მოგვცა ქართლისა და ჩვენ მოვედით ქართლში, — ამბობს გამაჰმადიანებული ერეკლე I, — ერისთავები უკუუდგნენ ყაენს და შაჰნავაზის შვილებს (გიორგი XI, არჩილს და მათ ძმებს, გ. ლ.) მიუვიდნენ. როგორც ყაენის ერთგული, შევედ თბილისის ციხეში და, როცა ქართველებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს, შენ ვაჟკაცურად გვიცავდი და გარეკე ისინიო“.

მე-17 საუკუნეში ცნობილი იყვნენ გურამიშვილი ზაალ და მისი ძმა გივი გურამის ძენი, რომელთაც თეიმურაზის, როსტომის და არჩილის დროს ეჭირათ „სუფრაჯის“ თანამდებობა.

1618 წ. ბაგრატ მეფე გურამიშვილთ — ქაიხოსროს, დურმიშხანს, გივის, იესეს, ზაალს და ზურაბს აძლევს მამულის დაბრუნების სიგელს: „მას ჟამს, ოდეს კაცნი ლიხთიმერთ ღარიბად იყვენით და ვითაც ხელმწიფის ბრძანება ასრე იყო, რომე ვინც იქიდამ ჩამოგენდოსო, მისი მამული მასვე უბოძეო, ან თქუენ მოგუენდევით, ჩვენი ყმანი შეიქენით და ხელმწიფის (შაჰ-აბასის,

1. „გურამიშვილნი ერთობილნი ყმიან-თავიან-განაყოფიანად“ ომების დროს მიწერილნი იყვნენ რ უ ს თ ვ ე ლ ი ს (რუსთავის ოლქის) დ რ ო შ ა ზ ე, რუსთველი იყო „მწყემსი მარტყოფ-საგურამო ხერკის“... სხვათა შორის ისტორიულ სიმართლეს გვიდასტურებს დავით გურამიშვილის საეპიტაფიო ლექსი, რომ ზედაზენთან ერთად გურამიშვილებს საძვლე-სამარხი ჰქონდათ შიო მღვიმეშიც (ქართლი), ეს ზევდგინიძეობიდან მოსდგამდათ: 1433 წ. თაყა ზევდგინიძე— დავით გურამიშვილის შორეული წინაპარი, შიო მღვიმისადმი მიცემულ სიგელში ამბობს: „მე ზევდგინიძე თაყა... მოლტოლვილ ვიქმენ... მონასტერსა თქვენსა. და ცალკე ახალი ეკუდერი ვაგე შიო მღვიმეშიო“ (ქრონიკები, II. — 241).

2. 1908 წ. გაზ. „ა მ ი რ ა ნ ი“ იუწყებდა: „კაკის საზოქაულოში არიან ბეგები, გვარად სულთანოვები, შთამომავლები 1844 წ. გაუქმებულ ელისოს სულთანისა. ქართული წყაროებით, ისინი ქართველი თავადის გურამიშვილის ჩამომავალნი არიან, მაჰმადიანობა მიუღიათ საინგილოს დაპყრობისას“ (№ 189).

გ. ლ.) ბრძანებითა თქუენი სამკუიდრო მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყუენით, მასვე ისევე უკლებლად თქვენვე გიბოძეთ" (ც. არქ., ძვ. საბ. ფ., № 19, საბუთი № 96).

თეიმურაზ I-თან მყოფი მებრძოლი გურამიშვილები დამარცხებულ მეფეს იმერეთში გადაჰყოლიან, მაგრამ ისევ მამულში დაბრუნება ურჩევიათ და შაჰაბაზსაც შეეწყალებია. როგორც ჩანს, გურამიშვილები ბოლოს იძულებულნი გამხდარან ემსახურნათ ყაენისათვის სპარსეთში და ერთგულებაც ეჩვენებინათ, რისთვისაც ყაენი თავისი წყალობითა და ყურადღებით აჯილდოვებს.

მაგრამ გურამიშვილები ისევ გადასდგომიან სპარსეთს და კახეთში დაბრუნებული თეიმურაზი გივის და ზაალ გურამიშვილებს ენისელში სოფ. ლერწამს უწყალობებს.

როსტომ მეფის (1633-1658) წყალობით გივი გურამიშვილი არჩილ მეფეს „სუფრაჯობით" ემსახურებოდა. ასევე ერთგულნი ყოფილან საგურამოს მფლობელნი ერეკლე I და დავით იმამყული-ხანისა, და ბოლოს მეფე კონსტანტინესი.

პოეტი ამ ორი დიდი ფეოდალის, გივის და ზაალის, პირდაპირი ჩამომავალია. გივის და ზაალის შვილები — გივი და ფარემუზ — პოეტის მამის ძმები უნდა იყვნენ.

სხვათა შორის, გივიმ და ფარემუზმა, როგორც პატრიოტებმა და სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლებმა, თავისი როლი ითამაშეს მე-17 საუკუნის მიწურულში: მიუხედავად იმისა, რომ კახთა მეფის მორჩილნი იყვნენ, განუდგნენ სპარსთა ძალით შემოსულ ერეკლე I ნაზარალიხანს, „მიემხრნენ ქართლის მეფე გიორგი XI—„ბევრი ურიგო და უმართებლო საქმეები მოინდომეს— ჩივის ერეკლე I, —ბედნიერის ყეენის სამსახურზედაც, ჩვენსა და ბეგლარბეგს აბაზყულიხანის თავს დასხმა და ყათლავი. ქართველნი უკუგვიდგნენ, გიორგი მეფეს მიუდგნენ, ქალაქს ციხეს შემოგვიდგნენ საქმე გაგვიჭირეს, იმათთან დაემწყვდნენ". გივისა და ფარემუზს ბრძოლა გაუმართიათ აგრეთვე ერეკლეს მომხრე გურამიშვილებისათვისაც. ყოველივე ამის გამო გივისა და ფარემუზისათვის ყმა და მამული ჩამოურთმევია.

ოჯახი

დავითი ერთ-ერთი მათგანის ჩამომავალია, როგორც „შ ი ო შ ი ვ ი ლ ი" პოეტის პაპა „შ ი ო შ ი" ყოფილა.

დავით გურამიშვილის კერის ახლო წევრებად ჩანან-ფარემუზისშვილი ზაალ, ქაიხოსრო, ავთანდილ, მათი განაყოფები — ზურაბ, ბაქარ (პოეტის მამუკა გურამიშვილის მამა), დავითი (ცსსა, კოლ. 1450 წ. 19 № 109), ბოქაულთუხუცესი, გურამ, ფარემუზ, ქაიხოსრო, მანუჩარ, დურმიშხან, ხეხნია, ზურაბ, დავით იორამიშვილები — ლევან დოლენჯი, ამილდაბარ, ბერი, ფარსადან, სეხნია, იოთამ, გივი, დოლენჯი, გურამ, დავით, გივის ძმისწული ომან, პოეტის შტოს მფარველობს დავით მეფე (იმამყულიხანი). იგი სპარსეთიდან საგანგებო განკარგულებით (1712 წელი) აწესრიგებს მათს სამამულო საოჯახო საქმეებს (ც. არქ., ფ. 1450, წ. 26, საბუთი 105).

პოეტის მამას ჰყოლია ძმა ლ უ ა რ ს ა ბ ი, მისი შვილია მ ე რ ა ბ გურამიშვილი, რომელიც შემდეგ დავითთან ერთად ცხოვრობდა მირგოროდში.

დავითი უნდა შესწრებოდა პაპა შიოშს, როგორც ესა ჩანს „ქაცვია მწყემსიდან" („მე მომითხრობდა პაპა-ბებია").

ჩვენ არა ვიცით რა პოეტის ნეტარი დედის შესახებ, რომელიც ღირსია იქნეს მოხსენებული ქართული მწერლობის ისტორიაში. რაც შეეხება მამას, ეს არის ის „შიოშვილი გიორგი", რომელიც მოხსენებულია კახთა მეფის დავითის 1715 წლის სიგელში (საქ.. სიძვ. III, 410). „ბოქაულთუხუცესობა" გურამიაანთ საგვარეულო სახელო იყო კახეთის კარზე. თუ არა დავითის გარდახვეწა უცხო ქვეყანაში, ალბათ, მასაც მოუწევდა საქართველოში ბოქაულთუხუცესობა.

უფრო ადრე (XVII ს.) პოეტის წინაპრებს „სუფრაჯის" სახელოც სჭერიათ (იხ. ზემოთ). და ბოლოს, როცა გურამიშვილთა გვარზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ პოეტის ძმა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე (ქაიხოსრო), ქართული სტამბის დიდი მოღვაწე რუსეთში, აგრეთვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი მ ა მ უ კ ა გ უ რ ა-

მ ი შ ვ ი ლ ი [1], დავით გურამიშვილის ბიძაშვილი და ქართული არტილერიის უფროსი, — ერეკლე II დროს, გიორგი გურამიშვილი, რომელიც 1795 წ. სპარსელებმა ზარბაზანზე აკუწეს კრწანისში. გაიხსენეთ ვახტანგ ორბელიანის „იმედი“-დან:

> კრწანისის ბოლოს გ უ რ ა მ ი ს ძ ე ზარბაზნებს ჰმართავს,
> ან მტერს სულ გაჰწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს.

ასევე მოსაგონარია ლიტერატორი, ქართული სტამბის მოღვაწე რუსეთში და პოეტის ახლო ნათესავი მწერლობის მოყვარული ზაქარია ზაალის ძე გურამიშვილი და ბოლოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის სიმამრი — თადეოზ გურამიშვილი,

„ქართლის ჭირის“ მოზარე დავით გურამიშვილი ძნელბედობის დღეების დანაწევრებული, დაქუცმაცებული საქართველოს შვილია.

* * *

დავით გურამიშვილი დაბადებულია 1705 წელს, ს. საგურამოს (ანუ „გურამიანთ — კარის“) უბან „გორის-უბანში“.

გ ო რ ი ს-უ ბ ა ნ ი საგურამოს ანუ გურამიანთ კარის თავზე (მისი სამხრეთ-დასავლეთით გორის კალთა მდებარეობს) ამიტომ ამ ადგილს „გორის-უბანი“ ეწოდება.

დღესაც მოჩანს ბუჩქნარსა და გაბმულ ძეძვებში გორის-უბნის ნაოხარი ნანგრევები. „გორის-უბანის“ ადგილი ლიტერატურაში არ იყო ცნობილი და ჩვენ დავადგინეთ 1934 წ. პირველად საგურამოელმა მოხუცმა გლეხებმა დაგვიდასტურეს დავით გურამიშვილის ნაბინავარი.

გავუწიეთ რა ანგარიში ხალხის ერთხმად გადმოცემას, ადგილობრივ მისი დაზვერვისა და შესწავლის შემდეგ, შევუდექით „გორის-უბნის“ ადგილმდებარეობის შეჯერებას ისტორიულ საბუთებში და გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში „გორის-უბანი“ დღევანდელ საგურამოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგ., 1572 წ. მცხეთის სიგელში ნათქვამია: „საგურამოს ზედაძნელაშვილნი თავისი მამულითა გ ო რ ი ს-უ ბ ა ნ ს“ (იხ. ისტორიული საბუთები ს. კაკაბაძის რედ. II, 52).

„გორის-უბანი“ ვახუშტისაც აქვს მოხსენებული, ოღონდ შეცდომით „გორორის-უბანი“, შესაძლოა, კორექტურა ან ლაფსუსია.

„გორის-უბნის“ ტერიტორიაში შედის დღევანდელი ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის მამული. ამბობენ, თითქოს ილიამ, გურამიანთ სიძემ, პოეტის ხსოვნის საპატიოდ წინასწარი განზრახვით დაიდო აქ ბინა.

1954 წ. აგვისტოში, ჩვენ გავთხარეთ (ლ. რჩეულიშვილის მონაწილეობით) სოფელ გორის-უბნის ნაწილი, სამეურნეო საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენლობა გალავნით. თუ ხალხის გადმოცემასაც მოვიშველიებთ, შესაძლოა, იგი დ. გურამიშვილის ნაბინავრადაც მივიჩნიოთ (იხ. გ. ლეონიძე, „პოეტის ნასახლარი საგურამოში“, გაზ. „კომუნისტი“, 1955 № 240).

დ. გურამიშვილი ღრმა სიბერემდე არაერთხელ დიდი გულისტკივილით იგონებს თავის სახლკარს, „მკვიდრად აგებულ სახლს“, გორის-უბანში, რომელსაც ამშენებდნენ თურმე „ბალთ-ხეივანი“, „გარს გალავანი“.

პოეტის ოჯახი კაცმრავალი ყოფილა. დები და ძმები რომ ჰყოლია პოეტს, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს:

> დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი, დანი სად არი?

ამბობს იგი ტყვეობაში.

პოეტი დაბადებიდანვე უჩივის „შავ ბედს“.

> რად მშვა დედამან, შავმან ბედამან, გამზარდა ჭირით

პატარა დავითი, ძველი ფეოდალური ჩვეულებისამებრ, გაუბარებიათ ძიძისათვის, რომელსაც შემდეგ უჩიოდა: „ბევრჯერ მატირის მუცლითა მშივრითო“.

ვინ იყვნენ დავითის აღმზრდელები, არ ვიცით. ვიცით, რომ „ძიძად“ გლეხის ქალი ჰყოლია.

---

1. მ ა მ უ კ ა ყოფილა ბაქარ გურამიშვილის ძე. იგი 1780-იან წლებში წასულა რუსეთში, შეიძლება მოხუცი დავითის სანახავადაც, რომელიც ბიძად მოხვდებოდა. 1783 წ. ერთ საბუთში ერეკლე II აღნიშნავს, რომ „გურამიშვილი ბაქარის შვილი მამუკა რ უ ს ე თ ს წ ა ვ ი დ ა“, „თუ თქუენი სახლის კაცი (ე. ი. მამუკა) მ ო ვ ი დ ე ს, თავისი ყოველივე ყმა და მამული უკლებლად იმასვე უნდა მიეცესო“, დასძენს მეფე. სხვათა შორის, საყურადღებოა პოეტის სიცოცხლეშივე გურამიშვილთა სწრაფვა რუსეთისაკენ, ეგებ დავითის მიზეზითა და დახმარებით. ასე, მამუკას გარდა რუსეთს იმყოფებოდა იმ ხანებში დომენტი გურამიშვილი ,მოხუცი 70 წლისა (1789 წ.), „ფრიად განსწავლული“, თუმცა მოგვიანებით, უკრაინაში და ბოლოს რუსეთში, შეისწავლა საარტილერიო საქმე ერეკლეს არტილერიის ხელმძღვანელმა გიორგი გურამიშვილმა. 1800-იან წლებში ბელგოროდში ცხოვრობდა ზაქარია გურამიშვილი.

დავით გურამიშვილს იმ დროის მიხედვით განათლების მიღება შეეძლო მცხეთაში, „სვეტიცხოველში“, რომელიც განათლების მუდმივ კერას წარმოადგენდა.

„მცხეთიანნი“, — მწიგნობარნი, მგალობელნი, გადამწერნი, უპირველესი კულტურტრეგერები იყვნენ ამ კუთხისა. აკი ჯერ კიდევ 1670-იან წლებში თვით სულხან ორბელიანი ისწავლებოდა მცხეთაში და მისი მასწავლებელნი სწორედ „მცხეთიანნი“ „საყდრიონნი“ იყვნენ: „მწვრთნიდა მცხეთელი ზედგინიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწვრთნიდა იაშვილი გიორგი (მცხეთელივე, გ. ლ.), მზრდიდა სათუთად და ნებიერად“-ო[1].. ასე გადმოგვცემს ჩვენი დიდი მწერალი.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტის ყრმობა-სიჭაბუკეში არც მცხეთის კერას ჰქონია პირობები შესაფერი მყუდრო მუშაობისა, ლეკთაგან აკლების გამო.

შემდეგში დ. გურამიშვილი ბევრგან ჩივის „სწავლის სიმოკლეს“, „უწვრთელობას“ „ცოდნა-მცირობას“. მაშინდელ საქართველოს მძიმე პოლიტიკურ პირობებში დ. გურამიშვილს არც შეეძლო რიგიანი განათლების მიღება, მაგრამ მისივე ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი მაინც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული საჭირო აღზრდას.

გურამიშვილის დრო ყველაზე ტრაგიკული მომენტია საქართველოს ისტორიაში, როცა, ერეკლე II სიტყვით რომ ვთქვათ, „ოსმალნი პირამკმულნი ვეშაპებრ და სპარსნი მბრდღვინავ ლომებრ და ლეკნი განძვინებულ მგლებრ კბილ მოღრეჭენით: თავს ესხმოდნენ საქართველოს. პოეტის სიჭაბუკეში ქართლ-კახეთი, ამ უწყალო დაუძინებელ მტერთა მეოხებით, ერთს დიდ „ნატიალევს“ წარმოადგენდა.

პოლიტიკურ დაცემასთან ერთად იმ დროის ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ზნეობის დიდი შერყვნაც. მემატიანეს სიტყვით, სწორედ ამ დროს „შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა. და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის სყიდვა, მრუშება ვიდრე სოდომიამდე“. თვით დ. გურამიშვილის სიტყვისა არ იყოს,

შეიქნა დიდი მტერობა,
ქმნა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნება და შური,
ურცხვად გატეხვა პირისა.

ასე, მაგალითად, გურამიშვილის კარის მეზობლები — მცხეთელებიც აღიარებდნენ თავისი პირით: „დიაღ, ეშმაკი მოგვერია და ჩუენის ცოდვისაგან ერთმანეთის დიდი შური და მტრობა გვქონდა, რომ რასაც დღეს ერთმანეთს დავახელებდით, არც საჩხუბრად დავეშურებოდით, არც საბეზღარად“-ო. საერთო დემორალიზაციის დროს, გურამიშვილთა გვარშიც „შფოთი და შერყეულობა“ ყოფილა, ერთმანეთთან დავა, კინკლაობა, ინტრიგა, „სარჩელი, საჩივარი“.

ასეთ ვითარებაში იზრდებოდა მომავალი ავტორი „ქართლის ჭირისა“.

პოეტის მამა ღარიბად მოჩანს თავის განაყოფთა შორის. გიორგი გურამიშვილის და მისი ყმების ეკონომიურ შესაძლებლობაზე ერთი პატარა ფაქტიც კარგად მეტყველებს: 1713 წ., როდესაც გიორგი გურამიშვილის ერთ-ერთმა ყმამ ცხენი მოჰპარა ბატონის განაყოფს, მაშინ პოეტის მამამ დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად, რადგან ყმას საზღაურად არა გააჩნდა რა, შვილი წაართვა მას და მისცა ცხენის პატრონს. საბუთი 1713 წლისაა, როცა პოეტი 7-8 წლისა ყოფილა:

„ქ. ნებითა მღუთისათა, ესე წიგნი მოგეცი მე, გიორგიმა შიოშის შვილმა თქვენ, ძმამა ჩემმა ლავარსაბ, ძმისწულმა ჩემმა მერაბ, შენ, — გურამისშვილს დურმიშხანს: — ასე, რომე ჩემ ყმას თქვენი ცხენი მოეპარა და შეაჩნდა. აწე, ავდექით, სხვა საზღაური ვერ იშოვნა, შვილი წავართვით, მის საზღაურში მოგეცით.

არის ამისი გამრიგე და მოსამართლე ბატონი მეითარი ფარსადან, დავითა დივანი, ქაიხოსროვ გულისაშვილი, ქუმსი კო-

1 გიორგი იაშვილისა და მცხეთის მგალობელ ბერუკას შესახებ იხ. საქართველოს სიძველენი, I, გვ. 75, 1678 წ. ქვემ.

ბიასშვილი. მე ჰოქილაანთ ბაღდასარას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე თებერვლის ცხრას, ქორონიკონს უა" (ც. არქ. № 1236).

უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ პოეტის დაბადების ახლო წინახანებში, საგურამო მოოხრდა ერეკლე I და გიორგი XI ურთიერთ ბრძოლების დროს ანუ „ორიანობაში". გარეშე მტერთა შემოსევამ და შინაურმა უთანხმოებამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო გურამიანთა ოჯახის დაქვეითებასაც. მაგრამ მთავარი რისხვა როგორც გურამიშვილებისა, ისე მაშინდელ ქართლ-კახეთისათვის მაინც ლეკების მუდმივი შემოსევა იყო. სწორედ დავით გურამიშვილის ყრმობისა და სიჭაბუკის დროს, „ლეკმა ძალი წამოატანა კახეთს", „დღე არ გამოვა, რომ არსად მოუხდეთ და ყოველთვის ომი არ იქნას, — ჩივის კახეთის მეფე დავითი, — ხან ჩვენი ჯარი პასუხს აძლევს და ზოგან ჩვენს ჯარს გაემარჯვება ხოლმე, მაგრამ ამოდენი ომი და ხმალის ქვეშ ყოფა, კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის (კახეთის, გ. ლ.) კაცი დიაღ შესჯერდა. გლეხმა კაცმა სამუშაოდ ვეღარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს, ისინი (ლეკები) სწვენ" და იგივე დავით ჩივის, რომ გაღმა კახეთი გალეკდა, რომ 1720 წელს „ქიზიყი სულ დაწვეს, აყარეს და შენობა აღარა გაუშვეს რა".

მატიანეს არა აქვს მოხსენებული, მაგრამ მთელი რიგი საბუთებიდან ჩანს, რომ გურამიშვილის ყრმობაში, სახელდობრ 1712-1718 წ., „დროთა აშლილობა" შეიქნა და თან დიდი შიმშილიანობა ჩამოვარდნილა ქართლ-კახეთში. „ასე ძვირობა იყო, რომ ერთი კოდი ოთხ-ხუთ აბაზად არ იშოვებოდა"-ო, „მას ჟამსა როდეს დიდი შიმშილობა იყო, რომე დედა-შვილს არა იხსნიდა"-ო.

ამ მღელვარე დროისათვის ასევე აღსანიშნავია გლეხთა მოძრაობანი აგრარულ ნიადაგზე, სწორედ საგურამოს რაიონშიც.

სიჭაბუკის დღეებში დავით გურამიშვილს შეეძლო ერთობის ერთი ნათელი დღე მოეგონებინა — (სახელდობრ, 1719 წ.), როცა კახთა მეფე დავითი მოვიდა საგურამოს, ქართლის მეფე ვახტანგთან შესახვედრად და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. მეფეებმა ერთი პირის დასადგენად „განაახლეს სიყვარული და ჰქმნეს პირი". ეჭვი არაა, ერთობის ამ სახელოვან აქტის მოწმე უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა პატრიოტი დავით გურამიშვილი. მაგრამ ამ ერთობამ დიდხანს არ გასტანა.

1722 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, კახთა მეფის კონსტანტინე — მაჰმად ყულიხანის თარეშის საპასუხოდ ქართლის მეფის ვახტანგის ბრძანებით „მოარბევდიან საგურამოს". რაკი გურამიშვილები კახთა მეფეების ერთგულნი იყვნენ, ამიტომ საგურამოს ამ დარბევის დროს, პოეტის ოჯახიც, ვფიქრობთ, უნდა დაზარალებულიყო.

## ყრმობა, სიჭაბუკე

ჩვენ თითქმის არა ვიცით რა დავით გურამიშვილის ყრმობასა და სიჭაბუკეზე. „ქაცვია მწყემსის" მიხედვით, 16 წლის დავითს ცოლი უნდა შეერთო (1721 წ.). ერთი საბუთი გვაფიქრებინებს და ხალხური გადმოცემაც ამის დასტურს იძლევა, რომ პოეტის მეუღლე გარაყანიძეების ქალი უნდა ყოფილიყო სოფ. ლამისყანიდან.

ვახტანგ VI კულტურული და სამეურნეო მოღვაწეობა საკმაოდ ცნობილია და ჩვენ აღარას ვიტყვით მის შესახებ, განსაკუთრებით პოპულარული უნდა ყოფილიყო გლეხობაში ვახტანგის მიერ წამოწყებული სამეურნეო მშენებლობა მაშინდელ გატიალებულ ქართლში. გაკაფულ ტყეებზე სოფლების აშენება და სარწყავი არხების გაყვანა, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება. თვით ვახტანგს ერთს დღემდე უცნობ საბუთში ასეთი ფაქტი მოჰყავს თავისი სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ: „ოდეს ვიგულმოდგინეთ, ხელვყავი გამოღმა ხიდურის ბოლოს, ავლავრის სათავეში წყალი შევმატეთ; მერმე იქიდან გარდავაქცევინეთ და სხვა ახალი, მოუგონარი და უცილობელი რუ გამოვიღევით და ყიზილყალას ჩავიტანეთ. იქა და იმას ზეით, ჩვენი სახასო დიდი ურწყავი მინდვრები სარწყავად გავხადეთ, იმაში შენობა მოვინდომეთო".

ვახტანგის კულტურული პოლიტიკისათვის დამახასიათებელია, რომ მის სამეფო

კარზე კულტურის მსახურთა რიცხვი განსაკუთრებით სჭარბობდა: მეფის ახლობლები იყვნენ—პოეტები, ლიტერატორები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსნი, ღვთისმეტყველები, მთარგმნელები, კალიგრაფები. თავი რომ დავანებოთ ვახტანგის მოღვაწეობის დამამშვენებელს სულხან-საბა ორბელიანს და თვით დავით გურამიშვილს, საკმარისია გავიხსენოთ: კარის მდივან-მწიგნობარი ო ნ ა ნ ა-მგოსანი, მოლარეთ-უხუცესი ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე—მეისტორიე, მეფის სპატარი თამაზ—მამუკა ბარათაშვილი—პოეტი, მისი ძმა თომა ბარათაშვილი—მგოსანი, დედოფლის სახლთუხუცესი დ ე მ ე ტ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—პოეტი, ნ ი კ ო ლ ო ზ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — სასულიერო პოეტი, კარის მდივან-მწიგნობარი მელიქსედეკ კავკასიძე-ლიტერატორი, მთარგმნელი, კალიგრაფი, კარის დეკანოზი ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე—პოეტი, მემატიანე, მეფის სუფრაჯი გ ი ო რ გ ი მ ა ჩ ა ბ ე ლ ი — ქართლის ცხოვრების გადამწერი (s 2135), მეფის მეღვინე ე რ ა ს ტ ი თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ა შ ვ ი ლ ი—ლიტერატორი-მთარგმნელი, კარის მსახური დემეტრე სააკაძე — მგოსანი, კარის მსახური გ ი ო რ გ ი ჭ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი — მგოსანი, კარის მდივან-მწიგნობარი ყ ა რ ა ნ მარტიროზიშვილი — მგოსანი, აგრეთვე შიოშ თუ ერასტი ჯავახიშვილი და „ვახტანგიანის“ ავტორი (ბერი, ოტია თუ კაცია ფავლენიშვილი).

მაგრამ მეფის მიერ წამოწყებულ კულტურულ საქმიანობას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ.

უპირველესად, მეფით უკმაყოფილო სეპარატისტი ფეოდალები ყოველმხრივ აფერხებდნენ ვახტანგის საქმიანობას. თუ მეფემ რამდენიმედ სცადა მათი ალაგმვა, სამაგიეროდ ქართლის დიდებული თავადები და თვით ვახტანგისვე ძმები ფარულ ინტრიგებს აწყობდნენ მის დასამხობად. ყაენის კარზე მუდმივი დაბეზღებით ბოლოს მათ თავის საწადელს მიაღწიეს: 1712 წელს ვახტანგს ქართლის ტახტი ჩამოართვეს, სპარსეთში გაიწვიეს, ხოლო მის ნაცვლად მისივე ძმა, ინტრიგანი იესე დანიშნეს.

1719 წელს ვახტანგ მეფე სპარსეთის ტყვეობიდან დაბრუნდა და კვლავ განაგებდა ქართლს. 1722 წელს გარდაიცვალა დავით კახთა მეფე, რომელსაც კარგად ესმოდა ერთობის ძალა, მეგობრულ ურთიერთობაში იყო ვახტანგთან; ყოველ შემთხვევაში, ორივე მეფე შეთანხმებით მოქმედებდა, მაგალითად, ლეკების წინააღმდეგ. კახეთის მეფედ სპარსეთის ყაენმა დავითის ძმა, სპარსეთში აღზრდილი კონსტანტინე დანიშნა. იგი დიდხანს იყო ისპაჰანის ტარუღად და შემდეგ ერევნის ხანად და დიდი გავლენით სარგებლობდა ყაენის კარზე, როგორც ყაენის მიერ „შვილურათ გაზრდილი“ და „სიძე ირანის სპასალარისა“. ვახტანგსა და კონსტანტინეს არც მანამდე ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, „ერთმანეთზე გულძვირად იყვნენ“ (სეხნია ჩხეიძე), მაგრამ ახლა კი, ცალკე სპარსეთის წაქეზებით, ცალკე ქართველ ფეოდალთა მუხანათური მუშაობის წყალობით, ორ მეფეს შორის დიდი შუღლი ჩამოვარდა. შუღლის გამწვავებას თვით ვახტანგი სპარსეთის ინტრიგას აბრალებს: 1722 წლით დათარიღებულ საბუთში იგი გვამცნობს: „ყიზილბაშთა ჩვენს და კახეთს შუა ჩხუბი, მტრობა მოახდინეს“-ო.

ქართველი თავადების — არაგვისა და ქსნის ერისთავების, ორბელიანების, ციციშვილების — ინტრიგებს მეთაურობდნენ ვახტანგის ძმა ნამეფარი იასე, რომელიც ვახტანგის „მტერი და ქიშპი“ იყო, აგრეთვე გიორგი არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი შანშე და სხვ. მათმა მუშაობამ მალე თავისი სამწუხარო ნაყოფი გამოიღო. თავადების ღალატის, ქვეყნის დაქსაქსულობის შედეგად მძლავრად მოიკიდა ფეხი ლეკიანობამ, „მარადის იყო ესე ვითარი კირთება ლეკთაგან კახეთსა შინა“, ლეკთა აგორებული ტალღა იმდენად მძლავრი გახდა, რომ მან არა თუ ქართლ-კახეთი წალეკა, არამედ ყარაბაღი, შაქი, შირვანი და ქ. არდაველიც კი ააფორიაქა. სწორედ ამ დროს, როცა შეერთებული ძალებით ბრძოლა იყო საჭირო საერთო მტრის წინააღმდეგ, მოხდა საბედისწერო გადაკიდება და შეცილება ვახტანგისა და კონსტანტინესი, უკეთ, მათი პარტიებისა. „მაჰმადიანი, ამაყი და მესისხლე“ კონსტანტინე დაბეჯითებული ირანოფილი იყო, ხოლო განათლებული ვახტან-

გის პოლიტიკური პროგრამა შორეულ რუსეთთან კავშირს ღაღადებდა.

რუსეთი იყო მისთვის განხორციელება არა მარტო ძლიერებისა, აგრეთვე ცოდნისა, მეცნიერებისა, სიბრძნისა და წესრიგიანობისა. ვახტანგი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, ქართლში გამეფებამდე, აპირებდა რუსეთში წასვლას, იმდენად დიდი იყო მისი სწრაფვა რუსეთისადმი. ასევე, სპარსეთში ტყვეობის დროსაც (1715 წელს) მისი ბიძაშვილის — არჩილის ასულის დარეჯანის პირით, იგი შუამდგომლობდა კიდეც რუსეთის კარის წინაშე, რათა გაეთავისუფლებინათ ტყვეობიდან და რუსეთში მიეღოთ.

1720 წლიდან პეტრე პირველმა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო კასპიის ზღვის სანაპიროთა ხელში ჩასაგდებად, როგორც სამხედრო სტრატეგიული, ისე სავაჭრო ეკონომიური მოსაზრებებით.

ვახტანგი, ისევე როგორც ქართული საზოგადოების ყველა პროგრესული წარმომადგენელი. რუსეთში ხედავდა დიდ, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ძალას, რომლის დახმარებით საქართველოს შეეძლო გათავისუფლება „როგორც ხონთქარის ოსმალეთის, ისე ყაენის ირანის მონობისაგან და შესაძლებლობის მიღება თავისი არსებობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განსავითარებლად“.

ჯერ კიდევ 1720 წელს პეტრე პირველმა დაავალა ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის ვახტანგის სამხედრო მოკავშირედ მიმხრობა, რასაც ქართლის მეფე დიდი სიხარულით შეეგება.

შემდეგში, 1721 წ. პეტრე პირველმა ვახტანგს ელჩი გამოუგზავნა (ლევ ტოლსტოის პაპის პაპა) და ვახტანგმაც პეტრეს მოკავშირეობა გადასწყვიტა.

სპარსეთის შაჰმა შეიტყო ვახტანგის განზრახვები და 1723 წლის 10 იანვარს ჩამოართვა მას ქართლი და თავის ერთგულ კონსტანტინეს უბოძა.

წინააღმდეგ ვახუშტისა და სხვათა შეხედულებისა, დ. გურამიშვილს კონსტანტინე გამოჰყავს გონიერ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად, რომელსაც, პოეტის აზრით, კარგად ესმის ძალა ერთობისა და მიზეზიც საქართველოს დაქსაქსვისა.

გურამიშვილი ათქმევინებს კონსტანტინეს:

თუმცა მიბოძა ყეენმა,
არ მხამს მიღება ქართლისა,
ამად, რომ მტერთან დამდნარნი
ვართ ვით ნალვენთი სანთლისა.
მე მტრად სხვანიც შეყოფიან,
ძმასა რადღა დავმტერდები;
იმას ისევ ქართლი ჰქონდეს,
მე ჩემს კახეთს დავჯერდები [1].

მაგრამ კახელმა ფეოდალებმა ხელახლა გაილაშქრეს თავიანთ მეფის წინააღმდეგ და ვახტანგისა და კონსტანტინეს მოსალაპარაკებელი „შეყრა ჩაშალეს“ ალავერდელის, ეპიფანე მაყაშვილისა და ვახტანგის ძმის იესეს მეთაურობით. კახელების ანგარიში იყო ქართლის აღება და მერე შეერთებული ძალით ლეკთაგან განთავისუფლება: „არამედ კახთა მსმენელთა და უმეტეს ალავერდელმან უარჰყო ესენი, ჰგონებდნენ დაპყრობასა ქართლისასა, და მერმე ამით შემუსვრასა ლეკთა და განთავისუფლებასა მათგან“, რადგან „კახეთი იყო მარად ხდომა-ტყვეობა-ოხრებისა შინა ლეკთაგან“ (ვახუშტი).

პირადი ინტერესებით გატაცებული ფეოდალების მეოხებით მალე დაიწყო ძმათა ომი (1722 წ.), „ვახტანგზე შემომწყრალმა კონსტანტინემ „მოიყვანა ლეკნი“, წარუძღვნა კახნი და მოსტყვევნეს სრულიად ლილოები“ (ვახტანგის სახასო სოფელი). მალე ვახტანგმა სამაგიერო გადაუხადა კონსტანტინეს. ვახტანგის ბრძანებით, მისი შვილი ბაქარი და ძმა იესე მივიდნენ მცხეთას და საგურამო მოარბიეს, როგორც კონსტანტინეს სანაპირო მამული, ამნაირად, ძმათა ბრძოლის პირველ მსხვერპლად დ. გურამიშვილის სამშობლო კუთხე გამხდარა.

ბოლოს კახელ ფეოდალთა ზემოქმედებით

1. ასევე გადმოგვცემს ვახუშტი, როცა ყაენმა ქართლი მისცა კონსტანტინეს სამეფო თათბირზე, უკანასკნელმა განაცხადა „ფიცვართ მყოფ და ვჰგონებ იმყოფის ამის შფოთი დიდი. აწ მნებავს, რათა წარუგზავნო რაყამი და ვაცნობო ვახტანგს, ამითი იქნას უმეტეს სიმტკიცე ჩვენ შორის“.

კონსტანტინემ, გარდა სპარსელებისა, რომელნიც მას ახლდნენ, დაიქირავა ლეკის ჯარი, მოიმხრო განჯის ხანი, „მოვიდა და დასდგა ავლაბარს“. ვახტანგს, ქართლელების გარდა, ეხმარებოდნენ იმერლები და რაჭველები. კონსტანტინეს ხელს უწყობდა აგრეთვე გამყიდველი ქართლის არისტოკრატიის ნაწილიც არაგვისა და ქსნის ერისთავები, ორბელიანები, რომელნიც თბილისის ბრძოლაში მოღალატურად შემოეცალნენ ვახტანგს და თავიანთ მამულებში წავიდნენ.

სამი თვის ბრძოლების შემდეგ, 1723 წ. 4 მაისს, თბილისი აღებულ იქნა კონსტანტინეს მიერ ლეკებისა და ყიზილბაშის ჯარების დახმარებით.

სწორედ ამ დროს აინგრა დ. გურამიშვილის ბუდე — გორის-უბანი, რომელიც ამის შემდეგ სრულიადაც გაჰქრა რუკაზე და დღემდე აღარც ამდგარა ფერფლიდან. გორის-უბანი დღესაც ტყედ არის ქცეული.

კონსტანტინეზე ჯავრის ამოსაყრელად ვახტანგმა ოსმალნი მოიწვია, რომელთაც იმავე 1723 წელს, ივნისში თბილისი დაიჭირეს. ცხადია, ეს შურისძიების გრძნობით გამსჭვალული ვახტანგის შეცდომა იყო, ამის გამო პოეტი უკიჟინებს ვახტანგისა და კონსტანტინეს აჩქარებას, წინდაუხედაობას:

მეტად უზომოდ გაჯავრდნენ,
ვერ გასძლეს გულის ჯავრნია,
აჩქარდნენ, ველარ გასინჯეს
მათ საქმე ნასინჯარნია,
მტერს ნებით კარი განუღეს,
მაგროვნად დანაჯარნია;
კახთ იხმეს ლეკნი საშველად,
ქართველთ-ოსმალოს ჯარნია.

ოსმალებმა მოათავეს ლეკებისაგან ამოწყვეტილი და დატყვევებული ქართლ-კახეთი, „ქართლი მოთხარეს სრულობით“. ასე, ლეკთაგან აკლებული თბილისი ოსმალთ ისე მოაოხრეს, რომ მრავალი მისი უბანი („ავლაბარი“, „გარეთუბანი“ ) მე-19 საუკუნის დამდეგამდისაც ისევ აოხრებული იყო. ავლაბარი 1803 წელსაც კი „სოფლის“ სახელს ატარებდა.

ძალადამართებელი, დამარცხებული ვახტანგი 1724 წ. რაჭის გზით რუსეთს გაემგზავრა, ორი ათასამდე მხლებლის თანხლებით. ვახტანგს გადაჰყვა მთელი სამეფო კარი, რჩეული თავადაზნაურობა, მაშინდელი ქართული ინტელიგენციის „ნაღები“ — „დიდნი თუ მცირენი“, „დარბაისელნი და მსახურნი“ ვახტანგს ეახლენ „ყოვლის სახლიდან“... და „ზოგნი უმეტეს დედა-წულითურთ“. ამ გარდახვეწილთა შორის იყვნენ აგრეთვე მწერლები და მოღვაწენი: სულხან-საბა ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, ერასტი თურქისტანიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი მაჩაბელი, მელიქსედეკ კავკასიძე, გიორგი ჭაბუკაშვილი, დემეტრე საakaძე, ყარან და ონანა მდივნები, ნიკოლოზ მროველი, ჯავახიშვილი და სხვანი.

ვახტანგის რუსეთში გამგზავრება ასეთი დიდი ამალით მარტო თავის გადარჩენის მიზნით კი არ იყო გამოწვეული, არამედ, უმთავრესად, იმ გარემოებით, რომ მას მიზნად „ჰქონდა დასახული, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება“ (ვ. დონდუა).

დარბეულ და გაჩანაგებულ ქართლ-კახეთში ოსმალთ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს. ისინი საშინელი სისასტიკით სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. მათ აღწერეს ქართლი, დაადვეს ხარკი, კაცს — სულზე დრაჰკანი, ცხვარზე — ორი შაური, ძროხაზე — აბაზი, კამეჩსა და ცხენზე —ექვსი შაური, მოსავალზე: ხილზე, ხუთი თავი „და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი“.

იმდროინდელ საბუთებში ხშირად შეხვდებით მონობით შეწუხებულ ქართველთა ჩივილსა და კვნესას „ავი დროს“, მწარის ტყვეობისა და აოხრების „შესახებ“: „დაიწერა წიგნი, ურუმთ რომ ქართლი დაიჭირეს და ბევრი ავი ქნეს. ტყვე და საქონელი ბევრი წაიღეს ვახტანგის მეფობაში, ლეკმა ურუმმა“.

ამ დიდ უბედურებას ზედ დაერთო ქართველ ფეოდალთა გამცემლობა და მუხანათობა: „არამედ შურითა ურთიერთთა, ქართველთა იყო უუფროსესი ჭირნი

და არბევდიან და ძარცვიდიან ოსმალნი და შესმენითა მათითა".

ლეკების თავდასხმებისა, თურქების ხარკისა და მტარვალობისაგან შეწუხებული მოსახლეობა თავზარდაცემული და გზააბნეული გარბოდა: „ქართლი აირია, ქვეყანა სულ დაიფანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში, ხომ მტერმა შეაწუხა".

ამ საშინელებას ზედ დაერთო სტიქიური უბედურებაც: „რამეთუ მხეცნიცა მიეტევნენ სჭამდნენ ურიდად მრავალთა. კვალად მოვიდა სირი-ჭიჭყავი, რომელთა დააბნელიან მზე და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს საუკუნო. კვალად სხვაცა მომსვრელი ჟამითა (ჭირითა) ძლიერი".

ამრიგად, მაშინდელი საქართველო, მართლაც, „მტერთაგან შეიწროებული და მრავლის ჭირისაგან დამძიმებული ქვეყანა" იყო, ანუ როგორც ვახტანგ მეფემ განაცხადა (1730 წ) რუსეთში: „საწყალი, დაღუპული საქართველო"!

ქართველთა გადარჩენილმა ნაწილმა მტერთან გამკლავება გადაწყვიტა. 1723 წ. 14 ოქტომბერს ქართლ-კახეთ-თუშ-ფშავ-ხევსურნი შემოერტყნენ გორის ციხეს, სადაც ოსმალთა დიდი ჯარი იდგა, მაგრამ იერიში ვეღარ მოასწრეს, რადგან თბილისიდან მტერს დიდი მაშველი ჯარი შეემატა, რომელსაც წინ უძღვოდნენ რენეგატები — იესე ნამეფარი და სულხან-საბას ძმა — ერასტი ორბელიშვილი. მოხდა სისხლისმღვრელი „ატენის ომი". გამარჯვება ჯერ ქართველების მხარეზე იყო, ბოლოს კი ქართველი პატრიოტები ღალატით დამარცხდნენ. ამგვარად, „ქართლი ისევ ქართველებს დააქცევინეს".

ატენის ომში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ჭაბუკ პატრიოტ პოეტს დავით გურამიშვილსაც, იგი როგორც ატენის ომის შემსწრე გადმოგვცემს:

ვაიმე, ამის სათქმელად
პირი გამიხდა წკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი,
ზედაველაზე დატევით,
მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა
პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა
შინათვე ნაღალატევით.
. . . . . . . .
ვაი, იმ დღეს! ოსმალონი
ბევრს უბრალო სისხლსა ღვრიდენ,
საცა შეხვდათ მუშა-კაცი,
გლახა, მწირსა, თავსა სჭრიდენ,
გოდორს თავი აკლიაო,
ცხრის ურმისა ზარში ყრიდენ,
ტანთ-მარხველი არა ყვანდა,
მელა-ტურა გამოხვრიდენ.

„ატენის ომმა" საბოლოოდ გატეხა ქართლ-კახეთი და განამტკიცა დამპყრობთა ძალა. ამის შემდეგ ოსმალთ „დაიპყრეს ყოველი ქართლი" და სასტიკად დახარკეს. მაგრამ აჯანყების ცეცხლი არ ჩამქრალა ქართლ-კახეთში და განმათავისუფლებელი ბრძოლა ენერგიულად სწარმოებდა. ამ ბრძოლებში გამოიჭედა დავით გურამიშვილის სიჭაბუკე.

დ. გურამიშვილმა საგურამო დასტოვა ლეკ-ოსმალთა შემოსევისას, 1723 წელს.

მტრისგან აკლებულ საგურამოდან მარტო დავითის ოჯახი არ გარდახვეწილა. როგორც საბუთებიდან ჩანს, გურამიშვილთა განთავისუფლებულ ოჯახის სხვა წევრებიც ქართლის სხვადასხვა კუთხეს შეჰხიზნიან. გურამიაანთ ბუდე აშლილა და მათი დიდი კერა დანგრეულა. თავზარი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოსახლეობა თავის ბატონებითურთ დიდხანს არ უბრუნდებოდა კერას. ასე, სპარსთაგან დადგენებული კახთა მეფე ალექსანდრე 1736 წ. მოუწოდებს დავითის ახლო ნათესავ გურამიშვილებს, „რომე ჩვენგან და ჩვენის ბრძანების მომსმინოს კაცისაგან თქვენ არა გევნოს და არც არა გეზიანოს, არცა გაღარიბებითა, არცა დაშაეებითა, დაპატიმრებითა და წამოდით, რასაცა მამულის მქმნელნი ყოფილიყვენეთ, ისიცა ისრე გიბოძოთ"-ო (ც. არქ. ფ. 1450. 19 № 105).

ლეკ-ოსმალთა შემოსევის დროს, 1723 წ. ზაფხულს, პოეტის სოფელი გადაუწვავთ. დამწვარა პოეტის სახლ-კარიც. თვით დავითი გვიმოწმებს, რომ მისი სახლი „მტრით დაცემული, ცეცხლს მიცემული"-ა, მეორეგან დავითი გმინვით ამბობს:

მე დამწვარსა და დაგულსა,
სახლ-სამკვიდრო დაკარგულსა.
ცეცხლმა დამიწო სახლკარი,
ვამე, ჯავრი მჭირს მის სრისა!

ცხადია, დავითი აქაც გორის-უბნის მამეულ სახლზე — „სრაზე“ ლაპარაკობს. არავითარი საკვეხარი „სრა“ (სახლკარი) მას მირგოროდში არ უნდა ჰქონებოდა, ისევე, როგორც „ხეივანი“ და „გალავანი“.

1723 წლიდან საგურამო და მისი მეზობელი სანახები მუხრანში, წილკანი, მცხეთა ლეკთა სათარეშო სარბიელად იყო გამხდარი. ყოველდღიური ბრძოლები იმართებოდა. ჯერ კიდევ ვახტანგის ქართლში ყოფნის დროს, ქართველობა ხშირად ებრძოდა წილკნისა და მუხრანის სიმაგრეებში ჩასაფრებულ ლეკებს, თვით ვახტანგის მონაწილეობით, ხოლო 1723 წ., როცა ვახტანგის განკარგულებით, მისი ძე ბაქარ მივიდა მუხრანს „მოწყვეტად ლეკთა“, ველარ მოეწია“, „რამეთუ გაესწრათ ლეკთა საგურამოს“ (ვახუშტი). მაშასადამე, ამ დროს საგურამო უკვე ლეკთა ბანაკად იყო გადაქცეული. ხოლო როგორც საგურამო, ისე მეზობელი სამუხრანო, „მკვიდრთაგან ცარიელი იყო და მიმობნეული იყვნენ მოსახლენი ამისნი“.

თბილისის ომის და დატყვევების შუა ხანებში დავითი შეჰხიზვნია ლამისყანას, ცოლეულის სოფელს. ლამისყანა ძველთაგანვე „ერისთავების მამული“, აზნაურ გარაყანიძეების ადგილ-სამყოფელი იყო. ამ ფაქტის გათვალისწინებასთან ერთად, საგულისხმოა ერთი, ახალი საბუთი, რომელიც, ჩვენი აზრით, დავით გურამიშვილს გარაყანიძეების სახლთან უნდა აკავშირებდეს. ცხადია, მარტო ამ საბუთით არა კმარა გურამიშვილის გარაყანიძეებთან ნათესაობაზე აზრის გამოტანა, მაგრამ ხალხური, ადგილობრივი, ლამისყანური გადმოცემა დაჟინებით ამბობს, რომ დავით გურამიშვილი გარაყანიძეთა სიძე იყო. ამასვე იმეორებს გარაყანიძეთა საგვარეულო ტრადიციული გადმოცემა. მოგვყავს საბუთი, რომელიც მცირედ, მაინც ნათელს უნდა ჰფენდეს პოეტისა და გარაყანიძეების ოჯახურ სიახლოვეს:

„ეს წიგნი მოგეცით მე, გოდერძიმ ტუსიშვილმა, შენ გარაყანიძეს ფარემუზს, ასე რომ, ამას წინ შენი ყმა შარაბიძე ვიყიდე და ახლა დამეჭირა და ისევ შენ მოგყიდე. იმის ნასყიდობის წიგნი მქონდა. ის წიგნი ხელში ველარ ჩავიგდე. თუ ის წიგნი ჩავიგდე ხელში, მოგცე, თუ ვერ მოგცე, აწ წიგნმა გაამტყუნოს. ვისაც ხელში გამოჩნდეს, იმ შარაბიძის მამულს, რაც რომ ქონდეს ან მამული ან დედული, მთით, პირით, წყლით, წისქვილით, ვენახით, სულ ისე მამიცია. არის ამის მოწმე თავათ ღმერთი, კაცი ქაიხოსრო გურამიშვილი, გიორგი ყოდაიშვილი, მე გურამიშვილის დავითს დამიწერია და მოწმეც ვარ ამისა“ და სხვ. (ც. არქივი, 17, № 155).

ამგვარად, ეს საბუთი ერთადერთი უნდა იყვეს დ. გურამიშვილის მიერ საქართველოში დაწერილი. იგი გვიდასტურებს, პოეტის სიახლოვეს იმ ოჯახთან, საიდანაც, ხალხური გადმოცემით, ყოფილა მისი პირველი ცოლი.

როგორც ჩანს, ლეკიანობისა და ურუმობის გამო, გურამიანთ ოჯახიც ჯერ ქსნის ხეობაში გახიზნულა, ისე როგორც ლტოლვილ კახელთა უმეტესობა. მემატიანეს ნათქვამი აქვს, რომ ქსნის სიახლოვეს, გრემის ხევს, ლეკები დაეცნენ, „მოსტყვევნეს და აღიღეს ალაფი კახთა ხიზინთა“-ო. ამ „კახელებში“ გურამიანნიც უნდა იგულისხმებოდნენ. ატენის ომის შემდეგ, თვით პოეტის პატრონი, კახთა მეფე კონსტანტინე ქსნის ხეობას შეეხიზნა, რადგან კახეთი უკვე ლეკს ეჭირა.

ეჭვი არაა, კარის ერთგული მოხელე გურამიშვილებიც ამ დროისათვის კონსტანტინესთან უნდა ყოფილიყვნენ. ვფიქრობთ, ჭაბუკი დავით გურამიშვილიც, ატენის ბრძოლის მონაწილე, ვერ დაშორდებოდა თავის პატრონს, რადგან სხვა გასაქანი, როგორც კონსტანტინეს ქვეშევრდომს, აღარ ექნებოდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ უნდა მოხვედრილიყო გურამიშვილი ქსნის ხეობაში და არა მხოლოდ გარაყანიძეებთან დამოყვრების საბაბით. ვახტანგ მეფე თბილისის დაცემის შემდეგ ლამისყანის მიდამოებში იმყოფებოდა და აქ, როგორც ვთქვით, მუხრანსა და წილკანში გამაგრებულ ლეკებს ებრძოდა; აქ — ლამისყანასთან, ოკამს, ოსმალთ ვახტანგს შეჰფიცეს

მეფობის მოუშლელობა: აქედან, ქსოვრისიდან, 1723 წ. ვახტანგი ებრძოდა ლეკებს, ლამისყანის გარემო, სადაც პოეტი ცხოვრობდა, დაუცხრომელი ბრძოლების ველად იყო ქცეული და, ეჭვი არაა, დავით გურამიშვილიც უნდა ყოფილიყო სამშობლოს დაცვის ერთ-ერთი მონაწილე. აქ ლეკებთან ერთად ბრძოლაში, ვახტანგს „აიძულებულსა წამოსვლად უბრკუმა ცხენსა და დაეცა... და იხილა მეფემან ესე ვითარებანი ქართველთა, იწყო სხვისა განზრახვა", ე. ი. რუსეთში წასვლა.

მალე „ურუმთა დაიჭირეს" ქსნის საერისთაო, „ქსანი მოარბიეს".

საკითხავია, როცა ქსანში მყოფ კონსტანტინეს „დაუძვირნეს ყოველნი საზრდელნი ქსნის ხეველთა", როცა მან „ველარა იტვირთვა უპატიობა შანშესაგან და მოვიდა ფშავს და წარიყვანა ძმაცა თვისი თეიმურაზ დედა-წულითურთ". იახლა თუ არა ამალაშემოძარცულმა მეფემ გურამიანთ ოჯახიდან თავისი ახალგაზრდა მხლებელი — მეომარი დავით გურამიშვილი ფშავს, სადაც კონსტანტინე იმყოფებოდა, „წელსა ერთსა იწრობითა დიდითა", საამისო ცნობა არ მოგვეპოვება, მხოლოდ საქმის ახლო მცოდნესავით კი აგვიწერს დ. გურამიშვილი კახელებისა და კონსტანტინეს გაჭირვებულ ყოფას ს. თვალივში (ფშავი):

კახმა ბატონმა მიმართა
ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლშვილით თვალივსა
ძლივს ფეხი მოიკიდესა:
რაც ხანი იყვნენ სარჩოსა
ვერც სთესდნენ, ვერცა მკიდესა,
რაც ახლდათ თვისი საუნჯე,
სულ პურლვინოზე ყიდესა.
(„ჭირი ქართლისა")

ამ საშინელი არეულობის დროს—1728 წ. მომხდარა დავით გურამიშვილის ტყვეობაც, როდესაც „მოყვრის ყანას" თავს ადგა, ლამისყანაში:

არ შეყრილიყო ჯერ მუშა,
იყვნენ მოსასვლელ შ ო რ ი თ ა.

მაშასადამე, მუშა „შორიდან" ყოფილა მოსასვლელი, რაკი დავითი გარაყანიძეების მამითადში იყო, ცხადია, ყანის მკის მუშებადაც მათი ყმები უნდა ყოფილიყვნენ. ადგილობრივ ყმებს გარდა, გარაყანიძეებს ჰყავდათ გლეხები ზემო-აჭალაში, ბიწმენდში (საგურამოს მეზობლად) და ერწოში (სოფ. თოლეჯი, გორანა, ნოტოკრა). ვფიქრობთ, რომ მამითადის მუშები სწორედ ერწოდან უნდა ჩამოსულიყვნენ, „შორი" მთის მაგარი ადგილიდან, რადგან ბარად მუშახელი ამოწყვეტილი და სრულიად გაფანტული იყო ლეკიანობისა და ოსმალთა მტარვალობის გამო. იმავე დროს, ერწოელები განთქმული მკელები იყვნენ.

მიღებულია აზრი, რომ ლეკებმა პოეტი მარტოდ მარტო დაატყვევეს, მაგრამ მისი პოემის მიხედვით ამ საბედისწერო დღეს მამითადის მოსამზადებლად დავითი ორი კაცით წასულა:

დილაზე ავდექ, წინასწარ
წაველ კაცითა ორითა.
ჩ ვ ე ნ თურმე გვნახეს, მოგვმართეს
ლეკთა ირტოზის გორითა.
მუნ ახლოს წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდენ,
თხუთმეტი კაცი მზირადო.

ამრიგად, ლექსში პოეტი მარტო თავისთავზე არა ლაპარაკობს. აშკარაა, რომ დატყვევების მომენტში დავითი მარტო არ იყო: მასთან ერთად „სალუქაანთ" წყაროზე კიდევ მისი ორი თანმაახლი კაცი ყოფილა, მამითადის ხარჯის მოსამზადებლად. მაშასადამე, თხუთმეტი ლეკი თავს დაესხა სამ კაცს და, ცხადია, დავითთან ერთად ის ორი კაციც ვერ გადაურჩებოდა ლეკის ტყვეობას. საკითხავია, ვინ იყვნენ ის ორნი? ეჭვი არაა, დავითის ანუ დავითის მოყვრის ახლობელი ადამიანები, შეიძლება ოჯახის წევრებიც, ვფიქრობთ, მისი მოყვარე ან ცოლისძმა, რომლის გამოც ცრემლს ღვრის პოეტი:

აწ ნუ გამყარე კაი მოყვარე,
მისთვის მწუხარე ან გამახარე.

შესაძლოა ამ „ორში" თვით გურამიანთ ოჯახის რომელიმე წევრიც იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში, საცნაურია, რომ და-

ვითის ბიძაშვილი (და არა ბიძა, როგორც დღემდეა აღიარებული) **მ ე რ ა ბ  გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი** მოსკოვს ჩასულა სწორედ დავითის რუსეთში ჩასვლის ხანს, სახელდობრ, 1729 წელს. ხომ არ იყო მერაბ გურამიშვილი ერთერთი იმ „ორ კაციდან", რომელნიც ლამისყანის წყაროსთან დაატყვევეს პოეტთან ერთად"?

თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითთან ერთად ლამისყანაში გახიზნულან გურამიანთ ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მერაბ გურამიშვილიც.

ამრიგად, შესაძლებელია დავითთან ერთად დაატყვევეს მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და მისი ცოლისძმა „მოყვარე" გარაყანიძე, თვით წევრი იმ ოჯახისა, რომელსაც მამითადი ჰქონია მოწვეული.

ლამისყანიდან ხელ-მხარშეკრული დავით გურამიშვილი ლეკებს ქსანზე უნდა გადაეყვანათ, ალბათ გაატარებდნენ ილტოზის ხევს, მერე მჭადიჯვრის ველით, ბერთამთით, ნაოზის მიდამოთი — არაგვზე და მერე გაღმა, ჭოპორტის მთით ტყე-ტყე ზედაზნის მთის შესართავამდის, იქიდან ერწოთი თუშეთის მთით — დაღესტანში.

პოეტი ჩაუყვანიათ ოსოქოლაში, რომელიც კავკასიის უმთავრეს ქედზე მდებარეობს. „დიდათ მიაჩნდათ სოფელი ესე ოსოქოლა, სადგური ხანთა, — ამბობს პლ. იოსელიანი, — შეუვალი მტერთათვის, ექვსასისა კომლისა შემჭურვილისა ლეკისა ბოლაში და ნაყოფიერებითა მდიდარი მთათა ადგილთა შორის".

დაღესტანში დ. გურამიშვილი ხაროში ჰყოლიათ „ბნელში მდებარედ".

ჩვეულებისამებრ ლეკებს დავითის გაყიდვა დაუპირებიათ, ალბათ ყირიმელ თათრებზე.

„უსასყიდლოდ მიღებული, გასასყიდლად დამაშურეს"ო, გადმოგვცემს პოეტი და, მართლაც, სულ ადვილი შესაძლებელი იყო დავით გურამიშვილი მოსკოვისა და მირგოროდის ნაცვლად კონსტანტინეპოლისა თუ ალჟირის ტყვეთა ბაზარზე მოხვედრილიყო.

ვახტანგის ამალის ყოფილი წევრი და შემდეგ რუსთა მოხელე, საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის წევრი დავით აბაზაძე 1748 წ. კოლეგიას მოახსენებდა: ლეკები უამრავ ქართველებს ატყვევებენ, მაგრამ მათი შენახვა არ ძალუძთ, სიღარიბისა თუ მიწის სიმწირის გამო. ცხვრებივით შეკრულები ქვეითად მიჰყავთ თავის მებატონეებთან და ჰყიდიან ყირიმელ თათრებზე. ხოლო მათ ბატონებთან და მათ სამფლობელოში ყირიმიდან და ყუბანიდან მოდიან თათრები და შემოაქვთ ტილო, ყუმაში ჩითეული, ქაღალდის მატერიები, აგრეთვე ხმლები, ტყვია, თოფის წამალი, კაჟი და სხვა. აგრეთვე ცხენები, რაც მათ ძალზე სჭირდებათ, ამიტომ ტყვეებს სცვლიან ზემოხსენებულ საქონელზე სულ მცირე ფასად, ხოლო თათრებს ის ტყვეები ხელშეკრულები, დაჭედილები მიჰყავთ ყირიმში, ყუბანში და იქ მათ ტირანულ წამებას აყენებენ"-ო. (МИД, 1748 წ. 10. II, ფ. ფ. 34-35).

პოეტი გადაურჩა ამ ტირანიას. მან გაპარვა მოახერხა, თუმცა პირველ გაპარვაზე დაიჭირეს და სცემეს:

დამიჭირეს,
რათ წახველო, დამპალურეს.

დავითი ხელმეორედ გაპარულა, ახლა უკვე სხვა გზით. მან გეზი რუსეთისაკენ აიღო. იგი შეგნებულად მიდის ამ გზაზე, ისიც იცის, რომ ვეღარ დაბრუნდება საქართველოში:

გული ტიროდა ცრემლითა,
თვალები მეგუბებოდა,
ვიტყოდი, ვაი მოყვასნო,
ჩემთვის დაკარგულებო — და!

ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ გურამიშვილის ლექსები ტყვეობაზე დაწერილია დაღესტანში, ტყვეობის დროს, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, თვით ლექსიდანვე ჩანს. მაგ., ლექსში „სამების ვედრება გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან" პოეტი ღმერთს ევედრება: „დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ, მიბოძეო". ცხადია ეს უკვე სიბერის ნატვრა იყო და არა დაღესტნის ორმოში ჩამწყვდეული ჭაბუკისა.

ლექსში „მზეთამზის ვედრება", რომე-

ლიც იმავე დროს ტყვეობის განწყობილებების და სულთქმის გამომსახველია, დავითი ღაღადებს „გამჩენისადმი“.

თვალთა დამაფარე ბადე,
მიხილე მე ბრმასა თვალი.

დავითი კი მხოლოდ სიბერეში დაბრამვდა, ამის გარდა, ამ „ლექსის ხმას“ ანუ მოტივს, გურამიშვილისავე სიტყვით, „ეწოდება რუსულად „*მასონ*“; ჩვენ კი ვიცით, რომ დაღესტანში მყოფმა პოეტმა არც რუსული იცოდა, არც „მასონობა“ და არც „მასონის“ სიმღერა.

ტყვეობიდან გაპარვის შემდეგ, ვფიქრობთ, დავითს უნდა ევლო გუმბეთ — დილიმის მიმართულებით ხასავ-იურტისაკენ, შესაძლოა გასულიყო — „ენდრეის აულში“ (თერგის ოლქი), რომელსაც რუსები „Андреева деревня“-ს ეძახდნენ. ეს აული, რომელსაც დღეს ანდრეი აული ეწოდება (ქართულ საბუთებში ცნობილია „ანდრიას“ სახელწოდებით), ქართველი ტყვეებით განთქმული სავაჭრო პუნქტი იყო. სხვათა შორის, „ანდრეი აულში“ დღესაც ცხოვრობს მთელი გვარეულობა „აზნაურის“ გვარწოდებით, რომელიც ქართულ წარმოშობას ჩემულობს.

თერგიდან გურამიშვილი ასტრახანს წასულა, რომ იქიდან ცარიცინ-ვოლგით მოსკოვს ჩასულიყო, სადაც ვახტანგის ამალაში მას ამდენი ნათესავი და ნაცნობი უნდა ჰყოლოდა. ვფიქრობთ ასტრახანში მას შემთხვევით ხელსაყრელი პირობები უნდა აღმოსჩენოდა მოსკოვში გამგზავრებისათვის. რუსეთისაკენ მგზავრობა კი იმ დროისათვის მეტად საძნელო საქმე იყო, ეტყობა, ამ საქმეში პოეტს ვინმე დიდად გავლენიანი პირი დაეხმარა. საყურადღებოა, რომ სწორედ 1728 წელს — გილანიდან ასტრახანზე გამოვლით მოსკოვს დაბრუნდა ვახტანგ მეფე. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ხომ არ შეიერთა ვახტანგმა გურამიშვილი თავის ამალაში? საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დროს, ასტრახანში მოსკოვიდან ჩასულა ბაქარის ამალის ნაწილი. ისიც ვიცით, რომ 1729 წელს, ე. ი. პოეტის მოსკოვში ჩასვლის წელს, ნოემბერს, ასტრახანიდან მოსკოვში დაბრუნდა ვახტანგის ძმა სვიმონ ბატონიშვილი. ამასთან დაკავშირებით ისიც მოსაგონარია, რომ 1729 წელს, ოქტომბერს, ასტრახანიდან მოსკოვს ჩავიდა არაგვის ერისთავის ძე — არქიმანდრიტი რომანოზი თავისი ამალით, ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტყვეობიდან ასტარხანში ჩასული გურამიშვილი ერთ-ერთ ამ ზემოთ დასახელებულ *დიდგავლენიან პირთა თანამგზავრი უნდა გამხდარიყო* ასტრახანიდან მოსკოვამდე.

მოსკოვში ჩასული პოეტისათვის ვახტანგსა და ბაქარს „ჯაბადარბაშის“ თანამდებობა ანუ „სახელო“ მიუციათ, მიღებულია აზრი, თითქოს, დავით გურამიშვილი „მეფეთა თოფ-იარაღის გამგებელი“ იყო (პ. უმიკაშვილი, დავითიანი, გვ. 7). მაშასადამე, მოსკოვში საკმაოდ საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა. და ამის მიხედვით, მისი ნივთიერი მდგომარეობაც სახარბიელო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი დასკვნით, გურამიშვილს მოსკოვში შედარებით მცირე თანამდებობა სჭერია, სახელდობრ „ჯაბახანის“ „ზედამხედველისა“ და არა „გამგებლისა“. 1724 წელს „დიდს დავთარში“ „ჯაბადარბაშის“ შესატყვისად რუსულად სწერია „оружейный надзиратель“ („თოფხანის ზედამხედველი“). ეს თანამდებობა შეეძლო სჭეროდა დაბალ აზნაურსაც. მაგ., ამავე ნუსხაში იხსენიება მეორე „ჯაბადარ-ბაში აბედინაშვილი მურადის —ძე“, რომელსაც ეს სახელი სჭერია 1726 წელს, გურამიშვილის რუსეთში ჩასვლამდე. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგსა და ბაქარს თოფხანის რამდენიმე ასეთი „ზედამხედველი“ ჰყოლიათ. (იხ. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, 1726 წ., № 1, ფურცელი 8).

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კობა იმედაშვილი

# რეალიზმი და ჰეროიკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს 1935 წელს, სხვა ოთხ ქართველ მწერალთან ერთად შემოქმედებითი მივლინებით აგზავნიან ბელორუსიაში. ეს ფაქტი მეტად საგულისხმო მოვლენაა ქართულ-ბელორუსულ ლიტერატურული ურთიერთობისა. 1935 წელს საქართველოს ეწვია ბელორუს მწერალთა ჯგუფი. როგორც ეტყობა, ქართულმა ყოფამ მათ საკმაო მასალა მისცა და მათგან ერთერთმა, ნიჭიერმა პროზაიკოსმა ედუარდ სამუილენკომ შექმნა რომანი „Будичыня („მომავალი") (იხ. ჟურნალი „Полымя революции", Минск, 1938, № 4, ეს არის რომანი საქართველოში მენშევიკური მმართველობის დროის შესახებ).

ამავე წელს ბელორუსიას ხუთი ქართველი მწერალი ეწვია — რაჟდენ გვეტაძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ბენიტო ბუაჩიძე. ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა მოსაშვილის და ქუთათელის ლექსები ბელორუსიაზე, რაჟდენ გვეტაძის „ბელორუსული მოთხრობები" და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „უკვდავება".

„უკვდავებას" ავტორის პატარა წინათქმა ჰქონდა წამძღვარებული: „ამას წინათ, ქართველ მწერლებთან ერთად ბელორუსიაში ვიმოგზაურე... ვინახულე ნისლიანი, ტყიანი და ტბებით სავსე პოლესიე, სადაც რამდენიმე კვირა გავატარე კოლმეურნე მეხადურის ოჯახში. ჩემი მასპინძელი, ჭაღარა გნედკა, ყოფილი პარტიზანი აღმოჩნდა.

თევზის ჭერის დრო იყო... გნედკა მომითხრობდა ომგადახდილი ძმაკაცების ამბავს, იხსენებდა თავდადებულ მეზობლებს, ჭირი რომ ნახეს და ლხინი არ დასცალდათ.

ერთი მოხუცის ამბავმა ძლიერ გამიტაცა და ეს ოთხი მოთხრობა დამაწერინა".

„უკვდავება" 1938 წელს გამოვიდა, 1940 წელს კი უკვე რუსულად ითარგმნა. საკავშირო პრესამ საკმაოდ დიდი შეფასება მისცა ამ მოთხრობებს. ვიქტორ გოლცევი „Литературная газета"-ში სავსებით მართებულად შენიშნავდა: „ამ წიგნის გამოჩენა მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-პოლიტიკური ფაქტია".

როცა სხვა ქვეყანაზე წერ, საშიშროების წინაშე დგები, — ასახო გეოგრაფიული გარემო, ხალხის სულის თავისებურება კი ვერ შეამჩნიო. მკვლევართა აზრით „უკვდავება" თავისი სახეებითა და მთავარი გმირის ბაბუა რუხლოს ხასიათით მჭიდროდ უკავშირდება ბელორუსულ ლიტერატურას, ბელორუსულ ფოლკლორს, მის ბუნებას. კრიტიკოსი ე. სიკარი წერილში «Книга дружбы народов» წერდა: «Образ «деда-лирника» — один из самых любимых, глубоко жизненных образов белорусской литературы и поэзии, выражающий подлинный дух белорусского народа. И, воссоздав фигуру Рухло, Лордкипанидзе заимствовал немало красок из национального фольклора. Гордые, независимые, суровые в

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 7.

борьбе, белорусские деды не сдаются, мужественно переносят все испытания. Великая Октябрьская революция рождает среди них подлинных героев, не отступающих перед смертью».

ამ ოთხი ნოველის („ფუნდუკში“, „ცხენი“, „ისევ ცხენი“, „უკვდავება“) ცენტრში ბელორუსი ბერიკაცი დგას, მიწის მუშა, რომელსაც ცოტა ოცნებაც უყვარს. ცოტა გადაკვრაც, ცოტა პატივმოყვარე კაციცაა, მაგრამ როცა მიწაზე დაიწყებს ლაპარაკს, ღმერთზე უფრო მოწიწებით მიწას ახსენებს და მეტი ნატვრა არა აქვს შვილი მხარში ედგას, ცხენი ყავდეს, მიწა ხნას და ყანა მომკას. თითქოს პატარაა მოხუცის ნატვრა, მცირეა მისი სამყარო, მაგრამ მის ხასიათში, მის სურვილებში უკვე არის მარცვალი იმ დიდი ადამიანისა, რომელიც უკვდავებასთან მივა, კი არ მოკლავს ოთხ კაცს, არამედ საკუთარი სიცოცხლისა და ოთხი სიცოცხლის ფასად ერთ კაცს იხსნის. ეს ერთი კაცი და მისი საქმე ღირდა ოთხი გამყიდველის სიკვდილად და ერთის უკვდავებად.

„უკვდავება“ მკვეთრად განსხვავდება, თავისი სტილით „კოლხეთის ცისკარისაგან“, იქ ლირიკა ცოტა იყო. მკაცრი იყო თხრობა, მკაცრი იყო ნაწარმოების ლოგიკა. „უკვდავება“ ერთი ლამაზად ნათქვამი ლექსივით არის. მაგრამ მასში შემავალ ყოველ ნოველასაც მხოლოდ თავისი დამახასიათებელი ინტონაცია აქვს და თავისი განწყობა და ელფერი შეაქვს „უკვდავების“ მელოდიურ მთლიანობაში. პირველში ხასიათი იხსნება, (თუ როგორია იგი, სანამ მოვლენები განვითარდებოდეს) და არის მარტოობისა და უმწეობის მტანჯველი გრძნობა. მოხუცის შვილი მიხასი ფრონტზეა, სახლში რძალი და ძუძუთა ბავშვია, „და სწუხს ბაბუა რუხლო, რომ იგი მარტოა ამ დასაქცევ ქვეყანაზე, ისეთივე უღონო და უსუსური, როგორც ეს შვილი მისი შვილისა“. მეორე მოთხრობაში („ცხენი“) რუხლოს ვაჟს ვეცნობით: მას მობეზრდა ომი, მეფე შორსაა, მისი სამშობლო კი ის მიწაა, რომელზეც დღეს-ხვალ გუთნის გატანა აგვიანდება. მამისეული დარდი მიწისა შვილსაც გადმოსდებია. იგი ლაზარეთიდან გაიპარა და თან ცხენი გაიყოლია. მიხასმა „ჭიშკარი შეაღო, კიბეზე შემდგარმა ულადიამ, თავი მოაბრუნა. „ახლა იწივლებს და გამოიქცევა!“ — გაიფიქრა მიხასმა და ამ წივილის მოლოდინში ადგილზე გაქვავდა. მაგრამ ულადიამ ქმარი ვერ იცნო და მიხასს გულზე მოეშვა.

— გამარჯობა. ულადია! გამარჯობა, მამავ! ხედავ, ცხენიც მოვიყვანე.

— ღმერთო ჩემო!

ულადიამ მკერდზე ხელი მიიდო და კიბიდან ჩამოხტა. რასა ვგევარო, წამოიძახა და ოთახში შევარდა, ტანზე ჩამოკიდებული ძონძები გაიხადა, საგარეო კაბა გადაიცვა და ქმრისაკენ გაფრინდა. ვერ მიაღწია, სიხარულის ელდამ ძალა წაართვა, შუაგზაზე ჩაიკეცა და აქვითინდა.

— სულელო, სულელო! — უთხრა მიხასმა.

— დაბრუნდი, ბიჭო?

მოხუცი სახურავზე დაფაცურდა, მაგრამ ბუდესთან ვაივაგლახით მოგორებულ ჩალანგარს ხელი ვერ გაუშვა. დაცურდება და ამდენი შრომა ფუჭად ჩამივლისო..

— დაბრუნდი, ხომ! — მკვირცხლად გაიმეორა მოხუცმა: შენი დედაკაცი კი სულ ეგრე სტირის და სტირის! არაფერია: ქალი და ცრემლი ტყუპები არიან... აბა ერთი მაღლა ამოდი. მომეშველე. გამათავა ამ არდასაწვავმა...

ჩალანგარი ბუდეში ჩასვეს, მერე ერთმანეთს თვალებში ჩუმად შეხედეს, ასევე ჩუმად ჩაიცინეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— სულზე მოგვისწარი, ბიჭო ძალიან გაგვიჭირდა უშენოდ!

ამ ცხენს ისე გავასუქებ, ქვეყანას თვალი ზედ დარჩეს, მეტი რა საქმე მაქვს — სთქვა მოხუცმა.

ორად მოხრილი მამა ცდილობდა როგორმე წელში გამართულიყო და შვილის მხარზე ვაჟკაცურად ხელი დაეკრა; ვერა და ვერ შესწვდა.

— მეტი რა საქმე მაქვს! გავიყვან ტყის პირას და მთელი დღე ვაბალახებ, — ამბობდა მოხუცი და შვილს თეძოზე ხელს უტყაპუნებდა.

ბაბუა რუხლოს ოჯახში ყველანი შინ იყვნენ“.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასეთი დიდი ციტატი. ჯერ ერთი, აქ კარგად ჩანს ლორთქიფანიძე — ფაქიზი ფსიქოლოგი (ცოლ-ქმრისა და მამა-შვილის შეხვედრა) მერე, პატარა ნაკვეთში გახსნილია ყველა გმირის სახე და რაც მთავარია, მეორე ნოველის ეს ბოლო ნაწილი არის გასაღები დანარჩენი ორი ნოველისა. რუხლო მარტო აღარაა, შვილი გვერდითა ჰყავს, ცხენიც არის, მიწაც არის. თითქოს რუხლოს პატარა სამყარო მკვეთრად აეგო, მაგრამ ცხოვრება თავისი კანონებით, თავისი ტკივილებითა და კითხვებით იჭრება მოხუცის სამყაროში და მისგან პასუხს თხოულობს. მოხუცი ცდილობს განზე გადგეს. მას არაფერი არ უნდა არც წითლების, არც ჰაიდამაკების და დაჭრილ გრაბკოს არ შეიხიზნებს. უარით გაისტუმრებს პისკუნს. მოხუცს ჩვილი გული აქვს, მაგრამ რა ქნას — „ხვალ დილით ხვნა უნდა დავიწყოთ“. მიწის კანონი გლეხიკაცისათვის ყველაზე წმინდა კანონია, მეორე დილით ჰაიდამაკებს ცხენი მიჰყავთ. ეს ბიძგი იყო. ბაბუა რუხლომ ნახა ვის მხარეზე იყო სიმართლე, მას დაენგრა თავისი სამყარო და ცხოვრებას კი არ მოუხარა ქედი, შეებრძოლა. მიხასებმა გუთანს ხელი შეუშვეს და იარაღს მოკიდეს.

— „დავაგვიანეთ?! — სთქვა მოხუცმა და ღრმად ამოიოხრა: — მე ეს ქვეყანა უფრო ჰკვიანი მეგონა! ცხენი წამართვეს, გუთანს მომწყვიტეს... ის კი დაავიწყდათ, რომ არ შეიძლება გლეხის დატოვება ცარიელი ხელისამარა! ცარიელი ხელი სხვა რამეს ეძებს, გესმის, შვილო! სხვა რამეს! ყოველთვის კი არ დავაგვიანებთ!“

მეოთხე ნოველაში („უკვდავება“) მიხასი ტყეშია გასული. რუხლო კი გალოთებული გერმანელებისაგან პარტიზანებისათვის იარაღს ყიდულობს. და როგორც მიწას დასტრიალებდა სიყვარულით, როგორც ცხენს უვლიდა ერთგულად, ისევე ერთგულად და თავდავიწყებით ასრულებს რუხლო თავის სახიფათო მისიას. მაგრამ მას არ დავიწყებია არც მიწა და არც ცხენი. იგი ისევ ამ მიწისათვის და ამ ცხენისათვის აგროვებს იარაღს. ერთხელ წამოცდება კიდეც — როცა პისკუნი შეპირდება, ლენინი თუ ვნახე შენთვის ორდენს გამოვსთხოვო, მცირე ჩაფიქრების მერე რუხლო შეეკითხება „ლენინს ცხენის მოცემა თუ შეუძლიაო“.

„— ყველაფერი შეუძლია, — უთხრა პისკუნმა, ღიმილი მოერია — შენ რა. ცხენი გირჩევნია?

— არა, — დარცხვენით მიუგო მოხუცმა; ისე ვიკითხე. ყველაფერი თუ შეუძლია მეთქი“.

რუხლო არ იბრძვის დიდი იდეებისათვის, იგი მიწისათვის იბრძვის, ცხენისათვის, შურს იძიებს ტერენტი ჟუკისთვის, მიკოლასთვის. მისი საქციელი გმირობაა, მაგრამ ჯერ არაა უკვდავება. უკვდავება სიმაღლეა და ამ სიმაღლისაკენ მიდის მოხუცი. იგი არჩევანის წინ დგება: ან თვითონ მოკვდეს. ან პისკუნი გასწიროს. ერთ ოთახში ჰაიდამაკი ზის, მეორეში პისკუნს სძინავს, და როცა მოწამლული ხორცი პაპავეცმა ძაღლს გაუწოდა „გულგახეთქილმა რუხლომ მკლავი დაუჭირა.

მოხუცის გაფითრებულ სახეზე საშინელი სულიერი ბრძოლა აღბეჭდილიყო. პისკუნის გადარჩენაც უნდოდა და სიკვდილისაც ეშინოდა“...

...„მისი მოქანცული სისხლი შურისძიების წყურვილმა გამოაღვიძა. გულში აღუღებულმა სიმწარემ ძალა და მხნეობა შემატა.

— როგორ გეკადრებათ! ძაღლის საჭმელი ხორცი სადა მაქვს! — წყნარად წარმოსთქვა რუხლომ, ხორცი გამოართვა და აუჩქარებლად შეჭამა".

და როცა გადასწყვიტა ერთი სიცოცხლე დაეცვა, მაშინ ამაღლდა უკვდავებამდე ბაბუა რუხლო, ოთხმა სიკვდილმა კი არ აამაღლა. არამედ ერთმა სიცოცხლემ

ეს მოთხრობა 1938 წელს დაიწერა და სამოქალაქო ომზე მოგვითხრობდა, მაგრამ მოხუცის ძლიერმა სახემ ლორთქიფანიძის შემოქმედებაში რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ იჩინა თავი. ეს ვასილ ქიგაა (მოთხრობიდან „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"), რომელიც სასიკვდილოდ გადათვლილებში შეენაცვლა საბჭოთა მეომარს და მის კუთვნილ ტყვიას თვითონ მიუშვირა მკერდი. მეომარს ელოდნენ, იგი უფრო საჭირო იყო ხალხისათვის, საქმისათვის, ვიდრე მოხუცი მებადური, პისკუნი უფრო საჭირო იყო ხალხისათვის, ვიდრე რუხლო — მხოლოდ ძლიერ და წმინდა ადამიანებს შეუძლიათ უკვდავებისაკენ ასეთი ნაბიჯის გადადგმა — ჩუმად და უხმაუროდ.

ზევით შევნიშნეთ, მოხუცის სახე თავისი ფესვებით ბელორუსულ მიწასა და მის შემოქმედებაში დგას. ასე რომ. გარკვეული თვალსაზრისით, ლორთქიფანიძის ეს მოთხრობები ბელორუსული ლიტერატურისათვისაც საგულისხმო ფაქტად იქცევა. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მარტო ხალხის გმირული სულის ამოხსნა და ასახვა კი არ შეძლო, არამედ ამ ქვეყნის ბუნებაც იგრძნო და ნამდვილი ფერმწერის ოსტატობით შესანიშნავი ბელორუსული პეიზაჟები დაგვიხატა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, სადაც თვალსაჩინოებისათვის პეიზაჟის კადრებს ცალკე გამოვყოფთ, რომ უფრო ცხადი გახდეს ავტორის ნახატის სურათოვნება. კომპოზიციური კომპლექტურობა და მრავალფეროვნება ხატვის ხერხებისა:

1) „მოშამბულ ტბის პირას ნელა დაეშვა თეთრი ყანჩა. გრძელი წითელი ნისკარტი ღონივრად ჩაჰკრა ჭონჭყოში, მერე ცალი ფეხი შეიკეცა და ჭვეყანას ალმაცერად გადახედა.

2). შუადღეა.

ტბას შუაგულამდე მაღალი წიფლნარის ჩრდილი ეფინება.

3). მზისყურში ბავშვები ჭყუმპალაობენ.

4). ერთი ტიტლიკანა ბიჭი ბამბურა ნაგაზს კისერზე ჩამოჰკიდებია და წყლისკენ ექაჩება. უსდა როგორმე აბანავოს. წყლი არ მისდევს პატარა ბიჭს, ძაღლი ადგილიდან ვერ დაუძრავს.

— წამოდი... წამოდი! — ეხვეწება იგი გაკერპებულ ცხოველს და თან ისე გულსაწყლად ქვითინებს, თითქოს სანუკვარი სათამაშო მოსტაცესო.

თავგაბეზრებულ ნაგაზს კი ვერ გადაუწყვეტია. გაეცალოს თუ უკბინოს? ეზარება მადლიანი მზისყურის დატოვება, არადა, ცოტა დიდი მაინც იყოს ეს ეშმაკის ფეხი! ამ ერთ ლუკმა ბიჭს როგორ უკბინოს!

5) ახლო-ახლო მიჯუჯკულა ერთმანეთზე ისლის ქოხები. ზოგი მათგანი ფეხდანადგამ სოკოსავით გართხმულა მიწაზე. საკმარისია, ერთი მაგრა ამოიხვნეშოს ამ ვეება ტყემ, რომ ეს საცოდავი ქოხები ყველა ერთად ტბაში გადაიბერტყოს.

6). ალაგ-ალაგ ბაღჩებში თითო-ოროლა ვაშლის ხე მოსჩანს. ტოტებამდე კირით შეთეთრებული ხეები საოცრად ჰგავანან ეზოში საცვლებისამარა გამოსულ გლეხებს.

7). კალოს გადაღმა პოლესიეს ტევრი იწყება.

პირველყოფილი მყუდროებით სუნთქავენ მისი უშფოთველი ტბები და ჭაობები, მისი ახოვანი, ცაში ავარდნილი ფიჭვები, კენწეროები საწვიმარ ღრუბლებში რომ დაუკარგავთ".

მართალია, „ბელორუსული მოთხრობები", არაა ფართო ტილო, მასში

არაა დიდი სოციალური ძვრები და თავისი მნიშვნელობით იგი ვერ გაუტოლდება „კოლხეთის ცისკარს“, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი ზრდის გზაზე იგი, ვფიქრობთ, წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მიუხედავად სიმცირისა, მათში დაჭერილია ეპოქის წამყვანი ტენდენცია: ბრძოლა მიწისათვის, ბრძოლა ცხოვრებისათვის, ორ გზიდან ერთის ამორჩევა-ალტერნატივა, რომელიც ეპოქის ყველა დრამის მიზეზად იქცა. ადამიანის შეცვლა ამ სიტუაციაში. მისვლა გმირობამდე. არა იმპულსური ნახტომი გმირობისაკენ, არამედ დინჯი და ცხოვრების ლოგიკით ნაკარნახევი სვლა მისკენ. გმირობის ყოველდღიურობა და მისი ჩვეულებრივობა — სამოქალაქო ომის ეს დამახასიათებელი რამ აქ დაჭერილია. და ბოლოს, უაზრობა ომისა, არაადამიანობა მისი და სიკვდილის დამარცხება ადამიანის მიერ — ამ მოთხრობებს დიდ ჰუმანურ და პოლიტიკურ აქცენტს აძლევს. მიუხედავად სიმცირისა, ამ ხუთ მოთხრობაში („ბელორუსულ მოთხრობებს“ ჩვენ ვუმატებთ, „მოხუცი მებადურის სიკვდილსაც“ — რომელიც მასალის დამუშავებით, ხედვით, პათოსით, გმირობით, ამ მოთხრობებთან დგას) მიღწეულია ცხოვრების სისრულის განცდით გამოწვეული უდიდესი ტკივილისა და სიხარულის თითქმის რეალური შეგრძნობა. ერთი სიტყვა არაა მათში ზედმეტი, არამთუ ეპიზოდი და ჟესტი, ყველაფერი გამიზნულია ერთი მიზნისაკენ, დაგვიმტკიცოს — ადამიანი, უბრალო ადამიანი ძლიერია სიკვდილზე. გავიხსენოთ: „უკვდავებაში“ ბაბუა რუხლოს სახლში თოფები აქვს დამალული, თანაც სარდაფში პისკუნს ძინავს, რუხლომ „გაორთქლილ მინას სახელო გადაუსვა.

ეზოში ჟანდარმები მოაბიჯებდნენ, ჟანდარმების უკან თოვლი აჩიჩქნილი იყო. წინ კი სწორი და გაუკვალავი.

ბერიკაცს სულისთქმა გაუჭირდა. ყურმა წივილი დაუწყო, და უეცრად ცეცხლი, საშადირო ჩანთა. თოფები, კართან აწრიალებული ძაღლი, მძინარე პისკუნი, ენაგადმოგდებული ტერენტი ჟუკი, — ყველაფერი თვალწინ დაუტრიალდა და სადღაც გაუჩინარდა“. დიდია სიკვდილის შიშით გამოწვეული ელდა, მაგრამ ბაბუა რუხლო სძლევს ამ შიშს.

უფრო მძაფრად არის დაპირისპირებული სიკვდილი და სიცოცხლე მოთხრობაში „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“. სოფლის მოედანზე გერმანელები სოფლელებს ჩაამწკრივებენ, გერმანელი ოფიცერი „ყოველ მეხუთის“ დახვრეტას ბრძანებს.

„უბედურების უმძაფრესმა გუმანმა ყველას ერთბაშად შეგვატყობინა, რომელი ჩვენგანი იყო განწირული.

ისინი მაშინვე გამოირჩნენ ხალხში.

პირველ მეხუთეს, წარმოსადეგ გლეხკაცს, სახეზე მიწისფერი დაედო. კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ ერთხელ მოიხარა, ჩექმების ყელი მაგრა ამოქაჩა, თითქოს საბუქნაოდ ემზადებოდა.

მეორე მეხუთე — ახალგაზრდა ქალი იყო, ქერათმიანი. იგი ძუძუს აწოვებდა ბიჭუნას, როდესაც სასიკვდილო განაჩენმა მოუსწრო:

ქალი ჯერ მონუსხულივით გაშტერდა. მერე ერთბაშად მოეშვა. თითქოს ტანში ერთი ძვალიც აღარ ჰქონდა მთელი.

ბავშვმა მაშინვე ძუძუს თავი მიანება და ღნავილი მორთო. დედამ ანგარიშმიუცემლად მეორე ძუძუ მიაწოდა.

ბუჭუნამ ერთი-ორი მოწოვა და უარესად გადაფიჩინდა.

ცუდად ამეშალა თავზე ბალანი: მივხვდი ,რძე გაუშრა უბედურ დედას.

მესამე საბედისწერო ადგილი ჩემი იყო“.

ყველაფერ ამას ხედავს ვასილ ჟიგაც. ჩვეულებრივი მოხუცი მებადური. მაგრამ ეს ჯერ სიკვდილი არაა, ეს კვდომაა და შემდეგ, უაღრესი ფსიქოლოგიური სიზუსტით, მწერალი

სიკვდილის შემაძრწუნებელ სახეს გვიხატავს, ლაკონიურად, გარეგნული ეფექტის გარეშე;

— „სროლის ხმამ შემაკრთო.

პირველი მეხუთე დახვრიტეს და ქერათმიანი ქალის წასაყვანად მოვიდნენ.

დედაკაცები ჩუმად ასლუკუნდნენ. ქერათმიანს ერთი ხნიერი ქალი დაედევნა, ბავშვის გამორთმევა უნდოდა.. ჯარისკაცმა კონდახი ხელზე დაჰკრა და უკანვე გამოაგდო.

არასდროს არ დამვიწყებია ქერათმიანის თვალები.

ბევრი სიკვდილი მინახავს. ბევრი კარგი და ცუდი სიკვდილი. მაგრამ ახლა პირველად ვნახე, რომ კაციშვილი ფეხზე მოკვდა. მწკრივიდან რომ გაიყვანეს ქერათმიანი უკვე მკვდარი იყო. არც შიში, არც დარდი, არც სინანული, არც სიძულვილი, — ყველაფერი გამქრალიყო უბედური ქალის ჩინდაკარგულ თვალებში.

ასე იცქირება თვალღიად დარჩენილი მკვდარი.

ერთი კვნესა მაინც დაცდენოდა, ერთი სულთქმა...

იგი მკვდარი იყო და თუ მაინც შეძლო ორიოდე ნაბიჯის გადადგმა, განა მიცვალებულს არ ეზრდება ფრჩხილი და თმა? ახლა მასაც იგივე ბნელი და იდუმალი ძალა ამოძრავებდა, რასაც სიკვდილი ყველაზე ბოლოს ერევა.

დედა-შვილი გზისპირას დახვრიტეს, ჩაქცეულ სანგრებთან.

ჩემი ჯერიც მოვიდა!“

ასეთია სიკვდილი როცა კვდები უმიზნოდ, მხოლოდ იმიტომ რომ მოკვდე, ასეთი შემზარავია იგი და ასე ეშინია განწირული კაცს.

ყველაფერ ამას ხედავს ვასილ ჟიგაც, ჩვეულებრივი მოხუცი მებადური. იგი ხედავს და განიცდის სიკვდილის ამ შემაზრზენ სვლას, მაგრამ იგი უფრო ძლიერია ამ სიკვდილზე და წამის მერე, როდესაც იგი შეენაცვლება მესამეს — საბჭოთა მზვერავს — იგი **უკვე აღარაა ჩვეულებრივი ადამიანი და მას აღარ ეშინია სიკვდილის, რადგან სულის სიდიადით იგი უკვდავია.** სიკვდილს ძლიერი ადამიანი ამარცხებს, სიკვდილს დასახული მიზნის სიმაღლე ამარცხებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სიკვდილს ლორთქიფანიძის გმირები ამარცხებენ — ასეა „უკვდავებაში“, ასეა ამ მოთხრობაში, ასეა „მოგზაურში“, ასეა მოთხრობაში „როდესაც კაცი მარტოა“.

ყველა ამ მოთხრობაში მთავარი სიკვდილის დათრგუნვაა — ამის ჩვენება მწერლისაგან დიდ ზომიერებასა და ტაქტს მოითხოვს. დააკვირდით რა ფსიქოლოგიური სიმძაფრეა ზემო სურათში, რა დატვირთულია თვითეული ჟესტი, რა სავსეა თვითეული სიტყვა— აქ ნამდვილი ოსტატის შეუმცდარი ხელი ჩანს.

და კიდევ, ყურადღება უნდა მიექცეს კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტილის ერთ თავისებურებას: მისი გმირები ძალზე ძუნწობენ გრძნობების გამომჟღავნებაში. გავიხსენოთ, როგორ შეაჩერებს ბაბუა რუხლოს მიხასის გამოჩენა და სიხარულის ელდა როგორ მოკვეთს მუხლს ულადიას. დავაკვირდეთ წინა გვერდებზე მოტანილ ციტატებს. რა ტრაგიკულია ყოველი გმირის ბედი, ჟესტი კი — განცდის გარეგნული გამოვლენა, რა თავშეკავებული, ზოგჯერ თითქოს მწერლის მიერ განზრახ გაქვავებულიც. ლორთქიფანიძის გმირები, გმირობას ყოველგვარი გარეგნული ეფექტურობის გარეშე სჩადიან... მათი საქციელის მოჩვენებითი უბრალოება უფრო ადამიანურსა და დიადს ხდის ამ საქციელს. ეს არის სისადავის სიდიადე. ამ მოთხრობათა შთამბეჭდაობის ერთერთი მიზეზი ალბათ ესეცაა.

მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“ 1942 წელს დაიწერა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის მძიმე განსაცდელის წელი. და ვასილ ჟიგა, მოხუცი კაცი, რომელიც ნაცემი და ნაგვემიც კი არ ემხობა მტრის წინ და უკანასკნელი ძალების დაძაბვით ფეხზე

დგება, რათა მტერს პირისპირ შეხვდეს, საბჭოთა ხალხის სიდიადისა და სულიერი ძალების დაუშრეტელ მარაგზე მეტყველებდა. მისი უტეხი ხასიათი და მისი სახე, სახე ძლიერი, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანისა, ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წვლილი იყო ომის გმირთა იმ გალერეაში, რომელიც საბჭოთა მწერლებმა შექმნეს. თანაც იგი ერწყმოდა და ავსებდა ბაბუა რუხლოს ხასიათს, ბრძენი მოხუცის სახეს, რომელიც ე. სიკარის სამართლიანი შენიშვნით „ბელორუსულ ლიტერატურას ორგანულად ერწყმოდა“.

ეს მოთხრობა მწერალმა უშუალო შთაბეჭდილებით შექმნა. 1942 წლიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძე მოქმედ არმიაშია და თვითმხილველია საბჭოთა ადამიანების გმირობისა.

საფრონტო გაზეთის თანამშრომელი კონსტანტინე ლორთქიფანიძე წერს ნარკვევებს მეომრებზე, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, გმირობაზე. იგი დაიპყრო ამ გმირობამ და შემდეგ, მთელი მისი შემოქმედება ფაქტიურად მთლიანად ომის თემატიკას ეთმობა. ქართველი კაცის გმირობამ ომში მწერალი სულის სიღრმემდე შესძრა და იგივე გახდა მისი დაუსრულებელი ძიებების წყარო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის საფრონტო მოთხრობებმა სამართლიანად დაიმსახურა კრიტიკის კარგი შეფასება. 1963 წელს გიორგი ნატროშვილი წერდა ამ მოთხრობებზე. „შესანიშნავი ეპოქალური ნაწარმოებია; ეს სწორედ ისაა რასაც ჩვენ ქართულ საბჭოთა კლასიკას ვეძახით და რაც დარჩება მომავლისათვის, როგორც უტყუარი ფურცლები ჩვენი მღელვარე დროის მატიანისა, მღაღადებელი ქართველი ჯარისკაცის სილამაზეზე, შემმართებლობაზე, სულის სიდიადეზე“.

აქ არ არის ადგილი, რომ ყველა ეს ნაწარმოები დეტალურად განვიხილოთ, მაგრამ მათგან ძირითადზე და არსებითზე მაინც აუცილებლად უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

ამ მოთხრობებში გამოირჩევა ერთი ვრცელი მოთხრობა „მწვანე ტილო“, რომელშიც ავტორმა სცადა უფრო სრულად წარმოედგინა ფრონტის სურათი, ხალხის დაუნდობელი ბრძოლა მტერთან, ამ ბრძოლაში დაბადებული გმირები, ამ ბრძოლებში გამოტარებული მეგობრობა, ქალისა და კაცის სათუთი სიყვარული, ისე სათუთი და ისე ნაზი, სიკვდილის ამ გარემოსაც რომ სინაზეს ჰფენს.

მთავარი გმირი ამ მოთხრობისა ლადო ვაშალომიძეა — ქართველი მეომარი, რომლის ხასიათიც მწერალს საკმაო ოსტატობით აქვს დახატული. ლადოს გარეგნობას თუ ხასიათის ამა თუ იმ თვისებას მწერალი ისე ურჩევს, რომ მას საკუთარი ნაციონალური ელფერი შეუნარჩუნოს. პირველი გამოჩენაც ამ გმირისა გარკვეულად სიმბოლურია და მრავლისმეტყველი. მისი პირველი სიტყვა ვაზის ქებაა და ნატვრა. ეს არაა შემთხვევითი, ვაზი კარგა ხანია იქცა ქართული ბუნების, ქართული ხასიათის განუყოფელ ელემენტად.

„— რამოდენა გზა გამოვიარე და ვაზი პირველად ამ სოფელში დავინახე. ერთი მოსახლის ეზოკარს ვეება თალარი ჰქონდა გადავლებული! — ჩამილაპარაკა ანაზდეულად შორიახლო მხართეძოზე წამოწოლილმა ჯარისკაცმა.

კარგახნის გაუპარსავ წვეროულვაშს მაინც ვერ დაეჩრდილა მისი ვაჟკაცური სილამაზე.

თვალში მომხვდა მისი „არწივისებური ცხვირი, მაღლა აზიდული მარცხენა წარბი და შავი ბრიალა თვალები“.

და მერე ქვევით — „თვალში სინათლე მოგემატება. ჩემი ვენახი რომ გაჩვენა“...

ვაზი და იქვე, ქართული ეთნიკური ტიპისათვის დამახასიათებელი პორტრეტი გმირისა ერთ მთლიანობაში.

გულღია ხასიათი, სიკოხტავე, სიმამაცე, „ბანქოს მოთამაშის აზარტი და

სახუნდარში ჩასაფრებული მონადირის ჟოთმინება“, ჭირში და ლხინში გამტანობა ლადო ვაშალომიძის, მეტად საინტერესო პიროვნების დასამახსოვრებელ სურათს იძლევიან. იგი მოთხრობის მთავარი გმირია და მწერალი მეთოდურად გვაჯერებს მისი სულის სიძლიერეში. ეს არის კაცი, რომელიც ძალთა არაადამიანური დაძაბვით ებრძვის სიკვდილს, რათა დავალება შეასრულოს, შეინარჩუნოს უსახელოს სიმაღლე და მისი გაყინული, თითებიც კი არ ეშვებიან ავტომატის სასხლეტს. მაგრამ ლადო ვაშალომიძის სიძლიერე არაა მხოლოდ მისი ინდივიდუალური თვისება. მის შეგნებაში დაილექა მოხუცი გირსკი, რომელიც საბოტაჟს უწევს გერმანელებს, სვეტლანას დედა, რომელმაც სიცოცხლის ფასად შეიფარა იგი, მათი მეზობელი მაშენკა, რომელმაც საკვები მიუტანა მას, სვეტლანა, გერმანიაში წასაღები პურის ძნები რომ გადასწვა და წამებით მოკლეს, ვარდენ ჯიშკარიანი, ლონგო ცაკრიალაშვილი, გინო ბრიტაევი, თანამებრძოლები, დაბარებულებივით საქმიანად რომ შეხვდნენ სიკვდილს. ამ, და კიდევ მრავალი და მრავალი უსახელო გმირის დასრულებულმა ცხოვრებამ ჰპოვა ლადო ვაშალომიძეში გაგრძელება, მათი სულის სიძლიერემ შეაძლებინა მკვდარ კაცს მოეგერიებინა მტერი. და მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელია, შემაძრწუნებელი და აღმაფრთოვანებელი. დამაჯერებელია ხალხის გმირული სულის გამოვლენა, შემაძრწუნებელია სიკვდილის ლოგიკური სვლა, აღმაფრთოვანებელია ინდივიდის ასეთ სიმაღლემდე ასვლა.

დიდი განსაცდელი და საერთო მიზანი ადამიანთა მეგობრობას ბადებს. მსოფლიო ლიტერატურამ არა ერთი მაგალითი იცის ასეთი მეგობრობისა. „მწვანე ღილში“ არის მეგობართა სამაგალითო წყვილი გოლიკოვი-ვაშალომიძე, მაგრამ სიუჟეტის განვითარებას სხვა მხარეს მივყავართ და ამ მეგობრობის, ალბათ, ბევრი შესანიშნავი გამოვლენა ჩვენთვის უცნობი რჩება. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ მოთხრობის ცენტრში დგება ვაშალომიძის წმინდა რომანი კაზაკ-ქალ სვეტლანასთან. და ჩვენ ჯარისკაცული გარემოს უხეში ატმოსფეროდან ლამაზი ფერების, შესანიშნავი ხმებისა და უნაზესი გრძნობების სამყაროში გადავდივართ. არა მარტო ამ მოთხრობაში, არამედ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელ შემოქმედებაშიც ეს სიყვარული რჩება ამაღლებულისა და სიწმიდის ეტალონად. როცა ისინი ერთმანეთს შესტრფიან გარშემო ხმები არ ისმის, ნიავი არ იძვრის, არავინ არ სუნთქავს. თითქოს პარადოქსალურია, მაგრამ ნგრევისა და სისხლისღვრის ამ ორომტრიალში ავტორი თითქოს აჩერებს დროს და ქმნის ოცნებით აღსავსე კუნძულს. „მუდამ მარტონი იყვნენ ისინი ამ ყრუ კედლებში და ეს მარტოობა უფრო აფაქიზებდა მათ სიყვარულს. უცოდველად, სისხლაუმღვრევლად შეჰხაროდნენ ერთმანეთს, როგორც პატარა ბავშვები“. მაგრამ დროის გაჩერება შეუძლებელია, ცხოვრება იჭრება მათ სამყაროში და ისინი ღირსეულად ეგებებიან მას. მათი სიყვარული ორი თანაბარი სულის ერთობამ დაბადა და როგორც ერთურთს შეეფერებოდათ ისე დაიღუპნენ კიდეც ორივენი.

მწერლის შემოქმედებითი გზის გათვალისწინებით ასეთი პოეტური ზეალსვლა არ არის გასაკვირი, ჩვენ ადრევე შევნიშნეთ, რომ ლორთქიფანიძისეული ხედვა გარემოსი, სახეები თუ ფერები პოეტურსა და ამაღლებულს კარგახანია შეიცავდნენ. მაგრამ მნიშვნელოვანი სიახლე იყო მწერლის შემოქმედებაში გოგონას სვეტლანას სახე. აგერ უკვე რამდენი ხანია, „კოლხეთის ცისკრის“ შემდგომ, მის ნაწარმოებში ქალი არ ჩანდა, ფაქტიურად ეს იყო პროზა მამაკაცებზე და აი, ახლა, საინტერესო იყო შექმნიდა თუ არა ავტორი ამ მამაკაცების სადარ ქალს, მათსავით მაღალს და მიზან-

სწრაფულს. ასეთი სახე მან შექმნა, უფრო მეტიც, მან იმდენი სინაზე ჩააქსოვა მის „შუქიან თვალებში“, „წითელ გაბუტულ ტუჩებში“, „ნარნარ, ოდნავ ამღერებულ ხმაში“ და „ნატიფი ტანის სილამაზეში“, რომ თითქოს რეალურ გარემოს მოსწყვიტა იგი და წმიდა ესთეტურ სამყაროში გადაიყვანა. ეს ილუზია სვეტლანას რომანტულმა ბუნებამ განაპირობა, რომელიც მიუხედავად ნებისმიერი გარემოებისა მაინც მეოცნებე რჩება და ლამაზ ზმანებებს ელოლიავება, „სვეტლანა თავის თავს ბრძოლის ველზე რომ წარმოიდგენდა, მისი გონების თვალი მუდამ ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: აგერ ყველა დაჭრილი გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. მხოლოდ იმ გორაკზე ერთი მკლავმოწყვეტილი ლეიტენანტი დარჩენილა და ვეღარ შველიან. გორაკის თავზე ბუდეაშლილ კრაზანებივით ზუზუნებენ ტყვიები. მიწას ადუღებენ ყუმბარები, კაცი ვერ ბედავს სანგრიდან ამოსვლას.

და უეცრად, ამ მეხისტეხაში სვეტლანა წამოდგება და მთელი ჯარის თვალწინ გორაკისაკენ უშიშრად გახოხდება.

„დაბრუნდი, მოგკლავენ!“ — უყვირიან ყოველის მხრიდან.

„გიბრძანებ, დაბრუნდე“ მისძახის გრძელულვაშიანი ჭაღარა პოლკოვნიკიც...

სვეტლანა მაინც იქითკენ მიისწრაფვის.

იგი არ შეასრულებს პოლკოვნიკის ბრძანებას, და რომ არ შეასრულებს, ამიტომ გული ტკბილად და ამაყად უძგერს:

სროლისა და ცეცხლის ნიაღვარში გაბედულად მიცურდება დაჭრილთან, მკლავს მოხვევს და სამშვიდობოს გამოიყვანს... მთელი ქვეყანა გაიგებს მისი გმირობის ამბავს. ომში წასული ძმებიც გაიგებენ, ერთმანეთს გადახედავენ და იტყვიან: „ერთი უყურეთ ამ ჩვენს ნაცარქექიას, ეს რა გული ჰქონიაო“!

ამ ფიქრებში ალამებდა და ათენებდა სვეტლანა.

და საკმარისი იყო იგი დამდგარიყო ცხოვრების პირისპირ, ცხოვრებას მისგან აქტიური მოქმედება მოეთხოვა, რომ იგი ოცნებას სინამდვილედ აქცევს—გადაარჩენს ვაშალომიძეს და უმკურნალებს (განა ცხადი არაა, რომ ვაშალომიძე მას ადრევე უყვარდა, ხანამ ნახავდა, თავის ოცნებაში, ცალხელა ლეიტენანტის სახით), გადასწვავს ძნებს და ბრმა შემთხვევა რომ არა, ალბათ გერმანელებსაც დაუსხლტებოდა და ისევ დაუბრუნდებოდა თავის ლამაზ ოცნებას. „წავიდა და თითქოს შუქი რამ დატოვა ლადოს სასთუმალთან ისეთი სხივიანი სახე ჰქონდა იმ დალოცვილს“.

სვეტლანას სახემ მთლიანად რომანტიული აქცენტი მისცა „მწვანე ღილს“ და საერთოდ, მწერლის ყველა საფრონტო მოთხრობა თითქოს სვეტლანასა და ლადოს ურთიერთობით განათდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტილის დამახასიათებელია ის, რომ იგი თითქოს ინდობს ადამიანებს და ნატურალისტური სიზუსტით არ გვიჩვენებს მათ მიერ ჩადენილ ავ საქმეებს. მაგრამ სიმართლე სიმართლეა და მწერალი დეტალის ხელოვნების მომარჯვებით ზომიერად, თუმცაღა მთელი სიცხადით გვაგრძნობინებს მტრის ველურობას. ერთი მაგალითი: „იმავე საღამოს როდესაც ნატალია საბძელთან თხას წველიდა, ჭიშკარი ფართოდ გაიღო და ეზოში გერმანელი სალდათი შემოვიდა, მკერდზე შავი ავტომატი ეკიდა და ისე გაქსუებული მოაბიჯებდა თითქოს სადღაც უდაბურ მინდორში იმყოფებოდა. ფეხებზე ეკიდა ვინ იყო ან რა იყო მის გარშემო.

შუა ეზოში სამფეხა სკამზე სარეცხის გობი იდგა. სალდათმა იმ გობს გვერდი არ აუხვია, ფეხი გაჰკრა, გადააბრუნა და გზა განაგრძო...

და უეცრად სვეტლანას დედას მოეჩვენა რომ იგი ასე გაჰკრავდა მის

სახლსაც, ვაშლის ხესაც, აგერ იმ მთასაც...

ფეხს გაჰკრავდა მზესაც წითლად რომ ჩადიოდა შორეული მუხნარის წვერზე.

სალდათი ვაშლის ხესთან მივიდა, დაზნექილ ტოტს მისწვდა, ვაშლი მოსწყვიტა, მჭახეთ ჩაჰკბიჩა, არ მოეწონა და გადააგდო, მეორეც გადააგდო, ისიც მჟავე იყო, უმწიფარი.

სალდათმა რაღაც წაიბურტყუნა და ეზოდან გავიდა".

მტერი ყოველთვის მტრად რჩება, იგი ყოველთვის ასე ივლის, გადაალაჯებს ყველაფერს, ასევე უბოდიშოდ შემოვა შენს სახლში. და რასაც უნდა იმას გააკეთებს. სწორედ ამიტომაა, რომ თითქოს უწყინარი „მჭახეთ ჩაჰკბიჩა" გაღიზიანებას და ფიზიოლოგიურ ზიზღსაც კი იწვევს. ამ ჯარისკაცს არ დასჭირვებია ძალადობა, ვაშლი მოწყვიტა, თორემ ამ ერთი მკვახე ვაშლის გულისთვის, ალბათ, ისევე მოკლავდა ნატალიას, როგორც ძროხის გულისთვის ვასილ ქიგას ავადმყოფი ცოლი მოკლა, („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"):

„ეზოში გერმანელი ჯარისკაცი შემოვიდა, ახლად შეღერებული ყმაწვილი იყო, ფერმკრთალ ლოყებზე სიმინდის ფოჩისფრად უბზინავდა პირველი ღინღლი და ისეთი ცისფერი ჟუჟუნა თვალები ჰქონდა, რომ კაცი უნებურად იტყოდა ეს თოფი და ბრახუნა ჩექმები სახლიდან სათამაშოდ გამოუტანიაო.

ჯარისკაცი კაკლის ხესთან მივიდა, ძროხა აუჩქარებლად ახსნა, მერე დედაბერს რატომღაც გაუღიმა და პირუტყვი წინ გაიგდო".

განა შეიძლება ასეთი თვალების პატრონმა ბავშვმა ვინმე მოკლას? ვასილ ქიგამაც ამ თვალებს დაუჯერა; მაშინაც კი როცა ჯარისკაცმა ავტომატი მოუღერა ქალს „გვაშინებს" — გაიფიქრა მოხუცმა მებადურმა. ფიქრადაც არ მოსვლია ძროხისაკენ გაქცეული ქალი შეეჩერებინა, მაგრამ გავარდა თოფი და... „მიწაზე თითქოს თავშალი დავარდაო, ეგრე უხმოდ და სუმბუქად ჩაიკეცა ქიშკართან ავადმყოფი დედაკაცი".

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ არ მიიღო ჩვენს ომისდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებული შაბლონური სახე მტრისა, მან არ დაგვიხატა მომხვდური ურჩხულად, რომლის არა მარტო საქციელია ამაზრზენი, არამედ გარეგნობაც. მწერალმა მტრის სიმბოლური, მაგრამ ამავე დროს რეალისტური სახე შექმნა, რომელიც საკმაო ესთეტიკურ-პოლიტიკურ ფუნქციას კისრულობს. იგი სცილდება კონკრეტულ ძალადობას, კონკრეტულ, კონტრასტს ადამიანის სულსა და ხორცს შორის და მიდის იმ რთულ საკითხამდე, რომელმაც მწერალთა და ფსიქოლოგთა დიდი ჩაფიქრება გამოიწვია — როგორ იმეტებს თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი თავის მოყვასს ასე ადვილად, კლასიკურ მუსიკასა და ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდილი ხალხი როგორ ეგუება საკონცენტრაციო ბანაკებს და როგორ სჯერა თავისი თავის „ზეადამიანობა". კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სხვა პრობლემები აინტერესებდა და ამ კითხვებზე მას პასუხი არ გაუცია, მაგრამ ორიოდე პატარა შტრიხით შექმნა სახე მოძალადისა და თითქოს გაორებული არსებისა. ამ სახის ლორთქიფანიძესეული გადაწყვეტა გარკვეული სიახლე იყო და მისი ხედვის მართებულობა თანამედროვე მწერლობამაც დაადასტურა.

სხვათაშორის, ასეთი სახის შექმნა თვით მწერლის სტილის თავისებურებითაც იყო გარკვეულად გამოწვეული. საქმე ისაა რომ ლორთქიფანიძე უმრავლეს შემთხვევაში, სახეს მთლიანად კი არ გვიხსნის, არამედ თითქოს ოდნავ გაღებულ კარში გვახედებს, სადაც უკვე ჩვენ თვითონ უნდა გავარჩიოთ საგანთა კონტურები და მათი აჯკარგიანობა. იგი სახის განივ ჭრილს კი არ იძლევა, არამედ სიღრმისეულს. ზემო ორი ციტატი ისევე, როგორც ადრე განხილული ხასიათები და სახეები ამის დადასტურებაა. მწერალი მკითხველს გა-

ღყოლიებს ადამიანის სულის სიღრმისაკენ და თითქოს, იქ მას მარტო სტოვებს, მისი დაწყებული მკითხველმა უნდა დაასრულოს. ეს ოსტატობაა და დიდი ნდობა მკითხველისადმი, საკუთარი ძალისადმი რწმენით გამოწვეული. სადაც მწერალი თავის ამ პრინციპს არღვევს იქ მისი სახე მკრთალია, სქემატური და სიახლეს მოკლებული. „მწვანე ღილში“ არის ერთი პერსონაჟი, გერმანელი, მომარაგების კომისარი, (რომელიც მათრახით სცემს გირსკის), მისი მოქმედების უკან არაფერი არ დგას, მან ამ მოქმედებით ამოსწურა თავისი ხასიათი და „ცოფმორეული დამპყრობლების“ ლიტერატურულ არმიას უსახელოდ შეემატა.

საერთოდ, „მწვანე ღილი“ არაა უნაკლო ნაწარმოები, მას აკლია კომპოზიციური კომპაქტურობა, ზოგი პასაჟი დამაჯერებელი არაა და დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ იმ შესანიშნავი ღირსებების გამო, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურისათვის საკმაოდ დიდია.

„მწვანე ღილს“, „უკვდავებას“, და საერთოდ, „კოლხეთის ცისკრის“ შემდეგ დაწერილ მოთხრობებს ამ რომანისაგან ერთი რამ ანსხვავებთ: ყველა ისინი მეტად თუ ნაკლებად ჰეროიკულ-რომანტიკული პლანის ნაწარმოებნი არიან. ეს, ალბათ, თემის ბრალიცაა, რომელმაც მოითხოვა ეს ჰეროიკულ-რომანტიკული, მაგრამ თემის არჩევა, მისი გარკვეული კუთხით დანახვა (ჰეროიკულის დანახვა), მისი გარკვეულ სიმაღლეზე აწევა (რომანტიკული ქღერა), მწერლის არამარტო სტილისტურ, არამედ მსოფლმხედველობრივ თავისებურებაზეც მიუთითებს.

ლორთქიფანიძის ადამიანი ბრალდებული კი არ არის, არამედ შემოქმედია, მისი ადამიანი სიცოცხლისათვის კი არა, უკვდავებისათვის ცოცხლობს, მისი ადამიანების ყოველდღიური სამყარო წვრილმანისაგან თავისუფალია და ყველაზე ბანალურ საქციელშიც კი სილამაზე და სიდიადე იგრძნობა. ასეთი ხედვა გარემოსი დიდ ტაქტსა და ზომიერებას მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ „უკვდავება“ (ოთხივე მოთხრობა), „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „მწვანე ღილი“, „ცისფერი დუნაი“, „როდესაც კაცი მარტოა“ და „ცაბუნია“ — ამ მხრივ უნაკლოა. ეს მოთხრობები მარტო ლორთქიფანიძისა და ქართული საბჭოთა მწერლობის მიღწევა არაა. მათი შექმნით მწერალმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ლიტერატურაში, რადგან ორიგინალურად დაამუშავა სამოქალაქო და სამამულო ომის თემები, შემოიტანა ახალი სახეები და ხასიათები და სისხლისღვრათა ამ პერიოდში ადამიანთა ჰუმანურ მეგობრობაზე მოგვითხრო. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში გ. გაიდოვსკის, როდესაც ამ ნოველებსა და მოთხრობებზე შენიშნავდა: „ჩემთვის ეჭვგარეშეა ის, რომ კ. ლორთქიფანიძის ნოველათა ციკლი, ამბავი და ორი მოთხრობა თავის განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ჩვენს სამხედრო ლიტერატურაში და ბევრ აზრს ბადებენ მისი განვითარების გზების შესახებ“.

—

ჩვენ საუბარს ლორთქიფანიძის მოთხრობებზე დასრულებულად არ ჩავთვლიდით, თუ ორიოდე სიტყვით არ შევჩერდებით მოთხრობაზე „ცაბუნია“, რომელიც ომზე დაწერილ სხვა მოთხრობებისაგან განსხვავებით, ომიდან ოციოდე წლის მერე დაიწერა. ამან, ალბათ, გარკვეულად იმოქმედა მწერალზე და ნოველა ომის თემის თავისებური ხედვით ხასიათდება. თუმცა უფრო შესამჩნევი საერთოა ვიდრე განსხვავებული, ლორთქიფანიძე არასოდეს არ გაუტაცნია ბატალური სცენების გარეგან ეფექტურობას, იგი ყოველთვის მოვლენის სიღრმეში იჭრებოდა და ცდილობდა დაენახა რა იდგა ცხოვრების ფაქტის უკან, მისთვის მთავარი არა ამბავია, არამედ ის ადამიანი, ის ხასიათი, რომელსაც ესა თუ ის ამბავი გადახდა თავს. ამ ბოლო პუნქტში „ცაბუნია“ განსხვავდება სხვა მოთხრობებისაგან.

ავტორი ქმნის ობოლი გოგონას და დაჭრილი, დიდსულოვანი ჯარისკაცის პოეტურ სახეებს. ეს არის ერთმანეთის გვერდით დადებული ორი ფერის მეტად ჰარმონული შეხამება. მაგრამ ამჯერად ნოველის სიკეთეს, ესა თუ ის ხასიათი ან სახე კი არ ქმნის, არამედ ადამიანის დანდობისა და ერთურთის გაფრთხილების ჰუმანური იდეა. „ცაბუნია“ გრძნობათა და განწყობათა რთულ კომპლექსს ბადებს, ეს არის გულისდაწყვეტა იმ კაცზე (ცაბუნიას მამაზე), რომელმაც თავისი ცხოვრების ნატვრა ვერ აისრულა („რაიმე ხელობა შეისწავლოს“), გოგონაზე, რომელიც დიდი დაჟინებით და ბავშვური მიამიტობით ეძებს ომში დაკარგულ მამას, ეს არის ომის უმეცრებით გამოწვეული ტკივილის მძიმე გრძნობა და აღტაცება ადამიანის დიდსულოვნებით. შემთხვევითი არაა მოთხრობა ტყემლისა და ატმის ყვავილებით რომ იწყება. ქართულ პოეზიაში, ქართულ ცხოვრებაში ამ ყვავილებთან დაკავშირებულია ოცნება და იმედი, ტირილი და სიხარული, მოლოდინი და სურვილი რაღაც ამაღლებულისა და ლამაზის. იმერეთის პეიზაჟში ამ პოეტური დეტალის შემოტანით ავტორმა უკვე თითქოს განსაზღვრა მოთხრობის ლირიული ტონი. და შემდეგ, იქვე, პატარა სახედაჭორფლილი გოგო ყვავილის ფურცელივით აღიქმება, ისე ჰაეროვანია და სათუთი. და ვერ წარმოგიდგენია რომ ეს პატარა გოგო დედის ღაზლსა და მამის „წვეტიან კალოშებში“ გამოწყობილი ამდენ ტკივილს ატარებს, ასეთი ძლიერია და მიზანსწრაფული:

„ე, ჩაიარა აბულაძის ძღაბმა! — ამბობენ მეზობლები, როდესაც ნაწვიმარ თემშარაზე იმ დიდი კალოშების ტყაპუნს გაიგონებენ.

ლელვების უბანში ყველამ იცის, ამ სისხამ დილაზე საით მიიჩქარის პატარა ცაბუნია“.

და ასე ყოველდღე, მზესა და წვიმაში ხვდება მატარებელს ცაბუნია, იქნება მამის ამბავი გაიგოს.

ყოველი სიტყვა ნოველის ამ ექსპოზიციაში მკაცრად არის განსაზღვრული და გარკვეულ გეგმას ემორჩილება. არავინ არ ამბობს — „ჩაიარა ცაბუნიამ“, ამბობენ — „ჩაიარა აბულაძის ძღაბმა“. იმერეთში ცაბუნიასხელა გოგოს „ძღაბს“ ეძახიან, ეს საალერსო სიტყვაა, რომელიც ხსნის სხვათა მიმართებას ცაბუნიასთან და თანაც კოლორიტულია, იმერეთია. „აბულაძის ძღაბი“, ამბობენ, ცაბუნია ჯერ კიდევ მამის სახელით ცხოვრობს. გავიხსენოთ, მერე როგორ შეახსენებს იგი თავს არჩილ მესხს — „მე ვალიკო აბულაძის გოგო ვარ“. ეს სამყარო ცაბუნიასათვის ჯერ კიდევ მამამისის სახელს ატარებს, ეს არის მისი დიდი სიყვარულის საფუძველი. მერე შემთხვევითი არაა „დიდი კალოშების ტყაპუნი“, ამ წვეტიანი კალოშებით, (მარტო დასავლეთ საქართველოში რომ ნახავს კაცი), ბრუნდებოდა ვალიკო აბულაძე სახლში, ამ კალოშებით ეძებს მასვე მისი შვილი. ჯერ ხომ ომია და არ აქვს ცაბუნიას თავისი კალოშები, მერედა, მამის ნაქონი უფრო საყვარელია.

ნოველის მოქმედების ადგილსა და დროს ავტორი ზედმიწევნითი სიზუსტით გვიჩვენებს. ეს არ არის ფრონტი, აქ მხოლოდ დაჭრილ ჯარისკაცებს თუ შეხვდება კაცი, ჰოსპიტალში რომ ჩამოუყვანიათ. მაგრამ როგორ იგრძნობა პატარა დეტალებით, რომ ქვეყანას უჭირს, რომ ომია: ცაბუნია წერილში მამას „მხოლოდ ერთ რამეს არ მისწერს, — რომ ოჯახს ცხოვრება უჭირს, რომ შეშა წამოუღიათ(?) და წაქის ფაფა სანატრელი გაუხდათ“. მერე ცაბუნია ვერ მოიცილებს ქიმიური ფანქრისაგან დარჩენილ ლაქას — „ქალაქში საპონი წამლად არ იშოვნება. მარტო თბილი წყალი კი ლილისფერ ზოლს ვერ მოერია“. დროის ასეთივე ბეჭედი აზის ცაბუნიას წერილს „ქერჩის მთაგორებში გადაკარგულ მამასთან“ (არც ეს „ქერჩის მთაგორებია“ შემთხვევითი, იქ ძალზე ბევრი ქართველობა დაიღუპა). „ჩვენში ყინვები დაიწყო, წუხელ ოთახ-

ში წყალი გაიყინა და კოკა შუაზე გადაიყარაო. შეშა არა აქვს უკაცო ოჯახს — კ. ი).

ბიცოლა მეტიას უფროსი ბიჭი ცალფეხა დაბრუნდა. (აი ასეთ ჯარისკაცებს ხედავდნენ ზურგში — კ. ი).

„დედამ შემოგითვალა, უჩა დაარიგე, დიდ ბიჭებს რკინისგზაზე დაყვება. და ვაშლის ჩირს იპარავენო. (წაქის ფაფა ენატრება უჩას და თუ იპარავს, ესეც ომის ბრალია — კ. ი.).

„წუხელ დიდი შიში ვნახეთ. ფანჯარა კარგად ვერ დავაბნელე. ქუჩაში სინათლე გასულიყო და ღამის ყარაულები მთელი ღამე გვიფშტვენდნენო" (რა ბავშვურია და კოლორიტული ეს „გვიფშტვენდნენო" — კ.ი.).

„საშურიამ გეოგრაფიის სახელმძღვანელო დამიკარგაო"... (ომია და არ იშოვება სახელმძღვანელო — კ. ი.).

ასე ნელ-ნელა გვაძლცნობს მწერალი ცაბუნიას სამყაროს, რომელიც მამით არის სავსე. მამა რომ ყოფილიყო ხომ არაფერი ასეთი არ მოხდებოდა სახლში.

და ეს გოგონა, პატარა, სუსტი, შემომდ ასე უმწეო და მიუსაფარი, ეძებს მამას, როგორც საკუთარ ძლიერებას, საკუთარ იმედს, და ამ ძებნაში თვითონვე ხდება ძლიერი. მატარებელზე დააგვიანდა და სანიტარულ ვაგონში აღარ შეუშვეს ცაბუნია, რომ დაჭრილებისთვის მამის ამბავი ეკითხა, მან „ერთიორჯელ წაისლუკუნა, მერე თავი დაღუნა და ფიცარში ბურღი რომ შეიჭრება: ისე გამწარებული შეიჭრა ხალხში"... და ამ ძებნაში ცაბუნია თვითვე ხდება მიზეზი საკუთარი იმედის დაბადებისა. აკი სწერს კიდეც არჩილ მესხი ეძიმს, „ეხედავ, ჩვენი ვაგონის კიბესთან პატარა გოგო დგას. ხის ტოტი რომ მოტყდება და ზედ მიჭკნება, ასე საცოდავად მობუზულა და ცრემლს ჩუმად ყლაპავს.

გული ამიდუღა ამ სურათმა, და მეც ბევრი აღარ მიფიქრია, დავუძახე და ვუთხარი, მე ვიცნობ ვალიკო აბულაძეს, ამასწინათ ვნახე და კარგად არის მეთქი".

ადამიანი იმედით ცოცხლობს, ადამიანის სულის სატკივარი ბევრად დიდია, ვიდრე ხორცისა. ეს იცის ჯარისკაცმა და ამიტომ უფრთხილდება ცაბუნიას მირაჟს. იგი დილიდან-დღემდე უყვება გოგონას მამის საგმირო საქმეებზე, მაგრამ ვაი თუ ყველაფერი გამოაშკარავდეს, მერე ცაბუნია? და ადამიანი ისევ სხვაზე ფიქრობს: „ისევ მე წავალ ამ ქალაქიდან, ასე აჯობებს. ცაბუნია კი ელოდოს მამას... ომში ყველაფერი მოსავალია. ზოგჯერ კაცს გამოიტირებენ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და... ის კაცი აგერ არ მოდის ცოცხალი და ტანმრთელი!?

ეს დიდი ზრუნვა ადამიანზე და დიდი გაფრთხილება ადამიანისა ამ მოთხრობას ჰუმანურსა და ადამიანურს ხდის. საკითხის დაყენებით და მისი ხორცშესხმით უაღრესად თანამედროვე ნაწარმოები „ცაბუნია", „ნამდვილად „პატარა ლიტერატურული მარგალიტია" (გ. გაიდოვსკი).

თავის საფრონტო მოთხრობებში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ხალხის სული დაგვანახა. თავისი გმირები ხალხის სურვილითა და მისწრაფებებით აცოცხლა, მისი ტკივილით შეაწუხა, მისი სიხარულით გაახარა. სწორედ ამიტომ გახდნენ ისინი მთელი საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილებად.

მისი მოთხრობები დიდ სამამულო ომზე შეიძლება ამ თემაზე დაწერილ საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების გვერდით დავაყენოთ" (ი. ლიბედინსკი).

ომის თემატიკამ კარგახანს დაიკავა წამყვანი ადგილი მწერლის შემოქმედებაში და „კოლხეთის ცისკრიდან" მხოლოდ სამი ათეული წლის მერე მიუბრუნდა იგი მშვიდობიან ცხოვრების თემატიკას. სამოციან წლებში ქვეყნდება მისი რომანის „ნატვრის თვალის" პირველი ნაწილი. რომანი როგორც ეტყობა მწერალს ფართო პლანით აქვს ჩაფიქრებული, მისი პროლოგი 1918 წელია.

„ნატვრის თვალში" ბევრი რამ არის საინტერესო. საინტერესოა მასში დას-

მული პრობლემები, საინტერესოა მისი გმირები, საინტერესოა თვით კომპოზიციური აღნაგობაც რომანისა და მწერლის სტილი. და მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ჯერ დამთავრებული არაა და მისი სრული განხილვაც ახლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომანის ზოგ ძირითად დამახასიათებელ მხარეზე მაინც უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

უპირველესი ღირსება ამ რომანისა— მისი პრობლემატიკაა. თუ გავიხსენებთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამწერლო გზას, ისიც გაგვახსენდება ,რომ იგი ყოველთვის ცდილობდა თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები დაეყენებინა მკითხველის წინ და შეძლებისდაგვარად გადაეჭრა ისინი.

ამ რომანში ასეთ საკითხთა მთელი წყებაა.

მთავარი კი ის დამოკიდებულებაა ადამიანებთან, მათ აზრებთან თუ სურვილებთან, რომელმაც უახლოეს წარსულში ჩვენს ქვეყანას მატერიალურ ზარალზე უფრო დიდი სულიერი ზარალი მიაყენა.

და მწერალი ჩვენ გვაცნობს ადამიანებს, რომლებიც ყოველნაირ გარემოებაში მიწისა და ხალხის ერთგულნი დარჩნენ — ესაა მანუჩარ უგრეხელიძე, თადია რაინაული, ზაქარია ნადიბაიძე, ადამიანებს რომელნიც სიმონ ჩოხელივით დაიბნენ და ხალხს მოსწყდნენ, ადამიანებს, რომელნიც შეეგუენ გარემოებას, თავის სასარგებლოდ გამოიყენეს იგი და არჩილ ყანჩაშვილივით პრინციპული ადამიანების, პარტიული მუშაკების ნიღაბს ამოაფარეს გაიძვერისა და წამგლეჯის სახე.

რომანში ჩვენ ბევრი მკვეთრად ინდივიდუალური და საინტერესო ადამიანი გვხვდება. მათგან ზოგი შეიძლება მწერლის სხვა გმირებსაც მივამსგავსოთ (მაგალითად, ლევან ნადიბაიძე), მაგრამ მწერალს აქვე დახატული აქვს ხასიათები, რომელნიც არამარტო მწერლისათვის, არამედ ჩვენი ლიტერატურისათვისაც გარკვეულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე თამამად ამის თქმა არჩილ ყანჩაშვილზე შეიძლება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შექმნა ტიპიური სახე განვითარებული, თავდაჭერილი ადამიანისა, რომელიც ოსტატურად არის შენიღბული და ყველაზე დაკვირვებულ ადამიანსაც კი თავს საქმისათვის თავდადებულ, პრინციპულ მუშაკად მოაჩვენებს. ასეთი ადამიანი ყველაზე დიდი მტერია ახალ საზოგადოებისა, რადგან მისი გამოაშკარავება ძნელია, მასთან ბრძოლა კი უფრო ძნელი. ეს კარიერისტი ადამიანები მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობენ და თანამდებობებს იმიტომ ებღაუჭებიან, რომ საკუთარი თავმოყვარეობა და მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. არჩილ ყანჩაშვილი, მოუქნელი მლიქვნელისა და ხალხის მყვლეფავის „წითელი დათას“ შვილი, გარეგნულად თითქოს ანტიპოდია მამისა. იგი საქმისათვის იწვის, სიმართლისათვის არავის შეეპუება, მაგრამ სისხლი და ხორცი მამისა აქვს და სულიც მამის გამოყვა. თუმცა, ვინ იცის, მისი სულის ამბავი. მოხერხებულმა კაცმა თითქმის რომ ყველა მოატყუა გარშემო: რაიკომის მდივანი სიმონ ჩოხელი, ლევანის საცოლე გოგუცა უგრეხელიძე, ლევანის მამა ზაქარია ნადიბაიძე. მკითხველი ხედავს მის ორგულობას, კი არ ხედავს, გრძნობს და იცის, რომ ეს კაცი არავის დაინდობს, არავის უერთგულებს. და აქ თავდება მეორე ნაწილი. რა მოუვა სიმონ ჩოხელს — პარტიულ ხელმძღვანელს, პატიოსან კაცს, რომელმაც მისთვის დაუძლეველი სიმძიმე იტვირთა. რა მოუვათ ზაქარია ნადიბაიძესა და თადია რაინაულს, რომელნიც ხალხის გაჭირვებას ხედავენ და გამოსავალ გზებს ეძებენ, რა მოუვა გოგუცას, არჩილ ყანჩაშვილმა რომ გული შეუტოკა, რა მოუვა ანუკას, ლევანის დამკარგავ დედას? მწერალმა გააშიშვლა ყველა დრამატული ხაზი ნაწარმოებისა, გაგვაცნო გმირები და მათი ბრძოლა ფაქტიურად ახლა უნდა დაიწყოს.

საინტერესო იქნება, ალბათ, ეს ბრძოლა, ამაღელვებელი.

ვინ გაიმარჯვებს?

როგორ გაიმარჯვებს?

ჩვენ მოწმე ვართ დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ ნაწარმოების შექმნისა, რომელშიც ნათლად თავს იჩენს მხატვრის გამოცდილი ხელი.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ნარკვევებს. „ახალი გლეხების“ მერე მან ბევრი ნარკვევი დასწერა, სადაც მემატიანის და თვითმხილველის ობიექტურობა შეხამებული იყო პოეტის აღმაფრენასთან. საბჭოთა ადამიანების გმირობის გზაზე ეს ნარკვევები მეტად საინტერესო ბევრ მომენტს იჭერდა, და ქართული ნარკვევის ისტორიაში ამ ჟანრის ლორთქიფანიძისეული ნაწარმოებებს ნამდვილად მიეზღვება თავისი. აქ არ არის იმის ადგილი რომ გავაანალიზოთ ისინი, მით უფრო, რომ მათი თემატიკა, პათოსი და გმირები ძირითადში მწერლის რომანებისა და მოთხრობების რკალს ემთხვევა. მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნოთ: ნარკვევი ლორთქიფანიძისათვის მასალაა, მოსამზადებელი საფეხური მოთხრობებისა თუ რომანისათვის. მისი ნარკვევებიდან მოთხრობებში გადადიან არა მარტო გმირები, არამედ თემებიც, პრობლემებიც, ამბებიც. მათში შეთანაბრებით მკვლევარს შეუძლია შეიხედოს მწერლის ლაბორატორიაში და დააკვირდეს თუ როგორ ხდება ჩვეულებრივი მასალის მხატვრობად გარდაქმნა.

ნარკვევში „ერთიმათგანი“ არის ღარიბი გლეხი ვახტანგ გალდავაძე; შემდეგ „კოლხეთის ცისკარში“ მწერალი მას გაყოფს და მის თვისებებსა თუ ცხოვრების ამა თუ იმ დეტალს ანტიპოდებს მიაწერს — ლევან კინწურაშვილსა და დახუნდარას, რომლის სახესაც ამავე ნარკვევის გმირის ჭიჭა ქორიძის თვისებით შეავსებს. აქ ხდება არა ზოგადი დამთხვევა სქემისა, არამედ თითქმის ზუსტი ტექსტუალური გამეორება. თუმცა ამა თუ იმ ფაქტს უკვე სხვა ინტერპრეტაცია აქვს მიცემული. ასევე იყენებს მწერალი ამ ნარკვევიდან სურათებს „კოლხეთის ცისკარში“ ანარიის წარსულის და საერთო შრომაზე გადასვლის პირველი დღეების დასახატავად.

საფრონტო მოთხრობებიც საკმაოდ დიდად არიან დავალებული ნარკვევებიდან, მათი შედარება გვარწმუნებს, რომ ნარკვევის მშრალი ფაქტი მწერლისათვის შემდეგ დიდი საუბრის წყარო ხდება. მაგალითად, 1943 წელს დაწერილ ნარკვევში „ხალხი — ამირანი“ არის ქართველი მეომარი ვლადიმერ კანკავა, რომელიც გერმანელთა სამი ტანკის იერიშს გადაეღობა.

„სიკვდილის წრეში მოქცეულმა მარტო კაცმა უთანასწორო ბრძოლა გაუმართა პირცეცხლიან ვეშაპებს. ფაშისტები ხედავდნენ სისხლის გუბეში სცურავდა იგი. და მაინც ესროდნენ, რადგან იცოდნენ საბჭოთა მეომარი სიკვდილის წინაც სიკვდილს ამარცხებდა.

ორი ჭრილობაც კიდევ მიემატა ვლადიმერ კანკავას. ძვალიც და ხორციც გაუთავებელ ტკივილებად ექცა, მაგრამ იგი არ შერხეულა, ნიშანში ამოღებულ მტრისათვის თვალი არ მოუშორებია.

და როდესაც გათამამებული ტანკები პირდაპირ გამოიჭრნენ, ამირანის ქართველი ნაშიერი სისხლში გავლებულ დროშასავით ისევ ბორცვზე აღიმართა... ორი გასროლით ორი ტანკი ზედიზედ დასწვა... ესროლა მესამედ და თვითონაც მუხლი მოეკვეთა. მესამე ტანკის აფეთქება აღარ დაუნახავს, რადგან მისი თვალები ვეღარაფერს ხედავდნენ“.

აშკარაა, რომ როგორც სახე ვლადიმერ კანკავასი, ისე მისი გმირული სიკვდილი პირდაპირ კავშირშია „მწვანე ღილის“ გმირთან ლადო ვაშალომიძესთან და მის ანალოგიურ სიკვდილთან.

ანალოგიური შედარებებით რომ არ გადავტვირთოთ წერილი, დასკვნის სახით ერთს შევნიშნავთ, მწერალი არ იღებს არასოდეს ნებისმიერ ფაქტს. ამბავთა, გმირთა, პრობლემათა სიმრავ-

ლიდან იგი არჩევს მხოლოდ მისთვის საჭიროს და ყოველ მოვლენაში ნახულობს ყველაზე დამახასიათებელს, ძირითადს და ეს ძირითადი ხშირად ჰეროიკულია. ყოველდღიურ რეალობაში მწერალი ჰეროიკულს ხედავს, სწორედ ამან განსაზღვრა მის რეალიზმში ჰეროიკულის ასეთი მოძალება.

როცა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ომში დაღუპულ ერთ ქართველზე ნარკვევი დასწერა, წინ ასეთი წინათქმა წაუმძღვარა — „როდესაც ქართველი კაცის ვაჟკაცობას იტყვიან, მაშინვე ის გამახსენდება. ვეძებ და ვერ მიპოვნია სიტყვა, მისი სულიერი ძლიერების აჩრდილად რომ მაინც გამოდგეს".

შესანიშნავი აღსარებაა მწერლისა.

შემოქმედი ყოველთვის ეძიებს: მუსიკოსი ბგერას, ფერმწერი ფერს, მწერალი სიტყვას. დამქანცველი, მაგრამ ბედნიერების მომტანია ეს ძიება. ნახულობს კი ხელოვანი ოდესმე თავისი ჩანაფიქრის ადექვატურ გამომხატველს? ხელოვანი ფიქრობს, რომ არა. მაგრამ მკითხველსაც ხომ ეკუთვნის სიტყვა. და მას შეუძლია თქვას, რომ მხოლოდ ის ნაწარმოებები გვანიჭებენ სიამოვნებას, მხოლოდ ისინი გვხდიან ბედნიერს, სადაც მონახულია ჭეშმარიტი ბგერა, ფერი და სიტყვა.

ჩვენ არა გვქონია მიზნად კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების სრული სურათი მოგვეცა.

ჩვენი მიზანი სხვა იყო.

როგორ ეძიებს მწერალი იმ სიტყვას, რომელიც ბგერათა უბრალო შეთანხმებიდან ხელოვნებად ქცეულა და როგორია ეს სიტყვა, ჭეშმარიტია თუ არა იგი?

თუ ეს სიტყვა საერთოდ მიუღწეველია და ჰორიზონტივით მიახლოვებისთანავე ყოველთვის გვშორდება? თუ ეს სიტყვა ცასავით უსაზღვროა და მასავით მრავალფერი?

და საერთოდ განა შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა?

იქნებ სჯობდეს მხოლოდ დაკვირვებით ვადევნოთ მწერლის ძიებას თვალი, დავტკბეთ მისი გამარჯვებით და განვიცადოთ მისი დამარცხება?

თუმცა, ეს უკვე მკითხველმა უნდა განსაჯოს და ჩვენც მისთვის მიგვინდვია საბოლოო სიტყვის თქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესელავა

# ათასი ფუთი ბრალდება

## განცდილი და გაგონილი

ულოები და მორლოკები...

მსოფლიო ბატონობის ასეთმა ჰიპერტროფიულმა იდეამ განსაზღვრა ჰიტლერელთა მოქმედების ამორალური ხასიათი. ძველი იეზუიტურ-მაკიაველური თეზა: „მიზანი ამართლებს საშუალებას", დაედო საფუძვლად ამ მოქმედების იურიდიულ მხარეს, რის შედეგადაც ზნეობამ დაკარგა ძალა და მომთხოვნელობა; უკანონობამ და აღვირახსნილობამ განდევნა წესრიგი, უსამართლობამ — სამართალი; სიკეთე ბოროტებად გამოცხადდა, სინიდისი — ქიმერად.

გაულაიტერ რაუშნინგთან საუბრის დროს ჰიტლერმა არცთუ ისე მოკრძალებით თქვა:

— განგებამ წინასწარ განსაზღვრა, რომ მე ვიქნები კაცობრიობის უდიდესი მხსნელი. მე ვათავისუფლებ ადამიანებს გონების დამაბრკოლებელ საწყისისაგან, რამაც შებოჭა ისინი; ჭუჭყიან და გამრყვნელ დამცირებისაგან, რასაც პიროვნება იტანს; ქიმერისაგან, რომლის სახელია სინიდისი და მორალი; თავისუფლებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნილებისაგან, რისი ატანაც შეუძლიათ მხოლოდ მცირეოდენთ. მე მადლობელი ვარ ბედისწერისა, რომ არ გამიმზადა კურთხევა სახელმწიფოსი და თვალებზე არ ჩამომაფარა ფარდა, რომელსაც მეცნიერული განათლება ეწოდება. ამით მოვახერხე თავიდან ამეცილებინა მრავალგვარი გულუბრყვილო დაბნეულობა და ახლა ვიმკი კიდეც ამის შედეგს. მე, კოლოსალური ყინულისებური სიმშვიდით და რამე ცრუ-რწმენის გარეშე ვუახლოვდები ყველაფერს.

ჰიტლერი ამასვე მოითხოვდა ხელქვეითებისაგან, რომელნიც მონურად ასრულებდნენ „განგების მიერ მოვლენილ ფიურერის" დემონურ შეგონებებს და მასთან ერთად შთაინთქნენ მარადისობის უფსკრულში...

ეს იყო მათი ბედისწერა! ის ათასი ფუთი ბრალდებაც ამიტომ დააწვა მათ მხრებს და სულ თითო-ოროლა გრამობით შექმნა გონებისათვის წარმოუდგენელ დანაშაულებათა გროტესკული სახე...

...ჩემს მიერ უკვე მოხსენებული „კოლონიზაციის განყოფილების" უფროსი ვეტცელიც ასეთივე „ყინულისებური სიმშვიდით" იწონებს ჰიტლერელი გეოპოლიტიკოსების, დოქტორ აბელისა და მისი ასისტენტის ფიშერის მიერ რუსების (ე. ი. საბჭოთა ხალხების) ანტროპოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებულ „სწორ დასკვნებს" და ისევ იმ რაღაც ერთ გრამ ქაღალდზე წერს:

— აბელი ამ პრობლემის გადაწყვეტის ორ შესაძლებლობას ხედავს — რუსი ხალხის სრულ მოსპობას, ან მისი იმ ნაწილის გაგერმანელებას, რომელსაც აქვს ჩრდილოეთის რასის აშკარა ნიშნები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წინადადებანი — განაგრძობს ის — განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან საქმე მარტო სახელმწიფოს და მისი ცენტრის, მოსკოვის განადგურებას როდი ეხება. ამ ისტორიული მიზნის განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დასმული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას. მთავარია გავანადგუროთ რუსები, როგორც ხალხი!

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე ჰიტლერმა განაცხადა:

— ჩვენი ძალა მოქნილობასა და სისასტიკეშია. ჩინგის-ხანმა სრულიად გულდამშვიდებით გაჟლიტა მილიონობით ბავშვი და ქალი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისტორია მასში მხოლოდ სახელმწიფოს დიდ ფუძემდებელს ხედავს. ჩემთვის სულერთია, რას იტყვის ჩემზე დაჩაჩანაკებული ცივილიზაცია. მე გავეცი ბრძანება და დავხვრეტ ყველას, ვინც ერთ სიტყვას დასძრავს საწინააღმდეგოდ. ამ ომის მიზანია არა

გაგრძელება, იხ. „მნათობი" № 8.

განსაზღვრულ საზღვრებამდე მისვლა, არამედ მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა.

უფრო ადრე, 1937 წლის 5 ნოემბერს მანვე უთხრა გენერლებს — ფონ ბლომბერგს, ფონ ფრიჩს და ადმირალ რედერს:

— საქმე ეხება არა ხალხების დაპყრობას, არამედ ტერიტორიებისას, რაც „განხალხებულ“ უნდა იქნას... და შემდეგ:

— ექსპანსიის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სიცოცხლის შემუსვრით. წარსულში მთელი ტომებისა და ხალხების მოსპობა გამარჯვებულთა პრეროგატივს წარმოადგენდა...

...ყველა, ვინც ახლო იყო ჰიტლერთან, ცდილობდა შთამომავლობისთვის შემოენახა ამ „ღმერთზე ძლიერი ადამიანისა და წინასწარმეტყველის“ ყოველი სიტყვა, რასაც ის თუნდაც კერძო საუბრების დროს იტყოდა. როგორც ჩანს, ჰიტლერი არც თვითონ იყო ამის წინააღმდეგი, პირიქით, საამისო გარემოცვასაც ქმნიდა. იგი, ჩვეულებრივად, არა თავის უახლეს თანამშრომლებთან, არამედ, მდივან-ქალებთან და ადიუტანტებთან სადილობდა. ისინიც გულმოდგინედ იწერდნენ „განგების მიერ მოვლენილი ფიურერის“ ყოველ სიტყვას.

ასე იქნა „დოკუმენტირებული“ ჰიტლერის მიერ სუფრაზე გამოთქმული აზრები არა მარტო დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხების“, არამედ ამავე ტერიტორიების „განქალაქების“ შესახებაც. 1941 წლის 6 ივლისს, ჰიტლერმა, ვახშმის მირთმევის დროს, თავის თანამესუფრეებს განუცხადა:

— მოსკოვი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, როგორც კი იქიდან გამოზიდული იქნება მთელი სიმდიდრე.

ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ისევ სუფრასთან ჯდომის დროს გაიმეორა იგივე აზრი ლენინგრადის შესახებ:

— სანკტ-პეტერბურგის დაარსება პეტრე დიდის მიერ ფატალური მოვლენა იყო ევროპის ისტორიაში; ამიტომ ის უნდა მოისპოს მთლიანად, მოსკოვიც, რის შემდეგ რუსები წავლენ ციმბირში. რაც შეეხება ასობით მილიონ სასაცილო სლავს, საუკეთესოებს მათ შორის ჩვენ რაღაც გვინდა იმად ვაქცევთ, დანარჩენები კი იზოლირებულნი იქნებიან თავიანთ საღორეებში, და ყველას, ვინც კრინტს დაძრავს — რომ უნდა ვიზრუნოთ ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ან ცივილიზაცია შევიტანოთ მათში, დაუყოვნებლივ გავგზავნი საკონცენტრაციო ბანაკებში.

„დაბალი რასის“ წარმომადგენლები გეტოებსა და საღორეებში, მაღალი გერმანული რასისა კი — სასახლეებში. ასეთი იყო ჰიტლერის „საბოლოო მიზანი“. ამბობდა კიდეც:

— გერმანელმა კოლონიზატორებმა უნდა იცხოვრონ ლამაზ და ვრცელ ფერმებში. გერმანული დაწესებულებები დაიკავებენ ბრწყინვალე შენობებს, გუბერნატორები კი — სასახლეებს. ქალაქების გარშემო 30—40 კილომეტრის რადიუსით ჩვენ შევქმნით ლამაზ სოფლებს და დავაკავშირებთ ერთმანეთთან შესანიშნავი გზებით. ამის იქით იქნება სხვა სამყარო, რომელშიც იცხოვრებენ რუსები.

როგორ? რა პირობებში? ამას უკვე ჰიმლერი განსაზღვრავდა. 1943 წლის 4 ოქტომბერს პოზნანში მოწვეულ გრუპპენფიურერების თათბირზე მან განაცხადა:

— დანარჩენი ხალხები უზრუნველყოფილნი იქნებიან, თუ სიმშილით დაიხოცებიან, ძე მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი საჭირონი იქნებიან, როგორც ჩვენი კულტურის მონები. მე არ მაინტერესებს ტანკსაწინააღმდეგო ორმოების თხრის დროს ძალა გამოეცლება და დაიღუპება თუ არა 10.000 რუსი დედაკაცი, მე მინდა ვიცოდე, მზადაა თუ არა ორმო!

არც ესაა ყველაფერი. შემდეგ იმავე ჰიმლერმა ევროპაში მოსპო ებრაელობა, როგორც რასა და შეუდგა ინტელიგენციის, „კომუნისტურად მოაზროვნეებისა“ და 30 მილიონი სლავის გაჟლეტის „პირველი რიგის სამუშაოებს“ ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში. ამაზე მას უკვე ხელი გაჩვეული ჰქონდა და სპეციალური ტერმინოლოგიაც შემუშავებული — „გენოციდი“, „მოსპობა“, „განხალხება“, „განსაკუთრებული მოპყრობა“, „ამოძირკვა“, „ძირფესვიანად ამოთხრა“, „SD-სთვის გადაცემა“, „ფილტრაცია“, „სამოთხის გზაზე დაყენება“ და სხვა მრავალი. ყველაფერი ეს იმისთვის, რომ დამპყრობთა და დაპყრობილთა შორის საჭირო პროცენტული შეფარდება დადგენილიყო, რაც მათი აზრით „გერმანიის ათასწლოვან იმპერიაში“ უზრუნველჰყოფდა რაღაც იმის მსგავს წყობილების ჩამოყალიბებას, რაც ინგლისელ მწერალ ჰერბერტ უელსს აქვს აღწერილი თავის ფანტასტიკურ-პაროდიულ რომანში „დროთა მანქანა“...

...ასეთი წყობილების დროს მსოფლიოს მთელი მოსახლეობა დაყოფილია ორ ჯგუფად — ელოებად და მორლოკებად. ელოები მმართველი არისტოკრატიული კლასის წარმომადგენლებია, რომლებიც ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობენ, მორლოკები კი „დაბალი რასისა“. ისინი სადღაც ჯურღმულებში არიან და მონურ სამუშაოებს ასრულებენ ბატონ ელოების, როგორც საზოგადოებრივი ელიტის, საკეთილდღეოდ.

ელოებისა და მორლოკების რაოდენობრივ შეფარდებას აწესრიგებს სახელმწიფო.

გერმანელებს ელოებად არიული რასის წარ-

მომადგენლები მიაჩნდათ, დანარჩენები კი მორლოკებად, ანუ მონებად. იმის გამო, რომ ელოების რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩებოდა მორლოკებისას, მათი აზრით, საჭირო იყო ერთის მხრივ ელოების „წარმოების გადიდება“, ხოლო მეორეს მხრივ — „მატლებივით გამრავლებულ“ მორლოკების რაოდენობის მკვეთრი შემცირება...

...შეიძლება ყველაფერი ეს, რასაც ვყვებით, ზღაპარს ჰგავდეს, მაგრამ ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმის დანახვას, თუ ასეთი ზღაპრები და მითები როგორ იქცეოდნენ სინამდვილედ ჰიტლერულ გერმანიაში. ისიც ვიცით, რომ ჰიმლერის უწყებაში შეიქნა „მემკვიდრეობის გაუმჯობესებისა და რასიული სიწმინდის დაცვის“ სპეციალური ორგანიზაციები — Ahnenerbe“ და „Ahnenerben -stiftung“, რომელთაც გეოპოლიტიკური საკითხების შესწავლა და ხალხთა გამრავლების მოწესრიგების პრაქტიკული საშუალებების გამოძებნა ევალებოდა. ამ ორგანიზაციებს თავისი ფილიალები, საკვლევო ინსტიტუტები და სამეცნიერო ლაბორატორიები ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკებთან გახსნილი; სადაც გამოჩენილი პროფესორები, დოქტორები და ექიმები „მოღვაწეობდნენ“. „ცდის ობიექტები“ აქ ყოველთვის ხელთ ჰყავდათ. თუ ადრე ამისთვის ბაჭიებს, ვირთხებს, ან ზღვის გოჭებს იყენებდნენ, ახლა ცდებს პირდაპირ ადამიანებზე ახდენდნენ. მართალია, ასეთი ცდები, როგორც წესი, „ცდის ობიექტების“ სიკვდილით მთავრდებოდა, მაგრამ ეს მათ არ აწუხებდათ, რადგან სათანადო კონტიგენტს ისინი მაინც „სალიკვიდაციო მასალისაგან“ იღებდნენ.

ცდები სხვადასხვა ხასიათისა იყო. ნიურნბერგის პროცესის მასალების მიხედვით, ყველაზე საშინელს მათ შორის „გაიშვიათებულ ჰაერში ადამიანის ქცევის შესწავლა“ წარმოადგენდა, რაც გერმანიის საჰაერო ძალების სარდლის, გერინგისა და მისი შტაბის უფროსის, ფელდმარშალ მილჰის დაკვეთით წარმოებდა. პროცესზე ჩვენ მოვისმინეთ ასეთი ცდების ერთ-ერთი ჩამტარებლის, ექიმ პახოლეტის მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება:

— სათვალთვალო ხვრელის საშუალებით მე თვითონ ვუყურებდი გაიშვიათებულ საჰაერო სივრცეში მოთავსებულ ტყვეს, რომელმაც იმდენხანს იწვალა, ვიდრე ფილტვები არ გაუსკდა და მოკვდა. ზოგიერთი ექსპერიმენტი ისეთ წნევას იწვევდა, რომ ტყვეები ჭკუაზე იშლებოდნენ. ისინი თმებს იგლეჯდნენ და ფრჩხილებით ილადრავდნენ ყელს, რომ როგორმე გათავისუფლებულიყვნენ ამ საშინელი წნევისაგან. რაკი ამგვარი ცდები, როგორც წესი, ობიექტის სიკვდილით მთავრდებოდა, სპეციალური კამერები შექმნეს, სადაც ტყვეების მასიურ ლიკვიდაციას ახდენდნენ.

სიკვდილით ასეთი წესით დასჯის იმ სურათთან შედარებით, რაც პახოლეტიმ პროცესზე დაგვიხატა, თვით ნიურნბერგელი მხატვრის დიურერის კოშმარული ნახატები და დანტეს ჯოჯოხეთის ილუსტრაციები უბრალო სანახაობად შეიძლება მოგვეჩვენოს...

...ნიურნბერგში, ჩემს მეზობელ ოთახში ცნობილი რუსი მწერალი, იმ დროს კი რომელიღაც ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი ლ. ლეონოვი ცხოვრობდა ერხანს. იმ დღეს, როცა ამ საშინელი მასალების დემონსტრაცია ხდებოდა, ის განსაკუთრებით აღელვებული დაბრუნდა პროცესიდან. შუაღამემდე ბობოქრობდა, ილანძღებოდა, არც თვითონ ეძინა და არც სხვას აძინებდა. მერე იმ ცხელ გულზე დაჯდა და დაწერა სტატია, რომელშიც ზიზღით იხსენიებდა ყველაფერ გერმანულს. მახსოვს ასეთი ფრაზაც ჰქონდა სტატიაში: „მიმიფურთხებია თქვენი დიურერისთვისო“. თავისი საერთო აღშფოთება მან ქ. ნიურნბერგსა და მის სახელოვან მოქალაქე დიურერზეც გადაიტანა.

დილით, სტატია რომ წამიკითხა, გაიცინა და თქვა — ხომ ხედავთ ბრაზისაგან სწორი მისამართით არ გამიფურთხებიაო, მაგრამ იმ დღესაც ისეთი საშინელებანი მოისმინა პროცესზე, რომ საღამოთი ისევ აერია მისამართები...

...ასეთი რამ მაშინ ყველა ჩვენგანს ემართებოდა. და ეს გასაგებიცაა. ყოველივე ამ საშინელების მოსმენის შემდეგ, რა გასაკვირია მისამართები კი არა, გონებაც აგერიოს კაცს. მე არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა ნიურნბერგში მარკოვმა მიჩვენა მოწმედ ჩამოყვანილი უკრაინელი მოხუცი ქალი, რომელსაც დაახლოებით 60 წლის შეხედულება ჰქონდა.

— თუ იცი ეს ქალი რამდენი წლის იქნება? — მკითხა მარკოვმა.

— რა ვიცი, ალბათ, სამოცის, — ვუპასუხე მე.

მარკოვს გაეცინა და თქვა:

— წარმოიდგინეთ, რომ ის ჯერ ოცდახუთისაც არ არის!

ეს რომ მითხრა, გაოცებულმა ისევ იმ „დედაბერს“ შევხედე. მაინც ისე მეჩვენა — 60 წლისაა. გამეცინა, მეგონა, მატყუებდა, მაგრამ ახლა იმ 25 წლის „დედაბერმა“ გამიღიმა და საოცრებაც ეს იყო... სახეზე სრულიად ახალგაზრდულმა, თითქმის ბავშვურმა იერმა გადაჰკრა... თუ მომეჩვენა, არ ვიცი... ვირწმუნე კია, რომ ის სრულიად ახალგაზრდა იყო. მერე გავიგე კიდეც: ოსვენციმის ბანაკში სეკრეციის

ჯირკვლების ისეთი ხანგრძლივი და საშინელი ოპერაციები გადაუტანია, როგორც „ცდის ობიექტს", რომ ასე უცებ დაბერებულა, თმები გასცვენია, სახე დანაოჭებია და წელში მოხრილა. რაც იმან საშინელება მიამბო, მე ჭაღარად შემრჩა თმებში. ადრეც გითხარით, „სიჭაბუკის ჭაღარის" შესახებ; ამჟამად კი ჩემს წინაშე სრულიად გაჭაღარავებული „მოხუცი ქალიშვილი" იდგა. ის ახალგაზრდა დედაბერი და მისი ბავშვური ღიმილი რომ მახსენდება, მისამართები ახლაც მერევა. ისიც მაგონდება, რაც იმავე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს, რუდოლფ ჰესს ჰკითხა კალტენბრუნერის დამცველმა კაუფმანმა:

— რა იცით თქვენ ცოცხალ ადამიანებზე ჩატარებული სამედიცინო ცდების შესახებ?

— ასეთი ცდები სხვადასხვა ბანაკში წარმოებდა, — მიუგო ჰესმა — ჩვენთან, ოსვენციმში ტარდებოდა სტერილიზაციისა და კასტრაციის ცდები, რასაც აწარმოებდნენ ექიმები — კლაუბერტი და შუმანი. ტყუპების შესწავლას კი ახდენდა ექიმი მენგელე.

ერთი სიტყვით, „კვლევა" ორი გზით მიმდინარეობდა. ერთის მიზანი იყო არა არიული მოსახლეობის „ბუნებრივი ზრდის" შემცირება, ხოლო მეორესი — არიული ჯიშის გერმანელების მომრავლება. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ ჰიმლერი და ბორმანი. ჰიმლერის აგენტები ეძებდნენ ტყუპებს და აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკების ლაბორატორიებში, რომ გაეგოთ რითაა ეს მოვლენა გამოწვეული. ამით ისინი იმედოვნებდნენ დაედგინათ ტყუპისცალების გამრავლების შესაძლებლობა, რაც, მათი აზრით, ერთი ორად და მეტადაც დააჩქარებდა არიელი ელოების გამრავლების „ბუნებრივ პროცესს". ესეც ისეთი ჰიპერტროფიული აზრია, რომლის წარმოდგენა პაროდიულობის გარეშე შეუძლებელიცაა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინგლისელი მწერალი ოლდოუს ჰაქსლი წერს რომანს „ბედნიერი მშვენიერი სამყარო", რომელშიც სწორედ ისეთი ამბებია აღწერილი, რაზედაც შემდეგ ჰიტლერელი „მეცნიერები" ოცნებობდნენ...

**ალფადან იპსილონამდე...**

მოქმედება ასი წლის შემდეგ ხდება. ფაბრიკის დირექტორს ექსკურსიაზე მოსული „ვარდისფერი სტუდენტები" შეჰყავს ოცდათორმეტსართულიან ნაცრისფერ შენობაში, რომელსაც აწერია „ლონდონის (გერმანელები, ცხადია, იტყოდნენ „ბერლინის". მ. კ.) ცენტრალური ინკუბატორი და ადაპტაციური ცენტრი". იქვე, ნიშზე,გაკრულია ახალი „მსოფლიო იმპერიის" დევიზი:

საზოგადოებრივობა, ერთტიპიურობა, სიმყარე!

სტუდენტები შედიან შენობაში და მაშინვე ე. წ. „განაყოფიერების საამქროში" აღმოჩნდებიან. აქ საამური სიგრილეა. საამქროში სამასამდე „გამანაყოფიერებელი" ზის (იგულისხმება ესესელები — მ. კ.) და „რაღაცას უცნაური ინსტრუმენტებით მუშაობენ". დირექტორი აცნობს ექსკურსანტ სტუდენტებს ამ დაწესებულების საქმიანობას. იგი ჯერ ინკუბატორს აჩვენებს, სადაც მომავალი ადამიანების შექმნასა და დახარისხებაზე მუშაობენ. საქმე ის არის, რომ ახალ მსოფლიო იმპერიაში ხალხი კასტებად, ანუ კლასებად არის დაყოფილი. კასტების განსაზღვრა ალფადან იპსილიონამდე ხდება „განაყოფიერების საამქროში", სპეციალური ბიოქიმიური ზემოქმედების გზით. უმაღლესი არისტოკრატიული (იგულისხმება არიული) კასტის წარმომადგენლებს (ალფებს) ერთხანს ამ საამქროში სტოვებენ, დანარჩენი დაბალი კასტის (კლასის) წარმომადგენლები (ეპსილონები) კი 36 საათის შემდეგ გადააქვთ სხვა საამქროში, შემდგომ დასამუშავებლად. ამასთანავე, „გამოსაშვები პროდუქციის" რაოდენობის და მათი „პროცენტული შეფარდების" საკითხიც გადაწყვეტილია. ინკუბატორში შეუძლიათ იმდენი და ისეთი კასტის წარმომადგენლები „დაამზადონ", რამდენიც უნდათ. თუ უწინ ჰიმლერი და ბორმანი ფიქრობდნენ, რომ ამისათვის ერთი საუკუნე იყო საჭირო, ახლა სულ რამდენიმე წელია საკმარისი, რადგან ერთი სპერმიდან აქ 96 ტყუპი გამოჰყავთ. ჰიმლერს და ბორმანს ამაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. დირექტორის აზრითაც ეს გაუგონარი პროგრესია „ბუნებრივ გამრავლებასთან" შედარებით.

— წარმოიდგინეთ მხოლოდ, 96 ტყუპი! — პათეტიკურად აცხადებს ის — ეს 96 ტყუპი მუშაობს 96 ერთი ტიპის დაზგაზე. სტანდარტული ადამიანები ასრულებენ სტანდარტულ სამუშაოებს!.. ჩვენი მიზანია, საერთოდ, სტანდარტული გავხადოთ მოსახლეობა. ჯერჯერობით, ამას იმით ვაღწევთ, რომ ერთ საკვერცხიდან 16 ათასი სტანდარტული და-ძმა გამოგვყავს, მაგრამ ცდები გრძელდება და ეს რიცხვი შეიძლება კიდევ გავზარდოთ!

ასეთია ნაცისტური მისწრაფების პაროდიულად ჰიპერტოფირებული ფორმა ჰაქსლის რომანში...

...სოციალური წესრიგის სურათიც ანალოგიურია. ჰიტლერი კატეგორიულად კრძალავდა ყოველგვარ სწავლა-განათლებას არა სრული მოსახლეობისათვის, რადგან ეს მხოლოდ ბატონთა რასის პრივილეგიად მიაჩნდა; ასეთს კი, მისი აზრით, მხოლოდ გერმანელები წარ-

მოადგენდნენ. ერთ-ერთი ოფიციალური საუბრის დროს მან უთხრა ბალდურ ფონ შირახს: — პოლონელებს მხოლოდ ერთი ბატონი უნდა ჰყავდეს — გერმანელი! არ შეიძლება და არც უნდა იყოს ორი ბატონი ერთსა და იმავე დროს. ამიტომ პოლონეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი მოსპობილი უნდა იქნეს. ეს მკაცრად ჟღერს, მაგრამ, რას იზამთ, ასეთია კანონი ცხოვრებისა.

ამ მითითებას გულმოდგინედ ასრულებდნენ ჩეხოსლოვაკიის პროტექტორი ნოირატი და პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ფრანკი. ეს უკანასკნელი ხუმრობდა კიდეც „პოლონელებს იმდენი განათლება უნდა მიეცეთ, რამდენიც მათი საკუთარი არსებობის უაზრობას შეაგნებინებსო".

მათაც უნდოდათ ჰყოლოდათ ბატონ-მმართველთა უმაღლესი კასტა, რომელსაც დაემორჩილებოდა უფორმო და უუფლებო მასა მონებისა, რომელთაც წინასწარვე ექნებოდათ გამომუშავებული იმუნიტეტი ყოველგვარ სწავლა-განათლებასა და სილამაზისადმი, რაც ზუსტადაა ჰაქსლის იმავე პაროდიაში გამოხატული.

...სტუდენტები ათვალიერებენ კონვეიერებს, რომლებზედაც მოძრაობენ შუშის კოლბები მომავალი ადამიანების ჩანასახებით. „განაყოფიერების საამქრო". სპეციალური ექსკავატორებით უერთდება „ჩანასახების საამქროს". კონვეიერებზე მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე განისაზღვრება მომავალი ადამიანების სქესი და სოციალური დანიშნულება — ვინ ქალი იყოს, ვინ კაცი და ისიც, თუ ვინ რომელ კასტას მიეკუთვნოს. შემდეგ ჩანასახები გადააქვთ „გასახსნელ საამქროში", სადაც მათ შუშის კოლბებიდან ათავისუფლებენ და დამოუკიდებელ არსებობას აჩვევენ. ამასთანავე, აქ სრულიად ზედმეტია ჰიმლერისა და კალტენბრუნერის განკარგულებები „სტერილიზაციის შესახებ", ან რა საჭიროა ეს, როცა თვით ინკუბატორში განისაზღვრება ვის ექნება მომავალში „განაყოფიერების" იმპულსი" და ვის-არა. სტატისტიკამ ზუსტად დაადგინა, რომ ახალ პირობებში ყოველ 1200 ქალიდან საკმარისია მხოლოდ ერთს შერჩეს განაყოფიერების უნარი. ამითაც უზრუნველყოფილი იქნება „საჭირო პროდუქციის გამოშვება". დირექტორის აზრით, ეს ათავისუფლებს ადამიანებს ბუნების მონურ მიბაძვისაგან და უფრო მრავალფეროვანს ხდის ახალი სახეების გამოგონებას.

ამის შემდეგ იწყება ე. წ. ადაპტაცია, ანუ სოციალური ფილტრაცია — დაყოფა კასტებად, დახარისხება — ვინ ალფას განეკუთვნოს და ვინ ეპსილონს. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩანასახებზე ბიო-ქიმიური ზემოქმედებით იწყება — ჟანგბადის დოზის განაწილებით (ასეთი ცდები საკონცენტრაციო ბანაკების ლაბორატორიებშიც მიმდინარეობდა). ვინც ალფა-კასტას განეკუთვნება — ჟანგბადის ნორმალურ დოზას უშვებენ მის კოლბაში, ვინც ეპსილონს — ნაკლებს, რომ ჩანასახი განვითარების არანორმალურ პირობებში ჩააყენონ. რაც უფრო დაბალია კასტა, მით უფრო ნაკლებ დოზას აძლევენ ჟანგბადისას. ამით ჯერ ტვინი ზიანდება, მერე ჩონჩხი. სრულიადაც არ არის საჭირო ეპსილონ კასტის წარმომადგენლებს განუვითარდეთ თავის ტვინი, ან სხეულის ლამაზი აგებულება ჰქონდეთ. ეს ალფა კასტის პრივილეგიაა. ეპსილონები მომავალი მონებია და მხოლოდ ფიზიკური მუშაობა მოეთხოვებათ. ამიტომაც ხდება მათი „ტერიტორიული და პროფესიული ადაპტაცია". ვინც ტროპიკებში უნდა გაიგზავნოს სამუშაოდ, სიცხეს აჩვევენ, ვინც პოლუსისკენ — სიცივეს.

ამგვარი „ბიოლოგიური ადაპტაციის" შემდეგ, რასაც ნიურნბერგში „დიქტატორული ბიოლოგიზმი" უწოდეს, იწყება სოციალური აღზრდის სეანსები. სპეციალურ საამქროში შემოყავთ ეპსილონ კასტის ბავშვები და დასვამენ დარბაზის ერთ კუთხეში. მოპირდაპირე მხარეს კი აწყობენ მშვენიერი ვარდების თაიგულებს და ფერად-ფერად ნახატებიან წიგნებს. ცნობისმოყვარე „ეპსილონები" გაფორთხდებიან იქითკენ და აღტაცებულნი ჩაბღუჯავენ ამ ლამაზ ნივთებს. იმავე წამს „აღმზრდელი" ღილს დააჭერს თითს: გაისმის სირენების გულშემზარავი ხმაური. შემდეგ ელექტროდენსაც შეუერთებენ იმ ადგილს, სადაც გაოგნებული „იპსილონები" სხედან. ისინი ტკივილებისაგან იკრუნჩხებიან, წივიან... მერე დენს გამორთავენ და ხმაურს შეწყვეტენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სეანსი მეორდება. დირექტორი ზეიმობს:

— ორასი ასეთი სეანსი და იპსილონების შეგნებაში განუყრელად დაუკავშირდება ერთმანეთს წიგნები და გულშემზარავი ხმაური, ყვავილები და ელექტროდენის დარტყმა... ხოლო რასაც ადამიანის შეგნება დააკავშირებს, იმას შემდეგ ბუნება ვეღარ გათიშავს... ასე გამოუმუშავდებათ დაბალ კასტებს ინსტინქტური სიძულვილი, ანუ იმუნიტეტი სილამაზისა და განათლების მიმართ.

გარდა ამისა, სტუდენტები ეცნობიან „კლასობრივი თვითშეგნების" სეანსებს. საჭიროა დაბალი კასტის წარმომადგენლებს გამოუმუშავდეთ არა მარტო იმუნიტეტი იმისადმი, რაც მაღალი კასტების პრივილეგიაა, არამედ კმაყოფილიც იყვნენ ამით, რასაც ე. წ. ჰიპნოპედიური აღზრდით აღწევენ. სტუდენტები შედიან ნახევრად ჩაბნელებულ პალატაში, სადაც ბავშვებს სძინავთ. ყოველი მათგანის სასთუ-

მალთან დგას რეპროდუქტორი, რომელიც ჩასჩურჩულებს მათ „კლასობრივი თვითშეგნების“ გაკვეთილს:

— ყველა ატარებს მწვანე ტანისამოსს, დელტა ბავშვები კი ატარებენ მიხაკისფერს. არა, მე არ მინდა ვითამაშო დელტა — ბავშვებთან, იპსილონები კი უარესები არიან. ისინი ისე ჩერჩეტებია, რომ წერა-კითხვაც არ იციან. გარდა ამისა, მათ შავი ტანისამოსი აცვიათ, ეს საზიზღარი ფერია. არა, მე არ მინდა იპსილონ ბავშვებთან თამაში! რა კარგია, რომ მე ალფა ვარ...

პაუზის შემდეგ დიქტორი განაგრძობს:

— ალფა ბავშვები ატარებენ ცისფერ ტანისამოსს. ისინი გაცილებით ჩვენზე მეტს მუშაობენ, რადგან საშინლად ჭკვიანები არიან, რა კარგია, რომ მე ეპსილონი ვარ და არ მომიხდება ამდენი მუშაობა. მე არ მინდა ვიყო ალფა, რადგან არ მინდა წიგნების კითხვა. რა კარგია, რომ მე ეპლისონი ვარ, მე არ მომიხდება წიგნების კითხვა. არა, მე არ მინდა ვიყო ალფა, და სხვა...

დირექტორი ამბობს, რომ ასეთი სეანსი დღეში ორმოცჯერ ტარდება, ვიდრე ბავშვები გაიღვიძებდნენ. იგივე მეორდება ხუთშაბათობით და შაბათობით — ასოცი განმეორება, სამჯერ კვირაში, ორ-ნახევარი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი უფრო რთულ გაკვეთილებზე გადადიან. ასეთი აღზრდის შედეგად ბავშვის ცნობიერება თანდათან ფორმდება შთაგონებული ცნებების მიხედვით, რაც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ. ალფა კმაყოფილი და ბედნიერი იქნება იმით, რომ ის ამ კასტას ეკუთვნის, ისევე, როგორც იპსილონი, რომელიც თავს ბედნიერად ჩათვლის რაკი ალფა კასტას არ ეკუთვნის და არ მოუხდება გონივრული მუშაობა, წიგნების კითხვა, ყვავილების ყნოსვა და „სხვა ასეთი სისულელე“... ამით დამყარდება სოციალური ჰარმონია მსოფლიო იმპერიაში, არ იქნება არავითარი შუღლი. კლასობრივი დაპირისპირება, ერთი კასტიდან მეორეში გადასვლის სურვილი და სხვა...

...თხრობის პაროდიულობა ხელს როდი უშლის ამ რომანის ავტორს ჭეშმარიტება გამოავლინოს.

ჰიტლერელები, მართლაც ისეთ მსოფლიო იმპერიაზე ოცნებობდნენ, სადაც „მაღალი რასის“ კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა „დაბალი რასის“ მონური შრომით. აქედანვე გამომდინარეობდა მათი დამოკიდებულება, საერთოდ, ადამიანებისადმი. საზომი ორგვარი იყო: ერთი ბატონების, ხოლო მეორე — მონებისთვის. ფრანგი ბრალმდებელი, დე მენტონი ამბობდა, გერმანელებმა ამით უარყვეს ქრისტიანული მოძღვრება იმის შესახებ, რომ „სასწორი დიდთა და მცირეთა, და საწყაული ორი წილი, არა წმიდა წინაშე უფლისა ორივე, და რომელმან ჰყოფენ მათ.. რამეთუ საძაგელ ორ კეცი სასწორი“.

ცხადია, ჰიმლერი ვერ დაიქადიდა ერთგულებას ქრისტეს მცნებისადმი, არც ცდილობდა ამას: პირიქით, კაცობრიობას მაინც ორ ჯგუფად ყოფდა — გერმანელები (მათ შორის გაგერმანელებულებიც) და დანარჩენი მოსახლეობა. საზომიც ორი ჰქონდა, პროგრამაც: გაგერმანელება, ან მოსპობა.

„ან ჩვენ გადმოვიბირებთ კარგი სისხლის პირებს, რომელთა გამოყენება შეგვეძლება... — ამბობდა ის — ან, ბატონებო, თქვენ შეგიძლიათ ამას სისასტიკე უწოდოთ, მაგრამ ბუნებაც ხომ სასტიკია — ჩვენ გავჟლეტთ მათ“.

საშუალებათა შეუზღუდაობა ამ საკითხში გამორიცხავდა კანონიერების ყოველგვარ შესაძლებლობას. „დაბალი რასისათვის“ არც არავითარი კანონი არსებობდა — სოციალური, ან უფლებრივი, არაგერმანელები, საერთოდ, კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებულნი და ამიტომ არც მათთან დამოკიდებულებას გულისხმობდა დანაშაულის ცნებას, ისიც კითხვის ქვეშ იყო დაყენებული, შეიძლებოდა თუ არა მათი ადამიანებად ჩათვლა. ჰიტლერი ზომავდა კიდეც მანძილს მაიმუნიდან — დაბალ რასამდე და შემდეგ, 1933 წელს, იმპერიის პარტიულ ყრილობაზე თქვა:

— მანძილი, რომელიც ყოფს ყველაზე პრიმიტიულ ადამიანურ არსებას, ჩვენს ყველაზე განვითარებულ რასისაგან, იმაზე მეტი არ არის, ვიდრე მანძილი იმ პრიმიტიულ არსებიდან ყველაზე განვითარებულ მაიმუნამდე.

ამ ბუნდოვან „სიბრძნეში“ გარკვევა ძნელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ თვით ჰიტლერელების ლოზუნგმა „უკან, ბარბაროსობისაკენ“, ნამდვილად დაკარგა სწორი საზომი ადამიანის მიერ განვლილი მანძილისა, თუნდაც პიტეკანტროპიდან თანამედროვე ცივილიზებულ არიელ ბარბაროსებამდე, რომლებმაც თავიანთ თავს თვითონ უწოდეს „გაპარსული ნადირები“.

იქნებ ამაზე ფიქრმა დაბადა ლიტერატურაში ასეთი ამაზრზენი სურათი!..

...ფეშენებელური რესტორანი. რჩეული საზოგადოება. მილიონერები და მილიარდერები. მათი მეუღლეები და ხასები. ბატონები და ქალბატონები ოქრო და ვერცხლი. ფარჩა და სიასამური. კულინარიის საოცრება. აღმოსავლური ეგზოტიკა და ბოლოს: დელიკატესი!.. ვერცხლის სამფეხებზე გაკრული ცოცხალი მაიმუნები, კისერზე ვერცხლისვე მარყუჟშემოჰერილნი, თავზე წინასაწრ ტყავგადამძვრალნი. ვერცხლის პაწია ჩაქუჩები და კოვზები. ნატი-

ფი მოძრაობა. ჩაქუჩების რაკუნი მაიმუნების შიშველ თავის ქალაზე. ძვლების ყრუ მტვრევა. პატარა კოვზები და...

ცივილიზებული საზოგადოება მადიანად შეექცევა მისი პატივცემული წინაპრების ჯერ კიდევ თბილ ტვინს...

...აქ მართლაც დაეჭვდება კაცი და იქნებ ვერც განსაზღვროს, რა მანძილი განვლო ადამიანურმა მორალმა მაიმუნიდან თანამედროვე ცივილიზაციამდე? ეს ეჭვი გერმანელმა ნაცისტებმა კიდევ უფრო გაზარდეს. ამიტომაც ამბობდნენ ნიურნბერგში ბრალმდებლები, მსგავსი ბოროტება თუ განმეორდა, ცივილიზაცია დაიღუპება. ჯექსონიც ამიტომ მიუბრუნდა მოსამართლეებს და თქვა:

— ჭეშმარიტი ბრალმდებელი, ვინც მიმართავს თქვენს მართლმსაჯულებას — ეს არის ცივილიზაცია.

ტრიბუნალი შეუდგა კიდეც ამ საკითხების რკვევას...

**სოდომის დაღი...**

შემდეგ იმავე ჯექსონმა თქვა:

— ამ ტრიბუნალის ზოგადი ამოცანა მარტივია. იგი სულ სამი პუნქტისაგან შედგება:

1. ადგილი ჰქონდა თუ არა მოქმედებას, რაც ტრიბუნალის წესდებით განმარტებულია, როგორც დანაშაულებრივი;

2. არის თუ არა ეს მოქმედება შედეგი საერთო გეგმის, ანუ შეთქმულების;

3. არიან თუ არა ბრალდებულები იმათ რიცხვში, ვინც ამაზე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

მას შემდეგ, რაც ჰიტლერელების იდეებსა და ე. წ. „საბოლოო მიზნებს“ გავეცანით, საჭიროა ჯერ ამ ზოგადი ამოცანის პირველ პუნქტს ვუპასუხოთ, ე. ი. გამოვავლინოთ მათი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი. ეს იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ტრიბუნალის წესდება არ ითვალისწინებს მარტო იდეების განსჯადობას. ისევ ჯექსონმა თქვა:

— ჩვენ მათ იდეების გამო არ ვასამართლებთ. ბრალდებულებს უფლება აქვთ, თუ ეს სურთ, ჩირქი მოსცხონ იუდეველთა შენაძენს ცივილიზაციის ისტორიაში, რომლის ნაწილად ერთ დროს თვითონ გერმანიაც ითვლებოდა. ამის გამო მათ საერთაშორისო ტრიბუნალს არ გადასცემდნენ. რომ სახელმწიფოთა საზღვრები არ გადაელახათ... და სხვა ასეთი, რაც ჩამოყალიბებულია ტრიბუნალის წესდების ქვეთავში: „იურისდიქცია და საერთო პრინციპები“ (განყოფ. II, სტატია 6);

შემდეგი მოქმედებანი, ან რომელიმე მათგანი, წარმოადგენს ტრიბუნალის იურისდიქციით გათვალისწინებულ დანაშაულს და იწვევს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას:

ა) დანაშაული მშვიდობის მიმართ, სახელდობრ: დაგეგმვა, მომზადება, დაწყება თუ წარმოება აგრესიული, ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დამრღვევი ომებისა, აგრეთვე, საერთო გეგმაში ,ან შეთქმულებაში მონაწილეობა, რაც მიმართულია რომელიმე ზემოთაღნიშნული მოქმედების განხორციელებისაკენ.

ბ) სამხედრო დანაშაულებანი, სახელდობრ: ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა, რასაც მიეკუთვნება ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, წამება, მონებად, ან სხვა რამ მიზნისათვის წაყვანა; სამხედრო ტყვეების, ან ზღვაზე მყოფ პირების მკვლელობა, ან წამება, მძევალთა მოკვლა; საზოგადოებრივი, ან კერძო ქონების ძარცვა; ქალაქებისა და სოფლების უაზრო ნგრევა; განადგურება სამხედრო აუცილებლობის გარეშე და სხვა დანაშაულებანი.

გ) დანაშაულებანი ადამიანურობის მიმართ, სახელდობრ, მკვლელობა, დახოცვა, დამონება, გადასახლება და სხვა სისასტიკე, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, ან დევნა პოლიტიკურ, რასიულ, თუ რელიგიური მოტივებით, რამე დანაშაულის განსახორციელებლად, ან მასთან დაკავშირებით, რაც ექვემდებარება ტრიბუნალის იურისდიქციას. იმისგან დამოუკიდებლად, წარმოადგენს ეს მოქმედება ქვეყნის შინაგანი წესების დარღვევას, თუ არა.

ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და ხელის შემწყობები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რომელიმე ზემოთ აღნიშნულ დანაშაულობის დაგეგმვაში, ან შესრულებაში პასუხს აგებენ ყველა მოქმედებაზე, რაც ჩადენილია ვინმე პიროვნების მიერ ასეთი გეგმის განხორციელების მიზნით.

ამით ყველაფერია თქმული, რაც საჭიროა. ტრიბუნალის წესდების ამ პუნქტებში ნათლადაა გამოხატული მთელი იმ ათასი ფუთი ბრალდების კვინტესენცია, რაც მთავარ სამხედრო დამნაშავეებს წაუყენეს პროცესზე. აქ ყველასათვის ცხადი გახდა, თუ რა პათოლოგიური სიამაყით ანხორციელებდნენ ჰიტლერელები მათ მიერ დასახულ დანაშაულებრივ ამოცანებს. ამასთანავე, მტკიცების საფუძველიც მათ მიერვე შედგენილი დოკუმენტები იყო და არა სხვა რამ. ამერიკელმა ბრალმდებელმა ასე მიმართა ტრიუბნალის წევრებს:

— ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ თქვენ მსჯავრი დასდოთ ამ ხალხს, მხოლოდ მათი მტრების ჩვენებების მიხედვით. საბრალმდებლო აქტში არ არის არც ერთი პუნქტი, რისი დამტკიცებაც არ შეიძლებოდეს მათივე წიგნებითა და დოკუმენტებით...

...ჩემი თხრობის წყაროც ეს არის: გარდა იმისა, რაც თვითონ ვნახე და გავიგონე, მეც ბევრი რამ ამოვიკითხე იმ ათას ფუთ დოკუმენტში, მოკავშირეთა ბრალდებამ რომ წაუყენა მთავარ სამხედრო დამნაშავეებს. ამ მასალებში ნათლად ჩანს ყველაფერი: მიზანი, საშუალება და დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხების“ პოლიტიკის შემაძრწუნებელი შედეგი. მიზნის ჰიპერტროფიულმა მასშტაბებმა განხორციელების ასეთივე საშუალებები მოითხოვა — მათ შორის, ტექნიკური აღჭურვილობაც. აკი თვით ჰიტლერმა თქვა, ჩვენ უნდა განხალხების“ ტექნიკა შევქმნათ... შექმნეს კიდეც... თანდათანობით, მაგრამ მაინც შექმნეს... თანაც ისეთი, რომ ფრანგმა ბრალმდებელმა, შარპანტიე დე რიბმა წამოიძახა:

— ჩვენი ეპოქის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ტექნიკის მიღწევები იქცა ბარბაროსობის იარაღად...

...ჯერ სამხედრო ტყვეებისა და, საერთოდ, საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა დადაღვა შემოიღეს. ყველასთვის ხელზე უნდა ამოეშანთათ საკუთარი ნომერი. რაღაც იმის მსგავსი, ბიბლიური ცეცხლის წვიმით რომ დაღავდა სოდომის მცხოვრებთ, თუმცა უფრო „ფილოსოფიურად მოფიქრებული“. როცა ამის შესახებ როზენბერგს კითხეს, მან პითაგორის სიტყვებით უპასუხა:

— არაფერი არ არსებობს თავისი რიცხვის გარეშე...

საკონცენტრაციო ბანაკის ყოველ ტუსაღსაც უნდა ჰქონოდა თავისი რიცხვი ამოშანთული, როგორც სოდომის დაღი. ამით საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას უამრავი საზრუნავი გაუჩნდა. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაოდ გაწვრთნილები და ეგონათ, რომ დადაღვის დროს ელემენტარული სანიტარული წესების დაცვა მაინც იყო საჭირო. ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა კოლოსალურ რაოდენობას. შემდეგ მათ სპეციალური ინსტრუქციით მოაგონეს, რომ „დადაღვა არ არის სანიტარული ღონისძიება“. საქმე უცებ გამარტივდა, მაგრამ გზადაგზა ახალი სიძნელეებიც გაჩნდა: პატარა ბავშვებს მრავალნიშნიანი ციფრები არ ეტეოდათ ხელზე. არც ეს დაბრკოლება აღმოჩნდა გადაულახავი. მოვიდა ახალი ინსტრუქცია, რაც საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას ნებას რთავდა ბავშვების დადაღვა სხეულის „სხვა შესაფერის ადგილებზეც“ ეწარმოებინათ.

„ფიზიკური დასჯის ტექნიკაც“ სწრაფად გაუმჯობესდა. ჯერ ყოფილმა მოჭიდავემ, რუდოლფ რადკემ, თუნუქის მათრახები გააკეთა და ამაში ჯილდოც მიიღო. მერე რომელიღაც ინჟინერმა „ჯოხის დამრტყმელი მანქანა“ გამოიგონა. ისიც დააჯილდოვეს. თან ეკონომიკაზეც იზრუნეს და მშენებლობის მინისტრის, შპეერის განკარგულებით დეფიციტური რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შესცვალეს...

...ნიურნბერგის პროცესზე ამის თაობაზე, მგონი, ინგლისელმა ბრალმდებელმა შეკითხვა მისცა იმავე შპეერს, რომელიც ბრალდებულთა შორის იყო. ბრწყინვალე გარეგნობის „ჯენტლმენი“ წამოდგა, ისეთი, ცხვირზე ბუზს არ ისვამსო, რომ იტყვიან. იგი თავისი „რესპექტაბელობის შეურაცხყოფას“ ვერ იტანდა. თავი ისე მოჰქონდა, თითქოს რაღაც გაუგებრობით მოხვდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში, თორემ, აბა, გამოჩენილ არქიტექტორსა და მშენებელს, რა საქმე აქვს ამ საშინელებებთან! თითქოს საკონცენტრაციო ბანაკების „გაზკამერები“ და კრემატორიუმები მისი უწყებების აშენებული არ ყოფილიყოს!

ახლაც გულმოსული ადგა, შავი სათვალეები მოიძრო და გულუბრყვილოდ იკითხა, რა ბრძანეთო?

— გაეცით თუ არა განკარგულება, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიციელებისათვის რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შეეცვალათ? — გაუმეორეს მას.

შპეერი უფრო აღელდა, მაგრამ რა ექნა, უკვე გამოცდილებით იცოდა, უარი რომ ეთქვა, წინ მაშინვე მის ბრძანებას დაუდებდნენ, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

— დიახ, ბატონო პროკურორო, რეზინი დეფიციტური საქონელი გახლდათ, და ვამჯობინეთ ადვილად მოსაპოვებელი ლითონით — რკინით შეგვეცვალა!..

— რეზინისა და რკინის ჯოხის დარტყმებს შორის რომ განსხვავებაა, ეს ხომ გესმით? — ჩაერია დაკითხვაში ტრიბუნალის თავმჯდომარე, ლოურენსი.

— დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეც იყოს! — ბურტყუნებს შპეერი.

— რომელი უფრო მტკივნეულია? — არ ეშვებიან მას. შპეერი კი ისევ უხერხულად იმშუშნება, არ იცის, ან თავი სად წაიღოს, ან ხელებს რა უქნას, ისეა დაბნეული... ბოლოს კი მაინც გამოცრა კბილებიდან: ალბათ, რკინისა უფრო მტკივნეული იქნება... და რომ დაინახა, ჩემმა პასუხმა დარბაზში სიცილი გამოიწვიაო, სასწრაფოდ დაუმატა

— რკინისა, რა თქმა უნდა!..

...ჩქარა ახალი პრობლემა წამოიჭრა. არიული წარმოშობის ჯალათები „წუხდებოდნენ“ ამდენი ხალხის სიკვდილით დასჯით. ზოგიერთის ნერვიულ სისტემაზედაც ცუდად მოქმედებდა ამ-

დენი სისხლის ღვრა. ამასთანავე, სასიკვდილოდ განწირულნი ისე „უტაქტოდ და შეუგნებლად“ იქცეოდნენ, რომ თავიანთი „უაზრო ყვირილითა და იდიოტური წინააღმდეგობით“ კიდევ უფრო ურთულებდნენ ბატონ ჯალათებს თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ხუმრობა ხომ არ არის დღეში რამდენიმე ათასი კაცის დახვრეტა! ყველამ რომ წინააღმდეგობა გასწიოს, სად წავა! დამხვრეტები ერთეულებია, დასახვრეტები კი ათასები! როგორ გგონიათ, ვინ უფრო მძიმე მდგომარეობაშია? ის, ვინც ხვრეტს, თუ ვისაც ხვრეტენ? მას შემდეგ რაც ადამიანურ აზრს სიგიჟის ფრთები შეეხო, თურმე ესეც დილემად იქცა. ვინც ამ „დილემის რქებს“ ხელი ჩაავლო, საკითხიც ადვილად „გადაწყვიტა“: ცხადია — ვინც ხვრეტს. დასახვრეტს დახვრეტენ და ამით გათავდება საქმე! იმათ რა ქნან, „საცოდავებმა“, ვისაც ეს საქმე გამოულეველი აქვს — ათი, ასი, ათასი, ათი ათასი, მეტიც, მერე მილიონებიც კი! მათი ინტერესებიც ხომ უნდა დაიცვას ვინმემ?.. და აი, ესესისა და გესტაპოს მთავარი შტაბები აივსო ასეთი გულის ამაჩუყებელი საჩივრებით: „კაცთმოყვარეობა მოითხოვს...“, „ჰუმანიურობის პრინციპი გვავალებს...“, „ჩვენი ვალია დამსჯელ რაზმებს შევუმსუბუქოთ სამუშაო...“ და სხვა. ბოლოს ლოზუნგიც გადმოისროლეს: „დავიცვათ ძლიერები სუსტებისაგან!“ ამ შემთხვევაში დამხვრეტები იმათგან, ვინც დახვრეტილ უნდა იქნან.

განა ეს საშინელება იუმორის გარეშეა?!..

---

...იგავადაც გამიგონია. საშინელ ქარბუქში ჯალათს სიკვდილმისჯილი მიჰყავდა, სადღაც ტყეში რომ დაეხვრიტა. ქარბუქი შიგ სახეში სცემდა თურმე ორივეს, გზა კი საკმაოდ გრძელი იყო. დანიშნულ ადგილას რომ მივიდნენ, ჯალათმა უთხრა მსხვერპლს:

— შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო, დაგხვრეტ და აქ დარჩები, მე კი ეს საშინელი გზა უკანვე უნდა გავიარო!..

---

...ამ საქმის პაროდიულობის საჩვენებლად შეიძლება ლიტერატურული მასალაც დავიმოწმოთ, აი, თუნდაც ალბერ კამიუს მოთხრობა, სადაც ის აღწერს უაღრესად ფეშენებელურ რესტორანს, სიმდიდრითა და ფუფუნებით გადაღებულ ელიტს საზოგადოებისას, რომელიც დროს ატარებს. გარეთ სუსხიანი ზამთარი მძვინვარებს, შიგნით კი სასიამოვნო, პირდაპირ სამოთხისეული ატმოსფეროა, სითბო, სინათლე, მუსიკა. ცეკვები და ვნებების ციებ-ცხელება... ყველა სიამოვნებისა და ნეტარების ზღვაში ცურავს და უცებ... ისინი ხედავენ საშინელ სურათს: ორი ფეხშიშველი, ჩამოძენძილი, მშიერ-მწყურვალი და გათოშილი მათხოვარი შემოპარულა როგორღაც ამ ნეტარების ბუნაგში და სამათხოვროდ გაუშვერიათ ხელი... აღშფოთებული ბატონები და ქალბატონები მეტრ' დ ოტელს უხმობენ, რათა გააძევონ „ეს თავხედები“. შეშინებული მემეტრ' დ ოტელი უყვირის მათხოვრებს:

— როგორ ბედავთ! ახლავე გაეთრიეთ აქედან, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ აწუხებთ ბატონებსა და ქალბატონებს, აბა, თქვენ იყოთ იმათ ადგილას!..

ბატონი ჯალათებიც ამიტომ ჩივიან და ითხოვენ დახმარებას. მე მთელი მიმოწერა მაქვს ამ საკითხზე წაკითხული. საქმეებში არის დავალებები, ინსტრუქციები ახალ-ახალი წინადადებები: სასიკვდილოდ გამწესებულთათვის გაჯით პირის ამოქოლვა, ან პლასტირით აკვრა ტუჩებისა. ვილაც გესტაპოელის წინადადება „ფსიქოლოგიურად უვნებელი დახვრეტის“ შესახებ, რასაც იყენებდნენ კიდეც: კედელში ხვრელი იყო გაკეთებული. კედლის იქითა მხარეს დააყენებდნენ სიკვდილით დასასჯელს ისე, რომ მან არ იცოდა რა მოელოდა. ხვრელიდან ესროდნენ ისე, რომ მკვლელი არ განიცდიდა მოკლულის „ფსიქოლოგიურ ზეგავლენას“, იმ გესტაპოელის ეს ახალი მეთოდი შემდეგ სხვებმაც განავითარეს და უფრო მოხერხებული „სასიკვდილო აპარატი“ შექმნეს, რაღაც გილიოტინის მსგავსი, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა უბრალო სასწორს. სასიკვდილოდ განწირულს დააყენებდნენ ამ აპარატზე, უნდა აგწონოთო, მერე სასხლეტს ხელს დაჰკრავდნენ, ურო მოსწყდებოდა, თავში დაეცემოდა და მსხვერპლი დაყვირებას ვერ მოასწრებდა, ისე დაადგებოდა თავის გზას სამოთხისაკენ“.

---

...ცხოვრება წინ მიდიოდა და ტექნიკაც ვითარდებოდა! ასეთი პრიმიტიული „სასიკვდილო აპარატებით“ მთელი რასიული ერთეულების მოსპობა მართლაც შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა „სასიკვდილო კომბინატების“ შექმნა. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ე. წ. „გაზვაგენები“ იყო, რის შესახებაც მე უკვე გიამბეთ. ასეთი „გაზვაგენები“ მე პირველად ქ. კრასნოდარში ვნახე. ვესაუბრე კიდეც ერთ-ერთ დასასჯელს, რომელიც ცოცხალი გადარჩა. ექიმი იყო და იცოდა როგორ მოქცეულიყო. მომწამვლელი გაზის სუნი რომ იგრძნო, ცხვირსახოცი შარდით დაასველა, ცხვირზე დაიფარა და გაგუდვას გაუძლო, მერე სხვებთან ერთად რომ თხრილში ჩააგდეს, თავი მოიმკვდარუნა, საღამოთი კი ამოძვრა იქიდან და მიიმალა. იმ ერთ დღეში სულ გათეთრებულიყო. მაშინ ამ ამბების გამოსაძიებლად გერმანელების დანაშაულებათა დამდგენი საკავშირო კომისიის წევრი, ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოიც იქ იმყოფებოდა. მან ვერ აიტანა იმ ექიმის თავგადასავლის მოსმენა, წამოდგა,

„გადაგვარდა ადამიანთა მოდგმაო“, ჩაილაპარაკა და კარები ისე მაგრად გაიჯახუნა, თითქოს ჩვენ დაგვეშავებინოს რამე...

...განხალხების ტექნიკა კი დღითიდღე უმჯობესდებოდა. შეიქმნა სპეციალური ფირმა „ტორფი და შვილები“, რომელსაც დაევალა „მასიური ლიკვიდაციის სტაციონარული ნაგებობების აშენება“. ასე გაჩნდა „გაზკამერები“ და მექანიზებული კრემატორიუმები სიკვდილის ბანაკებში. აქ უკვე ყველაფერი მეცნიერების უკანსაკნელი სიტყვის მიხედვით იყო გამოანგარიშებული და გათვალისწინებული: ღონისძიებათა საიდუმლოება“, „მაქსიმალური გამტარუნარიანობა“ და, ცხადია, „სიკვდილის ეკონომიური ეფექტიურობაც“. წარწერებიც ისეთი ჰქონდათ გაკეთებული, თითქოს მართლაც სამკურნალო კომბინატი ყოფილიყო: „სადეზინფექციო“. „ქირურგიული კაბინეტი“, „ჰისტოლოგიური ლაბორატორია“, „აბაზანა“, „გარდერობი“, „ბუფეტი“ და სხვ. ეს კომბინატები განუწყვეტლივ იღებდნენ „პაციენტებს“, რომელთაც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან „მორეკავდნენ“ ხოლმე. ჯერ მათ „ფილტრაციას“ ახდენდნენ. ეს იმავე დროს სასამართლოს პროცესის ემბრიონალურ, შეიძლება ითქვას, სრულ ცინიზმამდე დასულ მარტივ ფორმას წარმოადგენდა...

...ცნობილია, რომ რომაელი იმპერატორები გლადიატორების ბრძოლას მართავდნენ ცირკში. არენაზე გამოდიოდნენ მონები და ებრძოდნენ ერთმანეთს. როცა ერთი დასცემდა მეორეს, იმპერატორი ცერის მოძრაობით უჩვენებდა, მოეკლათ დამარცხებული, თუ არა. თუ იმპერატორი ცერს ძირს დაუშვებდა, დამარცხებულს მოჰკლავდა გამარჯვებული, და თუ ის ცერს მაღლა აიშვერდა — აპატიებდნენ...

...ასე იქცეოდნენ რომის იმპერატორები. ესესელი პრეტორიანები — ასეთივე „სრულუფლებიანი იმპერატორები“ იყვნენ თავიანთ საკონცენტრაციო ბანაკებში და რატომ თვითონაც არ გაიმეორებდნენ იმპერატორების ჩვევებს!

აი, ბანაკის კომენდანტი ან ექიმი გამოდის კომენდანტურიდან და ფეხებგაჩაჩხული დგება ეზოს შუაგულში. ორკესტრი იწყებს „სიკვდილის ტანგოს“ შესრულებას. მოშორებით 2 ათასამდე „ახლად მორეკილი პაციენტია“ გამწკრივებული. გაისმის ბრძანება და იმ მწკრივს ნელნელა ბატონ მსაჯულის წინ ჩაატარებენ, რომელიც ორკესტრს სტვენას აყოლებს და თითის უბრალო მოძრაობით აჩვენებს, ვინ მარჯვნივ გადაიყვანონ და ვინ მარცხნივ. მარჯვნივ გადაყვანილებს მაშინვე „აბაზანაში“ შერეკავენ, მერე კონვეიერი — კრემატორიუმი — საკვამლე მილი და... გზა სამოთხისაკენ. ვისაც მარცხნივ გადაიყვანენ, მათ საკატორღო სამუშაოზე გაგზავნიან. განაჩენის ეს ორი ფორმაა მხოლოდ: სიკვდილი და კატორღა! პროცედურა მარტივია: ორკესტრი უკრავს, კომენდანტი უსტვენს, საჩვენებელი თითი მოძრაობს და ორი ათასი კაციდან დაახლოებით სამი მეოთხედი მიდის „სამოთხეში“, ერთი მეოთხედი კი „ჯოჯოხეთში“ — საკატორღო სამუშაოზე. მთელი ეს „სასამართლო პროცესი“ სულ რაღაც ნახევარი საათი გრძელდება. ორი ათასი განაჩენი ნახევარ საათში!

აბა, მსოფლიოს რომელი ტრიბუნალი ან, სასამართლო დაიქადის ასეთ ოპერატიულობას!..

მარსიას ტყავი...

სასიკვდილო კომბინატების გარშემო სოკოებივით აღმოცენდნენ საწარმოო-კომერციული ფირმები, რომელთაც შექმნეს მეურნეობის ახალი დარგი „სიკვდილის ეკონომიკა“. „დასამუშავებელ მასალას“ ჯერ სტომატოლოგიურ კაბინეტში შეიყვანენ და ოქროს კბილები თუ აქვს, გაზით ამოაგლეჯენ, დააგროვებენ და სპეციალური ყუთებით გერმანიის საიმპერიო ბანკში გაგზავნიან, მერე იმ „მასალას“ სადალაქოში „მიიწვევენ“ და თავს გადაპარსავენ. ამ „ნედლეულს“ სპეციალური ფირმა იღებს, რომელიც საწოლ ლეიბებს ამზადებს. ამის შემდეგ იმავე „მასალას“, „სიცოცხლეს ჩამოაშორებენ“ და სისხლს ქიმიურ მრეწველობას გადასცემენ, ქონს—საპნის ქარხანას, ძვლებს კი სპეციალური „ძვალსამტვრევი მანქანები“ ფხვნილად აქცევენ და სუპერფოსფატის დამამზადებელ ქარხანას მიჰყიდიან. ეს ყველაფერი ფული ღირს! ყოველი სასიკვდილო კომბინატი რენტაბელური წარმოებაა. ზოგიერთი დიდ მოგებასაც იძლევა. არც ის ფირმები რჩებიან ზარალში...

...საიმპერიო ბანკის დირექტორად, შახტის გადაყენების შემდეგ, ფრიკი დაინიშნა. ახლა ორივე საბრალმდებლო სკამზე ზის. გულუბრყვილოებს შეიძლება გაუკვირდეთ კიდეც, რა დამოკიდებულება აქვს ბანკის დირექტორს საკონცენტრაციო ბანაკებში მომხდარ საშინელებებთან! თითქოს არაფერი! სინამდვილეში კი — უშუალო. ბანკის დირექტორი ფრიკიც განაგებდა სიკვდილის ამ ეკონომიკას. ეკითხებიან კიდეც, — თქვენ თუ იცოდითო რამე ამის შესახებ. ფრიკი, რა თქმა უნდა, ამბობს, არაფერიო. გაოცებული მხრებსაც იჩეჩს, რა დამოკიდებულება მაქვსო ამ საქმესთან. მერე უთხრეს, ბანკის შენობის სარდაფების სპეციალურ სეიფებში რომ ოქროს კბილებით სავსე ყუთები ინახებოდა, არც ამის შესახებ იცოდითო რამე? თურმე არც ეს იცოდა. მერე ამის თაობაზე ესე-

სისა და გესტაპოს ხელმძღვანელობასთან მისი საკუთარი მიმოწერაც უჩვენეს, მაგრამ მეხსიერების ქალღმერთმა მნიმოზინამ მაინც არ მოიღო წყალობა და არ გაახსენა არაფერი...

...კალტენბრუნერიც „შეაწუხეს“ უსიამოვნო კითხვებით. ცოცხალი ადამიანების ტყავისგან დამზადებული ნივთებიც უჩვენეს. მისი თანამშრომლის, პროფ. შპეერის მიერ შემუშავებული ადამიანის ტყავის ტექნოლოგიაც გააცნეს. თანაც ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის მცველის, ანდრეას პფაფენფეგერის ჩვენებაც წაუკითხეს, რომელშიც ეწერა:

— იმის შემდეგ, რაც გავსინჯეთ ტატუირებულკანიანი ტყვეები, გადავარჩიეთ მათგან ისეთები, რომელთაც უკეთესი ნახატები ჰქონდათ. ისინი ჯერ საავადმყოფოში მოვათავსეთ, ხოლო შემდეგ კანში შხამის შეშხაპუნებით მოკლა კარლ ბაიჰსმა, ვერნერბახმა კი ამოჰრა ტატუირებული კანი, დაამუშავა და საჩუქრად გადასცა შტანდარტენფიურერ კოხის მეუღლეს, რომელმაც ის ელექტროლამფის აბაჟურად და ბუდუარების სხვა მოსაკაზმავ მასალად გამოიყენა.

ასეთ რამეს ისევ ძველ ანტიკურ მითებში თუ გაიგონებს კაცი! ამბობენ, ფრიგიელი მარსია გაეჯიბრა აპოლონს მუსიკაში და დამარცხადაო. მარსიას კადნიერებით გაგულისებულმა აპოლონმა ტყავი გააძრო თურმე მას და გამოქვაბულში დაკიდა კილენის ახლო. მარსია, გადმოცემის მიხედვით, ფლეიტის დიდ მოყვარულად ითვლებოდა, წინააღმდეგ აპოლონისეული ჩანგისა; ამიტომ ყოველთვის, როცა ფლეიტის ხმა გაისმოდა, მისი ტყავი ცახცახს იწყებდა კილენის გამოქვაბულში.

ის კი არავინ იცის, როცა გამწარებული დედის გული მოუხმობდა ფრონტზე დაკარგულ შვილს, მისი ტყავი თუ იწყებდა ცახცახს ქალბატონ კოხის ბუდუარებში...

...პროცესზე წაიკითხეს, აგრეთვე, ინგლისელი ჯარისკაცის ჯონ ჰენრი უიტტონის წერილობითი ჩვენება. უიტტონი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს არდენის ოპერაციების დროს და 1943 წლის 4 აპრილს ჩაიყვანეს დანციგში, სადაც მას ამუშავებდნენ ანატომიური ინსტიტუტის მიდამოებში. უიტტონი ყვება, რომ ინსტიტუტში „წითელი ჯვრის“ სპეციალურ მანქანებს ყოველდღიურად მოჰქონდათ თავმოჭრილი, შიშველი გვამები და ჩაჰქონდათ სარდაფში. აქ მათ რაღაც სითხეს უშხაპუნებდნენ და ისე ტოვებდნენ დაახლოვებით 4 თვეს. შემდეგ ისევ ამოჰქონდათ და რბილ ნაწილებს აშორებდნენ ძვლებს და... უიტტონმა აღწერა საპნის დამზადების პროცესი, პირველი ხარშვიდან ყალიბებში ჩამოსხმამდე...

მერე „იმ იეზუიტმა ბრალმდებელმა“ არც ეს იკმარა და კალტენბრუნერს „ადამიანის ცხიმისაგან“ დამზადებული საპონიც დაუდო წინ, თან აფთიაქარივით აუღელვებელი ხმით ჩაიკითხა სამედიცინო აკადემიის დანციგის ანატომიურ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეცეპტი: „10—12 გირვანქა ქონი, 10 ლიტრი წყალი 1000 გრამი ნატროლის ხსნარი (Natroletten) (მყარ საპნისათვის, ხოლო 1000 გრამი კალიუმოკსიდი — თხევადისთვის, ერთი მუჰა სოდა.

ადუღეთ ქვაბში სამი საათი, დაუმატეთ სამზარეულო მარილი, ცოტა კიდევ ადუღეთ და გააცივეთ. გამაგრებული ზედაფენა მოხადეთ, დაჭერით და ისევ ადუღეთ საათნახევრიდან ორ საათამდე ერთ-ორ ლიტრ წყალში, ჩაასხით ჭურჭელში და გააცივეთ. დაჭერით ნაჭრებად მოხმარებისათვის“.

გასაოცარია მათი ეკონომიური ალღო. ისინი ადამიანის ცხიმის ნახარშსაც არ სტოვებდნენ გამოუყენებლად. რეცეპტში ეწერა: „სითხე, რომელიც პირველი გაციების შემდეგ რჩება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასაწმენდ მასალად“.. და შემდეგ: „საპონს არასასიამოვნო სუნი რომ მოაშოროთ, დაუმატეთ რამე შესაფერისი ნივთიერება — მაგალითად, ბენზალდეგიდი“.

ამრიგად დამზადებული საპნები და მისი ყალიბებიც შემოიტანეს პროცესზე და სხვა ტექნიკურ ექსპონატებთან ერთად უჩვენეს ყველას. ისიც გამოარკვიეს, რომ ეს რეცეპტი მარტო ქარხნისთვის კი არ არის შედგენილი, არამედ ინდივიდუალური, საოჯახო მოხმარებისათვისაც. ყველა დიასახლისს შეეძლო სახლში მოედუღებინა ასეთი საპონი. ადამიანის ცხიმი ხომ არც ისე ძნელი საშოვნელია, მით უმეტეს, ომის დროს!...

...მერე ის იყო, რამდენიმე გულშეღონებული რომ გაიტანეს დარბაზიდან. ზოგი თვითონ გავიდა, იარუსიც თანდათან დაიცალა შეძრწუნებულ კორესპონდენტებისაგან. ლოურენსს ენა ებმოდა, თითქოს სადღაც ფერდაკარგულ თემიდასაც მოვკარი თვალი. მგონი, იმასაც ისე უცახცახებდა ხელები, რომ ძლივს იკავებდა სასწორს. სასამართლო პროცესიც დანიშნულ დროზე ადრე შეწყდა...

არ ვიცი საპნით თუ ვინმემ დაიბანა იმ დღეს ხელები, ის კი ვნახე, რომ სასადილოში არც ერთი არ შესულა და გაოცებული მზარეულები კითხულობდნენ, რა მოხდა ასეთიო!..

**სიკვდილის ტანგო...**

...საკონცენტრაციო ბანაკების „სპეცფილტრაცია“ მაშინ შემოიღეს, როცა მათი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა გადაწყვიტეს და იძულებული გახადეს საკუთარ შემოსავალზე ეზრუ-

ნათ. გერმანელებს ეხერხებათ ეს საქმე და თუ აქამდე უბრალოდ „სიკვდილის ეკონომიკას“ ჟღთარებდნენ, ახლა „ესთეტიკური პრინციპებიც“ გაიტანეს ბაზრობაზე. ამ სამუშაოებს „მაღალი გემოვნების“ სპეციალური კომისიები ასრულებდნენ. ისინი დიდის გულმოდგინებით არჩევდნენ „საჭირო ესთეტიკურ ექსპონატებს“: ვისაც ჯანსაღი და ლამაზი კბილები ჰქონდა, წაიყვანდნენ ქირურგიულ კაბინეტში და „თავს ფრთხილად მოაშორებდნენ სხეულს“, ლამაზ თავის ქალას დაამზადებდნენ და მიჰყიდიდნენ რომელიმე ანატომიურ კაბინეტს. ასევე, თუ კარგი აგებულების ტყვეები შეხვდებოდათ, ჩონჩხებს დაამზადებდნენ და ანატომიურ ინსტიტუტებს დაუგზავნიდნენ. შემდეგ „ცოცხალი ექსპონატებითაც“ დაიწყეს ვაჭრობა. ჯანსაღ და ფიზიკურად ძლიერ ტუსაღებს სამუშაოდ მიერეკებოდნენ, ქალებს კი ხელზე მოსამსახურეებად ყიდდნენ. ფასი სხვადასხვაგვარი იყო. ჯერ საკმაოდ „ძვირს“ აფასებდნენ, მაგრამ მერე მოსამსახურის ფასი 10-15 მარკამდე დაიყვანეს. ამ ხელზე მოსამსახურეების მდგომარეობა იმდენად აუტანელი იყო, რომ ბევრმა თავი მოიკლა. პროცესზე ასეთი მაგალითიც მოიყვანეს. ერთმა უკრაინელმა გოგონამ ველარ აიტანა დამცირება და თავი ჩამოიხრჩო სალორეში, სადაც მას აცხოვრებდნენ. მეორე დღეს დიასახლისმა ეს რომ დაინახა, გულშემზარავი კივილი მორთო და მთელი მეზობლები შეჰყარა უბედურების ადგილას.

— ნუ სწუხხართ, ქალბატონო — ანუგეშა ის ერთერთმა მეზობელმა — თქვენ შეგიძლიათ კიდევ იშოვოთ ასეთი გოგო!

— რა უნდა ვიშოვო! — იკივლა იმ ქალბატონმა — მე უკვე ორჯერ გადავიხადე 15-15 მარკა.

თურმე დახარჯულ ფულს სტიროდა და არა ადამიანის სიცოცხლეს!

ასეთი მონებით მოვაჭრე, მთავარ —სამხედრო დამნაშავის ზაუკელის განკარგულებით მარტო უკრაინიდან გერმანიაში უნდა „შემოეზიდათ“ 500 ათასამდე ახალგაზრდა ქალიშვილი, რომ მსახურებად დადგომოდნენ გერმანელ „ფრაუებს“ და თან სახელმწიფოს ხაზინაში მილიონობით თანხა შესულიყო.

ამის გარდა, „ესთეტიკური კომისიის“ წევრები სპეციალურად არჩევდნენ ლამაზ გოგოებს, რომ საროსკიპოებში გაეყიდათ. ამ შემთხვევაში ფასი შედარებით მაღალი იყო. მერე გემოვნება უფრო „დაიხვეწა“, გრძნობებიც „გაფაქიზდა“ და საჭირო გახდა ლამაზკანიანი გოგოების შერჩევა, რომ ცოცხლად გაეძროთ ტყავი და „ნატიფი ნივთები“ დაემზადებინათ. ეს იაფიც ჯდებოდა და სამუშაოდაც სასიამოვნო იყო. საკონცენტრაციო ბანაკის შემოსავალი იზრდებოდა, რენტაბელური ხდებოდა და ზოგჯერ მნიშვნელოვან მოგებასაც იძლეოდა... მე წავიკითხე რომელილაც საკონცენტრაციო ბანაკის ანგარიში, რომელ საკვლევო ინსტიტუტს, ლაბორატორიას, თუ საროსკიპოს რამდენი კაცი, თუ ქალი მიჰყიდეს და რა ფასად. ყველაფერი ეს ლამაზადაა გაფორმებული, აწონილ-დაწონილი და გაანგარიშებული, თანაც „ფსიქოლოგიურად უვნებელ ფორმებში წარმოდგენილი და, ცხადია, გესტაპოელების ესთეტიკურ პრინციპებთან შეთანხმებული, ზოგჯერ „მუსიკალურადაც დახვეწილი“ და სანახაობად ქცეული. ამისთვის ბანაკები რადიოფიცირებული იყო. „მასიური ლიკვიდაციის დროს“ რეპროდუქტორები გადასცემდნენ ჰიტლერის საყვარელ მელოდიებს „მხიარული ქვრივიდან“, ან ბარკაროლას “ჰოფმანის ზღაპრებიდან“. და თუ განწირულთა ყვირილი გადააჭარბებდა რეპროდუქტორების ხმას, რამე უფორ ხმაურიან ჯაზურ მუსიკას დაუკრავდნენ...

...ამას რომ ვიგონებ, თავში რატომღაც შოპენჰაუერის ფრაზა მიტრიალებს: „მხოლოდ მუსიკის საშუალებით ხდება გასაგები ინდივიდის მოსპობის სიხარული!“ ნუთუ აქ მართლაც რამე კავშირია? ან რატომ სწერენ ამდენს მუსიკის დემონური ხასიათის შესახებ? რატომ არის, რომ სიკვდილი მუსიკის თანხლებას მოითხოვს? იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც მოგახსენეთ, ამისთვის სპეციალური ორკესტრი შექმნეს გამოჩენილი ტყვე მუსიკოსების — პროფესორი შტრიქსის, დირიჟორ მუნდისა და სხვათა მონაწილეობით. ისინი „სიკვდილის ტანგოს“ დაკვრით უტკბობდნენ ყურთასმენას ბატონ ესესელებსა და გესტაპოელებს, როცა ისინი ათასობით ტყვეებს ხვრეტდნენ, ან გაზკამერებში მიერეკებოდნენ.

შემდეგ, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ ბანაკს, კომენდანტის განკარგულებით თვით ეს ორკესტრანტები დახვრიტეს. ისინი გაიყვანეს ბანაკიდან და ტანკსაწინაალმდეგო ორმოსთან დააყენეს. ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ნერვები ისე ჰქონდათ გახევებული, რომ მექანიკურად აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც ეუბნებოდნენ. შტურმფიურერმა ამ შემთხვევაშიც არ უღალატა წესს და ბრძანა, რომ „სიკვდილის ტანგო“ შეესრულებინათ. ორკესტრანტებმა ეს ბრძანებაც შეასრულეს. იდგნენ და უკრავდნენ თავიანთ რეკვიემს. მერე ინსტრუმენტები ერთ ადგილას დააწყვეს და ისევ თხრილთან დადგნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „წესი და რიგია“, მაგრამ როცა იმათ ხვრეტდნენ, ორკესტრი უკვე აღარ უკრავდა!

...ალბათ ასეთი „მუსიკალური საშინელებებით“ შეძრწუნებული თუ იყო თომას მანი

როცა დაწერა, „მუსიკა თავისი არსით დემონურიაო“, მერე ეს აზრი განავითარა კიდეც და დაუმატა, „გერმანელის დამოკიდებულება სამყაროსთან მუსიკალურიაო“, ამიტომ მისი აზრით ფაუსტიც, როგორც „გერმანული სულის გამოხატულება“ აუცილებლად მუსიკოსი უნდა ყოფილიყო, რადგან მისივე შეხედულებით „აბსტრაქტული და მისტიკური, ე. ი. მუსიკალურია გერმანელის დამოკიდებულება სამყაროსთან“.

ამაზე ფიქრით შეიძლება კაცს ტვინი აემღვრეს. ადრიან ლევერკიუნიც ხომ ასევე, ტვინამღვრეული იყო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. ასე ამბობენ, თორემ, ვინ იცის, იქნებ სწორედ შეშლილობის მიჯნაზე გაუნათდა მას გონება, რომ ეთქვა საშინელი სიმართლე, — „ხელოვნება-მუსიკა დასცინის თავის თავს და ეს ეპოქის ბრალიაო!“ თუმცა ვინ გაიგებს, მუსიკა დასცინის თავის თავს, თუ ადამიანი? ესესელი, თუ გესტაპოელიც ხომ ადამიანია? სამწუხაროდ, მაგრამ მაინც ადამიანი! როცა ის მუსიკის თანხლებით სპობს ათასობით, ადამიანის სიცოცხლეს, იქნებ შოპენჰაუერისა არ იყოს, მართლაც „მუსიკალურად განიცდის“ „ინდივიდის მოსპობის სიხარულს“. მუსიკა ხომ დემონურია, დემონური კი ადამიანურის უარყოფას ნიშნავს, მუსიკაც — რომელიც თავისთავს დასცინის. სერენ კირკეგორის თქმით, მუსიკა „ქრისტიანული ხელოვნების უარყოფის ნიშანია“...

ფრანგი ბრალმდებელი დე მენტონი ანალიზს უკეთებდა რა „ინდივიდის მოსპობის“ ნაცისტურ თეორიას, ამბობდა:

— მათი აზრით ცალკეული ინდივიდი თავისთავად არ წარმოადგენს რამე ღირებულებას. მას მნიშვნელობა ეძლევა, როგორც რასაში შემავალ ელემენტს... ვინც ამ აზრს არ იზიარებს — ფიქრობენ ისინი — სულელია, ან ანტისაზოგადოებრივი ელემენტი. ნაციონალ სოციალიზმმა — ასკვნის მენტონი — გამოიწვია პიროვნების დათრგუნვა სახელმწიფოს მიერ და დაუკარგა მას თავისთავადი ღირებულება...

როგორც ყოველი ცალკეული ინსტრუმენტის ხმა სიმფონიის საერთო ჟღერადობაში, „უპიროვნო ადამიანებიც“ ისე იკარგებიან რასის, ერისა და სახელმწიფოს მთლიანობაში.

ვინ იცის, იქნებ მართლაც აქ დაუკავშირდა ერთმანეთს მუსიკა და „ინდივიდის მოსპობის სიხარული!“ ისიც შესაძლებელია, რომ ქრისტიანული ხელოვნება ამით უარყოფდეს, ან დასცინოდეს თავის თავს. ყოველ შემთხვევაში, ჰიტლერი ასეთ რამეს უქადაგებდა რაუშნინგს:

— ქრისტიანულ დოქტრინას ადამიანის ინდივიდუალური სულის უსაზღვრო მნიშვნელობისა და პიროვნების პირადი პასუხისმგებლობის შესახებ, მე მთელი სიცხადით ვუპირისპირებ მხსნელ დებულებას ადამიანის ინდივიდუალური არსების უმწეობისა, თუ უმნიშვნელობის და მისი განმეორებითი არსებობის შესახებ, ერის ყოვლად თვალსაჩინო უკვდავებაში...

იგივე აზრი თავისებური მაღალფარდოვანი ფრაზებით გამოსთქვა როზენბერგმა „XX საუკუნის მითში“: „ხალხები, რომელთა ჯანსაღი სული განისაზღვრება სისხლით, არ იცნობენ ინდივიდუალიზმს, როგორც სულიერ ღირებულებათა კრიტერიუმს, ისევე, როგორც არ სცნობენ უნივერსალიზმს, ინდივიდუალიზმი სხვა არაფერია, თუ არა დეკადენტობის მეტაფიზიკა“.

აქ არ გამოვუდგებით იმის ძიებას, არის ეს მართლაც ჰიტლერისა და როზენბერგის მიერ გამომუშავებული დებულება, თუ ისინი ამ შემთხვევაშიც ადამიანის, როგორც უპიროვნო ნაცვალსახელის შესახებ სხვების აზრს იმეორებენ. საერთოდაც არ დავიწყებდი ამაზე ლაპარაკს, რომ ამ ინდივიდუალიზმს, თუ „ინდივიდის მუსიკალური მოსპობის სიხარულიდან“ ჰიტლერელებს პიროვნებათა ფიზიკური მოსპობის უფრო პრიმიტიული „ფილოსოფია“ არ შეემუშავებინათ. თუ ჰიტლერის აზრით პიროვნებას ღირებულება არა აქვს, ეს ჰიმლერის ენაზე იმას ნიშნავს, რომ „ადამიანის ფასი გროშია“, ხოლო კაიტელისათვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე „ადამიანის სიცოცხლე, საერთოდ, არაფერი არ ღირს“. ამიტომ შეიძლება მათი მოსპობა, თუნდაც მუსიკის თანხლებით. ადამიანთა მოსპობის შესახებ გაცემულ ბრძანებებით თვითონაც რომ მოილღებოდა, სისხლიან ხელთათმანებს გაიძრობდა, როიალს მიუჯდებოდა და ვაგნერით უტკბობდა ყურთასმენას „საყვარელ ფიურერს“.

ვინ იცის, იქნებ აქაც ინასკვებოდა ერთმანეთში მუსიკა, მისი დემონური არსი და ინდივიდის მოსპობის სიხარული!...

**ადამის თავი...**

სიკვდილის ნაცისტური „ესთეტიკა“ მხატვრობასაც მისწვდა. ჰიტლერი და მისი უახლესი პალადინები უცხოეთის სამხატვრო გალერეებსა და მუზეუმებს მიესივნენ. ჰიტლერმა, გერინგმა და რიბენტროპმა ლუვრი გაძარცვეს და საკუთარი გალერიები შექმნეს: ასე გაქრა რაფაელის, ვერმეერის, ვან-დეიკის, რუბენსის, ჰოლბაინის, რემბრანდტის, ვატოს, ბუშესა და სხვათა ნაწარმოებები. გერმანიაში შემოზიდულ ხელოვნების უძვირფასეს ნაწარმოებთა კატალოგმა 39 უზარმაზარი ტომი შეადგინა. ტრიბუნალის აპარატი ეცადა დაახლოვებით მაინც შეეფასებინა ეს განძეულობა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ეს ყოველგვარ შესაძლებელ წარმოდგენას აღემატებოდა. მარტო ბავარიის ერთ-ერთ გამოქვაბულში 21,903 ასეთი ძვირფასი

ძეგლი აღმოჩნდა: ქანდაკებები, სურათები — პასტელი, აკვარელი, ნახატი, მინიატურა, ფერწერა მინაზე, ემალი, გობელენი და სხვ. აგრეთვე, ფაიფური, ბრინჯაო, ფაიანსი, მაიოლიკა და ა. შ.

ხელოვნების ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაცისტური რეჟიმის ხელმძღვანელებმა მიითვისეს; პირველ რიგში, გერინგმა, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან სასახლეებში თავი მოუყარა მსოფლიოში უდიდეს კოლექციას. ამ საქმეში არც ჰიტლერს ჰქონდა ხელები სუფთა. მოპოვებული ნადავლის „მგლის ულუფა“, ცხადია, მას ხვდებოდა. როზენბერგი პირადად ურჩევდა „მის ფიურერს“ საინტერესო ექსპონატებს, თვითონ ჰიტლერიც მხატვარ-არქიტექტორად თვლიდა თავს და მაღალი გემოვნების პრეტენზიებიც ჰქონდა. ამიტომ ყველა თავისებურად ცდილობდა ეამებინა მისთვის. სწორედ იმ დღეს, როცა გუსტავ ვილჰაუზმა 54 ტყვე დახვრიტა, ჰიტლერის დაბადების 54 წლის თავის აღსანიშნავად, როზენბერგმა „თავის საყვარელ ფიურერს“ 20 შესანიშნავი სურათი და ასეთი მლიქვნელური წერილი მიართვა:

„მე ნებას ვაძლევ თავს, ჩემო ფიურერ, შეპირებული მომავალი აუდიენციის დროს გადმოგცეთ კიდევ 20 სურათი იმ იმედით, რომ ასეთი ურთიერთობა ხელოვნების ნაწარმოებებთან, რაც ეგზომ ახლოა თქვენს გულთან, შეიტანს თქვენს ძვირფას ცხოვრებაში სილამაზისა და სიხარულის სხივებს.

ეს დამატებაა იმ უძვირფასესი 53 სურათისა, რომელიც უკვე გადმოგეცით“.

...ყველაზე საოცარი ის არის, რომ ჰიტლერი განსაკუთრებით დაინტერესდა სურათით „ღვთის კრავი“, და მანამ არ მოისვენა, ვიდრე ბელგიის რომელიღაც მუზეუმიდან არ გადმოატანინა. ესეც პარადოქსია მათი ცხოვრებისა. სისხლის მორევში მდგარი ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო და „ღვთის კრავის მოტრფიალე, ჰიმლერი — გატაცებული ფილატელისტი, იგი როგორღაც ათავსებდა ერთმანეთთან მილიონობით ადამიანების სიკვდილით დასჯას საფოსტო მარკების საკუთარი ხელით მუყაოზე დაწებებასთან. გერინგი, რომელიც ადამიანებისთვის ნაჯახით თავის მოკვეთას მოითხოვდა — შინაური ცხოველების დამცველი საზოგადოების პრეზიდენტიც იყო. მან 6 თვის პატიმრობა მიუსაჯა ვიღაც გლეხს, რომელმაც სახრე შემოკრა ხარებს, სხვებსაც ასეთი უცნაური ჩვევები ჰქონდათ. მე არაფერს ვამბობ მათ ფსიქოლოგიაზე, რადგან თომას მანის სიტყვები მახსოვს, „ჰიტლერელების ფსიქოლოგიაზე ლაპარაკიც კი ამორალურიაო“. ის კი არა, მათ სულიერ ცხოვრებასა და ხასიათზე ლაპარაკი ოფიციალურ დამცველებსაც უძნელდებოდათ.

კალტენბრუნერის დამცველი (!) კაუფმანიც კი იძულებული გახდა განეცხადებინა; მე მესმის, რომ სისხლისა და ცრემლების ასეთი მორევის წინაშე უფლება არა მაქვს ამ კაცის სულიერ თვისებებზე ვილაპარაკო, მაგრამ რა ვქნა, მე მისი დამცველი ვარო.

მართლაც, რა სულიერ თვისებებზე შეიძლება იქ ლაპარაკი, როცა თვითონ ჰიტლერიც პათოლოგიური სიამაყით აცხადებს: „ჩვენ ბარბაროსები ვართ და კიდეც ვამაყობთ ამითო“. თავის მთავარ ბანაკს აღმოსავლეთ პრუსიაში მიწის „მგლის ბუნაგს“ უწოდებდა. ესესელებს კი — „გაპარსულ რაინდებს“. პროცესზე კალტენბრუნერი იყო ამის ცოცხალი ნიმუში, სხვებიც. მილიონობით ადამიანების მოსპობას ხომ პროფესიული მკვლელების მთელი არმია სჭირდებოდა. შეიქმნა კიდეც ესესი, გესტაპო-დამსჯელი რაზმები, ჟანდარმერია და სხვ. მათი დევიზი იყო: „ყინულისებური გულგრილობა“, ემბლემა „ადამის თავი“ — თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები, სახელწოდება „Totenisopt“ „მკვდრის თავი“. ისიც დამახასიათებელია, რომ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს, რუდოლფ ჰესს, თავის კაბინეტში საწერ მაგიდაზე ლამაზ პიედესტალზე დადგმული გამხმარი თავის ქალა ედო. ეს თავი პროცესზეც აჩვენეს: ვიღაც ულვაშებიანი მამაკაცის ლამაზი სახე. მერე თვითონ ჰესიც შემოიყვანეს დარბაზში, სუფთად გაპარსული, კოხტად ჩაცმული, სანდომიანი სახის მამაკაცი, რომლის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მილიონობით ადამიანების სიცოცხლე გაატანეს კვამლს.

მან ჯერ ასეთი „ანგარიში ჩააბარა“ ტრიბუნალს:

— დაწყებული 1934 წლიდან მე სულ საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციასთან მქონდა საქმე. 1938 წლამდე ვმსახურობდი დახაუში, მერე, 1940 წლამდე, საქსენჰაუზენის ბანაკის უფროსის ადიუტანტი ვიყავი. 1940 წელს დამნიშნეს ოსვენციმის ბანაკის უფროსად, სადაც ვმუშაობდი 1943 წლის 1-ლ დეკემბრამდე. მე ვფიქრობ ,რომ ამ ხნის განმავლობაში იქ დაახლოებით 2.500.000 კაცი იქნა გაზკამერების საშუალებით გაჟლეტილი. გარდა ამისა, 500.000 დაიღუპა სიმშილითა და ავადმყოფობით. ამრიგად, საერთო რიცხვმა 3 მილიონს მიაღწია...

ამას რომ ყვებოდა, ჰესის შუბლზე ერთი ძარღვიც არ ატოკებულა. მე შემთხვევა მქონდა ცალკეც მელაპარაკა მასთან. საშინლად მაინტერესებდა გამეგო, რატომ ედო მაგიდაზე ადამიანის მოჭრილი და საგანგებოდ გამხმარი თავი. „მოვალეობის უკეთ შესასრულებლადო“, მითხრა მან და განმიმარტა:

— ნუ იფიქრებთ, რომ მე ადამიანურ თვისებებს მოკლებული ვიყო. მე ოჯახი მაქვს, ბავშვები მიყვარს, მაგრამ სამსახური სხვაა. აქ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ზოგჯერ მიმძიმს კიდეც ამდენი დახვრეტების ყურება, მაგრამ რა უნდა ვქნა? ეს ხომ ჩემი მოვალეობაა! მე ბრძანებას ვასრულებ და უნდა შევეჩვიო ამას.

ტრიბუნალის დარბაზში ჰესს დამცველმა კაუფმანმა ჰკითხა:

— თქვენ თვითონ ხომ გაქვთ ოჯახი, გყავთ ბავშვები, და გრძნობდით თუ არა რამე სიბრალულს ამდენი მსხვერპლის მიმართ?

— დიახ, — მიუგო ჰესმა.

— მაშინ რატომ სჩადიოდით ამას?

— ჩემი სახელმძღვანელო დებულება იყო რაიხსფიურერ ჰიმლერის ბრძანება და მის მიერვე მოცემული დასაბუთება.

ჩემთან საუბრის დროს კი ისევ რაღაც „ფსიქოლოგიურ ტრანსზე“ დაიწყო ლაპარაკი, „პერმანენტულ განწყობილებაზე“, თურმე როცა დახვრეტებს, ან გაზკამერებში გაგუდვის „აქციებს“ უყურებ, ისეთ „ფსიქოლოგიურ ტრანსში“ შედიხარ, რომ ეს უკვე შენს ნერვიულ სისტემაზე არ მოქმედებს, ოღონდ უნდა ეცადო, რომ ამ „ტრანსიდან“ არ გამოხვიდე, თორემ შემდეგ ისევ გაგიძნელდება „ნორმალური მდგომარეობის აღდგენა“. ამიტომ მე თვითონაც ვიღებდი „ღონისძიებებში“ მონაწილეობას და, როცა „საქმეს მოვრჩებოდი“, სამუშაო კაბინეტშიც ადამიანის მოჭრილ თავს ვუყურებდი, რომ უკვე შემუშავებული ფსიქოლოგიური განწყობა შემენარჩუნებინა — დაამთავრა მან.

ვინ იცის, იქნებ სხვებმაც მკვლელობა თავგადასავლად და გართობად იმიტომ გაიხადეს, რომ „მოვალეობის შესრულებისას“ შესაფერისი „განწყობა“ გამოემუშავებინათ. „არტისტულ სისასტიკეშიც“ ამიტომ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; ნერვებს იმაგრებდნენ თუ „ფსიქიურ ტრანსში“ შედიოდნენ, ან შეიძლება ვარჯიშობდნენ კიდეც „სიბრალულის სამარცხვინო გრძნობისაგან“ გასათავისუფლებლად...

**სიზიფის მითი...**

ბანაკში ორმოცამდე ინგლისელი ტყვე მფრინავი მოიყვანეს... ყველა სასიკვდილოდ იყო კანწირული. მათ ჯერ რკინის ჯოხებით სცემეს და მერე სასიკვდილო განაჩენიც გამოუცხადეს. ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ითხოვა, განაჩენი ისე მოიყვანეთ სისრულეში, როგორც სამხედრო პირებს შეგვეფერებაო... ამის პასუხად გესტაპოელებმა, პირიქით, სიზიფის მითის რაღაც თავისებური ვარიანტი გაითამაშეს:

მფრინავები ქვასატეხებში ჩაიყვანეს. ასიოდე საფეხური იყო ჩასასვლელი. იქ უზარმაზარ ქვებს ჰკიდებდნენ და უბრძანებდნენ ზევით აეტანათ. გზადაგზა მათრახებითა და რკინის ჯოხებით სცემდნენ, როგორც დანტეს შავი დემონები შოლტავდნენ მარადიულ წამებისათვის განწირულ ცოდვილთ მალებოლჯეში.

როცა მფრინავი — სიზიფი დიდის ვაი-ვაგლახით უკანასკნელ საფეხურამდე მიაღწევდა ისევ დასცხებდნენ ჯოხებს, ქვას გააგდებინებდნენ და უკანვე ჩააგორებდნენ. მერე იწყებოდა თავიდან, ვიდრე უკანასკნელი მსხვერპლი უსულოდ არ დაეცა ქვასატეხის საფეხურზე...

„სხვაგან „პარაშუტისტობას“ ასწავლიდნენ, საკონცენტრაციო ბანაკის „სტუმრებს“ მიიყვანდნენ 50 მეტრის სიმაღლის კლდის ნაპირას და მანამ ურტყამდნენ რკინის ჯოხებს, ვიდრე ის ხრამში არ გადახტებოდა. ესესელები სიცილით იხოცებოდნენ. მორიგი „პარაშუტისტი“ კი თავის რიგს უცდიდა...

...მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ 21 წლის ქერა გოგონა, ირმა გრეზე, როგორ აგლეჯინებდა ძაღლებს ასობით ტყვეებს. იგი საკუთარი ხელით ხვრეტდა ტუსაღებს. ქალებს თმებით ჰკიდებდა ხეზე და ტკბებოდა მათი ყურებით... რამდენი ათასი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი იყო მის ანგარიშზე. დაიჭირეს, გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს...

მაშინ კი ატირდა „ამორძალების ედლოფალი“!.

...ამრიგად, სიკვდილი მათთვის გართობად იქცა, დამცირება — სიამოვნებად. პროცესზე წაიკითხეს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტუსაღის, რიბოლ ფრედერიკის ჩვენება. იგი ყვება, რომ მათთვის წყალწყალა „საჭმელი“ 2—3 დღეში ერთხელ მოჰქონდათ და, როცა მოიტანდნენ, მაშინაც ტუსაღების დასამცირებლად იყენებდნენ. ნარეცხის მსგავს სითხეს პირდაპირ ღარში, პირსაბანში, ან ეზოს პატარა აუზში ასხამდნენ, რომლის გარშემო ოციოდე კაცი თუ ეტეოდა, იქ კი ამ დროს ორი ათასამდე ტუსაღი იყო. მათ კოვზები არ ჰქონდათ, ან სხვა რამ ჭურჭელი ისე, „ღორებივით უნდა მისეოდნენ“ აუზს, რომ რამდენიმე ყლუპი მაინც შეხვედროდათ. როცა ეს ორი ათასი კაცი იბრძოდა აუზამდე მისაღწევად, მცველი ესესელები იდგნენ და იცინოდნენ.

ნიცშეს რომ უთქვამს: „ბრაზით კი არ კლავდნენ — სიცილითო“; ესეც იმის პასუხია!.. მერე განურჩევლობა და აპატია იპყრობდა ტუსაღებს, ისინი იარაღს ყრიდნენ ცხოვრების ულმობელი სისასტიკის წინაშე, წყვეტდნენ უაზრო ბრძოლას და მშვიდად უცდიდნენ სიმშილით სიკვდილს, ან კრემატორიუმს... როცა მათი რიგი მოაღწევდა უკვე იმდენად იყვნენ

თავმობეზრებულნი, რომ „დამშვიდებულნი და ბედთან შერიგებულნი", ნებდებოდნენ არყოფნის მიმზიდველობას. და ამიტომ იყო, რომ სრულიად დამშვიდებულნი მიდიოდნენ დასახვრეტ ორმოებისკენ. რუდოლფ ჰესის ენაზე ამას „სიკვდილის სასიამოვნო ტრანსში" შესვლა ერქვა. რაც უფრო ღრმად იყვნენ ისინი შესული ამგვარ „ტრანსში", უფრო „უადვილდებოდათო სიკვდილი", მით უმეტეს, თუ ამას მუსიკის აკომპანიმენტიც ახლდა!

ესეც თურმე ჰუმანიზმის თავისებური სახეობაა და ბანაკის კომენდანტის „დიდსულოვნებაზე მეტყველებს!"...

...ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ტუსაღები მართლაც ისე ეჩვეოდნენ სიკვდილზე ფიქრს, რომ ეს მათზე არც მოქმედებდა. საშინელი ის იყო მხოლოდ, როცა მთელი ოჯახი ერთად გაჰყავდათ დასახვრეტად. ამ დროს დიდებს თავიანთ პატარებზე უხდებოდათ ზრუნვა, რომ არ გაეგოთ, რა მოელოდათ. საკუთარ თავზე კი უკვე აღარც ფიქრობდნენ.

პროცესზე გაოგნებული ვუსმენდით გერმანელი მუშის გრაბერის ნაამბობს, რომელიც შემთხვევით დაესწრო დუბნოში წარმოებულ „მასიურ ეგზეკუციებს".

მიქელ-ანჯელოს „საშინელი სამსჯავროსა" და დანტეს „ჯოჯოხეთს" თუ შეიძლება შეადაროს კაცმა ეს საშინელება:

— ჩემი ათისთავი და მე წავედით პირდაპირ ორმოსკენ—თქვა გრაბერმა—ხელი არავის შეუშლია ჩვენთვის. მერე მე გავიგონე კანტიკუნტი სროლის ხმა... ადამიანებს, რომელნიც ჩამოვიდნენ საბარგო მანქანებიდან, მათ შორის მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს შეიარაღებული ესესელების ბრძანებით მათრახებითა და შოლტებით აიძულებდნენ გაეხადათ ტანისამოსი, დაელაგებინათ ერთ ადგილას — ფეხსაცმელები ცალკე, თეთრეული ცალკე, კაბები და კოსტუმებიც ცალკე.

მე დავინახე ფეხსაცმელების მთელი გროვა, დაახლოვებით 800—1000 წყვილი; ასევე ტანისამოსი და თეთრეული. გაშიშვლებული ხალხი, ჯგუფ-ჯგუფად, მთელი ოჯახებით იდგნენ ისე, რომ არც ყვიროდნენ, არც ტიროდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, ეთხოვებოდნენ და უცდიდნენ ნიშანს ესესელისას, რომელიც იდგა ორმოსთან, ისიც მათრახით ხელში. 15 წუთის განმავლობაში, რაც მე იქ ვიდექი, არ გამიგონია შეწყალების არცერთი თხოვნა. ვუყურებდი ოჯახს, რომელიც 8 სულისაგან შედგებოდა — კაცები და ქალები დაახლოვებით 50 წლისა, ბავშვები რვიდან ათამდის და ორი მოზრდილი ქალიშვილი — 20—21 წლისა. თოვლივით თეთრთმებიან მოხუც ქალს ხელში ეჭირა ერთი წლის ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც დაბალი ხმით უმღეროდა და ეთამაშებოდა. ბავშვი სიამოვნებისაგან ტიტინებდა. მშობლები უყურებდნენ და თვალებიდან ცრემლები გადმოსდიოდათ. მამას ხელი მოეკიდა 10 წლის ბიჭისათვის და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ბავშვი ცრემლებს ებრძოდა. მამას უნდოდა შვილის ყურადღება მოეწყვიტა იმ საშინელებისაგან, რაც გარშემო ხდებოდა და ცაზე უჩვენებდა რაღაცას და თან თავზე ხელს უსვამდა და ეფერებოდა.

ამ დროს ორმოსთან მდგომმა ესესელმა რაღაც დაუძახა თავის მეგობარს. ამან 20 კაცი გადათვალა და უბრძანა ორმოსკენ წასულიყვნენ. მათ შორის იყო ის ოჯახი, რომელზედაც გეუბნებოდით. მე დამამახსოვრდა კოხტა ტანის შავთმიანი გოგონა, რომელმაც გვერდით ჩამიარა, თავის თავზე მიმითითა და მითხრა: „23". ვერაფრით ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს. იქნებ უნდოდა ეთქვა, მეოცე კი არა ვარ, არამედ ოცდამესამე, ე. ი. ურიგოდ მივდივარო! მერე მივუახლოვდი ორმოს და აღმოვჩნდი უზარმაზარი საფლავის წინაშე. ადამიანები ერთმანეთზე ეყარა ისე, რომ მხოლოდ თავები ჩანდა. თავიდან მხრებზე თითქმის ყველას სისხლის ზოლი ჩამოსდიოდა. ზოგი ჯერ კიდევ ინძრეოდა, ზოგიც ხელს წევდა და თავს აბრუნებდა, რათა ეჩვენებინა, რომ ცოცხალია და ითხოვდა კიდევ მესროლეთო. ცოცხლად დამარხვის ეშინოდათ და იმიტომ.

მე რომ მივედი, ორმოს სამი მეოთხედი უკვე სავსე იყო. ჩემი ანგარიშით იქ ათასამდე კაცი იქნებოდა ჩაყრილი. მე თვალებით დავუწყე ძებნა კაცს, ვინც დახვრეტას აწარმოებდა. ეს იყო ესესელი, რომელიც იჯდა ორმოს ნაპირას, ფეხები პირდაპირ თხრილში გადაეყო, მუხლებზე გამზადებული ავტომატი ედო, თვითონ კი სიგარას წევდა. გატიტვლებული ადამიანები ჩადიოდნენ ორმოში ჩაჭრილ საფეხურით და მიფოფხავდნენ მკვდრებს შორის, ან გადადიოდნენ მათ გვამებზე, რომ მიეღწიათ იმ ადგილისთვის, რომელსაც ესესელი უჩვენებდა. მერე წვებოდნენ ადრე დახვრეტილ, ან დაჭრილ მეზობლების გვერდით და უცდიდნენ. ზოგიერთი მათგანი ეალერსებოდა იმათ, ვინც დაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მერე მე გავიგონე ავტომატის ხმა. ჩავიხედე ორმოში და ვნახე, როგორ იკრუნჩხებოდნენ და ფართხალებდნენ ისინი... გაოცებული ვიყავი იმით, რომ არავინ არ დამიყვირა მოვშორებოდი იქაურობას. ისიც ვნახე, იქვე სამი ფოსტალიონი რომ იდგა ფორმებში. ისინიც უყურებდნენ ამ სურათს. ამასობაში ახალი ჯგუფი მოახლოვდა, ისინიც მშვიდად ჩავიდნენ ორმოში. მე ვნახე, ჯერ მამა როგორ ჩაყვა კიბეებს, დედამ კი სამი პატარა ბავშვი ჩააწოდა მას და მერე თვითონაც ჩავიდა, ისინი წვებოდნენ იმათ გვერდით, ან პირდაპირ მათზე, ვინც ადრე დახვრიტეს და... დაელოდნენ...

ავტომატის ხანგრძლივმა კაკანმა შეწყვიტა ეს ლოდინი... მერე ახალი საბარგო მანქანა მოვიდა. ეს მოხუცები იყვნენ. ერთი ისე ბებერი იყო, რომ სხვებმა გახადეს და წაიღეს ორმოსკენ.

...როცა ეს სიტყვები ისმოდა, დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. ხანდახან თუ გაისმოდა ფეხების ხმა ზემოთ, კორესპონდენტების გალერეაზე; სუსტნერვებიანები ნელ-ნელა იპარებოდნენ დარბაზიდან. ბრალდებულები თავჩაქინდრულები ისხდნენ... გაქვავებული სახის ლოურენსსაც თავი ჩაერგო ქაღალდებში და ხელები უცახცახებდა...

...ამბავი კი ამბავს მისდევდა. ხალხს ნერვები ისე დააწყდა, რომ უკვე ველარც არჩევდნენ, სინამდვილეს ყვებოდნენ, თუ კოშმარულ სიზმარს. ან იმათ რა ნერვები ჰქონდათ, ვინც ასე მშვიდად ჩადიოდა მთელი ოჯახიანად იმ ორმოში და წვებოდა მოკლულების გვერდით, ან პირდაპირ — მათზე, როგორც ფლორენციელი ბრძენის მიერ აღწერილი თიეზოლელნი, „თვის მსგავსთა გვამებს სარეცელად რომ იგებდნენ"...

**გაპარსული ნადირები...**

პროცესზე მთელი დღის განმავლობაში უჩვენებდნენ თვით გერმანელების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებების შესახებ. ეკრანი ისე მოხერხებულად იყო გაკეთებული, რომ დარბაზის ყველა კუთხიდან კარგად ჩანდა. სინათლეს რომ ჩააქრობდნენ, მხოლოდ ბრალდებულების სახეები რჩებოდა განათებული. ასეთ დროს ყოველი მათგანის წინ ენთებოდა პატარა ნათურა, რომ სპეციალურ პირებს საშუალება ჰქონოდათ ფილმის დემონსტრაციის დროს თვალყური ედევნებინათ მათი რეაქციისათვის. ეს ძალაუნებურად ჩვენს ყურადღებასაც იქცევდა, რადგან ის ფილმი უკვე რამდენჯერმე გვქონდა ნანახი.

ვიდრე დემონსტრაცია დაიწყებოდა, ინგლისელმა ბრალმდებელმა გამოაცხადა:

— ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალები შემაძრწუნებელი იქნება და თქვენ იტყვით, რომ მე დაგიფრთხეთ ძილი...

თუმცა ძილი რა არის, ან კოშმარული სიზმრები, როცა თვით სინამდვილე იყო უფრო საშინელი...

...ჯერ ოსვენციმი აჩვენეს. უზარმაზარი ბანაკი. გაძვალტყავებული ადამიანები, გაზ-კამერები, კრემატორიუმი, სიკვდილით დასჯის პროცედურა. გაშიშვლებული ქალები და კაცები, სადღაც კუთხეში მიყრილი ტანისამოსი, ისევ გროვა ფეხსაცმელებისა, თმების საწყობი, ძვალსამტვრევი მანქანის მუშაობა, დახოცილთა გვამები...

ოსვენციმს ბუხენვალდი მოჰყვა, ბუხენვალდს — დახაუ, მერე მაუტჰაუზენი, [illegible] მასიური დახვრეტები, კრემატორიუმები, ორმოებში ჩაყრილი შიშველი გვამები, დახოცილი ბავშვები. ვიღაცას ხეზე კიდებენ, ვიღაცას ძაღლებს აგლეჯინებენ... პაპანაქება სიცხეში თავგადაპარსული ტუსაღი გამოჰყავთ ბანაკის ეზოში, ესესელები ბოძზე აკრავენ მას — სახით მზისაკენ, ექიმები უყურებენ, ვიდრე მზე არ დაჰკრავს და მოჰკლავს, თან რაღაცეებს იწერენ უბის წიგნაკში.

კოშმარული სურათები ერთმანეთს ცვლის. მთელი დარბაზი დაძაბულია. ზოგჯერ აღშფოთების წამოძახილიც ისმის. ვიღაც ხმამაღლა ყვირის...

— ღმერთო! ეს რა საშინელებაა!..

ლოურენსი ხის ჩაქუჩს ურტყამს მაგიდაზე და ხალხს აწყნარებს. ჩოჩქოლი მაინც გრძელდება. თავები თითქოს მექანიკურად მოძრაობენ — ხან ეკრანს უყურებენ, ხან ბრალდებულებს. ბნელი დარბაზი პროექტორის ვიწრო ზოლითაა გადასერილი. შემოსასვლელ კარებზე ბჟუტავს წითელი სინათლე და ოდნავ ანათებს თავდახრილი თემიდას სახეს. მარცხნივ, საბრალმდებლო სკამებზე, დაძაბული სახეები მოჩანს. გერინგი ეკრანს მისჩერებია და ღელავს, ჰესსი წიგნს კითხულობს, რიბენტროპი გულხელდაკრეფილი ზის და შავ სათვალეებს ეფარება, კაიტელი გაქვავებულია, როზენბერგს თავი ხელებში ჩაურგავს და ქურდულად იყურება. შახტი ისევ ზურგს აქცევს ეკრანს, პაპენიც, ნოირატს თვალებზე ხელები აქვს აფარებული, ფრანკი თავჩაქინდრულია, რედერი და დენიცი უფრო მშვიდად გამოიყურებიან, შირახი ადგილზე ვერ ისვენებს...

კონვეირებს კი მიაქვთ დახოცილთა გვამები კრემატორიუმისაკენ, უზარმაზარი საკვამლე მილი ბოლავს, გაზკამერასთან გრძელი რიგები დგას. აქ არიან დიდები, პატარები, ძუძუმწოვარა ბავშვებიც, დამშეულები, დატანჯულები: ეკრანიდან გვიყურებდნენ მათი შეშინებული და უიმედო თვალები. ღმერთო, რამდენი რამ შეიძლება თურმე ამოიკითხოს კაცმა სასოწარკვეთილთა ასეთ უნუგეშო შემოხედვაში! ან რა ნებისყოფა გაუძლებს ამ საყვედურითა და ცრემლებით სავსე თვალების ყურებას. მთელ დარბაზს შიშის ჟრუანტელი უვლის... ვიღაც ხმამაღლა მოსთქვამს, ვიღაც კვნესის... ისინი კი ნელ-ნელა მიდიან თავიანთი დასასრულის შესახვედრად, თოვლით დაფარულ გაყინულ მიწაზე მიაბიჯებენ ფეხშიშველი ბავშვები, რომელთაც დედის კალთისთვის ჩაუვლიათ ხელი, მათ მიყვებიან თავჩაქინდრული და სასომიხდილი მამაკაცები... ისინი მიდიან ნელ-ნელა, რიგები თანდათან მოკლდება, გაზკამერა კი ივსება ხალხით. მერე აპარატი სპეციალურ ხვრელს უახლოვდება და...

ამის აღწერა უკვე არავითარ კალამს არ ძალუძს! ეკრანზე ჩანს, თუ როგორ იგუდებიან სასიკვდილოდ განწირულები გაზკამერაში... ეს მართლაც კოშმარია, იმაზე ასჯერ უარესი, დანტეს „ჯოჯოხეთში" რომაა აღწერილი. აკი თვით დანტე ამბობს: ვერავითარი კალამი ვერ აღწერსო განუკითხავად დაღვრილ სისხლს, ვერც გონების ნიჭი მისწვდებაო იმათ გოდებას... და თუ დანტეს თავისუფალი ფანტაზიით აღწერილი საშინელი სურათებიც მოითხოვენ დამაჯერებლობის დადასტურებას, ის-ღა დამრჩენია, რომ აქ მისივე სიტყვები გავიმეორო:

„ვინძლო, მკითხველო, შენ დაეჭვდე ჩემს ნაამბობში,
მე ეს ამბავი საკვირველად არ მეჩვენება,
რადგან მე თავად ძლივს ვიჯერებ ჩემს მიერ ნახულს"...

...ვნახე კი მართლაც საშინელება — თითქოს იმ კინოაპარატთან ერთად მეც გავიარე ჯოჯოხეთის ყველა გარსი და ისევ შევედი ნიურნბერგის „ბიბლიურ სამსჯავროში", სადაც მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდას უკვე აღემართა თავისი მახვილი!

ფილმის დემონსტრაცია რომ დამთავრდა, არცერთ ბრალდებულს არ შეუხედავს დარბაზისათვის. არცერთ მათგანს არ აუწევია თავი, არც არაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის...

საღამოთი, როცა ექიმმა ჯილბერტმა ჩამოიარა მათი კამერები, ისინი ისევ იმ საშინელი სანახაობის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ და ცდილობდნენ როგორმე პირადი პასუხისმგებლობა აეცდინათ თავიდან:

— რაც იქ აჩვენეს, იმ დანაშაულის უმცირეს ნაწილშიც რომ მედოს წილი, თავს მე თვითონ ჩამოვიხრჩობდი, — თქვა შტრაიხერმა.

შირახიც თურმე ახლა „მიხვდა", რომ ჰიტლერი ატყუებდა და დანაშაულებრივ მიზნებისათვის იყენებდა მის ერთგულებას. შახტი ისევ იბუტებოდა, ასეთი საქმეების ჩამდენთან ერთად როგორ დამსვეს საბრალმდებლო სკამზეო. პაპენმაც ამიტომ შეაქცია ზურგი ეკრანს.

— რატომ არ უყურეთ ფილმს? — ჰკითხა მას ჯილბერტმა.

— მე არ მინდოდა გერმანიის სირცხვილისათვის მეყურებინა, — მიუგო პაპენმა.

კაიტელი სულ განზე გადგა:

— ეს საშინელებაა, ექიმო, ასეთ რამეებს რომ ვუყურებ, მე მრცხვენია, რომ გერმანელი ვარ. ეს სულ იმ ესესელი ღორების საქმეა!

ის კი არა თქვა, გერმანელებს უნდა რცხვენოდეთ მეც რომ გერმანელი ვარო, მე მრცხვენიაო. თან ყველაფერი ესესელებს გადააბრალა. ალბათ, არც იფიქრა, რომ მის მეზობელთაგან საბრალმდებლო სკამზე, ბევრს ესესის გენერლის ჩინი ჰქონდა; მათ შორის — რიბენტროპს, ჰესს, ფრანკს, ფრიკს, ზაუკელს, ნიორატს, ზეის-ინკვარტსა და შტრაიხერს. მაგრამ მეტი უფრო მძიმე გამოცდას უმზადებდა ფელდმარშალს. ესესის რაიხსფიურერ ჰიმლერის მოადგილე და გესტაპოს უფროსი კალტენბრუნერი [illegible]ჯერ სასამართლო დარბაზში არ ჩანდა ავადმყოფობის გამო. იგი პირველად პროცესის დაწყების 20 დღის შემდეგ, 10 დეკემბერს, გამოჩნდა. ბრალდებულები შიშით უყურებდნენ, როგორ დინჯად შემოვიდა ის დარბაზში და ზლაზვნით გაემართა საბრალმდებლო სკამისკენ. ზოგმა ზურგი შეაქცია მას, სხვებმა თვალი აარიდეს, არ უნდოდათ გამოემჟღავნებინათ, რომ რამე საერთო აქვთ მასთან. ის კი პირდაპირ წავიდა მითითებულ ადგილისაკენ და გვერდით დაუჯდა კაიტელს. ხელიც გაუწოდა ჩამოსართმევად ფელდმარშალს, მაგრამ კაიტელმა დემონსტრატიულად შეაქცია ზურგი. კალტენბრუნერმა ტუჩზე იკბინა. არც სხვები მიესალმნენ მას. განსაკუთრებული აღშფოთება სამხედროების სახეზე გამოიხატებოდა. მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ესესელებთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. კაიტელი იმითაც იყო აღშფოთებული, რომ კალტენბრუნერი სწორედ მის გვერდით დასვეს. ეს თურმე ლახავდა მის ჯარისკაცულ ღირსებას — თქვა კიდეც:

— მე აქ იმიტომ ვარ, რომ გერმანელი ჯარისკაცის მუნდირი დავიცვა.

განზრახვა არ არის უღირსი, მართლაც რომ ჰქონოდა ამის საფუძველი. ბრალმდებლებმა კი სრულიად მარტივად აუხსნეს ამ მუნდირიან ბოროტმოქმედებს:

— სამხედროებს ჩვენ ბრალს იმაში კი არ გდებთ, რომ ისინი ჯარისკაცები იყვნენ და ასრულებდნენ იმას, რაც ჯარისკაცებს ევალებათ. ზეინკლობა პროფესიაა და ამაში ბრალს არავის სდებენ, მაგრამ თუ ზეინკალმა თავისი პროფესია იმისთვის გამოიყენა, რომ ბოქლომი გატეხა და მეზობლის ბინა გაძარცვა, — პასუხისგებაში მისცემენ...

...აქ კი მეზობლის ბინა კი არა, მთელი ქალაქები და სახელმწიფოებია დანგრეული, მილიონობით ხალხი გაჟლეტილი, და სხვა ათასგვარი საშინელებანი. ამას არც სამხედროები უარყოფენ, ისინი მხოლოდ თავიანთ პირად მონაწილეობას არ სცნობენ „იმ ესესელი ღორების" საქმეებში. ყველაზე უფრო კი ფელდმარშალი კაიტელი დებს თავს გერმანული არმიისა და მისი გენერალიტეტის ღირსების დაცვაზე.

ფაქტები კი სულ სხვაზე მეტყველებენ. მოძრაობას იწყებს ათასი ფუთი ბრალდება, თუმცა ამას ათასი ფუთი რად უნდა, როცა რამდენიმე გრამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ არმია, ესესი და გესტაპო შეხმატკბილებულად მუშაობდნენ აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხების" დროს. წინას-

წარ ხელშეკრულებაც იყო დადებული მათ შორის თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ორი კვირით ადრე, ოფიციალური მოლაპარაკებაც გაიმართა ამის თაობაზე არმიის უმაღლეს სარდლობისა (OKW) და ესესის (SS) რაიჰსფიურერს შორის. სარდლობის უფროსმა, ფელდმარშალმა კაიტელმა ამ მოლაპარაკებაზე გაგზავნა თავისი სპეციალური რწმუნებული, გენერალ-კვარტირმაისტერი ვაგნერი, ხოლო ესესის რაიჰსფიურერმა, ჰიმლერმა — გესტაპოს უფროსი, ჰაიდრიხი. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც ესესისა და გესტაპოს დამსჯელი რაზმები (Sonderkommando) მიმაგრებული იქნენ არმიების შტაბებთან და დაუქვემდებარდნენ სარდლობას.

ვერც ერთმა სამხედრო პირმა ვერ შესძლო უარეყო ამ საბუთის აუტენტურობა... მით უმეტეს, ცოცხალი მოწმის ჩვენება...

...დარბაზში ყველასათვის მოულოდნელად შემოიყვანეს ესესის გენერალი ბახ-ზელევსკი, კაიტელსა და იოდლს ფერი ეცვალათ, როცა ის დაინახეს. ვინ ვინ და, ბახ-ზელევსკიმ ხომ კარგად იცოდა, როგორ ხდებოდა ყოველივე ეს! 1942 წლამდე იგი ცენტრალური ფრონტის ესესის ნაწილებისა და გესტაპოს უფროსი იყო, შემდეგ დააწინაურეს და აღმოსავლეთის სამივე ფრონტი დაუმორჩილეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა ყველა ეს „დამსჯელი ოპერაცია“, ე. ი. „მთელი რასიული ერთეულების მოსპობის“, თუ „განხალხების“ პოლიტიკა. მან კარგად იცის, რომ მისი უწყებები იქ დამოუკიდებლად კი არ მოქმედებდნენ, არამედ არმიის სარდლობის განკარგულებებით, და დამსჯელი ოპერაციებიც უმთავრესად გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების საშუალებით ტარდებოდა. როცა ის ჩვენებას იძლეოდა, კაიტელი მოუთმენლად ცმუკავდა, იოდლი კი თავს იბრიყვებდა, ვითომ არც ესმოდა, რაზეა ლაპარაკი.

ბახ-ზელევსკიმ განაცხადა, რომ ის მოქმედებდა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლებთან შეთანხმებით. ამ ოპერაციების საერთო ხელმძღვანელები იყვნენ: ფელდმარშლები კიუხლერი, კრებსი, კლუგე და სხვ. ამერიკელ ბრალმდებელ, პოლკოვნიკ ტეილორსა და ბახ-ზელევსკის შორის ასეთი დიალოგიც გაიმართა:

ტეილორი: რასაც თქვენ აკეთებდით, ეს სამხედრო აუცილებლობით თუ იყო გამოწვეული?

ბახ-ზელევსკი: არა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, იმის წარმოდგენაც შეუძლებელია.

ტეილორი: არმიის სარდლობამ თუ იცოდა ეს?

ბახ-ზელევსკი: რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათთან შეთანხმებით კეთდებოდა.

ტეილორი: რატომ ხდებოდა ასე?

ბახ-ზელევსკი: იმიტომ, რომ ყველა ოფიცერს ჰქონდა მიცემული უფლება, როგორც უნდოდა, ისე მოქცეულიყო.

ტეილორი: იწვევდა თუ არა ეს უდანაშაულო ხალხის მასიურ ჟლეტას?

ბახ-ზელევსკი: დიახ!

ტეილორი: იყო თუ არა ბრძანება, ჯარისკაცები არ დაესაჯათ მოსახლეობის მიმართ დანაშაულებრივ მოქმედებისათვის?

ბახ-ზელევსკი: დიახ, იყო!

ტეილორი: რა შედეგი მოჰყვა ამას?

ბახ-ზელევსკი: დაიკარგა ყოველგვარი კანონიერება, წესრიგი.

ტეილორი: გენერლებიდან ვინმე თუ აცხადებდა პროტესტს ასეთი სისასტიკის გამო.

ბახ-ზელევსკი: როგორც მახსოვს, მხოლოდ გენერალი ბენკენდორფი, სხვა არავინ!

დამცველები ისე დაიბნენ, რომ არ იცოდნენ რა კითხვები მიეცათ ბახ-ზელევსკისათვის. სხვებზე უტიფარი კი მაინც გერინგის დამცველი შტამერი გამოდგა. იგი ცდილობდა, ეთქმევინებინა მისთვის, ბრძანებებს მე ვაწერდი ხელსო, მაგრამ მოწმემ განაცხადა:

— მე არ მქონდა ბრძანებებზე ხელისმოწერის უფლება — ხელს აწერდნენ მხოლოდ სარდლები.

შტამერმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მოწმის დაშინება სცადა:

— იცით თუ არა, რომ ფიურერი და ჰიმლერი გაქებდნენ თქვენ სწორედ სიმკაცრის გამო? დაგაჯილდოვეს კიდეც ამისთვის!

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა, — გაუფრთხილდა თავს ბახ-ზელევსკი, თუმცა ამ სიტყვებს საყურადღებო მსჯელობაც დაუმატა:

— თუ ათი წლის განმავლობაში გიქადაგებენ; რომ სლავები დაბალ რასას მიეკუთვნებიან და რომ ებრაელები „არაადამიანები“ (unmensch) არიან, მილიონობით ასეთი ხალხის გაჟლეტა ლოგიკურად ბუნებრივ მოვლენად იქცევა.

ბახ-ზელევსკი ესწრებოდა სხდომას, სადაც ჰიმლერმა განაცხადა 30 მილიონი სლავის დახოცვის შესახებ, და თქვა — ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით აღმოსავლეთის ფრონტზე, ამ მითითებით განხორციელება იყოო. ეს როზენბერგის დამცველს დოქტორ ტომას არ მოეწონა. მისი „დაცვის ობიექტი“ ხომ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებს განაგებდა და, პირველ რიგში, სწორედ მას ედებოდა ბრალად ამ მითითების განხორციელება:

— 30 მილიონი სლავის დახოცვა ჰიმლერის პირადი აზრი იყო, თუ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოლიტიკა? — ჰკითხა ბახ-ზელევსკის ტომამ, თითქოს მართლაც „პირადი აზრით“ შეიძლებოდა ამის განხორციელება.

— ახლა მივხვდი, რომ ეს ნაციონალ-სოცია-

ლისტური პარტიის პოლიტიკა იყო, — თქვა მოწმემ, — მანამდე მეგონა, რომ მხოლოდ ებრაელების მოსპობა წარმოადგენდა ამ პოლიტიკის ნაწილს.

ეს კი მან ნამდვილად იცოდა, რადგან თვითონ იმ სხდომასაც ესწრებოდა, რომელზედაც ჰიმლერმა განაცხადა:

— სრულიად აშკარად უნდა გითხრათ, რომ ებრაელობის, როგორც რასის მოსპობა, ჩვენი პარტიის პროგრამის ორგანული ნაწილია. „ანტისემიტიზმი“ ზუსტად იგივეა, რაც „სანდამუშავება“. ტილებისაგან გათავისუფლება არ არის იდეოლოგიის საქმე, ეს სისუფთავის საკითხია...

რაკი ანტისემიტური პოლიტიკის გატარებას მხოლოდ ჰიმლერსა და მის უწყებებს აბრალებდნენ, ბრალმდებლებმა სხვებსაც შეახსენეს მათ მიერ გამოთქმული აზრები ამის თაობაზე. ჯერ რიბენტროპს წაუკითხეს მისივე სიტყვები:

— ანტისემიტიზმი წარმოადგენს გერმანიის რეკონსტრუქციის გამაერთიანებელ ფაქტორს.. ებრაელთა საკითხი გადაწყვეტილად მაშინ ჩაითვლება, როცა არცერთი ებრაელი არ დარჩება გერმანიის სასიცოცხლო ტერიტორიებზე.

მერე ყველაზე თავაწყვეტილ ანტისემიტს, შტრაიხერს მიადგნენ. იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა ებრაელების წინაამდეგ ბრძოლის ცენტრალურ გაზეთ „Stürmer“-ს („მოიერიშე“). შტრაიხერმა პროცესზე სოცარი ტრიუკი გააკეთა, მაგრამ ნახტომი შეეშალა. მან თავი სიონისტად გამოაცხადა (!). მე ებრაელების პალესტინაში გასახლება მინდოდა და არა მათი გაწყვეტაო. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა კი სწორედ აქ მიატანა ვიწროში, და იმ ათასი ფუთი ბრალდებიდან სწორედ ის გრამი აილო, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა შტრაიხერისთვის. დარბაზში გაისმა შტრაიხერის ნათქვამი:

— ეს მხოლოდ ევროპული პრობლემა არ არის. ებრაელთა საკითხი — მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია. არა მარტო გერმანიას არ შეუძლია იგრძნოს თავი საფრთხის გარეშე ებრაელებისაგან, ვიდრე, თუნდაც ერთი ებრაელი ცხოვრობს ევროპაში, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტა თვით ევროპაშიც არ შეიძლება, სანამ ებრაელები იცხოვრებენ დედამიწის სხვა ნაწილში.

შემდეგ საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომაც დადო თემიდას თასზე „ერთი მილიგრამი“ ბრალდებისა და შტრაიხერს მთლად ჩაუშავა ისედაც ჩაღამებული გული. მან წაიკითხა ამ „სიონისტის“ ნათქვამი:

— ვიდრე უკანასკნელი ებრაელი არ ჩაძაღლდება დედამიწაზე, მზე ვერ ინათებს...

ის დღე იყო და ის. იმის შემდეგ შტრაიხერს თავის სიონისტობაზე ხმა არ გაუღია. სამაგიეროდ საშინელი მამხილებელი ციფრები წამოვიდა, სპეციალური რუქებიც აჩვენეს, სად რამდენი ებრაელობა გაჟლიტეს. ყველა ნერვიულობდა, „აკადემიკოსი“ ჰანს ფრანკი კი სულგანაბული იჯდა და ელოდა, მე თუ მახსენებენო... ახსენეს კი არა, მთელი დარბაზი აღაშფოთეს მისი სენტენციებით. იგი ბოდიშს იხდიდა ფიურერის წინაშე, რომ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა „ტილებისა და ებრაელების“ მთლიანად მოსპობა, მაგრამ ამის პირობა მისცა და რამდენიმე ხნის შემდეგ უპატაკა კიდეც:

— სიამაყის გრძნობით შემიძლია ვთქვა, რომ საგენერალ-გუბერნატორო უკვე გაწმენდილია ტილებისა და ებრაელებისგანო!

მიუხედავად მტკიცების სიცხადისა, სამხედროები და სამოქალაქო პირები მაინც ჯიუტად ცდილობდნენ ყველაფერი ესესელებისთვის გადაებრალებიათ. ესესელები კი სრულიადაც არ აპირებდნენ თავიანთ ხარჯზე არმიის ღირსების დაცვას და აცხადებდნენ:

—„ყველაფერ ამას განსაკუთრებით სუფთად იმიტომ ვაკეთებდით, რომ არმიის სარდლობა გვეხმარებოდაო“. შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ ეს არცთუ ისე „სუფთად“ კეთდებოდა. უკმაყოფილების ხმა აქა-იქ თვით გერმანელ ოფიცერთა შორისაც გაისმა. ძალიან იშვიათად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც. 528-ე ლეგიონის მეთაურმა, მაიორმა როსლერმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა მე-9 კორპუსის სარდლის მოადგილეს, მის მიერ ქ. ჟიტომირში მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური დახვრეტების შესახებ. იგი თვითონ დაესწრო „ამ საზიზღრობას“ და იმდენად შეძრწუნებული დარჩა, რომ დღემდე გონს ვერ მოვსულვარო — წერს თავის უფროსს. დახვრეტილთა ორმოში მან დაინახა თეთრწვერებიანი მოხუცი, რომელიც ხელჯოხს ჩაბღაუჭებოდა და იხვეწებოდა, კიდევ მესროლეთო, რადგან დაჭრილი იყო.

— მე ვუბრძანე პოლიციელს, ბოლო მოეღო მისთვის, — წერს როსლერი, — რაზედაც მან ღიმილით მიპასუხა: „მე უკვე შვიდი ტყვია მივარტყი მუცელში, აწი ის თავისით უნდა მოკვდეს“.

აღწერს რა ასეთ საშინელ სცენებს, როსლერი იგონებს, ჯარისკაცები რომ ადრეც ეუბნებოდნენ, მასიური დახვრეტები ყოველდღე ხდებაო.

— მე მონაწილეობას ვიღებდი პირველ მსოფლიო ომში, — ამთავრებს ის თავის მოხსენებით ბარათს, — საფრანგეთისა და რუსეთის კომპანიაში ამ ომის დროს, და სრულიადაც არ ვარ დაავადებული ზედმეტი მგრძნობელობით. მე, როგორც მოხალისეთა რაზმის წევრს, 1919 წელს მომიხდა მრავალი, არასასიამოვნო ამბის მოწმედ ყოფნა, მაგრამ ამის მსგავსი რამ არასოდეს არ მინახავს.

ეს კი მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგში ასეთმა მასიურმა ხოცვა-ჟლეტამ სულ კოშმარული ხასიათი მიიღო. ბელორუსიაში ებრაელებს „რომ მორჩნენ“, სლავებს მისდგნენ და, როცა „საკონტროლო ციფრმა“ ოთხ მილიონ ნახე-

ვარს მიაღწია, თვით გენერალური კომისარიც კი შეძრწუნდა ამით. პროცესზე წაიკითხეს ამონაწერი მოხსენების ბარათიდან, რომელიც მან გაგზავნა ბერლინში:

„ასეთი ფართო მასშტაბის ოპერაციების პოლიტიკური ეფექტი მშვიდობიან მოსახლეობაზე ხაშინელია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ქალებისა და ბავშვების მრავალრიცხოვან დახვრეტებს".

ეს მოხსენებითი ბარათი გადასცეს საიმპერიო კომისარს, ალფრედ როზენბერგს, შენიშვნით:

„ის ფაქტი, რომ საჭიროა ებრაელებისადმი განსაკუთრებული მოპყრობა (ეს დახვრეტას ნიშნავს — მ. კ.), გასაგებია და ამაზე კამათი საჭირო არ არის, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ხდება ისე, როგორც აღწერილი აქვს გენერალურ კომისარს. კატინი რა არის ამასთან შედარებით!.." და სხვ.

როგორც ჩანს, ასეთი ბარათები სხვა კომისარიატებისაგანაც მოსდიოდა როზენბერგს, კაიტელს და ჰიმლერს. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია. პირიქით, ბარათების ნაპირებზე ჩნდებოდა მათი წარწერები: „ეს საჭიროა — როზენბერგი"; „რაკი იდეოლოგიური ბრძოლაა, ასეც უნდა მოხდეს — კაიტელი", „მიზანშეწონილია — ჰიმლერი" და სხვ.

1942 წლის 16 დეკემბერს კაიტელმა საიდუმლო ბრძანებაც გამოსცა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამ ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს ჯარისკაცის რაინდულ მოქცევასთან, ან ჟენევის კონვენციის წესებთან, ამიტომ ჯარს შეუძლია გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება „თვით ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ"...

...ჯოჯოხეთის მანქანა კი ისევ განაგრძობდა ტრიალს. დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხება" გერმანული პუნქტუალობით სრულდებოდა.

ერთხელ, რომელიღაც ქალაქში, ერთბაშად, დიდიან-პატარიანად, 17 ათასი კაცი დახვრიტეს. თვით დამსჯელი რაზმის წევრებიც პარალიზებული იყვნენ ამ საშინელი სანახაობით. ვიღაცამ გაბედა და უკმაყოფილება გამოთქვა. ამით გაგულისებულმა როზენბერგმა დაუყოვნებლივ შეკრიბა თავისი თანამშრომლები და განუცხადა:

—ჩვენ არ უნდა დავიწყოთ მანჭვა-გრეხა, როცა გვესმის ამბავი 17 ათასი კაცის დახვრეტის შესახებ. ისინიც ომის მსხვერპლნი არიან. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ შეკრებილნი შეტანილნი ვართ ბატონ რუზველტის მიერ შედგენილ დამნაშავეთა სიაში. მე მაქვს პატივი იმ სიაში ნომერი პირველი ვიყო. ჩვენ ყველანი, ასე ვთქვათ, თანამონაწილეებად ვიქეცით მსოფლიო ისტორიაში და სწორედ ამიტომაც უნდა ვიყოთ ერთად, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ საერთო იდეები. ყოველივე ამის გამოც სასაცილო იქნებოდა, რომ ვინმესთვის ჩვენი ჭუჭყიანი პერანგი გვეჩვენებინა და გვედავა მეთოდების შესახებ.

თუ რა „მეთოდებით" ხდებოდა ეს მასიური „ეგზეკუციები", თვალნათლივ იქნა ნაჩვენები პროცესზე, მაგრამ შემდეგ პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგა, ყველამ განზე გადგომის ტაქტიკა აირჩია. განსაკუთრებით — სამხედროებმა, რომელნიც ახლა გერმანელ ჯარისკაცზე უფრო, საკუთარი ტყავისა და მუნდირის დაცვაზე ფიქრობდნენ. ამ მხრივ სანიმუშოა ფელდმარშალ კაიტელის მდგომარეობა. უნდა ითქვას, რომ ის ერთადერთი იყო თავის კოლეგებს შორის, რომელიც ფაქტების ლოგიკით შებოჭვის შემდეგ, არ ცდილობდა ჯიუტად უარეყო ბრალდების აშკარა დამამტკიცებელი ფაქტები. მართალია, ჯერ თავდაცვის ყველა ზომას ხმარობდა, მაგრამ როცა დაინახავდა, რომ ყოველივე ეს ამაო იყო, ჯარისკაცული პირდაპირობით აღიარებდა თავის დანაშაულს...

**გამჭვირვალე ნიღაბი...**

...პროცესზე კაიტელს წინ დაუდვეს მის მიერვე შედგენილი საშინელი დოკუმენტი: 1941 წლის 16 სექტემბრის ბრძანება, რომელშიც **წერია:**

„ძირშივე რომ ჩახშობილ იქნას უკმაყოფილება, საჭიროა პირველ შემთხვევისთანავე დაუყოვნებლივ მიღებული იქნეს უსასტიკესი ზომები"... და შემდეგ:

„ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე ქვეყნებში, რომელთაც ეს ეხება, აბსოლუტურად არაფერი არ ღირს. და რომ დამაშინებელი ღონისძიებანი შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ არაჩვეულებრივი სისასტიკით".

მერე ასეთი დიალოგიც შედგა:

რუდენკო: თქვენ გახსოვთ ეს დებულება? ძირითადი დებულება ბრძანებისა, რომ „ადამიანთა სიცოცხლე აბსოლუტურად არაფერი არ ღირს?" გახსოვთ ეს ფრაზა?

კაიტელი: დიახ!

რუდენკო: თქვენ მოაწერეთ ხელი ამ ბრძანებას ასეთი დებულებით?

კაიტელი: დიახ... ეს სიტყვები არ არის ბრძანებაში, მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთ აღმოსავლეთსა და ნაწილობრივ, საბჭოთა რაიონებში ადამიანთა ცხოვრება არ იყო ანგარიშში ჩაგდებული (!) იმ მოცულობით, როგორც საჭირო იყო...

რუდენკო: თქვენ ამბობთ, რომ ასეთი სიტყვები არ არის ბრძანებაში?

კაიტელი: რამდენადაც ვიცი, იქ ასე წერია, რომ „ადამიანის სიცოცხლე ცოტა ღირს", ეს — რამდენადაც მე მაგონდება.

რუდენკო: მე მოგაგონებთ: როცა თქვენ 1941 წლის 9 იანვარს დაგკითხათ გენერალმა

ალექსანდროვმა, არსებითად ამ ფრაზის შესახებ, თქვენ უპასუხეთ: „ეს ფრაზა, უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილია, მაგრამ ის ციფრები პირადად ფიურერის მიერაა ჩაწერილი“. ახლა გაგონდებათ? ხომ ასე თქვით?

კაიტელი: ჭეშმარიტად ასეა! გუშინ მე არ წამიკითხავს ბრძანების ყველა პარაგრაფი. მე ვაღიარე მხოლოდ, რომ ის ნამდვილად არსებობს.

რუდენკო: ბატონო თავმჯდომარევ! მე ახლა წარვუდგენ ამ ბრძანებას ბრალდებულს...

ბრალდებულო, კაიტელ, გაეცანით?

კაიტელი: დიახ, ტექსტი გერმანულად ასეთია — „სათანადო ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლე ხშირად არაფერი არ ღირს“.

რუდენკო: და შემდეგ...

კაიტელი: დიახ, სწორედ ასეა. ახლავე, „და დამაშინებელი ზემოქმედება შეიძლება მიღწეულ იქნეს არაჩვეულებრივი სისასტიკით, როგორც სასყიდელი გერმანელი ჯარისკაცების სიცოცხლისა.

რუდენკო: გასაგებია, ამავე ბრძანების „ბ“ პარაგრაფში ნათქვამია: „სასყიდლად გერმანელი ჯარისკაცის სიცოცხლისა, ასეთი შემთხვევების შედეგი, როგორც წესი, უნდა იყოს 50-100 კომუნისტის სიკვდილით დასჯა. დასჯის ფორმამ უნდა გაზარდოს დამაშინებელი ზეგავლენის ხარისხი. სწორია?

კაიტელი: გერმანული ტექსტი ცოტა სხვაგვარია — „ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, საერთოდ, დადგენილ იქნეს 50-100 კაცის სიკვდილით დასჯა“. ასეთია გერმანული ტექსტი.

რუდენკო: ერთ გერმანელ ჯარისკაცზე?

კაიტელი: ეს მე ვიცი და აქაც ვნახე.

რუდენკო: მე გეკითხებით: ხელი მოაწერეთ რა ამ ბრძანებას, თქვენ ამით გამოსთქვით თქვენი აზრი ამ სასტიკი ღონისძიებების თაობაზე, ე. ი. დაეთანხმეთ ჰიტლერს?

კაიტელი: მე ხელი მოვაწერე ამ ბრძანებას, მაგრამ ციფრები, რაც აღნიშნულია იქ, ეკუთვნის პირადად ჰიტლერს, სწორედ რომ პირადად ჰიტლერს.

რუდენკო: თქვენ როგორი ციფრები წარუდგინეთ ჰიტლერს?

კაიტელი: 5-10 კაცი. ეს ის ციფრებია, რაც მე ჩავწერე ორიგინალში.

რუდენკო: მაშასადამე, თქვენსა და ჰიტლერის წინადადებებს შორის განსხვავება ციფრებში იყო და არა არსებითად, არა?..

...შემდეგ კაიტელს გადასცეს 1941 წლის 16 დეკემბრის ბრძანება, რომელშიც წერია:

„ამის გამო ჯარებს უფლება ეძლევათ და ევალებათ გამოიყენონ ამ ბრძოლაში, როგორიც არ უნდა იყოს საშუალება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თვით ქალებისა და ბავშვების მიმართაც, თუკი ეს ხელს შეუწყობს საქმეს“.

კაიტელი ბევრს ეცადა აეცილებინა ეს მძიმე პასუხისმგებლობა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტები ჯიუტია, და ამას ვერც ფელდმარშლის მჭერმეტყველებამ გაუძლო. უტყუარი დოკუმენტები ისეთი საშინელი სიცხადით ამხელდნენ მის დანაშაულს, რომ ბრალდებულის „სიჯიუტე“ საქმეს ვერ შველოდა. აი, ამისი მაგალითიც: კაიტელს უჩვენეს ბრძანების პროექტი, რომელზედაც მისი ხელითაა მიწერილი: „მეთაურებს, რომელთაც აქვთ სამხედრო წოდება არანაკლებ დივიზიის უფროსისა, შეუძლიათ გასცენ ბრძანება, რომ ტყვედ არავინ არ იქნეს აყვანილი, ე. ი. ტყვეები და სამოქალაქო მოსახლეობა ბრძოლების რაიონში შეიძლება დახვრეტილ იქნენ. უმაღლესი სარდლობის უფროსი კაიტელი. საკუთარი ხელით“.

გასაგებია ამ პატარა მინაწერის ძალა: უამრავი დახოცილი სამხედრო ტყვე და სამოქალაქო მოსახლეობა!

მერე, როდესაც სამხედრო ტყვეების მასიურმა დახოცვამ მართლაც შემაძრწუნებელი ხასიათი მიიღო, კაიტელს შეახსენეს, რომ ასეთ რამეს კრძალავს ჟენევის კონვენცია. ამაზე ფელდმარშალს გული მოუვიდა და იყვირა, „მიმიფურთხებია მაგ კონვენციისთვისო“. გარდა ამისა, არმიის დაზვერვის უფროსმა, ადმირალმა კანარისმა 1941 წლის 15 სექტემბერს სპეციალური მოხსენებითი ბარათი გადასცა მას, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა სამხედრო, ტყვეების მიმართ დაშვებულ თვითნებობისა და უკანონობის მასიურ შემთხვევებზე და მოითხოვდა ასეთი ფაქტების აღკვეთას. „მსოფლიო როდესმე აიძულებს არმიას, რომლის თვალწინ ხდება ეს ამბები, პასუხი აგოს ამაზე“ — უთხრა კანარისმა კაიტელს. საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ ამის თაობაზე ჰკითხა ფელდმარშალს:

— თქვენ ეთანხმებოდით თუ არა იმ მოსაზრებებს, რაც წარმოდგენილი იყო კანარისის წერილში?

კაიტელმა უპასუხა, რომ მან ამ წერილის შინაარსი დაუყოვნებლივ აცნობა ჰიტლერს და სთხოვა ზომების მიღება.

— მე, საერთოდ, ვიზიარებდი კანარისის შეხედულებებს, —თქვა შემდეგ კაიტელმა.

— იზიარებდით? კეთილი. —მიუგო საბჭოთა ბრალმდებელმა და წინ დაუდო კანარისის წერილის დედანი, რომელსაც თვით კაიტელის ასეთი რეზოლუცია ადევს:

„ეს მოქმედებანი ეთანხმება ჯარისკაცის წარმოდგენას ომის რაინდული წარმოების შესახებ. აქ საქმე ეხება მთელი მსოფლმხედველობის მოსპობას, ამიტომ მე ვეთანხმები ამ ღონისძიებებს და ხელს ვაფარებ მათ. კაიტელი“. ხოლო აბზაცს, სადაც კანარისი წერს, რომ პოლიციის დამსჯელი ორგანოები მასიურად ხო-

ცავენ სამხედრო ტყვეებს, კაიტელის ხელით მიწერილი აქვს „მიზანშეწონილია“.

შემდეგ ასეთი მოკლე დიალოგი იმართება:

კაიტელი: დიახ, ეს მე დავწერე, როგორც გადაწყვეტილება, იმის შემდეგ, რაც მოვახსენე ფიურერს... ეს მე დავწერე...

რუდენკო: იქ არ წერია, რომ ფიურერმა თქვა ასე, იქ წერია, მე ვაფარებ ხელსო.

კაიტელი: მე ამას ვაღიარებ აქ, ფიცის ქვეშ, და ადრეც გავაკეთე მსგავსი განცხადება...

რუდენკო: ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით მე თქვენ გეკითხებით, ბრალდებულო კაიტელ, თქვენ, ვინც ფელდმარშლად იწოდებოდით და აქ, ამ ტრიბუნალის წინაშე თავი ჯარისკაცად მოგქონდათ, ამ სისხლიანი რეზოლუციით 1941 წლის სექტემბერში, დაადასტურეთ და სანქცია მიეცით თუ არა იმ უიარაღო ჯარისკაცების მკვლელობას, რომლებიც ტყვედ ჩაგივარდათ? ასეა, თუ არა?

კაიტელი: მე ხელი მოვაწერე ორივე ბრძანებას და პასუხს ვაგებ, როგორც თანამდებობის პირი. მე ვიღებ ჩემს თავზე ამ პასუხისმგებლობას...

... მერე ასეთი დოკუმენტების მთელი ნიაღვარი წამოვიდა. კაიტელს უჩვენეს მისივე ბრძანება იუგოსლავიის, როგორც სახელმწიფოს, მთლიანად მოსპობის შესახებ.

— ჰიტლერმა მიბრძანა და მეც ამის შემდეგ მოვაწერე ხელი. — თქვა მან. შემდეგ იმით „იმართლა“ თავი, რომ ასეთ რეზოლუციებს და ბრძანებებს „წუთიერი აღგზნების“ დროს ვწერდიო. ამან დარბაზში სიცილი გამოიწვია.

ამის შემდეგ გამოაქვეყნეს კაიტელის ბრძანებები ფრანგი მძევლების დახვრეტის შესახებ. როცა კითხულობდნენ მის დირექტივას, საფრანგეთში არმიის მოქმედების კოორდინაციის შესახებ ესესის ნაწილებთან და გესტაპოსთან, კალტენბრუნერს ეცინებოდა. აქედან როგორღაც არ გამომდინარეობდა, რომ „ყველაფერი იმ ესესელი ღორების საქმეა“. რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი საშინელი დოკუმენტი წაიკითხეს: ისევ კაიტელის ბრძანება, წინააღმდეგობის ფრონტის მებრძოლთა ოჯახის წევრების დახვრეტის შესახებ. მართალია, ეს წინადადება გერმანიის ნაცვალმა ნორვეგიაში, ტერბოვენმა წამოაყენა, მაგრამ მან სხვადასხვა დამსჯელი ღონისძიების ჩამოთვლის შემდეგ გამოთქვა აზრი, რომ მისი ფიქრით, უმჯობესია დახვრეტა. ამ ადგილას კაიტელმა მიაწერა: „დიახ, უმჯობესია. კაიტელი“.

შედეგი თავისთავად ცხადია...

... ყველა ასეთი დოკუმენტის ჩამოთვლა შეუძლებელია. არცაა საჭირო. კაიტელმაც შეწყვიტა ამის უარყოფა და აღიარა ყველაფერი. მე თვითონ დამეღუპა ომში შვილები და ასეთი ტრაგედია ჩემთვის გასაგებია, — თქვა მან. სხვა ბრალდებულები გესლიანად უყურებდნენ, როგორ ჩამოხსნეს ბრალმდებლებმა მათთვისაც არც თუ ისე საყვარელ ფელდმარშალს ისედაც გამჭვირვალე ნიღაბი... ერთი მხოლოდ გერინგი განაგრძობდა „ლოიალურ დამოკიდებულებას“ კაიტელთან. სხვებმა კი ისევ შეაქციეს ზურგი, როგორც თვითონ მან გააკეთა ეს 10 დეკემბერს კალტენბრუნერის მიმართ. იოდლიც კი, რომელიც ადრე სულ თვალებში შეჰყურებდა კაიტელს, გადაუდგა თავის ყოფილ შეფს.

პროცესის კულუარებში ასეთ ამბებსაც ყვებოდნენ. ადრე, როგორც წესი, საპატიმროს სასადილოში სამხედროები ერთ მაგიდასთან სხდებოდნენ — კაიტელი, იოდლი, დენიცი და რედერი; ამიტომ ამ მაგიდას ხუმრობით „სარდლობის მაგიდას“ უწოდებდნენ. იმ დღეს კი, როცა კაიტელი ამხილეს საშინელ დანაშაულობებში, „სარდლობის მაგიდას“ კაიტელის მეტი არავინ გაჰკარებია. იჯდა ფელდმარშალი და მარტოდ-მარტო სადილობდა. ამის გამო ექიმმა ჯილბერტმა ჰკითხა თურმე იოდლს, დღეს რატომ „სარდლობის მაგიდას“ არ მოუჯექითო.

— წაქცეულს არ სცემენ, — მიუგო ამაზე იოდლმა...

... კაიტელი საბოლოოდ განაიარაღა ამ ამბებმა. მისი საშინელი დანაშაული ყველასთვის აშკარა გახდა. მისთვისაც. ამიტომ დანაშაულის გამართლებიდან ახსნაზე გადავიდა. კანტიც ახსენა და ვითომ დაიმოწმა, ბრძანებისადმი უყოყმანო მორჩილება გერმანელი ხალხის ეროვნული თვისებააო.

— გერმანელისათვის მთავარია მოვალეობის შეგრძნება და ჩემი ტრაგედიაც სწორედ იმაშია, რომ უყოყმანოდ ვასრულებდი ყველა ბრძანებას, როგორც ადოლფ ჰიტლერის ერთგული მიმდევარი და მტკიცე ნაციონალ-სოციალისტი — თქვა მან.

კაიტელი ბოლომდე დარჩა ასეთი, რამაც კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მის ტრაგიკულ მდგომარეობას. პროცესზე მან განაცხადა:

— სულის სიღრმეში მე ყოველთვის ადოლფ ჰიტლერის ერთგული მიმდევარი ვიყავი და ჩემი პოლიტიკური შეხედულებებიც ნაციონალ-სოციალისტური იყო... მას შემდეგ, რაც მან ნდობა გამომიცხადა, და პირადმა კონტაქტმა, რაც მე მასთან მქონდა, ხელი შემიწყო გავმხდარიყავი ნაციონალ-სოციალისტი. მე დღემდე ვრჩები ადოლფ ჰიტლერის ერთგულ მიმდევრად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიზიარებ პარტიის პროგრამისა და პოლიტიკის ყველა პუნქტს.

იგი არ ირჩევს მომნანიებლის პოზას. პირიქით, როცა მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა და უკვე იცოდა, რაც მოელოდა, ისევ დაადასტურა თავისი ერთგულება ჰიტლერისა და პარტიისადმი. საბოლოო სიტყვაში გაიხსენა კიდეც დამცველის მიერ მიცემული კითხვა:

— გამარჯვების შემთხვევაში იტყოდით თუ არა უარს მონაწილეობა მიგეღოთ დაფნის გვირგვინების განაწილებაში?

— — არა, — უპასუხა ამაზე კაიტელმა — მე მხოლოდ ვიამაყებდი ამით...

...საამაყო კი არაფერი ჰქონდა. ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტზე ჩადენილ დანაშაულობას აღიარებდა, როგორც ჩანს, მაინცა და მაინც სინიდისის ქენჯნას არ განიცდიდა, რადგან ეს მართლაც იდეოლოგიურ ბრძოლად მიაჩნდა და არა ჩვეულებრივი ომის წარმოებად. შეიძლება აქ ყველაფერს ისე არ აკეთებდა, რომ კანონისა და ღირსების წინაშე ამის გამართლება შეიძლებოდეს, მაგრამ თავისი სისასტიკით ვილაცების გულს მაინც იგებდა. ფელდმარშალ ბოკს უთქვამს: „ცუდი ის კი არ არის, რასაც ვაკეთებთ, არამედ — როგორ ვაკეთებთო“. მიზანი არც კაიტელს ეეჭვებოდა, საშუალებას კი არავითარს არ ერიდებოდა, რადგან ჰიტლერისაგან სულ ის ესმოდა, გამარჯვებულს კითხვას არ უსვამენ, მართალი იყო ის, თუ არაო. ახლა კი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღმოსავლეთში ჩადენილი ბოროტებით დასავლეთიც გაალიზიანა. დაიბნა კიდეც ფორმულირებებში. ვერ გაარკვია, კარგ საქმეს ემსახურებოდა ცუდად, თუ ცუდ საქმეს კარგად. თუმცა არც ერთი ამართლებდა და არც მეორე. გარდა ამისა, ამერიკელებმა, ინგლისელებმა, და შემდეგ ფრანგებმაც, თავის მხრივ, ახალი, მძიმე ბრალდება წაუყენეს: მოკავშირეთა მფრინავების დახვრეტა და ფრანგი გენერლების — ვაიგანისა და ჟიროს მოკვლის ცდა. გერინგმაც აქ, როგორც იტყვიან, მგლის ყური გამოიბა, ვითომ ეს მე არ მეხებაო, მაგრამ თვითონ ხომ იცოდა, მასაც რომ ედო წილი ამ ჭუჭყიან საქმეში. კაიტელმა კი თავი ვერაფრით იმართლა, ვერც „ბრძანებით ზევიდან“, ვერც „ომის პერიოდის პირობებით“, ვერაფრით. მერე ისე დაიბნა, რომ საღამოთი ექიმ ჯილბერტს უთხრა:

— ჟიროს საქმე! ცხადია, მე ვიცოდი, რომ ეს როდისმე ამოტივტივდებოდა, მაგრამ რა შემიძლია ამაზე ვთქვა? მე არ მეეჭვებოდა, ექიმო, რომ ეს საქმე თქვენშიც, როგორც კეთილშობილ ადამიანსა და ოფიცერში, გამოიწვევდა დიდ დაეჭვებას. დიახ, ეს საქმე ძლიერ ვნებს ჩემს ღირსებას... მაგრამ არც ვიცი, როგორ გავები ამ საქმეში!

...ამის შემდეგ გერინგმაც ზურგი შეაქცია კაიტელს და მასთან ლაპარაკს ისევე ერიდებოდა, როგორც კალტენბრუნერთან, რომელიც ნათვალევ ნადირივით უყურებდა თავის კოლეგებს.

კაიტელის სულიც უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე სხეული. როცა მის მიერ ჩადენილ ბოროტებათა საშინელი სურათი გადაიშალა ტრიბუნალის წინაშე და „ღირსეული ოფიცრის“ ნიღაბიც ჩამოეხსნა, ის მიხვდა, რომ აქ ტაბიკების მტვრევა არ გამოადგებოდა და თავის დამცველს უთხრა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე გაგიგებთ, თუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩემს შესახებ მოისმინეთ, უარს იტყვით ასეთი შერცხვენილი ადამიანის დაცვაზე. მე მრცხვენია თქვენი...

კაიტელს უკვე აღარ შეეძლო თვალი გაესწორებინა ვინმესთვის. მაშინაც კი, როცა სიკვდილმისჯილს უთხრეს, შეგიძლიათ ცოლს შეხვდეთო, მან უარი სთქვა; „არა, მე ვერ წარვდგები მის წინაშე“.

ციხეში, სადაც ის იჯდა, საღამოობით რატომღაც ორლანოს უკრავდნენ... მაგრამ არა „სიკვდილის ტანგოს“, არამედ ძილისპირულს.

კაიტელის უკანასკნელი თხოვნა იყო:

გადაეცით, რომ ძილისპირულს ნუღარ დაუკრავენ, ეს ჩემში ცუდ მოგონებებს იწვევსო. კაიტელის ეს უკანასკნელი თხოვნა შესრულებული იქნა. ორლანო არც მაშინ უკრავდა, როცა ის თავის უკანასკნელ ნაბიჯებს ადგამდა ამ ქვეყნად...

(გაგრძელება იქნება),

## წიგნის თაროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინსვლის გზაზე

„ნაკადულმა“ ახლახან გამოსცა ჭაბუა ამირეჯიბის ნოველების კრებული „ძია შოთას ბადია“. ავტორის ეს წიგნი წინ გადადგმული ნაბიჯია მის პირველ წიგნთან („გზა“ 1962 წ.) შედარებით. ავტორი მხატვრულად გაზრდილა, დასტატებულა, გემოვნება დახვეწია. იმ გაზვიადებულ და ჰიპერტროფირებულ განცდებსა და სიუჟეტებს, რომელთაც პირველ წიგნში ვხვდებოდით, ახლა ცვლის ზომიერი ადამიანური გრძნობები, სინამდვილის უტყუარი სურათები.

ავტორი გრძნობს, რომ საკუთარი თავგადასავალი მადლიან მასალას იძლევა მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედებისათვის.

ამირეჯიბის ამ კრებულს თავისი კომპოზიციური სტრუქტურა აქვს. ეს სტრუქტურა მარტივია, მაგრამ თავისებურად ეფექტური. საქმე ისაა, რომ კრებულის ყოველ მოთხრობას ერთი ან ორი (თუ მეტი არა) საერთო გმირი ჰყავს. ხოლო მთავარ პერსონაჟს, ჯერ ისევ ყმაწვილკაცს — აჩიკო ბაკურაძეს, ყოველ ნოველაში წამყვანი მოქმედი პირის როლი აქვს დაკისრებული. ასეთ ლიტერატურულ კონტექსტში მთავარი გმირის მოქცევა ხელს უწყობს მკითხველის დაინტერესებას მისი ბედით. ეს დაინტერესება ხდება არა მექანიკური გზით, არამედ ავტორის მხატვრული ხერხებით. მკითხველი რწმუნდება, რომ მიუხედავად თავგადასავალთა ნაირფეროვნებისა, ახალგაზრდა გმირი ინარჩუნებს მთლიანობას, ხასიათის ერთიანობას, ინდივიდუალობის მკვეთრ ნიშნებს. მკითხველი ყოველ ახალ ნოველაში სცნობს მთავარ პერსონაჟს და ერთგვარად აზუსტებს თავის საკუთარ შეხედულებებს მისი ადამიანური რაობის შესახებ.

ჭ. ამირეჯიბის მიერ შექმნილი აჩიკო ბაკურაძის მხატვრული სახე უდავოდ ამდიდრებს ქალაქელი ყმაწვილკაცების სახეთა გალერეას, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდა ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს. ამ მხრივ, ერთგვარი ლიტერატურული გაწონასწორებაც კი მოხდა. თუკი ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ წულეისკირის და სხვათა მოთხრობების ახალგაზრდა პერსონაჟები რესპუბლიკის პერიფერიებიდან არის, გურამ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძის, ერლომ ახვლედიანის, დავით ჯავახიშვილის და სხვათა ნოველებში. ახალგაზრდები ქალაქის მკვიდრნი არიან. ჭაბუა ამირეჯიბის მთავარი პერსონაჟიც მთელი არსებით ქალაქელი ბიჭია, იმ კოლორიტით შეფერილი, რომელიც 30-იანი წლების თბილისის უბნებს ახასიათებდა. ავტორის ამოცანაა გვიჩვენოს, რომ ოჯახთან და სკოლასთან ერთად, ნორჩ თაობას ზრდიდა და აყალიბებდა ქალაქის ატმოსფეროც, მისი ავ-კარგი.

მაგრამ ზოჯერ ავტორს ღალატობს კომპოზიციის გრძნობა, ავიწყდება, რომ ნაწარმოების კომპოზიცია ისეთსავე ყურადღებიან დამოკიდებულებას მოითხოვს მწერლისგან, როგორც მოთხრობის ყველა სხვა კომპონენტი. სამაგალითოდ ავიღოთ ნოველა „მესამე თვალი“. იგი კომპოზიციურად ისეა აგებული, რომ გამაერთიანებელ ღერძად აქვს აჩიკოს მიერ სანატრელი ჩუსტების დაკარგვა-ძიება თავისი პერიპეტიებით. მოთხრობის ყოველი ცალკეული ამბავი და თავგადასავალი ურთიერთთან ხელოვნურად არის გადაბმული და შემთხვევით დაკავშირებული. ავტორმა ვერ მოახერხა მათი მხატვრული მონტირება, ამიტომ ისინი უსულგულოდ შეკოწიწებული, ერთმანეთთან მექანიკურად გადაჯაჭვული გამოვიდნენ. „მესამე თვალში“ მდიდარი ემპირიული მასალაა თავმოყრილი. ეტყობა, ავტორმა განიზრახა სწორედ მასალის (ხშირად „ნედლი მასალის“) სიუხვით გასულიყო ფონს. ამ მასალიდან ორი-სამი ეპიზოდის ოსტატურად გაშლა თითო-თითო ნოველას მოგვცემდა, მაგრამ მათ შემოქმედებითი განზოგადება და მხატვრული ხარისხი აკლიათ. მხატვრული ტევადობის პრობლემა ავტორმა გადაჭრა არა მოვლენათა სიღრმის გახსნით, არამედ სიბრტყეში მოვლენათა განლაგებით და

ჭაბუა ამირეჯიბი, „ძია შოთას ბადია“. გამ.-ბა „ნაკადული“, 1965 წ.

დაგროვებით. მწერალი ზოგჯერ (ხსენებულ მოთხრობაში განსაკუთრებით) ადგას თხრობის არა ინტენსიურ, არამედ ექსტენსიურ პრინციპს. ეს საკმაოდ უგერგილო გზაა მწერლობაში და ავტორმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს აქედან.

რა ეპიზოდს არ ვხვდებით მოთხრობაში „მესამე თვალი". ყოფის კარგი ცოდნით არის დახატული ოჯახური სცენები, ქეთინოს გამზითვება, ფიდოს კარ-მიდამოს „დალაშქვრა", ეროთი ჩემბერლენის ფიგურის ცემა, ბერიკაცის მიერ სურათებიანი ყუთის ჩვენების მახვილგონიერი სცენა, ფეხსაცმლის მაღაზიაში სპეკულანტის შეპყრობა, მხატვარ გუჯას გაცნობა, ჩუსტების ყიდვის, მართლაცდა, დასამახსოვრებელი სურათი, სადგურის მოედანზე „შაბათობისთვის" შეკრებილი ხალხის გამგზავრების ფერადოვანი ეპიზოდი, ქუჩური ჩხუბი, გუჯასთან სტუმრობა და მხატვრობაზე კამათი, ვერის ძველ სასაფლაოზე მესაფლავესთან ფილოსოფოსობა და სხვა. მასალის ეს სიმრავლე ტვირთავს მოთხრობას, უფრო მეტი — ამბების ამგვარი დახვავება შეუფერებელია ამ ჟანრისთვის, ხოლო მისი კონცეფცია — მესამე თვალის დოქტრინა, საკმაოდ გაუბედავი და უფერულია. ვიმეორებთ, ამ მდიდარი მასალის უფრო მეტი შემოქმედებითი დამუშავებით ავტორს შეეძლო ბევრად უფრო საინტერესო ნაწარმოების შექმნა.

ნაკლი, რომელზეც ახლა გვსურს ვისაუბროთ, დამახასიათებელია ჰ. ამირეჯიბის მხატვრული სტილის, გემოვნებისა და ხელწერისათვის. ავტორისათვის ნიშნეულია თხრობის პათეტიკური ტონი, თხრობის ერთგვარი აფექტაცია. ეს თვისება ჩანს თითქმის მის ყოველ მოთხრობაში. გარდა ამისა, ავტორი ფრაზის ემოციური ტონით ზოგჯერ „ეკეკლუცება" მკითხველს და ამიტომ ოდნავ მანერულიც ჩანს. მწერალს მეტი სერიოზულობით მართებს იფიქროს თავისი წერის მანერის დახვეწასა და სრულყოფაზე. მწერლის მანერულობა ჩანს ემოციური იერის მქონე ასეთ ფრაზებში: „ქეთინომ მას გველაშაპის ხახა დაარქვა. მე გველაშაპის ხახას არ ვეძახდი. არაფერს არ ვეძახდი" (გვ. 19); „აი, ახლა გამოირკვა, რომ მე გავაკეთე და გავიფიქრე, მაგრამ არაფერი გამოირკვა" (გვ. 17); „სამ დღეს არ გვეყო, ორ დღეს გვეყო" (გვ. 4); „მე ხელს ვუქნევდი ლევანს და ვიცოდი, რომ ცუდი ბიჭი ვიყავი, ძალიან ცუდი" (გვ. 147), ან კიდევ მოთხრობა „ველოსიპედის" ბოლო ფრაზა (მოთხრობაში მთავარი გმირი ველოსიპედის საყიდლად შეგროვილ ფულს დას აძლევს, რის შემდეგ ოჯახის თითქმის ყოველი წევრი სათითაოდ ჰპირდება მას, გიყიდი ნანატრ ველოსიპედს) „მე არავინ არ მიყიდა ველოსიპედი" (გვ. 93). ყველა მოტანილი ფრაზა ემოციურობით გამოირჩევა, მაგრამ ამ ემოციურობასაც აქვს თავისი იერი, თავისებურება, ჩვენი აზრით, ამ ფრაზების ტონი მოითხოვდა მეტ ზომიერებას, თავდაჭერას და სისადავეს. „გაბუტული" ბავშვის ფიქრთა წყება თუ განწყობილება მოთხრობაში „ველოსიპედი" ამ ერთი საბოლოო ფრაზით კი არ უნდა გამოკვეთილიყო, არამედ უფრო ფაქიზი ფსიქოლოგიური შტრიხებით, სულიერი მდგომარეობის მეტი გაშლით და ნიუანსირებით. ანდა მოთხრობაში „მუციუს სცევოლა" (რომელიც თავდება სიტყვებით: „...ვიცოდი, რომ ცუდი ბიჭი ვიყავი, ძალიან ცუდი") არ იყო აცილებელი ბავშვური შეცბუნება ბავშვის ენით გადმოცემულიყო. ავტორი უნდა „დახმარებოდა" თავის ნორჩ გმირს, რათა ფსიქოლოგიური სიტუაცია უფრო მტკივნეული, უფრო მნიშვნელოვანი და ამდენად უფრო ჩამწვდომი ფორმით ყოფილიყო გამოთქმული. ეს არის ავტორის უფლებაც და მხატვრული აუცილებლობაც, რომელიც ლიტერატურისაგან ამგვარ „პირობითობას" მოითხოვს.

ზედმეტობად ჩანს ცალკე აბზაცებად გამოყოფილი ამგვარი შეძახილებიც: „კარგი იყო!" (გვ. 101), ან „უეჭველად იქნება!..." (გვ. 149). საერთოდ, აფექტური თხრობის მანერა, რაგინდ ემოციურად ძლიერი არ უნდა იყოს, ვნებს მხატვრულ ზომიერებას, სისადავეს. ეს „წაქეზება — შეძახილები" საერთო მხატვრული ქსოვილიდან ამოვარდნილია და შინაარსობრივად მასთან დაუკავშირებელი. ამგვარადვე გროტესკული და ჰიპერტროფირებული ჩანს ნავთქურაში ბავშვის ხელის ჩაყოფის სცენა. ყველაფერი შეიძლება აიწეროს მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მას („ყველაფერს"...) გამოენახოს მხატვრული სიზუსტით და ზომიერებით მოძებნილი ფორმა.

მომავალში ავტორს მოუხდება მეტი მუშაობა ფსიქოლოგიური ნახატის ზუსტი შესრულებისა და გმირთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივაციისათვის. თუკი ფსიქოლოგიური სიტუაცია, გმირის სულიერი მოძრაობა ეჭვს ბადებს მკითხველში, მხატვრული ნაწარმოების ღირებულებაც ეჭვის ქვეშ დგება.

ძალზე სასიამოვნოდ იკითხება მოთხრობა „ძია შოთას ბადია". მაგრამ ნუ თუ დასაჯერებელია, რომ დედ-მამას უსადილო აჩიკო ასე უყურადღებოდ და მშიერი დაეტოვებინოს? ავტორის მგრძნობელობა აქაც უტრირებულია. თუკი მთავარ პერსონაჟს, პატარა აჩიკოს (როგორც ის ვარაუდობს) დედა ერბო-კვერცხს დაუმზადებდა, იქნებ, ამით ამბის ემოციური შინაარსი უფრო მოიგებდა?.. ყოველ შემთხვევაში, მკითხველს ნაკლებად სჯერა მოქმედების განვითარების ამგვარად გადაწყვეტა, ასე „მოქნეულად", სწორხაზოვნად გადაჭრა.

ასევე ნაკლებად დამაჯერებელია ლევანისა და აჩიკოს დამშვიდობების სცენა მოთხრობაში „მუციუს სცევოლა“. ჯერ ერთი, ფსიქოლოგიური მოტივაცია და დაზუსტება აკლია იმ ეპიზოდს, სადაც აჩიკო დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ იპოვის კბილების პროტეზს და პოვნისთანავე უჩვენებს ყველა იქ მყოფთ. შეიძლებოდა, თუ არა აჩიკო იმ ზომამდე მისულიყო, რომ ასეთი ცივი „გამცემლობა“ ჩაედინა? არის თუ არა ამ მოთხრობაში ეს მოულოდნელი, ფსიქოლოგიურად რთული აქტი საკმარისად მოტივირებული? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიური სიმართლე აქ დარღვეულია, დასაბუთება ძალზე სუსტია; აჩიკოს მოქმედება თითქმის გაუგებარია. ის გონებაჩლუნგი ბავშვივით იქცევა.

მეორე. ბუნებრივია თუ რა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც აჩიკომ ლევანის პროტეზი მის შეყვარებულსა და მეგობრებს უჩვენა, ლევანისა და აჩიკოს ტკბილად გამომშვიდობება? არაა ბუნებრივი, — ეს რთული სიტუაცია ხელოვნურად და ყალბად გამოიყურება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ორივე ზემოდასახელებული სიტუაცია შეიძლებოდა დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ ორივე გმირის სულის მოძრაობა, სულიერი ჭიდილი, მათი დროებითი გამარჯვება, და დროებითი ზნეობრივი მარცხი, ავტორს უფრო მეტი სიზუსტით, სიმკაცრით და რთული გზით ეჩვენებია, ავტორმა კი სწორხაზოვნად გახსნა ორთავეს სულიერი დრამა.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მოთხრობა „ჩემი მეჯლანე ბიძა“, რომელიც საკმაოდ მარტივ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული, მაგრამ მას მხატვრულ ღირსებას ანიჭებს ის გარემოება, რომ გმირთა ყოველი ქცევა ფსიქოლოგიურად გამართული და გამდიდრებულია. ავტორმა შესძლო საყოველთაოდ ცნობილ სასკოლო ცხოვრების ინციდენტში შეეტანა ღრმა ადამიანური განცდა და ამგვარად ეს სიუჟეტი ტევად ლიტერატურულ ფაქტად ექცია. ავტორმა მიაკვლია თავისთავად უმნიშვნელო, თავისთავად სათაკილო შტრიხს ყმაწვილი კაცის სასწავლო ცხოვრებაში და სწორედ აქედან შექმნა ჭეშმარიტი ჰუმანურობით აღბეჭდილი, აზრით სავსე მხატვრული ნაწარმოები.

მწერლის ინტერესის შუაგულში სომეხი მეჯლანის საკმაოდ კოლორიტული ფიგურაა. რა მოვალეობა აკისრია მას მოთხრობაში? მხოლოდ ის, რომ სკოლაში დაბარებული მშობლის ნაცვლად ტექნიკუმში წაჰყვეს აჩიკოს და თავი მის (არჩილ ბაკურაძის) ბიძად გაასაღოს. არის ამ ფაქტში რაიმე სათაკილო? — არაფერი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აჩიკოს მშობლები რეპრესირებული არიან და სასწავლებელში გამოძახებული მშობლის შემცვლელის ერთადერთ — შესაფერ კანდიდატს ახლა ქეთილი მეჯლანე წარმოადგენს. მეჯლანე თავდაპირველად ზერელედ უყურებს თავის ამ მოვალეობას, შემდეგ მექანიკურად ეხმაურება მასწავლებელ ლუკაშვილის საჩივრებს და პრეტენზიებს, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც მეჯლანე იწყებს ყოველივე ნახულიდან და მოსმენილიდან რაღაც დასკვნების გამოტანას, მას აღარ სურს უბრალო ცრუ-ბიძის როლის თამაში. სერიოზულ ადამიანთან — ლუკაშვილთან საუბრის შემდეგ, სურს ნამდვილი, გაუყალბებელი ადგილი ეჭიროს საზოგადოებაში, სურს ცრუ მოვალეობა მოვალეობის ნამდვილი გრძნობით შესცვალოს. მეჯლანე გრძნობის ამყოლი ადამიანია. ამ შემთხვევაში მას სოციალური გრძნობა უღვივდება (შეიძლება, პირველად თავის სიცოცხლეში). თუკი ის ოჯახის მამაა, იგი მოვალეა თავის თავს, თავის შვილს და საკუთარ ოჯახს მოუაროს იმითაც, რომ დაიცვას სხვა ოჯახიც და მისი უკანასკნელი, გზას აცდენილი ნაშიერი. ის როლში შედის, როგორც მამა და ზუსტად ისევე უსწორდება აჩიკოს, როგორც მსგავს შემთხვევაში ყოველი მამა საკუთარ დამნაშავე შვილს გაუსწორდებოდა. მეჯლანე მორალური ადამიანი აღმოჩნდა. იგი იმ ღამეს ვერ დაიძინებდა, თუ ამგვარ პრეცენდენტს გულგრილად გვერდს აუვლიდა. აჩიკოს დატუქსვით და გალახვით მან ზნეობრივი დაკმაყოფილება ჰპოვა, აჩიკოს კი მშობლიური გრძნობა გაუღვიძა. მეჯლანე ცხოვრებაში, ალბათ, პირველად გრძნობს, რომ ოჯახის მამობა — სოციალური მოვლენაა, ურომლისოდაც ოჯახიც და საზოგადოებაც საფუძველმოშლილია. ეს გონებაშეზღუდული მეჯლანე, ნამდვილი სიკეთით და ზნეობრივი სისპეტაკით დაჯილდოვებული, გაუცნობიერებლად საზოგადო მოღვაწის როლს ასრულებს.

ასეთივე ჰუმანური ადამიანია ლუკაშვილიც, აჩიკოს მასწავლებელი ტექნიკუმში. მკითხველს სჯერა, რომ ლუკაშვილი არ მოტყუვდა, როცა აჩიკოს მკვიდრ ბიძად მეჯლანე მიიჩნია. ის თავს „იტყუებს“ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეს ილუზორული ვითარება არჩილის სასიკეთოდ წარიმართოს. მოთხრობა „ჩემი მეჯლანე ბიძა“, კაცთმოყვარული იდეით და მიზანსწრაფვით აღბეჭდილი ნაწარმოები, ჭ. ამირეჯიბის ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

**გურამ კანკავა**

# თავისუფლებისა და აუცილებლობის ფილოსოფიური პრობლემისათვის

თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობის პრობლემა ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთ უძველესსა და ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის გამოკვლევა დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან მოცემულია ო. ბაკურაძის მონოგრაფიაში „თავისუფლება და აუცილებლობა".

ნაშრომის შესავალში ავტორი აყალიბებს თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემას, აჩვენებს მის აქტუალობასა და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. ავტორი მიუთითებს, რომ აღნიშნული პრობლემის გარშემო ჯერ კიდევ ძველად ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული ფილოსოფიური მიმართულება — დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი. დეტერმინიზმი მიზეზობრიობის კანონს ემყარება და ადამიანის ქცევის მიზეზობრივ განპირობებულობას ამტკიცებს, ხოლო ინდეტერმინიზმი, პირიქით, უარყოფს ადამიანის ქცევის მიზეზობრივ დეტერმინაციას, უარყოფს აუცილებლობას. ინდეტერმინიზმი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იდეალისტური გადაწყვეტიდან ამოდის: კერძოდ იგი უარყოფს იმას, რომ ფსიქიკა არის თავის ტვინის ფუნქცია. ამის საფუძველზე იგი ნებელობის თვითაქტივობას, გარეგანი მიზეზებისგან დამოუკიდებლობას ამტკიცებს. წიგნში დაწვრილებით გარჩეულია დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ძირითადი დებულებანი და ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ო. ბაკურაძის მონოგრაფიის პირველი თავი მიძღვნილია მოქმედების თავისუფლების პრობლემის გამოკვლევისადმი. ამ პრობლემის ვრცელი, საქმის ცოდნით ჩატარებული ანალიზის შედეგად ავტორი უარყოფს თავისუფლებისა და აუცილებლობის აბსტრაქტულ დაპირისპირებას. იგი ამტკიცებს, რომ თავისუფლების ცნება არ არის კონტრაკაუზალური ცნება; იგი არ გამორიცხავს მიზეზობრივ განპირობებულობას. პირიქით, თავისუფლება უნდა გავიგოთ სპეციფიკური კაუზალური დეტერმინაციის ტერმინებში.

ავტორი თავისი ნაშრომის მეორე თავში განიხილავს სპინოზას, ჰეგელისა და გერცენის თეორიებს, რომლებშიც მოცემულია თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის შინაგანი კავშირის გამონახვის ყველაზე უფრო სერიოზული ცდები მთელ მარქსამდელ ფილოსოფიაში. მიუხედავად ამისა, ამტკიცებს ავტორი, თავისუფლებისა და აუცილებლობის მეტაფიზიკური დაპირისპირების სრული დაძლევა პირველად დიალექტიკურ მატერიალიზმში მოხდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის მესამე თავი, რომელშიც განხილულია ნებელობის თავისუფლების საკითხი. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ნებელობის თავისუფლება თავისუფლების ერთ-ერთი ფორმაა და არა ერთადერთი. თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის დაყვანა ნებელობის თავისუფლების პრობლემაზე შეუძლებელია (გვ. 15). მიუხედავად ამისა უდავოა, რომ ნებელობის თავისუფლების საკითხი თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. ნებელობის თავისუფლების პრობლემის კვლევის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ამ პრობლემის ფუნდამენტური მნიშვნელობა ადამიანის ქცევის ბუნების გასაგებად; კიდევ მეტიც, მთელი რიგი მეცნიერებების (პედაგოგიკის, იურისპრუდენციის და ა. შ.) შესაძლებლობის საკითხი არა ერთხელ ყოფილა ეჭვის ქვეშ დასმული ნებელობის თავისუფლების პრობლემის ყალბი გადაწყვეტის საფუძველზე. თუ ადამიანის ნებელობა თავისუფალია, ე. ი. თუ მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი ის, რაც მას სურს, ეს სურვილი მთლიანად მასზევეა დამოკიდებული და მას შეუძლია მოიქცეს არა მარტო ასე, არამედ **სხვაგვარადაც**, მაშინ ადამიანის ქცევა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, იგი არაფრით არ არის დეტერმინირებული და, მაშასადამე, ასეთი ადამიანის აღზრდა, მასზე აღზრდის მიზნით გარეგანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლებელია. მეორე მხრივ, თუ ადამიანის ნებელობა მტკიცედ დეტერმინირებულია, განსაზღვრულია გარეგანი მიზეზებით, თუ მისი ქცევა ფატალურ აუცილებლობას ექვემდებარება, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნება ადამიანის აღზრდა ან დამნაშავის დასჯა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ნებელობის მკაცრი დეტერმინაციის შემთხვევაში აღმზრდელი ვერ მოახერხებს აღსაზრდელის ქცევის სასურველი მიმართულებით წარმართვას, მასში კეთილშობილი ჩვევების გამომუშავებას, რადგან დეტერმინირებული ნებელობა არავითარ სხვა ზემოქმედებას არ ექვემდებარება, გარდა იმ მიზეზების ზემოქმედებისა, რომლებიც მას განსაზღვრავს და დეტერმინირებულს ხდის. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში უკანონო და უშედეგო იქნება დამნაშავის დასჯაც. რატომ უნდა დაისაჯოს დამნაშავე მის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის, თუ მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, ე. ი. თუ მისი მოქმედება მტკიცედ განსაზღვრული და დეტერმინირული იყო? ამრიგად, ნებელობის როგორც ცალმხრივი თავისუფლების, ისე ცალმხრივი

---

**ო. ბაკურაძე, „თავისუფლება და აუცილებლობა", „მეცნიერება", 1964.**

აუცილებლობის აღიარებას მივყავართ აღზრდისა და სასჯელის სისტემის უარყოფამდე, ე. ი. პედაგოგიკის, იურისპრუდენციისა და ეთიკის გაუქმებამდე. ასეთ გამოუვალ წინააღმდეგობაში ექცეოდა როგორც ინდეტერმინიზმი, ისე (მექანისტური) დეტერმინიზმი, რომელთა მრავალსაუკუნოვანი დავა მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე დამთავრდა.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა სრულიად ახალი სიტყვა თქვა ნებელობის თავისუფლების პრობლემის ისტორიაში: ნებელობა არც მხოლოდ თავისუფალია და არც მხოლოდ აუცილებელი, არამედ იგი ერთსა და იმავე დროს თავისუფალიც არის და აუცილებელიც. ნებელობა, როგორც ფსიქიკის ერთ-ერთი ელემენტი, ფსიქიკისა, რომელიც მატერიალური ორგანოს (თავის ტვინის) ფუნქციას წარმოადგენს, დეტერმინირებულია, უწინარეს ყოვლისა, გარეგანი მიზეზებით. ნებისმიერი ქცევა დეტერმინირებული ქცევაა, ანუ, როგორც დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. მ. სეჩენოვი ამბობდა, „ყოველგვარი ადამიანური ქცევის პირველი მიზეზი მის გარეთ იმყოფება“. მაგრამ ადამიანის ნებელობა მხოლოდ დეტერმინირებული როდია; იგი გარკვეული აზრით თავისუფალიცაა. არათავისუფალი ნებელობა არის Contradîctio in adgecto. აუცილებლობა არ გამორიცხავს თავისუფლებას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას. ასე იქნა დაძლეული იდეალისტური ინდეტერმინიზმი და მექანისტური დეტერმინიზმი, რომლებიც თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთმანეთისაგან მეტაფიზიკურ მოწყვეტას ემყარებოდა. მარქსისტული დეტერმინიზმი სრულიად ახალ, ერთადერთ მეცნიერულ დეტერმინისტულ კონცეპციას წარმოადგენს ნებელობის თავისუფლების შესახებ.

დიალექტიკური მატერიალიზმის ეს დეტერმინისტური კონცეპცია ფართოდ განხილული და დასაბუთებულია ო. ბაკურაძის ნაშრომში. თავისუფლება, ამტკიცებს ავტორი, არ არის აუცილებლობისა და მიზეზობრიობის საწინააღმდეგო ცნება. „თავისუფლება უნდა გაგებულ იქნას სპეციფიკური დეტერმინაციის ტერმინებში“ (გვ. 394).

მდიდარი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგად ავტორი საინტერესო დასკვნებს აკეთებს ნებელობის თავისუფლების პრობლემასთან დაკავშირებულ მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებაც. იგი უარყოფს, ერთი მხრივ, ფსიქიკური ენერგიის არსებობას, ხოლო, მეორე მხრივ, ფსიქიკურ მიზეზობრიობას. მიზეზობრიობა, ამტკიცებს ავტორი, ძალის არსებობას გულისხმობს: ძალა კი, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ნივთიერებისაგან მოუწყვეტელია. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ არსებობს ფსიქიკური მიზეზობრიობა, მაშინ ფსიქიკა ნივთობრივი სინამდვილე იქნება, რაც შეცდომაა. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, ფსიქიკური მიზეზობრიობის აღიარებას თვითონ ფსიქიკის უარყოფამდე მივყავართ.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია პრაქტიკის როლი თავისუფლების განხორციელებაში; კერძოდ, ნაჩვენებია, რომ პრაქტიკა არის თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთიანობის საფუძველი.

მეხუთე თავში განხილულია თავისუფლებისა და ისტორიული აუცილებლობის ურთიერთობის საკითხი.

ხოლო ნაშრომის უკანასკნელი — მეექვსე თავი მიძღვნილია მორალური თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხისადმი. ამ შემთხვევაში ავტორი თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემას ეთიკის ასპექტით განიხილავს და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. მთელი რიგი იდეალისტი მოაზროვნეებისა ძველი დროიდან დღემდე ამტკიცებდნენ, რომ დეტერმინიზმი შეუთავსებადია მორალთან, ზნეობრივ პასუხისმგებლობასთან; იგი აუქმებს არა მხოლოდ პედაგოგიკასა და იურისპრუდენციას, არამედ ეთიკასაც, როგორც მეცნიერებას მორალის შესახებ. ქცევა, ამტკიცებდნენ ისინი, არ შეიძლება იყოს მორალური, თუ ის გარეგანი აუცილებლობის შედეგია; იმ ადამიანის ქცევა, რომელმაც ბავშვი წყალში დახრჩობას გადაარჩინა, არ არის მორალური ქცევა, თუ ამ ადამიანს არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მორალური ქცევა, ინდეტერმინისტების აზრით, მხოლოდ ნებელობის თავისუფლების დაშვების საფუძველზე შეიძლება. ეს კონცეპცია, ამტკიცებს ავტორი, ისევ თავისუფლებისა და აუცილებლობის ცალმხრივ გაგებას, მათ ერთმანეთისაგან მოწყვეტას ემყარება. მორალური ქცევა არ არის მხოლოდ თავისუფალი ან მხოლოდ აუცილებელი ქცევა, არამედ იგი ერთსა და იმავე დროს თავისუფალიც არის და აუცილებელიც. ნებელობის თავისუფლება მორალის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ნებელობის სრული თავისუფლება, რომელიც თავის თავიდან აუცილებლობას მთლიანად გამორიცხავს, იმავე დროს მორალის არსებობას შეუძლებელს ხდის. მორალურ სფეროში, ამტკიცებს ავტორი, საქმე გვაქვს აუცილებლობის თავისებურ ფორმასთან. იდეალიზმი ღრმა შეცდომას უშვებს, როდესაც დეტერმინიზმისა და მორალის შეუთავსებლობას ამტკიცებს. პირიქით, მორალური ქცევა, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა სუბიექტური იდეალისტის მიხაილოვსკის წინააღმდეგ, მხოლოდ დეტერმინიზმის საფუძველზეა შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით წიგნში გამოთქმულია მრავალი საინტერესო მოსაზრება მორალური მსჯელობების ბუნების შესახებ, გაკრიტიკებულია კანტის ეთი-

კური კონცეპცია, გარჩეულია მორალური აუცილებლობის ბუნება, მორალური ქცევის მოტივის პრობლემა, მორალური თავისუფლების შინაარსი და სხვა საკითხები.

ნაშრომის დასასრულს მოცემულია მოკლე დასკვნები, რომელშიც შეჯამებულია ავტორის მიერ ჩატარებული პრობლემის კვლევის შედეგები.

თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებულ თეორიულსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს დიალექტიკური მატერიალიზმის ისეთი აქტუალური პრობლემების დამუშავება, როგორიცაა თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობის პრობლემა. ო. ბაკურაძის მონოგრაფია სწორედ ასეთი აქტუალური პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გაშუქებისადმია მიძღვნილი. ავტორი მაღალ მეცნიერულ დონეზე და არსებული (როგორც საბჭოთა, ისე უცხოური) ლიტერატურის ღრმა ცოდნისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განიხილავს აღნიშნული პრობლემის ყველა ძირითად ასპექტს.

ო. ბაკურაძის მონოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად დადებით მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი დაწერილია მდიდარი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მასალის ლოგიკური დამუშავების საფუძველზე. ნაშრომში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დ. უზნაძის განწყობის თეორიის ფილოსოფიური ანალიზი, რომელსაც ავტორი მის წინაშე მდგარი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით აწარმოებს. აღნიშნული თეორიის ღრმა ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს, რომ მისგან ფილოსოფიური დასკვნები გააკეთოს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ძირითადი დებულება თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობის შესახებ, რომელიც წამოყენებული და დასაბუთებულია ო. ბაკურაძის მონოგრაფიაში, ემყარება სპეციალური მეცნიერებების უახლესი მონაცემების ანალიზს. ეს გარემოება ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას შეადგენს; ავტორი, როგორც ჩანს, იმ სწორი მეთოდოლოგიური დებულებიდან ამოდის, რომ ფილოსოფიური პრობლემები მეცნიერებაზე დამყარებით უნდა გადაწყდეს; თვითონ ეს ნაშრომი კი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგს წარმოადგენს. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ო. ბაკურაძის მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას.

ო. ბაკურაძის მონოგრაფია „თავისუფლება და აუცილებლობა" აღნიშნული პრობლემის კვლევის თანამედროვე დონეზე დგას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მასში გათვალისწინებული და კრიტიკულად გაანალიზებულია ის მიღწევები, რაც დღემდე მოპოვებულია თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის კვლევის დარგში.

მეტად საყურადღებოა ო. ბაკურაძის მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია ეთიკური საკითხების გამოკვლევა თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის ასპექტით. ავტორი არა მხოლოდ საფუძვლიანად იკვლევს ეთიკის პრობლემებს, არამედ იძლევა ზოგიერთი ძირითადი ეთიკური პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის საინტერესო ცდასაც.

მიუხედავად ყველა იმ დადებითი მხარეებისა, რომელიც სარეცენზიო წიგნს აქვს, მასში მაინც გვხვდება სადავო საკითხები, ცალკეული არაზუსტი გამოთქმები და ფორმულირებები, რომელთაგან რამდენიმეზე მივუთითებთ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ-იდეალისტური თეორიებიდან ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე პოზიტივიზმზე. მაგრამ თითქმის ყოველგვარი ყურადღების გარეშე სტოვებს ექსისტენციალიზმს, რომელიც თავისუფლების პრობლემას ეხება და მის თავისებურ გადაწყვეტას იძლევა. ამავე დროს ექსისტენციალიზმი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული იდეალისტური მიმართულებაა მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. თავისუფლების ექსისტენციალისტური გაგების კრიტიკა კიდევ უფრო აამაღლებდა ნაშრომის ღირებულებას.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის იმ დებულებას, რომ „ემპირიული ვერიფიკაციის პრინციპი იდეალისტური მეტაფიზიკის პრინციპია" (გვ. 397). ავტორმა, რასაკვირველია, კარგად იცის, რომ ემპირიული ვერიფიკაციის პრინციპი თანამედროვე პოზიტივიზმი სწორედ მეტაფიზიკის გამორიცხვას ემსახურება და არა მის დასაბუთებას. მართალია, თანამედროვე პოზიტივიზმს ეს მიზანი განუხორციელებელი რჩება, მაგრამ ემპირიული ვერიფიკაციის პრინციპის გამოცხადება იდეალისტური მეტაფიზიკის პრინციპად მაინც შეუძლებელია.

ო. ბაკურაძის მონოგრაფიაში „თავისუფლება და აუცილებლობა" განხილულია მრავალი საკითხი, რომლებიც ერთი და იგივე პრობლემის გარშემო იყრის თავს. შესაძლებელია ავტორს არ დავეთანხმოთ ცალკეული საკითხების ფორმულირებაში, მაგრამ საერთოდ მონოგრაფია მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ მრავალი წიგნი და გამოკვლევაა დაწერილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენაზე. ო. ბაკურაძის მონოგრაფია კი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია თავისუფლებასა და აუცილებლობაზე დაწერილი ნაშრომებიდან.

**სერგი ავალიანი**

# მონოგრაფია მიხეილ თამარაშვილზე

ქართულ ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი უკავია გამოჩენილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ პეტრეს-ძე თამარაშვილს, იგი 1911 წლის სექტემბერში, იტალიის სოფელ სანტა-მარინელაში 53 წლის ასაკში დაიღუპა ტრაგიკულად.

მიხეილ თამარაშვილი. ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანია, რომელმაც საზღვარგარეთის საცავებში დაცული საქართველოს ისტორიის დოკუმენტური მასალები გამოავლინა. მისმა წარმოჩენილმა საბუთებმა გააფართოვა საქართველოს ისტორიის კვლევის არე და ბევრი მანამდე საკამათო ფაქტი უდაო გახდა. მაგრამ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მკვლევართა მსგავსად, წლების განმავლობაში მ. თამარაშვილის ღვაწლი მეცნიერული შეფასების გარეშე რჩებოდა. მის შესახებ არსებობს ორიოდე საგაზეთო ცნობა და დაუღალავი მკვლევარის ზ. ჭიჭინაძის თამარაშვილისადმი მიძღვნილი ათიოდე გვერდიანი წიგნაკი, რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომაც შ. ლომსაძის მონოგრაფია „მიხეილ თამარაშვილი“ ამ ხარვეზს ავსებს.

სარეცენზიო შრომის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიაში მან არა მარტო მ. თამარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა, არამედ ქართველ კათოლიკეთა ისტორიის საინტერესო საკითხებსაც შეეხო.

სარეცენზიო შრომის შესავალ ნაწილიდან ვეცნობით თამარაშვილის გენეოლოგიას და მისი წინაპრების ტრაგიკული ცხოვრების ფურცლებს, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროის სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვისაც.

თამარაშვილის მკვიდრი სამყოფი თავიდანვე მესხეთი იყო. გადმოცემით რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან გადმოსულან და ახალციხის რაბათში დასახლებულან სადაც მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებინებიათ.

მიხეილის დედა გაიანე ბათმანაშვილი თავის დროისა და პირობების კვალობაზე — გამჭრიახი, გულისხმიერი და მწიგნობარი ქალი ყოფილა, რომელიც შვილებს სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ენის ერთგულების გრძნობით ზრდიდა.

მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც ერისკაცობაში ალექსანდრე ერქვა, დაიბადა 1858 წელს; იგი ათიდან მეცხრე შვილი ყოფილა.

14 წლის მიხეილს მამა გარდაეცვალა, უმამოდ დარჩენილ ოჯახს გაუჭირდა. სკოლას თავი დაანება და ფეხსაცმელების კერვა ისწავლა. 1874 წელს ქუთაისში უფროსი ძმის სოლომონის დუქანში ხელოსნობაში სცადა ბედი. ამავე დროს იგი ასომთავრულსა და ხუცურ წერა-კითხვას სწავლობდა.

ახალციხეში მობრუნებული მიხეილი, ივანე გვარამაძის დაჟინებული რჩევით, 1877 წლიდან სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინეპოლში, ქართველი მოღვაწის პეტრე ხარისჭარაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში შედის, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება. აქვე იგი თავისუფლად ეუფლება ფრანგულსა და ლათინურ ენებს.

კონსტანტინეპოლის სასწავლებელში წარჩინებული სწავლისათვის თამარაშვილი სამი წლით ესპანეთში გაიგზავნა სასწავლებლად. იქ მან წარმატებით დაამთავრა სასულიერო სემინარია და კვლავ კონსტანტინეპოლში დაბრუნდა.

კონსტანტინეპოლში მ. თამარაშვილი ცოტახანს დარჩა და შემდეგ სასწავლებლად პარიზს გაემგზავრა. პარიზის სამეცნიერო ცხოვრების გაცნობამ თამარაშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, პარიზის მუზეუმებსა, წიგნთსაცავებსა და არქივებში მიიღო მან მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის პირველი ნათლობა.

1888 წელს თამარაშვილმა წარმატებით დაასრულა პარიზში ლაზარეს სასულიერო სასწვლებელი და კვლავ კონსტანტინეპოლს გაემგზავრა. საიდანაც იგი საქართველოში დაბრუნდა. მალე ცარიზმის ერთგულმა სატრაპებმა მიხეილ თამარაშვილი „სერიოზულად საშიშ“ პიროვნებად ჩათვალეს და მშობლიურ ახალციხეში გაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სადაც კვლავ თავისი ძველი მეგობრის, მასწავლებლის ივანე გვარამაძის ერთგულ თანაშემწედ იქცა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადო საქმიანობაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მ. თამარაშვილი ვალადაღებული ფულით ფარულად კონსტანტინეპოლზე გავლით რომში ჩავიდა. აქ მან სასულიერო აკადემიაში წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩვეული ენერგიით განაგრძო სწავლა. მ. თამარაშვილმა 1894 წელს წარჩინებით დაამთავრა სასულიერო აკადემია და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მოიპოვა.

ამ დროიდან მიხეილ თამარაშვილი მთელი არსებით ჩაება მეცნიერულ მუშაობაში. მომავალი მუშაობის გეგმა მან ჯერ კიდევ პირველ კურსზე მოხაზა. პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა მან ფრანგულ გაზეთში გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი საქართველოს ისტორიისა და ქართველი კათოლიკების შესახებ. წერილმა გამოძახილი ჰპოვა ევროპაში.

1897 წლიდან კი მ. თამარაშვილი თავაუღებლად მუშაობს ვატიკანის არქივებში. მოკლე ხან-

---

**შოთა ლომსაძე, „მიხეილ თამარაშვილი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1964.**

ში იგი ამზადებს 700 გვერდიან შრომას „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელსაც დაბეჭვდა ძლივს ეღირსა 1902 წელს.

წიგნში მოტანილი დოკუმენტები და მკვლევარის მიერ წამოჭრილი საკითხები დასახული თემის ფარგლებს (ქართველი კათოლიკობის საკითხს) სცილდებოდა. იგი საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს მოიცავდა და ახლებურად აშუქებდა მას.

სარეცენზიო შრომის ავტორი შ. ლომსაძე თანამედროვე მარქსისტულ ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე არჩევს დიდი მეცნიერის მემკვიდრეობას და მას სათანადო ადგილს მიუჩენს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

შ. ლომსაძე მონოგრაფიაში ცალ-ცალკე განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საბუთს, რომელიც აღმოაჩინა მ. თამარაშვილმა. ამ საბუთებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს ისტორიისათვის მე-13 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე მოყოლებული. „ამ წერილების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით თამარაშვილმა ნათელჰყო, რომ მე-12 და მე-13 საუკუნეების (მონღოლთა შემოსევამდე) საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ძლიერება შესამჩნევი იყო საერთაშორისო მასშტაბით და რომ მსოფლიოს ბევრ სადაო საკითხის მოწესრიგებაში მას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ სარწმუნოებრივ შეხედულებებში სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა მოპოვებული და საბერძნეთისაგან ანგარიშგაუწევლად ამყარებდა ურთიერთობას დასავლეთის სახელმწიფოებთან“ — სამართლიანად ასკვნის მონოგრაფიის ავტორი.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს გვიან ფეოდალური ხანის ისტორიულ საბუთებსაც, რომელშიც ვეცნობით ქართული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელთა დიპლომატიურ და სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას.

ამიტომაცაა რომ, თამარაშვილის ნაშრომს სავსებით სამართლიანად ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (1902 წლის № 254-ში) შემდეგ შეფასებას აძლევდა: „წიგნს ქართველობისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა, და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართლის ცხოვრება უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნაკი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც“.

ამ შრომის გამოცემის შემდეგ მიხეილ თამარაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც მან გამოამჟღავნა დიდი მეცნიერის ალღო და ერუდიცია.

მიხეილ თამარაშვილის პოლემისტურმა გამოსვლებმა აღაფრთოვანა ქართველი საზოგადოება, ღვაწლმოსილ მეცნიერს სამადლობელი წერილები მისდიოდა რომში, თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა მისი უმთავრესი პოლემისტური შრომა „პასუხი სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)“.

შემდგომ ამისა გ. თამარაშვილმა მიზნად დაისახა შეედგინა და გამოეცა მთელი საქართველოს ეკლესიების ისტორია ფრანგულ ენაზე. მაგრამ შრომაზე მუშაობის პროცესში ქრონოლოგიური ჩარჩო შედარებით შეამცირა და დაუცხრომელი მუშაობის წყალობით მკვლევარმა აღნიშნული შრომა დაამთავრა და გამოსაცემად მოამზადა უკვე 1908 წელს.

მონოგრაფიის ავტორი შ. ლომსაძე შრომაში დაწვრილებით განიხილავს თამარაშვილის ამ ვრცელ შრომას და სამართლიანადაც აღნიშნავს, რომ მაშინ ეს ევროპულ ენაზე ქართველის მიერ დაწერილი თითქმის ერთადერთი „უნივერსალური“ შრომა იყო, რომელიც საქართველოს საკითხით დაინტერესებული ევროპელი და სხვა უცხოელი მეცნიერებისათვის ნამდვილ მაგიდის წიგნად გადაიქცა, რასაც მის დიდ მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად განაპირობებს მისი შედგენილობის ხასიათი და მდიდარი, ლიტერატურული ფრანგული ენა.

სარეცენზიო წიგნი დაზღვეული არ არის ზოგიერთ ნაკლოვანებებისაგან. რამდენადაც მისასალმებელია ავტორის მიერ წარმოჩენილ საბუთებზე მსჯელობა, ამდენად მონოგრაფიის მოცულობა ვერ ეგუება შრომაში ჩართული მეტისმეტად ვრცელ მასალებს, როგორიცაა მაგალითად ვენეციის მონთობანისა და კონსტანტინეპოლის კულტურის ცენტრების შესახებ მსჯელობა, რაც აღარ შედის შრომის მიზანდასახულებაში.

ავტორი ასევე მეტისმეტად დიდ შეფასებას აძლევს 1836 წელს იოსებ ხუციშვილის მიერ ქ. ახალციხეში დაარსებულ სტამბას, რომელსაც მიხეილ თამარაშვილთან თითქმის არავითარი კავშირი არა ჰქონდა და იგი კვლავაც სხვა საგანს წარმოადგენს.

სასურველი იყო წიგნს დართვოდა საგნობრივი და პირთა საძიებელიც რაც ამ საკითხებით დაინტერესებულთა მუშაობაში გარკვეულ დახმარებას გაუწევდა.

საერთოდ წიგნი გულისხმიერებითა და საგნის სიყვარულითაა დაწერილი, მხოლოდ დასანანია, რომ ტირაჟი (1000 ცალი). სრულებით არაა საკმარისი ასეთი წიგნისათვის.

**ირაკლი ზაქარიაშვილი**
**დურმიშხან ცინცაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“